



ଓହ୍ ରାଜୁମୁ କାଳୀ



ରାଜୁମୁ କାଳୀ

8.3 (- 037, 30000⁶

23.133

0.003
2.000 72.146



აინ. ხედი უანართ

საქართველოს კულტურული მუზეუმი

6 1 6 3 9 8 0 2 1 6

(მიხეილ თევზავანიშვილის ცხოვრიშვილის და მოღვაწეობის)

4/44



26 Jan 2023

۳۸۰۶۱۳۸۰۶

მიხეილ ბირთველის-ძე თუმანიშვილი თავისი თაობისა და თაგვისი წრის ერთი გამოჩენილი ადამიანთაგანი იყო. მისი სახელი მჭიდროდ არის გადაბმული მისი თანადროული საქართველოს მრავალ საზოგადოებრივ და ლიტერატურულ მოვლენაზე. ჯერ კიდევ გიმნაზიის მოწაფე იყო, რომ იგი მონაწილეობას იღებდა ლიტერატურის მოყვარულთა წრეში; მან შეამჭიდროვა მოლიტერატორების ახალგაზრდობა მაშინდელი ხელნაწერი უურნალის გარშემო, რომელსაც იგი უშვებდა.

ახლად აღორძინებულმა ქართულმა თეატრმა მასში ჰქოვა ნამდვილი ენთუზიასტი, რომელიც მონაწილეობას იღებდა პირველ წარმოდგენებში. იგი კალმით და სიტყვით მხარს უჭირდა თეატრის დამაარსებელს — გიორგი ერისთავს, ზრუნავდა თეატრის მუდმივი. არსებობდასათვის; მან დასტოვა ისტორიისათვის ქართული სცენის აღორძინების ნარკვევი. ქართული „სქელტანიანი“ უურნალის დაარსების იდეა წარმოიშვა ორმოცდათოანი წლების ლიტერატურულ წრეში, რომლის ერთეულობის წევრიც. იგი იყო; უკითხო უურნალის არსებობას კრიტიკულ მომენტში, ხელი შეუწყო მის. თუმანიშვილის ახლო მონაწილეობამ. იგი იყო პირველი ქართველი ფელეტონისტი. მან შეინახა ქართული ლიტერატურისათვის ქართველი პოეტების ლექსთა აუარებელი ხელნაწერი ასლები და გადასცა გამოსაქვეყნებლად ილია ჭავჭავაძეს: სათავადაზნაურო დეპუტატთა საკრებულო იმის დროს ერთადერთი ასპარეზი იყო საზოგადოებრივი მოღვაწეობის გამოსაჩენად და ამიტომ იგი უახლოეს მონაწილეობას იღებდა თავად-აზნაურობის გველა საქმეში; ამასთანვე, მას თვალსაჩინო ადგილი ეჭირა ძევლი თაობის პროგრესიულ წრეში.

მიხეილ თუმანიშვილის ბიოგრაფიას, როგორც პოეტისა და ტეატრალისა, საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტისა, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა თავისი დროის ყველა გამოჩენილ მწერალთან და მოღვაწესთან, შეუძლიან მოგვცეს თვალსაჩინო მასალა XIX საუკუნის საქართველოს ლიტერატურისა და საზოგადოებრივი განვითარების ისტორიისათვის. მაგრამ მის თუმანიშვილის მოღვაწობის მეორე მხარეც იზიდაგს ჭარსული საუკუნის მესამე მეოთხედის სოციალური ცხოვრების მკელევართა ყურადღებას — ეს პრის მის მიერ ჩატარებული უდიდესი მუშაობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში გლეხთა საკითხებს მასალების შეკრეფისა, შემუშავებისა და პრაქტიკული გამოყენებისათვის.

მის. თუმანიშვილის ბიოგრაფიის შედეგის ცდას საფუძვლად დაედგა, უმ-
თავრესად, საარქივო მასალა, ოომლის უდიდესი ნაწილი დღევანდლამდე გამო-
შევეყნებელია. მაინც ამ ნაშრომში დღიურები, ოფიციალური დოკუმენტები და

წერილები თავიდან ბოლომდე როდია გამოყენებული: ხშირად მათი სპეციფიკური ინტერესი და ამ წიგნის ფარგალი ზოუდავდა მასალების სივრცეს. განსაკუთრებით ნაკლებად არის გაშუქებული ის მომენტები, რაც გლეხთა საკითხს ეხება. ეს გასაგებიცაა: იმ მოღვაწის ბიოგრაფია, რომელმაც თავის ზურგით გადაიტანა სამომზადებლო მუშაობის მთელი სიმძრე, და რომელიც ამ საკითხის პირველი ისტორიას იყო,—მეტისმეტად მჭიდროდ არის დაკავშირებული მთლად რეფორმის მომსადებისა და ჩატარების მსვლელობასთან; ხოლო რეფორმის ისტორია საჭიროებს დამოუკიდებელ დამუშავებას და ეს კი ამ წიგნის ფარგალს სცილდება.

ბიოგრაფიის დოკუმენტაციის თვალსაჩინო ნაწილისათვის გამოყენებულია საგვარეულო არქივი, რომელიც ამ ოთხი წლის წინათ საქართველოს მუზეუმის ხელნაწერების ფონდს გადაეცა.

1937 წ. აპრილი.

ოჯახი და მმობეჭი

ოჯახური ტრადიციები. წინამორბედნი ლიტერატურაში — გივი, დიმიტრი, ეგნატე, გიორგი თუმანიშვილები. სოციალური გარემო. პოლიტიკური მიმდინარეობანი ოჯახში XIX საუკ. წინ. კავშირი ბატონიშვილ ალექსანდრესთან. მონაწილეობა 1832 წლის შეთქმულებაში. რუსული რაიენტაცია: სულხან, ეგნატე. პაპა — გოგია, მამა — ბირთველ-მდივანი. დედა ანა.

ყოველ ადამიანს, რაც უნდა მრავალფეროვანი იყოს მისი საქმიანობა, აქვს ერთი რომელიმე საქმე, რომელსაც იგი თვის ცოდნასა და თავის შრომას უძირატესად უთმობს. ამათუმ პიროვნებაში, სოციალური და ინდივიდუალური პირობების გავლენით, განსაკუთრებით ვითარდება მიღრეკილება ადამიანის აქტიობის ერთ რომელ-სამე სფეროსადმი. სწორედ ასევე იყო ხოლმე, რომ მთელი გვარი ეძლეოდა ერთსაღაიმავე საქმიანობას და სრულყოფამდე ვითარდებოდა მოლვაწეობის განსაზღვრულ სფეროში. ფეოდალიზმის ეპოქაში და კარგა ხანს მისი დაშლის შემდეგაც, ზოგიერთი გვარი, თაობიდან თაობამდე, ხელიდან არ უშევებდა შმართველობის იმ სფეროს ან იმ თანამდებობას, რაც ოდიოვე მის წინაპარო ეკუთვნოდათ. ასევე, თუმანიშვილებსაც საქართველოს ისტორიაში აქვთ თავიანთი ადგილი, რომელიც განისაზღვრება, როგორც კალმოსა ან თა (კალმის ადამიანთა) ადგილი. მათ შორის იყვნენ სამხედრო მოლვაწენიც, დიპლო-მატებიც, ბევრი მათგანი საქმიანობდა სამართლის სფეროშიც, მაგრამ მათი, ასე ვთქვათ, ძირითადი ხელობა იყო ნიშანდობლივ კალამი. მრავალ მოდგმათა განმავლობაში ისინი იყვნენ სამეფო კარის მდივნები, სარგებლობდნენ. რა „მდივნობის — მწიგნობრობის“ უფლებით.

მეფე გიორგი XIII ბრძანებაში, რომელიც გაცემულია 1799 წლის * მაისის 24-ს ეგნატე თუმანიშვილის სახელზე, ისსენიება, რომ, როდე-საც საქართველოში ბაგრატიდების დინასტიი გამეფდა, თუმანიშვი-ლებს მიენიჭათ შთამომავლობით. მეფის მდივანთა თანამდებობა.

* თარიღები აქ ყველგან — 1918 წლამდე — მოცემულია ძველი სტილით.

ბაგრატიდების დამყარება საქართველოში 787 წელს მიეკუთვნება. მაშასადამე, თუ ამ ბრძანებას ვერწმუნეთ, თუმანიშვილები გამოჩენილან, სულ ცოტა, VIII საუკუნის ნახევარში. ასეთი მტკიცებისათვის საფუძველი არ არსებობს. რაც უნდა სიტყვაძვირი იყონ ძველი ქართული მატიანები, მაინც ძნელი წარმოსადგენია, რომ მათში ეს გვარი არ იხსენიებოდეს, თუ კი მის წევრებს, მართლაც, ძველადვე შთამომავლობითი თანამდებობა ჰქონდათ.

იმ ოფიციალური დოკუმენტებიდან, რაც შენახულა და თუმანიშვილებს ასახელებს, ყველაზე უაღრესი, დაახლოებით, 1405 წელს¹ უკუთვნის; ამ დოკუმენტში აღნიშვნულია, რომ სოფელი ახალდაბა, რომელზედაც ლაპარაკია. დოკუმენტში, „ძველისგან“ უკუთვნოდა თუმანიშვილებს. ჩუბინაშვილის მიერ მოყვანილი გადმოცემით, თუმანიშვილები გამოჩნდნენ საქართველოში XII საუკუნეს.² ჩვენამდე მოღწეულ სიგელებში მდივნები თუმანიშვილთაგან — სახელდობრ ზაქარია — პირველად 1454 და 1463 წლებში გამოდიან:

დაბოლოს; მთელი რიგი მოსაზრებანი, რომლებზედაც აქ ლაპალაკი ჭედმეტია, გვაიძულებენ იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ თუმანიშვილები საქართველოში გამოჩნდნენ, ასახვირველია, არა უგვიანეს XIV საუკუნისა, ხოლო მდივნებად გახდნენ XV საუკუნეში მაინც, ყოველ შემთხვევაში არა ამაზე უგვიანეს.

მუდამ დოკუმენტებთან, წერილებთან და წიგნებთან საქმის ქონამ და ამით შექმნილ ატმოსფეროში ტრიალმა წარმოქმნა და განავითარა ლიტერატურული ინტერესები. საუცხოო მდივნობასთან ერთად თუმანიშვილები, როცა მოცლილები იყვნენ, თავისუფალ დროს კითხვასა და ლიტერატურულ საქმიანობას უთმობდნენ. ბევრი მათგანი პოეტი იყო და მწერლობა ამათუმიშ სახით თითქმის ყოველი მათგანისათვის ღრმა სულიერ მოთხოვნილებას წარმოადგენდა. უფრო ელემენტარული სახით ეს მოთხოვნილება მულავნდებოდა სხვადასხვანაწარმოებთა გადაწერით საშინაო ბიბლიოთეკის შესავსებად, ხოლო შემოქმედების მაღლით მოსილი პიროვნებანი ამ მოთხოვნილებას ასახერებდნენ საკუთარი დამოუკიდებელი თხზულებებით. მუდმივი ომებისა, თავდასხმისა, აოხრებისა და სხვა ისტორიული პირობების გამო — ძველი ბიბლიოთეკები დაიღუპა, მაგრამ ის, რაც გადურჩა ქამთა სიავეს, აშეკრად გვიჩვენებს, რომ ეს გვარეულობა ნაყოფიერად თანაზიარა ქართულ მწერლობას.³ ცნობილია, მაგალითად, რომ მდივან-მწიგნობარი გივი თუმანიშვილი ეხმარებოდა ბატონიშვილს ვახშტის საქართველოს გეოგრაფიული და სტატისტიკური აღწერის შედგენაში: თითონ იგი პოეტი ყოფილა და საკუთარი ხელით გადაუწერია „არჩილიანი“. დავით⁴ თუმანიშვილის ლექსები ჩართულია ამირიძის კრებულში და სხვა ანთოლოგიებში. იოსებ-მდივნის შეილი — დიმი-

ტრი მდგვანი არა მატობ გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე ყო-
ფილა, გიორგი XIII⁵ ახლო კარისკაცი, მუდმივი მონაწილე იმ თათბი-
რებისა, რომლებიც იმართებოდა ამ მეფისას გარსევან ჭავჭავაძის
მიერ რუსეთიდან გამოგზავნილი წერილების განსახილველად, — არა-
მედ აგრეთვე იგი ყოფილა პოეტი, რომლის ლექსებსაც საკმაო პოპუ-
ლარობა თურმე ჰქონდა ხალხში. ⁶ წარსული საუკუნის დამდეგს იგი
ბატონიშვილებთან ერთად რუსეთში გადასახლებულა? ⁷ და იქაც
ვანაგრძობდა წერას. მისი ლექსი „ახალ აღნავო სულო და“ ჩართუ-
ლია XIX საუკუნის ბევრ ანთოლოვიაში, ისე, როგორც მისივე
ლექსი, რომელიც ალეგორიულად უმღერის ლამაზი ქალის შავ თვა-
ლებს და ადარებს მათ გრძის ნავებს გაშლილ ზღვაში. ირაკლი
II და გიორგი XIII მდივანი და მდივანბეგი ეგნატე, თავის
მრავალფეროვან სახელმწიფოებრივ მოღვაწეობასთან ერთად, ზანდა-
ხან პოეზიასაც გუნდრუქს უკმევდა ხოლმე. მისი შვილი გიორგი, ⁸
რომლის ეროტიკული ლირიკაც უყურადღებოდ არ დარჩათ ლიტე-
რატურის ისტორიკოსებს, თითქმის თანამედროვე იყო მიხეილ
ბირთველის-ძისა. დაბოლოს, მიხეილ ბირთველის ძის უფროსმა ძმამ,
ავთანდილმა, რომელიც ახალგაზრდობაში დაიღუპა, დასტოუა
თავის შემდეგ ლექსები და პროზა.

მიხეილ ბირთველის-ძის ოჯახი არ ეკუთვნოდა დიდ მემამულება
წრეს. თვით საქმიანობის ხასიათი საშუალებას არ აღლევდა. თუმანი-
შვილებს დიდი დრო და ენერგია დაეთმოთ ქონებრივ საქმეთათვის. მათი
ეკონომიური მდგომარეობის გაშლა-აყვავება XVII საუკუნის ნახე-
ვარზე მოდის, როდესაც მათ ხელში იყო მთელი რიგი
სოფლები ქართლში და სომხეთში, ⁹ მაგრამ XVII საუკუნის ნახევარში
მოხდა გაყრა მამუკას ოთხს შვილს შუა და ამიერიდან, განსაკუთ-
რებით შთამომავლობის გამრავლების გამო, მათი შეძლებულება
თანდათან კლებულობს. ერთი მამულის დაკარგვას მეორე მამულის
დაკარგვა მოსდევს და წარსული საუკუნის დამდეგისათვის ისინი
ინარჩუნებენ მხოლოდ თავიანთ ძირითად ბუდეს — სოფ. ხელთუბანს
და აგრეთვე რამდენსამე მცირე ნაკვეთს სხვა ადგილებში; ამასთანავე,
მთელი მათი ქონება დაქუცმაცებული იყო წვრილწვრილ ნაჭრებად
მრავალრიცხვან ცალკეულ ოჯახებს შორის. მიხეილის მამის ბირთ-
ველ-მდივნის განკარგულებაში იყო სულ 50-მდე დესეტინა მიწა და
ხუთმეტიოდე კომლი გლეხი, ხოლო თვით მიხეილმა მიიღო სამკვიდ-
როდ სულ ექვსი კომლი და ამის შესაბამი ღდენობის სახნავი მიწა. ¹⁰
ბირთველის სამდივნო შემოსავალი, საქართველოს რუსეთთან შეერ-
თებამდე, რაც უნდა გულუხვად გამოვთვალოთ, არ აღემატებოდა
2.000 მან. წლიურად, ხოლო რუსეთის სამსახურში გადასცვლისას იგი
ჰქარგავს ამ შემოსავალსაც, რაც, თავისთავად, თვალსაჩინო წყაროდ
არ ჩაითვლება, თუ მხედველობაში მივიღებთ მრავალრიცხვან ოჯახს.

სხვადასხვა მიმღებარეობათ შინაგანი ბრძოლა, რაც ბაგრატი-
ფების დინასტიას ნაფლეთებად ჰელეჯდა, როგორც სარკეში, ისე
პირეკლება იმ ოჯახებზე, რომელებსაც ახლო კავშირი ჰქონდათ ამ
დინასტიასთან. იმ მოძრაობის სოციალური ბაზის, ანალიზი, რომელ-
საც მეთაურიად ბატონიშვილი ალექსანდრე ჰყავდა, ფრიად საჩნდე-
რებო დასკვნებაში მიგეიჭვინდა. ხოლო იქ შესაბამად მიგანანია
აღნიშვნით, რომ ალექსანდრე თავის ჭომხნევებს ჰპოვებდა სწორედ
ქართლის არამდიდარ თავაზაზნაურისა შორის, საქართველოს რე-
სეფთან შექმნების შინ და აგრეთვე შემდგრმი ათწლეულების განმაფ-
ლობაშიც მიხედვის თჯახში იმრძოდე თრი მიმართულება: აღმო-
საფლური, რომელიც ირანთან დაბალობისაკენ იხრებოდა და რომელ-
საც ურისი ალექსანდრეს ბინავში თავისი წარმომაზებენლები ჰყავდა,
და რუსული, რომლის რეგებშიც იყვნენ ისეთი დიდი წარმოშალგე-
ნელი, როგორც სულხანი და ეგნატე.

ბირთველის შმა, მაშასადამე, მიხეილის ლვილი. ბიძა, ფარსა-
დანი ანუ ფარსია, ალექსანდრეს აქტიურ მომხრეთა შორის იყო.
თავის ნათესავ ზაალ თუმანიშვილთან ერთად ივი კტოვების ხელთ-
უბანს და შიდის ალექსანდრესთან ირანის სამფლობელოში, საც
გორის საერობო მიღწეულის სამმართველოში გენ. ციკანონის მოახსინა.

ბატონიშვილისაგან ქართლისა და ახალციხის შემამულების სა-
ხლეჭე წერილების მიღებისას, იქინი გამოეძგვოვნენ ერევნისან და,
რამდენიმე თავიანთი გლეხის თანხლებით, საქართველოში შეიპარნენ.
რუსეთის შეფის ძოხელეთა წინააღმდეგ აჯანყების მოსაწყობად, რე-
სეთის აგენტები თავს დაისხნენ მათ და დაიკირქეს. ასეთი გამოსვლი-
სათვის მათ დაკარგეს თავიანთი ქონება: იმპერატორი ალექსანდრე I-ის
1803 წ. ნოემბრის 11-სს სპეციალური რესკრიპტით ციციანოვს წინა-
დადება ეძლეოდა მიეღო სახაჩინო მმართველობად ამირაჯიბთა, თუმა-
ნიშვილთა და თარზნიშვილთა კამი თჯახის იმ წევრთა უძრებები ქო-
ნებას „რომელიც ეკუთვნის საზღვარგარეთ გასულ მფლობელთ“; ცი-
ციანოვი დაეშურა ამ ბრძანების აღსრულებას და უკვე 1804 წლის
თებერვალში აუწყებდა წერილობით საქართველოს მოსახლეობას ფარ-
სიას და ზაალის ქონების ჩამორთმებას და სახელმწიფო ხაზინეში გა-
დაცემას, როგორც ისეთი პირებისას, რომელიც რუსეთის შეფის
წინააღმდეგ აღდგნენ.¹²

ზოგიერთი თუმანიშვილი გარეული იყო აგრეთვე სხვა, რუსეთის
შეფის ძალა-უფლების სამერიო მოძრაობაში. ჯერ კიდევ XIX საუ-
კნის პირველ მეოთხედში,¹³ ხოლო ულრი გვიან, სახელდობრ 1832
წელს, პორუჩიერ გიორგი თუმანიშვილი, შეთქმულთა ჩვენებით, დანიშ-
ნული იყო პრაბორუჩი ერისთავთან, ვანტაზ რამდელათნთან, ბერან
მილახორთან და ივანე ერისთავთან ერთად, 50 კაცით, ორდონანს-

პაუზის * ხელში ჩასაგდებად გამოსვლის პირველსავე ლამეს. ¹³ თუმცა მიხეილის მამა ბირთველი შეთქმულებაში პირდაპირ მონაწილეობას არ იღებდა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ორგორც ერისთავთან, ორბელიანთან და შეთქმულების სხვა მონაწილეებთან მჰიდრო ურთაცირობის მქონე ადამიანი, იგი ზედმიწევნით გაცნობილი იყო შეთქმულების ყოველივე წვრილმანს და თანაუგრძნობდა მას. ტვი დაკეითხა 1833 წლის იანვრის 4-ს საგამომძიებლო ქომისიაშ. მან წარუდგინა ქომისიას წერილობითი ჩვენება. მისი ჩერებიდან სჩანს, რომ შეთქმულნი სთვლიდნენ მას თანამგრძნობლად, უზირევდლნენ თავიანთ გეგმებს, მაგრამ არ აძლევდნენ აქციურ როლს მისი რრმა, მოხუცებულობის გამო.¹⁴ ბირთველი პასუხისვებაში იქნა მიცემული, ხოლო იმის გამო, რომ მისი პირდაპირი მონაწილეობა შეთქმულებაში არ დამტკიცდა, სამხედრო მინისტრმა ჩერნიშევმა, რომელიც გაეცნო მთავარმართებლის როჩენის მოხსენებას, 1833 წლის ნოემბრის 1-ს გასცა ბრძანება: „ტიტ. სოფ. თავ. ბირთველ თუმნიშვილი იყვნეს სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ”.¹⁵

მეორეს მხრით, საქართველოს რუსეთთან შეერთების ეპოქის თანამედროვე თუმანიშვილებს შორის ყველაზე გამოჩენილნი — სულხანი და ეგნატე უახლოესი და საქმიანი თანამშრომელნი იყვნენ ირაკლი II-ს და გიორგი XIII-სა მათ რუსთველურ პოლიტიკაში.

სულხან-მედივანი გაგზავნილი იყო რესენში საქართველოს საგანგებო ელჩიდ ეკატერინე II კარის წინაშე. მას დიდად აქასებდა ყოვლადშემძლე პოტიომიკინი.¹⁶

ეგნატე-მ-დივანი და მ-დივან-მ-ტეგი, თავისი მორალური თვისებებით სრული ინტიმოდი თავდაკურილი და დარბაისელი სულხანსას, იყო თანამშრომელის ტული ყაიდის მოღვაწე, რომელიც მიზნის მისაღწევად არაფითარ ხერხს არ დაგიდევდათ. ¹⁷ ორი მეტის უახლოესი მოჩეუელი, ლიტერატურის მწყალობელი, თვით ჭოეტი და შაშა პოეტისა, იგი იყო დიდი გავლენის კაცი და დიდი ძალაუფლების მქონე. ეგნატე მთკუვებოდა საერთო დენას და რუსულ რეეიმში ეძიებდა პირად სარვებლობას, ამიტომ იგი მომხრე იყო რუსული ორიენტაციისა და, რუსეთის მმართველობის დამყარებისთანაერ, შევიდა, სულხანთან ერთად, საქართველოს მთავრობის შედგენილობაში.

მიხეილ თუმანიშვილის გვარში, როგორც უკვე ვნახეთ, რუსული ორიენტაცია არა სკურბობდა. ოჯ; შეეხება მიხეილის პაპის გოგიას (გიორგის), რომელიც ცოცხალი იყო ჯერ კიდევ 1799 წელს ¹⁸ და შეიძლება შემდეგაც, მისი, ოჯახის სხვა წევრთაგან ვანსხვავებით, არაფრით არ გამოუჩენია თავი საერთოდ პოლიტიკაში. იგი მდივანი

* საკომისანდანტო სამმართველო

არ იყო და მამულს უვლიდა ხელთუბანში. მისი აგებულია სახლთან სიმაგრე-კოშკი და გაშენებულია ბალი, რომელშიაც ესტუმრებოდა წოლმე გიორგი XIII. რუსეთის მეფის მოხელენი ხშირად აწუხებდნენ გოგიას ყოველგვარი ბეგარით და მოითხოვდნენ, რომ მას სურსათი მიეწოდებინა მეფის ჯარისათვის გორსა და სურამში. ქართლის სხვა მემამულეთა მსგავსად გოგია განსაკუთრებულ გულმოდგინებას არ იჩენდა მოხელეთა და სამხელრო ხელისუფალთა ბრძანების. შესრულებაში, მაგრამ, როგორც სჩანს, მას არც მტრულ გამოსვლებში მიუღიდ მონაწილეობა. არ ვიცით, ცოცხალი იყო იგი თუ არა, როდესაც ერთერთი მისი შვილი — ფარსადანი (ფარსია) — ჩაება ბატონი-შვილ ალექსანდრეს საქმეში, მაგრამ სრულიად შესაძლებელია, რომ ფარსადანიც და ბირთველიც (ცნობები სხვა შვილებზე — რევაზზე და გრიგოლზე — მეტისმეტად მცირეა), რომლებმაც სახელი გაიტანეს შეთქმულებებში მონაწილეობით, ამჟღავნებდნენ თავიანთი მოქმედებით სწორედ იმ სულისკვეთებას, რაც მათში შთაისახა არა უმა-მისგავლენოდ.

თუ გოგია დაშორებული იყო სახელმწიფო საქმეებს, სამაგიეროდ მიხეილის მამა, რომელიც ატარებდა მხოლოდ მისი გვარისათვის ჩვეულ სახელს, ბირთველს,¹⁹ საესებით მისდევდა ოჯახის ტრადიციებს: დაიბადა რა ხელთუბანში 1760 წელს, იგი ახალგაზრდობიდანვე, ვიდრე საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე, იყო მდივანი ჯერ ირაკლის და გიორგისა, ხოლო 1800 და 1801 წლებში ბატონიშვილის ვახტანგ-ალმასხანისა, რომელიც მართავდა ქართლის ნაწილს და იმყოფებოდა ქ. დუშეთში. რუსეთთან შეერთების შემდეგ ბირთველი გადარქმეულ იქნა გუბერნაციი სეკრეტრად და დაინიშნა დუშეთის მაზრის თანამსაჯულად (სულებნი ზასედატელი — 1802 წ.). იგი წინან-დელებრ განაგრძნობდა მჭიდრო ურთიერთობას ვახტანგ ბატონი-შვილთან, რომელსაც, ამასთანავე, დაესვინა კიდეც (ვახტანგმა 1801 წელს მოუნათლა შვილი გიორგი). ბატონიშვილი რუსეთის ხელისუფლებას, ძველი ჩვეულებისამებრ, ისევ ბირთველის მეშვეობით მიმართავდა ხოლმე. რამდენიმე წლის განმავლობაში ბირთველი გოროდ-ნიჩად იყო გორში, მერე სამსახურიდან გამოვიდა და ხელი მოჰკიდა შინაურ საქმეებს, რომლებიც არეულ-დარეული ჰქონდა იმის შემდეგ, რაც სამდივნო შემოსავალი მოესპო და ოჯახის წევრნი კი გაუმრავლდნენ.²⁰ სასულიერო პირებთან მიწერმოწერა, რაც საკმაოდ ვრცელია, გვიჩვენებს, რომ იგი გავლენიანი კაცი იყო. მას იმდენად უწევდნენ ანგარიშს, რომ ერთხელ მასთან წაჩხუბებული სასულიერო აღმინისტრატორი აბარებულ იქნა თავისი ადგილიდან იმის შემდეგ, რაკი სასულიერო მთავრობამ უერ მოახერხა საქმის მორიგებით დაგვირგვინება. ბირთველს რომ სასტიკი ზედამხედველობა განუჩინეს,



ბირთველ თუმანიშვილი
(ფანქ. ნახატი მის. თუმანიშვილისა)

იგი 72 წლისა იყო. ოთხი წლის შემდეგ ბართველი გარდაიცვალა; მას დარჩა ქვრივი და რამდენიმე შვილი, რომელთაგან ყველაზე უმცროსი — მიხეილი — 18 წლისა იყო.

ბირთველის სახეს საკმაოდ მკაფიოდ გვიხატავს მისი შვილის მიხეილის მიერ ფანჯრით, გაკეთებული მონასახი და აგრეთვე ოჯახში დარჩენილი მოგონებები. იგი ყოფილა ბუნებით მხიარული, სიცოცხლის მოყვარული აღამიანი, მჭირდავი, მოსწრებული სიტყვის პატრონი, უდრევი ხასიათისა, და არც თუ დიდი მოყვარული საოჯახო საქმეებისა, თუმცა თავისგამოდების შემთხვევაში დავაქარობას არ უფრთხოდა. ხშირად უხდებოდა მას, სამსახურის გამო, ოჯახის დატოვება და საკმაო ხალისით უთმობდა, თავის ცოლს ანას ოჯახის ტვირთის ჰიდვას. ოჯახის საზრდოობის აუცილებლობამ ხელი მოაკიდინა ბირთველს სოფლის მეურნეობას, მაგრამ მან მაინც ვერ მოახერხა შეექმნა საკმაო შემთხვევლის წყარო ხელთუბნის მამულში და, მართალი რომ ითქვას, მისი პატარა მეურნეობა. ფრიად უნუგეშო მდგომარეობაში იყო. გულლია ხასიათი ხელს უწყობდა ბირთველს მეურნეობულად უოფილიყო მეზობელ მემამულებთან და, როცა გაჭირვება მოითხოვდა, იგი, მათთან ერთად, ხელს ჰკიდებდა მახვილს თავის სამფლობელოთა დასაცავად თავდასხმისაგან, რაც ისე ხშირი იყო მაშინდელ შტოთიერ, საშიშარ დროს. ²¹ ამისდა მიუხედავად მიხეილის მამას უყვარდა წიგნები და იგი ბევრ დროსაც ანდომებდა მათ. საკუთარი ხელით გადასწერა ბირთველმა 1802 წელს რუსთველის პოემის საინტერესო ვარიანტი და აგრეთვე სხვა რამდენიმე წიგნი. მას შეგნებული ჰქონდა დროის ვითარება, მისი მოთხოვნილებანი; ცდილობდა მიეცა თავისი შვილებისათვის, თანადროული განათლება და ხელს უწყობდა თავის ტანის მიზანისათვის. ახლი ცხოვრების დამყარებას, რაც რუსულ და ევროპულ კულტურას მოჰქონდა.

შვილებთან, რაღა თქმა უნდა, უფრო მეტად დედა იყო; შვილები მამას შედარებით ნაკლებ იცნობდნენ და ბირთველი, რომელსაც მაგრერიგად არ უყვარდა წერილების წერა, ხშირად უსაკვედურებდა შვილებს, დიდის. ხნობით აგვიანებო წერილებსით.

ანამ, პირიქით, მთლად შვილებს დაუდევა თავი. სომხეთის შელიქის ათანასე მირიმანოვის ქალი, მეორე ცოლი ბირთველისა და დედა შიხეილისა — ანა თავის დროისათვის საკმაოდ განვითარებული დედაკაცი იყო. გათხოვებამ შეიყვანა იგი ქმრის გორელი ნათესავების წრეში. გორელები XIX საუკუნის დასაწყისამდე თავგამოდებით იცავდნენ თავიანთ თვითმყოფობას გარეშე გავლენისაგან. ბირთველის უფროსი შვილის ავთანდილის სიტყვით (იგი ავტორია „საქართველოს ქალაქის გორის აღწერილობისა“) ²² თბილისის მოქალაქეთა ქალები არ მოჰყვანდათ გორელებს ცოლად და არც თავიანთ ქალებს ათ-

ნოვლენენ მათზე, „...ვინაიდან არა სთვლიდნენ მათ თავიანთი ნაუკ-საობის ლირსად ზოგიერთი მათი საძაგელი ზნე-ჩვეულების გამო, ხოლო თუ ვინმე ამას საიდუმლოდ ჩაიდენდა, იგი საერთოდ აბუჩად აგდებული ჰყავდათ. ამის გამო ტფილისელებს არ შეეძლოთ გულნაკლულად არ ეყურებინათ გორელებისათვის და ყოველნაირად ცდილობდნენ ეს დამცირება თავიჯან მოეშორებინათ. ბოლოს, მიმართეს თავიანთ მელიქს, ქალაქის უფროსს ავეტიქა ბებუთოვს და სთხოვეს დახმარებოდა მათ ამ საქმეში; ხოლო ამან სხვა საშუალება ვერა ჰპოვა რა, გარდა იმისა, რომ გამოსთხოვა გორელების მიერ დიდად პატივცემულს, თავად გიორგი თუმანიშვილს ქალი ცოლად ²³ და ამაში არც მოსტყუვდა, ვინაიდან თავადი თუმანიშვილის მაგალითს გორის სხვა მცხოვრებლებმაც მიზადეს“.

ბირთველი მიჰყვა ნათესავის მაგალითს და ცოლი სხვაგნით მოიყვანა. ანა თავის თავს შევიწროებულად გრძნობდა გორელთა კარგაბშულ წრეში და თბილისისაკენ ისწრაფოდა. ძლიერმა ხასიათმა და თავისი ოჯახის ინტერესების შევნებამ შეაძლებინა ანას გაერღვია ეს წრე. ბოლოს და ბოლოს მან თავისი გაიტანა და გაიყოლია ბირთველი თბილისში. ხან თბილისში ცხოვრება, ხან ხელთუბანში, უფრო თავისუფლად აგრძნობინებდა თავს, ვიდრე გორელ ქალებს, და აფართოებდა მის სულიერ არსებას; იგი ზრდიდა შვილებს შედარებით უფრო მეტი თავისუფლების ატმოსფეროში და არ ჰბორკავდა მათ ახალგაზრდულ გულისთქმათ. თავისი მხრით შვილები დედას დიდი სიყვარულით და პატივისცემით ეპყრობოდნენ. თუ რა დედა იყო იგი მიხეილისათვის—ყველაზე უმცროსისათვის, ამას მოწმობს მისი ჩანაწერი დღიურში: „დედაჩემი, რომელიც მხოლოდ ერთილა, გადარჩა, იყო ჩემთვის ერთად-ერთი მთლად ჩემს მრავალ, აშენ გადასულ ნათესავებს შორის, და მან გამიწია მაგიერობა ძმებისაც, დისაც და მამისაც... მთელი თბილისი თანაგვიგრძნობდა ამ დანაკარგის გამო..., იგი სანატრელად გარდაიცვალა, დასტოვა რა თავის შემდეგ კეთილი, ალალმართალი დედაკაცის სახელი“.

გ ე ვ ა მ ე ბ ა

ახოვრების წყობილება მამულში. ხელთუბანი. სახლი და „კოშკი“. დაწყებითი სწავლება. და-ძები. ძმა ავთანდილი და მისი ტრაგიკული ბედი: დავით ბატონიშვილთან წასვლა, ცხოვრება რუსეთში, წიგნი გორჩე, ციხეში დამშეცდევა. ძმების ვასილისა და გიორგის მეომრული ცხოვრება. ძმისა, გრიგოლის სიკვდილი. მისტიკური განწყობილება.

შიხეილ ბირთველის-ძე თუმანიშვილი დაიბადა 1818 წლის მაისის 19-ს. მისი მამის ოჯახი ჯერ კიდევ ხელთუბანში ცხოვრობდა, ამიტომ მიხეილის ბავშვობა დაკავშირებულია მშობლიურ სოფელთან დაქალ. გორთან. გარეგნულად ოჯახის ცხოვრება ნაკლებად განესხვავებოდა ქართლის სხვა მემამულეთა ყოფაცხოვრებას: იგივე პატრიარქალური ბატონიშვირი ურთიერთობა გლეხებთან, „სულთა“ ყიდვა და გაყიდვა; ნაღირობა, ცხენით წორეული გასეირნება; მეზობლებისას მიმოსვლა და მათთანვე ქონებრივი დავა; ქალების საქმიანობა და ზრუნვა ოჯახზე და მათივე მითქმა-მოთქმა და ჭორი მეზობლებს შორის; მოზარდი თაობის სადა, მიამიტი სიხარული: კალოზე ნალეჭი ძნის ოქროსფერ კორიანტელში და მეხრე გლეხის „ჰამო-მაამოს“ ძახილში კევრის ირგვლივ სრბოლა, ტოლ-ამხანაგებთან ერთფეროვანი, მაგრამ ხალისიანი თამაშობა, ქართლის შესანიშნავი ხილი — სურნელოვანი ვაშლები და ცვრიანი ატმები და კიდევ ბევრი რამ ამისთანა.

მაგრამ მიხეილის ოჯახში სხვა რამეც იყო; იმ გარდამავალ ხანაში ცხოვრებამ დააყენა ახალგაზრდობის წინაშე ახალი მოთხოვნანი. რუსეთთან შეერთებით იქმნებოდა შესაძლებლობა საერთო-საკაცობრივ კულტურაში ფეხის შედგინვათვის. თავადაზნაურობის ერთ ნაწილში, რომელიც მისი აზროვნების მიხედვით, შეიძლება ამ კლასის მოწინავე ნაწილად ჩათვლილიყო, დაიბადა მისწრაფება მიეცათ თავიანთი შვილებისათვის რუსული აღზრდა-განათლება. ეს მისწრაფება ნაკარნახევი იყო უპირატესად კლასობრივი ინტერესებით. ბევრ თავად-აზნაურს, უმთავრესად საშუალო ფენიდან, უეჭველია, შეგნებული ჰქონდა, რომ რუსეთის თვითმშერობელობას საქართველოსა და, საერთოდ, ამიერკავკასიაში აქვს თავისი განსაკუთრებული ინტერესები, რომლებიც ყოველთვის როდი ეგუება აღგილობრივ თავადაზნაურობის ინტერესებსა და მიზნებს; ამიტომ ამ თვითმშერობელობის ბატონობის პირობებში: თავადაზნაურობის, როგორც კლასს,

შეუძლიან შეინარჩუნოს, თავისი პოზიცია ამა თუ იმ ფორმით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი კულტურული დონე მაღლა იდგება.

მიხეილ თუმანიშვილის ოჯახი ყველაზე მეტად მომზადებული იყო ცხოვრების ამ ახალი მიმართულებისათვის, როგორც ეს შეგვიძლია დავასკვნათ მისი ტრადიციებისა და ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით, რაც ზევით ერთი თვალის გადავლებით ვნახეთ: მდივნობა აღარ სუფევდა, პატარა მამული საქმარისი არ იყო, როგორც ასებობისათვის საჭირო შემოსავლის წყარო, მაშასადამე, აუცილებელი იყო შეფის სამსახურში შესვლა. ხოლო ეს სამსახური კი მოითხოვდა რუსულ ყაიდაზე მომზადებას — ბირთველის უფროს შვილებს საკმარისი განათლება არ მიუღიათ; ამიტომ მათ არ შეეძლოთ ცხოვრების ახალ პირობებში შეექმნათ ისეთი მდგომარეობა, რაც შეადგენდა მშობლების ზრახვას: გრიგოლი მთელი თავისი სიცოცხლე, ისიც არა ხანგრძლივი, მცირე მოხელე იყო; ვასილი და გიორგი, რომელთაც სამხედრო სარბიელი აირჩიეს, სწორედ საჭირო განათლების უქონლობის გამო, იძულებული გახდნენ დაეწყოთ იგი სამსახურის დაბალი საფეხურებიდან: გიორგის — იუნკრობით, ხოლო ვასილს — ჯარისკაცობით. ამიტომ ოჯახის მთელი იმედი დედის საყვარელ ნაბოლოვარას — მიხეილს დაეყრდნო. ერთის მხრით — გონებრივი მუშაობისადმი სიყვარული, როგორც მამა-პაპისეული მექვიდრეობა, ხოლო მეორეს მხრით დედისაგან გადასული სიმტკიცე ხასიათისა და მუყაითობა, რწმენას ალუძრავდა მშობლებს, რომ ამრიგობაზე უმცროსი შვილი იმედს არ გაუცრუებდათ. სოფლის ვითარება, რაც დაბადებიდან ცნობილი იყო მიხეილისათვის, ახალს არას წარმოადგენდა მის თვალში და თვით სოფ. ხელთუბანი საქმაო საზრდოს ვერ მისცემდა მის ცოდნის მოყვარულ გონებას.

ხელთუბანი დიდი სოფელი იყო და ახლაც დიდი სოფელია; იგი გორიდან ექვს კილომეტრზეა; მდებარეობს გაშლილ აღგილას; რომელიც მდიდარია მშვენიერი წყაროს წყლით, შესანიშნავი და მრავალნაირი ხილით და უგემრიელესი მახობლის პურათ, რომელსაც განსაკუთრებული ლურჯი ფერი დაჰკრავს.

თუმანიშვილების ხელში ხელთუბანი XVII საუკუნის დასაწყისიდან იყო. ხელთუბის პირველი მფლობელი ამ ოჯახის წევრთა შორის, როგორც სხანს, იყო მამუკა, რომელმაც სიკვდილის შემდეგ თხის შვილი დასტოვა. 1653 წელსა და 1658 წელს შუა მოხდა ხელთუბნისა და სხვა ადგილებში მდებარე მიწების და სახლების გაყოფა. მამუკას მემკვიდრეებს შორის. ასეთი გაყრა მემამულება შორის იმ დროისათვის ფრიად იშვიათი მოვლენა იყო. ამიტომ იგი დიდი ზეიმით მოაწყეს. გასაყრელად სოფელში თვით როსტომ მეფე მივიდა: ბატონიშვილი ვახტანგისა, სახლთუხუცესი, ჩოლოყაშვილისა, თბილელი

ეპისკოპოსისა, მდივანი მერაბ ყორლანაშვილისა და სრუ. პირთა თანწლებით. თუმცა იმ დროდან ხელთუბანს პრო ერთხმალ. თავს ესტმერდნენ თურქები, ლეკები და სხვ. ²⁴ და ასობით მცხოვრის ტაქა წყუყვანიათ, მაგრამ მიხეილის წინაპარნი განაგრძობდნენ თრვანთ ძამულში ცხოვრებას და სხვა სამფლობელოებზე გულაცრუებით იყვნენ. აქა და გორში ²⁵ მათ აგშენეს რამდენიმე ეკლესია, რომელთა შორის ერთი აგო თბილელმა მიტროპოლიტმა ქრისტეფორე თუმანიშვილმა XVIII საუკუნის სამოციან თუ სამოცდათიან წლებში. ²⁶ აქვე, ხელთუბანში, ჰმარხავდნენ თუმანიშვილების უმეტეს ნაწილს. მიხეილის ოჯახში ბირთველი პირველი იყო, თბილისში რომ დაკრძალეს, მიხეილის ზავშვილისას ხელთუბანში 175-დან 200 კომლამდე უნდა ყოფილიყო; იმათვან ზოგი მემამულეებს ეკუთვნოდა, ზოგიც ეპლესიას.

მიხეილის ოჯახის საცხოვრებელი სახლი სოფლის შუაგულში იდგა. იგი დიდი შენობა არ იყო და ოჯახი საკმაოდ ვიწროდ ცხოვრობდა. ზაფხულობით ბირთველი და ანა შვილებით გადასახლდებოდნენ ხოლმე კოშკში, რომელიც კარმიდამოს გვერდზე ეკრა. ხანდახან ისინი აქ გვიანობამდე ჩჩებოდნენ — შემოღვომის განმავლობაში. მისი სქელი კედლები არც მზის სხივებს უშვებდნენ, არც სიცივეს. კოშკი თუ თავის განთქმულ ჭროტოტიბს — ბაბილონის გოდოლს არა ჰგავდა, მაინც, ყოველ შემთხვევაში, იგი იყო კოშკი დიდი უთანხმოების და აღრევისა ორ ძმას შუა — ბირთველსა და რევაზსა, რომელიც არა სჯერდებოდნენ მარტო შინაურ ჩხუბსა და უსიამოჟნებას და არა იშვიათად მიმართავდნენ ხოლმე სამედიატორო და სასამართლო განჩინებას. ხელთუბნის კოშკი, რომელიც ახლა ნანგრევებად არის ქცეული (კარგახანია აღარც სახლი არსებობს), მრგვალი, სამ სართულიანი ფუნდამენტალური ნაგებობა იყო. დაბლა სართული (მარანი წყაროიანად) რევაზს ეკუთვნოდა; იმისვე ხელში იყო მესამე სართული საცხოვრებელი სადგომით: მეორე სართული ბირთველის საკუთრება იყო. კოშკს შიგნით ქვის ხეეული კიბე ჰქონდა, რომელიც სამსავე სართულს აერთებდა. ამას გარდა, გარედან მიღმული იყო სის მუხლოვანი კიბე, რომელიც მეორე სართულში ადობდა. კოშკის სულ მაღლა, სახურავ ქვეშ, გამართული იყო ბაქანი; ისე მოფარებული, რომ იქ შეიძლებოდა დამალვა და კიბით შეუმჩნევლად ზევით ასვლა. თავდასწმის დროს ამ ბაქანზე იმაღებოდნენ დამხდურნი ცულებით ხელში და თუ დამცემი ზევით ასვლას განზრახავდნენ, უმაღლ თავგაჩეხილები უკანვე გარდებოდნენ, ისე რომ, ვერც კი შენიშნავდნენ კოშკის დამცველთ.

ბავშვობისას მიხეილი არა ერთხელ ყოფილა მამისშ სუ პიძის უთანხმოების მოწმე, მაგრამ ახალი თაობა — ბირთველის და უფრზის

შვილები არაფრად დაგიღევდნენ მშობლების დავიდარაბას. ბავშვობიდან დაწყებული, გულითადი მეგობრობა მათ მთელ თავიანთ სიცოცხლეში ნირშეუცვლელად შეინარჩუნეს.²⁷

ერთ გორელ მღვდელს, რომელიც თავისებურად განათლებულ კაცად ითვლებოდა, მშობლებმა მიანდეს მიხეილისათვის წერაკითხვისა და არითმეტიკის ელემენტარული საფუძვლების სწავლება. სოფ-ლის უფერულ, გამოფიტულ ცხოვრებას არ შეეძლო მიხეილის მთელი ყურადღების მიზიდვა. მუშაობაში მუყაითობამ და ცოდნის დიდმა წყურვილმა ხელი შეუწყო ბავშვს მალე შეეთვისებინა დაწყებითი ცოდნა და, როდესაც იგი თბილის ჩამოიყვანეს სასწავლებელში მისაბარებლად, აღმოჩნდა, რომ ბავშვი საკმაოდ კარგად არის მომზადებული საშუალო სასწავლებელში შესასვლელად.

მიხეილ თუმანიშვილის ოჯახურმა ვითარებამ და მისი ძმების ტრაგიულმა ბედისწერამ, რომელმაც რამდენსამე. წელიწადში ყველანი ულმობელად იმსხვერპლა, ძლიერი დალი დაასვა მის პირველ დროის შემოქმედებას. სოციალური ხასიათის მოტივები მჭიდროდ გადაეხლართა ამ შემოქმედებაში პირადი ხასიათის გრძნობებს. სევდა და მოწყენილობა, რაც თუმანიშვილის იმ დროის პოეზიას ახასიათებს, ნაწილობრივ ღრმად ფესვებგადგმულია მძიმე პირად განცდებში, ხოლო ეს განცდები გამოწვეულია ცხოვრების მწვავე მოვლენებით. ერთერთ თავის ძმას—ავთანდილს—მიხეილი იცნობდა მხოლოდ შინაურთა გადმოცემით; მაინც მის დალუპვას იმ დროს, როცა მიხეილი ჯერ კიდევ ბავშვი იყო, არ შეეძლო არ გამოეწვია სულიერი ტკივილი მგრძნობიარე ყრმის არსებაში. დანარჩენი ძმები ბევრად უუროსნი იყვნენ მიხეილზე, მაგრამ დღიურის ჩანაწერები მოწმობენ მათ შორის არსებულ მეგობრობას.

1795 წლის იანვარში, სწორედ იმ წელს, როდესაც ულმობელი საჭურისის აღა-მაჰმად-ხანის მძვინვარე ურდოები გახელებული ქარი-შხალივით თავს დაატყდნენ საქართველოს დედა-ქალაქს, ბირთველს მაეცა პირველი ცოლისაკან პირველი და ამ ქორწინებაში ერთად-ერთი ვაჟი, რომელსაც ავთანდილი უწოდეს. ბირთველის პირმშო, უეჭველია, თავის კვალს დასტოვებდა ქართულ ლიტერატურაში, მწარე ხვედრი რომ არ სწვეოდა. იგი ყოფილა ფიცხი, ნიჭიერი, აჩ-ქარებული და გრძნობით აღსავს ჭაბუკი. თავისი ბავშვობა ავთან-დილს ხელთუბანში გაუტარებია, ოჯახის წიაღში. იგი აქ დარჩენილა სულ უკანასკნელი 12 წლის ასაკამდე. საგვარეულო არქივში შენახული იმერეთის მეფის სოლომონის მიერ სომხეთის კათოლიკოს სიმღერი-სათვის მიწერილი წერილის შავი, რომელიც, როგორც ეტყობა, შედ-გენილია ბირთველის მონაწილეობით. წერილის მესამე გვერდის ნახევარი (წერილი ქალალის დიდ თაბაზე) და მთლად შეოთხე

ვევრდი აჭრელებულია ავთანდილის ნავარჯიშევით რუსულ და ქართულ ენაზე. ამ ნავარჯიშევიდან სჩანს, რომ ბავშვს უწერია ამ ორსავე ენაზე; ამასთანავე, მხედრულის გარდა, მას ხუცურისც სცოდნია. ცოლის აღრე სიკვდილს ძალიან დაუახლოებია მამა და შვილი. როგორც სჩანს, შვილის მოშორებაზე ბირთველი დაყაბულებული ვიღიცის რჩევით. ყრმა გაუგზავნიათ პეტერბურგს დავით ბატონიშვილთან, რომელიც 1803 წლიდან „საპატიო გაძევებაში“ იმყოფებოდა, და იქ ავთანდილი ბატონიშვილის მდივანი გამხდარა. დავითი განათლებული და თავის დროისათვის თავისუფლად მოაზროვნე კაცი ყოფილა და მის გავლენას კეთილნაყოფიერად უმოქმედნია ავთანდილზე. იგი გულმოდგინედ ჭეცადინეობდა და ძალიან ჩქარა სავსებით დაეუფლა რუსულ ენას. პეტერბურგს ის უნდა გადასულიყო, ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს 1814 წლის ნახევრისა, ²⁸ ხოლო ზოგიერთი ცნობა საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ რუსეთში იგი გაჩნდა უფრო აღრე და მონაწილეობას იღებდა 1812 წლის ომში ნაპოლეონთან, ²⁹ 17 წლის ასაკისა. ასეა თუ ისე, 1814 წლის ნახევარში იგი სენატის სამსახურშია რეგისტრატორის მცირე თანამდებობაზე. პეტერბურგში ყოფნისას ავთანდილმა გამოამჟღავნა შემოქმედებითი ნიჭი: მას დაუწერდა მთელი რიგი ლექსები ლირიკული და სატირო ქული ხასიათისა. დავით ბატონიშვილი, მისი წერილების მიხედვით, თვით აღევნებდა თვალყურს თავისი მდივნის განათლებას.

1816 წელს იქვე, იმპერიის დედა-ქალაქში, გამოვიდა ავთანდილის მიერ რუსულად დაწერილი პატარა წიგნაკი. ამ სათაურით „საქართველოს ქალაქის გორის ისტორია“ (История грузинского города Гории). ავტორი მაშინ 20 წლისა იყო, მაგრამ აღწერაში მოხანს პოეტური ნიჭი და დაკვირვების უნარი. ბუნების აღწერა ფერად-ფერადია და საამური, ³⁰ მცხოვრებთა დახასიათება — მკაფიოდ და ზედმიწევნითი. მთელ წიგნაკს ატყვია ბუკოლიკური. იდილიის იერი, რაც იმ დროს დიდ მოდაში იყო. დღევანდლამდე არც ერთი დოკუმენტი არ არის აღმოჩენილი, რომელიც შუქსა პფენდეს ავთანდილის შემდგომ სვე-ბედისა და იმ უბედურებას, რაც მას შეემთხვა. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ქალ. ბობრუისკიდან ერთ ვერსზე, ბელორუსიაში, სწორედ იმ ადგილას, სადაც პატია მდინარე ბობრუიკა ნაპოლეონის ლაშქრობით სახელგანთქმულ მდინარე ბერეზინას ერთვის, ბობრუისკის ციხე იდგა მაღლობზე. სამხედრო საქმიანობაში დაუცხრომელმა ოსტერმანმა დაითანხმა ალექსანდრე I-ლი, მისი მეფობის დასაწყისშივე, ბობრუისკის ციხის აგებაზე, და იგი არც შემცდარა. 1812 წლის ომში ამ ციხემ თვალსაჩინო სამსახური გაუწია. რუსების მიერ ფრანგების მოგერიების საქმეს. ამ ციხის მნიშვნელობა წლითი-წლობით სულ უფრო და უფრო მატულობდა. ომის შემდეგ

ამ ციხეში ამწყვევდნენ საშიშარ თავისუფალ-მოაზროვნებ და მთავრობის მტერთ. სწორედ ამ პირქუშ ციხეში მოულოდნელად გაგზავნილ იქნა ავთანდილი და იმ დღიდან სრულიად მოისპო რაიმე ცნობა მის თაობაზე.

დავით ბატონიშვილს უთანხმოება პქონდა თავის ძებთან, რომელნიც ედავებოდნენ მას გიორგის მემკვიდრეობის უფლებას, და აგრეთვე თავადაზნაურობასა და სამლელობასთან, რომელთაც იგი მიაჩნდათ უღვთო ვოლტერის თანამიმდევრად. რუსეთის მთავრობაც ალმაცერად უყურებდა ბატონიშვილს და, თუმცა ჩინებსა და სხვადასხვა წყალობას არ იშურებდა მისთვის, შაგრამ მაინც სახიფათოდ სთვლიდა დავითის გავლენას საქართველოში: რა მოხდა? მეტის „ოხრანიკების“ მსხვერპლი გახდა ავთანდილი, როგორც დავით ბატონიშვილის ახლო კაცი, თუ დაიღუპა, როგორც რუსეთის საიდუმლო საზოგადოებათა ან მასსონთა წევრი — ძნელი სათქმელია, მაგრამ ორივე გარემოება თანაბრად საგულვებელია. ერთი რამ კი უჟეველია: ბობრუისკის ციხეში ამწყვდევდნენ, მხოლოდ იმას, ვისაც მთავრობა უაღრესად მნიშვნელოვან სახელმწიფო დამნაშავედ სთვლიდა.

ბირთველის უფროსი შვილი მეორე ქორწინებაში — გიორგი, „ერევანის ქარაბინელთა პოლკის ბ-ნი პოდპორუჩიკი და კავალერი“ — როგორც იგი ისხენიება მიწერ-მოწერაში, — დაიბადა 1801 წელს, როდესაც ბირთველი ვახტანგ ბატონიშვილის მდივანი იყო; ვახტანგ-მავე მონათლა გიორგი. გიორგიმ დაიწყო სამხედრო სამსახური ერევანის პოლკში იუნკრობით, ჩატარა ვენ. ბენკენდორფის უფროსობით ირანის კამპანია, მიიღო მონაწილეობა უამრავ დიდისა და მცირებრივობაში, ერევანისა, სარდაჩაბადისა და ყარსისათვის აღყის. შემორტყმაში, თავრიზზე ლაშქრობაში და სხვა ამისთ. გიორგის რომანტიკული სეე-ბედი ნამდვილი ილუსტრაციაა ეპოქის ზნეჩვეულებისა და ახასიათებს წარსული საუკუნის ოციანი. და ოცდაათიანი. წლების წრესა და ყოფაცხოვრებას. გიორგი ჯერ კიდევ მოზარდი იყო, რომ მისმა შშობლებმა და საქ-ალა-მელიქ-ალამალოვმა გადასწყვიტეს ერთმანეთთან დამოყვრება. სააქ-ალა — ჭიკვიანი და შეძლებული ერევნელი შემამულე იყო, არა მარტო ყველაზე გავლენიანი ადამიანი თავის წრეში, არამედ აგრეთვე — კარგად ცნობილი თბილისა და თეირანში. მისი უფროსი ქალი ცოლად ჰყავდა მეფე ირაკლის შვილს — ალექსანდრე ბატონიშვილს, ხოლო ცხოვრობდა თავის მამისას, ვიდრე მისი ქმარი ირანში იმყოფებოდა. გიორგის ოჯახთან დამოყვრება მელიქ-ალამალოვისათვის იმას ნიშნავდა, რომ იგი გააბამდა ახალ კავშირს თბილისთან, სადაც მისი მდგომარეობა ალექსანდრეს მარცხის შემდეგ საკმაოდ შეირყა; ხოლო გიორგის ოჯახისათვის მელიქ-

აღამალოვის ქალი მდგომარეობითაც და შეძლებითაც სავსებით შე-
საფერისი იყო. ქორწილის დრო რომ დადგა, გიორგი, რომელსაც
არასრუოს არ ენახა არც საკოლე, არც მისი მშობლები, ხოლო
ბევრი რამ სმენოდა ქალის სილამაზეზე და კარგ ზნე-ხასიათზე, გა-
ემგზავრა ერევნისაკენ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მას თურმე დასწრო
ერთმა მისმა შორეულმა ნათესავმა, რომელიც მახავით გიორგი თუ-
მანიშვილი იყო და თანაც სამხედრო პირი. არც ქალის მშობლებს
ენახაო ნამდვილი სასიძო და ამიტომ ქორწილი გადაეხადათ. გიორ-
გიმ ცერ აიტანა სირცხვილი და სამუდამოდ განეშორა სამშობლოს.
და ორანიშ ბალდადს წავიდა: 1831 წლიდან იმისაგან არავთარი
ცნობა არ მოსულა: ხმა გავარდა, ვითომც ირანელ-თურქთა ომში
დალუბულიყოს; ხოლო მეორე ცნობით, შავი ჭირისაგან მოკვდაო.

შიხეილის შემდეგი ძმა გრიგოლი, რომელიც 1807 წელს დაიბადა
და სამოქალაქო სამსახურში იმყოფებოდა — საქართველოს უზენაეს
სამმართველოსა და გორის საოლქო სამმართველოში; — ავად გიხდა
ფილტვებით, გამოვიდა სამსახურიდან 1835 წელს და გარდაიცვალა.
ამ სენისაგან 1838 წლის ოქტომბრის 12-ს.

ვასილი (1817—1845) შევიდა ჯარისკაცად ქართულ გრენადერთა
შოლქში, ჩქარა დაწინაურდა რამდენიმე ლაშქრობაში, ვახდა ოფიცე-
რი, დაიჭრა ნუბასთან, გამოვიდა სამსახურიდან, მსახურობდა ქალ.
დუშეთში ქალაქის კომისრად, მაგრამ ჭრილობას ვერ გადაურჩა. და
გარდაიცვალა 28 წლისა.

მიხეილის და ელისაბედი (დაიბადა 1806 წ.) გარდაიცვალა ახალ-
გაზრდობაში. სხვა ძმები და და ნინიკა გარდაიცვალნენ სულ პატა-
რები. მიხეილის დლიურის ჩანაწერი 1845 წ. მარტის 12-სა (ხელ-
თუბანში) გვიჩვენებს, თუ რა მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდა მასზე
ქმების უბედურება. ვასილი თებერვლის 16-ს წასულა ხელთუბანში და
მარტის 8-ს ლამეს იქ გარდაცვლილა. მიხეილს შეულია დედის წერილი,
სადაც იგი ატყობინებდა ძმის უძევდო მდგომარეობას. იგი მაშინვე,
მარტის 9-ს, სალამოს — გამგზავრებულა ხელთუბანს.

„მთელ დამეს მივაჭინებდი ყუსტის ცხენებს. ძლიეს ინათა, რომ ხელ-
თუბანში ვიყავი და ვია, უბედურებაც! ვედარ მივუწარ ძმას, ან უკეთ რომ
ესთქვა, მივუსწარ უსულო გვამს, გაფირორებული, უსიცოცხლო შუბლით, ჩამ-
ქრალი თვალებით... [მრავალწერტილი დეტალისა]. ძნელია აღწერა იმ
მწუხარებისა, რამაც მე შემბორება, როდესაც დავინახე უდროოდ გამ-
ქრალი ჩემი ძმა, ეტიროდი უცრემლოდ; უნუგეშობისა; უსიცოცხლობის
ნადველმა გამიყინა ცრემლები; ხოლო ერთადერთი ნუჯეში ჩემს საშინელ
მდგომარეობაში იყო ის აზრი, რომ არა უცხო ხელი, არამედ ჩელი.
მიაყრიდა პირველ მუჭა მიწას ჩემი ძმის უსულო გვამს.“

ძმების სიკედილი იწვევს მიხეილში მისტიკურ განწყობილებას და
იგი მაშინვე იგონებს იმ შემთხვევას, რომელიც მას დაემართა 1835

წელს, აპრილში, ოოდესაც იგი უფროს ძმასთან გრიგოლთან ერთად გაემგზავრა თბილისს გიმნაზიაში, ხოლო გრიგოლი სამსახურში. გორიდან დილით აღრე გასულან სუჯდომი ცხენებით. გრიგოლი დაწინაურებულა, ხოლო მიხეილი და მოსამსახურე ცოტათი ჩამორჩენილან. მიხეილს უკან მიუხედნია და დაუნახავს, რომ რამდენიმე ასეულ ნაბიჯზე ცხენს მიაჭინებს მათი ძმა ვასილი: მიხეილს უკითხავს, სათქმელი ხომ არა გაქვს რაო, მაგრამ ვასილმა თურმე უპასუხა; არაფერიო, ისე, ნაღველი შემომაწვა, ცხენზე შევჯერ და ვამოგიდექით, რათა რამდენსამე ვერსხე გაგაცილოთო. დაძრულან ერთად და ოოდესაც გრიგოლს დასჭევიან, უნახავთ, რომ უფროსი ძმა მიწაზე გდია პირდალმა და ხელში იღვირი უჭირავს.

„ამდა, ოოდესაც აღარც გრიგოლია, აღარც ვასილი და ერთიც და მეორეც სიკვდილმა მოგვტაცა, აი, საშინელი ახსნა (.) მაშინ-დელი მათი კაეშნისა. გულმა იცის ჭინადერძნობა“.

იგონებს რა გრიგოლის სიკვდილს, რომელიც დამარტულია არა ხელთუბანში, არამედ თბილისში, ავლაპრის სასაფლაოზე, მამის გვერდით, მიხეილი ამბობს:

„იქ შეიქმნა უკვე ახლობელთა ოჯახი; იქვე არიან დაკრძალულნი ორი ჩემი ქალი ლიზა და კატი და მათ ახლობელთა შორის არ შესცივათ“.

ყოველი ახალი სიკვდილი უღვიძებს მიხეილს უჩიმედობის გრძნობას. მისი ქალის მარიამის ვარდაცვალების შემდეგ, იგი 1845 წ. ივლისის 10-ს სწერს:

„კვლავ ახალი დანაკლისი! ღმერთო ჩემო! რა მდიდარი ვარ დანაკლისით. აი, კვლავ ჩამწყდა გულის ნაწილი... საყვარელი მაშო, ცოცხალი, ცქრიალა, მაგრამ ახლა უსულო ცივ სიკვდილს ჩახურებული“.

ვ ა ვ ი III

გ ი მ ნ ე ზ ი პ

კეთილშობილთა სასწავლებელი და გიმნაზია. ალზრდის რუსიფიკა-ტორული მიხნები. ამანავთა წრე, ეპოქის გავლენა. მოწინავე გიმნაზიელთა ჯგუფი. „ტფილისის გიმნაზიის ყვავილის“ („Цветок Тифлисской Гимназии“) გამოცემა—უურნალის აღორძინება, თანამშრომლები, გამოცემის სახე და ტენდენციები, რეაქცია რუსიფიკაციის ჭინადმდეგ, უურნალის მოსპობა. გიმნაზიის გათავება.

1804 წელს თბილისში მთავარსარდალმა ციციანოვმა დააარსა „კეთილშობილთა სასწავლებელი“, რომლის მიზანსაც, როგორც ოფიციალურად იყო გამოთქმული, შეადგენდა: „ადგილობრივი უმაღლესი თავადაზნაურობისათვის მთავარ მეცნიერებათა შესახებ საერთო ცნო-

ბების მინიჭება სამხედრო და სამოქალაქო სამსახურისათვის მოსამზადებლად“. ამ ზოგად უმნიშვნელო ფრაზას, რომელიც, შეიძლება საგულისხმოა მხოლოდ იმით, რომ მის ავტორთ ვერ წარმოედგინათ სხვა განათლება, თუ არა მხოლოდ „ადგილობრივი უმაღლესი თავადაზნაურობისათვის“, — ამოფარებული აქვს სრულიად განსაზღვრული აზრი: პოლკოვნიკი პოტლცევის ნაკლებად ცნობილი „წერილი სახალხო განათლებაზე კავკასიის იქით“, რომელსაც ოფიციოზური ხასიათი ჰქონდა, ამჟღავნებს ამ აზრს; ამასთანავე, იგი საჭიროდ სთვლის („წერილი“ დაწერილია XIX საუკუნის ნახევარში, როდესაც კოლონიზატორები თავიანთ ამოცანებს შედარებით უფრო ფართოდ უყურებდნენ), — რათა განათლება ამიერკავკასიაში გულისხმობდეს არა მარტო „უმაღლეს თავადაზნაურობას“, არამედ აგრეთვე მოსახლეობის ყველა ფენას, „თუმდაც ყოველსავე იმას, რასაც შეუძლიან შეითვისოს განათლება, მთავრობის მზრუნველი ხელით წარმართული მის მიერ დანიშნული მიზნისაკენ“. ბოლო მთავრობის მიზანი — და სწორედ ეს არის „წერილის“ არსი — „უნდა მიისწრაოდეს იქითკენ, რათა აქაური მრავალფეროვანი მხარე მალე დაუახლოვდეს რუსეთს, რათა რუსული ენა და შეგნება დამკვიდრდეს აქ ჩვენი მთავრობის თვალსაზრისის შესაბამისად, და რათა ისწავლებოდეს ის, რაც ამ მხარის ყველა მოქალაქისათვის სასარგებლოა“. ³¹

რაც შეიძლება მეტ მოწაფეთა მისაზიდად, მათი შენახვა უსასყიდლო იყო; უფრო მეტიც, მათ ჯიბის ფულსაც უნიშნავდნენ. რუსიფიკაცია აქ აშეკრად და უხეშად მიმდინარეობდა: მომავალი მოხელეები და გენერალები ივიწყებდნენ იმას, რომ გამარჯვებელთა თვალში ისინი ყოველთვის „ტუზემცებად“ რჩებიან, სულ ერთია რა. თანამდებობაც უნდა დაიჭირონ შემზევში, და დიდი გულმოლებელი პბაძავდნენ გამოთქმაში და მანერებში. თავიანთ რუს ამხანავებს, ოცნებობდნენ რა კარიერაზე. მაღრამ უფრო მგზნებარე ბუნებისანი მათ შორის არ ჰყარგავდნენ მთლად თავიანთ. აღამიანურ ღირსებას და იცავდნენ თავიანთ პიროვნებას მკვახე პასუხით განსაკუთრებულად გულმოლებინე რუსიფიკატორების მიმართ.

უხეში რუსიფიკაცია გრძელდებოდა სკოლის გარეშეც. შომავალი სარდლის ვასილ ოსეფას-ძე ბებუთოვის ძმამ დავითმა, ³² ფიცხმა და თავქეიფა ჭაბუკია, რომელიც სკოლიდან გასვლისას მაშინვე სამსახურში შევიდა, იქ გახურებული სილა სტკიცა ერთ თავხედ მოხელეს ეროვნული გრძნობის შეურაცხყოფისათვის და ამის შემდეგ სამუდამოდ თავი დაანება სამოქალაქო სამსახურს. ამისთანები იშვიათნი იყვნენ. ხოლო უმრავლესობა ახალგაზრდათა შორის, პანსიონიდან რომ რუსულ დაწესებულებებში შედიოდა, ან დროთა ვითარებამდე ჰუკარავდა თავის ნამდვილ გრძნობებს (როგორც, მაგალითად,

1832 წლის შეთქმულების (მონაწილენი), ან მხოლოდ ერთი რამისადგინდა: ეჩვენებინათ მთავრობისასათვის, რომ ისინი მოახერხებენ რუსეთის თვითპყრობელთა პოლიტიკის გატარებას თავიანთ რუს ამხანგებზე არა უხეიროდ.

იმ დროისათვის, როდესაც მიხეილ თუმანიშვილი სასწავლებელში შევიდა (1831 წ. თებერვლის 24-ს) ვითარება რაომდენადმე შეიცვალა. 1829 წელს დამტკიცდა დებულება ამიერკავკასიის სასწავლებელების შესახებ: თბილისში — გიმნაზიისა, და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში — 19 სამაზრო სასწავლებლისა, და 1830 წელს კეთილშობილთა სასწავლებელი გარაკეთებულ იქნა გიმნაზიად კეთილშობრლთა პანსიონით და 7 კლასით, ფაქტიურად კი 6 კლასით, რადგანაც, რუსეთის გიმნაზიებისაგან განსხვავებით, პირველი კლასი მიჩნილი იყო რუსული კითხვისა; წერისა და არითმეტრების საფუძვლების სწავლებისათვის სამრევლო სკოლების მსგავსად. ამის გარდა, რუსეთის გიმნაზიებისაგან განსხვავებითვე, შემდგომ კლასებში (პირველის შემდეგ) 11 „გაკვითილი კვირაში მიკუთნებული ჰქონდა ადგილობრივ ენებს და 16 გაკვეთილი კვირაში — რუსეთის სამართლის მუნდნეობას. მალე ვიწრო სადგომი ახლანდელ კომინტერნის ჭუჩაზე შესცვალეს ფართო, ნათელი და გაწყობილი შენობით, რომელიც სპეციალურად აგებული იყო გოლოგინის პროცეცტზე (ახლა რუსთველის, პროსპექტი). რუსიტიკაციის ანხორციელებდნენ უფრო ფაქტიზად, მოხერხებით და აქ უკვე არა მხოლოდ „ადგილობრივი უმაღლესი თავადაზნაურობის“ შეილები იღებდნენ განათლებას.

ქართველი და სომები, რუსი და თათარი — მემამულეებისა, მოხელეებისა, სამხედრო პირებისა და საპატიო მოქალაქეების პავშები — ყველანი. რუსული კაზიონური კულტურის ერთ ტაფაში იწვოდნენ. რუსულ სიცუვიერებას აქ წარმოადგენდნენ ხერასკოვი, დერჯავინი, ტრედიაკოვსკი მთელი მისი უცნაური პოეზიით, და მეტისმეტი სიძუნწით — პუშკინი და ლერმონტვი. ისტორია და გეოგრაფია მოგვითხოვდა მეფეთა და მხედარომთავართა გმირობას, ევროპის სატახტო. ქალაქებსა და რუსეთის მოსაწყენ, ქალაქებზე; „ლვისმოსავი დეკანოზები“ ასწავლიდნენ „ზნეთა მაღალთა“ და ტაბალანაგემი პირით აუშეყებდნენ სასწაულთ „საღმრთო წერილიდან“.

ქართულ ენას ასწავლიდა დოდავე-მაღაროფლი (დოდაშვილი), რომელსაც უნარიც შესწევდა და სურვილიც დიდი ჰქონდა შთაეგონებინა ბავშვებისათვის სიყვარული სამშობლო ქვეყნის ისტორიისადმი, მაგრამ 1832 წლის შეთქმულების შემდეგ იგი დაპატიმრებულ იქნა რუსული ენის, მასწავლებელი დემენტიევი ცდილობდა მიეცა მოწაფეთათვის ლიტერატურის საფუძვლიანი ცოდნა „კაზიონური“ პროგრამის გარეშე. სწორედ მისი პედაგოგიური ნიჭის მეოხებით ნიკო-

ლობ ბარათაშვილის მიხეილ თუმანიშვილი და სხვა გამნაზიელნი ჩრდილოდნენ რუსული ენისა და ლიტერატურის მშვენიერი ცოდნით.

როგორც ადამიანთა ყოველ კოლექტივში — თბილისის გიმნაზიაშიაც თანდათან ხდებოდა ბუნებრივი შერჩევა: იმ მოწაფეთა გვერდით, რომელნიც ყელამდე ეფლობოდნენ სკოლის ფორმალიზმისა და ოფიციალური „მეცნიერების“ საფლობში, გამოიყოფოდა ახალგაზრდობის ისეთი ჯგუფები, რომელთაც აინტერესებდათ საზოგადოებრივი და სალიტერატურო საკითხები, ჯგუფები, რომლებშიაც იზრდებოდა პროტესტი სასწავლებლის აღმინისტრაციის რუსიფიკატორულ და რეაქციულ მისწრაფებათა წინააღმდეგ.

რუსეთი ნიკოლოზის უანდარმერიის მუხრუჭში ფართხალებდა, მაგრამ მთელი ატმოსფერო გაულენთილი იყო თავისუფლებამოვარეობის იდეებით; დრო ისეთი იყო, რომ განმანთავისუფლებელი მოძრაობის ლოზუნგები ნოკიერ ნიაღავს ადვილად პოულობდა. საფრანგეთის დიდი ბურჟაზიული რევოლუციის ეპოქამ, რომელიც დირექტორიამ და ნაპოლეონმა შესკვალა, თითქო გააფხვიერა ძველი ევროპის ნიაღავი, გასწმინდა დახაშმული ჰაერი და ლონიერი ბიძგით. შეარჩია ხალხის სილრშე-სიგანე. პოლიტიკურ რევოლუციის და მძაფრ ამებს უამრავი ხალხის მონაწილეობით — კვალდაკვალ მიჰყავ მხატვრული ლიტერატურის რევოლუციაც. XIX საუკუნის პირველშაბათი შეისცა ევროპას ისეთი სახელები, რომელთა ბრწყინვალებაც თვალსა სჭრიდა მთელ საუკუნეს, ისეთი სახელები, რომელთა სვედრიც გახდა საუკუნეთა წიაღში არსებობა. ანალიტიკურმა რომანშია პროზაში და ინდივიდუალურმა გმირობამ პოეზიაში განსაზღვრავ ეპოქის ლიტერატურული სახე და წესი აუგო ავანტურულ რომანტიკას: ბუმბერაზი გოეთე გერმანიის პორიზონტზე; მგზნებარე ბაირონა, ძველი ინგლისის ამაფორიაქებელი; შორსმჭრეტელი სტენდალი და მისი მონაცემები ბალზაკი, დაულალავი დოსტაქრები, რომელნიც ჰკვეთდნენ საფრანგეთის სოციალური ცხოვრების შუაგულს; პესიმისტური გენია ლეოპარდისა, იტალიის უამთა-სიაცის ლიიძლი შვებლისა; შუქმთენი გენია პუშკინისა და ყრუდ მოამბოხე ლერმონტოვი; მონუმენტალური მიკვეიიბი — მგოსანი დათრგუნვილი პოლონეთისა; ³³ კიდევ და კიდევ მთელი პლეადა პოეტებისა და რომანისტებისა, რომელნიც თანავარსკვლავებად გარს შემოხვეოდნენ ლიტერატურული პორიზონტის თვითეულ ამ გარსკვლავს — ჰაინე გერმანიაში, შელლი ინგლისში, შერიმე და ამომავალი მნათობი პიუგო საფრანგეთში, მანკონი იტალიაში, გრიბოედოვი და გოგოლი რუსეთში; მხატვრობისა და მექანიკურობის გენიოსნი — დელაკრუა, დავიდი, კანოვა; მუსიკის კლასიკოსები — მენდელსონი, ბერლიოზი; ³⁴ ყველა სფერო ადამიანის შემოქმედებისა თავისი გაფურჩქვნისა და განვითარების უმაღლეს. მწვერვალზე იყო.

და ამიერკავკასიაშიაც — საქართველოს მზიურ ხეობებში იზრდებოდა და თავისი მოწოდების საათს ელოდა ქართველი ბრწყინვალე პოეტების მთელი პლეადა, ხოლო სომხეთის მეცნიერ მთებში — „სომხეთის ჭრილობათა“ მგზნებარე შემოქმედი აბოვიანი. ³⁵

ოციანი და ოცდაათიანი წლების თბილისში მეცნიერების სცემდა ლიტერატურული ეპოქის მაჯა: შეოსნობის ასპარეზზე გამოდის ალექსანდრე ჭავჭავაძე; შზად არის თავისი ქნარის სიმებს ხელი ჩამოჰკრას გრიგოლ ორბელიანიშა. ³⁶ აქ ევლინებათ გენიოსი ვრიბოედოვი და მისი საფალეებიდან გამონაკრთობი გამჭრიანი და ბასრი გამჩხედვა სამუდამოდ იბეჭდება იმათ მეხსიერებაში, ვინც კი ერთხელ მაინც შეხვედრია მას. თვით პუშკინი, ალექსანდრე სერვეის-ძე პუშკინი, სამეცნ კარის მიერ გარისხული და მისი ულმობელი დამცანავი, ამხიარულებს თბილისის საზოგადოებას თავისი ექსცენტრიკული საქციელით: ფარაონ ფარფლიანი შლაპით და ბეჭვაბურძგნული ნაბდით, რითქო საპარადოდ გამოსულიყოს, დადის თბილისის ქუჩებში და ემზადება არზრუშში გასამგზავრებლად. აქ სტუმრად არიან ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილი, ნიუეგორიოდის პოლკის ოფიცერი ლერმონტოვი ³⁷ და მოკისკისე, მოქეიფე, მაგრამ ნიჭიერი კალამბურისტუ ლევ სერვეის-ძე პუშკინი — მარჯვე დრაგუნი; ³⁸ ბედუკულმართი პოეტი და დუელზე გადამკვდარი იაკუბოვსკი; ³⁹ ჯარისკაცის ულელში გაბმული მარლინსკი; ⁴⁰ ათეულობით დეკაბრისტები, უმაღლესი კულტურით მოსილნი; ხოლო 1831 წლის აჯანყების შემდეგ, მიცეკვიჩის პოეზიაზე აღზრდილი მჟელი გუნდი გადმოსახლებული პოლონელებისა: სამი ათასი აზალგაზრდა პოლონელი პასკევიჩმა გამოგზავნა. თბილისში, აქედან კი მთელ ამიერკავკასიაში მიმოჰტანტეს ისინი. ⁴¹

თითქო თბილისში თვით ჰერიც კი ფეთქვედა განთქმულ სახელ-თა ლიტერატურული დიდებით და შორეული ბაირონი ისევე უხვად-იქიდა თვისაღმი აღტაცებას, როგორც დასავლეთ ევროპის უოველ კუთხეში ან მოსკოვშა და პეტერბურგის სალონებში თუ დეკაბრის-ტთა წრეებში. ⁴²

ამ ატმოსფეროში იზრდება მიხეალ თუმანიშვილი და ამავე ატ-მოსფეროში, რომელიც გაიღენთილი იყო ლიტერატურისადმი სიყვარულით და თავისუფლებისაღმი მისწრაფების სიოთი, მოხდა მიხეილ თუმანიშვილის დაახლოება ნიკოლოზ ბარათაშვილთან. ნიკოლოზი-უფროსი იყო მიხეილზე ასაკით მხოლოდ ორის წლით და სწავლით—ერთის კლასით. ორივენი ჩსეთი აღამიანის შვილები იყვნენ, რომელთა ოჯახშიაც ინტელექტუალურ და სულიერ მოთხოვნილებათა ტრადიციები მეტად მტკიცე იყო. ორივეს ეუცხოებოდა თავადაზნაურული ტრაბაზი და ზვიადობა; ორივენი ბავშვობიდანვე მიჩვეულნი. იყვნენ პატივისცემას წიგნისაღმი; ორივენი ხედავდნენ თავიანთი სამ-

შობლოს ბედნიერ მომავალს პოლიტიკური და სულიერი ხუნდებისა-
გან განთავისუფლებაში. ნეკოლოგ ბარათაშვილი ყოველთვის ხვდებ
ბოდა თავისი მამის მელიტონის ოჯახში ისეთ ხალხს, რომელთაც
ლიტერატურა უყვარდათ, და პატარაობიდანვე იდუმლად ოცნებობ-
და თავის მოწოდებაზე. თვით მელიტონიც აცოდვილებდა კალამს
და არ იყო ურიგოდ განათლებული. ქართული ლიტერატურის გარ-
და, მან იცოდა ნაწილობრივ რუსული და დასავლეთ-ევროპის ლიტე-
რატურაც. მის სახლში საკმაოდ თვალსაჩინო ადგილი ექმობოდა
გონებრივ ინტერესებს. მომავალი პოეტი და ადმინისტრატორი გრი-
გოლ ორბელიანი, რომლის დაც ცოლად ჰყავდა მელიტონ ბარათა-
შვილს და რომელსაც მიხეილ თუმანიშვილი ბავშვობიდან იცნობდა,
ჰქვნიდა თავის დის ოჯახში სულიერ აღტყინებას და იწვევდა ინტე-
რესს, საზოგადოებრივი საკითხებისადმი, რამაც წარუშლელი კვალი
დააჩინა ტატოს⁴³ ნორჩ ნიჭება.

1832 წელს, როდესაც გამოაშვარავებულ იქნა თავადაზნაურული
შეთქმულება, ნიკოლოზი 16 წლის ძლივს იყო, ხოლო მისი შევობარი
მიხეილი—14-სა. უფროსნი, რასაკვირველია, არ განდობიან ამ ნორჩ
მახლობლებს შეთქმულების თაობაზე, რადგანაც იგი მზადდებოდა
სასტიკი კონსპირაციის პირობებში, ხოლო ხანდახან ესა თუ ის წაც-
დენილი სიტყვა; თავშეკავებული, მაგრამ მგზებარე მრისხანება რუ-
სი მოხელეობის თვითნებობის გამო, ვერ გამოეპარებოდათ გათვით-
ცნობიერებულ და მგრძნობიარე გიმნაზიელებს: ერთსაც და მეორესაც
პირველი ხნის შემოქმედებაში ემჩნევა წარსულის იდეალიზაცია, თით-
ქმის სალმობიერი სიყვარული ამ, აწ უკუდალბრუნებელი წარსული-
სადმი. და ასეთი სულიერი განწყობილება სრულიად ბუნებრივი იყო,
ვინაიდან იგი საესებით შეესაბამებოდა ეპოქის საერთო რომანტიკულ
მსოფლმხედველობას. ეს განწყობილება უმკლავდებოდა სკოლის რუ-
სიფიკატორულ გავლენას. და იგი, პირველ ყოვლისა, გამოიხატა
„თბილისის გიმნაზიის ყვავილში“ და მთლად იმ წრეში, რომლის-
წიაღშიაც აღორძინდა „ყვავილის“ გამოცემა.

უურნალის გამოცემის აზრი, რასაკვირველია, ერთბაშად არ და-
ბადებულა. საქმის ინიციატორების გონებაში, ალბათ, უკვე კარგა ხანი-
ინასკვებოდა ქართველი ავტორების სალიტერატურო ნაწარმოებთა:
შეკრება და შენახვა. ჯერ კიდევ დაბალ კლასებში ყოფნის დროს
მიხ. თუმანიშვილს შეუდგენია ანთოლოგია. პირველი ცნობები ამის
შესახებ გამოაქვეყნა ს. გორგაძე „დროშა“—ში (1924 წ. № 16—17).
ხელნაწერი საქართველოს სსრ-ის მთავრობას გადაუცია ისტორიისა
და ეთნოგრაფიის საზოგადოებისათვის ე. თაყაიშვილის ბიბლიო-
თეკასთან ერთად და ამჟამად ინახება საქართველოს მუზეუმის
ხელნაწერთა განყოფილებაში 2684 №-ით. ანთოლოგიის 22 გვერდი-

დან გადარჩენილია მნოლოდ 20 გვერდი (აკლია შე-11 და შე-12 გვ.). ანთოლოგიაში გადაწერილია მიხ. თუმანიშვილის ხელით ქართულად გრიგოლ ორბელიანოვისა, * ნიკოლოზ ბარათოვისა, ალექსანდრე ორბელიანოვისა, დავით ყორლანოვისა, დავ. მაჩაბლისა, გიორგი ქსნისერისთავისა და თვით მიხ. თუმანიშვილის ლექსები. მიხ. თუმანიშვილის ნაწარმოებთ ანთოლოგიაში ბლომა ადგილი უჭირავთ: აქ არის ორიგინალური ლექსები „კახეთი“ და „მირტილი“, ნათარგმნი „ბაყაყნი, მთხოველნი მეფისა“, რუსულიდან ნათარგმნი „ფოთოლნი და თესუნი“, „სირი და ჭვინტა“; აქვე პირველად თუმანიშვილის მიერ ნათარგმნი პუშკინის „ქავე. შლენიკ“-ის ნაწყვეტები. ანთოლოგიის ზოგიერთ გვერდზე ვიღაცის უცხო ხელს აღუნიშვნას ფანქრით „1832“. ეს კრებული, მართლაც, უნდა მიეკუთვნოს თუ არა 1832 წელს (ქადალდზე წლის ნიშანი „1833“ გვიჩვენებს), 1833 წელს მაინც, რაღანაც იაკობ ბალახაშვილის ცნობით, რომელმაც პირველმა გამოაქვეყნა „ქავე. შლენ.“-ის თარგმანი („საბჭოთა ხელოვნება“, 1937 წ., № 1), ანთოლოგიაში არ არის ამ თარიღზე უგვიანეს დაწერილი ლექსები.**

კრებულში მოთავსებული ლექსები განაწილებულია „რიტორიკულ“, „დიდაქტიკურ“, „ბუკოლიკურ“ და „აპოლოგურ“ განყოფილებებად. ასეთი განაწილება იმის საუკეთესო საბუთია, რომ ხელნაწერი „სასკოლო“ წარმოშობისაა. თუმანიშვილის ნაწარმოებნი, რაც მისი, ცნობილი, პირველი ლიტერატურული ცდაა, შეტანილია აპოლოგურ (ფოთოლნი“, „სირი“, „ბაყაყნი“), ბუკოლიკურ (იდილია „მირტილი“) და დიდაქტიკურ განყოფილებაში („კახეთი“).

ლიტერატურის მოყვარულთა წრე. შეიქმნა უფროსი კლასების ყველა ეროვნების გიმნაზიელებისაგან და ეს მისი ერთერთი დამასასიაფებელი თვისებაა. არავითარი კვალი წესდებისა ან სხვა რამ ნიშანი ფორმალური. საზოგადოებისა დღემდე აღმოჩენილი არ არის. წრის ძოქმედება არცა საჭიროებდა მის უეჭველად გაფორმებას. წარსული, საუკუნის ოციანი და ოცდაათიანი წლები. სწორედ ლიტერატურული წრეებისა და სალონების გავრცელების დრო იყო. საკმარისია გავიხსენოთ „არზამასი“, „მწვანე ლამფა“ („ველენალ ლამპა“) და სხვა ლიტერატურულ-პოლიტიკური ჯგუფები: ⁴⁴ თვითმპყრობელობის წინაშე „ცოდვათა“ მონანიებისათვის თბილისში გამოგზავნილ დეკაბრისტებმა და პოლონელებმა შემოიტანეს აქ თავიანთი იდეებიც, თავიანთი განწყობილებანიც. ისინი, მართალია, შიშობდნენ პროპაგანდის.

* გვარების მართლწერა დაცულია ანთოლოგიის მიხედვით. ** გორგაძის აზრით, კრებული შედგენილია 1833 და 1836 წელთა შუა, უფრო ზედმიწევნით — 1834. ან 1835 წელს.

გაწევას, მაგრამ თვით შათი მოვლენის ფაქტს და მათთან ურთიერთობას არ შეეძლო არ აღეძრა ახალგაზრდობის მოწინავე ნაწილში ინტერესი მოძრაობისადმი და ამ მოძრაობაში მომქმედ ხალხისადმი. ძნელია, რასაკვირველია, იმის მტკიცება, რომ თბილისის გიმნაზიის წრეში საკმაოდ და განსაბჭობად გამოტანილი იყო ხოლმე პოლიტიკური საკითხები, მაგრამ საკმარისია ოდნავ თვალი გადავავლოთ „ყვავილის“ შინაარსს, რათა დავრწმუნდეთ, რომ არც უამისობა იყო: მართლაც და, მარტო ერთი ის, რომ „ყვავილში“ ათავსებდნენ დო-დაშვილი-მაღაროელის⁴⁵ წერილებს, მარტო ერთი ეს ფაქტი — პირ-დაპირი გამოწვევა იყო სკოლის მართებლობისა და, რასაკვირველია, გამოწვევა, არა მისთვის საამური. დოდაშვილი ხომ თვალსაჩინო მოლ-გაწე იყო იმ შეთქმულებისა, რომლის ლიკვიდაციაც მხოლოდ სამის წლით ადრე მოხდა უურნალის წარმოშობამდე. გიმნაზიის აღმინის-ტრაციამ ეს გამოწვევა „თეთრი კბილით და შავი გულით“ მიიღო, ვინაიდან ეს „ზევიდან“ პქონდა ნაკარნახევი: იმ დროს შეთქმულთა მიმართ ახალ პოლიტიკას ანხორციელებდნენ.

მთელი რიგი სხვა ნიშნები, რომლებზედაც ქვემოდ გვექნება ლაპირაკი, აგრეთვე იმას, მოწმობს, რომ გიმნაზიის წრის წევრებს აინტერესებდათ არა მარტო ხელოვნება, მეცნიერება და მრეწველობა (როგორც აღნიშნულია უურნალის ქვესათაურში), თუმცა, აუცილებლობის გამო, სწორედ ამას აყენებდნენ პირველ რიგში.

საჭირო როდია ბევრი კვლევა-ძიება იმის გამოსარკვევად, თუ ვინ შეადგენდა წრეს, ⁴⁶ რომელშიაც მიხეილ თუმანიშვილს („ბირთველის“, როგორც მეგობრები ეძახდნენ). თვალსაჩინო ავტორი-ტეტი პქონდა: წრის ყველა წევრი დასახელებულია უურნალის სატი-ტულო გვერდზე. უნდა განსაკუთრებით აღინიშნოს, რომ სწორედ ყველა ა. აქ. ნაჩვენები და რომ ამ გვარებით შემოიფარგლებოდა, ამხანაგობის მონაწილეთა წრე, ყოველ შემთხვევაში, უურნალის გამოცემის შომენტისათვის: უურნალის პირველ ნომერში გამოცხადებულია იმ პირთა გვარები, ვინც დაუთანხმებიათ უურნალში მონაწილეობაზე; ზოგიერთი ამ გვართაგანი ამოშლილია. თვით სიიდან; იმიტომ არიან ამოშლილნი, რომ გამომცემელმა ვერ მიიღო მათგან მასალა, თუ სხვა რამ მისებით, — ეს არა სჩანს. ეჭვი არ არის, ყოველ შემთხვევაში, რომ განზრაბული იყო მათი მონაწილეობა, როგორც ისეთი ახალ-გაზრდებისა, რომელნიც გაერთიანებული იყვნენ სხვებთან მისწრაფებათა და იდეათა ერთობით. ამიტომ, გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს, რომ თბილისის გიმნაზიის უფროს კლასებიდან, სახელდობრ მეექვესესა და მეშვიდედან (შესაძლებელია, წრის ვინშე მონაწილეთა-განი ამ დროს ჯერ კიდევ მეხუთე კლასში იყო, ხოლო ამაზე დაბალ კლასებში ყოფნა კი, საეჭვოა) 1835 და 1836 წელს იმ წრეში, რომ-

ლის წიაღიდანაც „ყვავილი“ გამოვიდა, შედიოდნენ (ალფაბეტის მიხედვით): * იესე ანდრონიკოვი, ნიკოლოზ ბარათოვი, მიხეილ ბებუთოვი, ბ. ბეჟანოვი, გარსევან ვარლამოვი, ეგორ ვილემსი, ა. იზიუმსკი, ალექსანდრე მონასტირსკი, ლევან მელიქოვი, დანიილ პოდორი (?) და ივან ტიტკოვი, მიხეილ თუმანოვი „და სხვანი“. გამომცემელს, ალბათ, იმედი ჰქონია მიეზიდა უურნალში ვინმე „სხვანიც“, ე. ი. ისინი, უინც პირდაპირ წრეში არ შედიოდა, მაგრამ ვისაც შეეძლო გამოეჩინა ინტერესი წრის ამოცანებისა და მიზნებისადმი. და, მართლაც, შემდეგში გვხვდებიან გიორგი გასპაროვი და მირიან ჭყონიერი.

ყველა თუ არა, ყოველ შემთხვევაში, უდიდესი ნაწილი ზემოდ ჩამოთვლილ პირთაგან როდი დასჯერდა თავის ურთიერთობას სხვა ამხანაგებთან მხოლოდ სიჭაბუკის წლებში: ყველასათვის ცნობილია. ნიკოლოზ ბარათა შვილისა და მიხეილ თუმანიშვილის ურთიერთობა გიმნაზიის გათავების შემდეგაც. მათი გულითადი მეგობრობა გიმნაზიის წრის ფარგლებს გადასცდა და მაშინაც გაგრძელდა, როდესაც ისინი ცხოვრებაში დამოუკიდებელ ადამიანებად მოქმედებდნენ.

მიხეილ თუმანიშვილის მიწერ-მოწერა ლევან მელიქი შვილ-თან, რომელიც უფროსი იყო მასზე ერთი წლით (დაიბადა 1817 წ.), გაგრძელდა შემდგომი წლების განმავლობაშიაც, თუმცა იგი არ იყო აგრერიგად გაცხოველებული.

გარსევან ვარლამოვი, რომელიც თბილისელ კათოლიკეთა ოჯახს ეკუთვნოდა, გიმნაზიაში ძალიან იყო გატაცებული ლიტერატურით და გადათარგმნა კიდეც ქართულად „ევგენი ონეგინი“, თუმცა ძალიან უხეიროდ.

ეგორ ხრისტიანის-ძე ვილე მსს, ეროვნებით, ალბათ, გერმანელს, უეჭველი ლიტერატურული ნიჭი ჰქონდა და იგი, მიხეილ თუმანიშვილის გარდა, ყველაზე ნაყოფიერი იყო „ყვავილის“ თანამშრომელთაგან. უნდა ვიგულისხმოთ, რომ გიმნაზიის წრეშიაც იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. ვილემშია აირჩია მოხელის სარბიელი და იგი მსახურობდა თბილისის საკომისარიატო კომისიაში 1849 წელს (ამავე კომისიაში მსახურობდა მისი ძმა ალექსი — ბუხპალტრად). განაგრძობდა თუ არა ვილემსი თავის გიმნაზიურ ლიტერატურულ ცდებს შემდეგაც, არ ვიცით.

ალექსანდრე კონსტანტინეს-ძე მონასტირსკი და გიორგი (ეგორ) სიმონის-ძე გასპარა ნელი მოპეიდეს პედაგოვიურ მუშაობას: მონასტირსკი 1849 წელს იყო. თბილისის სამაზრო სასწავლებლის ზედამხედველის თანამდებობის აღმასრულებელი, ასწავლიდა ბუნებისმეტყველებას ქალთა ამიერკავკასიის ინსტიტუტსა და წმინდა.

* გვარების მართლწერა „ყვავილის“ მიხედვითაა.

ნინოს სასწავლებელში, ხოლო შემდეგ მსახურობდა გზათა მე-8-
(თბილისის) ოლქში. გასპაროვიც მასწავლებელი იყო ინსტიტუტისა
და იმავე თბილისის გიმნაზიისა, რომლის მოწაფეც იგი ოდესლაც იყო.

მირიან ბეჟანის-ძე ჩერნიივი, იგივე ჩერნიივი და ჭყონია სამხედ-
რო სამსახურში შევიდა, მსახურობდა პოლონეთში და შემდეგ გადა-
ფიდა ამიერკავკასიის აღმინისიჩრაციაში. მისი შეიღლი ილია ჭყონია,
ლიტერატორი (გარდ. 1927 წ.) თავის მოგონებებში „ჩემი დღე და
სოფელი“, რომლებიც დაბეჭდილია 1932 წელს „მნათობის“ მე-5 – 6
წე-ში, ადასტურებს, რომ მირიანთან ერთად, ერთსადაიმავე კლასში;
სწავლობდნენ ლევან მელიქიშვილი, ისე ანდრონიკაშვილი და მამა-
ცაშვილი, ხოლო „ერთი კლასით წინ“ — ბარათაშვილი; ამასთანავე,
იგი ამბობს, მირიანმა გიმნაზია 1837 წელს გაათავაო. რადგანაც ლევან
მელიქიშვილმა და ისე ანდრონიკაშვილმა, ისე, როგორც მიხეილ თუ-
მანიშვილმაც, გიმნაზია 1836 წელს გაათავეს, უნდა ვიგულისხმოთ,
რომ ჭყონია ან მათთან ერთად გამოსულა გიმნაზიიდან 1836 წელს,
ან ამხანაგებს ჩამორჩენია. 1849 წელს მირიან ჭყონია შტაბს-როტ-
მისტრის ხარისხით ოზურგეთის მაზრის უფროსის თანამდებობაზე
იყო, მსახურობდა შემდეგ ამიერკავკასიის სხვა რაიონებშიც.
1853 წელს იგი იყო ახალციხის მაზრის უფროსის თანაშემწედ და
ასრულებდა უფროსის მოვალეობას. მიხეილ თუმანიშვილს ჰქონდა
ურთიერთობა მასთან გიმნაზიის გათავების შემდეგაც, მაგრამ ამ ურ-
თიერთობას არც ლიტერატურული, არც საზოგადოებრივი ხასიათი
არა ჰქონია; მათი მიწერ-მოწერა ექვება საერთოდ მხოლოდ სამსახუ-
რის საქმეებს, კერძოდ — კი მიხ. თუმანიშვილის მოგზაურობას ახალ-
ციხეში 1853 წელს, სამსახურისავე გამო. ახალციხეში ყოფნისას
1853 წელს მიხ. თუმანიშვილს უნახავს ჭყონია, დასწრებია მის მიერ
გამართულ ბალს, რომლის იუმორისტული აწერილობა შენახულა მის
ქალალდებში (იხ. შემდეგ მ. თ. მოგზაურობის აღწერა), ხოლო გაჩე-
რებით მასთან არ გაჩერებულა. ეს გასაგებიცაა, რადგანაც თუმანი-
შვილი სამსახურებრივი მივლინებით იყო „რევიზორის“ როლში, ჭყო-
ნია კი — თუმანიშვილისადმი „ერთგული და აღტაცებული“. მეგობ-
რული განშეყობილებით* — იდგა ადგილობრივი ადმინისტრაციის
სათავეში, რომელსაც თ-ლი რევიზიას უკეთებდა. თუმცა მათი მიწერ-
მოწერა ლარიბია საინტერესო ფაქტებით, მაგრამ მაინც ეს მიწერ-
მოწერა გვიჩვენებს; რომ ჭყონიას კავშირი, ჰქონია ისეთ პირებთან,
რომელნიც ახლო იყვნენ ნიკ. ბარათაშვალთან და მიხ. თუმანიშვილთან.
იმავე, 1853 წლის მარტის 31-ის წერილში ჭყონია მოკითხვას უფლის
ლუკა პავლეს-ძეს ** (ისარლიშვილი) და ადამ ლვოვიჩს (?) და უგზავნის

* ჭყონიას 1853 წ. მარტის 31-ის წერილიდან. ** სტეფანეს-ძეს?

ისარლოვს „კავკაზ“-ის 3544 №-ს (၇), ხოლო თვით თუმანიშვილს თბილისიდან მიღებულ წერილებს. ჭყონია იწერება, რომ მიუღია თუმანიშვილის წერილი აწყურიდან (სადაც იმ დროს თუმანიშვილი იყო) და მაღლობას უცხადებს რაღაც ახალი ამბისათვის, * რომელიც „დიდი ხანია აინტერესებდათ ახალციხის მცხოვრებთა“ ა. იგი გადასცემს მას ახალციხელი ნაცნობების სალამს და მათი სახელით სთხოვს, კვლავ შეიაროს ახალციხეში აწყურიდან თბილისში წასვლის წინ.

როდესაც თბილისის გუბერნატორის კანცელარიდან მიღებული იყო ესტაფეტით მეორე სასწრაფო გაწვევა თუმანიშვილისა თბილისში დედის ავადმყოფობის გამო (თუმცა ცნობაში მიზეზი არ იყო ნაჩვენები), მირიან ჭყონიამ მაშინვე გადაუგზავნა თუმანიშვილს ესტაფეტით მიღებული „კონვერტი და წერილი“ შიკრიკის ხელით აწყურში.

მიხეილ ბებუთოვს (გარდ. 1882 წ.) ჰქონდა სალიტერატურო ნაშრომები; მან გადათარგმნა და გამოსცა ქართულად კრილოვის არაკები.

ივან ტიტკოვზე, რომელიც ერთი ბეჯითი მონაწილეთაგანი იყო „ყვავილის“ წრისა, გიმნაზიის გათავების შემდეგ არავითარი ცნობები არ მოიპოვება.

გუბოლოს, იესე (იასე) ანდრონიკაშვილი, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ყველაზე იხლო მეგობრად დარჩა მიხ. თუმანიშვილისა, ძალიან მჭიდროდ იყო დაკავშირებული მთელ წრესთან.

მაშინდელ დროს საზოგადოებრივი ხასიათის გართობა არ არსებობდა, არ იყო არც თეატრები, არც კინო, არც კლუბები; ამიტომ ახალგაზრდობას ბევრი თავისუფალი დრო ჰქონდა იმ საათების გარეშე, რასაც ისინი სამსახურში მუშაობას ანდომებდნენ. კ. ქ. მამაცარვილის მოგონებებიდან ვიცით; რომ სკოლადამთავრებული და უკვე ცხოვრებაში ფეხშედგმული ახალგაზრდა თავს ირთობდა თანაზიარი სადილებით, ბანქოს და ნარდის თამაშობით, მთვარიან ღამეს ზალებში სეირნობით; ბალები ხომ ფაბილისში იმ დროს აუარებელი იყო. კერძოდ, ნიკ. ბარათაშვილის ძველი ამხანაგები იკრიბებოდნენ ხოლო ხან ტატოს ოჯახში, ხან ლევან მელიქიშვილთან და აქ დროს ატარებდნენ საუბარში, ჩვეულებრივად სალიტერატურო და საზოგადოებრივ თემებზე.

ხოლო გიმნაზიის ახალგაზრდობისათვის ყველა ის გასართობი, რომელზედაც შამაცაშვილი სწერს, მისაწვდომი არ იყო. ამიტომ მას უფრო მეტი სტიმული ჰქონდა სხვადასხვა. სალიტერატურო და სა

* მიხ. თუმანიშვილი ის იყო აწყურში დაბრუნდა თბილისიდან; სადაც დაიძარეს პირველად დედის ავადმყოფობის გამო.

и альбом

УЧЕБНИК

Итуринской Тури

УЧЕБНИК

Славесности, науки, художества, производимые
государством и новостям,
составленный из классов учащихся

кн. Д. Сидорчикову, кн. А. Баранову, кн. М. Бедякову, ~~и А. Калашникову~~,
Г. Баранову, Е. Вильчеву, ~~и Н.~~, А. Монастырскому,
А. Рехинову, ~~и Языкову~~, Н. Куммолову, кн. М. Шуманову.

и пр.



Итуринская губерния.



Итуринство

1835. " " Изд. кн. М. Бедяковы

Издание кн. М. Шуманова.

ზოგადოებრივ წრეში მონაწილეობისათვის იმ საათების გარეშე, რაც მათთვის საჭირო იყო გაკვეთილების მოსამზადებლად. და ნამდვილად დაც უფროსი კლასების გიმნაზიელნი იქრიბებოდნენ ერთმანეთისას სასაუბროდ. წრის მონაწილეთა არავითარი მოვონება არ დარჩენილა და ჩვენ ხელთ არ არის ზედმიწევნითი ცნობები, თუ რა საკითხებზე ბჭობდნენ მეგობრები და როგორ ანაწილებდნენ თავიანთ დროს მიხეილ თუმანიშვილი და მისი ამხანაგები თბილისში. რაც არდადებებს შეეხება, ივან ტიტკოვის „წერილი სოფლიდან“ „ყვავილის“ ერთერთ ნომერში შესაძლებელ ხდის წარმოვიდგინოთ, როგორ ატარებდნენ დროს წრის მონაწილენი. ტიტკოვი არ ასახელებს სოფელს და თავის მასპინძელ მეგობარს და ჭლნიშნავს მხოლოდ, რომ ესტუმრა „ერთერთ ჩვენს ახლობელ ნაცნობს“. მაშასაღამე, თუ ვიგულისხმებთ წრეში მყოფ ამხანაგთა შორის არსებულ ახლო ურთიერთობას, და ტიტკოვის მუყაით თანამშრომლობას „ყვავილში“, უნდა დავასკვნათ, რომ იგი სტუმრიდ იყო წრისა და უურნალის რომელილაც მონაწილისას, შეიძლება თვით გამომცემელ მიხეილ თუმანიშვილისას, რომელსაც ჩვეულებად ჰქონდა არდადეგების ხელთუბანში გატარება და რომელიც 1835 წლის პპრილში (საალდგომო არდადეგები?) სოფლად იყო. „დილით, მზის ამოსვლისას, 11 საათამდე — სწერს ტიტკოვი — ჩვენ ჩვეულებრივად ვაკეთებთ საკლასო ლექციების რეპეტიციებს; თერთმეტზე ვსაუზმობთ, პირველზე — ვსადილობთ. საღილობამდე და სადილის შემდეგ დროს ვანდომებთ ლექსებსა და პროზაში პრაქტიკულ ვარჯიშობას. თამაშობა, განსაკუთრებით კი ცხენით გასეირნება ლამაზი სანახაობის მქონე მინდვრებში ან მაცოცხლებელი ჩანჩქერის ნაპირად, ანიჭებს გონებასა და გულს საკმაო სიცხოველეს. საღამოობით ვკითხულობთ პერიოდულ გამოცემებს ან საშინაო ბიბლიოთეკას ვჩხრეკავთ. მიყვარს ავდარში საუბარი მოხუცებთან ან ტკაცუნაცეცხლთან მამაპაპური ამბების მოსმენა, მათი ნაციონალური სიმღერებისა და თქმულებათათვის ყურისგდება. მოწყენას არა ვერდნობ იმის გამო, რომ მოშორებული ვარ ქალაქის მყვირალი ცხოვრებას და ხშირად დავცინი იმათ, ვინც მოწყენილობას გრძნობს სოფლად და სთვლის მას საპყრობილებას.“

ზემოდ ნათქვამიდან ცხადია, რომ თბილისის გიმნაზიელთა წრე არ იყო შემთხვევითი აღამიანების შემთხვევითი კრებული. ყველა ამ ასალგაზრდას ჰქონდა თავისი საკუთარი ინტერესი, მაგრამ, ამასთან ერთად, ყველანი დაუახლოედნენ ერთმანეთს ლიტერატურისადმი სიყვარულისა და რაღაც, სოციალური და პოლიტიკური ხასიათის, იდეალთა ერთობის ნიადაგზე.

თუ როგორი იყო წრის წევრების ზღვალები და მისწრაფებანი, ამას ყველაზე უკეთესად გვიჩვენებს „ყვავილის“ შინაარსი, როგორც

ერთადერთი, მათთვის მისაწვდომი ორგანოსი აზრთა განშუობილებათა გამოსავლინებლად. „ტფილისის გიმნაზიის ყვავილი — სიტყვიერებისა, მეცნიერებათა, მხატვრობათა, მრეწველობისა და ახალ ამბავთა ჟურნალი, შედგენილი საკლასო სავარჯიშოებისაგან“ („Цветок Тифлисской Гимназии — журнал едовесности, наук, художеств, промышленности и новостей, составленный из классных упражнений“) — გამოვიდა პირველად 1835 წელს. პირველი ნომერი დათარილებულია მაისით. უნდა ვიფიქროთ, რომ ფაქტიურად მან მიაღწია მკითხველამდე მხოლოდ ივნისში: ჯერ ერთი, პირველი ნომერის გარეკანზე აღნიშნულია „1835... მაისს. თავ. მ. ბებუთოვი. გამოცემა. თ. მ. თუმანოვისა“ — ჩაშასადამე თარილი ზუსტი არ პრის; მეორე — შემდეგი ნომერი დათარილებულია „ივლის-აგვისტო“-თი; ყველა შემდეგი ნომერი მოიცავს ორ-ორ თვეს.

სრულიად ნათლად სჩანს რუსული პოპულარული ყოველთვიური ჟურნალის „Библиотека для чтения“-ს გავლენა წრის მონაწილეებზე. „ბიბლიოთეკა“ პირველად გამოვიდა 1834 წელს და, რასაკირველია, თბილისში მას გაეცნენ არა მაშინვე. „ყვავილის“ ქვესათაურის პირველი ნაწილი („სიტყვიერებისა, მეცნიერებათა, მხატვრობათა, მრეწველობისა და ახალ ამბავთა“) იმავე რიგზე იმეორებს „ბიბლიოთეკის“ ქვესათაურს, „ახალ ამბავთა“ გამოკლებით („ბიბლიოთეკა“-ში „ახალ ამბავთა“ ნაცვლად იყო „მოდების“).

ძნელი სათქმელია, არსებობდა თუ არა გიმნაზიის მართებლობის სანქცია უკვე 1-ლი ნომერისათვის, ხოლო, დაწყებული 2 №-დან, გარეკანზე გამოჩნდა სანებართვო წარწერა: „წერა ნებადართულია, ისე კი, რომ ყვავილში შეტანამდე ყოველი თხზულება წარდგენილი იყოს თბილისის გიმნაზიის ბ-ნი ინსპექტორის წინასწარი განხილვისათვის“ („Писать позволяетя с тем однако, чтобы прежде внесения в Цветок, каждое сочинение представлено было на предварительное рассмотрение г-на Инспектора Тифлисской гимназии“).

მიხეილ თუმანიშვილი იყო ჟურნალის არა მხოლოდ გამომცემელი, არამედ, ყველა საბუთის მიხედვით, აგრეთვე ინიციატორიც: ყოველ შემთხვევაში ჟურნალის ორი მესამედი მის ნაწარმოებთ ეჭირა; თუმცა „რედაქტორიც“ იყო — მ. ბებუთოვი, — მაგრამ გამომცემლობის საპროგრამო და საინფორმაციო შენიშვნებით გამოდიოდა მიხ. თუმანიშვილი, იგი ზრუნავდა თანამშრომლების შოვნაზე, იგი განსაზღვრავდა ჟურნალის გამოცემის ვადას და ანაწილებდა მასალას. 1-ელ №-ში მკითხველთ აუწყებენ, რომ „ამ ჟურნალში მონაწილეობას იღებს თბილისის გიმნაზიის თითქმის ყველა ის მოწაფე, რომელიც ცნობილია თავისი ნიჭით და ნაწარმოებებით ლექსად და პროზად“;

[უურნალს] საგნად ოქვეს ერთი ზოგადი სარგებლობა: განავითაროს მოსწავლეთა გონებრივი ნიჭიერებანი⁴⁸ და მით მიაღწიოს აღმშრდელების მიერ დანიშნულ მიზანს“. მე-5 №-ში გამომცემელი იუწყება, რომ სტატიების ნაკლებობის გამო „ან უკეთ რომ ვთქვათ, თავისი თანამშრომლების სისუსტის გამო“ უურნალი გამოიცემა საშ თვეში ერთხელ. (გამომცემლის პირვანდელი ვანზრახვა იყო ყოველთვიური უურნალის გამოშვება — „არა ნაკლებ 12 ფურცლისა თითო რვეულში“, ფაქტიურად კი იგი უშვებდა უურნალს ორ თვეში ერთხელ: 1-ლი №-ი დათარიღებულია 1835 წლის მაისით, მე-2 №-ი — ივლის-აგვისტოთი, მე-3 №-ი — სექტემბერ-ოქტომბერით, მე-4 №-ი ნოემბერ-დეკემბერით, მე-5 №-ი — 1836 წ. იანვარ-თებერვლით). უცხადებს რა მაღლობას „მისი [უურნალის] ერთსულოვან და შრომისმოყვარე თანამშრომლებს ეგორ ვილემსს და გრაფ ვალერიან გორსკის“ (თითონ მიხერლ თუმანიშვილი), გამომცემელი აღნიშნავს, რომ ამ უკანასკნელის (ე. ი. თითონ მისმა) ნაწარმოებებმა ხელი შეუწყო „ყვავილის“ დაფუძნებას და ღირსებას და თავის დროზე თვით უურნალი გახდება საგანი თუ მიბაძვისა არა, ყოველ შემთხვევაში, ახალი თანამშრომლების აღძრისა მუშაობისათვის. ⁴⁹

გარეგნულად „ყვავილი“ წარმოადგენდა ფაქიზ რვეულებს საშუალოდ სამოც-სამოც გვერდიანს თვითეული, ჩვეულებრივად ფერადი გარეკანით, რომელზედაც გამოხატული იყო ლარნაკის (ვაზა) მსგავსი რამ: აქვე აღნიშნული იყო ან სრული სია გამოცემაში ჩაბმული ყველა პირისა (№1) ან იმ გიმნაზიელთა გვარები, რომელთა ნაწარმოებიც შედიოდნენ უწყებულ ნომერში. მე-2 №-ის სატიტულო ფურცლის სათაური აღნიშნავს: «„ყვავილი“. ან ცდები ლექსად და პროზად თბილისის გიმნაზიის VII კლასის მოსწავლეებისა — ანდრონიკოვის, ბებუთოვის, ვილემისის, გორსკის, მონასტირსკის, ტიტკოვის და ჩერნივისა», მე-4 №-ი ნაპოენი არ არის (იხ. 49. შენიშვნა); ხოლო დანარჩენი რვეულები აღმოაჩინა მიხეილ თუმანიშვილის შვილმა გიორგიმ მამის არქივში.⁵⁰ სტატიები და ლექსები გადაწერილია ნაწილობრივ გამომცემლის ხელით, ნაწილობრივ სხვა პირების მიერ. შენიშვნებს და აგრეთვე სარეაქციო უწყებებსა და ინფორმაციის მასალების შესახებ ხელს აწერს ჩვეულებრივად გამომცემელი და არა, რედაქტორი.⁵¹ სატიტულო ფურცელზე, დაწყებული მე-2 ნომრიდან, მოყვანილია 6! კუკოლნიკიდან. ეპიგრაფია, რაც წრის მონაწილეთა ვანწყობილებას ახასიათებს:

„И что такое школа, объясните!
Отсутствие талантов самобытных,
Посредственных художников толпа,
Ряд подражаний, неудач — вот школа!“

(თუმცა უნდა ალინიშნოს, რომ კუკოლინიკი გულისხმობდა „სკოლას“, რასაკვირველია, როგორც ლიტერატურულ ჯგუფს ან ლიტერატურულ მიმართულებას და არა, როგორც სასწავლებელს).

უურნალის ნაპოვნი რვეულებისა და დაკარგული მე-4 №-ის შინა-არსის გადათვალიერება საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ამ გა-მოცემის შემდეგი დამახასიათებელი ოვისებანი.

1. თანამშრომელთა ეროვნული შედგენილობა შე-რეულია, არც ერთი ეროვნება არ სჭარბობს რიცხობ-რივ; მიუხედავად ამისა და იმ გარემოებისა, რომ არის თემები სხვა-ეროვნებათა შესახებაც (მაგალითად, „მგზავრობა სომხეთში“ და სხვ.), მაინც უურნალის საერთო ტონი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ქართულია“; ხოლო საინტერესოა, რომ ქართული სიტყვიერების ნარკვევები და სხვა ქართული მასალა მოთავსებულია „უცხოეთის სიტყვიერების“ განყო-ფილებაში.

2. ისტორიული მასალის სიჭარბე. სპეციალურად ისტო-რიული თემების შემცველ სტატიებზე რომ არა ვთქვათ რა, მოგონე-ბანი მშობლიურ წარსულზე გვხვდება აგრეთვე სამგზავრო შენიშვნებ-შიაც (მაგალითად „წერილებში კახეთზე“ — ი. ანდრონიკაშვილისა). მასალა, რაც საქართველოს ეხება, გამსჭვალულია მკაფიო პატრიო-ტიზმით თავადაზნაურული გაგებით. საქართველოს წარსულის იდე-ალიზაცია უხასიათებს არა მარტო ნათარგმნ ნაშრომებს, როგორც, მაგალითად, ირაკლი II მეფობა, საქართველოს სამეფოს ისტო-რიდან (№ 3) (თარგმანი „ტფილისის უწყებათა“ ქართული ლიტერა-ტურული განყოფილებიდან, რომელსაც სცემდა თბილიში სოლომონ-დოდაშვილი-მაღაროელი). თარგმანის ავტორი მიხეილ თუმანიშვილი (გრაფ გორსკი) შენიშვნაში ბოდიშს იხდის იმის გამო, რომ ნარკვევი სრული არ არის, რაღანაც არა გვაქვს ცნობები ირაკლის შემ-დგომ ცხოვრებაზე და ამბობს:

„ბევრი ქართველი ისტორიკოსი ცდილობდა ტახატა ირაკლის ცხოვრება უფრო სწორედ და უფრო სრულად, მაგრამ ვერც ერთი მათგა-ნის სურვილმა ვერ მიაღწია დასახულ მიჩანს. ეს წდება თანამემამულეთა უყურადღებობით თავიანთი ქვეყნის ისტორიისა და თავიანთი წინაპრები-სადმი“...

ასეთივე პატრიოტული თვალსაზრისით და წარსულის იდეალიზა-ციით ფეთქავს ორიგინალური მასალებიც — კერძოდ ზემოდ აღნიშ-ნული ნარკვევი იესე ანდრონიკაშვილისა, რომელიც გადმოგვცემს ირაკლი მეფის სასაპლის ნანგრევებით მონაბერ შთაბეჭდილებას.

ირაკლის ცხოვრების ნარკვევის გარდა, უურნალში აგრეთვე მო-თავსებულია დოდაშვილის მეორე ნაწარმოები „ქართული ლიტერა-ტურის მოკლე მიმოხილვა“, ნათარგმნი მიხეილ თუმანიშვილისა და

შის შიერვე შენიშვნადართული: „ეს თხუზულება ბ-ნ დოდაშვილი-მა-
ლაროელისა მოთავსებული იყო „თბილისის უწყებათა ლიტერატუ-
რული განყოფილების“ 1832 წ. 1-ელ №-ში, რომელსაც სცემდა
თვით მთხველი“.

ზევით უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ სახელმწიფო დაწაშაული-
სათვის მეფის აღმინისტრატორების მიერ მსჯავრდადებული უურნა-
ლისტის ნაშრომის უურნალში მოთავსება შეფასებულ უხდა იქნეს, რო-
გორც ახალგაზრდობის დემონსტრაცია, და ეს მით უფრო, რომ
„ყვავილი“, როგორც საერთო წესი, არაორიგინალურ ნაწარმოებთ
არ ათავსებდა (გამონაკლისს შეადგენდა, დოდაშვილის ნაშრომთა
გარდა, ორი ნაწყვეტი სარგის თმოვველის „ვისრამიანისა“ — ერთი
ნიკ. ბარათაშვილის მიერ ნათარგმნი, ხოლო შეორე — მიხ. თუმანი-
შვილის მიერ).

3. იუმცა მეფისეულ პედაგოგიკას სრულიად გარკვეული რუსიფი-
კატორული ტენდენციები ჰქონდა და იგი ცდილობდა მოსწავლეებში
რუსული „დამუავებული“ პატრიოტიზმი შთავენერგა, — მაინც „ყვა-
ვილის“ არც ერთ გადარჩენილ ნომერში არ მოიპოვება არამც თუ
არც ერთი ლექსი ან სხვა პროზაიკული ნაწარმოები
ეგრედწოდებული „ქაზიონური“ ხასიათისა, არამედ აგ-
რეთვე არავითარი ხსენება არც „მართლმადიდებლობისა“, „არც
თვითმპყრობელობისა“, არც „ეროვნებისა“ არ არის. პირიქით, რო-
გორც ზევითაც იყო ნათქვამი, სკოლის რუსიფიკატორული ტენდენ-
ციები იწვევდნენ „ყვავილის“ თანამშრომლებში სრულიად საწინააღმ-
დეგო გრძნობებს, ნიშანდობლივ მიკერძებას წარსულისადმი და უარ-
ყოფითს დამოკიდებულებას სახელმწიფო სკოლისადმი.

4. მთლად ავტორების შემოქმედებას ეტყობა მაშინდელი მოდუ-
რი რომანტიზმის ძლიერი გავლენა — სენტიმენტალიზმი
ბუნების აწერილობაში, სტილის მეტისმეტი ჩუქურთმიანობა და
კილოშექიდებულება, ქალაქის ფუქსავატური ცხოვრების
უარყოფა და სოფლურ იდილიაში სულიერ სავანეთა ძებნა, წარ-
სულის არაკრიტიკული შეფასება, ისტორიის იდეალისტური ფილო-
სოფია. და ძეგობრობის კულტი. პოეზია წარმოდგენილია უურნალში,
უმთავრესად, თუმანიშვილის სახით, მაგრამ სხვა თანამშრომლების
ნაწარმოებებშიაც რომანტიზმი თვალსაჩინოდ გამოსჭვივის. ბარატინ-
სკიმ ⁵² პოვა აქ გულმოდგინე მიმბაძველნი ვილემსისა და სხვათა სა-
ხით. ამ მხრით დამახასიათებელია ვილემსის ლექსი, მიხეილ თუმანი-
შვილისადმი ნაძღვნევი —

„Кн. М. Т.***** ву“:

„Спеши, друг, жить, — пока лгниты

Зарею юности горят, —

Пока и музы и хариты

С улыбкой на тебя глядят..“

Налей бокал вином кипящим!
Беспечно дружбе руку дай,—
И наслаждаясь настоящим,
О будущем не помышляй”.

Мე-5 №-ის უწყება, რომელიც ბრალსა სდებს თანამშრომლებს, არ გინდათ ხელი შეუწყოთ უურნალსაო, — ალბათ, გამომცემლის გედის სიმღერა იყო. ყოველ შემთხვევაში, არავითარი კვალი უურნალის შემდგომი გამოცემისა არც თვით გამომცემლის არქივში, არც სხვა ვისიმე მოგონებაში არ დარჩენილა. უურნალის უდროოდ გარდაცვალების მიზეზი უნდა ვეძიოთ არა თანამშრომელთა ინდიფერენტიზმში და არა იმაში, რომ ენერგია აღარ გასწვდა გამომცემელს, რომელიც თავისი ზურგით ზიდავდა ჯგუფების მთელ ტვირთკს: 1836 წელს თვით მიხეილ თუმანიშვილი და მისი მეგობრების უმრავლესობა გიმნაზიის კურსს ათავებდა და გამოსაშვები გამოცდების მრახლოებამ დამბლა დასცა მათ სალიტერატურო მოლვაწეობას. უნდა შეეჯამებინათ ის, რაც გაევლოთ, ყური ეთხოვებინათ „კაზიონური“ პროგრამისათვის და სათანადოდ აღჭურვილი ყოფილიყვნენ იმ მომენტისათვის, როდესაც პედაგოგები საპასუხოდ გაიწვევდნენ. მიხეილ თუმანიშვილის მომზადების შედეგები: ატესტატი 1836 წლის ნოემბრის 30-ის თარიღით და 1461 №-ით, დაბეჭდილი სტამბაში ბრისტოლის კარტონზე, ხელმოწერილი დარეკტორისა და ყველა მასწავლებლის მიერ და ზავთიან ბეჭედდასმული —

წ ა რ მ ა ფ წ მ ა ნ ა

ყოფაქცევა — სამაგალითო;
სალმრთო სჯული და სალმრთო წერილი — ძალიან კარგი;
რუსული სიტყვიერება — ძალიან კარგი;
ლოგიკა — კარგი;
ზოგადი ისტორია და გუოგრაფია — კარგი;
სტატისტიკა — კარგი;
რუსეთის სამართლისმცოდნეობა — კარგი;
მატემატიკა და ფიზიკა — საშუალო;
წატვა და წაზვა — ძალიან კარგი;
ენები ფრანგული, გერმანული, თათრული — საშუალო;
ქართული და სომხური — ძალიან კარგი.

გიმნაზიის ჭაპანი მოხსნილია, „ყვავილნი“ დასკვნენ და 1837 წლის იანვრის 23-ს მიხეილ თუმანიშვილი შედის საქართველოს სახაზინო ექსპედიციაში (შემდგომ სახაზინო პალატა), ხოლო ერთი წლის შემდეგ, ამიერკავკასიის მხარის მმართველობის დებულების პროექტის შემდგენელი კომისიის სათავმჯდომარეოდ პეტერბურგიდან ჩამოსული სენატორი განისაზღვრა და დადასტური და დამატებულ იქნა ამ კომისიაში, სადაც დიდ მუშაობაში ჩაება.

შემოქმედებითი მუშაობა ახალგაზრდები

პოეტი, მოზარდი და ჭაბუკი: ლექსები და პროზა „ყვავილში“ იდეალისტური ფილოსოფია, „თელეთობა“, „ვისრამიანის“ თარგმანი. რუსული და ევროპული პოეზიის გაულენა. მევობრობა და მიწერ-მოწერა ნიკ. ბარათაშვილთან და ფ. ლადა-ზაბლოცკისთან. თვით-განათლება.

მიხეილ თუმანიშვილის სიჭაბუკის პერიოდის (16—17 წ. ასაკი) მრავალი ნაწარმოები გაერთიანებულია ნაკვთთა თანაზიარობით; ზოგადობით, რაც ახასიათებს „ყვავილის“ სახეს.* ამ წლების პოეტურ შემოქმედებაში სჭარბობს ბუნების მშვენებათა აღწერა, რასაც უიჭველად აჩნევია პუშკინისა და ლერმონტოვის გავლენის ქვალი და კავკასიის ბუნების ღიადობით გატაცება:

Недосягаемый Кавказ в моих очах!
Ровесник двух миров^{ჩა} стоит передо мною!
К нему парю я в сладостных мечтах,
Обвраженный весь пустынных скал красою.

Громалы вечных льдов на каменных хребтах —
Казбек и Эльбрус там высятся главами, —
Утесы там стоят друг другу на плечах,
Как будто меж земли и неба сторонами.

Растянуты поля пестреющим ковром,
Под исполинскими высоких гор стопами;
Шумят расплавленным в пучине серебром
Каскады дивные под мшистыми скалами;

Я здесь, друзья, — и мне-ли выше вас не быть,
Кавказа дивного всей гордой вышиною?
Завидуйте, мне мир прекрасный сей открыт;
Открыт мне счаствия блестательной зарю!

• • • • •
Страдно мне порой от мира убегать, —
Порою покидать приличия оковы, —
Порою бурю городскую забывать,
И уходить в тиши в пустынные дубровы.

И по твоим, Кавказ, по девственным снегам
На крыльях молодой фантазии носиться, —

* აქ მოყვანილი რუსული ლექსები მოთავსებულია „ყვავილის“ სხვადასხვანიში, და პირველად იბეჭდება.

С утесов на утес пустынной налетать,
Дохнуть свободою, и радугой упиться!.

Люблю высокие картины бурь твоих,
Когда грохочет гром в твоей тиши священой,
И молнии скользят на раменах кругых,
И шумные потоки мечутся над бездной..

Кавказ! будь ввек наперсником моей души,
Предметом будь моих ты вдохновений!
И мне везде, где-б ни был я—внуши
Полет высоких дум и сладость вспоминаний!

(д. თ-ის ლექსიდან „კავკასი“ — „უვავილი“, № 2.

თანაც, ქედს იხრის რა საერთო გატაცების წინაშე, მიხეილ
თუმანიშვილი უბრუნდება მეგობრობის პანკებს! (ლექსი „ქ დრუკ“
„უვავილი“, № 5)

მაგრამ უფრთ ძლიერად ჰუჯერებ მისი ლექსები, რომლებიც
შემოქმედებითს პროცესს ეხებიან, და კაეშნური პანკები, განმარ-
ტოებისაკენ რომ მოუწოდებენ.

Э Л Е Г И Я

К чему друзья, дары фортуны?
К чему нам слава юных лет?
Изменчив славы блеск мишурный,
Опасен счаствия обет.

Кто ведает, с какой звездою
К нам радость резвая слетит, —
И чем, какою суетою —
Нас голос дружбы веселит?

Быть может, завтра пир беспечный,
И этот шумный песней глас,
И чаш заздравных звук сердечный, —
Не усладят уж боле нас.

И вместо ленты плющ могильный
Над грудью нашей будет цвесть,
И вместо дружбы месяц бледный
Прольет свой луч на нашу перст.

(„უვავილი“, № 3)

ღიღი რუსი პოეტების გამოძახილი გაისმის, აგრეთვე მის, თუ-
მანიშვილის პროზაში:

„დღის მნათობი უკვე დასავლეთისაკენ იქრებოდა, როდესაც მე ვი-
დექი მგრგვინვარე მტკვრის კლდოვან ნაპირზე, ხელში მეჭირა ჩემი გაცვა-
ლებული ცხენის აღვითი და ხამუშ-ხამუშ ხელით ცუალერსებდი მის ჩამო-

გარცხნილ ფაფარს. ჩემს თვალშინ რბოდნენ არაგვი და მტკვარი ერთმანეთისაკენ. გინაზავთ კი როდისმე ამ თრი მთის მდინარის პაემის ადგილი? გამახარებელია იგი, ცოცხალდა იგი! ჩემი გაფიცხებული ცხენი თითქო მონაწილეობას იღებდა მათ აღტაცებაში. გაბერილი ნესტოები, აცქვეტილი ყურები, განცვიფრებული, ჩასისხლიანებული თვალები, ტანხე მომსქდარი ოფლი და ქაფი: ყოველივე ეს ბუმბერაზულ სანახაობას აძლევდა მას; ბალანაშლილი, იგი წვინებულდა და ტორებს სცემდა გრანიტოვან კლდეს.

აინდ-ბუნდი გაცილებით უფრო მშვენიერია და საგრძნობი მთებში. ცის ლაუგარდი თითქო ფეთქაქს შავმოისფრო ჰაერით. საღამოს დაისი, რომელიც უკვე ჩაქრა მტკვარში, ლამარის შუქივით ანთია მთების მწვანე ქოჩრებზე. თვალშინ სინათლე ჰქონება და მოგვაგონებს ყავაში შერეულ რძისფერს, და ცის თვალები ციალებენ ბრილიანტის ბრწყინვალებით. შორეულ მთებს ეფინება ხშირი ნისლის საბურავი. საგნები და მიდამოები შორს, შორს მისცურავენ... აღარა სჩანან... და აჲა... აი, ლამეც!..“

(„ყვავილი“, № 1 — „ქართლში გადასცელა“)

მიხეილ თუმანიშვილის თანამედროვე ახალგაზრდობა იწვრონებოდა გონიერივად იდეალისტური ფილოსოფიის საფუძვლებზე და მისი მსოფლმხედველობა მოსილია ყველა იმ თვისების საბურავით, რაც ახასიათებს ამ ფილოსოფიას. ამ მხრივ ძალიან საინტერესოა გამო-თქმანი პოლიტიკაზე და მორალზე.

„სამეფო ტახტა და ხალხთა პოლიტიკურ ყოფას — ამბობს ჯერ კიდევ თითქმის ყრმა მის. თუმანიშვილი „ყვავილის“ მე-3 №-ის სტატიაში „თვალის გადაცლება ძველ მსოფლიოს მოვლენებზე“ — ამტკიცებენ მარტოდენ წმინდა ზნეობისა და საღი გონიერების წესები, რწმენა და ჭეშმარიტება... ცრუაზროვნება და მორწმუნეობა, ბიწიერება და სათნოება, განათლება და უმეცრება, — აი ის სტიქიონები, რომლებისაგანაც შესდგება საზოგადოებრივი ცხოვრების მასა, — საფუძვლები, რომლებიც აუცილებლია მისი (ცხოვრების) კერძოობითი წარმატებისათვის“.

ამ, ცოტა არ იყოს, ბუნდოვან მსოფლმხედველობას შეესაბამება შეხედულება ისტორიაზე, გამოთქმული იმავე სტატიაში, რომელსაც ეპიგრაფად აქვს: „ხალხთა ძლიერება — არის მარტო ჩამომავლობის მექანიზრეობა, გრძნობები და აზრები — მთელი კაცობრიობის მექანიზრეობა“⁵⁵.

„კაცობრიობა — ამბობს მ. თ.-ლი, — ისრდება, როგორც ადამიანი, როგორც თვითეული ჩევენთაგანი ცალკე: იგი იყო ჩევილობაში, სრულ ასაკში; ჩენ მას ეხედავთ ხელა ჭალარა სიბერეში. საუკუნოები მისთვის კიბეა თავისი თავის შევნებისა და სრულყოფისათვის, როგორც ფიზიკურად, ისე ზნეობრივად. თვითეული საუკუნე აძლევს მას განსაკუთრებულ ფორმას, განსაკუთრებულად სცვლის მას და, მისდევს. რა თანდათანობით დროთა სვლას, იგი ინარჩუნებს შემდგომისათვის გაცვეთილს, რომელიც ეპევგა-რეშეა შეთვისებული აქვს წინანდელისაგან. და რამდენად მწყობრია, რამდენად მრავალფეროვანია ადამიანის ცხოვრების განვითარების სურათი!“

„ისტორია საზრდოა გონებისა და გულისათვის — ვკითხულობთ მ. თ. მეორე სტატიაში“ — დიდსულოვნობის იშვიათი მაგალითები — სათნოებისა და წმინდა ზნეობის გაკვეთილებია... ისტორია გვხდის ჩვენ ყველა საჟუნევთა და პირთა თანამედროვეებად.“

ნარკვევი „თელეთობის დღეობა“ აგვიწერს სახალხო დღესასწაულს სოფ. თელეთში („ყვავილის“ მე-2 №-ი). აქ ჩვენ ვხედავთ ყრმა გიმნაზიელს ხალხთან შესისლხორცებულს: იგი გაერევა მღლოცველთა ბრძოში, რომელიც, როგორც სჩანს, გაცილებით ნაკლებ ფიქრობს დღესასწაულის მიზეზზე, ვიდრე იმ მცირე სიხარულზე, რაც მას მოელის; ხალხში გარეული, იგი თვალყურს ადევნებს საერთო მხიარულების სურათს და ფერადოვანად აგვიწერს თავის: შთაბეჭდილებას. ნარკვევი — 8—9 გვერდი — გვიჩვენებს, რომ ეს შთაბეჭდილება ზეზე ური, წარმავალი როდია. მართლაც და

„დიდი გულგრილობაა საჭირო, რომ თვალყური ადევნო თელეთობის მღლოცველთა ჭრელ და განუსაზღვრელ მრავალფრთხოებანებას. ცენტრალური ცენტრალური მისდევს, ქვეითო-ქვეით, ყველანი მიისწრაფიან, მიზღვანი, მიცოცავენ, ერთმანეთს ეხეთქებიან ვიწრო გზაზე. მებალები გარდისა და სხვა ყვაცილების თაიგულებს ისცრიან ხალხში. პატია გოგო-ბიჭები გროვა-გროვა დაჯგუფულან გზის გვერდებზე ჭრელი ბალდაზინებივით გაყოლებული ბალების ღობებზე გადმოხრილი თუთის ტოტებქვეშ (როგორც ბუზები თაფლის წვეთთან) და ჟღურტულობენ, ბლლაძუნაობენ. მზის მოელვარე ქხივებით ალაპლაპებულ მტვრის კორიანტეჭში გრძელ რიგებად სხედან და-ღვრემილი სახეებით საზანდრები და აშულები — ეს მათხოვარანი, უფრო კი უაზო-უკვლოთ მატანტალანი, და მოწყალებას თხოულობენ. ბუნებისა გან დასჯილონი, ისინი სწავლობენ ჩონგურზე დაკვრას, დაწრწიან ხატობიდან ხატობაში, ბაზრიდან ბაზარში და სახლიდან სახლში და სიმღერით ქებას ასხავენ გამვლელ-გამომვლელთ და, სოვერაგრებს.

• • • • •
ვისაც უნახავ ეს მხიარული, უდარდელობით და შეუკნებელი აღტაცებით გაცხოველებული დღესასწაული, განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც მზე უკვე დასავლეთისაკენ იხრება, — მას საშუალება ეძლევა გაირთოს თავისი მოცლილა წარმოდგენა.“

მიხეილ თუმანიშვილის აღძრული ინტერესი დღესასწაულისადმი შემთხვევითი არ არის. ჩვენ კიდევ ვნახავთ, თუ რა დიდ ცნობის მოყვარეობას იჩენს თვი კავკასიის ხალხთა, მათ ჩვეულებათა და ზნეთა მიმართ თავისი სიცოცხლის განმავლობაში — ახალგაზრდობაშიაც და ხნიერებაშიაც.

სარგის თმოვველის „ვისრამიანის“ ნაწყვეტმა, რომელიც მოთავსებულია „ყვავილის“ მე-2 №-ში, მრავალგზის გამოიწვია ლიტერატურის ისტორიკოსების ინტერესი. „ყვავილში“ მოთავსებული იყო თრი ნაწყვეტის თარგმანი — მე-2 №-ში, რომელიც შენახულია მიხეილ თუმანიშვილის არქივში, და მე-4 №-ში, რომელიც დღევანდლამდე ნაპოვნი არ არის, მე-2 №-ში შეტანილ ნაწყვეტის თარგმანი ხელ-

მოუწერელია. ამიტომ გვრჩება მხოლოდ ვარაუდი თარგმნის ავტორის ვინაობაზე ცოტა-თუ ბევრი ზედმიწევნილობით. მიხეილ თუმანიშვილის შეკვეთი — გიორგიმ, რომელმაც პირველმა გამოაქვეყნა 1916 წელს ცნობები „ყვავილის“ ნაპოვნ რევულებზე, ის აზრი გამოსთვევა უკვე ზევით აღნიშნულ შენიშვნაში, რომ თარგმანი ნიკ. ბარათაშვილს ეკუთვნისო (ყველა ხუთი ნომრის საერთო სარჩევში ერთი ნაწყვეტის მთარგმნელად დასახელებულია ბარათაშვილი, ხოლო მეორისა — თუმანიშვილი, იმის აღუნიშვნელად, სახელდობრ რომელ ნომრებშია მოთავსებული მათი თარგმანები), მაგრამ მისივე გამოუქვეყნებელ შენიშვნებში, რომლებიც მისი სიკვდილის შემდეგ დარჩა და 1918 წლის დროისაა, იგი გაკვრით აღნიშნავს, რომ არცერთ ნაპოვნ რევულში არავითარი შასალა არ მოიპოვება, რომელიც ნიკ. ბარათაშვილის კალამს ეკუთვნოდეს და რომ ყოველივე, რაც ბარათაშვილს დაუწერია „ყვავილისათვის“, მოთავსებულია არანაპოვნ მე-4 №-შით. ი. გრიშაშვილის აზრით (ჩ. 50 შენიშვნა), თარგმანის ავტორი შეიძლება ბარათაშვილი იყოს, მაგრამ იგი თავის აზრს გადაჭრით არ ადგია. ა. გაწერელია „ლიტერატურული საქართველოს“. 1936 წლის მე-12 №-ში კატეგორიულად სთვლის, რომ თარგმანი ეკუთვნის სწორედ „ბედი ქართლისა“-ს ავტორს.

„ყვავილის“ რევულების დაკვირვებით გადასინჯვა პქმნის მტკიცე რწმენას, რომ მე-2 №-ში მოთავსებული თარგმანი ბარათაშვილისა კი არ არის, არამედ მისი უმცროსი მეგობრის მიხეილ თუმანიშვილისაა. მართლაც და, მხოლოდ ერთი 1-ლი №-ის გარეკანზე აღნიშნულია ყველა იმ პირის გვარი, ვინც ჟურნალის გამოცემაში იმართა ჩაბმული, იმის მიუხედავად, მოთავსებულია თუ არა ამ ნომერში მათი ნაშრომი. დანარჩენ ნომრებში დასახელებულია ყველა ის თანამშრომელი, რომლის ნაშრომიც მოთავსებულია ბულეტინი განსაზღვრული განსაზღვრული ნომერში. სწორედ ასევე „ყვავილის“ მე-2 №-ში პირდაპირ არის ნაჩვენები; რომ იგი შეიცავს „ცდებს ლექსად და პროზად ანდრონიკოვისა, ბებუთოვისა, ვილემსისა, გრაფ გორსკისა, მონასტირსკისა, ტიტკოვისა და ჩკონიევისას“, ხოლო ბარათაშვილი დასახელებული არ არის. სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება გვარწმუნებს, რომ არსებული თარგმანი ეკუთვნის არა ბარათაშვილს, არამედ თუმანიშვილს. ასეა თუ ისეა, „ვისრამიანის“ ნაწყვეტის თარგმნის ავტორის ვინაობის საკითხის საბოლოო გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ მე-4 ნომრის პოვნის შემდეგ.

ცხადია, რალი თქმა უნდა, რომ თექვსმეტი და ჩვიდმეტი წლის ასაკში დაწერილი, მიხეილ თუმანიშვილის ლექსები განხილულ უნდა იქნეს, როგორც ჯერ კიდევ უმწიფარი კალმის ნაწარმოები. ხოლო მათზე, შედარებით, დიდხანს გაჩერება საჭიროა იმ მოსაზრებით,

რომ, უპირველეს ყოვლისა, ეს ლექსები მოწმობენ ავტორის თვალ-საჩინო ნიჭს. ამას გარდა, მათი შესწავლა ხელს უწყობს იმ გავლე-ნათა გამორკვევას, რასაც განიცდიდნენ თვით თუმანიშვილი და მისი თანამოაზრენი, კერძოდ ბარათაშვილიც. რუსული პოეზიის გავლენის კვალი, რაც აშკარად ეტყობა თუმანიშვილის ადრეულ ნაწარმოე-ბებს, მოსახანს აგრეთვე შემდგომი ხნის ქართულ ლექსებშიაც. პუშკი-ნის ანარეკლს ვხედავთ მიხეილ თუმანიშვილის ლექსის მეტრულ თავი-სებურებაშიაც, ხოლო ზოგიერთი სახე ნასესხები აქვს ლერმონტოვისაგან. ბარატინსკი და იაზიკოვი — წყაროა მისი ზეშთაგონებისა, რო-დესაც მეგობრებს მიმართავს. თავის მხრით ბაირონმაც, რომელიც ბატონობდა XIX საუკუნის ოციანი და ოცდაათიანი წლების თა-ობათა აწრისა და ოცნებაზე, დაასვა თვალსაჩინო დაღი თუმანიშვი-ლის პოეტურ შემოქმედებას — არა მარტო მის ადრეულ რუსულ ნა-წარმოებებს, არამედ აგრეთვე მის მერმინდელ ქართულ ლექსებშიაც (იხ. ამ წიგნის VIII თავი).

XIX საუკუნის რომანტიკული ლიტერატურის სოციალური ფეს-ვები საკმარისად გამოამზევა მარქსისტულმა კრიტიკამ და საჭირო აღარ არის აქ დავუბრუნდეთ შათ ანალიზს; ხოლო საქართველოს სპე-ციფიკურ პირობათა და სოციალურ თავისებურებათა როლს თბილი-სის გიმნაზიის წრის იდეოლოგიის ჩამოყალიბებაში ჩვენ უკვე ზოგა-დად შევეხეთ. აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ თუმანიშვილის პოეტური ნაწარმოებნი თითქმის მთლად ოცდაათიანი წლების პერიოდს ეკუთვ-ნიან: ორიგინალური ქართული ლექსები დაწერილია უკელა არა უგვიანეს 1838 წლისა;⁵⁸ ეს გარემოება მხედველობაში უნდა გვქონ-დეს მიხეილ თუმანიშვილის შემოქმედების ანალიზისა და მის პოეზია-ზე სხვადასხვა გავლენათა ელემენტების გამორკვევის დროს. იმავე წელს ეკუთვნის პუშკინის ნაწარმოებთა თარგმნები — როგორც მოდი-დო, მაგალითად, „ბალჩისარაის შადრევანი,“ ისე მომცრო — „ადელ“ და სხვა.

აგრეთვე, არ შეიძლება გზა აექცეს პირადი მოქნენტების როლს მიხეილ თუმანიშვილის ცხოვრებაში (საყვარელი ძმების დალუბვას და შევიწროებულ მატერიალურ მდგომარეობას, რამაც ხელი შეუშალა განათლების განვრძობას); მათი გავლენა მისი პოეტური შემოქმედე-ბის ხასიათსა და მიმართულებაზე უიჭველია.

მეგობრული ურთიერთობა თუმანიშვილსა და ბარათაშვილს შო-რის არ განელებულა გიმნაზიიდან გამოსვლისას. პირიქით, იგი განმ-ტკიცდა და ხანგრძლივ გულითად მეგობრობად გადაიქცა. ბარათა-შვილის ბიოგრაფიაში (გვ. 55) გამოთქმულია ის მოსაზრება, რომ ამ მეგობრობის საფუძველი იყო საერთო განწყობილება, რაც მათ სულიერად ანათესავებდა.

ახალგაზრდანი წვდებიან ერთომეორეს, დაიარებიან საერთო მეგობარებისას და ანდობენ ერთმანეთს თავიანთ რომანიულ თავგადასავალს. ორივენი გატაცებულნი არიან ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულით ეკატერინეთი და სიამოვნებით ისტრაფიან სტუმართმოყვარე წინანდალში. ორივენი ლექსებს სწერენ ალბომში — იმ დროის მოცური სენი — და აბამენ ურთიერთ შორის მიწერ-მოწერას ლექსებით, ერთად ოინბაზობენ, ერთად მიმართავენ მარიამ ფალავანდიშვილისას⁵⁹ დამცინავი ეპიგრამებით და მათრახის გადაკვრით მის ხანდაზმულობაზე და ისიც ლექსებით მწვავედ უპასუხებს მათ ცალ-ცალკე („მიხეილს“ და „ტატოს“), თანაც ნიშნის-მიგებით მათი რომანიული ისტორიის გამო ვიღაც პოლონელ ქალთან.

ორივე მეგობარი⁶⁰ ოცნებობდა სწავლის განგრძობაზე, მაგრამ ამ მხრით ორივეს წილად წვდა იმედის გაცრუება. გიმნაზიის გათავებისას ბარათაშვილს სურვილი ჰქონდა აერჩია სამხედრო კარიერა, რაც უფრო მეტად შეეფერებოდა საერთო მისტრაფებას მაღალი საზოგადოების ბრწყინვალე ცხოვრებისაკენ, მაშინდელ ახალგაზრდობას რომ თვალს უჭრელებდა და თავბრუს ახვევდა, მაგრამ ფიზიკურმა ნაკლოვანებამ (ფეხის მოტეხამ) აიძულა იგი უარი ეთქვა თავის სურვილზე⁶¹ და მან უნივერსიტეტზე დაიწყო ფიქრი. მამის გაღარიბებამ ამაზედაც ხელი ააღებინა: იგი შევიდა სამოქალაქო და სისტლის სამართლის სასამართლო პალატის ექსპედიციაში და შემდეგ სამაზრო ადმინისტრაციაში გადავიდა: ნახიჩევანში 1844 წელს მაზრას განაგებდალევან მელიქიშვილი; ტატო მისი თანაშემწე გახდა; 1845 წელს ელისავეტპოლში (განჯა) გადაიყვანეს იმავე თანამდებობაზე და იმავე წელს იგი გარდაიცვალა. „70-იანი წლებში — სწერს გ. ი. თუმანიშვილი თავისი „დახასიათებანი და მოგონებანი“-ს („Характеристики и воспоминания“) პირველი ტომის მე-2 გამოცემაში (გვ. 151) — მე და ქართული ლიტერატურის რამდენმამე მოყვარულმა მოვაწყეთ ტფილისში პატარა ამხანგობა — ქართველი კლასიკოსების გამოცემის მიზნით. პირველყოვლისა შევუდექით ნიკოლოზ ბარათაშვილის იმ ლექსების შეგროვებას, რომელიც გაფანტული იყო სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში, და აგრეთვე ჯერ კიდევ პრესაში გამოუქვეყნებელი ლექსებისა. ჩვენ გვინდოდა მოგვეთავსებინა განზრახულ კრებულში პოეტის ბიოგრაფია და სურათი, მაგრამ იმ დროს თბილისში არ აღმოჩნდნენ მისი მახლობელი ნათესავები, რომელთაგანაც მხოლოდ შეგვეძლო გაგვეგო საჭირო ბიოგრაფიული ცნობები, სურათი ხომ სრულიადაც ვერ ვიპოვეთ. იგი ნათესავებსაც არ აღმოაჩნდათ. მამიჩემის ქალალდებში ვპოვეთ ფანქრული მონასახი წარწერით „ნ. ბ.“ (Н. Б.). პოეტის თანამედროვეებმა სცნეს, რომ ეს მისი სურათია, ხოლო არა მთლად ხეირიანი. მონასახი, მათი სიტყვით, უფრო მის

პიძას გენერალ ილია თრბელიანს მოგვარონებს; ვიდრე თვით იმასათ. ასე გვითხრა ილ. გრ. ჭავჭავაძემ, რომელმაც გამოგვართო მამიქემის მონასახი, რათა პოეტის დისათვის და სხვა ნათესავებისათვის ეჩვენებინა. ეს მონასახი ხელიდან-ხელთ გადადიოდა და, ბოლოს, დაიკარგა. ამრიგად, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების პირველი გამოცემა გამოვიდა უბიოგრაფიოდ და უსურათოდ. შემდგომ გამოცემებში მოთავსებული იყო სურათი, მაგრამ საკმაოდ ფანტასტიური. ამბობენ, რომ პოეტი ძალიან ჰგავდა ერთერთ თავის დას, რომელშაც თურმე ძმის შემდეგ დიდხანს იკოცხლა; და აი, სწორეთ დის სახეს ნაკვთების მიხედვით მხატვარმა აღადგინა პოეტის სახეო. მამაქემი, რასაკვირველია, ნამდვილი მხატვარი არ იყო, მაგრამ მისი დილეტანტური ფანჯროლი მონასახები უმეტეს შემთხვევაში ემსგავსებოლნენ თავიანთ ორიგინალებს. ამის გამო, ჩემის აზრით, ნ. ბარათაშვილის გამომცემლებს მართებდათ გამოეყენებინათ ეს მონასახი, ვიდრე მიეპართნათ წემოხსენებული ფანტასტიური ხერხისათვის, ან გამოეცათ წიგნი სრულიად უსურათოდ, როგორც ჩვენ, ბარათაშვილის პირველი გამომცემელნი, მოვიქეცით. ამას მოითხოვდა პატივისცემა როგორც პოეტის ხსოვნისადმი, ისე მისი თაყვანისმცემლებისადმი“.

მიხეილ თუმანიშვილის მიერ გაკეთებული მონასახი, რომელზედაც აღნიშნულია „ნ. ბ.“, მაინც არ დაკარგულა და პირველად წარმოსახულია გაზეთებში 1916 წელს ბარათაშვილის დაბადებიდან ასწლის. შესრულების გამო. იგი საკუთრება იყო ანასტასია მიხეილის ასულის თუმანიშვილის-წერეთლისა და ამ უამად მეტების მუზეუმშია. ბარათაშვილის სურათის მეორე გვერდზე სხვა მონასახია ასოებით „ზ. პ.“ („ვ. პ.“) და, გიორგი თუმანიშვილის აზრით (იხ. ბარათაშვილის ბიოგრაფია 1922 წ.), იგი გამოხატავს 1845 წელს გარდაცვალებულ ლიტერატორ ზაქარია ფალავანდიშვილს.

თუმანიშვილისა და ბარათაშვილის ურთიერთისადმი მიწერ-მოწერიდან დღემდე აღმოჩენილია მხოლოდ ერთი წერილი, სახელდობრ ბარათაშვილისა 1838 წ. აგვისტოს 6-ის თარიღით, რომელიც არაერთხელ იყო გამოქვეყნებული.⁶² მაგრამ ამ საპასუხო წერილიდან ცხადად სჩანს, რომ მეგობართ შორის ცოტად თუ ბევრად ხანგძლივი მიწერ-მოწერა ყოფილა.

„Милый друг! не пеняй на меня за молчание. Право, в нашем скучном от жаров, душном от пыли городе нет ничего любопытного. Я оживляюсь только по вечерам лунным, так прекрасным в Тифлисе. Вчера, в один из этих вечеров, пошел я бродить к Московской заставе; вдруг я очутился на кладбище. Признаюсь, немножко смущился, когда я взглянул на это онемение. 11-ть часов ночи. Ни души. Кругом пустота вечная; луна тускло освещает могилы, как дорогая лампада усопшего. Тихо и медленно протекает Кура, как будто боясь нарушить покой в

этом унылом мире... Ты теперь в раздолье и я не хочу смущать тебя мрачными думами, которые навело мне на душу это зрелище небесно-земное! Но скажу, что прекрасное изобретение кладбище, а это необходимо, чтобы смертный порою читывал-бы по нему свою жизнь; утешение несчастного, конец счастию! Ну, обратимся к тебе: Спасибо брат за письма,* — за удовольствие. Последнее из них читали мы с Захарием Орбелиановым.⁶³ Это была критика, или лучше, послание к сочинителю „Астр“⁶⁴. Прекрасно! Только, кажется, оно не достигнет цели, то есть ты не узнаешь, кто это неведомое „Астр“⁶⁵. Это тайна сочинителя! Он писал ни для тебя, ни для света, писал для нея одной, она его понимает и он этим доволен. Что-ж ему больще? Нужды нет, понял ли ты его, или нет? Мы все знаем только, что предмет укращает стихи. А если хочешь знать одно только значение слова „Астр“, то это очень просто: оно взято с французского astre, которое по нашему, слово таизб, значит, звезда, — ауг, бурм ბաტომ!

Скажу тебе новость, մու ար ցայցաբնացքօ. Я еду сегодня, вечером в д. Мцкнети—зачем?—А затем, что она там. Мать ея просила меня прости с ними несколько дней. Каковы должны быть эти дни? ՁՅՇ Ձմձչզօ, ՁԵ! Однакож, кончим беседу, а то прозеваю на почту, ты знаешь, я не люблю заготовлять заранее письма.

Прощай, пустынник Алагянской долины! Поведай мне что-нибудь о деве твоей земли!

Весь твой Н. Баратов.

P. S. Не успел написать особо к Варламову. Если увидишься с ним, скажи ему, что дело его обработано, как он хотел, и представлен к чину. Пусть теперь примирится с светом».

Ես թյրոլո ցացազնոլո ուշ „Ծյռողովուն Այստունո“ (յոթ. Պարսկական Կոլոճցы, աթլո „Ծյուելո Այստուն“ յաեցտն), Սաժակ մոելուն տպման վայրուն Խաղելուն արարեցած աղքարեսաւուն, հոգունը մուսո նախընուն ցացից անցեցին, ոցո մուշուն օցանուն 10-ս (աշտարակուն Սայարտզելուն մունջունուն 2484 №-ուն).

Թյուրուն սրտույրունուն ծարատանուն լու տպման վայրուն Մորուն հոմ ամուն Մեմլեցաւ ցացրեցին — յս օմյարած և հանս և եւա Յուրտա թյրոլուն էնթան տպման վայրուն Խաղելուն. 1839 թլուն ովլուն 29-ս Յուրուն էնթան Յուրուն լուսա-թածլունուն տացուն վրւուն. Թյրոլուն ծալուն (թյրոլո ցամոցազնունուն պատճինան տծունուն մուսուն) Ստեղան մոելուն տպման վայրուն ցադասւուն մուսո ցուլունուն մագլուն տազ. ծարատանուն եսուն սատուն լու լրմա. Յագունուն կամաց և եւանան հոմ շայիւն, լուսա-թածլունուն օւրուն, հոմ թ. տպման վայրուն լու նոյ. ծարատանուն ենուն եզրուն եզրուն երանան ամանց պատճին ցանան; 1841 թլուն լուսա-թածլուն 15-ս, լույս օւսարլուն վայրուն տացուն թյրոլուն տպման վայրունուն օւրուն, ցադասւուն սալուն („привет“) „ծարատան“, լույս օւրուն լուսա-թածլուն լու մելուն յանաւուն.

* Քարսուն պայլան թյրոլուն աշտարակունա,

ბარათაშვილის ზეკით მოყვანილ წერილში (1838 წ. აგვისტოს 6) ნახსენებია „ასტრა“. ბარათაშვილის წერილიდან სჩანს, რომ მას მიუღია თუმანიშვილისაგან „კრიტიკა, ან უკეთ, უსტარი „ასტრას“ მთხველისადმი.“ ვინ არის ეს „ასტრა“ — ეს მთხველის საიდუმლოა: „იგი სწერდა არც შენთვის, არც ქვეყნისთვის; იგი სწერდა მხოლოდ მისთვის; მას ესმის მისი და იგი ამით კმაყოფილია; სხვა რაღა უნდა? რაში ენაღვლება, იკანი შენ იგი თუ არა?“

უნდა ვითიქროთ, რომ ბარათაშვილმა „შეთხზა“ რაღაცა იდუ-მალ „ვარსკვლავზე“, ხოლო თუმანიშვილმა მის საპასუხოდ დას-წერა ლექსი — „კრიტიკა, ან უკეთ, უსტარი მთხველისადმი — „ასტრა“.«

ბარათაშვილის სიკვდილის შემდეგ არ დარჩენილა ლექსი „ასტრა“ — ს სათაურით: მაგრამ ერთი მისი ნაწარმოები, სახელდობრ ის, რომელიც მიძღვნილია „ქ[ნეინა] დ[არია] ჩ[ოლოვაშვილი]-სადმი“ * და რომელიც იწყება „მთიებო“...-თი, როგორც ეტყობა, ძალიან ახლოა შინაარსით „ასტრაზე“, თუ იგივე „ასტრა“ არ არის. მეორეს მხრით, მიხეილ თუმანიშვილს აქვს ნაკლებად ცნობილი ლექსი „ასტრა“, პირვანდელი რედაქციით მას ერქვა „ასტრაზე“. იგი პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ 1918 წლის მე-9 №-ში სათაურით „ასტრას“ და შემდეგი შენიშვნით: „ამ ლექსის საგანს ეხება ნ. ბარათაშვილი თავის წიგნში, რომელიც მიწერილი იყო: მისგან მიხეილ თუმანიშვილთან (იხ. ბარათაშვილის თხზულებაში)“. თვით ლექსის პირვანდელი სათაურიდან და გადაკვრით გამოთქმული სიტყვებიდან სჩანს, რომ ნამდვილად იგი არის სწორედ „კრიტიკა, ან უკეთ, უსტარი „ასტრას“ მთხველადმი“.

„ასტრავ, ასტრავ, უცნაურო კაცთათვის! სადაურო, სად მოსულხარ ან რისთვის? უსულო ხარ, სულიერი, ვინ იცის? ეს სახელი არ ჰქმენია არავის? ნუთუ ხარ შენ ანგელოსი ციური, ან ყვავილი უსახელო, ველური? ანუ თვალი უძვირფასესი ზღვისა? მკითხველთათვის ხარ მარად უცნაური. მოფრენილი შორეულისა ქვეყნით, კარგის სიტყვით, კარგის სტიზით, კარგის ხმით: ვერავისგან შეწყნარებას ვერ ჰპოებ, მიუხვედრის, ასტრავ, შენის წოდებით, გაისარჯე, წანვედ შენსა დამწერთან, ოდესცა სცნობ შენსა სახელსა მისგან, მაშინ გაქვნდეს უგჭველი იმედი, რომ იქნები წაკითხული ყველასგან“.

* იხ. ი. ბალახაშვილის სტატია „ლიტერ. საქართვ“. 1936 წ. მე-2 №-ში, ლექსი პირველად მოთავსებულია „ცისკრის“ 1862 წლის თებერვლის ნომერში, მაგრამ მაშინ ლექსი შეუმჩნეველი დარჩა. ლექსი. ხელმოწერილია ასე: „თ. ნ. ბ.“.



მ. ბ. თუმანიშვილი
(მისივე ფანქრით ნახატი)

უსტარი, ალბათ, დართული ჰქონდა თუმანიშვილის წერილს. თარიღებსა და ადგილს რომ მიემართოთ, „ასტრა“, როგორც მის დედანზეა აღნიშნული, დაწერილია 1838 წლის ივლისის 15-ს, საღამოს 7 საათზე წინანდალში; ხოლო ბარათაშვილის პასუხი დათარიღებულია 6 აგვისტოთი და გაგზავნილია დედოფლის-წყაროს, საღაც თუმანიშვილი გადავიდა. ამნაირად, თარიღთა დაბირისპირება აღასტურებს ზევით გამოტკიცულ მოსაზრებას.

მიხეილ თუმანიშვილი განიცდიდა იმ დროს ტრაფობის აღს. წინანდალში მოგზაურობა და დღემდე გამოუქვეყნებელი მისი ლექსი, რომელიც ეძღვნა „კ. ჭ.“, * ნათლად გვიჩვენებს, რომ იგი ვერ გადურჩა მისი წრის ახალგაზრდების საერთო ხვედრს და ეძიებდა ზეშთაგონებას ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლში, საღაც ოცდაათიან წლებში ლიტერატურა, სიჭაბუკე და სილამაზე ერთი მეორეს ჰმეტოქეობდა „გულთა“ მიზიდვის ასპარეზზე. თვით ბარათაშვილმაც უძლვნა ეკატერინეს (1816 — 1882) ლექსი „საყურე“.

„კ. ჭ.“-სთვის — ამ „წინანდლის ვარდისათვის“ ** — მიძღვნილი ლექსი, ყველა ნიშნის მიხედვით, 1838 წლის ზაფხულს ან შემოდგომას ეკუთვნის. იგი ავტორს გაუმართავი დარჩა:

თ. კ. ჭ. ალბომზე

არ სასახელოდ, არა საქებრად
წარმოსთქვამს ენა სახელსა შენსა:
მხოლოდ ტურფა... რა მადლობელად
გიძღვნის მელექს ამა ლექსებსა:
რომ ვიქმენ ლირისი ნაზად ჭვრეტისა,
რომ მოისმინე ყარიბი მდერა,
რომ განაზვივლე ალი გრძნობისა
და უდაბური ჩანგისა უდერა.
არა საქებრად, არა სახსოვრად,
მხოლოდ კრძალვითა ითხოვს მელექს,
რათა მიიღოთ სამადლობელად
თქვენსა ალბომში ლექსები ესე.

მიხეილ თუმანიშვილის სწორედ ამ გატაცებას გულისხმობს ნიკ. ბარათაშვილი, როდესაც სიტყვის „გადაკვრით სთხოვს წალაზნის ხეობის მეუდაბნოეს, — ასეთი ნართაული სახელი უწოდა მან თავის მეგობარს, — აუწყოს რამ თვეისი მიწა-წყლის (ე. ი. ალაზნის ხეობის) ჭალ-წულზე.

* ეს ასლები უნდა ნიშნავდეს ან „კატო ჭავჭავაძეს“, ან რაც — მეტად საეჭვოა — „კნივინა“ თუ „კნივინა ჭავჭავაძეს“. ** ამ სათაურით მასვე უძლვნა ლექსი გრ. ორბელიანმა.

რაც დრო გადის, ე. ი. ორმოციანი წლების ნახევარში, ამ ორი ახალგაზრდის მეგობრობა უფრო და უფრო მტკიცდება. ამ მევობრობას ასაზრდოებს საერთო სულიერი ინტერესები, ორივეს მიღრეკილება ლიტერატურისადმი. შინაური საქმეები, სამსახური დიდ ღრას ართმევა ძათ, მაგრამ ყოველ თავისუფალ წუთს ისინი იყენებენ ცოდნის განკუთხიბისა და კითხვისათვის.

თუმანიშვილის ქორწინებამ როდი ჩამოაშორა იგი ლიტერატურულ ინტერესებს, ვიღრე ბართაშვილი პროვინციაში არ წავიდა სამსახურის გამო, მეგობრები ერთად დადიოდნენ დიმიტრი ყიფიანისას და მონაწილეობას იღებდნენ კერძო ბიბლიოთეკის შექმნაში. ისინი ხშირად არიან მანანა ორბელიანის სალონში, სადაც კითხულობენ თავიანთ ნაწარმოებთ და ისმენებ სხვებისას. ბარათაშვილი ნახულობს თავის მეგობარს მის ახალ სახლში გარეთუბანს და იქ ისინი ბჭობენ სალიტერატურო გეგმებზე.

დიმიტრი ჯორჯაძის ერთერთი წერილი შრავალთაგან მიხეილ თუმანიშვილისადმი თვალნათლივად მოწმობს იმას, რომ მჭიდრო კავშირი ბარათაშვილსა და თუმანიშვილს შორის არ შეწყვეტილა ბარათაშვილის სიკვდილიამდე. ეს წერილი მნიშვნელოვანია კიდევ იმით, რომ ადასტურებს ბარათაშვილის თბილისში ჩამოსვლას ელისავეტპოლში წასვლის წინ. როგორც ყველა წერილს დიმიტრი ჯორჯაძისას. ამ წერილსაც თარიღი არა აქვს, მაგრამ იგი დაწერილია მახეილ თუმანიშვილის, ძმის ვასილის. სიკვდილის გამო და სწორედ ამ უბედურების რამდენიმე დღის შემდეგ. მიხიელ თუმანიშვილი გაემზაფრა გორს და ხელთუბანს და ჯორჯაძე ჰეზავნის წერილს შემდეგი მისამართით: „ქ. გორს ანუ სადაც ბრძანდებოდეს“. ვასილი გარდაიცვალა 1845 წლის მარტის 8-ს, მაშასაღამე წერილი დაწერილ არა უგვიანეს იმავე წლის მარტის 12 — 15-სა. ჯორჯაძე სამძიმარს უთვლის ვასილის გარდაცვალების გამო, ანუგეშებს თავის მეგობარს და ატყობინებს, რომ გუბერნატორმა (ივ. მალხ. ანდრონიკაშვილმა), რა გაიგო მისი უბედურება, განკარგულება გასცა, ნუ შეაწუხებთ მის. თუმ. ნიშვილს ქალალდებითა. „ამ წიგნს აბესალომოვი მოგიტანდა აქაურს ამბებს ყველა ამისგან. შეიტყობთ. დღეს სულ ხანვი ნახჩევანს გავისტუმრეთ ნაჩალნიკათ ლეკანის [მელიქიშვილი] ადგილს. ის დატარო [ბარათაშვილი] აქავ მოდიან... ვინდლო თქვენები ისევ შენ ანუგეშო და არ დაემორჩილო მწუხარებას და იმასაც გირჩევ ესენი. რომ დაბრუნდნენ ან თან გამოჰყვე და ან ორიოდე დღეს უკან ჩამოზვიდე“...

მეორე წერილიდან მიხ. თუმანიშვილის სახელშე 1852 წლის თარიღით, რომელიც, როგორც სჩანს, ვახტანგ ერისთავისაგან არის (ულმოწერა მეტად გაუჩვეველია), ერთხელ კიდევ მტკიცდება, რომ

მის. თუმანიშვილი რომისძიებას ხმარობდა ნიკ. ბარათაშვილის ლი-ტერატურული მემკვიდრეობის დასაცავად და აგროვებდა მისი ლექ-სების პირებს.

„სასურველო ძმაო მიხეილ,

ის გადაწერილი, რომელიც მანდ მოგიტანე, ჩემმა სიმამრმა წამართვა (თუ ვინიცობა არის შეგხვდეთ, ნუ ეტყვით, თორჯო გამლანდავს) და აი ძმაო ხასურველო, კიდევ გადასწერე და მოგართვი. რაც არის ნათქვამი საჭყლის ტატოსაგან, სულ ეს არის. ამაზე მეტი აღარ არის და სწორეთაც არის გადაწერილი, ყოველივე, ლექსი ასო ასოზედ არის გადმოლებული.

ნება მომეც, სასურველო ძმაო, ჩემს სასურველს პირს მრავალი გაკოცო და დავშეაგები ჟერთგულესი მონა და ძმა, თქვენი

თ. ფახტ. ერასთავი.

1845 წელში რომ პახოდში იყვნენ ჩვენი თავადიშვილები, იშაზედ დასწერა იყლო არ ვიპოვნე ის აკლია. იმასაც, სადაც იქნება ვიპოვნი და მოგართმევ.

18 11
29 52

ირტოსა“.

ის ლექსი (1844 წ. სექტ. 23), რომელსაც ერისთავი მინაწერში იხსენიებს, დედნად შენახულა (ავტოგრაფი) მის. თუმანიშვილის არ-ქივში და მისი მემკვიდრეობის მიერ გადაეცა შემდეგ საქართველოს მწერალთა მუზეუმს. თუ იგი 1852 წელს მიხეილ თუმანიშვილის ხელთ იყო, აშკარაა, რომ ერისთავი, რომელმაც ეს არ იცოდა, ვერ იპოვნიდა ამ ლექსს ბარათაშვილის ქაღალდებში.

ნიკ. ბარათაშვილის ლექსთა ასლები, მიხეილ თუმანიშვილის არ-ქივში დარჩენილი, ყველაზე სრული კრებულია — ლექსები რამდენიმე რვეულია. ისინი გამოუყენებია ილია ჭავჭავაძეს „საქართველოს მოამ-ბისათვის“, ხოლო შემდეგ — ახალგაზრდობის ერთ წრეს პოეტის ნა-წარმოებთა პირველი გამოცემისათვის. მიხეილ თუმანიშვილის მიერ გიმნაზიაში შედგენილ ანთოლოგიას შეუნახავს შთამოებისათვის ბარათაშვილის ხუთი ლექსი, რომელთა შორის სამი სრულიად უცნობი იყო ლიტერატურაში, ვიდრე ანთოლოგიას ყურადღება არ მიაქ-ცია ს. გორგაძემ, ხოლო ორი წარმოადგენს უცნობ ვარიანტს.

ნიკ. ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მის. თუმანიშვილის მოკლე ჩანაწერს, ვინაიდან პოეტის დაბადების წელი დღევანდლამდე ზედმიწევნით გამორკვეული არ არის. ეს ჩანა-წერი აღმოჩნდა მის. თუმანიშვილის იმ შენიშვნაში, რომლებიც მას გაუკეთებია ელისავეტპოლში (განჯა — ახლა კიროვაბადი) ყოფნის დროს 1851 წელს, მამუკა ორბელიანთან ერთად ამ ქალაქის დათვა-ლიერებისას.

„ელისავეტპოლის ციხეში, მართლმადიდებელთა ეკლესიის გვერდით, დასაფლავებულია შირვანის ქვეითი პოლკის (ამ უამად გრაფის პოლკი) პოდპოლკოვნიკი ევგრაფ ვასილის-ძე გრეკო ვი, სპარსელების მიერ მოკლული ელისავეტპოლთან 1826 წლის სექტემბრის 13-ს, და ნიკოლოზ მელიტონის-ძე] ბარათოვი, გარდაცვალებული 1845 წელს დაბადები-დან 29 (ოცდამეცხრე) წელს“.

მიხ. თუმანიშვილის სამახსოვრო ჩანაწერების დიდი ღირსება იყო სრული ზედმიწევნილობა ადგილისა, თარიღისა, ციფრისა და სხვა ცნობების მხრით, რაც საჭიროა ამა თუ იმ შემოხვევის დროის გამო-სარქვევად. ნიკ. ბარათაშვილის წლოვანება არ შეიძლება მას კარგად არ სცოდნოდა. რადგანაც ბავშვობიდანვე ახლო კავშირი ჰქონდათ. ამრიგად, ლიტერატურის იმ ისტორიკოსების საბურებს, რამელნიც „მერანის“ ავტორის დაბადებას 1816 წელს აკუთვნებენ, უმატება კი-დევ ერთერთი მისი ახლო მეგობრის მოწმობაც.*

იმავე 1838 — 1842 წლების პერიოდს ეკუთვნის მიხეილ თუმანი-შვილისა და პოლონელი პოეტის ლაშადა-ზაბლოცკის ნაცნობობა, რაც თვალსაჩინოდ ახასიათებს იმ წრის გონიეროვან განწყობილებას, რომელ-შიაც ტრიალებდნენ ნიკოლოზ ბარათაშვილი და მიხეილ, თუმანი-შვილი.

1831 წლის აჯანყების შემდეგ ერთიერთმანეთზე თანმიცოლით: თბილისში გამოჩნდნენ პოლონელი ენთუზიასტები — უპირატესად, ახალგაზრდობა, უკვე დაზიანებული, მაგრამ ჯერ კიდევ ფრთებშეუ-კვეცელი. მათ მოიტანეს თან ვანმათავისუფლებული ოცნების სიო, მათ მოიტანეს თან კულტი ადამ მიცკვიჩისა, რომელზედაც იმ დრომდე კავკასიაში არაფერი იცოდნენ. მიცკვიჩი — როგორც საბრძოლო დროშა, ბაირონი — როგორც კულგატებილობის ანარეკლი — არ შორ-დებოდნენ მათ ბაგეთ. ნიკ. ბარათაშვილი და მიხ. თუმანიშვილი ხვდებოდნენ ახალგაზრდა პოლონელებს ნაცნობ აჯახებში, იღებდნენ: მათ თავისისა და მეგობრული დაუკავშირდნენ ზოგიერთ მათგანს. ნიკიერი პოეტი ზაბლოცკი ყველაზე გვიან მოვიდა თბილისს. მან ხანგრძლივი მეგობრული კავშირი გააბა ახალგაზრდა პოეტებთან.

ფადედე ლადა-ზაბლოცკი ვიტებსკის გუბერნიიდან იყო, სწავლობ-და მოსკოვის უნივერსიტეტში; 1834 წელს იგი დაატუსაღეს სხვა მრავალ სტუდენტთან ერთად და გადმოასახლეს კავკასიას, ერთერთ სალილში მონაწილეობისათვის, საღაც წარმოთქმული თურმე იყო მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვები. კავკასიაში მოხვლისას ზაბ-ლოცკი „გაასალდათეს“. პირველ ხანს იგი დედოფლის წყაროში იყო და, გვგონია, შეცდომა არ იქნება, ვთქვათ, რომ სწორედ აქ გაიცნო.

* ნიკ. ბარათაშვილისა და მიხ. თუმანიშვილის შემოქმედების საერთო მოტი-ვების როლის შესახებ იხ. ამ წიგნის VIII თავი:

იგი მიხ. თუმანიშვილმა, რომელიც ნიშანდობლივ 1838 წლის აგვისტოში აქ ისვენებდა. თბილისში დაბრუნებისას მან სექტემბერში ზაბლოცკის წერილი მისწერა, სადაც გამოსთქვამდა მისდამი მეგობრულ განწყობილებას, უზიარებდა თავის შწუხარებას (თავისი ძმის გრიგოლის საბედისწერო ავადმყოფობას), აწვდიდა ქართული ლიტერატურის ისტორიის მასალას, რომლითაც ზაბლოცკი ძალიან დაინტერესებული იყო, და ეკრანზებოდა, აპირებს თუ არა პოლონელი პოეტი თბილისში ჩამოსვლას. საუბარი დედოფლის წყაროში ეხებოდა უძთავრესად ზაბლოცკის მუშაობას ქართული ლიტერატურისა და ისტორიის გარშემო. ცხადია, არც პოლიტიკას აუქცევდნენ გზას. თუმცა მათ მიწერ-მოწერაში, ადვილად მისახველი მიწეზის გამო, პოლიტიკა არა სჩანს, მაგრამ იმავე 1838 წლის ოქტომბრის 1-ის საპასუხო წერილში ზაბლოცკი არა ერთხულ ქარაგმულად აღნიშნავს თავის მძიმე მდგომარეობას, როგორც გაძევებული აღამიანისას. იგი მხურვალე მადლობას უთვლის ახალ მეგობარს კეთილი განწყობილებისა და გულითადი მიღრეკილებისათვის „უბეღური გარევებულისადმი“. ურთიერთობა მათ შორის სწრაფად მტკიცდება. არ გაუვლია დიდხანს დედოფლის წყაროდან თუმანიშვილის წასვლის შემდეგ, რომ ზაბლოცკის გადაუთარებინა. თავის სამშობლო ენაზე იქვე აგვისტოს 3-ს მიხ. თუმანიშვილის მიერ დაწერილ ლექსი „ფიალა“ და გადაუთარებინა, მისივე სიტყვით, „თითქო საკმაოდ მარჯვედ“.⁵⁵

პოლონელი და ქართველი პოეტების გაცნობა დაემთხვა მიხეილ თუმანიშვილის გატაცებას „ქალწულით“, რომელზედაც ეკილოვავება მას ნიკ. ბარათაშვილი თავის წერილში აგვისტოს 6-ის თარიღით. ამ გარემოებამ უფრო დაახლოვა ახალგაზრდა პოეტები, გაუღვიძა რა ზაბლოცკისაც მოგონებანი წარსულ (წარსული მხოლოდ?) სიყვარულზე მას დღეთა „ოქროს ოცნებისათა.“

იმავე ოქტომბრის ბოლოს მიხეილ თუმანიშვილი ატყობინებს ზაბლოცკის თავისი ძმის გარდაცვალებას (გრიგოლი გარდაცვალა ჭლექით ოქტომბრის 12-ს) და თანაც სთხოვს გამოუგზავნოს „ფიალის“ თარგმანი. ზაბლოცკი ისწრაფის ნოემბრის 6-ს უპასუხოს წერილით, სადაც, ნუგეშისცემასთან ერთად, აცნობებს, მალე თბილისში ვაპირებ ჩამოსვლას და შევუდგები ქართული ენის შესწავლას. იგი უგზავნის თუმანიშვილს თარგმანს და ქებათა-ქებას ასხამს „ფიალას“.

ნიკ. ბარათაშვილი, ვარლამოვი და სტოცკი⁵⁶ (ეს უკანასკნელი თუმანიშვილისათვის გაუცვნია ზაბლოცკის) უთვლიან თუმანიშვილის მეშვეობით პოლონელ პოეტს სალამს და იგიც ამითვე უპასუხებს მათ.

თავის წერილს ზაბლოცკიმ დაურთო არა მარტო პოლონური თარ-
გმანი, რაც, მისი სიტყვით, რამოდენადმე დაშორებულია დედანს,
არამედ აგრეთვე რუსული სტრიქონ-სტრიქონბითი თარგმანიც;
აქედან აშკარაა, რომ ეს უკანასკნელი გაუკეთებია არა თვით ავტორს,
არამედ სხვა ვისმე, თორემ ზაბლოცკი რად გაუგზავნიდა ამ თარ-
გმანს?!: „Люблю хрустальную чашу, когда в ней вино шумит
и кипит, когда пурпурной волной бежит, пылает, брызжет ис-
крами. Люблю уста дев Кавказа, исполненные любовного
напитка, когда он проливается в огненном попелуе. Но на уста
ветхой бабы, на которых сгорел пурпур жизни — я смотрю
с отвращением, как будто-бы на порожнюю; выпедшую из
употребления чашу“.

სიტყვა „бабы“, რასაკვირველია, თარგმანში არ იქნებოდა, იგრ
რომ თვით ავტორს გაეკეთებინა.

მიწერ-მოწერაში ორ პოეტს შორის ხარვეზია: ცნობილია, რომ
1839 წელს ზაბლოცკიმ მიმართა თუმანიშვილს რაღაც; თხოვნით
მშობლებთან მიწერ-მოწერის გამო და მიხ. თუმანიშვილმა ივლისის
22-ს აცნობა თავის მეგობარს, რომ მისი თხოვნა შესრულებულია,
ზაბლოცკი იულისის 29-ის წერილით ყუბის ციხე-სიმაგრიდან მაღ-
ლობას უთვლის თუმანიშვილს და აცნობებს, მალე თბილის დავ-
ბრუნდებიო. ეს წერილი გამსჭვალულია ლრმა მელანქოლიით და
ჩივილით იმის გამო, რომ მთებში უბდება გამაწვალებელი ლაშქრო-
ბა უძრალო სალდათის ვითარებაში, „მთლად დაზურგულს ჩანთა-გუ-
დანაბადით, თოფით ხელში ხოხვა და ცოცვა მწვერვალებსა და
უფსკრულებში“; იგი წყევლა-კრულვით იხსენიებს კავკასიის მთებს.
ზაბლოცკი მადლობას უხდის მიხ. თუმანიშვილს ნიკოლოზ ბარათაშ-
ვილის სახელით გადაცემული სალამისათვის და, თავისი მხრით,
სთხოვს მას მიესალმოს სოლტანოვსკისა? და ბარათაშვილს.

პოლონელი პოეტის წერილები, ყოველ შემთხვევაში, ის წერი-
ლები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს, დაწერილია მთლად გავსებულ
ფოსტის ქალალდზე წვრილი, მიჯრით მიმსხდარი თანაზომიერი ასო-
ებით, რაც მათი პატრონის შვიდ და წყნარ ხასიათს ამჟღავნებს.
ხოლო წერილების შინაარსი გვიჩვენებს, რომ ზაბლოცკი გადმოხვე-
წილობის პირველ წლებში განიცდიდა მძიმე სულიერ ტანჯვას. სარე-
დაქციო შენიშვნა, რომელიც თან ახლავს გიორგი თუმანიშვილის მიერ
აღმოჩენილ და 1911 წელს გაზეთ „ზაკავკაზიეში“ გამოქვეყნებულ
ზაბლოცკის სამ წერილს“ (შენიშვნა, როგორც ყოველი. ცნობილან-
სჩანს, დაწერილია გ. თუმანიშვილის მიერვე), სხვათა შორის,
აღნიშნავს, რომ „მისი (ზაბლოცკის) პოეტური ნიჭი გამოსჭვივის აქ.
დაბეჭდილ წერილებშიაც, განსაკუთრებით უკანასკნელში“.

დაბოლოს, როგორც იყო, პოლონელმა პოეტმა მოახერხა „სალ-დათობის.“ ტვირთის მოშორება და იგი დაბინავდა თბილისში.

არსებობს ცნობები,¹⁰ რომ 1846 წელს იგი გულმოდგინედ სთარგ-მნიდა უკრაინულ სიმღერებს ფრანგულ ენაზე, რისთვისაც პეტერ-ბურგიდან. იწერდა „მალოროსიულ“ და „ჩერვონო-რუსული“ ხალ-ხური შემოქმედების კრებულებს. უკრაინელი პატრიოტები დიდ იმედებს ამყარებლნენ ზაბლოცკის მუშაობაზე და პ. ა. კულეში, ცნობილი უკრაინოფილი, 1846 წლის აგვისტოს 21-ს სწერდა ო. მ. ბოდიანსკის, რომ ზაბლოცკის გამოცემა „გამოვა პარიზში და ჩერნი პოეზიას და ისტორიას (შესავალი ვრცელი იქნება) მთელს ევროპას გააცნობს, რაც აუცილებლად საჭიროა“-ო.

ზაბლოცკის ნაწარმოებნი იბეჭდებოდნენ ჯერ ცნობილი პოლო-ნელი მწერლის კრაშევსკის „ათენეულში“, პოდბერეცკის წელიწერულში და სხვ. ხოლო შემდეგ, 1845 წელს, გამოიცა ცალკე წიგნად პე-ტერბურგში.

1847 წელს ზაბლოცკი კულპის მარილის სარეწაოს ზედამხედ-ველი იყო, გარდაიცვალა იქ და იქვეა დასაფლავებული (ხოლო „ზა-კავკაზიეს“ სარედაქციო შენიშვნის ავტორის ცნობით — „ზაბლოცკი გარდაიცვალა თბილისში 1847 წელს სულ ახალგაზდა“). ზაბლოცკი, თუ ვარაუდში მივიღებთ, რომ 1834 წელს იგი სტუდენტი იყო, სიკვდილის უამს 30—31 ასაკისა უნდა ყოფილიყო.

ზაბლოცკის წერილები საკმარისი სიცხადით გვიჩვენებენ, ვის-თან იყო დაახლოვებული მ. თუმანიშვილი ახალგაზრდობის პერი-ოდში, გიმნაზიის გათავების შემდეგ. ხოლო ამ მისი მახლობელი ადამიანების ნუსხა ნათელყოფს, თუ რა ინტერესები აკავშირებდა ნა-მეგობრებთან სკოლიდან გამოსვლის შემდეგაც, როდესაც ჩვეულებ-რივ სკოლის მსწრაფლ წარმავალი ნაცნობობა ადგილად ჰქონდა და სასკოლო ინტერესების ნიადაგზე შეკრული ურთიერთობის კვანძები თანდათან იხსნება და იშლება. ბარათაშვილთან, ვარლამოვთან, ზაბ-ლოცკისთან¹¹ და, შეიძლება, სხვა პოლონელებთანაც — სოლტანოვს-კისთან და სტოცკისთან*. მიხეილ თუმანიშვილს აახლოებდა ლიტე-

* ინგლისელი ოფიცერი Wilbraham (Travels in the Trans-Caucasian provinces*, London, 1839), რომელიც ყოფილა ყარაგაჩში 1837 წელს ზამთარში, ე. ი. ნახევარი წლით იმასე ადრე, მ. თუმანიშვილი რომ დედოფლის წყაროში იყო დასასვენებლად, — იტყობინება, რომ ამ დროს ნიკეგორონდის პოლკში მსახუ-რობდა რამდენიმე ახალგაზრდა პოლონელი, არისტოკრატული ოჯახებიდან, რათ შორის გრაფი პლიატერი. ყველა მათგანი „გასალდათებული“ იყო აჯანყებაში მონაწილეობისათვის, მაგრამ ოფიცერთა წრეში მათ ისე იდებდნენ, როგორც თავიანთ თანასწორებსაო.

ყარაგაჩი სულ რამდენსამე კილომეტრზეა დედოფლის წყაროდან. ზაბლოცკის, უნდა ვიფიქროთ, კავშირი ჰქონდა ამ თავის თანამემამულებთან. თუმცა აქე-

რატურული, საზოგადოებრივი და, სრულიად საჯეროა, პგრეთვე პოლიტიკური ხასიათის ინტერესები. ახალგაზრდანი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს და განშორებისას მიწერმოწერას ჰმართავდნენ. როდესაც უნივერსიტეტში შესვლის იმედი გაუცრუვდათ, ბარათაშვილი და თუმანიშვილი იძულებულნი იყვნენ სახელმწიფო სამსახურს დასჯერებოდნენ, ვინაიდან მათ დროს ლიტერატურულ მუშაობაში სასყიდელს არ იძლეოდნენ და, მაშასადამე, ისინი ამ მუშაობით არ სებობის წყაროს ვერ გაიჩენდნენ. პირიქით, სახელმწიფო მოსამსახურის კარიერის არჩევით ისინი იმედოვნებდნენ თავიდან აეცილებინათ მომაბეჭრებელი ფიქრი სამუღამდღეო ლუქმა-პურზე და თავისუფალი დრო მოენდომებინათ ნანითნანატრი საქმისათვის.

თუმცა, მიხეილ თუმანიშვილმა ძალაუნებურად ხელი აიღო უმაღლეს სასწავლებელში შესვლაზე, მაინც იგი გულხელუაკრეფილი არ გაჩერებულა სწავლის განვრძობის დაბრკოლებათა წინაშე. მისთვის ჩვეული ნებისყოფით და ენერგიით შოპკიდა მან ხელი იმ ფრიად მცირე ცოდნის შევსებას, რაც გიმნაზიას კურსიდან გამოიტანა. იგი აღრმავებს ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლას, რასაც იგი ჯერ კიდევ გიმნაზიის წლებში შეუდარა, და აგროვებს მასალას, რომელიც შემდგომ გამოადგა ამიერკავკასიის საგზისმაჩვენებლო კრებულის („Путеводитель“) ისტორიული ნაწილის შედგენისათვის. იგი მუშაობს ფრანგული ენის შესწავლაზე (ლექსთა რევულში, რომელიც ამჟამად საქართველოს მწერალთა მუზეუმშია, გვხვდება ასეთი ჩანაწერი: „ფრანგული ენის სწავლა დავიწყე 1838 წლის ნოემბრიდან, გაკვეთილები: ნოემბერში — 10, 15, 17, 19, 22, 24, 28...“) და დიდის წყურვილით ეწაფება რუსულ და ევროპულ ლიტერატურას და ისტორიას. პუშკინის, ლერმონტოვის, ბაირონის, დერევავინის, ბარატინსკის, უუკოვსკის, მარლინსკის მიერ შექმნილი სახეები გვემცნაურებიან მის ლექსებსა და პროზაში.

1838 წელი მისთვის დიდად ნაყოფიერი მუშაობის წელიწადი იყო. მის სიკვდილმა, მართალია არა მოუღლოდნელმა, მაგრამ ლრმად განაცადმა, არ შესწყვიტა ეს მუშაობა, თუმცა-ლა ძლიერი სევდის დალი დასვა მის ისედაც მელანქოლიას მიჩვეულ სულიერ განწყობილებას. მიხეილ თუმანიშვილის გონებრივ ინტერესთა ფარგალი ფრიად ფართო იყო და ჯერ კიდევ პირველ წლებშივე გიმნაზიის.

დან არავითარი საბოლოო დასკვნა არ გამოგყავს, მაინც შეიძლება ვიფიქროთ, რომ თუმანიშვილი, შესაძლოა, ხვდებოდა ახალგაზრდა პოლონელებს ნიუეკოროდის პოლკიდან დედოფლის წყაროში ყოფნის დროს, — როგორც ხვდებოდა ზაბლოცეკისაც და სხვასაც, „თავისი წრის“ ახალგაზრდებს (ზაბლოციკი, ზომ „ჯარისკაცად“ იყო დედოფლის წყაროში, მაგრამ ეს არ უშლიდა მას ნაცნობობა ჰქონდა დგილ ობრივ თავადაზნაურულ ახალგაზრდობასთან).

გათავების შემდეგ მან მკვიდრი საძირკველი გაუდგა ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სხვადასხვა დარღის ვრცელ ცოდნათა ათვისებას, რაც ასე ემჩნეოდა მას მოწიფულობის წანში.

ადრეულად დაქორწინებამ, ალბათ დედის გავლენის გამო, საოჯახო საქმეების მოწესრიგების აუცილებლობამ და გაძლიერებულმა მუშაობამ სამსახურში ხანგრძლივად შესწყვიტეს მისი ლიტერატურული შემოქმედება.

თ ა ვ ი ვ

შინაგი საქმეები და სახელმიწოდებულები სამსახური

ცოლის შერთვა. სახლი და სამინო საქმეები. სამსახური თბილისის სამხედრო გუბერნატორის სამართველოში. ლაშქრობა ოსეთში და ივანე მალხახის-ძე ანდრონიკაშვილი. მიმოსვლა ამიერკავკასიაში. სამგზავრო შენიშვნები ახალციხეზე. რევიზიები და გამოკვლეულები. „დიადი რეფორმები“ კავკასიაში. პეტერბურგში წასვლა. ბარონ ნიკოლაი. საგლეხო საქმეები რეფორმის შემდეგ.

ჭოლკოვნიკი მირზა-აფრიამი ანუ აბრაამ ენიკილოფოვი, შვილი დიპლომატის, საქართველოს საგანგებო ელჩისა თურქეთში მირზა-გურგენისა, ⁷¹ თავისი დროის და თავისი წრის ერთი გამოჩენილი ადამიანთაგანი იყო. მან იცოდა მშვენივრად თურქული, სპარსული, არაბული და ყველაზე უფრო გავრცელებული კავკასიური ენები; მას ლრმად შესწავლილი ჰქონდა ადგილობრივი ცხოვრების პირობები და ამიტომ არა ერთხელ მიუღია კავკასიის ადმინისტრაციისაგან პასუხსაგები დავალებანი. 1835 წელს იგი გბიგზავნა დიპლომატური-მინდობილობით ირანში, სადაც მას ბევრთან პირადი კავშირი ჰქონდა. ⁷²

ამიერკავკასიის მთავარმართებლის სამოქალაქო კანცელარიის დიპლომატურ განყოფილებაში სამსახურმა ენიკოლოფოვი შეახვედრა გრიბოედოვს, რომლის ხელქვეითადაც იგი გახდა. მათი ურთიერთობა მარტო სამსახურით არ იყო შეზღუდული და ისინი კარგი ნაცნობები იყვნენ ოჯახობითაც. ⁷³

ოთხმა წელიწადმა გაიარა მირზა-აფრიამის სიკვდილის შემდეგ, რომ მისი ქალი სოფიო მიხეილ თუმანიშვილს მისთხოვდა: 1840 წლის თებერვლის 24-ს * მათ ჯვარი დაიწერეს და მეჯვარეთ ჰყავდათ იაკინთე დიმიტრის-ძე ალექსიშვილი. ⁷⁴

* სახარების წიგნში (იოანეს) ჩანაწერის მიხედვით ქორწილი 1840 წლის თებერვლის 13-ს იყო.

ქორწინების პირველი ოთხი წელი მიხეილ თუმანიშვილისათვის დიდი ზრუნვის წოები იყო პირადი მდგომარეობის მოსაწყობად. მიეცა შვილები, ⁷⁵ ხელთუბნის მამულის შემოსავალი კი მეტად მცირე იყო; აგრეთვე მცირე ჯამაგირიც, რასაც სამსახურში იღებდა, არა კმაროდა. ოჯახის უჩრუნველსაყოფად; ოჯახში კი ცოლშვილის გარდა იყვნენ აგრეთვე მოხუცი დედა და რძალი — ვრიგოლის ქვრივი დარია. ⁷⁶ მიღებული შზითვი (6.000 მან. ვერცხლით და სხვადასხვა-გვარი მოძრავი ქონება) მაშინდელი დროსთვის თვალსაჩინო უფრო იყო, ვიდრე მცირე; რათა იგი წვრილწვრილად არ შემოხარ-ჯოდა, მიხეილ თუმანიშვილმა განიზრახა მიღებული კაბიტალი სახლ-ში მოეთავსებინა. მისი ოჯახი, როგორც ყველა იმდროინდელი თბილისური იყო, ქალაქის ძეველს ნაწილში ცხოვრობდა, მაგრამ სამსახური და ქალაქის მომავალი იზიდავდა მას ახალი რაიონისაკენ (გარეთუბნისაკენ). სწორედ აქ, ძეველი თბილისის ფარ-გლებს გარეთ, საღაც სულ ცოტა ხნის წინ მოსახლეობა სრულიად არ იყო, ცარებელ ადგილებში, მიწით ამოვსებულ ხრამებში და წინან-დელ ბაღებში, რომლებიც სწრაფად ჰქონდა, გადაინაცვლა ქალა-ქის ცენტრმა, გადაინაცვლეს მატერიალურმა და ინტელექტუალურმა ინტერესებმაც. შენდებოდა მთელი უბნები იმ ადგილებში, რომლებიც ის-ის იყო შეეტანათ ქალაქის ფარგლებში, და თანდათან ირ-კვევოდა მომავალი ქუჩების მიმართულება. მოსჩანდნენ ხელოსნები, მთელი გროვა აგური და ხე-ტყე, ქვა, კირი და მინეულობა, მოზიდული ურმებით, რუსული საზიდავებით და ჯერ კიდევ თვალისათვის უწევეულო ფურგონებით. სდულდა და გადმოდიოდა შშენებლობა და ერთი მეორის მიყოლით იგებოდა ლამაზი სახლები — ორსართულიანი და სამსართულიანიც, განიერი აივნებით, დაქანებული რეინის-სახუ-რავებით. სახლების ახალი მფლობელები იყვნენ რუსი მოხელენი, სამსახურგადამდგარი სამხედრო პირნი, სამხედრო „ფოდრადზე“ გამ-დიდრებული ვაჭარნი, ქართლ-კახეთის თავადაზნაურნი, რომელიც დაეგირავებინათ თავიანთ სოფლის მამულები, რათა საერთო ერთ-მულს არ ჩამორჩენოდნენ და ქალაქში სახლები აეგოთ. მიხეილ თუ-მანიშვილის ოჯახის მომავალი საცხოვრებელი სახლის ადგილი ახალი ქალაქის განაპირობის იყო, იქ, საღაც ახლახან წარმოქმნილიყო ინე-ნერნაია ქუჩა, შემდეგ ბარიატინსკის ქუჩად გადარჩეული (ხოლო ახლა ჯორჯიაშვილის ქუჩა). აქ 1842 წლის ოქტომბერში მიხეილ თუმანიშვილის ცოლმა შეიძინა პატარა სახლი სტატსკი სოვეტნიკის ცოლის ეკატერინე გავრილენკოვასაგან (შთამომავლობით თავადის ასულის მელიქიშვილისაგან). ნაწილობრივ შზითვეში მიღებული ფუ-ლით და დიდი ნაწილი კი ახლად დაარსებული საზოგადოებრივი შზრუნველობის „პრიკაზიდან“ აღებული სესხით აღ სახლის გვერდით.

ააშენეს დიდი სახლი (შემდეგში ეს ორი სახლი გააერთიანეს). სახლები შენდებოდა ძველ ნასაფლარზე, რომელიც ქვაშვეთის ეკლესიას ეკვროდა და მუშაობის დროს მუშები პოულობდნენ მრავლობით ადამიანის თავის ქალას, ძვლებს და დამპალ ქსოვილებს. ამის ქვემოთ ერთი ვერანა უშენო ადგილი იყო, სადაც გაჯეონდათ ყოველგვარი დამპალ-დუმპალი ნარჩენი და ნაგავი! ამ ვებართელა ადგილას, სადაც ახლა ბალის ქვედა ნაწილია, იმართებოდა თურმე ხალხური დოლი. მიხეილ თუმანიშვილის მიერ აშენებულ სახლს შესამჩნევი ისტორია აქვს: იგი დაკავშირებულია ბევრი გამოჩენილი ადამიანის სახელთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციისთან. ¹¹

მიხეილ თუმანიშვილი სახელმწიფო სამსახურში ისე შევიდა, რომ არც გავლენის მქონე ნათესავები ჰყოლია, არც შეძლება ჰქონია, რაც ხელს უწყობს ხოლმე კარიერას. მას თავისი ძალლონით უხდებოდა ცხოვრების გზის გაკვალვა ისეთ წრეში, რომელიც იღზრდილი იყო პროტექციონიზმზე და ქედმოხრილობაზე. მისი დამსახურება სწორედ ის იყო, რომ უპროტექციონი მან ნიჭით და შრომით შეავსო და ამასთანავე შესძლო სამსახურში მაღლა დაეყენებინა მოქალაქის ლირუბა და მოეპოვებინა საყოველთაო პატივისცემა ხასიათის სიმტკიცით და დამოუკიდებლობით.

მეფის ნაცვლის მთავარი სამმართველო 1860 წელს, აძლევს რა უმაღლეს ინსტანციებს მიხეილ თუმანიშვილის მუშაობის დახასიათებას, აღნიშნავს, რომ „თავ. თუმანოვის მიერ ყველა აღსრულებულ საქმეში სჩანს ჩინებული სამსახურებრივი გამოცდილებისა და საქმის ცოდნის შეფარდება; სჩანს მოფიქრება და სიზუსტე“, მაგრამ მთავარი სამმართველოს დახასიათებაში გამოთქმულია მხოლოდ ის თვისებანი, რითაც განირჩეოდა თუმანიშვილის აღმინისტრატიული მოღვაწეობა წმინდა სამსახურებრივი თვალსაზრისით. ხოლო მთლად მისი მოღვაწეობა თბილისის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიაში და შემდგომ საფეხურებზე იმის ცხოველი მაჩვენებელია, რომ მას ჰქონდა უნარი ისე შეეთავსებინა გამოჩენილი ინტელექტუალური ძალლონე სამსახურის მოთხოვნათათვის ამა თუ იმ მინდობილ საქმეში, რომ თვალნათლივად წინ ყოფილიყო წამოწეული ამ საქმის საზოგადოებრივი მხარე. მთავარი სამმართველოს მიერ აღნიშნულ თვისებათა მეონებით მიხეილ თუმანიშვილი მალე დაწინაურდა; მას აძლევენ ყველაზე უფრო პასუხსაგებ მინდობილებათ; მას ჰგავნიან ადგილობრივი აღმინისტრაციის ბოროტმოქმედებათა გამოსაყვლევად, დიდ დანაშაულთა გამოსარკვევად; მის ენერგიას, ტაქტს, სწრაფად მოქმედებას და პატიოსნებას იყენებენ იქ, სადაც საჭიროა მოუსყიდავი კონტროლი.

სხვადასხვა დაწესებულების ⁷⁸ ერთი საფეხურიდან მეორე საფეხურზე, ერთი თანამდებობიდან მეორე თანამდებობაზე გადასვლისას, — იგი ოც წელზე მეტი დროის განმავლობაში, ე. ი. 1838 წლიდან სამოციან წლებამდე, თავის სამსახურებრივ საქმეებზე მიმოსვლას იყენებს ცხოვრებაში მეტი გამოცდილების შესაძენად: მას ყველგან აინტერესებს იმ ადგილის ხალხი, სადაც იგი მიღის, იგი სწავლობს მათ ურთიერთობათ, მათ ყოფაცხოვრებას. სწორედ აქედანაა საქმის ლრმა ცოდნა და საფუძვლიანობა, რითაც განსხვავდებიან მრავალი მისი მოხსენებანი, მიმოხილვანი, ანგარიშები. ერთერთი თავისი მგზავრობის დროს (სილნალის მაზრის მულანლოს სადგურზე) 1840 წლის აგვისტოში ივი მძიმედ ავად გახდა „კლიმატური სენით“ — ასე უწოდებს თავის დლიურში, ალბათ, მალარიას. დაავადება როდი აძულებს მას მგზავრობას და იწვევს მხოლოდ ერთადერთ სურვილს — მალე ფეხზე დადგეს:

„ექიმი [ბასტამოვი] მაიმელებს, რომ მალე სრულიად კარგად ვიქნები. ღმერთმა ქნას! უნდა გამოვტყოდ, მომწყინდა! ჯანი, ჯანი, მომეცით ჯანსალობა! ნახევარი სამეფო ჯანსალობაში! ჯანსალობა — სიცოცხლეა, სხვა ყველაფერი — სიკვდილი!..“

1846 წ. სექტემბრის 27, პარასკევა.

ოსეთში მგზავრობა და ადგილობრივ შრომის მოყვარე ოსი ხალხის გაცნობა იწვევს თუმანიშვილში ლიტერატურულ განზრაახვებს, რომლებიც სამწუხაროდ, განხორციელებულ ვერ იქნა. 1850 წელს ოსეთში იფეთქა გლეხთა აჯანყებამ (ოფიციალური ტერმინით — „ბუნტმა“) თავად მაჩაბელთა წინააღმდეგ, რომელთაც მეფის მთავრობამ მიაკუთვნა ჯავის რაიონის ოსებისათვის მათ მიერ მოით წართმეული მიწები. აჯანყების დასათრგუნად უბილისიდან და სხვა ადგილებიდან გაგზავნილ იქნენ თვალსაჩინო სამხედრო ძალები, რომელთა მეთაურადაც მეფის ნაცვალმა დანიშნა თბილისის სამხედრო გუბერნიურობის გენერალი ივანე მალხაზის-ძე ანდრონიკაშვილი. მეფის მთავრობა ამ ექსპედიციას დიდ მნიშვნელობას აკუთვნებდა.

შიხეილ თუმანიშვილის ქალალდებს შორის ჩარჩენილ ჩანაწერებში არის ასეთი წენიშვნა:

„კავკასიის მხარის მმართველობის საბჭომ 1846 წლის ნოემბრის 22-ს დასდევა: უკეთუ ის გლეხები, რომელთა საჩივრებიც მემამულებზე ცნობილია არა სამართლიანად, კვლავ გაიშეორებენ ამას, დაისაჯნენ ისინი თავიანთ საცხოვრებელ ადგილას, თავიანთ განამეოფლეთა წრეში პოლიციური გამასწორებელი სასჯელით ისისხლის სამართლისა და გამასწორებელ სასჯელთა დებულების 1908 და 1909 მუხლების მიხედვით, ხოლო უკეთუ ისინი შემდგომ კვლავ შეეცდებიან წინააღმდეგობა გაუწიონ მემამულეთა ძალა-უფლებას, გასამართლებულ იქნენ სამხედრო სამართლით დანაშაულთა წინასწარ აღმდევთ ღონისძიებათა მე-14 წესდების თანახმად. დებულება ესე მოყვანილია აღსრულებაში.“

თუ ასეთი იყო მეფის შთავრობის პოლიტიკა მემამულეთა ძალა— უთლებისათვის უბრალო „წინააღმდეგობის გაწევის ცდის“ გამო, გასაკვირველი არა არის რა, რომ პირველსავე ცნობაზე აშკარა „ბუნტის“ შესახებ ფეხზე დააყენეს მთელი რაზმი არტილერიით და გამოცდილი მეომრის მეთაურობით.

მიხეილ თუმანიშვილი, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით თბილისის სამხედრო გუბერნატორთან, უნდა გაჰყოლოდა ანდრონიკაშვილს, რომლის სალაშქრო კანცელარიის გამგეთაც იგი იყო დანიშნული ამ ექსპედიციაში. მისი დლიური გვიჩვენებს, რომ ექსპედიციას ნამდვილი ომის ხასიათი ჰქონდა:

„ივნისის 3. ჩვენ დავიძარით ჯავიდან დილის 3 საათზე. ძილი თითქმის ჯერ კიდევ თვალებზე მეწვა, რადგანაც საათონახევრის დასვენებას არ შეეძლო საკმარისად აღედგინა ჩემი ძალლონე წუხანდელი გარჯოლობის შემდეგ. ძლივს მოვასწარი გამოვწყობილიყავ ჩემს წაბლისფერ ჩხახაში ყოველგვარი რაღაც-რაღაცებით, რომ მთავარი ქარავანი უკვე დაიძრა. მე და ექიმი დავედევნეთ ჩორთით ოსურ ჯანდაგი ცხენებით. მშვენიერი დილა იყო, რომელიც ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულიყო რიურაჟის ლეგა ელფერისაგან და მერე სად? მწვანით მთლად აბინებულ ღრმა ხეობაში, სადაც დიდი-ლიახვი ხმაურით მიაქანებდა თავის მლვრივ ტალღებს გრანიტოვან კალაპოტში.

[იერიშის შესახებ]

მტერთან საშინელი ბრძოლის სიახლოე და თვით ბრძოლა არა-ფრითა ჰგავს შიშის ან ავადმყოფობის გრძნობას. ეს გრძნობა, რომელიც, თავისთავად, არ შექშვენის ბრძოლის წამის სიდიადეს, საეჭვოა დაისადგურებდეს თვით გამოუცდელის გულშიაც კი, პირველად რომ ჰყნოსაგა თოფის წამლის სუნს. ეს მე ჩემს თავზე გამოვცადე, თუმცა, არ დავფარავ, გადამწყვერი წამის მოახლოებისას, გული რაღაც გამოურკვევლად მიცემდა, თითქო იმის მსგავსად, როდესაც განიცდი საშინელი საქმის სიახლოეს, მაგრამ ეს გულისცემა გამოწვეული იყო უფრო აღტაცებით. მით უმეტესად წარმოდგენილი მაქეს, რა ხდებოდა გრენადერებისა და სხვათა გულში, რომელიც გამობრძომედილი არიან, ასე ვთქვათ, ყოველდღიური შეხვედრით პირისპირ სიკვდილთან.“

ივნისის 26. რა საოცარი დილა იყო! რუხი-ფერის ღრუბლის ნაგლეჯები, რომლითაც დაჩითული იყო მთელ ღამეს ცის თალი, მზის პირველი სხივების გამოჩენისთანავე, აიკრიფნენ და გაიფანტნენ, გაანთავისუფლეს რა მინასავით კრიალა ლაუკარდი ცისა. ჰერო მთლად გაუდენთილი იყო ძლიერი სიგრილით. თითქო ციდან რაღაც მადლი გადმოდიოდა და ავსებდა ადამიანს სათნებით. ყოველივე ღვთის გაჩენილია, მაშ რატომ მხოლოდ ადამიანი — ეს საუკეთესო გვირგვინი მისი — მარტო ერთადერთი ბრძოლაშია თავის თავთანვე, — ვფიქრობდი მე: თავის თავთანვე, იმიტომ რომ ყველა ადამიანი — მტერიც და მოყვარეც — განა შემოქმედის დანიშნულებისამეტრ ძმები არ არიან ერთმანეთისა? ედავებიან ერთმანეთს სისხლის

და სიცოცხლის ფასად, ღმერთმა უშეყის, რას. ერთის ბატონობა შეიძინება მეორის მონობით. პატივისცემა მოყვასისადმი, ეგლისტური ანგარიშების გარეშე, რაც ადამიანს დაბადებიდანვე თანდაყოლილი აქვს, მხეცთა. შორის უფრო ბშირია...“

ექსპედიცია ძალიან გაჭიანურდა, რაზმის უფროსმა ანდრონიკა-შვილმა მიიღო საყველური მოქმედებათა დაყოვნებისათვის, ⁷⁹ თუმცა სამხედრო ოპერაციები შეუწყვეტლად მიმღინარეობდა. მუდმივი მოძრაობის პირობებში დღიურის ჩანაწერები კონსპექტის ხასიათს ღებულობს. თემების ფარგლის სიფართოვე გვიჩვენებს, რომ მიხეილ თუმანიშვილს განზრახვად ჰქონდა ლაშქრობის სრული სურათი შეეჭმნა.

ივნისის 28. ბანაკის გაღვიძება ჯერ კიდევ ღამით. ზეკარზე ასვლა ბილიკი ყინულსა და თოვლზე მისახვევ-მოსახვევებით. სკარლოვი. თოვლისა და ყინულის კიბე საფეხურებით. ზეკარის თავი. თოვლის ვიწრო ხეობა. ხის ჯვარი და ძეგლი. ხევებში სრიალი. ნაპრალები. საათი. გენათის ბნელი ხეობა. გზა ყინულზე, კამარასავით გადაკიდული ჩქარ გენათზე. კოშკები. ზვავი და გვანათის ნანგრევები. სევდიანი ჭიქრები. თვრამეტი, ჯერ კიდევ ამოუღებელი ადამიანის გვამი. მუავე წყალი. სოფ. ბაბლათი. ბანაკი მინდვრად. მდინარე გენათი. კოშკები იქითა ნაპირზე. მწუხრის კოცონები. თიკანი. მისი გასუქება, მისი არსებობის დასასრული.

ივნისის 30. ადრე ადგომა. როკის ქედთან მიახლოება. ქედის ქიმზე სელა. თოვლი მწვერვალზე და საშიში მგზავრობა. იმერლების უუნარობა; როგორც ცვალებადი ხალხისა. ისინი და ჩინელები. უღელტეხილი. ხეობა და მასში როკი თავისი კოშკებით. შორიდან ბრუსაბძელი. ბინების განლაგება მოჰამედ თომავევის სახლში. მიმოსვლის გახსნა ლიახვის ხეობით. პოდპოლკოვნიკი დრეერი.

ივლისის 1. დღესასწაული როკში. საღილი რაზის უფროსისას. მეგრელები, გურულები, იმერლები. როკოკო. გურული ცეკვა. ნ. კოლიუბაკინი. რუსი მომღერლები.

ივლისის 2, 3, 4, 5 და 6. ბანაკის ცხოვრება. უწესოება გურულების გამო. ამანათები. ილუმინაცია. ხანძარი როკში. რაზმის გამოსვლა. ქვემო-კოშკში ჩამოსვლა. ხანიკატკაუსაკენ შებრუნება. მაჰომედ და დებჩინო თომავევები. სვეტლოვის საფლავი. საერთო ბანაკი. საღამო. ქართული მუსიკა და მისი ჰარმონია მთელ მიდამოში⁸⁰.

შემდგომი ჩანაწერები ლაშქრობის დროს, ცნობები ოსეთის გზებზე და თავისი კორესპონდენტებისაგან მიღებული, სხვადასხვა. ცნობები — ადასტურებენ აქ გამოთქმულ მოსაზრებათ, რომ მიხ. თუმანიშვილს განზრახვა ჰქონდა. ეძღვნა ოსეთისათვის საფუძვლიანი სალიტერატურო ნაშრომი.

მიხ. თუმანიშვილის დამკიდებულება ოსეთის ექსპედიციის მიმართ, დღიურის ჩანაწერების მიხედვით, ერთნაირი როდია: ლაშქრობის პირველმა დღეებმა გაიტაცეს იგი თავისი სიახლით. საომარი ვითარება, რაც აქამდე მისთვის უცნობი იყო, იწვევს მასში სულიერ აღძვრას და იგი, როგორც იმედი უნდა გვქონდა, ანგარიშს

არ იძლევს თავის თავს „ბუნტის“ ნამდვილ მნიშვნელობაზე. მაგრამ სრულიად კერძო ხასიათის წერილი 1850 წ. მაისის 17-ის თარიღით (ქართულ ეხაზე), ისევე ქრისტეფორის-ძე დოდაშვილისათვის* მიწერილი — მისიანებისათვის სხვადასხვა დავალების გადაცემის შესახებ, გვიჩვენებს, რომ უკვე მაშინ, ექსპედიციის სამზადისის პერიოდში, იგი ფრიად შეწუხებული იყო მომხდარი ამბების გამო. იგი ორაოდა ექსპედიციაში მქენჯნავი გრძნობით, მიხვედრილი იყო რა ის რაზმის ნამდვილ მნიშვნელობას, რომელსაც მოვალეობა აყოლებდა. თვით დღიურშიაც ძალიან მალე თავს იჩენს ფიქრი იმაზე, რაც ხდება. „ერთის ბატონობა [ადამიანთა შორის] შეიძლება მეორის მონაბით“ — სწერს იგი ივნისის 26-ს. „ზვავი და გენათის ნანგრევები. სევდიანი ფიქრები“ — ალნიშნავს იგი ივნისის 28-ს.

ბორჩალოს მაზრაში მიმოსვლას მიხეილ თუმანიშვილი იყენებს არა ერთხელ რუხი-ციხის („Серый замок“)⁸⁰ სანახავად, რომელიც იზიდავს მის ყურადღებას ისტორიული და არქიტექტორული თვალსაზრისით. მის ქალალდებში შენახული და არსად არ გამოქვეყნებული აღწერა ციხის მდგომარეობისა წარსული საუკუნის ორმოციან წლებში საკმაო ინტერესს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის მკვლევართათვის, როგორც ძველი შენობის ნაშთთა კარგად შემსწავლელი პირის მოწმობას.

„სამსახურის გამო მოგზაურობის დროს ხშირად ვყოფილვარ „რუხ-ციხეში“. იგი აგებულია კლდეზე, რომელიც თითქო განგებ ამისთვის აღმოჩიდულა მიშიდანათ. ირგვლივ იგი ხრამებიანია. სამხრეთით მისავალი აქვს ხელოვნურად გაკეთებული აღმართით. ციხის ფართობი უსწორმასწოროა. მისი წრე 200 საუკუნის უდრის. კედლები ცუდად შენახულა. კედლებში რვა კოშკია; აქედან მხოლოდ ოთხი გადარჩენილა. ციხის შიგნით ბერძნთა ეკლესიის ნანგრევებია; სასახლის საძირკვლებზე სხვადასხვა შენობაა საუბრო მმართველობისა. ციხის შიგნით კვალი მოსჩანს წყალსადენის მილებისა; აგრეთვე არის კვალი გვირაბისა, რომელიც აღმოსავლეთით ზევიდან ქვეყით ჩამოდის; იგი მიწიდან ორი საუკუნის სიმაღლეზეა; ხერელი ვიწროა. შესასვლელში და ექლესიის ზემოდ ქვაზე ასოებია, რომელიც ბერძნულსა ჰგავს, არც ციხის აშენების დრო და არც ამშენებელის ვინაობა არავინ იცის. სახელწოდება აღვა-ქალა (ე. ი. რუხი-ციხე) თაორებს მიუკიათ ციხის ფერისა და დაღვრებილობის გამო. ფიქრობენ, აქ ბერძნებს უქმბოვრიათ. სამხრეთით მთებია, ხოლო ყველა სხვა მხრით—ვაკე, იქვე დაღმართიდან ვაკე იწყება; ორმოცდათ ნაბიჯზე პაჭია მდინარეა ყარა-სუ, ჭადრებშემორიგებული; სქვეა მდინ. დებედი; მდინ. ხრამამდე ეჭვიოდე ვერსი იქნება. ჭილყვავები და ყვავები ბუდეს იკეთებენ ციხეში და ზაფხულიდან მოყოლებული ვიდრე გადასულ შემოდგომამდე ირგვლივ ისმის მხოლოდ—და მათი გაუთავებელი ჩხავილი“.

* მ. თუმანიშვილს მიწერ-მოწერა პქნდა ი. დოდაშვილთან შემდეგშიაც (იხ. მ. ჭყონიას წერილი მიხ. თუმანიშვილისადმი 1853 წ. აპრილის 3-სა).

ქუთაისში და შემდეგ ბორჯომ-ახალციხე-საფარის მონასტერი-ხერთვის-ახალქალაქის მარშრუტით მოგზაურობა, რომელიც მიხ. თუ-მანიშვილმა ჩატარა თვით ვირონცოვის პირადი დავალებით ახალ-ქალაქის მცხოვრებთა მიერ აღგილობრივ მმართველობაზე შეტანილი საჩივრების გამოსაძირებლად, — იწვევს მასში სურვილს ასწეროს ნანახი ადგილები. დაწვრილებითი აღწერა მას შემდეგი, უფრო ხელსაყრე-ლი დროისათვის გადააქვს და თავის „საგზაო რვეულებში“. შეაქვს მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტი შთაბეჭდილებანი.

შაისის 6, 7, 8 და შემდგომი დღეებით „რვეულში“ შეტანილია ქუთაისისა, მისი მიღამოებისა და ბაგრატის ტაძრის კონსპექტური აღწერილობა. ივნისის 9-ს მიხ. თუმანიშვილი მოდის სოფ. არავში, ახალქალაქიდან 7 კერძებ, და აქ ყურადღებით აკვირდება. თურქე-თიდან გადმოსახლებულ მოსახლეთ, მათ ყოფაცხოვრებას და მდგო-მარეობას. „საგზაო რვეულში“ იგი აღნიშვნავს „მათ შესანიშნავ შრო-მისმოყვარეობას და საქმიანობას ბუნების მშვენიერ და უხვ სიმდიდ-რეთა შორის“. მას აინტერესებს მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, ბუნების სანახაობა, დეკანოზი და შისი ცოლი — 70 წლის მოხუცნი, მათი პიროვნება და მათი მოთხოვნები, გადმოსახლებულთა მიერ აგებული არაგვის ეკლესიის ლამაზი არქიტექტურა. ჩანაწერიდან სახანს, რომ მ. თუმანიშვილი ყოფილა ვარძიაში; რომელსაც მასზე, დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია და იგი განაგრძობს გზას ამ შთა-ბეჭდილებით შეპყრობილი.

„ბინდბუნდი. მთგარე. დამე სეროუისში. ორი მდინარის — არტაანისა და ჯავახეთის მტკვრის ხმაური ღამის წყვდიადში — მათი სალამი [შემ-დეგი სიტყვა გაურკვეველია] გმირობისათვის მთელ საქარ-თველოს“.

შემდეგ ახალციხე, აბასთუმანი მისი აბაზანებით, ბორჯომი, სუ-რამი და ივნისის 16-ს თბილისში დაბრუნება. ყველგან, საღაც კი მიხეილ თუმანიშვილი გაივლის, იგი არ სჯერდება ბუნებისა და მო-სახლეობის აწერას და მუყაითად იწერს ცნობებს გზების მდგომა-რეობის შესახებ და ეკონომიური ხასიათისას.

მიხეილ თუმანიშვილის შენიშვნებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ცნობებს ახალქალაქის გადმოსახლებულებზე, ჩაც მისი ცხო-ველი ინტერესის საგანს შეადგენს, კერძოდ — ყოფილ მუსლიმანებზე, რომელიც ქრისტიანებთან ერთად მოსულან. ახალქალაქის და ახალ-ციხის რაიონებში თურქეთის სომხეთიდან გადმოსახლებულმა 16.000 ოჯახმა (95.000 კაცი) მოიყვანა თავისთან ახალ საცხოვრებელ ად-გილას 75 თურქთა ოჯახი (ან მუსლიმანები, რომელიც თავიანთ თავს თურქს უძახიან); ესენი ნებაყოფლობით გამოჰყოლიან და აქ მოხათლულან. მიხეილ თუმანიშვილის ერთერთი ქალის ნათლია ყო-

ფილა ერთი ასეთი „ყოფილი თურქი“ ჯერ კიდევ ახალქალაქში მოგზაურობამდე, მაგრამ რა გარემოებამ შეახვედრა თუმანიშვილი ამ „თურქს“ — ეს გამოურკვეველია. თუმანიშვილის მიერ სამსახურებრივი მოგზაურობის დროს განზრახულ სალიტერატურო გეგმებს შორის ნარკვევს ახალციხის შესახებ უკანასკნელი აღვილი როდი უჭირავს. ეს ნარკვევი დაუმითავრებელი დარჩა და არსად ყოფილა დაბეჭდილი. იგი ეკუთვნის იმავე 1853 წელს. თუმანიშვილი მივიღა ახალციხის რაიონის თებერვალსა თუ მარტში. აქ იგი მიიღებს დედის მძიმე ავად-მყოფობის ამბავს, დაუყოვნებლივ, მარტის 20-ს, გაეშურება თბილისს და წუთი დღის შემდეგ კვლავ ახალციხეს დაბრუნდება, დედის მდგომარეობის გაუმჯობესების გამო. მაგრამ აპრილის 4-ს იგი კვლავ გაიწვიეს თბილისში გუბერნატორის კანცელარიის ესტაფეტით მიზეზის დაუსახელებლად. ტბილისში დედა მომაკვდავი დახვდა. დასაფლავების შემდეგ თუმანიშვილი კვლავ განაგრძობს თბილისის გუბერნიაში მიმოსვლას. „საგზაო შენიშვნები ახალციხეზე“ იმ ქალალდებს შორის აღმოჩნდა, რომელთა ხვეულსაც სათაურად „ყოველგვარი რამე-რუმე“ („Всякая всячина“) ჰქონდა.

„....მე დავტოვე თბილისი ჩემთვის ყველაზე არასახრბიელო დროს: ის იყო ყველიერი იწყებდა, ახმაურებული, განელებული, მთელი მისი ონებით; ის იყო თბილისელები პირველად ისმენდნენ რო ბერტ ს * და, განიცდიდნენ რა ამ დემონის მეოხებით ღრმა ესთეტიკურ სიტკბოებას, დაუშრეტელი წყურვილით და გატაცებით მიმართავდნენ მას. მაგრამ თბილისი მისი ყველიერით და მისი რობერტით მალე გამოიდევნა ჩემის თავიდან სხვა სურათებისა და სხვა შთაბეჭდილებათა გავლენით. როდესაც სურათივით აფერადებულ ქართლით მივდიოდი, სადაც თვალწინ ხეობა ხეობას გეშლება, ხოლო რადესაც შემდეგ ბორჯომის ვიწროებში მოვეძეცი, უნდა გამოვტყდე, გაცილებით მეტი სიყვარულით შევცემეროდი ბუნების დეკორაციებს, მშვენივრებს თვით ზამთრის სიტიტვლეშიაც კი, ვიდრე ღორბეზის დეკორაციებს; ხის ხუხულა მუშებისა ასწლოვან ტყის შუაგულში უფრო მიზიდავდა, ვიდრე სიცილიელი ჰერცოგის ბანაკი; რომელიდაც დანგრეული საყდარი ტყით შემოსილ კლდეზე უფრო მეტ პატივისცემას იწვევდა ჩემში, ვიდრე წმინდა როზალიის ტაძარი. მაგრამ გზის სურათებზე და მგზავრის შთაბეჭდილებებზე შემდეგ იყოს. გადმოგცემთ რამდენსამე შენიშვნას ახალციხეზე, სადაც მე სწორედ ყველიერის დღეებში მოვხვდი. ორ-სამ დღეს ამ ქალაქში ყოფნამ ამ თავაწყვეტილ დროს შესაძლებლობა მომცა ახლო გავცნობოდი მისი ცხოვრების ზოგიერთ მთავარ მხარეს“.

[მეორე ნაწყვეტი] „....მე მოვწვდი ახალციხეში სწორედ ყველივრობას. სხვისა არ ვიცი, ხოლო, ჩემთავად, მე გადაჭრით მგონია, რომ თუ ვისმე სურს გაიგოს ახალი რამ უცნობი ქალაქისა, ისიც ანაზღეულად. გავლის დროს, აუცილებლად საჭიროა, იქ ყველიერში მოხვდეს. ეს დრო — გულდიაობისა და გულმართლობის დროა; ამ დროს ყველაფერი გამომ-

* ჯაკომო მეიერბერის ოპერა „რობერტ-ეშმაკი“.

ზევებულია, ყველაფერი გაბედული და თავისუფალი ენით ლაპარაკობს, ყველაფერი უფრო ადვილად, უურო მალე გემცნაურება... მაშ ასე, მე მოვ-ხედი ახალციხეში ყველივრობას. ბლინები ცხვებოდა თითქმის ყველა ტა-ფაზე და ყველა კერაზე, რასაკვირველია, რუსულზე. ახალციხე მდიდარია საზოგადოებით და მარტოოდენ რუსთა საზოგადოებით. ყველა ესენი — მოსამასახურები არიან. თქვენ თითონ განსაჯეთ, რა ფართო უნდა იყოს აქაური მომსახურე მოსახლეობა, როდესაც ამდენი ადგილობრივი დაწესე-ბულებაა: საკომენდატო, საკრიანზინო-საბაჟო, საკორდონო, სასწავლო, საფოსტო, საპოლიციო და, ამას გარდა, ბრიგადისა და ბატალიონის უფ-როსთა შტაბები, ორი-სამი ექიმი, ორი-სამი ინჟინერი და სხვ. ახალცი-ხეს ერთი ხელსაყრელი თვისება კიდევ ისა აქვს, რომ აქაური მოსამასახუ-რენი ყველა ოჯახიანია. ბლინები ხომ ბლინებია, მაგრამ სწორედ ეკ იყო საბაბი მთელი რიგი უხვი, მაძღარი სადილებისა რამდენჯერმე განმეორე-ბით სხვადასხვა ოჯახში, სადილებისა, რომლებიც განსაკუთრებით საამონი იმით იყვნენ, რომ მათ თან სდევდა მუსიკა და თავდებოდნენ კეთილდონი-ერი ცეკვით. მე ვნახე ახალციხის მანდილოსანთა საზოგადოება სრული მისი ბრწყინვალებით მაზრის მმართველის ჭ. [ჭყონიას] მიერ გამართულ ბალში. შშვენიერ სტუმართა რიცხვი იმდენად დიდი იყო, რომ შესაძლებელი შეიქმნა თორმეტი წყვილის შედგენა ფრანგული კადრილისათვის. რას იტ-ყვით — განა ეს საუცხოო არ არის?! მაგრამ თქვენ უფრო განცვითრდებით, როდესაც მე დაგუმატებ, რომ, როგორც დამარტმუნეს, ეს იყო მზოლოდ მესამედი იმ ქალთა წოდებისა, რომელნიც ამშვენებენ ახალციხის დღევანდ-ლამდე განთქმული, რასაკვირველია, სულ სხვა რამით, ციხე-სიმაგრის კედ-ლებს...

ჭ-ს ბალი რადაც უნდა ღირდა. თავისთავად იგულისხმება, სახლის მისავალ კარზე ჩამწერივებული არ იყო ეკიპაჟები, არა ბრწყინვადა ფან-რები, კიბე როდი მიიმართებოდა ლიმონის ხეებს შუა, შიგნით არ იშ ლებოდა დარბაზთა ამფილადები, პლატფორმის ანარეკლი არ მოსჩანდა სარა-კესავით კრიალა პარკეტში, თვალს არა პლლიდა ათასობით სანთლის შუქი. მთელი საზოგადოება თავს იყრიდა ორ არც თუ ხალვათ ოთახში, მაგრამ იქ, სადაც ვიწროობა — მით უფრო მახლობლობაა, უფრო გულწრფელია მხიარულება... მეორეს მჩრით, ყურს რომ უგდებთ ამ მითქმა-მოთქმას“...

[გაგრძელება არ არის]

[წერილი დან] „...ახალციხე მდიდარია ჭიათურეთა საზოგა-დოებით. აქ რა ხარისხის სამართველოებიც გინდათ არის“. [შემდეგ, პირ-ველი ნაწილის ვარიანტი სულ მცირედით განირჩევა ზემომოყვანილიდან. შემდგომ მისდევს გაშრებულება]

ვიღაცას ოდესლაც უთქვამს, ბალი გამოხატავს უაღრესად მთელი საზოგადოების ფიზიონომიის სწორე ანარეკლისო. ეს სრული სიმართლეა, და მე რომ ახალციხის ბალის აღწერა წარმოგიდგინოთ, ამით მოგცემთ სწორე წარმოდგენას ახალციხის საზოგადოებაზე. მაგრამ რა ვუყოთ, რომ აქაური ბალი გამონაკლისი არ არის სხვა დანარჩენი პროვინციული ბალე-ბისა, რომ მან შეინარჩუნა იგივე გლოფერი, იგივე იერი, რომ ბალში ყველა მან გილოსანი, ისიც კი, ვინც „ჩეფჩიკით“ * არის დაგვირგვინებული; ცდის...

* ქალის თავსაბურავი.

ლობს ბალის მეფად იყოს და არარად სცნობს მთელ გუნდში სწორედ
იმას, ვისაც ამის უფლება აქვს; რომ ბევრი მათგანი გადაეშვება, ცეკვაში
და იმას კი ივიწყებს, რომ მისმა წყვილმა ფეხმა კარგახანია დაჰკარგა ძვე-
ლი ჰაეროვნება და გრაცია; ახლა რა ვუყოთ, რომ ყველა ამ უცნაურობას
იქვე თითხე იხვევს ის, ვისთვისაც ეს საჭიროა, რათა შემდეგ ჭორისა და
მითქმა-მოთქმის მთელი ქსელი გააბას ბაფთასავით და თითქმის მთელ ქა-
ლაქს მოსდოს? მთავარი ის არის, რომ არსებობს საზოგადოება, რომ სჩანს
საზოგადოებრივი ცხოვრების ნიშნები, მისადმი მისწრაფება, რასაც იჩენს
დროებით, ე. ი. მომსახურეთა მოსახლეობა და რაც, ეჭვი არ არის, თავის
დროზე ადგილობრივ მოსახლეობაშიაც გადავა და ნელნელა მის მოთხოვ-
ნილებათაც გადაიქცევა!“...

„....ახლა რა ვუყოთ [„ჩე ფჩიკე ბიან“ მანდ ილას ნებზე]...
რომ ესა თუ ის ვაჟაბატონი მოვიდა თითქმის ბალის დასასრულს, ხოლო
ესა თუ ის ქალბატონი, მისი მოსგლისთანავე, გარეთ გავარდა; რომ იყვნენ
ისეთებიც, ვინც მზად იყო ყური მიეპყრო თვით რომელიმე გოგონას ჭიკ-
ჭიკისათვისაც მაღალზნეობრივი წოდების წარმომადგენელთან, რათა მე-
ორე დღეს ყოველივე უფროსთათვის მოეხსენებინა დასასმენად? ახლა რა
ვუყოთ, რომ კავალრები ვერ დაიქადნიდნენ თავიანთი ხელთაომანების სის-
პეტაკეს, ხოლო მანდილოსნები თავიანთი სამკაულის სიახლეს? პროვინცია
ხომ იმიტომ არის პროვინცია, რომ ყველა ისე გრძნობდეს თავის თავს,
როგორც შინ, რომ ყველაფერს ძალადაუტანებლად აკეთებდეს? ახლა რა
ვუყოთ, რომ ზოგიერთი ქალის ფერხნი მსუბუქად არ მისრიალებდნენ, ხო-
ლო ზოგიერთი ვაჟის ჩერების ბრახუნი აყრუებდა ისედაც მჭდელებრივის—
კავალრების?—ამის მიზეზია უპარკეტობა და იატაკის უსწორმასწორობა, თუმ-
ცა იგი ახალი გაშალაშინებული იყო. მაგრამ რა იყო კარგი, საქებური
და მისაბაძავი ამ პაწია ბალში, ეს — ძალდაუტანებლობა, ყველას საერთო
სურვილი სულით და გულით მოლხენისა, რასაც ხელს უწყობდა და ზედ
ერთვოდა მასპინძლის იშვიათი გულგაშლილობა და მისი მეუღლის თავა-
ზიანობა, და ეს კი ცოტა რამ არ არის, სწორედ ეს არის აქ საჭირო“.

გვიხატავს: რა იუმორისტული შტრიხების მოსმით მოხელეთა
„საზოგადოების“ ცხოვრებას, მიხეილ თუმანიშვილი, მაშინათვე სე-
რიოზულ კილოზე გადადის, როდესაც ადგილობრივ მოსახლეობაზე
იწყებს საუბარს. იგი ცნობისმოყვარე მგზავრია, ყურადღებას აქცევს
მოსახლეობის დამახასიათებელ ყოველ თავისებურებას, დაინტერესე-
ბულია მისი ყოფაცხოვრებით, სულიერი ვანწყობილებით:

„მაგრამ თქვენ, ალბათ, მოისურვებთ გაიგოთ, როგორ მხიარულობ-
და იმ დროს იქაური მოსახლეობა. ამ მხრივ ძნელია თქვენი დაკმაყოფი-
ლება, რადგანაც იგი ან სრულიადაც არ მხიარულობდა, ან მხიარულობდა
ჩუმად, შეუმჩნევლად. მართალია, საყველიერო დღებში დუქნები დაკეტი-
ლი იყო, მაგრამ ქუჩებსა და მოედნებზე არა სჩანდა არც ის უსაქმური მო-
ძრაობა, არ ისმოდა არც ის ჟივილ-ხივილი, რითაც ჩვეულებრივ გამოიხა-
ტება აღმოსავლეთ ქვეყნის ადამიანის ცხოვრება. ახალცისი მკვიდრ მო-
სახლეობას შეადგენენ ქართველები, სომხები, სომებ-კათოლიკები და ებ-
რაელები, ხოლო მათ შორის მთავარიანი არიან არზრუმიდან გადმოსახლე-
ბული სომხები, რომლებითაც დასახლებულია თითქმის მთელი ახალი

ქალაქი. მთელი საუკუნოების განმავლობაში თურქთა შემავიწროებელი ბატონობის ქვეშ მყოფ, მათ ვერ მოასწრეს დაჭიჭიჭრებოდნენ საცხებით იმ ცხოვრებას, რაც განუმზადა მათ ჩვენს ფარგლებში გადმოსახლებამ: მათ მხოლოდ ძლიერ გაგლიჯეს ის ფარდა, რომლითაც ჰფარავდა მათ თურქთა უმეცრება და ჩაგრა და ნამძინარევი თვალებით ძლიერ დაინახეს ქვეყნი-ერება. ჯერ კიდევ რაღაც შიშის მსგავსი დაღი აზის ყველაფერს მათში, ოვით ღროს გატარებასაც კი. აი, ამის დამამტკიცებელი მაგალითი: ერთ-ხელ ცხენით ვსეირნობდი ქალაქის ფართო ქუჩებში, რომ უცბად შემომქს-მა ნაციონალური მუსიკის ხმა, რომელიც თითქო რამდენისამე სახლიდან მოისმოდა. მართლაც და თვითეულ სახლში ცალკე უკრავდნენ. სურვილმა წამდლია მენაბა ზალხის ქეიფი; ცხენიდან გადმოვხტი და პირველ სახლში შეველ. ძლივ-ძლიობით გავალე მაგრად მოხურული კარი და ვიზილე, რომ დაბალჭერიანი მომცრო ოთახი ზალხით სავსეა. ზურნისა და ღოლის ხმაზე მამაკაცები—მოხუცნიც და ახალგაზრდანიც—თავიანთ ჭრელ თურქულ ტანისამოსში, ცეკვავდნენ რაღაც ზანტ ფერხულურ ცეკვას და ფეხს ძლიერა სდგამდნენ საერთო ვიწროობაში. რამდენიმე ქალი უჩადროთ კუთხიდან: იჭვრიტებოდა. უცხო რომ დამინახეს, ერთბაშად ყველაფერი და ყველანი გაჩერდნენ—ზურნაც, ღოლიც, მოცეკვავენიც. ესევა ვნახე სხვა სახლებშიაც და იგივე განმეორდა ჩემს მისვლაზე. რამდენი ვეზვეწე განეგრძოთ თავიანთი მოლხენა, მაგრამ ამაოდ. ძლივ-ძლიობით დავითანხმე დამკვრელები, ისიც რამდენიმე ბალ და დურით—ადგილობრივი ფულია—შეხებოდნენ-საკრავებს. ზურნა ზაუბედავად, მწუხარედ ზუზუნებდა, ღოლიც ასევე მწუ-ხარების ხმას გამოსცემდა და ორივე კი ერთად ზედმიწევნით გამოხატავდა და თვით მოსახლეთა განწყობილებას. თუმცა ასევე არ ითქმის აქაურ საპატიო სომხებზე; ისინი, მართალია, ჯერ კიდევ ცოტანი არიან; მათ შეიგნეს თავიანთი დანიშნულება და მიიღეს ახალი ცხოვრების პირობები, რა-შიაც მათ ხელს უწყობს ერთგვარი შეძლებულება“.

ქალაქისა და მისი ქუჩების გარეგანი სანახაობის, აწერილობა, სხვადასხვა ნაწყვეტი: ადგილობრივ ზნე-ჩვეულებათა შესახებ, სტა-ტისტიკური ცნობები მოსახლეობის შედგენილობაზე — ყოველივე ეს თან მოსდევს ზემოდ მოყვანილ შენიშვნებს და წარმოადგენს დაწყე-ბული, მაგრამ დაუმთავრებელი ნარკვევის ჩონჩხს.

მიხეილ თუმანიშვილის პირადი ლირისების გრძნობისა და დამოუკიდებელი ხასიათის გამოსამუღავნებლად აქ საჭიროა აღინიშნოს შემ-დეგი შემთხვევა:

ვორონცოვის პირადი განკარგულებით, თუმანიშვილი 1852 წლის ბოლოს იკვლევდა საქმეს 23.261 მან. თანხის დაკარგვაზე თბილისი-დან ერევანში ფოსტით გაგზავნის ღროს. მივიღა რა ყაზახის მაზ-რაში, თუმანიშვილი სულ ოთხ დღეს მოუნდა მთელი ამ საქმის გა-მორკვევას. მან ამ თანხიდან დაიბრუნა 21.535 შან. ცხრა ახალ-გაზრდა მუსლიმანმა მწყებისმა, რომელთაც დამალეს თურმე ეს თული, აღიარეს თავიანთი დანაშაული და უჩვენეს კიდეც ადგილი, სადაც ფული ჰქონდათ შენახული. ეს გამოტეხა გამოიწვია თუმანიშვილის შეჯერებამ და დაპირებამ, რომ იშუამდგომლებდა მათი ხვედრის შემ-სუბუქებაზე.

საეჭვოა, ვისმე სხვა მოხელეს, რომელიც ყველაზე მაღლა თავისი კარიერის ინტერესებს აყენებს, წარედგინა საქმე თავისთვის არა ხელ-საყრელად; იგი, უეჭველია, მჭერმეტყველურად ასახავდა მთლად იმ სიძნელეს, რის დაძლევაც შას დასჭირდა საქმის გამოსარკვევად და, რაღა თქმა უნდა, მაშინვე დაივიწყებდა თავის დაპირებას, დამნაშა-ვეებს რომ აღუთქვა, სასჯელის შემსუბუქებაზე ვიშუამდგომლებო. მიხეილ თუმანიშვილმა კი 1853 წლის თებერვლის 22-ის მოხსენებაში პირდაპირ აღნიშნა, დამნაშავეები რომ არ გამოტეხილიყვნენ, საეჭ-ვოა ფული გვეპოვნაო. იგი მხურვალედ გამოექმოავა მწყემსებს, მოით-ხოვდა სრულიად გაენთავისუფლებინათ სასჯელისაგან ერთერთი მათ-განი, რომელიც პირველი გამოტყდა („იგი ჯერ სულ ახალგაზრდაა, წარსულში რაიმე დანაშაული არ მიუძღვის და კარგი ყოფაქცევისაა“) და შეემსუბუქებინათ დანარჩენების ხელრი, გაენთავისუფლებინათ ისინი დაუყოვნებლივ თავდებით. თუმანიშვილი დაბეჯითებით მოით-ხოვდა, მწყემსებს სასტიკად ნუ დავსჯით, რათა ამით გავამართლოთ მათი რწმენა სამართლიანობისადმი, რაც მე დაკითხვის დროს შთა-ვუნერგე, და აგრეთვე ჩემი დაპირებისადმი, რომ ვიშუამდგომლებ მათი ხელრის შემსუბუქებასაო.

მიხეილ თუმანიშვილმა იმსახურა საგუბერნიო სამმართველოში 1858 წლის ბოლომდე და გაიარა სამსახურის ყველა საფეხური, და-წყებული განსაკუთრებულ მინდობილობათა უმცროსი მოხელიდან (1842 წ.), ვიდრე განყოფილების გამგე მრჩეველამდე (1858 წ.), სულ 16 წელი. ამ წნის განმავლობაში მან შეაგროვა აუარებელი მასალა ჯლეხთა საკითხები, საფუძვლიანად შეისწავლა მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება და ეკონომიური ძიგომარეობა, გზები, სახალხო განათლე-ბისა და მედიცინის მდგომარეობა, ძველი დროის ძეგლები და ხალ-ხის საჭიროებანი (მის საგზაო რვეულებში გვხვდება სამახსოვრო შე-ნიშვნები მოსახლეობის საჩივრების გამო გუბერნატორისათვის მო-სახსენებლად ადგილობრივი ხელისუფლების ბოროტმოქმედებაზე).

თბილისის გუბერნიის დაწვრილებითი საგზისმაჩვენებლო მრა-ვალი ეთნოგრაფიული, ისტორიული და ეკონომიური ხასიათის ცნო-ბებით—მან შეადგინა შემდგომ იმ მასალის საფუძველზე, რაც შეგ-როვილი ჰქონდა „საგუბერნიო“ სამსახურის პერიოდში. 1857 წელს, რუსეთის საგუგრაფიო საზოგადოების მინდობილობით, მან შეადგინა თბილისის გუბერნიისა და ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქის ვრცელი აღწერილობა. მიხეილ თუმანიშვილის მიერ წარდგენილი მრავალი მოხსენებითი წერილი, როგორც მისგან ჩატარებულ რევიზიათა და გამოკვლევათა შედეგი, შეიცავს აგრეთვე უმდიდრეს ცნობებს მისი თანამედროვე ადმინისტრაციისა და მოსახლეობის ეკონომიური მდგო-მარეობის დახასიათებისათვის. იგი სწერდა ხოლმე თბილისის გუბერ-

ნიის მართვა-გამგებლობის წლიურ ანგარიშებს. 1857 წელს სიღნალის მაზრის უფროსის ბოროტმოქმედებათა გამო საიდუმლო გამოძიების დროს მიხეილ თუმანიშვილმა შეკვრითა დიდი მასალა მევახშეობაზე სიღნალის მაზრაში; დაკითხულია მოსახლეობა, გამორკვეულია ამ მაზრაში მევახშეთა განსაკუთრებულად განვითარებული საქმიანობის მიხეზები და გამომულავნებულ არიან ამ მევახშეების მფარველნი ადგილობრივი ადმინისტრაციიდან; დაწერილია, მევახშეობასთან დაკავშირებით, სიღნალის მაზრის ეკონომიკო მდგომარეობის გამოკვლევა.

გუბერნიის სამმართველოში მიხეილ თუმანიშვილის მიერ ჩატარებული მუშაობა თითქმ კარიბჭე იყო მისი ახალი მოღვაწეობის პერიოდისა, რომელიც ეგრედწოდებულ „დიად რეფორმათა ეპოქას“ უკავშირდება.

კაპიტალისტური წარმოების განვითარებამ რუსეთში XIX საუკუნის ნახევარს ისეთ დონეს მიაღწია, რომ ბატონიურ ურთიერთობათა არსებობა უკვე აშკარად ხელს უშლიდა ამ განვითარებას. იგი აბრკოლებდა შინაგანი ბაზრის გაფართოების ბუნებრივ პროცესს, ვინაიდან, ერთის მხრით ნებაყოფლობით დაქირავებულ მუშათა უმეტესობა, რომელიც ყმების რიცხვს ეკუთვნოდა, იურიდიულად დამოკიდებული იყო თავისი მემამულეებისაგან და ეს კი მეფაბრიკეებისათვის დიდ უხერხულობას ჰქმნიდა; ხოლო, მეორეს მხრით, შინაგანი ბაზრის ტევადობის პროგრესი მიმდინარეობდა მეტად ნელი ტემპით, იმის გამო, რომ საბატონო გლეხები, რომელნიც რუსეთის ევროპული ნაწილის მთელი გლეხი-მოსახლეობის 40% -მდე* შეადგენდნენ, თავიანთ შრომას მემამულეებისათვის ნატურალური ფორმით ეწეოდნენ და თითქმის ბაზარს არ ეკარებოდნენ.

ბატონიურ წყობილებასა და კაპიტალისტურ ურთიერთობას შორის ჩამოვარდნილ წინააღმდეგობათა ზრდამ გამოიწვია აგრეთვე მემამულეების მიერ გლეხთა ექსპლოატაციის გაძლიერება; ხოლო ექსპლოატაციის ამ გაძლიერებას გლეხთა არეულობის გახშირება მოჰყევა.

1826 წლიდან, ვიდრე 1860 წლამდე (ამ წლის ჩართვით) შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობებით, რაც, რასაკვირველია, სრული არ არის, მოხდა 1.200 შემთხვევა გლეხთა არეულობისა. ყირიმის იმის მარცხმა თვალნათლივად გვიჩვენა, აგრეთვე, არმის მომმარავებელი მრეწველობის სწორედ იმ დარგების ტექნიკური ჩამორჩენილობა, რომლებიც უპირატესად საბატონო გლეხ-მუშათა შრომას ეყიარებოდნენ. საერთო აფეთქების საშიშროება სულ უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდებოდა.

* ე. ა. მორთოვეცი, „Крестьянская реформа 1861 г.“ № 1937 წ. გ3. 49.

დეკაბრისტების აჩრდილი, რომელსაც ბენკენდორფის უანდარმები გახელებით უქმევდნენ, კვლავ მზად იყო მოვლენოდა რუსეთს ალექსანდრე II მეფობაშიაც, და ამ რიგობაზე არა ერთი მუჭა აზნაურების სახით, არამედ გლეხთა მასური აჯანყების სახით. გარემოებათა იძულებით მეფეს უნდა დაეთმო, რათა თვითმპურობელობა დრიოებით მაინც გადაერჩინა დალუპვისაგან. ყველაზე შეგნებულნი და შორს-მჭვრეტელნი იმ მოღვაწეთაგან, მეფეს რომ გარს ეხვივნენ, ურჩევდნენ მას შემოელო რეფორმები, ვინაიდან ეს რეფორმებია შენი მოწოდება და მომავალი დიდებაა შენი მეფობისათ.

„Какая сила — Святой дух в. о. Евгению*, — заставила крепостников взяться за реформу?“ „Сила экономического развития, втягивавшего Россию на путь капитализма. Помещики-крепостники не могли помешать росту товарного обмена России с Европой, не могли удержать старых, рушившихся форм хозяйства. Крымская война показала гнилость и бессилие крепостной России. Крестьянские „бунты“, возрастаю с каждым десятилетием перед освобождением, заставили первого помещика, Александра II, признать, что лучше освободить сверху, чем ждать, пока свергнут снизу“.

თუმცა ილექსანდრე II მუდამ მერყეობდა, ხან ავიტროებდა; ხან აფართოებდა განზრახულ ცვლილებათ იმის კვალობაზე, თუ საითკენ გადასძლევდა მის გარშემო მებრძოლ ძალთა ესა თუ ის მხარე, — ამ ცვლილებათა სამზადისი მაინც ცოცხლად მიმდინარეობდა:

მეფის ნაცვალი ბარიათინსკი, პეტერბურვიდან მიღებული დირექტორების მიხედვით, შეუდგა ისეთსავე სამზადისს კავკასიისათვის. ბრძოლა ჯერ კიდევ დაუმორჩილებელ მთიელ ტოშებთან და რეფორმების განმზადება უკვე დამშვიდებულ ოლქებში პარალელურად მიმდინარეობდა. აღგილობრივი რთული პირობები რთულსავე მუშაობას საჭიროებდა. ბარიათინსკი, ისე, როგორც მის წინ ვორონცოვი, ფიქრობდა, რომ ნდობა აღგილობრივ მოღვაწეებისადმი უფრო სისარგებლო ნაყოფს მოიტანდა, ვიდრე გათი დევნა. მან მოუწოდა მუშაობისათვის კველაზე მეტად მომზადებულ ძალებს და მათ შორის მიხეილ თუმანიშვილსაც. 1858 წლის დეკემბრიდან მიხეილ თუმანიშვილი უკვე რედაქტორია კავკასიისა და ამიერკავკასიის მხარის სამოქალაქო მოწყობის საქმეთა ახლად დაარსებული განყოფილებისა და ამ წამიდან იწყება მისი უშუალო მუშაობა კავკასიში საგლეხო რეფორმისათვის მასალების მოსამზადებლად. მის ხელში უნდა გაიაროს,

*. ლენინ „საგლეხო რეფორმა და პოლეტარულ-გლეხური რევოლუცია“. (თხ. ტ. XV, გვ. 143)

ერთის მხრით, საგლეხო საქმეთა კანონების პროექტებმა, ხოლო მეორეს მხრით სამოქალაქო მმართველობის გარდაქმნის პროექტებმა.

ორი წლის შემდეგ პეტერბურგული „კავკასიის კომიტეტი“ (ცენტრალურ მთავრობასთან არსებული დაწესებულება, რომელიც გამგებლობდა კავკასიის საქმეებს), 1861 წლის მარტის 5-ის თარიღისა და 208 №-ის ფრიად საიდუმლო წერილით აცნობებდა ბარიათინსკის, რომ თუმცა 1861 წლის თებერვლის 19-ის რეფორმა ამიერკავკასიის მხარეზე არა ვრცელდება, მაგრამ „ვინაიდან საჭიროა თანდათანობითი მოქმედება ამ წლიდების [გლეხთა] აქცი განთავისუფლებისათვის, ხოლო მოქმედება სათანადო სიფრთხილით, მისმა უდიდებულესობამ ინება სურვილის გამოთქმა—იქონიოს თქვენი ბრწყინვალების აზრი იმ წესის შესახებ, რომლითაც შეიძლება შევუდგეთ ამ საქმეს ამიერკავკასიის მხარეშიაც“ (აქტები, ტ. XII, ნაწ. 1). ამ წერილის შედეგად ბარიათინსკიმ დააარსა თბილისში მემამულთა გლეხების მომწყობი ამიერკავკასიის კომიტეტი, ხოლო მაზრებში — სამაზრო კომისიები. ამიერკავკასიის კომიტეტს უნდა წარემართა სამაზრო კომისიების მოქმედება და ხელმძღვანელობა გაეწია მათთვის, ხოლო შემდგომ — განეხილა საბოლოოდ ყველა ის წინადადება, რასაც ეს კომისიები წარუდგენდნენ. ამიერკავკასიის კომიტეტის საქმეთა მმართველად იყო მახეილ თუმანიშვილი. ამასთან ერთად მასვე დაევალა საგლეხო საქმეთა მთავარი სამმართველოს მთელი საქმისწარმოება.

საგლეხო რეფორმის მთელი სამზადისი თავმოყრილი იყო ამ კომიტეტში, რომელსაც თავმჯდომარეობდა მეფის ნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროოსი (ჯერ სენატორი კრუზენშტერნი,⁸¹ ხოლო შემდეგ ბარონ ა. ნიკოლაი⁸²). როდესაც საგლეხო საქმეთა ყველა შეგროვილი მასალა სისტემატიზებული იყო და მემამულეთა გლეხების ბატონიმობისაგან განთავისუფლებისა და მათი მდგრამარეობის მოწყობის დეპულებათა პროექტები უკვე დამზადებული,⁸³ მიხეილ თუმანიშვილი 1864 წლის ივლისში გაიგზავნა პეტერბურგს, თავ. გ. კ. ბაგრატიონ-ბუხრანსკისთან ერთად, პროექტების წარდგენისა და პირადი მოხსენებისათვის. თბილისიდან იგი გაემგზავრა გრაფ ვ. ვ. ლევაშოვთან ერთად (ქუთასის გუბერნატორი სამოციან წლებში). ბაგრატიონ-ბუხრანსკი იმ დროს უკვე იქ იყო. ცოლისათვის აგვისტოს 5-ს გამოგზავნილ წერილში მიხ. თუმანიშვილი ასწერს მოკლედ თავის მოგზაურობას და პეტერბურგში განცდილ პირველ შთაბეჭდილებას. იუმცა თუმანიშვილს თითქმის მთელი ამიერკავკასია მოვლილი ჰქონდა, მაინც იგი მის ფარგლებს არ გასცილებია და, სრულიად ბუნებრივია, რომ მოსკოვმა, სადაც იგი უკან დაბრუნების დროს გაჩერდა, და განსაკუთრებით-კი პეტერბურგმა, იმპერიის სატახტო ქალაქმა და პოლიტიკური და ინტელექტუალური ცხოვრების ცენტრმა,

გამოიწვიეს მასში ძლიერი ემოციები. ყოველთვის დინჯი და ზედმი-წევნით მომთხობი თავის წერილებში ამა თუ იმ ამბისა, ამ რიგო-ბაზე იგი თითქო სათანადო სიტყვებს ვერ ჰპოებს თავისი გრძნობე-ბის გამოსათქმელად: „надо видеть все это на самом деле“ — აღ-ტაცებით ეუბნება თავის ქალს ბარბარეს იმავე წერილის მინაწერში.

„პეტერბურგი, 5-ს აგვისტოს, 1864 წელს, ოთხშაბაოს.

საყვარელო სოფიო, დღეს ერთი კვირეა, რაც პეტერბურგში ვარ. რადგანაც ტელეგრაფით გაცნობეთ ჩემი მოსვლა, ამისთვის აღარ ავჩქარდი წიგნის მოწერას. დღეს-კი ფოშტით გაცნობებ ჩემს ვითარებას.

ჯერ კიდევ ყაზიბეგშივე გავშორდით მე და ლევაშოვი: იმას ძალიან ეჩქარებოდა, და მე-კი წამოველი აუჩქარებლივ ასე, რამ იმან ერთის დღით ადრე მომასწრო პეტერბურგს. ვლადიკავკაზიდან წამოველ ფოშტის სან ომწიბუსით და ხან კარეტით ხარკოვამდინ. ხარკოვიდან მოსკოვამდინ ქი-რის ტარანტასით. და გამოვრიცხო ორი დღე, რომელიც ავდარმა შემაყენა მთაში, აქ მოველ სულ მეთერთბეტე დღეს, ესე იგი 29 ივლისს, ოთხშა-ბათს დილით. მაშინვე ვიპოვე გიორგი მუხრანსკი და ერთათა ვდგევართ გამოჩენილს გოსტინიცაში, რომელსაც აქვიან კლუ. რა მოგწერო პეტერ-ბურგისა, კაცი დაიკარგება. დავდივართ, ჰასჩერეკო ვეკირობთ, მაგრამ ბოლოვარაფერს არ აქვს. ყოველ დღე მივდივართ ჭალაკვებში, ქალაქებში, გარეთ, ოთვორც მანდ ვოქსალში, ნათლულში, მარტყობში, მაგრამ ცოტა რითმე ჩამოგვა ეგ ადგილები აქაურებს. ახლო-მახლო ადგილები სულ შემოვიარეთ, ახლა ვაპირებთ ცოტა შორი ადგილების ნახვას, კრასნის სელოში წასვლას, საცა ხელმწიფეა, ცარსკის სელოში, კრანზტრატში. ლევაშოვმა დამჟატიუა თავის დაჩამი, რომელიც არის აქედან თცდა ხუთს ვერსტეს. ასე, სოფიო, ვპხედავ აქ ბევრი საქმე არ მაქვს რა. ამ თვის თცამდინ დავრჩები პე-ტერბურგს, მერმე მოვალ მოსკოვში, იქაც ხუთი დღე და ენკრისტვის ათამდინ შინ დაგიკრავთ თავს. თუ მოწერა ნოინდომეთ, მგონი წიგნმა ვე-ლარ მომისწროს და ვერც ადგილობრივ სადმე მომაგნოს. მაინც და მაინც თუ საჭირო იყოს, მომწერეთ და ზედ დააწერეთ: в Петербург, такому-то, в гостинице Клу, № 63. თუნდ რომ წამოსული ვიყო, ან მოსკოვს ვიყო გადმოსული, მუხრანსკი გამომიგზავნის. ჩემი ფიქრი და ნალველი ნურა გე-ნებათ რა. გიორგი დამზადე უეჭველად ყიფიანთან მისაცემად. ნუ მოიწ-ყებთ, დრო კარგათ გაატარეთ და სახლ-კარიც რიგიანათ შეინახთ.

Дорогая Варенъка. Что тебе сказать о Москве, Петербурге, которые тебе известны по книжному. Но надо видеть все это на самом деле; но так как не знаю, когда это тебе удастся, то остается рассказать тебе обо всем, но конечно не теперь, несколькими писанными строками, а изустно, когда возвращусь к Вам. Покуда имей терпение, а мне предоставь побольше видеть и побольше набрать впечатлений. Напиши обо мне Насте, перецелуй братьев. ყველანი, ყველანი მომიკითხე. მშვი-დობით, ნახვამდინ.

მიხაილ.

ერთ წიგნსაც წამოსვლის დროს მთელ გრეტ თ და ერთსაც მოსკოვიდან“.

პეტერბურგიდან დაბრუნებისას მიხეილ თუმანიშვილს ახალი ასპა-რები ეხსნება სამსახურებრივი გამოცდილების გამოსაყენებლად: 1864 წლის ნოემბერს მეფის ნაცვლის მთავარი სამხართველოს შედგენი.

ლობაში არსდება გლეხების მოწყობის საქმეთა კანცელარია და „გლეხთა მოწყობის კომიტეტი“. მიხეილ თუმანიშვილი ხდება ახალი კანცელარიის დირექტორი და კომიტეტის საქმეთა გამგე: 1866 წლის მაისში იგი ხდება ახლად დაარსებული, კავკასიის მთისელ ტომებში დამოკიდებულ წოდებათა განთავისუფლების კომიტეტის წევრი, შეძლებ „გლეხთა მოწყობის კომიტეტის“ წევრი და თანაც ინარჩუნებს წინანდელ თანამდებობათ კანცელარიის დირექტორისა და საქმეთა გამგისას.⁸⁴ 1874 წელს მას პინავენ მეფის ნაცვლის მთავარი სამართველოს საბჭოს წევრად, ყველა სხვა მისი თანამდებობის შენარჩუნებით.

ბატონიშვილისაგან ამიერკავკასიის გლეხების განთავისუფლების მომენტიდან, ე. ი. 1864 წლიდან, ყველა დებულება გლეხთა საქმებზე ამიერკავკასიისა და კავკასიისათვის და მრავალი მოხსენება წოდებათა უფლების შესახებ შედგენილია მიხ. თუმანიშვილის მიერ, რასაც მოწმობს მის არქივში დარჩენილი ამ ნაწერების შავი. არ უნდა ვითქმიროთ, რასაკირველია, რომ მთლად საგლეხო რეფორმა ამიერკავკასიაში ნაყოფია. მიხეილ თუმანიშვილის უდიდესი შრომაუნარიანობისა, — ამისათვის ერთი ადამიანის ძალლონე არა კმაროდა. ამ საქმეში უახლოეს მონაწილეობას იღებდნენ მეფის ნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსი ბარ. ალ. ნიკოლაი და მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრი — გ. კ. ბაგრატიონ-მუხრანისკი⁸⁵ და ე. პ. სტარიცკი.⁸⁶ მაგრამ თითქმის მთელი სამოზადებლო მუშაობა მიხეილ თუმანიშვილის მიერ არის შესრულებული. „თავ. თუმანიშვილმა — სწერს პროფ. ალ. ხახანაშვილი თავის ნარკვევში „ქართული სიტყვიერების ისტორია“ (ტ. IV, გვ. 118) — თავის მხრებზე გადაიტანა კავკასიაში საგლეხო რეფორმის შემოლებისათვის საჭირო შავი მუშაობის თვალსაჩინო ნაწილი. ეს შრომა კოლოსალური იყო, რადგანაც საეჭვოა, კიდევ სხვაგან საღმე არსებობდეს მიწათმფლობელობის ისეთი სიჭრელე და ჩვეულებათა ისეთი გაურკვევლობა, როგორც კავკასიაში, საღაც შედარებით მცირე სივრცეზე ცხოვრობს 30-ზე მეტი ტომი, რომელიც ლაპარაკობენ ამდენსავე კილოზე“.

თავის მოგონებებში („Русский Архив“, 1892 წ., წიგნი მე-8) ბარონ ნიკოლაი სწერს, რომ სამეცნიელოს მაზრებში ბატონიშვილის მოსპობის პროექტის შედგენის დამთავრებისას მეფის ნაცვალმა დ. მთ. მიხეილ ნიკოლოზის-ძემ მიანდო „გლეხთა მოწყობის კომიტეტი“ გადაესინჯა დებულებანი, რომლებითაც განისაზღვრებოდა მიწათმფლობელთა ურთიერთობა მოსახლეებთან ელისავეტპოლისა, ბაქოს და ერევნის გუბერნიებში და თბილისის გუბერნიის მდ. ნაწილებში, საღაც ბატონიშვილია არ არსებობდა. „წინასწარ, ვიდრე კომიტეტი შეუდგებოდა მის წინაშე მდგარ შრომას, — გვაუწყებს იგი, — კომი-

ტეტმა საჭიროდ სუნთ დაწვრილებით გასცნობოდა მუსლიმანურ პროვინციებში ქონებრივ ურთიერთობათა საქმის ისტორიულ მსვლელობას და ახლანდელ ფაქტიურ მდგომარეობას. სათანადო მოხსენების შედეგანა, რაც მოითხოვდა ცნობების ამოკრეფას. მეფის ნაცელის მთავარი სამმართველოს საარქივო საქმეებიდან, დაკისრებული ჭქონდა კომიტეტის წევრს და მის საქმეთა მმართველს, დ. ს. ს. თავ. მიხეილ ბირთველის-ძე თუმანოვს, ამ უამაღ გარდაცვალებულს. არ შემიძლიან ამ შემთხვევაში არ გავიხსენო გულითადი პატივისცემით ეს დაუღალავი, კეთილსინდისიერი მუშაკი, რომელიც მთელი იმ ღროის განმავლობაში, რაც მე კომიტეტს ვთავმჯდომარეობდი, მისი დაარსების დღიდან, იყო ჩემი ყველაზე სასარგებლო და მოვალეობის ერთგული თანაშემწე. მის მიერ გულდასმითი ძიებით მოპოებული ცნობები მასალად გაუხდა იმ გაღმოცემას, რომელიც წინ უძლვის ამ სიტყვებს. ამ სამომზადებლო სამუშაოების სიდიდის გამო კომიტეტის სხდომების დაწყება 1869 წლის იანვარზე ადრე შეუძლებელი იყო“.

ნიკოლაის ფორმალურად მეფის ნაცელის მთავარი სამმართველოს უფროსის პოსტი ეჭირა, ხოლო ნამდვილად მისი გავლენა მთავარი სამმართველოს ფარგლებს სცილდებოდა და იგი მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა, საერთოდ, კავკასიის მთელ აღმინისტრატიულ ცხოვრებას. ნიკოლაი კულტურულ ოჯახს ეკუთვნოდა (მისი ბებია იყო ცნობილი ფრანგი მწერალი დე-სტალ, ხოლო ბებიის მამა საფრანგეთის ფინანსთა დირექტორი დიდ რევოლუციამდე და რევოლუციის დროს — ნეკკერი). ნიკოლაი, ევროპული განათლების მქონე ადამიანი, დიდ ხანს მსასურობდა კავკასიაში, ჯერ კიდევ მაშინ, ვიდრე სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგის თანამდებობიდან მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე გადაიყვანდნენ (1848 წელს იგი იყო მეფის ნაცელის სალაშერო კანცელარიის დირექტორი, 1852 — 59 წლებში — კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი, 1860 წ. — სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სამმართველოს უფროსი კავკასიაში); ნიკოლაის, ამასთანავე, ცოლად ჰყავდა ალექსანდრე გარსევანის-ძე ჭავჭავაძის ქალი. ყველა ეს გარემოება ხელს უწყობდა მას კარგად გარკვეულიყო კავკასიის ვითარებაში. იგი ზომიერი ლიბერალი იყო, მაგრამ ის კლასობრივი ინტერესები, რაც მას ადგილობრივი თავადაზნაურობის რეაქციულ ნაწილთან აკავშირებდა, გავლენას ახდენდა მის პოლიტიკაზე. ნიკოლაიშ დააბრკოლა გლეხთა გამოსყიდვის საქმე და ადგილობრივი გლეხები კიდევ ბევრ ხანს დარჩენენ ყოფილი მემამულეების ღროებით-ვალდებულთა მდგომარეობაში. მასვე სინიდისს უმძიმებს ის გარემოება; რომ იგი იცავდა ვორონცოვის პოლიტიკას, რომლითაც მუსლიმანთა უმაღლეს. წოდებას მიეკუთვნა მიწები, მაშინ როდესაც ირანისა

და თურქეთის ბატონობის დროს ეს წოდება მიწებით სარგებლობდა მხოლოდ დროებითი მფლობელობის უფლებით. ეს იყო მისი სამსახურის ჯილდო. ამნაირად, თავისუფალი მოსახლენი მუსლიმანურ და სომხურ ოლქებში ყმებს გაუთანაბრეს. სხვაფრივ კი ნიკოლაი ცდილობდა მხარი დაეჭირა საერთო თვალსაზრისისათვის რეფორმების საქმეში, რომელიც კავკასიაში ისეთი დიდი დაგვიანებით ხორციელდებოდა.

მიხეილ თუმანიშვილისა და ნიკოლაის ერთად მუშაობა თორმეტ წელიწადს გაგრძელდა. მიხეილ თუმანიშვილის არქივში დარჩენილი ასამდე წერილი და ბარათი (რომელთა უმეტესი ნაწილი დაწერილია ნიკოლაის მამულ ბეთანიასა და კოჯორში, უმაღლესი აღმინისტრაციის მაშინდელ საზაფხულო ადასტურებს ნიკოლაის რეზიდენციაში) სიტყვებს. ძალიან აფასებდა რა თუმანიშვილის აზრს საგლეხო საკითხში და მისსავე გამოცდილებას სააღმინისტრაციო საქმეებში, ეს ძველი და დიდად მომზადებული მოხელე მარტო დირექტივების მიცემას როდი სჯერდებოდა, არამედ თათბირობდა კიდეც თავის თანაშემწესთან საგლეხო და სააღმინისტრაციო რეფორმის ყველა წვრილმანზე. ასევე ექცეოდა მას ნიკოლაის წინამოადგილე კრუზენშტერნიც. მეფის ნაცვლის ერთ-ერთ მოხსენებაში 1861 წელს ვკითხულობთ, რომ „მეფის ნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსის, სტატს-სეკრეტრის კრუზენშტერნის განსაკუთრებული ნდობით თავ. თუმანვი მოწოდებულია ამიერკავკასიის მხარეში საგლეხო საქმის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველის უაღრესად მნიშვნელოვანი და ძნელი მოვალეობის აღსრულებისა და იმავე საკითხზე მთავარი სამმართველოს მიწერ-მოწერის წარმოებისათვის, მის, ბ. კრუზენშტერნის, უშუალო გამგებლობით. თავ. თუმანვის მიერ უკვე ვანმზადებულია ცნობების თვალსაჩინო მასა, რასაც შეუძლიან გააადვილოს ყოვლად ძნელი და თავისებური საგლეხო საქმის გადაწყვეტა ამ მხარეში“. მეფის ნაცვალი აღნიშნავს მოფიქრების ზნარს და სიზუსტეს მის. თუმანიშვილის მუშაობაში, მის განუწყვეტელ არსებითს და „მეტისმეტად სასარგებლო შრომას“. მართლაც, მთავარი სამმართველოს უფროსის ვრცელი ანგარიში კომიტეტის მუშაობის დამთავრების შესახებ (1864 წ. ივნისი) დაწერილია მთლად მიხეილ თუმანიშვილის მიერ. მასვე შეუდგენია 1862 წლის ოქტომბრის 31-ით დათარიღებული „ისტორიული წერილი“ (ვაპისკა) საგლეხო სამართალზე საქართველოში (იმერეთისა და გურიის ჩართვით). ამ წერილის შესავალში თუმანიშვილი თვით განსაზღვრავს მის შინაარსს:

„ბატონიშვილი საქართველოში, ჩვენის გამოკვლევით, მოიცავს ორ ისტორიულ ეპოქას: ეს არის დრო საქართველოს მმართველობისა და რუსეთის მმართველობისა. ამიტომ თვით გამოკვლევაც გაყოდილ უნდა იქნეს ორ ნაწილად, რომელთაგან პირველი გაღმოგვიანების ბატონიშვილის დასაწ-

ყის და დედაარსს, ხოლო მეორე მოიცავს მის მსგლელობას რუსეთის მთავარობის დროს და მის ახლანდელ ან თანადროულ მდგომარეობას“.

გამონაკვლევში შედის არა მარტო ბატონიშვილის წარმოშობისა და განვითარების ისტორიული ნარკვევი, არამედ აგრეთვე ვახტანგ VI-ის კანონების ანალიზი და საქართველოს მმართველობის დროს გლეხების ვალდებულებათა ანალიზი, ხოლო იმ ნაწილში, რომელიც რუსეთის მმართველობის პერიოდს ეხება, შედის მხარის უფროსთა, თავადაზნაურობისა, სხვადასხვა დაწესებულებათა და პირთა აზრი; იმის აღწერილობა, თუ როგორიც ცდები იყო, რათა საქართველოს ბატონიშვილისა გა ა ე თ ა ნა ბ რ ე ბ ი ნ ა თ რუსეთის ბატონიშვილისთან; მითითება აღგილობრივ ბატონიშვილის თავისებურებაზე და მფლობელთა უფლების შეზღუდვასა და დაცვაზე; ლონისძიებანი გლეხთა თავისუფალ მდგომარეობაში გადასცლისათვის: *

* . მიხ. თუმანიშვილის მიერვე შედგენილი იყო მოხსენებითი წერილები: საქართველოში ხინანთა წოდების შესახებ (1862 წლის სექტ. 4-ს); ბაქოს და თბილისის გუბერნიებისა და დარუბაზდის ოლქის ხანების, ბეჭების, მელიქებისა და აღალარების საადგილმამულო უფლებათა და მათ და მათ მიწებზე მცხოვრები მოსახლეების ურთიერთობათა შესახებ; ერევნის გუბერნიისა და ქუთაისის გუბერნიის ახალციხის მაზრაში მიწათმეფლობელთა და მოსახლეთა საადგილმამულო ურთიერთობის შესახებ; დაწვრილებითი საორგანიზაციო პროგრამა თბილისის გუბერნიაში საგლეხო საქმის კანონდებულებათა მომზადებისა და სამოქმედოდ შემოლებისათვის; სასოფლო მმართველობის დებულების პროექტი, რომელიც მთლად იქნა მიღებული; მიხ. თუმანიშვილი საკუთარი ხელით აწარმოებდა „გლეხთა მომწყობი კომიტეტის“ რთულ უურნალებს და სხვ.

1864 წელს მიხ. თუმანიშვილი ბეჯით მონაწილეობას იღებდა კავკასიასა და ამიერკავკასიაში სამოქალაქო მმართველობის გარდაქმნისათვის დარსებულ კომისიაში და ამაზე უფრო ადრე (1858 წ.) წევრი იყო მიწების გამმიჯნავი კომისიისა.

კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის თავმჯდომარის ა. პ. ბერჟეს არქივში შენახულა მიხ. თუმანიშვილის საკუთარი ხელით დაწერილი წერილები, რომლებიც ესება პ ქონის გუბერნაში მოსახლეთა მოწყობის კანონის თურქულ ენაზე გადათარგმნას და ლიტერატურული საშუალებით გამრავლებას. ეს წერილები, ისე, როგორც მიწერ-მოწერა ბარონ ნიკოლაისთან, იმ მხრივ არის დამახასიათებელი, რომ მიხ. თუმანიშვილი, როდესაც უკვე საგლეხო საქმეთა კანცელარიის დირექტორი იყო, პირადად ზრუნავდა ყველა წვრილმანზე, რათა მოსახლეობა ახალ კანონებს გასცნობდა.

მრხსენებითი წერილი საქართველოში ბატონიშვილის პირველად პრესაში გამოკვეყნდა ოფიციალურ კრებულში თბილისის გუბერნიის შესახებ (1870 — 71 წ.); და დიდად იშვიათი შესახვედრია. იგი შეტანილია კავკ. არქეოგრ. კომისიის აქტების XII ტომის 1-ელ ნაწ. (გვ. 679 — 727), ისე, როგორც მოხსენებითი წერილები ხიზნებზე, საადგილმამულო ურთიერთობაზე და საგლეხო რეფორმაზე კავკასიის ყოფილ მუსლიმანურ და სომხეთის პროვინციებში. იგი გამოყენებულია მ. ნ. კუჩახვის ნაშრომში („ამიერკავკასიის სახელმწიფო გლეხთა ეკონომიური ყოფაცხოვრების შესწავლის მასალათა კრებულში“, 1886 წ.).

გიორგი თუმანიშვილი თავის გამოუქვეყნებელ შენიშვნებში აღნიშნავს, რომ თუმცა ნაშრომებს ბატონყმობასა და საგლეხო რეფორმაზე ფორმალურად „ამიერკავკასიაში გლეხთა მოწყობის საქმე-თა კანცელარიის“ მიერ შედგენილი ოფიციალური მოხსენებების ხასიათი აქვთ, მაგრამ ნამდვილად კუველა ეს მოხსენება „თავიდან ბოლომდე შედგენილია მ. ბ. თუმანიშვილის მიერ, რომელიც აღნიშნული კანცელარიის შმართველი იყო; ამას მოწმობს ნაწერების შავი, განსვენებული თუმანიშვილის ქალალდებში დარჩენილი. ჩვენა გვგონია, რომ ამ წერილებს აქვთ ინტერესი თანამედროვე მკითხველისათვის (1918 წ.), ვინაიდან დღეში არა გვაქვს კაპიტალური, სრულიად დამოუკიდებელი ნაშრომი საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის და თუმცა ამ საგნის შემდგომ მკვლევართ (კუჩავეს,⁸⁷ ავალიანს,⁸⁸ ესაძეს⁸⁹) უხვად მოჰყავთ ციტატები თუმანიშვილის მოხსენებებიდან, მაგრამ ისინი არ იძლევიან ისეთ მდიდარ მასალას, როგორც თუმანიშვილის ნაშრომები. ამავე აზრისაა ავალიანის ნაშრომზე პროფ. ჯავახიშვილი (იხ. „გრანატის ენციკლოპედიური ლექსიკონი“).

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ მიხეილ თუმანიშვილის მიერ შემუშავებული მასალა გამოყენებული აქვს გ. ა. კალანთაროვსაც⁹⁰ თავის ნაშრომში ბატონყმობის შესახებ.

თ ა ვ ი VI

საზოგადო საქმეები

ქართველი თავადაზნაურობა და საგლეხო რეფორმის სამხადისი. დიმიტრი ყიფიანი. მიხ. თუმანიშვილის დამოკიდებულება საგლეხო რეფორმისადმი. პროგრესისტ თავადაზნაურთა წოდე. მიხ. თუმანიშვილის როლი ამ წერეში. სათავადაზნაურო ბანკის საკითხი. დიმ. ჯორჯაძე. გიორგი ბაგრატიონ-მუხრანსკი. ბრძოლა უმაღლესი საწავლებლის გარშემო. ლევან მელიქიშვილი. ილია ჭავჭავაძე. გრიგორი არბეჭიანი. მიხეილ თუმანიშვილის მოღვაწეობა საქალაქო მმართველობაში, საზოგადოებრივ და სამეცნიერო რარგანიზაციებში.

საგლეხო რეფორმის წინა ეპოქაში მეტისმეტად გაძლიერდა ბატონყმური ტენდენციები, როგორც რეაქცია რუსეთის თავადაზნაურობის მოწინავე ნაწილის ლიბერალურ მისწრაფებათა წინააღმდეგ. უკვე ნათესებამი იყო, თუ ამიერკავკასიაში როგორ გაასამართლეს სამხედრო წესით ის გლეხები, რომლებიც არ იშლიდნენ ჩივილს მემამულებზე. მემამულენი ყოველგვარი ლონით ცდილობდნენ დაეყოვნებინათ რეფორმა, იგონებდნენ ამათუიმ საბაბს თავიანთი გლეხების განთავისუფლების სრულიად უარყოფისათვის თუ არა (რაც შეუძლებელი იქნებოდა), იმისთვის მაინც, რომ დიდის ხნით დაებრკოლებინათ რეფორმის შემოღება.

შიხეილ თუმანიშვილის არქივში შენახულა მეგრელ მემამულეთა მიერ 1861 წ. თებერვლის 19-ის აქტის (რუსეთში გლეხების განთავისუფლების შესახებ) შემდეგ იმავე წლის სექტემბრის 21-ს მეფის სახელზე შეტანილი არზა (დედინი) და დასკვნა მაიორი წილოსნისა, რომელსაც, ალბათ, მინდობილი ჰქონდა ამ არზასთან დაკავშირებულ გარემოებათა გამოკვლევა. მეგრელი მემამულენი სთხოვენ მეფეს გადასიოს საგლეხო რეფორმის შემოღება მათი ყოფილი მთავრის ნიკოლოზ დავითის-ძე დადიანის სრულწლოვანებამდე; თანაც ისინი აღნიშნავენ თავიანთ ერთგულებას რუსეთისადმი თვით ისეთ დროს, როდესაც „სხვა ბევრი საზოგადოება ამ მხრივ მერყეობდა“. მათი თხოვნის ერთი უაღრესი საბუთთაგანი ის არის, რომ „სამეგრელოში მემამულენი და გლეხნი შეერთებულნი არიან განუყრელი კავშირით“ მაიორი წილოსანი, ურდგენს რა მმართველობას თავისი გამოკვლევის შედეგს, იმ დასკვნას გამოსთვევას, რომ არზა, როგორც სჩანს, შეტანილია არა ყველა მემამულის თანხმობითო. მაგრამ, ასევე თუ ისე, არზას ხელს აწერს ფრიად ბევრი თავად-აზნაური და თვით თხოვნა დამახასიათებელია იმ საბაბებისა, რასაც ბატონიშვილის მოტრფიალენი მიმართავდნენ ხოლმე თავიანთი ინტერესების დასაცავად. თავადაზნაურთა შორის, მართლაც, თანხმობა არა სუფევდა და ოებერვლის 19-ის მანიფესტის წინაშე საქართველოს და მიერკავკასიის თავადაზნაურნი მთლად დაიბნენ. მიხეილ თუმანიშვილის სამშობლოში, გორში, მშფოთვარე კრებები ხდებოდა, რაც იმას გვიჩვენებს, თუ როგორი არევდარევა გამოიწვია რეფორმამ ადგილობრივ მემამულეთა შორის, ვინარდან მოელოდათ საფრთხე რუსეთში უკვე შემოღებული კანონის მათზედაც გავრცელებისა.

თავადაზნაურობის საქმეებში მონაწილე ა. თარხნიშვილი, აცნობებს რა მიხ. თუმანიშვილს 1861 წლის ივლისის 7-ს, რომ გორში კრება მოხდაო, სწერს. (რუსულად):

„მოწყალეო ხელმწიფევ, მიხეილ ბირთველის-ძევ.“

კომიტეტი გლეხთა წაკითხებზე არ შესდგა. თავადაზნაურობამ და-ადგინა ოქმი—ეს საქმე საერთო კრებამ გადასწყვიტოს. კრებისს დომაზე, ჩემის ვარაუდით, იქნებოდა 300-მდეჭაცი, მაგრამ ყველანი ერთის აზრისანი არ იყვნენ: ოქმს ხელი მაწერა ასამდე კაცმა, ხოლო დანარჩენნი ისე-დაიშალნენ რომ ხელი არ მოუწერიათ. ადგენდა რა საქმის საერთო კრებაზე გადაწყვეტას, თავადაზნაურობა ან თავადაზნაურობის ის წაწილი, რომელიც კომიტეტის დაარსებას ეწინააღმდეგებოდა, ხელმძღვანელობდა პროგრამით, სადაც სახელდობრ ნათქვამია, ეს საგანი განხილულ იქნეს კომიტეტი ან საერთო ყრილობაშიო, * უაგრეთვე უნდა ითქვას, რომ ისინი, ვინც კომი-

* ამ სიტყვების გასწორივ კიდეზე მიხ. თუმანიშვილის ხელიზ. აღნიშნულია ას ნათქვამია გუბერნიის ყრილობაზე“.

ტეტის წინააღმდეგ მიღიოდა, ძალიან ჭუჭვიანობდნენა? — გაურკვეველია იმ ბატონებზე, რომელთაც შეუძლიანთ ამ საქმის იმნაირად შემუშავება, როგორც ჯერ არს, მაგრამ თავადაზნაურობა ამაში ძალიან სცდება და ახლა არ ვიცი, ვის შეუძლიან ეს უაღრესად მნიშვნელოვანი საქმე დააბოლოოს, რაფი არ უნდათ, რომ იგი დაამუშაოს იმან, ვინც ისტატია. თავადი გიორგი დავითის-ძე, ერისთავი, როგორც იმ ბრძოს შეთაური, რომელიც კომიტეტის წინააღმდეგ მიღიოდა, ბევრს არწმუნებდა, ოქტომბრი-სათვის თავადაზნაურობას წარუდგენ გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობე-სების პროექტსაო და თავადაზნაურობა ამით დაიშალა. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, თქვადი გიორგი ვერ შესძლებს იმის განხორციელებას, რასაც მთავრობა მოითხოვს. ჩემის აზრით, ერთადერთილა რჩება — მიანდონ ვისმერა სახელდობრ — დ. ი. ყიფიანს, რათა მან მოჰკიდოს ამ საქმეს ხელი და, დამთავრებისას, წაუკითხოს თავადაზნაურობას, რომელიც მნიშვნელოვანი დარწმუნდება ამ კაცის კეთილსიმედოობაში. მაგრამ ჩემი აზრი აქ უადგილოა. თქვენ უკეთ შეგიძლიათ განსჯა.

მაშ რაღა მრჩება გასაკეთებელი? მე აქ უკვე საქმე აღარა მაქვს, თუმცა მთხოვენ დარჩენას მიწერ-მოწერისათვის ცნობების შესაკრებად, მაგრამ, რაფი თავი არ არის, არც ფეხებს შეუძლიანთ ყოფნა. სულ სხვა იქნება, საქმე რომ დ. ი. [ყიფიანისათვის] მიენდოთ და მე მივლინებული ვყო- ფილიყავ მასთან დასახმარებლად“

მართლაც, დიმიტრი ყიფიანი გულს არ იტეხდა და მუშა-ობდა რეფორმის შემოღებით მოსალოდნელ შედეგთა შესაძლებელი ნეიტრალიზაციისათვის. თავისი საზოგადოებრივი მუშაობის დაწყების-თანავე მან სცადა მიეზიდა თანამშრომლობაში მიხ. თუმანიშვილი, როგორც გლეხთა საქმეების ღრმა მცოდნე.

„უძვირფასესო კნიაზო

მიხაილ ბირთველის ძეო.

ერთს ქუპეუანაში ამბობენ: აზრი რომ აზრსა პხუდებაო, სიმართლე იქანდებაო. — ჩუპენს საზოგადო საქმეში თუ ერთმანეთს ყოველი აზრი დაურიდებლად არ გაშოუკადეთ და ერთმანეთს თუ ხელი არ მივეცით, ცალლალეჭვი ვერავინ რას მოვახერხებოთ და სიმართლეს ვერავინ გამოვაჩენთ. ამის გამო მე თითქმის თვითონეულის მებატონესაგან ვითხოვ აზრსა; მაგრამ თქვენ განსაკუთრებით მოგმართავთ უგულითადესის თხოვნით, რომ ამ საზოგადოს საქმეში ხელი გამიმართოთ თქვენის განათლებულის აზრითა და რჩევით და მიზიაროთ თქვენი ცოდნა საქმისა და ღონისძიება საზოგადოს სურვილის კეთილად შესასრულებელი. დარწმუნებული ვარ ნებას მიბოძებოთ, რომ შემდგომშიაც დაურიდებლად მოგმართოთ ხოლმე; და ახლა ამასა გთხოვთ, აქ რომ 14 კითხუა მომირთმევია იმის პასუხებად თქვენი აზრი გამომიგზავნოთ სურამს, რადგან იქ აზლოს მექნება ამ ზაფხულის ბინა მომავალის ივნისის 20-ითვან.

წრფელის ერთგულებით და გულითადის პატივისცემით.

ვჰგი თქვენი უმორჩილესი მოსამასაზურე

დიმიტრი ყიფიანი.

16 მაისი 1862

ტფილისი.

შინაური, ლმობბერი მოლაპარაკება, ისე არსად დაგვჭირდება, როგორც
ამ საქმეში; და სადაც ღვთიური გრძნობა უნდა ჰმოქმედებდეს, იქ ჩვენის
ქვეყნის ქალებზედ უკეთესი მრჩეველი არაფინ დაბადებულა. მოველაპარა-
კომ მშობელ დედასაცა, ერთსისხლს დასაცა და ერთხორც მეუღლესაცა,
რომ საქმე ჩვენი ღვთის სათნოდ წაგვემართოს“.

ერთი კვირის შემდეგ იგი პგზავნის ოფიციალურ წერილს:

„მოწყვალეო ხელმწიფევ

კნიაზო მისაილ ბირთველისძევ.

საზოგადოებისაგან ჩემთვის მონდობა ბატონყმობის საქმისა ვაი თუ
კნიაზმა ნამესტნიერა იწყინოს და ამითი საქმესაც ევნოს. ჩემის მზრით პატი-
ოსნების ვალად ურაცხ უარის ყოფასა და გთხოვთ, ამ თვეის 16-ის წიგნით
რომ დარიგებასა გკითხავდით, პასუხისათვის აღარ შესწუხდეთ.

თქვენის ბრწყინვალების უმორჩილესი

მოსამსახურე დიმიტრი ყიფიანი.

24 მაისი 1862.“

მიწერ-მოწერა რეფორმის საკითხების გამო გრძელდება მათ შო-
რის მთელ ზაფხულს და შემოღომას. აგვისტოს 18-ს სწერს მიხ.
თუმანიშვილი, ხოლო აგვისტოს 23-ს დიმ. ყიფიანი უბასუხებს დაწ-
ვრილებითი ინფორმაციით თავის მუშაობაზე მომავალი რეფორმის
დებულებათა შესწავლისათვის. ყიფიანი სჩივის, რომ პასუხი კერ მი-
ულია ბევრ თავადთა და აზნაურთაგან შეკითხვებზე ადგილობრივი
მასალის შესახებ. გუბერნიის თავადაზნაურობის წინამდლოლის მიერ
მასალების შეგროვების დაყოვნება მას აჯავრებს და იგი მორიდებული
კილოთი გამოსთქვამს უკმაყოფილებას იმის გამო, რომ წინამდლოლი
არასერიობულად ეკიდება ასეთ უაღრესად მნიშვნელოვან საქმეს (აგ-
ვისტოს 23-ის წერილი გამოქვეყნებულია ქართულად ერთერთ წიგნში
ი. ჭავჭავაძეზე და გადაბეჭდილია ს. ხუნდაძის მონოგრაფიაში დიმ.
ყიფიანზე).

„Вы, конечно, простите меня, что не известил Вас о получении
присланных Вами бумаг — სწერს სხვა წერილში დიმ. ყიფიანი იმავე
1862 წ. დეკემბრის 30-ს ზუგდიდიდან.— Письменная моя работа и без
того трудная, увеличивается еще необходимостью повторять мои
просьбы о сообщении мне материалов. Между ними главное место
принадлежит мнениям, затребованным от помещиков изо всех уез-
дов. Пока я не получаю от всех — или, по крайней мере от всех тех, кои
могут сказать что-либо дельное, я не могу разработать дела, т. к. я
должен не сочинить, а составить. Из Тифлисского уезда никто, реши-
тельно никто еще не присыпал мне ответов на мои вопросы, послан-
ные от 16-го мая. Из Горийского уезда на такие-же вопросы, адресо-
ванные к 28 лицам, от 7 октября, я получил ответы только от 5 особ.
Сигнахский уезд все еще обещает. Только Телавский уезд выказал в
этом деле исправность и единомыслие, которого я ожидать не мог.
Жду и от Вас, дорогой князь, как мнения Вашего, так и тех сведе-
ний, которых не достает по переданным 25 сентября заметкам.

Могу Вам сказать только одно, что дело недолго останется
за мною с той минуты, как материалы будут все под рукой, а до то-
го времени всякий срок неуместен. Чувствую вдали лихорадочное со-
стояние Тифлиса, но кризис миновал благополучно и если теперь
не предвидеть хоршей будущности, то не предвидеть ее никогда.
Напишите, что найдете возможным: Вы у самого источника всех элек-
трических для нас токов.

Искренно и лупевно Вам преданный
и покорнейший слуга

Д. Кипиани".*

დიმ. ყიფიანმა აშ ხანგბში თავი დაანება მეფის ნაცვლის საბჭოს
წევრის თანამდებობას; იგი გამოვიდა სამსახურიდან და საზოგადო-
ებრივ მოღვაწეობას მიეცა. ⁹¹ დიმიტრი ყიფიანი იყო სრულიად გა-
მორკვეულ შეხედულებათა მქონე ადამიანი, დამოუკიდებელი პროგ-
რამძთ და ძლიერი ნებისყოფით. მისი და თუმანიშვილის ნაცნობობა
დიდი ხნის ამბავი იყო. ეს ნაცნობობა ჯერ კიდევ გიმნაზიის პერი-
ოდიდან დაიწყო, თუმცა იგი ოთხის წლით თუმანიშვილზე უფროსი
იყო (დიმ. ყიფიანს კარგი ნაცნობობა ჰქონდა ბირთველთან თავისი
სიჭაბუკის ხანაში).

მეფის ნაცვლის მთავარ სამშართველოში სამსახურის გამო იგი მუ-
დამ ხვდებოდა მიხ. თუმანიშვილს. მათი ურთიერთობა, როგორც
სხანს, არ გადაქცეულა მჭიდრო პირადი მეგობრობის გრძნობად, რაც
მიხეილ თუმანიშვილს სხვა მრავალ საზოგადო და ლიტერატურულ მოღ-
ვაწესთან აკავშირებდა. მაგრამ მუდმივი შეხედრა სამსახურში და
ორივეს. სიყვარული ლიტერატურისადმი (როგორც ცნობილია, დიმ.
ყიფიანმა გადათარგმნა მიაღირისა და შექსპირის რამდენიმე პიესა და
შეადგინა ქართული გრამატიკა), აგრეთვე ერთად მუშაობა საზოგა-
დოებრივ ასპარეზზე — ჯერ სათავადაზნაურო სადეპუტატო საკრებუ-
ლოში, ხოლო შემდევ საქალაქო-საბჭოში — ჰქონიდა ურთიერთისად-
მი ღრმა პატივისცემას.

თავის მემუარებში დიმ. ყიფიანი იხსენიებს მიხ. თუმანიშვილს
მხოლოდ ერთხელ — კერძო ბიბლიოთეკის დაარსების გამო, თუმცა
რაოვენი მუდმივი თანამოზიარენი იყვნენ მოღვაწეობის სხვადასხვა
სფეროში. ეს გარემოება შეიძლება იმით აიხსნას, რომ მოღვაწეობის
სწორედ იმ სფეროებს, რომლებშიაც ისინი ერთად იღებდნენ მონაწი-
ლეობას (საგლეხო საქმე, თეატრი, ლიტერატურა) ყიფიანი მემუარებ-
ში მხოლოდ გაკვრით ეხება.

* ზოგიერთი ამონაწერი ამ წერილისა მოიპოვება ზემოხსენებულ წიგნში
ი. ჭავჭავაძეს (1914 წ., გვ. 105), და კ. ხუნდაძეს მონოგრაფიაში დიმ. ყიფიანზე
(1926 წ., გვ. 123).

ღიმიტრი ყიფიანის შეხედულებანი საგლეხო საქთხევ და, საერთოდ, მისი მსოფლმხედველობა განესხვაებოდა მიხეილ თუმანიშვილის შეხედულებათ.

სიმ. ხუნდაძე დაწვრილებით თავის მონოგრაფიაში („ღიმიტრი ყიფიანი“ — თბილისი, 1936 წ.) ღიმიტრი ყიფიანის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ შეხედულებათ და იმ დასკვნას ადგება, რომ ყიფიანი არ იყო ბატონიშვილის პრინციპიალური მოწინააღმდეგე, მაგრამ საჭიროდ სთვლიდა, ასე ვთქვათ, ბატონიშვილის „ჰუმანიზმის“ და შერბილებას. ხუნდაძის დასკვნას სავსებით ადასტურებს საარქივო მასალა ყიფიანის მოღვაწეობის შესახებ. რაც თუმანიშვილს შეხება, ის, რასაკვირველია, ღვიძლი შვილი იყო თავისი კლასისა და თავისი ეპოქისა, აღიზარდა ბატონიშვილ საზოგადოებაში და არ უნდა ვიფიქროთ, რომ მას სავსებით ეუცხოებოდა ამ საზოგადოების ფსიქოლოგია. იგი ზედმიწევნით აღრიცხავდა თავისი მამულის მეურნეობას, იცავდა თავის მემამულურ ინტერესებს და ახალგაზრდობისას ფეოდალურ ურთიერთობას სთვლიდა, როგორც ჯეროვანად არსებულ რასმე. მას როდი მიაჩნდა უცნაურად, არამედ სრულიად ბუნებრივად, ასეთი რამის ჩაწერა დღიურში:

„29 сентября 1846 г. Сего дня крестьянин мой Пепан Тер-Маркозов привез мне сына своего Гево, 10 лет, для домашней прислуги.

„22 февраля 1847 г. Из моей деревни привели мне крестьянина моего Моисея Зурабова Чолобашвили, от роду 10 лет, для домашней прислуги“.

მას სათანადოდ მიაჩნია, რომ მისი გამდელი მარინე ნაყიდი იყო. მისი მამის მიერ მეზობელ მემამულე დავით ერისთავისაგან, ⁹² როგორც ქონება რამ და, ალბათ, მოწყვეტილი თავის ოჯახს. ამავე დროს უყვარს თავისი გამდელი, პატივსა სცემს და 1852 წლის კავკასიის კალენდრის „სამახსოვრო შენიშვნებში“ ნაღვლიანად სწერს:

Июль, суббота 12-го. В 10 часов вечера разбило параличем няню мою Марину.

Июль, понедельник 21-го. В 5½ часов по-полудни не стало Марины.

Июль, вторник 21-го. Сего дня в день Марии Магдалины мы Марину похоронили“.

თუმცა მიხ. თუმანიშვილი იზიარებდა თავისი კლასის იდეოლოგიას, მაგრამ, ამასთან ერთად, იგი იყო იმ მცირერიცხვან თავადაზნაურთა ჯგუფში, რომელნიც თანაგრძნობით ევებებოდნენ საგლეხო რეფორმას, დარწმუნებულნი; რომ იგი სამართლიანია და რომ საჭიროა ერთგვარი მსხვერპლის შეწირვა თავადაზნაურობის მხრით. ეს მსხვერპლი არც ისე დიდი იყო, როგორც ბატონიშვილის მომხრეთ ეჩვენებოდათ, და „რაღიკალიზმი“ თავადაზნაურობის ლიბერალური ჯგუფისა, რომელსაც მიხ. თუმანიშვილი ეკუთვნოდა, ფრიად მოკრძალდა.

ლებული იყო. 1861 წლის თებერვლის 19-ის რეფორმაშ „მიანიჭა“ რუს გლეხს ზოგიერთი მოქალაქეობრივი უფლება, მაგრამ აქაც იგი შუაგზაზე გაჩერდა — ვინაიდან მემამულეებს შეუნარჩუნეს ბევრი ის უფლება, რაც მათ რეფორმამდე ეკუთვნოდათ. თებერვლის 19-ის აქტი სრულიადაც არ შეესაბამებოდა გლეხობის მოლოდინს, გლეხობისა, რომელიც მოწყურებული იყო იმას, რომ მემამულეთა მთელი მიწა მის ხელში გადასულიყო გამოუსყიდლად, და რომ იგი მთლიან გაენთავისუფლებინათ მემამულეთა ბატონობისაგან. აქ, საქართველოში, როდესაც იგი რუსეთმა მიიერთა, მემამულებზე გავრცელებულ იქნა იგივე უფლებანი, რაც რუსეთში არსებობდა. ფულ-საქონლის ურთიერთობათა განვითარებასთან ერთად ქართველმა მემამულეებმა ისე, როგორც მათმა რუსმა მოძმებებმა, გააძლიერეს გლეხთა ექსპლოტაცია; ხოლო, რაღანაც ისინი თავიანთ მეურნეობას მეტად ვიწრო ფარგლებში აწარმოებდნენ, ამიტომ ექსპლოატაციის გაძლიერება უპირატესად იმაში გამოიხატა. რომ მათ გააღიდეს ლალები და სხვადასხვა ფეოდალური გამოსაღები. როგორც რუსეთში, ისე საქართველოშიაც რეფორმის განხორციელების მთავარი მიზეზი გლეხთა მოძრაობის ზრდა იყო.

რეფორმის პირვანდელი პროექტების შემუშავება, როგორც უკვე ზეპით აღვნიშნეთ, ბარიათინსკიმ ადგილობრივ თავადაზნაურობას მიანდო. რადგანაც საქართველოში კაპიტალიზმი უფრო სუსტად იყო განვითარებული, ვიდრე რუსეთში, ამიტომ ქართველი თავადაზნაურობის პროექტს უფრო „ფეოდალური“ ხასიათი ჰქონდა. ამის გავლენა დაეტყო საკანონმდებლო აქტებსაც, რომლებშიაც შენარჩუნებულ იქნა ბატონყმობის უფრო მეტი ელემენტები, ვიდრე 1861 წლის თებერვლის 19-ის აქტში. თანაც, ეს ნახევრული რეფორმა განხორციელდა საქართველოში ნაწილ-ნაწილ: 1864 წლის ოქტომბრის 13-ს — აღმოსავლეთ საქართველოში; 1865 წლის ოქტომბრის 13-ს — იმერეთსა და გურიაში; 1866 წლის დეკემბრის 1-ს — სამეგრელოში და 1871 წლის ოქტომბრის 8-ს — სვანეთში. სხვა დეტალებს რომ არ შევეხოთ, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ რეფორმის შედეგად საგლეხო მიწათსარებლობა, მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოში, შემცირდა საშუალოდ 5,9 დესეტინიდან „კომლზე 3,9 დესეტინამდე, ხოლო ბევრა საშუალოდ გადიდდა ერთოორად“ *.

მცირერიცხვან ქართველ ლიბერალთა იდეოლოგია თავისი საერთო ხასიათით (არას ვამბობთ ზოგიერთ კერძოობაზე და იერზე, რაც გამოწვეული იყო ადგილობრივი პირობებით) თანაემთხვეოდა რუსიდებრალთა იდეოლოგიას, რომლებზედაც ლენინი (ib. გვ. 143-144).

* მოროხოვები, გვ. 145.

УЧЕРДА, РОД ОНОГО „так-же, как и крепостники, стояли на почве признания собственности и власти помещиков, осуждая с негодованием всякие революционные мысли об уничтожении этой собственности, о полном свержении этой власти... Либералы хотели „освободить“ Россию „сверху“, не разрушая ни монархии царя, ни землевладения и власти помещиков, побуждая их только к „уступкам“ духу времени“. УЗЕЛЛО АМЕСТАБ ЕРТОД, МАЮБЦ „содержание крестьянской реформы было буржуазное — АМДОДЫ СЭББО (ib. 83. 143), — и это содержание выступало наружу тем сильнее, чем меньше урезывались крестьянские земли, чем полнее отделялись они от помещичьих, чем нижне был размер дани крепостникам (т. е. „выкупа“,) чем свободнее от влияния и от давления крепостников устраивались крестьяне той или иной местности. Поскольку крестьянин вырывался из под власти крепостника, постольку он становился под власть денег, попадал в условия товарного производства, оказывался в зависимости от нарождавшегося капитала“.

Миб. ТУЖМАБИШВИЛИС პოზიცია გლეხთა საკითხში განსაზღვრული იყო არა მარტო მისი მდგომარეობით, როგორც სახელმწიფო სამსახურში მყოფი ხელმოკლე მემამულისა. ოჯახის ტრადიციები, ფართო სულიერი მოთხოვნილებანი და ხასიათის ერთგვარი დამოუკიდებლობა ხელს უწყობდნენ იმას, რომ იგი მტკიცედ იდგა ერთხელ-და-ერთხელ ათვისებული ზომიერი ლიბერალიზმის პოზიციაზე.

გლეხთა საკითხი მიб. ТУЖМАБИШვИЛИს ახალგაზრდობიდანვე აინტერესებდა. ესა თუ ის შენიშვნა დღიურში, ოსეთის ექსპედიციის გამო აღძრული ეჭვები, ერთერთ კერძო წერილში გამოთქმული, ხალხის ცხოვრების გულხმიერებით შესწავლა, ის არაჩვეულებრივი ენერგია, რომლითაც მან ხელი მოჰკიდა რეფორმის სამზადისსა და განხორციელების საქმეს — ყოველივე ეს გვიჩვენებს, რომ ბატონიშვილისაგან გლეხთა განთავისუფლების საკითხი როდი იყო მისთვის მხოლოდ ოფიციალურ-სამსახურებრივი. ხასიათის საკითხი. მიხეილ თუჯმანიშვილის ცხოვრება ისე მოეწყო, რომ მას არ შეეძლო მთელი თავისი ძალონებ საყვარელი საგნებისათვის — ლიტერატურისა და ისტორიისათვის — შეეწირა. მაგრამ მთელი მისი ბუნების აგზნება, შოლგაწეობის ამ სფეროებში გამოუყენებელი, მიიქცა გლეხთა პრობლემისა-ქენ, რასაც მან უჭილადა აგრეთვე თავისი უდიდესი შრომაუნაროვნობა და თავისი ცხოვრების მდიდარი გამოცდილება.

რაც დრო გადის მიб. Тუჯმანიშვილი სულ უფრო და უფრო სძლევს თავის არსებაში ყველა იმ თვისებას, რაც ახასიათებს ბატონიშვირ საზოგადოებას, და ისწრაფის ნაშილობრივ მაინც დაიკმაყოფილოს

თავისი საზოგადოებრივი მოთხოვნილებანი გლეხთა შძიმე „სოციალური ტვირთის შემსუბუქებით. „მოხარული ვარ, რამ [სამსახურში] ამაღლებისას არ ვშორდები ჩემს საყვარელ და სპეციალურ საქმეს — საგლეხოსას“ — ატყობინებს იგი თავის შვილს რამდენიმე თვით ადრე სიკვდილამდე. „როგორც პუბლიცისტი, იგი არ შეუშინება მაშინდელი ყოვლადძლიერი ფეოდალების რისხვის და მიესალმა „საგლეხო რეფორმას“. არ დაკმაყოფილდა რა ამათ, იგი თავისი ჩეცულებრივი გაბედულებით შოლტავდა ცხოვრების დუხშირ ვითარებას, ილაშქრებდა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ“ (ლევ. ასათიანი „ქართულ ენაზე პუშკინის პირველი თარგმნების ისტორიისათვის“ — „ზარია ვოსტოკა“ 1937 წ. ივნისის 6).

1847 წლის მარტის 2-ს, ლაპარაკობს რა თბილისის თავადაზნაურობაზე, მიხ. თუმანიშვილი სწერს თავის დღიურში, რომ უმაღლესი

„...общество гадкое, а среднее еще хуже. Люди, принадлежащие к мелкому дворянству, не понимая своего родового достоинства, или лучше сказать, не сознавая его оттого-ли, что класс этот слишком обширен и сливаются с классом разночинцев, ищут личных прав и преимуществ, и очень довольны, если плечи их украсились эполетами, петлица блеснула ленточкой, а бедро украсилось темлячком: все это для того, чтобы их не били“. ⁹³

მემამულეთა გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზე დიმიტრი ყიფიანის მიერ თბილისის თავადაზნაურობისათვის წარდგენილი ფართო მოხსენების გადასინჯვის დროს მიხ. თუმანიშვილი „მემამულეთა გლეხების მოწყობის ცენტრალური კომიტეტის“ საქმეთა მმართველი) მრავალი შენიშვნებით აჭრელებს ნაწერის კიდეებს; ამ შენიშვნებიდან სჩანს, რომ იგი არ ეთანხმება მოხსენების საერთო თვალსაზრისს. იმ სიტყვების გასწვრივ, რომლებიც „საერთო განსაკლელს“ („ინჟაქ ნედა“) ეხება (დიმ. ყიფიანი „საერთო განსაკლელად“ ბატონიშვილისაგან გლეხების განთავისუფლებას გულისხმობდა), მიხ. თუმანიშვილი ნაწერის კიდეზე სვამს კითხვითი ნიშანს.

დიმიტრი ყიფიანისა და მიხეილ თუმანიშვილის შეუთანხმებლობაზოგიერთ საკითხში სრულიად არ უშლიდა იმას, რომ თბილისის თავადაზნაურობის მეთაურს (დიმ. ყიფიანი რეფორმის მომენტში თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამდლოლი იყო) ყველა სერიოზულ საქმეზე ეთათბირნა მიხ. თუმანიშვილთან, რომელსაც თბილისის თავადაზნაურები უცილობლივ ირჩევდნენ ყველა პასუხისმგებელ ქომისიაში. თავადაზნაურობის „წერილს“ („записка“) გლეხთა განთავისუფლების შესახებ რედაქციას უკეთებდა თუმანიშვილი.. იგთ გულდასმით ემზადებოდა რეფორმისათვის. ვესტ-ინდოეთის კოლონიის, მდგომარეობას მონათა მიმართ, საამისო კანონებს და ჩეცულებებს,

ინგლისის მიერ თავის კოლონიებში მონობისაგან ზანგების განთავისუფლებას ცოტა ადგილი არ უჭირავს მის შენიშვნებში. იგი ეცნობა უახლეს ნაწარმოებებს მონათმფლობელობაზე, დიდის ყურადღებით კითხულობს 1862 წელს „Современная летопись“-ში ოგიუსტენ კოშენის ახალი ნაშრომის შინაარსს („მონობის მოსპობა“ ფრანგულ ენაზე).

„Система барщинаных работ тягостная и несостоительная“ — აღნიშვნას იგი თავის, ჩანაწერებში. უკეთესი იქნებოდა მისი აზრით ისე მოხდეს, როგორც გერმანიაშია ყველგან გაკეთებული და როგორც მოიქცა ახლახან იხდისი კანადაშიო, ე. ი.— „оценить повинности крестьян в отношении к их владельцам и выплатить сим последним капитал с этого процента, в виде земских облигаций или кредитных билетов, обеспечив ежегодные взносы с изъемельного долга новинностями крестьян, которые выкупили-бы свои участки по системе срочного погашения...“

1867 წლის მაისში თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობამ აარჩია მიხეილ თუმანიშვილი იმ კომიტეტის წევრიდ, რომელსაც უნდა შეედგინა სათავადაზნაურო ბანკის წესდების პროექტი. საბოლოო დამუშავებისათვის კომიტეტში გადაცემული პროექტი მიხეილ თუმანიშვილმა დიდის გულმოლგინებით განიხილა, რასაც მოწმობს მისი მრავალი შენიშვნა ნაწილის კიდეებზე. შემდეგ იგი ხდება უმაღლესი. სასწავლებლის დაარსებისათვის შედგენილი კომისიის წევრი. 1871 წლის სექტემბერში, როდესაც მეფემ თბილისი ინახული, წარმოიქმნა ხელსაყრელი მომენტი უმაღლესი სასწავლებლის დაარსების შუალდგომლაბისათვის. თუმანიშვილი კვლავ არჩეულ იქნა კომისიაში უმაღლეს სკოლაზე მხრუნველობისათვის. ჯერ კიდევ ამაზე აღრე, როდესაც აღიძრა საკითხი გამსესხებელ ამხანაგობებზე, იგი იღებდა მონაწილეობას პროექტის შემუშავებასა და რედაქციაში.

თავისი მხრით თუმანიშვილიც ეთათბირება დიმ. ყიფიანს გლეხთა პრობლემის ისტორიის საკითხებზე. 1864 წელს იგი უგზავნის დიმ. ყიფიანს წინასწარი გადასინჯვისათვის თავის წერილს („записка“) ხიზანთა წოდებაზე და მაისის 18-ს ყიფიანი სწერს მას:

„Исправив, по тому, что мне положительно известно, записку о хизанском состоянии, имею честь препроводить ее к глубокоуважаемому князю Михаилу Биртвеловичу“.

შიხეილ თუმანიშვილი მონაწილეობას იღებდა იმ პირთა წრეში, რომელთაც ორმოციანი წლების დასაწყისს დაარსეს თბილისში პირველი კერძო ბიბლიოთეკა. მთავარი როლი ამ საქმეში, როგორც ეტუბა, ეკუთვნოდა დიმიტრი ყიფიანს, რომლის ბინაზედაც ეს ბიბლიოთეკა იყო. „ამ პირველი სამხანაგო ბიბლიოთეკის დაარსება და ხელშეღვა-

ნელობა იქისრა დიმ. ყიფიანმა, — ამბობს ს. ხუნდაძე თავის „მონო-
გრაფიაში ყიფიანზე (გვ. 180). — ხოლო მას დახმარებას უწევდნენ:
მაშინდელი ჩვენი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელნი და
მათ შორის ნ. ბარათაშვილი, ვ. ორბელიანი, გრ. ორბელიანი, მ. თუ-
მანიშვილი და სხვები“.

შესდგა წიგნის თვალსაჩინო ფონდი კავკასიისმცოდნეობისა და
სხვა საკითხებზე. ეს ფონდი შემდგომ თბილისის საჯარო ბიბლიოთე-
კის გადაეცა. ამ ბიბლიოთეკის „მოკლე კატალოგში“, რომელიც, სხვათა
შორის, დიდტანიანი ტომია 1138 გვერდით (გამოც. 1861 წ. ა. ბერეს
რედაქტორობით) ნათქვამია, რომ ყველაზე კაპიტალური მონაპოვარი
1848 წელს არის (გვ. VII) „მიერთება საჯარო ბიბლიოთეკისათვის
ბ-ნი ყიფიანის კერძო ბიბლიოთეკისა, რომელიც შესდგებოდა 233
თხზულებისაგან ან 510 ტომისაგან, და განსაკუთრებით, ბიბლიო-
თეკის ყიდვა დ.ს.ს. დეგუროვისაგან“. იმ სიტყვების გასწვრივ, რომ-
ლებიც ყიფიანს ეხება, მის. თუმანიშვილს კატალოგის თავისი ეჭვემ-
პლიარის კიდეზე ფანქრით აღუნიშვნას: „ეს მარტო ყიფიანისა კი
არა, არამედ თბილისელ ახალგაზრდათა მთელი საზოგადოებისაა“.

თითონ დიმიტრი ყიფიანი თავის „მემუარებში“ (1930 წ. გვ.
104-105) იხსენიებს იმ გარემოებას, თუ როგორ წარმოიქმნა პირვე-
ლი ბიბლიოთეკა. იგი ჩამოსთვლის „ამ ბიბლიოთეკის დამაარსებელთა
სახელებს“ და მათ შორისაა: „გუბ. სეკრ. თ-დი მიხეილ თუმანიშვი-
ლი, გარდაცვლილი ტაინ. სოფ-ის ჩინით“.

დიმ. ყიფიანის მიერ მოყვანილი სია მეტისმეტად საინტერესოა.
მით, რომ გვიჩვენებს იმ ახალგაზრდათა წრეს, რომელნიც ორმოციანი-
წლების პირველ ნახევარში გაერთიანდნენ დიდი კულტურული საქმის
გარშემო. ამ წრესა და თბილისის გიმნაზიის ლიტერატურულ წრეს
შორის არსებობს პირდაპირი მემკვიდრეობითი კავშირი. უდიდესი
უმრავლესობა მათ შორის ისევ ის პირნი არიან, რომელთაც ჩვენ:
ვხედავთ ჯერ „ყვავილში“ და ნაწილობრივ წინანდალში, შემდეგ ურ-
თიერთისადმი განურებულ მიწერ-მოწერაში და მერე მანანა ორბე-
ლიანის წრეში. აქ არიან იგივე დიმ. ყიფიანი, ნ. ბარათაშვილი, მის.
თუმანიშვილი, დიმ. ჯორჯაძე, გრ. და უახტ. ორბელიანები, ლევ-
მელიქიშვილი (ამათ ვარდა სიაში ირიცხებიან; ზაქარია ერისთავი,
ზაქარია ფალავანდიშვილი, ელიზბარ ერისთავი, ზაქარია ორბელიანი,
კონსტ. დალიანი, ალექს. ონიკაშვილი, ფეოდორ კოცებუ, ზნაჩკო-ია-
ვორსკი, ნიკ. ბეზაკი, კონსტ. ორლოვსკი, დავით არზანვი, სერგე-
იასილკოვსკი, დავით ჭავჭავაძე, ივანე ორბელიანი). ლ. ისარლიშვი-
ლის წერილიდან (მოყვანილია ამ წიგნის VIII თავში) სჩანს, რომ
1841 წელს მის. თუმანიშვილი და დიმ. ყიფიანი აგროვებდნენ მასა-
ლას ქართული ალმანახის გამოსაცემად:

დიმ. ყიფიანი და მიხ. თუმანიშვილი თუ ტაკავშირებულნი იყენენ ერთმანეთისაღმი მარტო პატივისცემით და საქმიანი ურთიერთობით, სამაგიეროდ ნამდვილი იდეური კავშირი თუმანიშვილს ორმოცდაათიან და სამოციან წლებში სხვა პირებთან ჰქონდა. გიორგი თუმანიშვილის შემდეგ დარჩა მოკლე გამოუქვეყნებელი შენიშვნები იმის თაობაზე, თუ რა როლს თამაშობდა მიხ. თუმანიშვილი თავადაზნაურობის საქმეებში და რა ურთიერთობა ჰქონდა თბილისის თავადაზნაურობის ზომიერ-პროგრესიულ წრესთან.*

„სამოციან წლებში, გლეხთა განთავისუფლების შემდეგ, თაილისის და ქუთაისის გუბერნიებში დაიბადა თავადაზნაურობისათვის ბანკების დაარსების აზრი. ამ ბანკებმა, როგორც სწერს მიხეილ თუმანიშვილს დ. დ. ჯორჯაძე, უნდა გაუმტელონ თავადაზნაურობას საგლეხო რეფორმით მიყენებული იარა. თავადაზნაურთა წრეებში ადგენენ პროექტებს, მაგრამ ყველაზე ძალიან ხელი მოჰკიდა ამ პროექტებს იმ წრემ, რომლის სულის ჩამდგმელიც იყო გიორგი კონსტანტინეს-ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი, სენატორი, მეფის ნაცვალთან განწევებული. ამ წრეში შედიოდნენ მეფის ნაცვლის სამმართველოში მაღალ პოსტებზე მდგარი ადგილობრივი თავადაზნაურნი: სამმართველოს საბჭოს წევრი დიმ. დავ. ჯორჯაძე, მიხ. ბირთვ. თუმანიშვილი, რომელსაც ეჭირა გლეხების მოწყობის საქმეთა კანცელარიის მმართველის თანამდებობა, და თბილისის სამოსამართლო პალატის წევრი ი. ა. ანდრონიკაშვილი. ამ წრეს დიდი გავლენა ჰქონდა ადგილობრივ თავადაზნაურობაში. ხემოდ ჩამოთვლილი პირი არჩეულნი იყენენ თავადაზნაურობის მიერ განსაკუთრებულ კომიტეტში სათავადაზნაურო ბანკის წესდების შესამუშავებლად. მართალია, მათი პროექტი არ მიიღო თავადაზნაურობის საერთო კრებამ. თავადაზნაურობის ყოფილი წინამდლოლის დიმიტრი ყიფიანისა და ახალგაზრდობის წარმომადგენლის ი. გ. ჭავჭავაძის გაელენამ გაიმარჯვა. მიღებულ იქნა უფრო ფართო პროგრამა გრძელვადიან, კრედიტისა და დაარსდა იპოტეკური ბანკი (აშინდელი სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი): მაგრამ ზემოხსენებული კომიტეტის მუშაობას უქმად არ ჩაუვლია. ეს კომიტეტი თუ წრე ცოტას არ მუშაობდა. მის სხდომებზე იწყევენ საბანკო საქმის ისეთ მცოდნებს, როგორიც იყო, მაგალითად, ვ. ი. კაიდანოვი, სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილების მმართველი. იგივე კაიდანოვი ხელმძღვანელი იყო ჭერძო ბანკებისა — კომერციულისა და საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა, რომლებიც იმ დროს იქმნებოდნენ. კომიტეტის მუშაობამ გააცნო ადგილობრივ საზოგადოებას სხვადასხვა სახის კრედიტი, რაც იმ დროშდე უცნობი იყო. კომიტეტის შოამგონებელი გ. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკი იყო. ხოლო რა როლს თამაშობდა მ. ბ. თუმანიშვილი, ეს ირკვევა კომიტეტის მეორე წევრის, დ. ჯორჯაძის წერილიდან მიხ. თუმანიშვილისადმი: უგზავნის რა „წერილს“ („ვაპისკა“) გამსესხებელ ამხანაგობებზე, ჯორჯაძე სწერს ოუმანიშვილს:

„მხაო მიხეილ. მე და შენ თითქოს სხვადასხვა ქალაქში ვსდგევართ, ისე იშვიათად ვნახავთ ხოლმე ერთმანეთს.

მე უსაქმო მოდარბაზეები მაბრკოლებენ და შენ შენი თანამდებობის მოვალეობა.

* შენიშვნები აქ მოთლად არის მოყვანილი. დაწერილია 1918 წელს.

Амасатаб ვიგზავნი გადათეთრებულს ზაპისკას ჩვენი უბედური შებატონების იარების მალაშის შეზავების საგანზედ [გამსესხებელი ამხანაგობანი].

შეიკეტე კარები და ერთი შენი რედაქტორული თვალი გაადაავლე გუნებიერათ, სადმე მძიმე წერტილი აკლდეს შეასე და თუ ცოტა რამ რუსული ენის მოთხოვნილებისამებრ გასასწორებელი ნახო, ისიც შენიშნე და როცა მაცნობებ, ჩამოვალ.

Князь Георгий очень торопит, Реваз еще больше и поэтому ты-бы очень обязал, если-б кончил просмотр к утру

ჩემი ძველი ვალი, по театру, მომირთმევია.

შენი დიმიტრი ჯორჯაძე.

შაბათს.

ამ წერილიდან სჩანს, რომ მიწ. თუმანიშვილი იყო აღნიშნული წრის არა მარტო ერთი მთავარი წევრთაგანი, არამედ აგრეთვე პროექტების რედაქტორიც, რომელსაც გზას ვერ აუქცევდნენ ამ პროექტების საბოლოო შემუშავების დროს. საერთოდ, თავადაზნაურობა ირჩევდა ხოლმე მას ყველა კომისიაში, როდესაც რაიმე მნიშვნელოვანი პროექტისა და შუამდგომლობის „შედგენა უხდებოდათ“.

მიწ. თუმანიშვილინ არქივში შენახულა დიმ. ჯორჯაძის რამდენიმე სხვა წერილი და ბარათი, რომლებშიაც იგი სწერს თავადაზნაურობის სხვადასხვა შუამდგომლობებზე და საერთოდ თავადაზნაურობის საქმეებზე. ერთერთ ასეთ ბარათში, რასაკვირველია, მისი ჩვეულებიამებრ, უთარილოდ, იგი ეკითხება თუმანიშვილს ბანკის საქმეებზე:

„მათ მიხეილ. Третьяго дня ночью и вчерашнюю ночь у меня была лихорадка и потому я до сих пор не мог согласиться с тобою о времени нашего доклада кн. Георгию [Багратиони-Мухранисвили] банковых бумаг.

Сегодня я не предвижу возобновления пароксизма и если-бы ты нашел время пожаловать ко мне, мы-бы еще потолковали по этому делу.

До того-же подари мне четверть часа, перечти составленную мною „Записку“ от Предводителя Губернатору и сделав замечания, которые найдешь нужными, возврати сегодня-же или принеси сам.

შენი დიმიტრი.

Понедельник. Проект записки я перебелил, кроме первого листа.

Просительный пункт № 1 ბოლო ამ თხოვნას შენ გამიკეთე. მე ვერ მოვახდებ ისე, რომორც ემერბომებოდა“.

ხელმოუწერელ და უთარილო ბარათში ჯორჯაძე სწერს:

„მათ მიხეილ. მოდი ამაღამ მჩუბდეთ კნიაზ გიორგის და მაცრიჩეთ ჩვენი კუპაჭია ბანკების საქმეს

დღეს საყვადური მივიღე იმისგან დაგვიანებისათვის. გარდა ამისა ა რა ვება ვივრა ი ბანკ მოგვარტყა მამაცოვმა. მაცნობე როდის ჩამოვიარო თუ წამოხვალ".

მეორე ბარათში იგი აცნობებს:

„Михаил, мне хотелось-бы отправить в Шуру адрес от нашего дворянства—для сведения. Если можно—вели на ското списать копии с твоего и с Бородиновского адресов и пришли мне с тем же посланием. Если-же тебе не до того, теперь-же уведомь.

Слышал ли ты о новой телеграмме, пришедшей сегодня: „Шеф жандармов Долгорукий смениен, назначен Шувалов, генерал-губернатор Прибалтийской губернии.

Председателем следственной Комиссии по делу о покушении на жизнь, государь назначил Муравьев-Апостола.⁹³

„Шენი დიმიტრი ჯორჯაძე“.

ბანკის საკითხი ერთი უმთავრესი საკითხთაგანი იყო ქართველი საზოგადოებისათვის სამოციან წლებში და სამოცდაათიანი წლების დასაწყისში. თუმცა ერთის შეხედვით მასში პოლიტიკური არა იყო რა, მაგრამ ნამდვილად კი იგი გადაიჭცა ბრძოლის მოედნის წინაარედ, რომელზედაც ახალმა თაობამ, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, გაშალა თავისი ძალები „ბებრებთან“ პირისპირ შესაბმელად; ამ უკანასკნელთ სათავეში გრიგოლ ორბელიანი ეღდათ. სადაო ის იყო, შეექმნათ დიდი ბანკი გრძელვადიანი კრედიტისა გირავნობის ფურცლებით, თუ დასჯერებოდნენ მოკლევადიანი კრედიტის უფრო მცირედაწესებულებას. ზურგ-გამაგრებული ძველი თაობის ისეთი გამოქვიდი წარმომადგენლის მიერ, როგორიც დიმიტრი ყიფიანი იყო, ახალგაზრდობა გრძელვადიანი კრედიტის დიდ ბანკს იცავდა, ხოლო ორბელიანის პარტია, რომელსაც ამ შემთხვევაში მიხეილ თუმანიშვილიც ემხრობოდა, მცირე ბანკის პროექტს ამჯობინებდა, სთვლიდა რა, რომ დიდი ბანკი არ განეწონება თავადაზნაურობის ძალონებაო. როგორც ვიცით, ახალგაზრდობამ გაიმარჯვა და დაარსდა საადგილმაშულო ბანკი.⁹⁴

თანამედროვენი მოწმობენ, თუ რა აღზნებით მიმდინარეობდა ბრძოლა. ბანკის საკითხის გარშემო შექმნილი შეხუთული ატმოსფერო მაშინდელ პრესაში ნათლად აღიბეჭდა, მაგრამ ეს ციებ-ცხელება თავადაზნაურობის ფართო წრესაც მოედვა. მიხეილ თუმანიშვილის უფროსი ქალიშვილი ბარბარე.⁹⁵ ნიჭიერი აღამიანი, რომელიც მთლად გატაცებული იყო საზოგადოებრივი და ლიტერატურული საკითხებით, 1872 წლის დეკემბრის 14-ის წერილში ატყობინებს თავის ძმას, გიორგის ოდესაში, სადაც იგი იქაური უნივერსიტეტის სტუდენტად იყო, ბანკის ამბებს. ეს წერილი საქმაოდ ახასიათებს მძაფრი ბრძოლის ცხარე დღეებს.

„ჩემო ძვირფასო გიორგი! ამას წინად გწერდი, თუ რა. გამოცოც ხლება გამოიწვია ბანკის საკითხმა. ახლა ეს საკითხი თითქმის უკვე გადაწყვეტილია, ე. ი. ახალი წესდება მიღებულია უმეტესობით, მაგრამ კანონიერად დამტკიცებისათვის ჯერ არ წარუდგენიათ. მალე გაჟაიხდიან თავიანთ ხეიმს, მე მგონია, ჯერ ნაადრევს, გრიგოლ ორბელიანის საპატიოთ, იმისათვის, რომ მან გამოსთხოვა ხელმწიფეს 100.000*. — ბანკის მთავარი კაპიტალი, და წინამძღვრლი რევაზ ანდრონიკაშვილის საპატიოთ — არ ვიცი კი, რისთვის, იქნება იმისთვის, რომ იგი მუდამ მჭერმეტყველურად სდუმდა ან ჭივათამყოფელობით ხან ერთი პარტიისაკენ გადადიოდა, ხან მეორისაკენ და, დასასრულ, უმრავლესობას მიემსრო. ამბობენ, ეს სხდომები ძალიან საინტერესო იყოთ. ჩვენ დავვისწარით სუსუ უკანასკნელს, როდესაც ყველაფერი უკვე გადაწყვეტილი იყო; კიორულობდნენ ახალ წესდებას, მერე დაიწყეს კენჭისყრა, მაგრამ წინათვე შეიძლებოდა იმის თქმა, რომ უმეტესობა კარგად მიიღებდა [წესდებას], რადგანაც ყველა იქ მყოფთა მეტი ნაწილი. მომხრენი იყვნენ ილია ჭავჭავაძისა, რომლის დაწერილიცაა წესდება. წესდების ცალკალკე პუნქტების გარჩევის დროს თითქმის არავის ზმა არ ამოულია, მხოლოდ ერთმა აბამელიქოვამა, აი, ბიჭების აღვოკატი რომ არის, იმან დაიწყო ლაპარაკი წინასწარ მომზადებული სიტყვით, მაგრამ ისეთ აბდა-უბდას, მოჰყვა, რომ ხმაურობა ასტერეს და არ დაათავებინეს. ყველა წინანდელ სხდომაზე იმას თურმე კამათობდნენ, რა ბანკი მიეღოთ — მოკლევადიანი თუ გრძელფადიანი და დასასრულ ერთ საღამოს გამოვიდა ილია ჭავჭავაძე და მთელი სამი საათი თურმე ილაპარაკა. ჯერ, როგორც ამბობენ, გააკრიტიკა ძველი კომისია და მაისში გამოსული წესდება და მერე ამტკიცებდა, ჩვენ ყველამ საერთო სიკეთეზე უნდა ვიზიქროთო და ამიტომ საჭიროა ისეთი ბანკი დავარსორთ, რომელსაც სარგებლობა ყველასთვის მოქმედესო. როგორც პოეტმა, ყველანიც დაჯერა. აირჩიეს ახალი კომისია და ისიც მეთაურად. და ამრიგად ყველა დავა გათავდა. ჭავჭავაძის სიტყვა სრულად დაბეჭდილი იქნება „ტიფლისკი ვესტნიკში“, რომელიც იანვრიდან გამოვა. ალექსანდრესაგან⁹⁷ წერილს ნუ ელი, ისე, ლამაზი სიტყვის გულისთვის დაგპირდა. დამავიწყდა მეთქვა, რომ ახალი წესდებით გრძელვადიანი ბანკი იქნება, მოქმედვადიანზან ერთად. სხდომებზე მანდილოსნებიც იყვნენ ხოლმე, მაგრამ ძალიან ცოტანი. მეტად მწყინს, რომ ვერ მომიხდა შენი მოთხოვობის წაკითხვა. ს. მელიქოვი.⁹⁸ ოდესაში თურმე ყოფილა. შენ, ალბათ, ნახავდი. აქ ჯერ არ ჩამოსულა. იცი, ახლა რას ვაკეთებ — არც კი დაიჯერებ, — გმოშაირობ (ვანიმაიას რიფმოპლეტვომ). საცდელად ბერანეუს⁹⁹ ერთი ლექსი გადავთარგმნე; ⁹⁹ მაგრამ ლექსის არჩევანიც და თარგმანიც არ მემარჯვა (მე უდასის). როდისმე შაგიკითხავ, სიცილია მოკლები. მაგრამ მე სხვა გეგმა მაქეს, თუ მოვახერხე. მინდა გადავთარგმნო რამდენიმე ბიოზრაფია მრეწველობის შესანიშნავი მოღვაწებისა, როგორც, მაგალითად, სტეფანისნი და სხვ., და თანაც ავწერო მათი მოღვაწეობის მიმდინარეობა. ალბათ, ყველა აზას სმაილის 100 თხზულებებში ვნაზავ. მინდა შენი აზრი ვიცოდე. უეჭველად მომწერე, რას ფიქრობ ამაზე. უსარგებლო შრომა და ტყუილი დროს დაკარგვა ხომ არ იქნება? ახლა კი ვაპირებ მთელი „ვეფხის ტყაოსნის“ წაკითხვას. მომავალი წლისთვის გადა მოვიწერეთ „ოტეჩესტვენიე ზაპისკი“, ¹⁰¹ „ნედელია“, ¹⁰² „პეტერბურგპუკია“.

* ნამდვილად — 160.000 მან.—ჭ. თ.

ვედომოსტი“¹⁰³ და სწ. არავითარი სასოგადოებრივი გართობა არ არის—
თეატრში არ წაისვლება; სდგამენ თაქრების (რასაკეირველია, რუსულს)
უმომლერლებოდ და, ამბობენ, ეს წარმოდგენები ბალაგანურ პანტომიმებს
ჰგავსო. რა სიამოვნებით ვკითხულობ „გლეხიკაცის ისტორიას“¹⁰⁴. საუც-
ხოო წიგნია, როგორც აზრით, ისე თხრობით. რა სასაცილო უნდა იყოს იმ
სტუდენტ ბაქაძის ისტორია. ალბათ, პირველ ჩანს ბევრი სერიოზულად
შეშინდა, მათ შორის შენც, როგორც უკანონო ბიბლიოთეკის ბიბლიოთე-
კარი. ყურადღება მიაქციე „ოტექ“. ზა.„-ის ოქტომბრის წიგნში¹⁰⁵. „დნევ-
ნიკ პროვინციალა ვ პეტერბურვე“. მამა, დედა, ტასო¹⁰⁶. *. ვასო¹⁰⁷. კო-
ტე¹⁰⁸ და მე, ყველანი გყოცნით. წარსულ შაბათს, დეკემბრის 9-ს, „დროვ-
ბა“ და ბრო შუ რა [გ. მუხრანსკის] გამოგიგავნეთ.

შენი ვარინკა“.

სამოციანი წლები და სამოცდაათიანი წლების პირველი ნახევარი
ქართველი თავადაზნაურობის დიდი აქტიობის წლები იყო. სწყდე-
ბოდა მისი კეთილდღეობის უაღრესი მნიშვნელობის მქონე საკითხე-
ბი — საგლეხო რეფორმისა და ბანქისა; ფეოდალური ურთიერთობანი
სულ უფრო და უფრო სუსტდებოდნენ და საჭირო იყო ცხოვრების.
ახალ პირობებთან შეგუება. თავადაზნაურობის პოზიციების შენარჩუ-
ნება შზარდი სავაჭრო და საბანკო კაპიტალის პირისპირ მოსალოდ-
ნელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავადაზნაურობა მოახერ-
ხებდა. აესხა უფრო სრულყოფილი თანადროული იარაღი. სწავლა-
განათლების გავრცელება თავადაზნაურობაში მიჩნეული იყო მისი
იდეოლოგების მიერ ერთერთ საშუალებად ძველი ეკონომიური და
პოლიტიკური პოზიციების შენარჩუნებისათვის. საამისო მარჯვე შემ-
თხვევამაც თავი იჩინა 1871 წელს, როდესაც მეფე ალექსანდრე II-ის
თბილისში ჩამოსვლაში შესაძლებელი გახდა აღეძრათ ახალი სასწავ-
ლებლების დაარსების საკითხი. კარგა წნით ადრე მეფის ჩამოსვლამდე,
თავადაზნაურობამ აირჩია კომისია, რომელსაც სკოლებზე უნდა ეზრუნა.
თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მეთაურს, წინამდლოლს რე-
ვაზ ანდრონიკა შვილს, რომელიც ძალიან აფასებდა მის. თუმა-
ნიშვილის აზრს, მუდმივი კავშირი ჰქონდა მასთან ამ საკითხის გამო.
1871 წლის ივლისის 12-ს აცნობებს: „გულითადად ვწუხვარ, რომ
თქვენ არ იყავით იმ თათბირზე, რომელიც მე მქონდა; ამ თათბირის
უმრავლესობა სამხედრო გიმნაზიის მომხრე იყო, თანაც დამატებით—
უნდა ვითხოვთ კიდევ ერობა და პრიკაზის ვალის 40 წლით გა-
ნაწილება, რაზედაც შედგენილი იქნება მოხსენება, მაგრამ თქვენა
გთხოვთ, ამაზე არ გაჩერდეთ და შეადგინოთ თქვენი პროექტი, ვი-
ნაიდან წავიკითხე თქვენი წერილი და ერთხმად გთხოვენ, რომ კიდეც
შეადგინოთ, მაშინ საერთო კრებაზე ორივე პროექტს განვიხილავთ“.

* გიორგი თუმანიშვილზე ცნობები. ის. 107 შენიშვნაში.

ივლისის 22-ს, სთხოვს-რა ოფიციალური ქაღალდით დაესწროს წინასწარ თათბირს „თავადაზნაურობის სარგებლობათა და საჭიროებათა შესახებ“ („ი იმავარ და უჯდა ძვირის გამო არ შეუძლიან, გაუგზავნოს „ყველა ქაღალდი, თქვენ მიერ განმზადებული „ზავედენის“ საქმეზე, როგორც წასაკითხად, ისე იმისათვის, რომ შემეძლოს მივართვა მის უმაღლესობას პეტროვსკში წასვლამდე, სადაც იგი მიდის დაახლოებით 15 აგვისტომდე. გთხოვთ, კეთილო მიხეილ ბირთველის-ძევ, მიშველოთ ჩქარა ამ, თავადაზნაურობისათვის სამადლო საქმეში“.

როდესაც „უქვეშევრდომილები თხოვნის“ პროექტი მზად იყო, ანდრონიკაშვილი (1871 წ. აგვისტოს 28-ს) სოხოვდა მის. თუმანიშვილს, როგორც თხოვნის დამამზადებელი კომისიის წევრს, მონაწილეობა მიეღო ამ თხოვნის განხილვაში.

თავადაზნაურთა ხმები გაიყო: ძველი თაობის უმეტესობა ემხრობოდა სამხედრო გიმნაზიის დაარსებას, ვინაიდან თავადაზნაურობის წოდებისათვის უფრო შესაფერისად სთვლიდა სამხედრო ასპარეზზე წარჩინებას და სრულყოფას. ახალგაზრდობა, რომელსაც მხარი დაუჭირეს ძველი თაობის უფრო განათლებულმა ელემენტებმა, მათ შორის მიხ. თუმანიშვილმაც, მოითხოვდა უნივერსიტეტს. სექტემბერში კვლავ აირჩიეს კომისიის წევრები და მიხეილ თუმანიშვილი კვლავ გახდა ამ კომისიის წევრი გიორგი ბაგრატიონ-მუხრანსკისთან, დიმ. ჯორჯაძესთან, იასე ჭავჭავაძესთან და ბესარიონ ღოღობერიძესთან ერთად. კომისიის შედგენილობა მიღებულ იქნა უნივერსიტეტის მომხრეთა ხმებით. ანასტასია თუმანიშვილისა, აცნობებდა რა თავის ძმას გიორგის სკოლის საქმეზე ზრუნვის ამბავს, სწერდა: „ჯერ თავადაზნაურები შეიყარნენ და იმ გადაწყვეტილებას დაადგნენ, რომ ეთხოვნათ ხელმწიფისათვის სამხედრო გიმნაზიის დაარსება და არზაც კი დაწერეს, ხოლო საერთო კითხვის დროს ახალგაზრდობამ ზედმეტიდან ჩასთვალა სამხედრო წოდების გამრავლება, ისეთაც საკმარისიაო, და მოითხოვა უნივერსიტეტი და კენჭისყრის დროს უმეტესობა უნივერსიტეტს მიემხრო, ზოგიერთი იმ სოფლელი თავადის უდარდელობით, რომელნიც გიმნაზიის მომხრენი იყვნენ, მაგრამ არ კი მოვიდნენ. ამბობენ, მეორე დღეს მათ სთხოვეს წინამდლოლს ხმები ხელახლად შეეკრიფა, მაგრამ უარი უთხრეს. რასაკვირველია, ამან ცოტა არ იყოს, ყველა აამოძრავა; სიტყვები წარმოსთქვეს დოქტორობაზარსნიშვილმა¹¹³, ნიკოლაძემ¹¹⁴, გაარჩიეს დაწერილი არზა და სცნეს არადამაკმაყოფილებლად. შემდეგ უნივერსიტეტის მომხრეებმა აირჩიეს კომისია შემდეგ პირთაგან: თარხნიშვილი, ჭავჭავაძე (ლიტერატორი), თავ. დიმ. ჯორჯაძე და მამაჩვენი. ყველამ ერთად გადასწყვი-

ტა, ითხოონ სახსარი საშუალო სასწავლებლებისათვის და ისიც, რომ ერთი უმაღლესი სასწავლებელი გამართონ“.

კომპრომისი, რომელიც მოხდა ორივე მიმღინარეობას შორის, იმაში მდგომარეობდა, რომ თავადაზნაურობა სთხოვდა მეფეს სასწავლებელთა რიცხვის გადიდებას, ხოლო არ აღნიშნავდა ადრესში, სახელდობრ რა ტიპის სკოლებია სასურველი.

მიხ. თუმანიშვილი 1871 წლის სექტემბერში სწერდა თავის შვილს გიორგის:

„თავადაზნაურობისაგან [მეფემ] მიიღო შეწყნარებულად ადრესი: მხარეში სწავლა-აღზრდისათვის სახსართა გადიდების საჭიროებაზე (იმის დაუსახლებლად, თუ როგორის); თავადაზნაურები თვით მთავარს [მეფის ნაცვალს მიხეილ ნიკოლოზის-ძეს] ანდობენ ყოველგვარ შუამდგომლობას ამ მხრით“.

თავადაზნაურთა შუამდგომლობის შედეგი იყო თბილისში კადეტთა კორპუსის გახსნა. უნივერსიტეტი ნაადრევია საშუალო სასწავლებლების სიმცირის გამოო. მეფის მთავრობა თავისი არსებობის უკანასკნელ დრომდეც კი მეფეობად ეწინააღმდეგებოდა კაციასიაში უმაღლესი სასწავლებლის გახსნას და ამრიგობაზედაც შუამდგომლობას იგივე შედეგი ჰქონდა, რაც არა ერთხელ შემდგომშიაც ჰქონია.¹¹⁵

მიხ. თუმანიშვილის თაობას ეკუთვნოდა ლევ ან, მელიქი შვილიც, მაგრამ იგი განჩე იდგა საზოგადოებრივ საქმეებში და არც ბანკის საკითხში, არც სკოლის საკითხში მისი სახელი არსად გვხვდება. მართალია, საზოგადოებრიობის გამოლვიძების პერიოდში იგი თბილისზე შორს იყო — დაღისტანში — მაგრამ დაღისტნის მეორე აღმინისტრატორს, გრიგოლ ორბელიანს, სამშობლოს გარეშე ყოფნამ ხელი არ შეუშალა აღნიშნა თავისი სახელი ლიტერატურაშიაც და სასაზოგადოებრივ საქმეებშიაც.

ლევან ივანეს-ძე მელიქიშვილის სახელი შევიდა ქართული ლიტერატურის ისტორიაში, როგორც ნიკ. ბარათაშვილისა და ზოგიერთი სხვა პოეტის და მწერლის მეგობრის სახელი. ეს მეგობრობაც, ახალგაზრდობის ლიტერატურულ წრეებში მონაწილეობაც და „ყვავილში“ თანამშრომლობაც თითქო წინასწარ განსაზღვრავდა მის დანიშულებას დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე გამოსვლისას, მაგრამ მისი მეგობრების მოლოდინი ამაო გამოდგა. გიმნაზიის დამთავრებას მან აირჩია სამხედრო, ხოლო შემდეგ სამხედრო-საადმინისტრაციო კარიერა და იგი მთლიად სამსახურს მიეცა. მელიქიშვილს არავითარი კვალი არ დაუტოვებია ქართულ ლიტერატურაში, გარდა მწერალთა მეგობრის სახელისა. 1844 წელს მელიქიშვილი დროებით მართავდა ნახევანის მაზრას და ნიკ. ბარათაშვილი მის თანაშემწედ დანიშნეს. შემდეგ, ერთი საადმინისტრაციო თანამდებობიდან მეორე თანამდებო-

ბაზე გატასვლისას, 1859 წელს მან მრაღწია დაღისტნის ოლქის უფროსობას და აქ პპოვა თავისი ნამდვილი მოწოდება, მიიღო და შეასრულა რა მეფის ნაცვლის თავ. ბარიათინსკის დავალება — შეექმნა ამ მხარის მმართველობა განსაკუთრებულ საფუძვლებზე (ეგრედწოდებული სამხედრო-სახალხო მმართველობა). მელიქიშვილი გარდაიცვალა, დააგვირგვინა რა სიცოცხლეში თავისი სამსახურებრივი წარმატება მეფის ნაცვლის თანამდებობის აღმასრულებლობით, გენერალ-ადიუტანტის წოდებით, კავალერიის გენერლის ჩინით და სახელმწიფო საბჭოს წევრობით.

მელიქიშვილის მეგობრობა მიხ. თუმანიშვილთან, გიმნაზიაში დაწყებული, შემდგომაც გაგრძელდა. მართალია, იგი მთლად სამსახურის ინტერესებში იყო შთანთქმული, მაგრამ ურთიერთობას წინანდელ მეგობრებთან არ უფრთხოდა.

თუმცა ლევ. მელიქიშვილის წერილებს მიხ. თუმანიშვილისადმი ლიტერატურული ინტერესი არა აქვს, მაინც ამ წერილების მიხედვით შეგვიძლიან რამოდენადმე წარმოვიდგინოთ, რა საქმეები და საზრუნავი აწუხებდათ ჩვენს წინაპრებს კავკასიის ომების ეპოქაში. 1854 წლის აპრილის 27-ს ლევან მელიქიშვილი უპასუხებს თავის გიმნაზიელ ამხანაგს მილოცვაზე გენერლის ჩინის მიღების გამო:

„27 апреля 1854 года, Закаталы.

Михаил, письмо твое от 10 апреля я получил, — душевное спасибо тебе за него и за искреннее поздравление твое с производством моим в генералы.

Прошу бога помочь мне оправдать то доверие, которое правительство мне сделало настоящим моим назначением и убеждение всех вас любящих меня товарищей и для этого разумеется я употреблю все то, что только в руках человеческих.

За все твои интересные новости могу отплатить только тем, что почти ежедневно получаю сведения с гор о больших приготовлениях Шамиля, но когда и куда именно он направится, еще неизвестно. Здесь у меня пока спокойно и я занят устройством внутреннего управления, сколько что настоящие обстоятельства позволяют и готовлюсь встретить все то, что только можно ожидать от бурь, подымающихся со всех сторон, а ожидать должно многого.

Будь здоров, весел и пиши почаше,
весь твой Леван:

გინძლო რომ ეს წიგნი პირველი. და უკანასკნელი არ იყოს. ნინომ მოგიკითხა“.

„16 июня 1858 года кр. Закаталы.

Спасибо тебе, Михаил, за твои письма.

Победа, одержанная князем Иваном Малхазовичем [ანდონი მალხაზი] შვილის მიერ მდ. ჩოლოუხე], блестательна и имеет огромное влияние на войну нашу в Азиатской Турции и на весь наш край.

ეს არის კარგი, რომ არც ახალი იხს და არც ეხლა მტერს აღარც ერთი ზარბაზანი აღარ დააწება, რამდენიც პეტრი ბარბაზანი არ მდებრი წარმოადგინოთ და საღამოზე ქალაქში ჩირალინით. ვიდლესას აულე ზულით და, ჟულით, როგორც ქართველმა, მოხამაშურებ და ივანეს ახლო მცნობმა. ეხლა ის არის საჭირო, რომ ბებუთოობა დაამარცხოს და ყარსი აიღოს. მაშინ სულ მოსვენებული ვიქნებით.

აქაური აძავე რა მოვწერო, სულ ერთი და იჯირე ამძავე მოდის ზამილისა, პარ დამზადება, პარ მოდის. და ვნახოთ რა იქნება.

იყავ მშვიდობით და მხიარულ. შენი ლევან მელიქ[ოვი]“.

როდესაც საგლეხო რეფორმისათვის გახურებული სამზადისი იყო, მელიქიშვილი სწერდა მიხ. თუმანიშვილს:

„16 აპრილსა 1864 წელსა—შურა,

მიხეილ, მომილოცავს მომავალი ბედნიერი დლეები, ლმერთმა მრავალ ამ დღეს დაგასწროს.

თვალწინ მიდგას ჩვენი ექსპერტების ყაყანი თქვენის პროექტის გასინჯვაში. გუშინწინ მოველ ჩირ-ურთიდამ და აღსდგომის შემდეგ მივალ დერბენტში და მერე მთაში ავალ. ამას იმიტომ გწერ, იქნება ჩემი ზამეჩანიები მალე ვერ მოგივიდეთ. აქ მშვიდობა არის, და ყველანიც შენი ნაცნობიც კარგად არიან.

დაპირებული ზაპისკის გამოგზავნა არ დაგავიწყდეს. თუ სან და ხან მომწერ წიგნსა მანდაურის ამბებით, დიდი მადლობელი ვიქნები. ჩემმა ცოლმა და დამ მოკითხვის მადლობა შემოგითვალეს და თითონაც მოგიკითხესთ.

შენი ბედნიერების მოსურნე

ლ. მელიქ[ოვი]“.

ვიდრე ძველი თაობა, ხალხის სურვილთა ერთადერთ გამომხატველად რომ სთვლიდა თავის თავს, შთანთქმული იყო ბრძოლაში სათავადაზნაურო სადეპუტატო საკრებულოს გარშემო, ახალგაზრდობა ჯერ სუსტად, ხოლო შემდეგ უფრო და უფრო ძლიერად და ორგანიზებულად იმაღლებდა ხმას „ბებერთა“ წინააღმდეგ. საუნივერსიტეტო განათლებამ, რუსეთის მოწინავე ახალგაზრდობასთან ურთიერთობამ და სამოციანი წლების რუს-მოლვაწეთა გავლენამ აღზარდა რიცხვით არა მრავალი, მაგრამ მომზადებული და მაღალი იდეებით განმსჭვალული მოლვაწენი, რომელთა შორისაც თვალსაჩინო აღგილი ეჭირათ ილია ჭავჭავაძეს და ივანე მაჩაბელს.

ილია ჭავჭავაძემ მოლვაწეობა ლიტერატურით დაიწყო, მაგრამ ძალიან მალე გააფართოვა თავისი მებრძოლი ტემპერამენტის შესაფერისად სამოქმედო ასპარეზი და თავი მოუყარა თავის გარშემო ახალგაზრდების ჯვეფს, რომელთანაც ძველ თაობას, სხვათა შორის მიხ. თუმანიშვილსაც, არაერთხელ მოუხდა პირისპირ შეხლა ყველა დიდი საკითხის განბჭობის დროს.

საზოგადოების სამსახურის იდეა თანაბრად ძვირფასი იყო უფრო-
სი თაობის მოღვაწისათვისაც, როგორიც, მაგალითად, იყო მიხეილ
თუმანიშვილი, რომელიც განიცდიდა ორმოციანი და ორმოცდაათი-
ანი წლების მიმდინარეობათა გავლენას; იგი იგრეთვე ძვირფასი იყო
უმცროსი თაობის წარმომადგენლისათვისაც — ილია ჭავჭავაძისთვის,
სამოციანი წლების მოწაფისათვის. ორივ მოღვაწე შეხვდნენ ერთმა-
ნეთს ცხოვრების გზაზე სწორედ მათი საზოგადოებრივი მოღვაწეო-
ბის სფეროში; ამიტომ სრულიად ბუნებრივია ცოტა ხნით შევჩერ-
დეთ მათ ურთიერთობაზე.

„კონფიდენციალურად“ ¹¹⁶

მოწყალეო ხელმწიფევ

მიხეილ ბირთველის-ძევ.

თავად ილია ჭავჭავაძე მივლინებულია, მთავარი სამმართველოს
უფროსის ბრძანებით, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებაში
მუშაობისათვის, ე. ი. სახელდობრ, იმერეთში გლეხთა საკითხის გადასა-
წყვეტად საჭირო ცნობების შესაკრეფად. ამის გამო უმორჩილესად გოხოვთ,
მოწყალეო ხელმწიფევ, გადასცეთ თავად ჭავჭავაძეს ყველა ის ცნობა, რაც
სასარგებლო და საჭიროა მას პერიოდის მხედველობაში მისთვის დაკისრუ-
ლებული მინდობილობის შესასრულებლად. თქვენ დიდი ხანია, რაც გლეხ-
თა საქმეზე მუშაობთ თბილისის გუბერნატორი, იგი თქვენ დაწვრილებით
იცით და ამიტომ შეგიძლიანთ მისცეთ თავად ჭავჭავაძეს სათანადო მასალა
და მიუთითოთ რაც მისთვის საჭიროა, რათა იგი სავსებით გაეცნოს ამ
საქმეს; ამასთანავე, ვიმედოვნებ, უარს არ ეტყვით მას თქვენს რჩევაზე.

თქვენი ერთგული

ნ. ბარანოვსკი.

1864 წ. 25 ივნისი.

კოჯორი“.

აი, ასე ოფიციალურად გაიცნეს ერთმანეთი უფროსი თაობის
გამოჩენილმა წარმომადგენელმა და ახალგაზრდობის მომავალმა ბე-
ლადმა მეფის მოხელეს, მეფის ნაცვლის მთავარ სამმართველოს
საერთო საქმეთა დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობის აღმა-
სრულებელს ნიკოლოზ ბარანოვსკის, ილია ჭავჭავაძეს რეკომენდა-
ციას რომ უკეთებდა შპრალი კანცელარული კილოთი, ალბათ ეჭვიც
არ შეჰპარვია იმის თაობაზე, თუ რა კომიკური იყო მისი როლი ამ
დროს: გლეხთა საკითხი ილია ჭავჭავაძისა და მიხეილ თუმანიშვილი-
სათვის როდი იყო მარტო სამსახურის საქმე. საზოგადოების სამსა-
ხურის იდეაზე აღზრდილნი ისინი საგლეხო რეფორმაში ხედავდნენ, —
რასაკვირველია, თვითეული მათგანი თავისებურად, — თავიანთი იდე-
ალების ნაწილობრივ განხორციელებას. ამიტომ, თვით სამსახურის
სფეროშიაც კი მათ ააზლოებდა საერთო ინტერესები. წერილი ჭავ-
ჭავაძისათვის დახმარების გაწევის შესახებ მათ დასჭირდათ იმიტომ
კი არა, რომ უამისოდ ვერ მოსხებნიდნენ ერთმანეთის გასაგებ სიტ-

ყვას, არამედ იმიტომ, რათა თუმანიშვილს შესაძლებლობა მისცემოდა გადაეშალა ჭავჭავაძისათვის ყველა საჭირო მასალა და დოკუმენტი, რაც მოსახერხებელი იყო მხოლოდ ოფიციალური წესით.

მაგრამ ილია ჭავჭავაძე და მიხეილ თუმანიშვილი იცნობდნენ ერთმანეთს ამ „ჩინოვნიკური“ სფეროს გარეშეც. ჯერ კიდევ თბილისში ჩამოსვლამდე ილია ჭავჭავაძე მიესალმა „სალაყბო ფურცელი“-ს გამოსვლას, თუმცა შეცოტომით მის ავტორად იმ დროს გაბრიელ სულხანიშვილს სთვლიდა (იხ. ამ წიგნის VJII თავი). უნივერსიტეტიდან დაბრუნებისთანვე ილია ჭავჭავაძემ გაშალა ენერგიული საქმიანობა ლიტერატურასა და საზოგადოებრივ მოძრაობაში. ორმოცდათიანი წლების დასასრული და სამოციანი წლების დასაწყისი განმათავისუფლებელი. იდეების ძლიერი გავრცელების ხანა იყო. ილია ჭავჭავაძე პუბლიცისტიკისა და ლიტერატურის სარგებლზე შეტისმეტად ხელსაყრელ მომენტში გამოვიდა, როდესაც რუსეთიდან მომდინარე განმათავისუფლებელმა იდეებში გამოიწვიეს ქართველ მოწინავე ინტელიგენციაში საერთო აღტყინება და იმედები. 1863 წელიწადი, როდესაც ილია ჭავჭავაძე თავისი უურნალის, „საქართველოს მოამბის“ გამოცემას შეუდგა, სამახსოვრო წელიწადია საქართველოს სულიერი და გონიერივი ცხოვრებისათვის. მყისვე უურნალის გარს შემოკრბა ყველა საუკეთესო მწერალი. გიორგი ერისთავმა მოათავსა ამ უურნალში თავისი პოემა „შეშლილი“ და თარგმანი „ვაი ჭკუისაგან“; დიმიტრი ყიფიანმა მიტჩელის „ცის მნათობნი“. ამ უურნალშივე სწერონენ გრიგოლ ორბელიანი („ლოთურომუხამბაზი“), სულხან ბარათაშვილი („საქართველოს ისტორია“), მ. ყიფიანი (თარგმ. „ჩვენი დროის გმირი“), დავით ყიფიანი (შემდგომ თბილისში საუკეთესო პანსიონის დამაარსებელი), გიორგი წერეთელი, ლევან ჯანდიერი, ილია ოქრომჭედლიშვილი, ნ. ლოლობერიძე, გ. ჩიქოვანი და სხვ.*

გრიგორი თუმანიშვილი თავის მოგონებებში ილია ჭავჭავაძეზე, რომლებიც დაიბეჭდა გაზ. „ზაკავკაზიეში“ პოეტის დასაფლავების დღეს, სწერდა: „მამაჩემიც [მიხ. თუმანიშვილი], დიდი მოყვარული ქართული პოეზიისა, ლამობდა ამ უურნალში წერას. მაგრამ ვერ მოახერხა, რადგანაც მეტისმეტად გართული იყო საგლეხო რეფორმის სამზადისით. შესძლო მხოლოდ გადაეცა რედაქციისათვის მის ხელთ ქონებული ლექსები ქართველი კლასიკოსებისა—ნიკ. ბარათაშვილისა, ალ. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანისა. ეს იყო მაშინ მათ ნაწერთა თითქმის ერთადერთი სრული პირი და ილია ჭავჭავაძემ იგი სიამოცნებით გამოიყენა თავისი ნორჩი უურნალისთვის. მახსოვს, რა გულისცემით

* ნუსხა ადებულია გ. თუმანიშვილის მოგონებებიდან.

ველოდებოდი ი. ჭავჭავაძის „ღარბაზობას (ვიშუას)“ მამაჩემთან.* კარის ჭუჭრუტანაში დავინახე, როგორ ჩაიცეა მან „კრისლატკა“ და როგორ წავიდა ჩვენგან. მე მეჩვენა, რომ სახეზე შევნიშნე ლვთაებრივი ზე-შთაგონების მეტყველება და მას აქეთ ეს სახე არ დამტკიცებია“.

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობას ყურადღებით თვალს ადევნებდა მიხეილ თუმანიშვილის მთელი ოჯახი. „აქ ახლახან ქართველი ლიტერატორების ყრილობა იყო. — აცნობებდა მისი ქალი ბარბარე 1873 წლის თებერვლის 16-ს თავის ძმას გიორგის, — ამბობენ, ილია ჭავჭავაძე აპირებს კრიტიკული სტატიის დაწერას, რომელშიაც გაატარებს პარალელს გამლეტსა და „ვეფხის ტყაოსნის“ ტარიელს შორის“, მისი მეორე წერილი უკვე ზევით მოვიყვანეთ ბანკის ისტორიასთან დაკავშირებით.“

იმავე წლის იანვრის 8-ს იგი სწერდა გიორგის: „სანიმუშოდ გიგზავნით „ტიფლისკი ვესტნიკის“ პირველ ნომერს, სხვა ნომრები ფრიად ჩვეულებრივია. შენ მიიღებ მხოლოდ გამოჩენილ ან შესანიშნავ №№, თუ კი ასეთები იქნება. ახალი წლის პირველ დღეს ანუ გაზეთის გამოსვლის წინა დღეს რედაქტორი, აკეთებდა რა ვიზიტებს, ჩვენთანაც იყო. მას დიდი იმედები აქვს მომავლისათვის, მაგრამ თანამშრომლები, როგორც ეტყობა, ცოტა ჰყავს. შენ, ალბათ, ფელეტონი მოგეწონება. იგი გლუხხარისის შვილს, დავით ერისთავს, დაუწერია. მინდა დაგისახელო ის პირნი, აქ გამოყვანილი რომ არიან, მაშინ ყველაფერს ადვილად გაივებ. საქმე ეხება თავადაზნაურობის კრებებს ბანკის საკითხის გადაწყვეტის გამო, რაზედაც უკვე გწერდი. გამბეტა — ილია ჭავჭავაძეა, გრანპერე — ნიკო ჭავჭავაძე, ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე, კლემან დუვერნუა — ეს ეგრედწოდებული შავი ჩოლოკავი, ხოლო ბანკირი შტეინკოპფი — ვანო ერისთავი, რომელმაც ცოლი შეირთო პეტერბურგში, მდიდარი რუსისა და რომელმაც მთელი თავისი შეძლება გაფლანგა. შემდეგ ის, რომ ვიღაცას უნდოდა „სევერნოე სიიანიეს“ გამოცემა — ეს მათზეა“.

თვით მიხეილ თუმანიშვილი ორმოცდაათიანი და ორმოცდაათიანი წლების დიდი გავლენის ქვეშ იყო, მეტისმეტად მაღლა აყენებდა ბელინსკის, დობროლიუბოვს, პისარევს (დობროლიუბოვის სურათი შედამ საწერ მაგიდაზე ედგა) და ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ, ძველი, თაობის სხვა მოღვაწეების თანაბრად, მხურვალედ გამოეხმაურა უურნალის გამოსვლას, რამდენადაც მას იმ დროს შეეძლო. „საქართველოს მოამბემ“ მართლაც გადაბეჭდა მის. თუმანიშვილის ხელნაწერი კრებულებებიან ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის,

* გიორგი თუმანიშვილი მაშინ 8-9 წლისა იქნებოდა.

ნიკ. ბარათაშვილისა და გიორგი ერისთავის მთელი რიგი ლექსები, რომლებიც ჯერ არსად დაბეჭდილიყო. შიხ. თუმანიშვილის შვილების გაღმოცემით, მათი მამისათვის ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა („კაცია აღამიანისა“ და ლექსების) კითხვა დიდ სიამოქნებას შეადგენდა და ხანდახან მოცლილობისას იგი უკითხავდა შვილებს ამ ნაწარმოებთ.

უურნალი რომ დაიხურა და მასი რედაქტორი სამსახურში შევიდა მომრიგებელ შუამავლად (1864 წ.), მიხეილ თუმანიშვილი თავისი გავლენით სფეროებში და გამოცდილებით ხელს უწყობდა ილ. ჭავჭავაძეს სამსახურის საქმეში.

მათი ურთიერთობა უნდა შეცვლილიყო სათავადაზნაურო ბანკის გახსნის საკითხთან დაკავშირებით (1871 წ.). მიხ. თუმანიშვილი მომხრე იყო მოკლევადიანი კრედიტის ბანკისა, მაგრამ შემდგომ აქტიურ მონაწილეობას არ იღებდა ბრძოლაში.

„В Тифлисе в настоящее время некоторое оживление — სწერდа, ого! 1872 წ. დეკემბრის 4-е таვის შვილს გიორგის ოდესაში,— вследствие съезда дворян для обсуждения дворянского банка. Личности, которые выучились говорить, лумают всего больше не об деле, а о том, чтобы отличиться на поприще красноречия. Из ораторов самый выдающийся— поэт Илья Чавчавадзе; речь его всегда вытврежденная, подчас блестящая, по крайне бессодержательная для дела. Посмотрим, чем все это кончится....* и с одним красноречием, подвинется ли дело вперед.“

სრულიად სამართლიანი გაბოროტება უფროსი თაობის. წინააღმდეგ, რაც მედგარი ბრძოლის შედეგად ახალგაზრდობას მოედვა, შეეხო აგრეთვე მიხეილ თუმანიშვილის პიროვნებასაც, იმის მიუხედავად, რომ თითონ იგი ძალიან თავაზიანად ეპყრობოდა. ხოლმე იდეურ მოწინააღმდეგეს. ლექსად დაწერილ „გამოცანებში“, რომელიც 1871 წელს ანონიმურად დაიბეჭდა, ილია ჭავჭავაძე, უფროსი თაობის სხვა წარმომადგენელთა შორის, თავს დაატყდა მიხეილ თუმანიშვილსაც. ილია ჭავჭავაძე უწოდებს მას „ორპირსაც“, უხეირო მწერალსაც, აბრალებს მას ვერაგობას და ჭორიკანობას.

როგორ შეხვდა თვით მიხ. თუმანიშვილი ამ თავდასხმას? „ამბობენ იმ ქართული ლექსების შეორე სერიაში, რაზედაც, ზევით გწერდი — აცნობებს მისი ქალი ბარბარე თავის ძმას გიორგის — მამიჩვენისათვისაც უციათ პატივი და მოუთავსებიათ, არ ვიცით, რა სახით, მაგრამ, აღბათ, ისეთივეთი. შემთხვევა მოგეცემა წაიკითხო და შეაფასო მათი სისწორე. მაგა ამის გამო მხოლოდ იცინის“.

რაც უნდა იოლის გულით შეხვედროდა მიხ. თუმანიშვილი ამ პამფლეტს, შთაბეჭდილება მაინც ძლიერი იყო. როგორც ეტყობა, ამ შთაბეჭდილებით სწერს იგი შვილს:

* მრავალწერტილი შ. თუმანიშვილისაა.

„Тифлис, 27-го февраля 1872 г.

Воскресенье.

Давно, давно, милый мой Георгий, я с тобой не беседовал. Д и теперь есть-ли какая-нибудь возможность писать тебе что-нибудь систематическое и полное, когда масленичная суматоха еще не окончилась—когда кругом все еще так шумно, так беснуется и увлекает даже людей спокойного и серьезного темперамента в какое-то кружение и тревогу. На будущей неделе, когда все успокоится и приутихнет, „во дни смиренные великого поста“, вот то-то мы займемся подробной беседой с тобою, призову на помощь и Бабале, и непризнанную тобой писательницу Тасо, соберем и сведем все материалы и факты последней половины истекающего сезона и сообщим тебе — философи и наблюдателю всего, что ни делается на белом свете и, в особенности, в родном тебе Тифлисе, к которому твое сердце близко, несмотря на нахождение вдали от него. Сообщим тебе, между прочим прелести, которыми так озабоченовала себя праздная, недоучившаяся молодежь здешняя, прелести, выразившиеся в грязных пасхальных стихах, в которых она так упорно и до сих пор упражняется. К глубокому прискорбию, им оказалась солидарно и мудрая грузинская газета „დომება“. Впрочем, обо всем этом после. Мы с нетерпением ожидаем мая месяца, когда мы тебя увидим и обнимем. Я, может быть, выеду к тебе навстречу в Поти. Впрочем, довольно еще времени, мы успеем условиться с тобой“...

გაფიცხებულ გულზე, გახელებული ბრძოლის ზედმოქმედებით გამოთქმული აზრი მყარი როდი იყო. რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც ბრძოლის ვნება დაცხრა, ილია ჭავჭავაძემ შეიცვალა დამოკიდებულება მის. თუმანიშვილის მიმართ, ისე, როგორც უფროსი თაობის ზოგიერთი მოღვაწისადმი (გრ. ორბელიანი, ბ. ლოლობერიძე და სხვ.). 1881 წელს თავისი უურნალის „ივერიის“ 1-ელ №-ში მან მოათავსა მის. თუმანიშვილის მიერ ახალგაზრდობაში ნათარგმნი „ბალჩისარის შადრევანი“; იმავე წლის მე-7 №-ში, მის. თუმანიშვილის რჩეულ ნაწარმოებთა სიკვდილშემდგომი კრებულის გამოსვლისას, მან დაბეჭდა ფრიად სათანაგრძნობო ანონიმური სტატია, რომელიც ეკუთვნიდა უურნალის ერთერთი უახლოესი თანამშრომლის ივანე მაჩაბლის კალამს.¹¹ ამაზე უფრო გვიან, 1884 წლის 1-ელი №-ის ნარკვევში „შინაური მიმოხილვის მაგიერ“, დიდის გულხმიერებით ამოკრეფილია მის. თუმანიშვილის სტატიიდან ქართულ თეატრზე ვრცელი ამონაწერები; ეს ნარკვევი ხელმოუწერელია, ხოლო ეკუთვნის ან თვით ილია ჭავჭავაძეს, ან რომელსამე მთავარ თანამშრომელს.

სამოცდაათიანი წლების საზოგადოებრივი ბრძოლის ხანაში უფროსი თაობის საყოველთაოდ აღიარებული ბელადი გრიგოლ თრბელიანი იყო. მიხეილ თუმანიშვილს აკავშირებდა მასთან არა

მარტო სათავადაზნაურო და სალიტერატურო საქმეები, არამედ აგრეთვე პირადი ურთიერთობაც. მათი ნაცნობობა იწყება შიხ თუმანიშვილის ყრმობიდანვე, როდესაც იგი ხშირად დაიარებოდა ბარათაშვილიანთ სახლში. გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლვიძლი ბიძა, დაიბადა 1801 წელს, და, მაშასადამე, უკუე მოწიფელი ვაჟკაცი იყო, როდესაც თუმანიშვილი და ბარათაშვილი ჭაბუკურ ოცნებას ეძლეოდნენ და სცდიდნენ თავიანთ ძალონებს თბილისის გიმნაზიის სალიტერატურო წრეში. ცნობილია, რომ ახალგაზრდა ტატო ბარათაშვილი თავისი საყვარელი ბიძის გავლენის ქვეშ იყო. სრულიად ბუნებრივია, ვიგულისხმოთ, რომ ეს გავლენა ნაწილობრივ ტატოს მეგობარ მიხ. თუმანიშვილზედაც ვრცელდებოდა. პროფ. ა. ხახანაშვილი თავის „ქართული სიტყვიერების ისტორიის ნარკვევში“ აღიარებს გრიგოლ ორბელიანის ლიტერატურულ გავლენას მიხ. თუმანიშვილის შემოქმედებაზე. მაგრამ ა. ხახანაშვილის მტკიცებას უარყოფს ის გარემოება, რომ გრ. ორბელიანის საუკეთესო ნაწარმოები ეკუთვნიან 1838 წლის მერმინდელ პერიოდს, მაშინ, როდესაც მიხ. თუმანიშვილის ყველა ლექსი, რომელმაც კი ჩვენ-მდე მოაღწია, დაწერილია არა უგვიანეს იმავე წლისა (იხ. ამ წიგნის VIII თავი).

თუ მაინცადამაინც ვრ. ორბელიანის ლიტერატურული გავლენა მიხ. თუმანიშვილის შემოქმედებაზე არ შეიძლება ჩაითვალოს აქტიურ გავლენად, ყოველ შემთხვევაში დიდი პატივისცემა გრიგოლ ორბელიანის ნიჭისა და დამსახურებისადმი მისი უფრო ახალგაზრდა თანამედროვისაგან არა ერთხელ ყოფილა გამოვლინებული. გიმნაზიურ კრებულ-ანთოლოგიაში მიხეილ თუმანიშვილის მიერ გადაწერილია აგრეთვე ვრ. ორბელიანის ლექსებიც. თუმანიშვილის მიერ გიმნაზიის გათავებისას, ვრ. ორბელიანი ყურადღებით ადევნებს თვალყრის მის მოღვაწეობას, განაგრძობს ძველ ნაცნობობას და სათავადაზნაურო საქმეებშიაც იზიდავს მას სათანამშრომლოდ. დალისტანში ყოფნის დროს (1854 წ.) ვრ. ორბელიანი სთხოვს მიხ. თუმანიშვილს „сочувствовать патей отдаленности от театра нынешних событий и делиться с нами известиями о них“.

6 იანვ. 1859 წ. გრ. ორბელიანის სწერს დიმიტრი ჯორჯაძეს: „მთვიდა ახალი წელიშადი და მოგვიტანა ახალი პოლოუნიე ი главном управлении. — ღმერთმან ჰქმნას, რომ იყოს საკეთი ილოდ ამა შეხარისათვის. გაიხსნა დეპარტამენტები და გაეხსნა ძლივს ბედი ჩვენს საყვარელს მიწეილს თუმანოვსა, რომელიცა დაინიშნა მეექვსეს კლასში და ის ამაში კარგი ეს არის, რომ თრას თუმნამდის ექმნება ჯამაგირი, რომელიცა ძალიან საჭიროა ამისათვის“ (გრ. ორბელიანი, „წერილები“, ტ. II, ა. გაწერელიას რედ. და შენ., 1938).

1871 წელს, ოოდესაც თბილისში საჭლესასწაულო ზეიმი გაი-
მართა გრიგოლ ორბელიანის საპატიოდ მისი ორმოცდაათი. წლის
სამსახურის აუსანიშნავად, მის თუმანიშვილი იყო იმ პირთა შორის,
რომელნიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ამ ზეიმში.

ოოგორუ წინად ალექსანდრე ჭავჭავაძეს, ისე ახლა გრიგოლ ორ-
ბელიანა თავადაზნაურობის წრეში აფასებდნენ უპირველეს ყოვლისა.
გით გენერალსა და აღმინისტრატორ-მოლვაწეს. რუსეთის ხელისუფ-
ლებისა და ადგილობრივი თავადაზნაურობის თვალში ალექსანდრე
ჭავჭავაძე იყო ნიუეგოროვდის პოლკის კომანდირი, სომხეთის ოლქის
უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი, დაბოლოს — მეფის ნაცვლის საბ-
ჭოს წევრი, — ერთის სიტყვით, ვინც გინდათ ის იყო, ხოლო არა
ქართული ლირკის ბრწყინვალე წარმომადგენელი. გრიგოლ ორბე-
ლიანი — გენერალ-ადიუტანტი, ინფანტერიის გენერალი, სახელმწიფო
საბჭოს წევრი, მეფის ნაცვლის მოვალეობის აღმასრულებელი კავკა-
სიაში — დიდი ფიგურა იყო აღმინისტრატიულ სფეროებში. ხოლო,
ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის მოლვაწეობის
მეორე მხარეს გულგრილობის ჩრდილი ჰქონდა. თვით აქ, საქარ-
თველოშიაც კი, სადაც პოეტებს თაყვანისცემის შარავანდედი ჰქონ-
სავდა, თავადაზნაურობის უმაღლესი ფენები, ე. ი. ის აღამიანები;
რომელთა შორისაც გრ. ორბელიანი იღვწოდა, ისე უყურებდნენ მის
შემოქმედებას, როგორც ერთგვარ „ჟინს“, დიდი კაცის იოლ გართო-
ბას. „მოშაირობას“ თითქმის აუგ საქმედ სთვლიდნენ. წახალისებას,
იწვევდა მხოლოდ ისეთი პოეზია, რომელსაც სამეფო კარის იერი
სდევდა და მიმართული იყო ხელმწიფის ძალა-უფლების განდიდები-
საკენ. მართალია, აღმინისტრაციამ იცოდა, რომ გრ. ორბელიანი
„კალამს აცოლვილებს“ და 1833 წელს დაკითხვის დროს, ოოდესაც
აჯანყებისათვის მხარის დაჭრის ბრალსა სდებდნენ, იძულებული
გახდა, რათა თავი ემართლებინა მის ხელში აღმოჩენილი ლექსების
გამო, ეჩვენებინა, რომ ლექსი „გულნი ივერთა“ მოქცეული უნდა
ყოფილიყო იმპერატორისადმი მიძღვნილ ეპისტოლეში, რომლის
დაწერასაც ვითომ ივი აპირებდა (იხ. მიხ. ზანდუკელის შენიშვნები
გრ. ორბელიანის ლექსების 1935 წლის გამოცემაში), მაგრამ პოეტის
ნამდვილი შემოქმედი სახე იცოდნენ ლიტერატურის იშვიათმა მცირე-
რიცხოვანმა დამთასებლებმა. გაზ. „კავკაზში“ დაბეჭდილი საიუბილეო
ზეიმის აღწერილობა აღასტურებს, რომ ორბელიანს ზეიმი გაუმარ-
თეს ორმოცდაათი. წლის განმავლობაში ოფიცირის სხვადასხვა ჩინით
სამსახურის გამო. იმ დროის კვალობაზე საჭირო იყო ერთგვარი.
ხასიათის სიმტკიცე და დამოუკიდებლობა, რათა საყოველთაოდ
განეცხადებინა ვისმე, რომ იგი აფასებს „გენერალ-ადიუტანტს“, რო-
გორუ პოეტს. პლატონ იოსელიანი, ილია ჭავჭავაძე, და მიხეილ

თუმანიშვილი ერთადერთნი იყვნენ, რომ მიესალმნენ გრიგოლ ორბე-
ლიანს, როგორც დამსახურებულ ქართველ პოეტს. მათგან პირველმა
ორმა დეპეშა გამოგზავნა დუშეთიდან, საღაც ისინი ზაფხულს ატა-
რებდნენ (იუბილე გადახდილ იქნა იყნისის 7-ს), ხოლო მიხ. თუმანი-
შვილი ჩეიმზე იყო, გადასცა იუბილიარს წერილობითი აღრესი და
გაუგზავნა „კავკაზის“ რედაქციას ზეიმის დაწვრილებით აღწერა,
თანაც არა მარტო ხაზგასმით აღნიშნა ვრ. ორბელიანის სალიტერა-
ტურო ლეაწლი, არამედ აგრეთვე მოათავსა მთლად აღრესის
ტექსტი 128:

„იმ დროს, როდესაც ასე ბედნიერად გასრულდა თქვენი დიდება-
მოსილი ორმოცდაათი წლის სამსახური და ამის გამო თქვენს ირგვლივ,
გაისმიან უამრავი, თქვენ შეირ სრულიად დამსახურებული, მოსალმებანი,
არ შეიძლება არ გავიხსენოთ სიხარულით და თანაგრძნობით თქვენი სწვა-
ვებრი მოღვაწეობა, ომელიც, თუმცა ჩაწერილი არ არის არავითარ ოფი-
ციალურ აქტში, მაგრამ კვალწაუშდელად სცოცხლის თქვენი თანამემა-
ლების გულში და განტკიცებულია მათი ცხოველი თანაგრძნობით და
მადლობით. მე ვამბობ, თავადო, თქვენს ლიტერატურულ მოღვაწეობაზე
თქვენი მშობელი ქართული ენის სარგებლობისათვის, თქვენი მშობელი ქარ-
თველი სახოგადოების სიკეთისაოვის. თქვენ ყრმობიდანვე გამოავლინეთ
მადლი, ომელიც ექლევა ციით მხოლოდ ოჩეულთ—მადლი პოეტური შემო-
ქმედებისა და მოიხმარეთ იგი. არა აღმიანთა უქმ თავშესაქვევაზ, არავედ
რათა განგენათლებინათ გონება მათი და განვიხსლებინათ და განვიერილ-
შობილებინათ სული მათი. თქვენი ახალგაზრდობის თანამედროვე ეპოქაში
ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ არ ზიარებოდა განათლებული მსოფლიოს სულიერ
ცხოვრებას: ოდესლაც მდიდარ და საბერძნეთის ლიტერატურას იან დაკავ-
შირებულ ქართულ ლიტერატურაში გამეფებული იყო სიმდოვრე, უმოძ-
რაო, აღმოსავლეთით მონაბერი; პოეზია მისი, საქართველოს განუყრელი
თანამგზავრი ისტორიის ნათელ მომენტშიაც და მწუხარების მომენტშიაც,
მდუშარებდა ან იბნეოდა გაურკვეველ, ანგარიშმიუცემელ და მიზანდაუსახავ
ხმოვანებად იმავე აღმოსავლეთის ზეგავლენით. თქვენ პირველმა, მეორე
ქართველ დაუვიწყარ, აწ უკვე გარდაცვალებულ პოეტ ალექსანდრე ჭავჭა-
ვაძესთან ერთად, მომართეთ თქვენი ქანი ევროპულ ჰანგზე და აუზიყო
თქვენს სამშობლოს, რომ არსებობენ სხვა ელერანი, უფრო მწყობრინი და
უწმინდესნი, სხვა შეგრძნობანი და სიტებოებანი, უფრო მაღალნი და
გონებამოსილნი. საცხოო მიბაძვანი თქვენი სიმპატიური რუსი პოეტის
შუკოვსკისა, ხელოვნური გადმოდებანი თქვენი ქართულ ენაზე შესანიშნავი
კრილოვის არაკებისა — მაშინ, როდესაც სულ მცირედ იყო გავრცელებუ-
ლი ცოდნა რუსული ენისა, მით უფრო ლიტერატურულისა, — აცნობდნენ,
ასე ვთქვათ, პირველად საქართველოს მაშინდელ ახალ თაობათ რუსულ
შემოქმედებას და რუსულ აზრს, აყვარებდნენ და ანაოესავებდნენ მათ და
ამაში არ შეიძლება არ დავინახოთ დამსახურება თქვენი მათ წინაშე“.

აქ მოყვანილი ამონაწერი აღრესისა უკვე თავისითავად მეტყვე-
ლებს იმას, რომ „კავკაზის“ მკითხველთა წრეში იუბილიარის ლიტე-
რატურული მოღვაწეობა ცნობილი არ იყო. გარნა ზეიმის აღწერის

ბოლო სიტყვები, რაც მიხ. თუმანიშვილის კალამს ეკუთვნის, ხოლო მიმართულია მკითხველებისადმი ჩედაქციისაგან, ამ მხრივ უფრო მჭერ-მეტყველურია:

„ამ ადრესში გამოთქმულის გამო ჩვენ შესაძლებლობა გვაძეს დავა-მოშოთ, რომ თავად გრიგოლ დიმიტრის-ძე ორბელიანის სახელი მართლაც საპატიოდ ცნობილია ქართულ ლიტერატურაში“.

„კავკაზ“-ის მკითხველები იყვნენ არა მარტო რუსი მოხელენი: თვალსაჩინო ნაწილს იმ წრისას, რომელიც „კავკაზს“ ეტანებოდა, შეადგენდნენ თავადაზნაურობის ინტელიგენცია და მემამულენი. მათ მიერ სამშობლო ლიტერატურის ცოდნა, მართლაც და, ღრმა არ უნდა ყოფილიყო, რაკი გაზეთს, რომელიც, ალბათ ანგარიშს უწევდა მათ ცოდნას და გემოვნებას, საჭიროდ მიაჩნია დაარწმუნოს ისინი, რომ გრიგოლ ორბელიანის სახელი ცნობილია ქართულ ლიტე-რატურაშით.

უკვე უკურნებელი სენით ლაავადებული, სიკვდილის პირად მდგარი მიხეილ თუმანიშვილი მაინც დიდი ინტერესით ადევნებს თვალყურს გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებასა და მოღვაწეობას. 1875 წლის იანვრის 21-ს, ე. ი. სიკვდილაშე რამდენიმე დღით ადრე, თავისი შვილის გიორგისათვის გაგზავნილ წერილში სჩივის თანადროული საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოძრაობის უნიათობაზე და სწერს, რომ:

„ინტერესით წაკითხვა-შეიძლება მხოლოდ ძველი სენი არ ის-ტის [გრ. ორბელიანის ფსევდონიმი] სტატიისა, რომელიც ამჟღავნებს მასში არა მარტო დიდ კრიტიკულ ტაქტს და ესთეტიკურ გემოგნებას, არამედ აგრეთვე საუცხოო ფილოლოგიურ ცოდნას, რაც არ ჩამოუვარ-დება პროფ. ცაგარლის ცოდნას სისწორისა და სიზუსტის მხრით. (არის ჩვენში ამ უკანასკნელის კრიტიკული ეტიუდი ქართული ენის გრამატიკული ლიტერატურის შესახებ)“.

ამაზე უფრო ადრე, 1874 წლის ოქტომბრის 18-ს, მიხეილ თუმანი-შვილი თავისი ქალის ანასტასიას წერილში გიორგისთან აცნობებს მინაწერით, რომ

„გეგზავნება ამასთანვე არი №-ი „ტიფლისკი ვესტნიკისა“, სტადლენის ეპისტოლე ბებუთოვის მიმართ „Объявление Кавказа“-ს რუბრიკაში და, „ცისკარის“ წიგნი, სადაც დაბეჭდილია სამაგალითო, ენის მხრით; ლექსი გრიგოლ ორბელიანისა ძევლი სემინარისტის ფსევდონიმით“.

მიხეილ თუმანიშვილის მიერ შენახულია გრ. ორბელიანის მრავალი ლექსი და დატოვებულია მისვე ნაწარმოებთა სრული ნუსხა.

ქალაქის საქმეებს მიხ. თუმანიშვილი ნაკლებ მისდევდა, ალბათ, იზიარებდა რა ამ მხრით საერთო უგულველობას მათთანამი, რაც ჩეკულებრივი იყო მაშინ თავადაზნაურ მოღვაწეთა შორის, ყოველ

შემთხვევაში გულით არ ეკიდებოდა ამ საქმეებს შეიძლება იმიტო-
მაც, რომ ერიდებოდა ქალაქისა და თავადაზნაურობის ინტერესების
შეჯახებას. 1866 წელს მიხ. თუმანიშვილი არჩეული იყო ხმოსნად
შთამომავლობით აზნაურთაგან ქ. თბილისის საზოგადოებრივ შმართვე-
ლობაში, დაიიარებოდა კრებებზე, ეცნობოდა ქალაქის საქმეებს, მაგრამ,
როდესაც სიტყვა მის აქტიურ მონაწილეობაზე ჩამოვარდებოდა
ხოლმე, უარობდა სამსახურის საქმეებით დიდი დატვირთულობის
გამო. მის ქალალდებში შენახულა ქალაქის თავის შეტყობინება,
რომ დღი 1867 წლის მარტის 29-ს არჩეულ იქნა ერთერთ კომისიაში
(კომისია ყოფ. საქალაქო სამმართველოს რევიზიის მოსახლენად).
კომისიის სხდომებში მონაწილეობის მიღებაზე იგი უარს უთვლის
მოუკლელობის გამო.

პირიქით, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროები მიხ. თუ-
მანიშვილს გამუდმებით აინტერესებს და აქ იგი მშურვალე მონაწი-
ლეობას იღებს, მიუხედავად სამსახურის საქმეებით დატვირთულო-
ბისა. ჯერ კიდევ საგუბერნიო სამმართველოში ყოფნისას მან შეი-
მუშავა დებულებათა და წესდებათა პროექტები მრავალი საზოგადო-
ებრივი და სამეცნიერო ხასიათის მქონე ორგანიზაციისათვის¹¹⁹, მაგ-
რამ ამ სამსახურებრივი მოვალეობის გარეშეც იგი ბევრ დროს ანდო-
მებდა თვით ამ ორგანიზაციებში მუშაობას. ეს განსაკუთრებით ეხება
კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, რომლის ერთ-ერთი
დამარსებელიც თითონ იყო (ს-ბის ნამდვილ წევრად არჩეულ იქნა
1851 წლის აპრილის 14-ს) და რომლის წესდებასაც რედაქცია მან
გაუკეთა, და აგრეთვე საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების
კავკასიის განყოფილებას. მისი თხოვნით თუშ-ტშავ-ხევსურეთის
ოლქის უფროსი ლევან ჩოლოყაშვილი აგროვებს ხევსურთა ქადებს,
მანდილებს, ტანისამოსს და იარაღს გეოგრაფიული საზოგადოების
მუზეუმისათვის (შემდეგ გადაკეთებულ იქნა კავკასიის მუზეუმად,
ხოლო ახლა საქართველოს მუზეუმია), და იმის შემდეგ, რაც მიხ.
თუმანიშვილი დაბეჯითებით მოითხოვს კოლექციის რაც შეიძლება
სრულად შევსებას, ჩოლოყაშვილი უგზავნის 1854 წლის მარტის
დამდეგში ყოველივე იმას, რის შეგროვებაც კი მოხერხდა. მიხ.
თუმანიშვილი რედაქციას უკეთებს გეოგრაფიული საზოგადოების
ზოგიერთ ნაშრომს და წერილებს. და იძლევა მათ შესახებ დასკვ-
ნებს¹²⁰.

1862 წლის დეკემბერში მიხ. თუმანიშვილი არჩეულ იქნა თბი-
ლისის გიმნაზიის (სადაც იგი ოდესალაც სწავლობდა) საპატიო
მზრუნველის კანდიდატად და მონაწილეობას იღებდა პედაგოგიური
საბჭოს სხდომებში.

თეატრი და ნაციონალური მუსიკა

ნაციონალური თეატრი. ქართული რეპერტუარი. მულმიგი დასი. გიორგი ერისთავი. თეატრალური კრიტიკა. რუსული თეატრი. თბილისის თეატრის ხანძარი. მეზურნე ალექსი. მიხ. თუმანიშვილის დრამატურგული ცდები.

საქართველოს თეატრალურ ცხოვრებაში მიხეილ თუმანიშვილს ეკუთვნის განსაკუთრებული ადგილი: იგი მოწოდებით დრამატურგი არ იყო, არც „სცენის-მოყვარე“ იმ მხრივ, როგორც ეს საერთოდ მიღებულია; იგი იყო მგზნებარე თეატრალი, ამ სიტყვის სწორედ, იმ მაღალი მნიშვნელობით, რასაც ამ ცნებას აკუთვნებდნენ თეატრალური ხელოვნების განთიადისას. მაგრამ უპირველეს ყოვლისა და უმეტესად ყოვლისა მიხ. თუმანიშვილი იყო ნაციონალური თეატრის შეგნებული და გულდაჯერებული მომხრე.

„ჩვენს დროში — ამბობს იგი სტატიაში „ქართული თეატრი“ („Грузинский театр“, „კავკაზი“, 1851 წ. № 11) — ახალი წამოწყება ქვეყნის მატერიალური მოთხოვნილების სფეროში — უკვე ახალი რამ არ არის. ახალი წიდის გადება, ახალი გზის გაყვანა, რომელიც ერთ სავაჭრო პუნქტს უკავშირებს მეორე ასეთსავე პუნქტს, უკვე გპოქას არ შეადგენს. ეს — ჩვეულებრივი, ყოველდღიური მოვლენაა. საერთო ყურადღებას იპყრობენ ახლა სხვა მოვლენანი, სხვა ძეგლი, — ჩვენ ვხდავთ სხვა დაწესებულებათ, რომელიც აღძრავენ მთელ მოსახლეობას, ამოძრავებენ მის გონებას. ახალი ყოფაცხოვრებისათვის, ახალი განშეყობილებისათვის. ასეთ დაწესებულებათ, უჰქველია; ეკუთვნის თავისი დანიშნულებით ქართული თეატრი.“

რათა განვსაჯოთ, თუ რა უაღრესი მნიშვნელობა აქვს აქაურ თეატრს საქართველოში, უნდა გავიხსენოთ, რომ სასცენო ხელოვნება მის-თვის მუდამ უცნობი იყო და იგი არც შეესაბამებოდა მის ზნეჩეულებას და შეგნებას. იმ განათლებას, რომელიც მოვლინა ამ ქვეყანას ჯერ კიდევ უძველეს დროს, ქრისტიანულ სარწმუნოებასთან ერთად, არ მოუტანია თან ყველა თავისი ცხოველმყოფელი ულემენტი. მისი გავლენა აირეკლა მწერლობასა და ზოგიერთ სამოქალაქო ხასიათის დაწესებულებაში, და არა ნამდგილ ცხოვრებასა და ხალხის შეგნება-დაწესებულებებში. ხოლო ასეთი გათიშვა მოხდა იმიტომ კი არა, რომ ქვეყანა არ თანაუგრძნობდა სწავლა-განათლების შთავონებას, არამედ იმიტომ, რომ იგი მეტისმეტად დამოკიდებული იყო უასლოესიაღმოსავლეთის დესპოტურ გავლენაზე.

მაგრამ, განა აქაური. მოსახლეობის ყველა ფენას შეეძლო ესარგებლა თანაბრად და ერთბაშად საზოგადოებრივ მამოძრავებელთა შითითებანი? განა ეს მითითებანი მათ შორის ბევრისათვის მიუწვდომელი და უტყვია არ იყო იმდენად, რათა ისინი ვერ მიხვედრილიყვნენ ახალი მოვლენის მთელ სარგებლობას და უპირატესობას, არ გაჰყოლოდნენ საერთო მოძრაობას და

არ დამდგარიყვნენ თანადროულ მოთხოვნილებათა საქონო დონეზე? მართლაც და, მდგომარეობის გაუმჯობესებანი შეეხო მხოლოდ უწყვეტულ წადებათ, რომელიც ისედაც ახლო იდგნენ რუსულ საზოგადოებაზე, რასაც ხელს უწყობდა სხვა გზებიც, მათი სწავლა-განათლებისათვის მიჩენილი ხოლო უმეტესობა ამ გაუმჯობესებათა და სრულყოფათა გარეშე დარჩა. ამ უმეტესობასა და ახალ ცნებათა სამყაროს შორის ჯერ კიდევ დიდი მანძილი, დიდი ზღვუდე იდვა, დაახლოების გამოიშველი — საკუთარი ზენ-ჩვეულებანი, საკუთარი ცრუაზროვნებანი, საკუთარი უცნაურობანი, რაც ჯერ კიდევ მედგრად დარჩენილიყო წარსულიდან და არ იკარებდა კეთილ განზრახვათ. ამიტომ საჭირო იყო ერთგული, სწორე და ძლიერი შუამავალი, რომელიც მეგობრულად ჩადგებოდა ერთსა და მეორეს შორის და დარწმუნებით, თავისსავე ენაზე აუცნიდა უმრავლესობას ძევლი ყოფაცხვრების არახელსაყრელობას, ახალის უპირატესობას, რომელიც დაახლოებდა, დაანათესავებდა მას განათლებულ სამყაროსთან ცნებათა, აზრთა და საერთო ცხოვრების სფეროში. და აი, ეს შუამავალი ნაპოვნია, და რაშია იგი ნაპოვნი — სწორედ იმ ხერხში, რომელიც ადიოთვე შეუთავსებელი იყო ზალხის ზენ-ჩვეულებასთან და რომელიც, ამიტომ, თითქო, უფრო გამთიშველი უნდა ყოფილიყო, ვიდრე მინნის მიღწევის ხელშემწყობი სა-შუალება“.

სხვა სტატიაში, ოთხი წლის შემდეგ („კიდევ ქართულ თეატრზე“ — „Еще о грузинском театре“, „ქავკაზი“, 1855 წ., № 8) მიხ. თუმანიშვილი სწერს, რომ:

„აქაური მრავალფეროვანი მოსახლეობის ყველა ფენა ისწრაფის თვატრისაკენ და ამის საბუთიც აქვს: იქ, სცენაზე — მისი მშობლიური წარმოდგენა, მის დედა-ენაზე, მისი ჰუმორი, მისი ტანსაცმელი, მისი მუსიკა, მისი საზანდარი, მისი ცეკვა, ხოლო ანტრაქტეტში — ევროპული მუსიკა; ამასთან ერთად — მშვენიერი, ოქროსფრად შემკული დარბაზი, რომლისთანასაც თვით გახელებული აღმოსავლური აცნებაც კი ვერ წარმოიდგენს; თვალის მომერელი სინათლე, ჯერ არ-ნახული სიმდიდრე-ფუფუნება და მოხერხებულად მოწყობილი ადგილები; იქ შეხვდები ნაცნობებს და საჭირო რო (კურსივი დედნისა) პირთ; მეტი სხვა რაღა გნებავთ? ვინ დაიშურებს კვირაში ერთხელ შრომით მონაგარ კაპიკს, რათა განიცადოს სრული, ეროვნული გრძნობის დამატებობელი კმაყოფილება? ნაციონალური ხასიათის გასართობთა ნაკლებობის გამო, ქართული თეატრი აქაური საზოგადოებრიობის ცენტრად გადაიქცევა“.

თეატრის ხალხურობა — იმ გაგებით, რომ სასცენო ხელოვნება დამყარებული ყოფილიყო ფართო ნაციონალურ საფუძველზე, და რეპერტუარის თავისებურება, მიხ. თუმანიშვილს მიაჩნდა ნაციონალური თეატრის არსებობის აუცილობელ პირობად. სტატიაში „ქართული თეატრი“ („Грузинский театр“, „ქავკაზი“, 1851 წ., № 12) იგი აყენებს საკითხს:

„მისაღებია თუ არა აქაურ სცენაზე სიუჟეტები რუსული ან ევროპული ცხოვრებებდან, შეიგუებს თუ არა იგი, ამ ზენ-ჩვეულებათ, ამ ინტრიგებს, რაც სრულიად განესხვავება. აქაურ ზენ-ჩვეულებასა და მოვლენებს, ამ-

“შოსწრებულ სიტყვებს, ამ გამოთქმებს, რაც სავსებით ეწინააღმდეგება აქაური ენის ტიპიურ წყობილებას? ჩვენ ამაზე ვუპასუხებთ უარყოფითად. აქაური სცენა არ მიიღებს არაფერს ასეთს და საამისოდ არც იქნებიან შესაფერი აღმასრულებლები. აქაური მსმენელნი, სწორედ ის მსმენელნი, ვისტვისაც დაარსებულია თვით თეატრი, ვერ გაიგებენ ყოველსავე ამას... შეიძლება მივიღნენ ისინი მოსასმენად მხოლოდ მაშინ, როდესაც ყოველივე გადმოცემული იქნება არა ერთი რომელისამე ადგილისა და მოქმედ პირთა გარეგანი ფორმებისათვის შეფარდებით, არამედ აგრეთვე აქაური ამბებისა, ზნე-ჩვეულებებისა და ჰუმორისათვის შეფარდებით. ამას გარდა, ქართულ დრამატურგიას ყოველივე ამის სესხება არცა სჭირდება. თავისი ნიმუშები, თავისი წყაროები—აქ არის, ამიერკავკასიის ცხოვრება ამით მდიდარია. საჭიროა თუ არა პირწმინდად აქაური, სხვაგნებურის შეურევლად,— ამას მიუხვდებით, თუ ღრმად ჩავუკვირდებით, რამდენია ასეთი ხელუხლებელი წყარო, რომელიც განაგრილებელი ხაკადით წყურვილს მოუკლავს ჩვენს ცნობისმოყვარეობას... უნარი რეცნის შეოლოდ დაკვირვებისა, შერჩევისა, გამოყენებისა”.

ასეთი თვალსაზრისის კვალობაზე საკუთარი რეპერტუარის შექმნის საკითხს უაღრესი მნიშვნელობა აქვს.

„სცენის კაპიტალური ფუძე—ამბობს მიხ. თუმანიშვილი „კავკაზში“ (1855 წ., № 8)—სცენის მოღვაწენი არიან და რეპერტუარი. პირველ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლიან გადაჭრით ვთქვათ — ქართველი აქტიორები და აქტრისები ყოველგვარ მოღლოდინება მაღლა სდგანან. პირდაპირ გასაოცარია, რა არაჩვეულებრივი სისწრაფით და წარმატებით შეეგუნენ ისინი მათთვის სრულიად უცხო თეატრის სცენას, რომელზედაც ისინი მივიღნენ რაიმე განსაკუთრებული ცოდნა-განათლების უქონლად და თითქმის სრულიად უგანათლებოდაც..... მაგრამ რეპერტუარი, რეპერტუარი! ბატონებო, რეპერტუარი ტირის. თავად ერთსთავის ორი-სამი პაესა, ამდენივე განსვენებული ანტონოვისა — ეს არის და ეს! ურეპერტუაროდ არსებობა შეუძლებელია. აქტიორები ძალაუნებურად ფარსებს ეჩვევიან.... თქვენ, პატივცემულნო ქართველო მშერლებო და მშერალნო ქალებო, თუ კი სადმე მოიპოებით, თქვენ შემოგდალადებთ ნორჩი ქართული სცენა. წარმართეთ თქვენი ცოდნისმოყვარული მისწრაფება მისდა სასარგებლოდ, უწილადედ მას თქვენი ნაყოფიერი მოცლილობის ნაწილი, დაასაჩქრეთ იგი პიესებით... აქტიორები და აქტრისები საესებით შეიგრძნობენ თქვენ ქმნილებათა სიტურფესა და ლირსებას და ლირსეულად განასახიერებენ მათ, ხოლო ახალი, ქორფა მაყურებლები აღურიცხველი და დაუწყნარებელი ტაშით მოგიზღავნ სამაგიროს“.

ამაზე უფრო გვიან მიხეილ თუმანიშვილი, არჩევს რა გაზ. „დროებაში“ (1867 წ. მაისის 26-ს, № 21) პიესა „მაკებ“, აღნიშნავს დრამების ავტორთა განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას იმ მომენტში, როდესაც საზოგადოება განიცდის გარდამავალ ეპოქას, — არა მარტო იმიტომ, რომ იცვლებიან თაობანი, არამედ იმიტომაც, რომ იცვლება ისტორიაც; ძველი ცხოვრება მიდის, მის მაგიერად მოდის სხვა ცხოვრება. იმავე სტატიაში იგი ამტკიცებს, რომ ერთადერთ

მწერლებად, რომლებსაც დრამატურგ-ავტორი დაერქემევათ, უნდა ჩაითვალნენ მხოლოდ ერისთავი და ანტონოვი. აქედან მომდინარეობს მისი გულითადი თანაგრძნობა და მხარის დაჭერა ამ ორი ავტორისისათვის, განსაკუთრებით პირველისათვის. მიხეილ თუმანიშვილს სრულიად ლოგიკურად მიაჩნდა, რომ

„ქართული თეატრის ფუძედ მიღებულია სწორედ კომიზმის პრინციპი. ქართველების თანადროული ცხოვრება, რომლის ანარეკლიც ეს თეატრი უნდა იყოს, იმდენად ღრმად-ორიგინალურია, ქართული ენა ისე მოქნილია და სხარტული გამოთქმებისა და საოზნჯო კილოსადმი ისე მიღრეკილი, ქართველის გონება იმდენად ალსაგეა გულგასართობი და ძალადაუტანებელი პუმორით, რომ ყველა ეს გარემოება ხელს უწყობს მთელი კომიკური რეპერტუარის შექმნას. თავადი ერისთავი, რომელსაც წილად ხვდა ყოფილიყო ქართული თეატრის დამარსებელი, დაწყებიდან აქამდე ერთიდან ერთი მიღებული მიმართულების ერთვულია („კავკაზი“ 1851 წ., № 12).“

იმ შტკიცე რწმენით გამსჭვალული, რომ აუცილებელია შეიქმნას ქართული ეროვნული თეატრი, მიხეილ თუმანიშვილი ხელს ჰკიდებს ყოველგვარ საქმეს, რასაც კი შეუძლიან ამ იდეის განხორციელებას ხელი შეუწყოს. სწორედ ამიტომ იგი არათრად აგდებს თავის საზოგადოებრივ მდგომარეობას და თავისი წრის ქედმალლობას (ეს წრე მხოლოდ იწყნარებდა და თითქოს ახალისებდა კიდეც საშინაო წარმოდგენებს, როგორც ს ე ი რ ს 121, ხოლო პროფესიონალებს საზოგადოების თანასწორუფლებიან წევრებად არა სთვლიდა), და არ ერიდება სუფლიორის მოვალეობას ერისთავის პირველ ქართულ წარმოდგენებში. 1854 — 55 წლის სეზონის დამთავრებისას, როდესაც ქართული წარმოდგენები მოისპონ და დასი სრულიად დაშალეს, ამ დასის 7 არტისტმა (ქალმა და კაცმა) 1855 წ. სექტემბერში განცხადება მიართვა კავკასიის მეფის-ნაცვალს და ნებართვა ითხოვა კვირაში თითო წარმოდგენა გაემართათ და თითონ ისინი დაეტოვებინათ იმავე უფლებით, როგორც წინად იყვნენ. რადგანაც ვორონცოვის გადასვლის შემდეგ რუსი აღმინისტრაციის განწყობილება ადგილობრივი თეატრისადმი ძირითადად შეიცვალა, მათ უარი უთხრეს. მაშინ მიხ. თუმანიშვილმა იყისრა მზრუნველობა ამ საქმისათვის, რისთვისაც გამოიყენა თავისი გამოცდილება და უმაღლესი აღმინისტრაციის ფსიქოლოგიის ცოდნა. მის ქალალდებში შენახულა მის მიერ მეფის-ნაცვლის სახელზე (რომლის მოვალეობასაც იმ დროს ვას. ის. ბებუთოვი ასრულებდა) შედგენილი ვრცელი განცხადების შავი; ამ განცხადებაში ქართული დასის სახელით იგი თხოულობდა, რათა აღდგენილი ყოფილიყო ამ დასის უფლება და ნება დაერთვათ ემართა მას წარმოდგენები სახელმწიფო თეატრში, გამოეყენებინა ამ თეატრის დეკორაციები და უზრუნველყოთ არტისტები მატერია-

ლოურად. განცხადებაში იგი აღნიშნავს ნიშანდობლივ ქართული თეატრის კულტურულ როლს და იგრეთვე იმას, რომ საქართველოში სცენის საქმემ,

„...რომელიც ჩინებულად და წარმატებით შეფარდებული იყო ადგილობრივი ზეპირულებებთან, კეთილნაყოფიერი და მთავრობის მიზნების სავსებით შესაბამისი გავლენა იქონია, სახელდობრა—ადგილობრივი მოსახლეობის დაბალი და საშუალო კლასები ჩამოაშორა წინანდელ უხეში სახის გასართობებს, უჩვენა მათ უფრო გონიერი დროსგატარება, გააღვიძა ახალგაზრდა თაობაში ნიჭიერი აღმიანები და აღძრა ისინი მწერლობისათვის, ამნაირად გახდა შუამაგალი ხალხსა და ციფილიზაციას შორის, რაც სხვა ქვეყნებსა და სხვა ხალხში ასე მძიმედ და ძნელად იკიდებს, ფეხს“.

ამ რედაქციით იყო შეტანილი თუ არა განცხადება, არ ვიცით, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, გიორგი ერისთავის შემდეგ, ქართული დასის დირექტორის როლში გამოსული ივანე კერესელიძის მიერ მეფის-ნაცვლისათვის იმავე წლის დეკემბრის 31-ს წარდგენილი განცხადების ტექსტიდან სჩანს, რომ მიხ. თუმანიშვილის მითითებანი გამოყენებულ იქნენ: ივ. კერესელიძის განცხადებას საფუძვლად და-ედვა იგივე მოსაზრებანი, რაც მოყვანილია მიხ. თუმანიშვილის პროექტში.¹²²

ქართული თეატრის პირველ ნაბიჯებთან მჰიდროდ დაკავშირებული, მიხ. თუმანიშვილი გამოდის ამავე დროს თეატრალური საქმის ჭირველ ქართველ სერიოზულ კრიტიკოსად, რომელიც თეატრის უდგება პრინციპული. პოზიციებიდან; აგრეთვე იგი ქართული თეატრის პირველი ისტორიკოსია, რომლის სტატიებსაც გზას ვერ. აუქციონი შემდგომში ვერც ერთი ნაშრომი საქართველოში ნაციონალური თეატრის აღორძინებაზე. ნამდვილი ენთუზიაზმით აღსავს მისი კრიტიკული შენიშვნები რეპერტუარზე და არტისტების თამაშობაზე გამოქვეყნებულია „კავკაზში“ 1851 წელს (№ 11 და 12) და 1855 წელს (№ 8); შემდეგ, 1867 წელს, როგორც უკვე იყო აღნიშნული, იგი დაწვრილებით აანალიზებს პიესა „მაიკოს“. „დროებში“ (№ 21), კვლავ უბრუნდება რა თავის აზრებს ნაციონალურ თეატრზე. როდესაც ფარდა აიხადა, მაყურებლებმა დაინახეს, რომ გამოდიან აღამიანები ქართული სახელებით, ქართულად ჩაცმული, ქართულად მოლაპარაკენი. სამჯერ აიხადა და დაეშვა ფარდა, სამივეჯერ ტაშს უკრავდნენ უკანა სკამებიდან, მაგრამ უკვე ნახევარი წარმოდგენის შემდეგ აღიძრა გაუგებრობა: ეს თუ ქართული პიესაა, — შენიშნავს მიხ. თუმანიშვილი, „რასში ეტყობა ქართულობა?“¹²³. არჩევს რა ანტონოვის პიესას. „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“, იმავე სტატიაში იგი აღიარებს, რომ ანტონოვს აზრის სილრმე არა აქვს, მაგრამ ერთი შესანიშნავი რამ კი აქვს — სინამდვილე: გრძნობა, აზრი, სიტყვა მართლაც მყუთვნის იმას, ვისაც ავტორმა მიაწერაო.

Աղջոց

Աղջոց, աղջոց, շանօդա յօրասօցէ՞!

Երանց, կը չերանց, ու հոռոց՞!

Եցրա ծէ Եցրան, զեռոմ՞!

Կե Եցրա ու Հջոռ ժոշու՞!

Եցայ ծէ յի աճառ Ցու օրոցին,

ու յցոյսու պետք Յա ցի՞ն?

Ու ոցու Սահմանակեն Ցուցու՞ն...

Ցուանցասօցէ ծէ անը Շանօդան.

Թոթ. ԾՂՄԱՆՈՒՅՆՈՂՈՎԻ ՀՅՈՒՕՉՐԱԳՈ.

გიორგი ერისთავის „გაყრა“ გარჩეული აქვს მის. თუმანიშვილს, როგორც „კავკაზში“ დაბეჭდილ შენიშვნებში, ისე მის არქივში შენახულ და დაუბეჭდილ ჩანაწერებში. იგი დასწრებია ამ პიესის პირველ წარმოდგენას გიმნაზიის დარბაზში 1850 წლის იანვრის 2-ს, როდესაც პიესა შეუსრულებია სცენის მოყვარეთა წრეს. იყოვე იყო ერთერთი პირველი მკითხველთაგანი ამ პიესისა დაბეჭდვისთანავე.

გიორგი ერისთავი (1811 — 1864), პოეტი და დრამატურგი, „ქართველთა მოლიერი“, როგორც მას კორონცოვმა უწოდა, იყო ქანის ერისთავების ოჯახიდან, რომელთაც ძველადგანვე მეგობრული, მეზობლური და ნათესაური დამოკიდებულება ჰქონიათ თუმანიშვილებთან. ალექსანდრე ერისთავი ნათლული იყო მიხეილ ბირთველის-ძე თუმანიშვილისა. გიორგის მამას — დავითს საქმიანი ურთიერთობა ჰქონია მის. თუმანიშვილის მამასთან — ბირთველთან. მისი წერილი ბირთველისადმი გლეხიგოგო მარინეს მიყიდვის; თაობაზე (მარინე შემდეგში მის. თუმანიშვილის გადია იყო) მოყვანილია ამ წიგნის შენიშვნებში. დავითისა და ბირთველის შვილებს კი აკავშირებდა არა მარტო ოჯახური ტრადიციები, არამედ აგრეთვე ლიტერატურული ინტერესებიც. გიორგი ერისთავი 7 წლით უფროსი იყო მის. თუმანიშვილზე, მაგრამ წლოვანების განსხვავებას მნიშვნელობა არა ჰქონდა მათი ურთიერთობისათვის. ორთავენი მონაწილეობას იღებდნენ ოცდაათანა და ორმოციანი წლების ლიტერატურულ წრეებში. მათი სახელი აღნიშნულია იმათ შორის, ვინც მუდამ დაიარებოდა მანანა ორბელიანთან, რომლის წრეშიაც აღიძრა ქართული უურნალის (შემდეგში — „ცისკრის“) შექმნისა და, ალბათ, აგრეთვე მუდმივი თეატრის მოწყობის იდეა. ცნობილია, რომ ამ წრის ერთი მონაწილეთაგანი, სახელდობრ პოეტი ტატო (ნიკოლოზ) ბარათაშვილი გიორგი ერისთავმა გამოიყანა თავის პიესაში „შეშლილი“. გიორგი ერისთავის სახელი გადამზულია როგორც ქართული, თეატრის დაარსებაზე, რომლის პირველი და დიდი მოღვაწეები იყი იყო (პიესების პირველი ავტორი და პირველივე დირექტორი ქართული დრამატიული ამხანაგობისა, რომელიც წარმოიშვა ლიტერატორ ვლ. სოლლოგუბის პროექტის თანახმად), ისე უურნალი „ცისკრის“ დაარსებაზე 1852 წელს. მანვე პირველმა გადათარგმნა „ვაი ჭკუისაგან“ („Горе от ума“) რამდენიმე სცენა. ეს იყო ხანა, როდესაც თავადაზნაურობის ინტელიგენციის მოწინავე ნაწილში აღორძინდა ცისარტყელასავით ფერად-ფერად, წარმტაცი იმედები. ამ დროს დაიწყო თავისი ლიტერატურული მოღვაწეობა გიორგი ერისთავმაც და მისი პირველი ნაბიჯებიდანვე მის. თუმანიშვილი დიდი ინტერესით ადევნებს თვალს გიორგი ერისთავის მუშაობას. ჯერ კიდევ მაშინ, ვიდრე გიორგი ერისთავი თბილისში ჩამოვიდოდა, თავისი პროექტებით,

მიხ. თუმანიშვილის სწერის გორში თავის ბიძაშვილს ალექსანდრე რე-ვაზის-ძე თუმანიშვილს წერილს (იგი არ შენახულა), რომლის შინა-არსაც გვიჩვენებს ალექსანდრეს პასუხი 1849 წლის მაისის 30-სა, მიხ. თუმანიშვილის არქივში დარჩენილი: „გიორგი ერისთავს მოკით-ხვა გადავეცი და ლექსები ვთხოვე, მაგრამ მანმითხრა, ყველა ჩემმა ძმამ ოქტომბერის წაიღოო (დედანში — „ვს“) მათ რიცხვში „გაყრაცაო“, და, როდესაც იგი დაუბრუნებს, მე მომცემს გადასაწერად შენთვის; გადაწერისთანავე გამოგზავნას არ დაგიგვიანებ“.

მიხ. თუმანიშვილის არქივში დაცულია მის მიერ შედგენილი, გი-ორგი ერისთავისა და ზურაბ ანტონოვის ნაწარმოებთა ერთადერთი და სრული სიები, გაზ. „საქართველოში“ გამოქვეყნებული 1918 წელს (№ 10). მიხ. თუმანიშვილის ხელითვე გადაწერილ ანთოლოგი-ებში მოთავსებულია გ. ერისთავის 112 ლექსი. თუ რა აღტაცებით ეკიდებოდა მიხ. თუმანიშვილი გიორგი ერისთავის პოეტურ შემოქ-მედებას, ეს მას გამოთქმული აქვს 1839 წლის ლექსში, რომელიც ეძღვნება მომავალ ღრამატორებს. უმნიშვნელო, მაგრამ ვიორგი ერის-თავისა და მიხ. თუმანიშვილის ურთიერთობის დამახასიათებელი ფაქტია — ნართაული სახელი „მონავარდისა“, რაც ერქვა ხელთუბნელ გლეხგოვნს ანანოს, რომელიც მიხ. თუმანიშვილის ოჯახის მიერ მი-ჩენილი ჰყავდა მის ახალგაზრდა ცოლს. მოახლედ (ანანო გლეხთა განთავისუფლების შემდეგაც დარჩა ამ ოჯახში სიკვდილამდე და გარ-დაიცვალა ღრმად მოხუცებული). იოსებ გრიშაშვილმა მიაქცია ყუ-რადღება იმ გარემოებას, რომ ამავე ფაშფაშა სახელს, „მონავარდი-სა“, ატარებს გიორგი ერისთავის კომედია „გაყრას“ ერთერთი მო-ქმედი პირი. გიორგი ერისთავმა ისესხა ეს ნართაული სახელი მიხ. თუმანიშვილის ოჯახიდან, თუ, პირიქით, გ. ერისთავის პიესით შთა-გონებულმა მიხ. თუმანიშვილმა — ეს სულ ერთია, ორივე შემთხვევაში სახელის თანამთხვევა მჭერმეტყველურად გვიჩვენებს. გ. ერისთავისა და მიხ. თუმანიშვილის ახლობლობას.

ქართული თეატრის აღორძინების ისტორიული ნარკვევა, რო-მელიც მიხ. თუმანიშვილის კალამს ეკუთვნის (ზევით ციტირებული სტატია გაზ. „კავკაზში“ 1851 წლისა), თეატრის ისტორიის ძირითად ფონდში შევიდა. 1884 წელს უურნალი „ივერია“ (№ 1, გვ. 117 — 118) „შინაური მითონილების მაგიერი“ — ს განყოფილებაში მიხ. თუმა-ნიშვილის სტატიიდან მოყვანილ ვრცელ ციტატები წინ უმძღვარებს შენიშვნას, რომ ეს ციტატები ეკუთვნის „მაშინდელი თეატრის მემა-ტიიანეს ანუ მისი ავან-ჩავანის კარგ მცოდნეს“. უტრნალი იმ აზრს ვამოსთქვამს, რომ თუმცა მიხ. თუმანიშვილის სტრიქონები ჩემპერ-ტუარის შესახებ დაწერილია 32 წლის წინად, მაგრამ ახლაც (1884 წელს) ეს სტრიქონები ინარჩუნებენ სავსებით თავიანთ მნიშვნელო-

ბას. ახლა ყველა ხედავს, რამდენად მართალი იყო მის.. თუმანიშვილი, ყველა ხედავს, რომ მისი შიში უადგილო არ ყოფილა.

ოფიციალურ კრებულში „თეატრი ტფილიში 1845 წ-დან 1856 წ-მდე“ („Театр в Тифлисе с 1845 по 1856 г.“ Тифлис, 1888 გ.) გადაბეჭდილია გაზ. „კავკაზიდან“ მის. თუმანიშვილის სამი სტატია და აღნიშნულია, რომ მან „გამოსთქვა მართალი, მიუკერძებელი, სიტყვა თეატრზე“.

პროფესიონალ ალ. ხახანაშვილს თავის ნაშრომში „ქართული თეატრი 1850—95 წ.წ.“ („Грузинский театр 1850—95 гг.“ —კრებული „ქავკაზია ჯизнь“) მოჰყავს უამრავი ციტატები მის. თუმანიშვილის სტატიებიდან თეატრზე თავისი ნაშრომის დებულებათა დასაღასატურებლად.

სტატიებს ქართულ თეატრზე ასახელებენ აგრეთვე ჩვენი თანამედროვე ავტორებიც.

გულითადი სიყვარული ქართული თეატრისადმი როდი ზღუდავდა მის. თუმანიშვილის გონიერი არეს.. მისი წერილები, დღიურები, შავად ნაწერების რვეულები სავსეა მსჯელობით და შთაბეჭდილებებით. საერთოდ თეატრზე, კერძოდ — რუსულ თეატრზედაც. იგი გულმოდგინედ ესწრება ყველა ახალი თეატრალური ნაწარმოების წარმოდგენას. იგი იცნობს მთლად თბილისის თეატრალურ წრეს. იგი კარგი მცოდნეა და თაყვანისმცემელი არა მარტო მსოფლიო დრამატურგებისა, როგორც, მაგალითად, შექსპირისა, არამედ აგრეთვე რუსი დრამატურგებისაც. გრიბოედოვზე რომ არა ვთქვათ რა, იგი სწავლობს თვით კუკოლნიკსაც კი, ეპიკრატი რომლის ნაწარმოებიდანაც მან მოათავსა ჯერ კიდევ გიმნაზიელობის დროს თავისი „ყვავილის“ თავ-ფურცელზე. დღიურის ნაწყვეტ-ნაწყვეტ ჩანაწერებში 1847 წ. სექტემბრის 21-ის თარიღით, კვირა დღეს, აღნიშნულია:

„დღეს, კავკასიის მეფის-ნაკვლის ბალში, მოსეირნეთა შორის ჩემი ყურადღება მიიქცია ახალმა და უცნობმა პირმა. მე ვიცოდი, რომ თბილისში ჩამოვიდა ნესტორ ვასილის-ძე კუკოლი ნიკი. ვფიქრობდი, რომ იგი იქნებოდა ბალში და ამიტომ ახალი პირის გამოჩენა მოსეირნეთა ჯგუფებს შორის ჩემთვის შეუმჩნეველი არ დარჩებოდა. როდესაც იგი გაჩერდა ერთერთ მერჩხე მსხდომ მანდილოსანთა წინაშე, მე ცნობისმოყვარებით დავუწყე მას თვალიერება და ვკითხე ჩემს ახლო მდგარ არტისტს ი.: ეს კუკოლნიკი ხომ არ არის-მეთქი, და მან მიპასუხა: კუკოლნიკია. ამ წამიდან თვალი არ მომიშორებია ამ შესანიშნავი სტუმრისათვის, კვალდაკვალ ვსდევდი ხევნის ყველა მიმართულებით, ვაკვირდებოდი მის მიხვრა-მოხვრას; ყურს ვაპყრობდი. მის წმას, სიტყვებს. მაშ ეს ის კუკოლნიკია, — პოეტი, რომანისტი, დრამებისა და დრამატიული ფანტაზიების ავტორი — ჩვენი დიუმა, ჰიუგი.. ვიძახოდი მე გულში. სხვისა არ ვიცი, და მე კი ყოველთვის სიამოვნება აღმძრავს ხოლმე, გულში. მიტაცებს, როდესაც ვრედავ შესანიშნავი ნიჭის პატრონ

ადამიანს, ოომელმაც თავი იჩინა მეცნიერებისა, ხელოვნებისა და ლიტერატურის ასპარეზზე. კუკოლნიკი ერთი უნიჭიერესთაგანი და ნაყოფერი მწერალია ჩევნი. მისი დამსახურება ლიტერატურის ასპარეზზე — ჟეშმარიტად ეკროპულია: ისტორიული დრამა, სიტყვა-კაზმული მწერლობა დიდად დავალებულია მისგან; საქმიანი მოაწილეობით მან სელი შეუწყის ჩევნში უურნალისტიკის გაფურჩქვნას; მან მოვცა მშენები და ინტერესით სავსე ოომანების ნიმუშები, ოომლებიც ყოველთვის საამური საკითხავის საგანი იქნება განათლებული ადამიანისათვის. კუკოლნიკს უსაცვედურებენ, საკმარისად ორიგინალური არა ხარო, მაგრამ რას ნიშნავს ამ საბის მამულიშვილური დრამატიული ნაწარმოები, ოოგორიც არის, მაგალითად: „Скотопиан-Шуйский“, „Рука Всевышшего отечество спасла“ და სხვ.; ეს არის ღრმა და მონდომებული შესწავლა ჩევნი ისტორის უაღრესად მნიშვნელოვანი პერიოდისა — პეტრე დიდის ეპოქისა, ოომელიც მან გაღმოგვცა დიდად მართალი და ცოცხალი ანაბეჭდებით?..

კუკოლნიკი ვნახე კვლავ იმავე საღამოს თეატრში: ის იყო, გამოჩნდა იგი: ლოუაში, ოომელიც ეჭირა მას უმანეცთან და კომსტანტინოვოან ერთად, და მთელ თეატრში აშრიალდა ჩურჩული და ყველას თვალი მისკენ მიიქცა. სჩანდა, რომ მისი ყოფნა მელბომენის ტაძარში, ოომელსაც მან უძღვნა ბევრი თავისი საუცხოო ქმნილება, ყველას ეგულისხმებოდა. აუარებელი საზოგადოება იყო, და გვიდა ეგულისხმებილი „მო ჯადო ებული პრინცი“ და ეს ერტუ ი „და კომედია-ვოდევილი „მო ჯადო ებული პრინცი““. აქტიორებიც თითქო უკეთესად თამაშობდნენ. განსაკუთრებით მუხინი — ეს, ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა არტისტი, თავისი ლამაზი და მომხიბლავი თამაშობით „მოჯადოებულ პრინცში“ შეუწყვეტელ ტაშს იწვევდა. თვით დრამატურგი-მწერალი აღტაცებული იყო მუხინით და ტაშს უკრავდა. ამ საღამომ დასტოვა ჩემში ძლიერი და საამური შთაბეჭდილება“...

სხვა, თავის ჩანაწერში, ოომელიც თეატრს ეხება (1849 წ. მარტის 20, კვირა დღეს) მიხ. თუმანიშვილი აგვიწერს „ცოცხალი სურათების“ შთაბეჭდილებას:

„ამ საღამოს კეშმარიტი სიტყბოება განვიცადეთ აქაური თეატრის სცენაზე ცოცხალი სურა თების ნახვით, ოომლებიც დასდგა ხელოვნების გამოჩნდომა მცოდნებ თავადმა გაგრინმა. ეს მოვლენა საერთოდ იშვიათია, თითქმის უნახავი თბილისში, მაგრამ მონაწილეობა მასში ისეთი პირისა, რომელიც ნამდვილი მხატვარი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, საკმარისი იყო, რომ მიეზიდა აუარებელი საზოგადოება“.

შავ ნაწერებად შენახულ სტატიებში „ყოველგვარი რამე-რუმე“-ს (всякая всячинка) ჯვუფიდან, ოომლებიც, ოოგორიც ჩანს, განზრახული იყო დასაბეჭდად, მაგრამ გამოუქვეყნებელი კი დარჩა, რამდენიმე ვარიანტია სტატიისა 60-ანი წლების დასასრულსა ან 70-ანი წლების დასაწყისში „Горе от ума“-ს („ვაი ჭკუისაგან“) დადგმის თაობაზე თბილისში პეტერბურგელი არტისტების ჩამოსვლის ღროს. ამ სტატიაში იგი დიდად აფასებს ამ არტისტებს¹²⁴. თითქმის ყველა წერილში მისი შვილის გიორგის სახელზე, ოოდესაც ეს უკანასკნელი ოდესაში იყო (1871 — 1875 წ.წ.), გაფანტულია შენიშვნები,

ცნობები და შთაბეჭდილებანი თბილისის სათეატრო სეზონის თაობაზე. მიხ. თუმანიშვილის მეგობრები და ნაცნობები, რომელთაც იცოდნენ მისი განსაკუთრებული სიყვარული თეატრისადმი, ხშირად სთხოვდნენ მას წერილებში — თეატრალურ დადგმებზე, მოგვწერე ზოლმეო.

მიხ. თუმანიშვილი მუყაითად აგროვებდა მასალას საერთოდ თბილისში არსებული თეატრების ისტორიისათვის. მის არქივში დაცულია იმ ღოკუმენტების სრული კრებული, რომელიც ეხება რუსული თეატრის წარმოშობას ამიერკავკასიაში. მხოლოდ ნაწილი ამ ღოკუმენტებისა დაბეჭდილი იყო შემდგომ კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში.

შემოდგომის სალამო 1874 წლის ოქტომბრის 11-ისა ბედუკულმართი სალამო იყო თბილისის თეატრისათვის: მშვენიერი შენობა, რომელმაც ალექსანდრე დიუმას (მამა) აღტაცება გამოიწვია, როდესაც იგი კავკასიაში ჩამოვიდა, შენობა, რომლის გამშვენებაშიაც გაგარინმა შეატანა მთლად თავისი გემოვნება და ნიჭი მხატვრისა და დეკორატორისა, — შთანთქა ცეცხლმა. ყველასათვის, ვინც კი ასე თუ ისე დაკავშირებული იყო თეატრთან, ამ უბედური შემთხვევით მიყენებული ზიანი მეტისმეტად საგრძნობი იყო. მაგრამ უფრო ძლიერი იყო ის საფრთხე, რომელიც მოელოდა თვით თეატრის არსებობას საქართველოს დედა-ქალაქში და კავკასიის ცენტრში: ქალაქის ერთადერთი სათეატრო შენობის მოსპობას შეეძლო გამოეწვია სასოწარკვეთილება და დეზორგანიზაცია თეატრის მოლვაწეთა წრეში და დიდის ხნობით დაებრკოლებინა სასკენო ხელოვნების განვითარება (მართლაც, თეატრის ახალი შენობა გაიხსნა მხოლოდ 22 წლის შემდეგ). ხანძრით გამოწვევული შთაბეჭდილება იმდენად ძლიერი იყო, რომ მიხ. თუმანიშვილი, მჭიდროდ დაკავშირებული თეატრალურ საქმესთან, გამოხმაურა ამ უბედურებას დიდი წერილით „ტფ. უწყ.“ („Тифл. Ведом“. — №№ 109 და 112), თუმცა იმ დროს იგი მეტად დატვირთული იყო სამსახურის საქმით.

„თამამშევის ქარვასლის ხანძარი ტფილისში, უკეთელია, ჰეშმარიტად საზოგადოებრივ უბედურებას შეადგენს. — სწერს იგი. — მან დააზარალა მრავალი ინტერესი: ვაჭრობისა, მრეწველობისა; მისი შედეგი დაეტყობა ამზომად თუ იმზომად დამზღვევ საზოგადოებათა კრედიტს... მაგრამ ეს კი, როგორც ხანძარმა საზოგადოების ესთეტიკურ ინტერესებს დაჰკრა, უფრო ღრმაა, განუზომელი: ქარვასლის გარე-ნაწილში აპრიალებული და არარი-საგან შეკავებული ალი ეგერერა თვით შენობის გულს, სადაც მოთავსებული იყო საქალაქო თეატრი, და ცეცხლმა ულმობელად შთანთქა მთლად ქალაქის ეს შეუდარებელი, კეპლუცი ნაგებობა“.

სტატიას, რომლის სათაურია „თბილისის თეატრის ხსოვნას“, საფუძვლად უდევს თბილისში სათეატრო საქმის აღორძინების მოქლე.

ისტორია, შენობის გარეგანი და, განსაკუთრებით კი, შინაგანი სახის აწერილობა და მოსახრებანი, თუ როგორ უნდა იქნეს აღდგენილი დამწვარი ნაგებობა. შვილისათვის, გიორგისათვის, ოდესას გაგზავნილი წერილი, რომელშიაც მოათხრობილია ხანძრის ამბავი და მის მერ გამოწვეული შთაბეჭდილება, არ შენახულა, მაგრამ ოქტომბრის 25-ის წერილში იგი სწერს:

„წინა წერილიდან შენ იცი, რომ ჩვენი მშვენიერი, კეკლუცი თეატრი მთლად დაიწვა. ჯერ გადაწყვეტილი არ არის, იქვე იქნება იგი აღდგენილი, თუ სხვა ადგილას. ლიღმა მთავარმა [მიხეილ ნიკოლოზისძე] ბრძანა, საზოგადოების გასახარლად, განგრძობილ იქნეს თეატრალური წარმოდგენები ჯერ მუსიკალური საზოგადოების დარბაზში, ხოლო შემდეგ; დეკემბრიდან, საზაფხულო თეატრში, რომელიც მოწყობილ უნდა იქნეს იმდროსთვის ყველა საჭირო წელსაწყოთი. მუსიკალურ დარბაზში იქნება მარტო რუსული წარმოდგენები და კონცერტები იტალიელებით ფრაკებში, ხოლო საზაფხულო-საზამთრო თეატრში — იტალიანური ოპერებიც.“

მიხ. თუმანიშვილი, დამწვარ თეატრზე შისი სტატიების გამოქვეყნების შემდეგ, ეკითხება ირონიულად თვის მიმართ თავის შვილს ნოემბრის 12-ის წერილში, როგორ მოგეწონა სტატიებიო.

„მე არ ვიცი, როგორ მიიღებ და ვითარ სცნობ ამ სუსტ ნაწარმოებს „მზცოვანი ბელეტრისტისას“. ან ძველი, ახლა შტატგარეშე ლიტერატორისას.“

ამავე დროს მიხ. თუმანიშვილის მეორე შვილი ვასილი სწერდა თავის ძმას:

„...მართლა, თეატრზე: გულდამშვიდებით ვერ გამიხსენებია თეატრი, რომელიც ცეცხლს მისცეს ბოროტგანზრაბველებმა. ეჭვი მიიტანეს ვაჭარლაზარევზე,¹²⁵ რომელიც დაპატიმრეს კიდეც და, როგორც ამბობენ, მაღვე გასამართლებულ იქნება. ოღონდაც, რომ საზარელი რამ იყო 11 ოქტომბრის საღამო. დადგა მეორე დღე და აი ხალხი იკრიბება გადაბუგულ შენობაში, რათა უკანასკნელად საღამი უთხრას იმის ჯერ კიდევ თბილ ფერფლს, რომლის წყალობითაც თბილისმა მოწყენა არ იცოდა...“

დიახ, დამანაღვლიანებელი სურათით დამთავრდა ჩვენი თეატრის ბედი! ზარალი დიდია; ყველაფერი, რაც კი სცენაზე იყო, დაიწვა, მხოლოდ ბიბლიოთეკის ნაწილი გადაარჩინეს...“

ანასტასია მიხეილის ასულის თუმანიშვილის 1874 წლის ოქტომბრის 18-ის წერილი იმავე მისამართით (გიორგის) ამ შთაბეჭდილებაზა დამატება:

„ჩემო ძვირფასო გიორგი!

ალბათ, თქვენ, ყველას, ოდესელებს, უკვე გეცოდინებათ, რომ იგივე უბედურება გვეწვია, რაც შარშან თქვენ,¹²⁶ ე. ი. დაიწვა ჩვენი საყვარელი თეატრი მთლად და ჩვენ მოვაკლდით ამ სიამოვნებას, თუმცა დასი მეტად უხეირო იყო. წარსულ პარასკევს, ოქტომბრის 11-ს, უნდა დაედგათ „ნორმა“. საღამოთი, მე და მამა რომ დავსეირნობდით, ბევრნი ნაცნობნი ვნახეთ, რომელნიც „ნორმაზე“ წასვლას აპირებდნენ, ასე რომ ჩვენც აღგვეძრა.

სურვილი, მეორე წარმოდგენას მაინც დაუსწრებოდით; შევედით სალაროში; პეტროვსკიმ გვითხრა, იქნება გიშვილით ბილეთები მეორე წარმოდგენის-თვისი. მაგრამ ვა! 8 საათისათვის, ორდესაც საზოგადოებამ მისვლა იწყო, დაიძახეს თურმე ცეცხლით. ტანგაზღილი აქტიორები, ქორისტები კუჩაში გამორბოდნენ; როლი პრიმადონას, „ნორმასათვის“ განუწყობილს, ეგონა, მართლა ცეცხლში მაგდებენო და გული შეუწუხდა. რომ იცოდე, რა მძიმე შთაბეჭდილებას თურმე ახდენდა ეს ხანძარი ყველაზე. დედა იმ საღამოს აღექსანდრესთან ¹²⁷ იყო და ფსაროვებს ¹²⁸ შეხვედროდა, რომელიც თეატრში წასვლას აპირებდნენ; როდესაც უთხრეს, თეატრი იწვისო, იმათ თურმე იფიქრეს, გვატყუებენო, რადგანაც აბონირებული იყვნენ და პირველად მიღიოდნენ. რამდენ რამ სასაცილო და საცოდაობის ამბავს მოგვიყვა დედა მათ შესახებ, გოგოლის კალმის შესაფერს“.

მიხ. თუმანიშვილის. მოსახრებანი დამწვარი თეატრის აღდგენის გამო პოლემიკის საგანი გახდა. ამაზე იგი. სწერს თავის შვილს იმავე ნოემბრის 12-ს:

„ჩემთა სტატიამ „თბილისის თეატრის ხსოვნას“ გამოიწვია პასუხი, — მერე ვისი მხრიდან, როგორ გგონია — ვიღაც ტექნიკისისა, ვფიქ რობ, პოლკოვ. გარსევანოვის ბანაკიდან. ¹²⁹ პასუხი იქითკენ არის მიმართული, რომ სასურველი არ არის თეატრის აღდგენა იქვე, სადაც წინადან იყო, ადგილის სივიწროვის გამოთ, რომ უკეთესი იქნებოდა მისი ხელაბლად აგება აღექსანდრეს პარუშიო. აქ ცოტა ირონიაც არის ჩაქსოვილი „ძევლის დროისა და მისი ძევლების მოყვარულთა“ მიმართ; „ხომ ჩვენ, დროსაც უნდა მივცეთ შესაძლებლობა შექმნას რამ“, „ცოტა ბებრებმაც მიიწმოიშოთ“ და სხვა.. მაგრამ მე ვეტყოდი ამ ბატონებს:

Художник — варвар кистью союзной

Картину гения черни,

И свой рисунок беззаконной

На ней безжалостно чертит...“

(Пушкин).

თუ დრო მექნა, „თეატრის მოყვარული“ გალს გადაიხდის, და მაშინ გამოგიგზანით როგორც ტექნიკოსის პასუხს, ისე „თეატრის მოყვარულის“ პასუხის პასუხს“.

მაგრამ, როგორც სჩანს, „პასუხის პასუხი“ არ იქნა დაწერილი. მალე მიხ. თუმანიშვილი ავად გახდა და გარდაიცვალა.

მიხ. თუმანიშვილის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში შენახულა ვრცელი ნარკვევი „მეზურნე ალექსი“ („Вурнист Алекси“), დაწერილი ორმოცდაათიან წლებში და რატომდაც არსად გამოქვეყნებული. ¹³⁰

ევროპულობა აზროვნებასა და რწმენაში სრულიადაც არ უშლის და მიხ. თუმანიშვილს მხურვალე მოტრფიალე ყოფილიყო. ყოველივე იმისა, რასაც მშობლიური ხასიათი ჰქონდა. თეატრის სფეროში რუსული კომედიით გატაცება ჩრდილს როდი აყენებდა ქართულ სცენას; პირიქით, იგი აძლიერებდა მასში სურვილს ხელი შეეწყო ქართული სასცენო ხელოვნების განვითარებისათვის. მსოფლიო და რუსული ლიტერატურის შესწავლამ იგი არამც თუ არ განარინა ქართული.

პოეზიიდან და პროზიდან, არამედ, პირიქით, წაახალისა — თავისი წელილი შეეტანა ერთშიაც და მეორეშიაც და, სხვათა შორის, შეექმნა ქართული ფელეტონი. სწორედ ასევე იყო მუსიკის სფეროში — ვერც იტალიურმა ოპერამ, ვერც გერმანულმა სიმფონიამ, რომლებსაც იგი დიდის გულმოდგინებით ისმენდა, ვერ აღკვეთეს მასში სიყვარული მშობლიური მუსიკისადმი. „მეზურნე ალექსი“ — ეს ნამდვილი ხოტბა აღმოსავლური მუსიკისა — დაწერილია სწორედ იმ წლებში, როდესაც თავადაზნაურული ინტელიგენცია გატაცებული იყო საერთოდ ევროპულობით და ტუჩაბზეკით ექცეოდა მშობლიურ მუსიკალურ ხელოვნებას. მიხ. თუმანიშვილის ნარკვევი თავისი დედაარსით პროტესტია ევროპული მუსიკით წრესგადასული გატაცების წინააღმდეგ და, როგორც უკიდურესობის უარყოფა, თითონაც გადაჭარბებაში ვარდება.

„აქაურები, უდაოდ, მუსიკალური წალხია — ამბობს იგი. — ეს მტკიცდება იმით, რომ მათ ნირშეუცვლელად, ბეჯითად შეინარჩუნეს თავიანთი მუსიკა მთელი მისი მრავალსახიანობით; მტკიც დება იმით, რომ ბევრი მომლერალი და დამკვრელი ჰყავთ, რომლებიც დღევანდლამაც ჩნდებიან და იპყრობენ მათ ყურადღებას მოცულილობის დროსაც და საქმიანობის დროსაც; დაბოლოს, მტკიცდება იმით, რომ აქ ოპერამ, მათთვის სრულიად უცხო მუსიკალურმა სტიქიონმა, ძალიან ადვილად მოიკიდა ფეხი აქაურ მუსიკალურ ნიადაგზე. გასაოცარია ეს მოვლენა განსაკუთრებით ქართველ ხალხში, რომლის ისტორიული ბედიც თითქო მეტად ნაკლებ დროს უტოვებდა მას მუსიკალური განწყობილებისათვის. მაგრამ ამავე დროს ეს მოვლენა აიხსნება ამ სალტის აღმოსავლური წარმოშობით, ნისი აღმოსავლური ბუნებით, რომელიც მგზნებარეა, მოძრავი და იმავე დროს განებივრებული, უზრუნველი, ასე ვთქვათ, მღმღერალი თეთი ცხოვრების არასასიხარულო შემთხვევაშიაც კი... [აქაური ადამიანი] თავის მუსიკალობაში განწყობილია თავისებურად. თავის საკუთარ ყაიდაზე. ევროპული მუსიკა მისთვის მიუწვდომელია; იგი მასში ხელავს რაღაც ცივს, ნაცილენდარას, თავისებური მეტყველების არმქონეს; იშვიათად გრძნობს მას და ხანდახან არც კი სჯერა, რომ ეს მუსიკა. მოასმენინეთ მას ბეთჰოვენის სინთონია და ის უეჭველად არ დაგიჯერებთ, რომ ეს მუსიკა რყოს. საჭიროა გამოთქმის დიდი ენერგია, დიდი სურათოვნება და, ასე ვთქვათ, ხელშესახებლობა, მკაფიობა, რომ მეცნიერულმა მუსიკამ სასურველი შთაბეჭდილება მოახდინოს უჩვეულო მსმენელზე.

...ამილოძაც, გასაუებია, რატომ არის, რომ მხოლოდ ტრამატიულმა მუსიკამ მოახერხა რამოდენამდე ზემოქმედება აქაურებზე. აქ მუსიკა მარტო თავის საგად არ არის, არამედ — ლაპარა მორთულობაში, ჯადოსნურ სინათლესა და ფერებში, ერთი სიტყვით, მუსიკა სახეებში მოცემული და ასე ევლინება იგი მსმენელს თავის საიდუმლოებათა შთასაგონებლად, ძლიერი განურინებელი შთაბეჭდილების მოსახურად... ხოლო, როდესაც აქაური ადამიანი ყურს მოპრავს ტშობლიურ, არახელოვნურ, თუნდაც ქუჩურ ჰანგს, იგი თითქმის მზად არის თითონვე ხმა ააყოლოს ამ ჰანგს. მარტლაც და, რა არის ისეთი ამ გაბმულ, გამყივან მოთქმაში, საზანდარი რომ გაჭკვივის? არაფერი იმის მეტი, რომ აქ ოაღაც თავდავიწყებაა, დარღიმანდობა, შეიძ

ლება უხეშიც, მაგრამ ამ თავდავიწყებაში აქაური ადამიანი გამოუთქმელ
სიმშვენიერეს ხედავს. ამ მოთქმაში, ამ რინიანობაში გამოსჭვივის ოაღაც
მომჯადობებული რამ, რაც მის გულს გკილოკავება, როგორც ამავე გულის
ნაწილაკი, როგორც ოაღაც მშობლიური, მიმშიდვები სტიქიონი. მომხიბ-
ლაბა მით უფრო ძლიერდება. იმისდაკვალობაზე, თუ რა წამში და
რა ვითარებაში ისმენ ამა თუ იმ ჰანგს? მაგალითად, როდესაც შორი-
დან, ხეობაში, მთებს შუა მოისმის გამყინვანი სიმღერის ლივლივი, ან როდე-
საც ბნელ, მიყრუებულ ღამეში ზუზუნებს ზურნა და თითქო ნაფლეთებად
ჰხევს ლამის წყვდიადს და სიჩუმეს,—აქაური ადამიანი გონებას ჰკარგავს და
ტკბება და დნება“...

დასასრულ, მიხ. თუმანიშვილი არა სჯერდება ისტორიკოსის და
კრიტიკოსის როლს და თვით სცდის ღრამატიული ნაწარმოების და-
წერას. პუშკინის შესწავლა და „ღამის სტუმრიდან“ („Каменный
гость“) რამდენიმე სცენის თარგმნა იწვევს მასში სურვილს შექმნას
ქართული თეატრისათვის რამდენიმე სცენიური სახე. „ღამის სტუმრის“
თარგმანის ხელთნაწერის თავთურცლის მეორე გვერდზე ვხვდებით
ერთმანეთში არეულს რუსულ და ქართულ ენაზე ჩინაწერს:

„თბილისის ტეატრისათვის:

1. გადავთარგენო ვაბავი კალიფა.
2. გადმოვიდო ლიდმილი თეატრისათვის სტუმრიდან.
3. დავსწერო შუტკა თამბაქოს თიხი.
4. დაგვწერო კომედიები ცოდნისათვის თეატრისათვის რამდენიმე სცენიური სახე. „ღამის სტუმრის“ თარგმანის ხელთნაწერის თავთურცლის მეორე გვერდზე ვხვდებით ერთმანეთში არეულს რუსულ და ქართულ ენაზე ჩინაწერს:
5. გადმოვიდო ან დაგვწერო მიახლოებული პიესა კ, ვოდევილი
ვა თ ი უ შ კ ა.
6. ქელთნაწერისათვის თეატრისათვის სტუმრის ტეატრისათვის.

„ღამის სტუმრის“ ხელთნაწერზე აღნიშნული თემები ნაწილობრივ
განხორციელებულ იქნა: მიხ. თუმანიშვილის სიკვდილის შემდეგ მის
ქალალდებში აღმოჩნდა ვოდევილი „თამბაქოს თინის“—ს შენიშვნები
და რვეული, რომელიც შეიცავს პისარევის თავის დროზე ცნობილი
ვოდევილის „კალიფ ჟა ყას“ პირველი მოქმედების ქართულ თარგმანს.
პროზად და ლექსად.

საღიზეაგაზურო მუშაობა.

„ცისკრის“ წარმოშობა. ლიტერატურული კრიტიკოსები მიხ. თუმა ნიშვილის პოეზიაზე. ბაირონისა და პუშკინის გავლენა. თანადროული კრიტიკა მიხ. თუმანიშვილის შემოქმედებაზე. მიხ. თუმანიშვილის ადგილი ქართულ პოეზიაში. თანამშრომლობა „ავგაზ“-ში, „დროება“-ში, „ზაგავკაზ. ვესტნიკ“-ში, „საქართველოს უურნალ“-ში. დიმ. ბაქრაძე. მონაწილეობა „ცისკარში“ და პირველი ქართული ფელეტონი. ი. ევლახოვი და ქ. ბერძნიშვილი. ლუკა ისარლიშვილი.

თბილისის გიმნაზიის წრეში მონაწილე ახალგაზრდობა სკოლის დატოვების შემდეგ ცხოვრობდა იმედებით და მოლოდინით. ბედმა გაჰქინდა ახალგაზრდები ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხეში და თითქმის ყველა მათგანს დიდ-დიდიხნობით არ უხდებოდა თბილისში ყოფნა, სტოვებდა რა თბილის სამსახურის გამო ზოგი კარგახნობით, ზოგიც მოკლე დროით: მიხ. თუმანიშვილი—კახეთში, ნიკ, ბარათაშვილი—ნახევანში, ანდრონიკაშვილი—გორში, ლევან მელიქიშვილი—ნახევანსა და დაღესტანში. მიწერ-მოწერა განშორების დროს და შესვედრები თბილისში—გრძელდებოდა. მათი შესვედრის ერთერთი მიმზიდველი ადგილი მანანა ორბელიანის (1808—1870) სახლი იყო. ეკატერინე ჭავჭავაძის, გათხოვებისა და ნინო გრიბოედოვას თბილისში გადმოსახლების შემდეგ წინანდალი უკვე „მუზათა სავანე“. აღარ იყო. ორმოციან წლებში სწორედ მანანას სახლმა, რომელიც იცავდა წინანდლის ლიტერატურულ ტრადიციებს, შეიფრდომა პოეტინი და დამწუები მწერალნი და მისი სასტუმრო დარბაზი გადაიქცა. თითქო ლიტერატურულ სალონად.

ლუკა ისარლიშვილი გვამცნობს (იხ. ი. ბალაზაშვილი „საბჭ. ხელოვნ.“, 1936 წ., № 8-9), რომ ჩიხ. თუმანიშვილი („პირველიჩი“), დაიარებოდა მანანასას, ნიკ. ბარათაშვილთან, ვიორგი ერისთავთან, თითონ ისარლიშვილთან; მაღალაშვილთან, ყიფიანთან და სხვ. ერთად. მთელი ეს ახალგაზრდობა, რომელმაც შემდგომ აღნიშნა თავისი სახელები ქართული პოეზიისა და პროზის ისტორიაში, მხურვალედ იხილავდა თვითეულ მოვლენას ლიტერატურული მნიშვნელობისას. აქ, ამ წრეში დაიბადა პირველი ქართული „სქელტანიანი“ უურნალის „ცისკრის“ შექმნის იდეა და, როგორც ვიცით, ამ უურნალმა ითამაშა უდიდესი როლი ქართული უურნალისტიკის განვითარებაში. აქ, ამ წრეში კითხულობდნენ ორიგინალურ და ნათარგმნ ლექსებს; მანანას უგზავნიდნენ სასტიკ მსაჯულთა სამსჯავროდ თავიანთ ლექსებს.

ჯრიგოლ ორბელიანი — ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც იგი განდევნილი იყო სამშობლოდან, და სხვა ავტორები.

ომნა მეუნარგია ნიკ. ბარათაშვილის ბიოგრაფიაში (1922 წლის გამოც.) აფართოებს ლიტერატურის მოყვარულთა წრეს; ერთმანეთთან რომ იქრიბებოდნენ სასაუბროდ.

„მშერლობის სიყვარული პოეტს ცხოვრებაშიაც გამოაყენა. სკოლის ამხანაგების მაგიერობას აქ უშევდნენ ის რამოდენიმე მშერლობის მოყვარე პირნი, რომელიც ხვდებოდნენ სხვა და სხვა დროს. ესენი იყვნენ: ავთან-დილოვი, დიმიტრი ყიფიანი, მიხეილ თუმანაშვილი, გიორგი ერისთავი, ლევან მელიქიშვილი, პლატონ იოსელიანი, ალექსანდრე ორბელიანი, ზაქარია ორბელიანი, სოლომონ მაღალაშვილი, საპიორის ოფიცერი მატინოვი, საპიორის ოფიცერი ჭავჭავაძე, კონსტანტინე მამაცაშვილი, ზაქარია ერის-თავი, იასე ანდრონიკაშვილი, ივანე სარაჯიშვილი, ზოგიერთი ქართული მშერლობის მოყვარე პოლონელი, როგორიც იყო ზაბლოცვე, სვიმონ მაჩა-ბელი, ლუკა ისარლიშვილი და სხვ. და სხვ. ესენი არ შეადგენდნენ ერთ მშიდრო წრეს, არ წარმოადგენდნენ ერთს განსაზღვრულს სამშერლო იდე-ას, მაგრამ ამათში ქართული მშერლობის სიყვარული დიდი იყო და უურნალის გამოცემის აზრი ფეხს. იკიდებდა“.

პროფ. ა. ხახანაშვილი თავის „ქართული სიტყვიერების ისტორიის ნარკვევებში“ (გვ. 85, რუს. გამოც.) აღნიშნავს, რომ ვორონცოვის პოლიტიკაშ საქართველოს კულტურის სფეროში „ისე აღათროთოვანა აღგილობრივი ინტელიგენციის განწყობილება, რომ მარტო თეატრზე დაჯერება პირდაპირ შეუძლებელი საქმე იყო. ცხოვრება აყენებდა მთელ რიგ მოთხოვნათ, რომელთა დაკმაყოფილებაც აუცილებელი იყო. ერთერთი ამ მოთხოვნათაგანი იყო სურვილი — ჰქონიდათ საკუთარი ორგანო, საკუთარი ლიტერატურა... ახალი უურნალი „ცისკარი“ გამოვიდა საქვეყნოდ მეტად ხელსაყრელ პირობებში“.

მიხ. თუმანიშვილმა მიიღო უურნალში მონაწილეობა მისი არ-სებობის პირველ დღიდანვე, მაგრამ მისი მონაწილეობა პირველში იყო მორიალური დახმარება: იგი პროპაგანდას უწევდა უურნალს, აგროვებდა მასალას და სხვ. მხოლოდ უფრო გვიან, ორმოცდაათიანი წლების ბოლოს, უკვე კერძესელიდის დროს, მიხ. თუმანიშვილი გველინება ქურნალის ფურცლებზე პოეტისა (უურნალში დაბეჭდილია პირველი მისი ლექსები) და პუბლიცისტის სახით.

საყოველთაოდ გავრცელებული წარმოდგენა მიხ. თუმანიშვილზე, როგორც ნიკ. ბარათაშვილისა და გრ. ორბელიანის მიმდევარზე, წარ-მოიქმნა XIX საუკ. ლიტერატურულ წრეებში, აღბათ, ამ სამი პოეტის პირადი მეგობრობისა და მიხ. თუმანიშვილის ლექსების ნაკლებად გავრცელებას გამო. მიხ. თუმანიშვილის ნაწარმოები დიდხანს დარჩნენ დაუბეჭდავნი, ვრცელდებოდნენ გადაწერილი ას-ლების სახით და იცოდა მხოლოდ მკითხველთა ვიწრო წრემ (გიორგი

თუმანიშვილი თავის გამოუქვეყნებულ ავტობიოგრაფიაში აღნიშნავს, რომ მისი მამა, მიხეილ თუმანიშვილი, არა ბეჭდავდა თავის სიცოცხლის დროს ლექსებს, რაღანაც დიდ მნიშვნელობას არ აკუთვნებდა მათ. ამიტომ მის სიცოცხლეში „ცისკარმა“ დაბეჭდა მხოლოდ 2-3 ლექსი).

პროფ. ა. ხახანაშვილი თავის „ქართული სიტყვიერების ისტორიის ნარკვევებში“ (IV ტომი, რუს. გამოც. 1907 წ., გვ. 116—118) იმეორებს მიხ. თუმანიშვილზე ჩვეულებრივს, საყოველთაოდ ცნობილ თვალსაზრისს: „მის [მიხ. თუმანიშვილის] საკუთარ ნაწარმოებებს, რომლებიც ანარეკლია ბარათაშვილის და ორბელიანის გავლენისა, აზის მელანქოლიის ბეჭედი“. ცალკეულ სტატიაში მიხ. თუმანიშვილზე (უშრნ. „განათლება“, 1911 წ. № 2) იგივე პროფ. ხახანაშვილი ცოტათი გზას უხვევს წინად გამოთქმულ აზრს და ახასიათებს მიხ. თუმანიშვილს, როგორც ნიჭიერ წარმომადგენელს გარდამავალი ეპოქისას ალექსანდრე ჭავჭავაძიდან (ქართველთა პუშკინი) ნიკ. ბარათაშვილამდე (ქართველთა ლერმონტოვი). მაგრამ აქაც ჩანს. იოლად გავრცელებული წარმოდგენის ანასახი. 80-იანი წლების ქართულ პრესაში გაისმა ამ წარმოდგენის უარმყოფი ხმები. ილა ჭავჭავაძის ურნალმა „ივერიამ“ უძლენა მიხ. თუმანიშვილის ნაწარმოებებს კრიტიკული სტატია (1881 წ. № 7):

„...ნიკ. ბარათაშვილის ერთი ამ მხარის მიმცემთაგანი და „მხარის დამშვენებელი“ ყოფილა თავ. მიხეილ თუმანიშვილიც. ამას უწერია თავისი ლექსები ნიკ. ბარათაშვილის დროს და ბევრად უფრო ადრეც“. —ვკითხულობთ ამ სტატიაში — „...ჩვენს ლიტერატურაში ბევრს ნიკ. ბარათაშვილი მარტოშ-მარტო ჰგონია, ბევრს ჰგონია, რომ ეს პოეტი რაღაც უცნაური მოვლენაა და რაც იმის ლექსებში გრძნობა და აზრია გამოთქმული, საქართველოს ნიადაგზე არ არის აღმოცენებულიო. ვიც ამას ამბობს, წაიკითხოს გრიგოლ ორბელიანის, მიხ. თუმანიშვილის; გახტანგ ორბელიანის ლექსები და ამ ყოვლად შემცდარ აზრს ალარ იტყვის. არა, მეოცდაათე და მეორმოცვე წლებში რაღაც აწუხებდა ჩვენს საზოგადოებას, გული რაღასაც ეშნებოდა, რაც ჩენონგის ჯერედ უცნობია სხვადასხვა გარემოების გამო, რაც ბინდ-ბუნდად არის გამოთქმული ნიკ. ბარათაშვილის ლექსებში და რასაც მხოლოდ მაშინ გამოვარკვევთ და შევიტყობთ, როდესაც ყოველსავალის-შესანიშნავ, რაც კი დაწერილა მაშინ, ან თქმულა, დავიწყების სუდარა გადაეშლება და დაუბრკოლევ შეგვეძლება ამოკითხვა და გაგონება.

ერთი ამ დოკუმენტთაგანი არის თ. მიხ. თუმანიშვილის თხზულებათა კრება. თუმცა ამ ავტორს ბევრი არ უწერია, მაგრამ ამის თხზულებებში თითქმის იგივე აზრი და გრძნობაა გამოთქმული, რაც ბარათაშვილის ლექსებში და შესანიშნავი ეს არის, რომ მიხ. თუმანიშვილი, თუ ლექსის ქვეშ-მოწერილი წელთა რიცხვი არ გვატყუბს, მონებრივი მიმბაძავი არ არის, იმას თითქმის წინდაწინვე აქვს გამოთქმული იგი, რაც ბარათაშვილს თავის საუკეთესო ლექსების წერის დროს უგრძენია.

წაიკითხეთ მაგალითად ეს ადგილი მიხ. თუმანიშვილის საუკეთესო ლექსისა „სალამური“:

ჰყოფ დრო... მაგრამ ჰე მაცთურია ამაოებავ,
რად დამილეწე იქროვანი ხატი აცნების?
რად დამდე ჯაჭვი დამონების? რად მიმიზიდავ
აღელვებაში ამა სოფლიშ დაუდგრომელის,
სადაც გრილდება მგოსანისა მხურვალე გული,
სადაც ჸსჭირებიან უწმინდესნი სულის გრძნობანი;
სად სალამური მექმნა უდერით დაყრუებული
და უპასუხოდ განიფანტნენ ტკბილნი შტვენანი».

წაიკითხეთ ეს ადგილი და შეადარეთ „სულო ბოროტოს“, რომელიც ყოველმა ჩვენგანმა ზეპირად იცის და მაშინვე მიხვდებით, რომ ორთავეს რაღაც იმდები უღვიოდათ გულში, რაღაც რწმენა ჰქონდათ, მაგრამ „დაუდგრომელმა სოფელმა“ გაუცრუა ყოველი იმედი, მოუკლა რწმენა და დასტოვა უნუგეშოდ, „უსაგროდ“.

ნუ დაივიწყებთ, რომ „სალამური“ დაწერილია 1838 წელს და „სულო ბოროტო“—1843 წ., თუმცა ნ. ბარათაშვილს უფრო ადრე ჰქონდა დაწერილი „მთაწმინდაზე შემოლამება“ (1836 წ.), „ფიქრი მტკვრის პირზედ“ (1837 წ.), რომელებშიაც იჩივე მწუხარება და წუთისოფლის სამდურავია გამოხატული, როგორც „სულო ბოროტო“-ში.

ამასთან ერთად, ამ სტატიის ავტორი (როგორც გამოიჩვა—ივ. მაჩაბელი) იმ აზრს გამოსთქვამს, რომ, თავისი პოეზიის ზოგიერთ მოტივის მიხედვით, მიხ. თუმანიშვილი უფრო უახლოვდება ალექსანდრე ჭავჭავაძეს, რომელიც მასზე აღრე სწერდა.

უნდა აღინიშნოს, რომ მიხ. თუმანიშვილის მიერ შედგენილ და გადაწერილ ანთოლოგიებში არის აგრეთვე ალექსანდრე ჭავჭავაძის ბევრი ლექსიც, მაგრამ ამ ლექსების რიცხვი გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებისა.

გიორგი თუმანიშვილი, უპასუხებს რა პროფ. ა. ხახანაშვილს მიხ. თუმანიშვილის შეფასების გამო („დახასიათებანი და მოგონებანი,“— „Характеристики и вспоминания“—გამოც. მე-2, წიგნი I, გვ. 100), თავისი მხრით აღნიშნავს, რომ „ბარათაშვილისა და ორბელიანის ნაწარმოებთა მეტი ნაწილი და ისიც საუკეთესო, გავრცელდა 1838 წლის შემდეგ, როდესაც მიხ. თუმანიშვილი თავის ლექსებს უკვე სწერდა. ამიტომ, უფრო სწორე იქნებოდა ითქვას, რომ წარსული საუკუნის 30-ანი წლების ქართველი პოეტები, ყველანი, ისე, როგორც პუშკინი და ლერმონტოვი, იყვნენ ბაირონისა და მიცკევიჩის პოეზიის მხიბლავი გავლენის ქვეშ, რომელთა კულტსაც ძლიერად ავრცელებდნენ საქართველოში გადმოსახლებული პოლონელები (1830 წლის აჯანყების შემდეგ)“.

ჩვენს თანადროულ კრიტიკაში შალვა რადიანი („ლიტერატურული მემკვიდრეობა“, თბილისი, 1936 წ.), ჩერდება რა მიხ. თუმანიშვილის ლექსზე „სალამური“ (გვ. 111), იმ აზრს გამოსთქვამს, რომ „იდეის, განწყობილების მხრივ უსათუოდ ერთგვარობა; მახლობლობა ირსე-

პომს 6. ბარათაშვილის „სულო ბოროტებუსა“ და მიხ. თუმანიშვილის „სალამურს“ შორის. პირველი ლექსი დაწერილია 1843 წ., ხოლო მეორე—1838 წ. მოტივების ასეთი ერთ-გვარობა არც არის გასაკვირი. ერთ და იმავე კლასის და მსოფლმხედველობის მატარებელ პოეტებს შეეძლოთ ბუნებრივად ასეთი შეხვედრა“.

ევროპულ ლიტერატურას მიხ. თუმანიშვილი ეცნობოდა ნაწილობრივ უშუალოდ პირველი წყაროებით, ხოლო უმთავრესად რუსული პოეზიის მეშვეობით. მიხ. თუმანიშვილის მიერ შედგენილი და საკუთარი ხელით გადაწერილი ანთოლოგიები შეიცავენ სხვადასხვაგვარი ავტორების—ევროპელთა და რუსთა—აუარებელ ლექსებს. აქ არიან: პუშკინი, ლერმონტოვი, ბაირონი, ვიაზმესკი, ღირის დავილოვი, რდონესკი, შეგირიოვი, იაზიკოვი, შექსპირი, უუკოვსკი, პოლევაევი, მაიკოვი, პოლონსკი, სოლლოგუბი, უვით ბულგარინიც და გრეჩიც კი.

ბაირონმა, რომელიც დაეუფლა არა მარტო თავისი თაობისა, არამედ აგრეთვე ოცდაათიანი წლების ახალგაზრდობის ფიქრთა და ზრახვათ, უდიდესი გავლენა იქნია თბილისის გიმნაზიის წრეზე და განსაკუთრებით კი ნიკ. ბარათაშვილზე. ეს გავლენა არ ასცდა მიხ. თუმანიშვილსაც, რომლის შემოქმედებაშიაც, კერძოდ პირველი პერიოდისა, აშკარად ჩანს ბაირონიშმის მოტივების ანარეკლი. ერთერთ შის საუკეთესო ლექსს „უდაბნოს“, რუსულად ორჯერ თარგმნილს, ქვესათურად პირვანდელ ტექსტში აქვს: „მიბაძეა ბაირონისადმი“. ¹³¹ სევდიანობა, მარტონობის გრძნობა და განწირულების შეგრძნობა, რაც თვისებაა მიხ. თუმანიშვილის ბევრი ლექსისა, და პირველ ყოვლისა „უდაბნოსი“ და „სალამურისა“, დამახასიათებელია ეპოქისა (დაწერილია 1837—1838 წლებში) და მიხ. თუმანიშვილის იმ პერიოდის პირადი განცდებისა.

„ვის არ გინახავთ უდაბნო ბნელი,
სად თვალი მზისა შუქსა ვერ სჭერეტენ,
სად ვერანადა მოსჩანს ყოველი
და ქარიშხალი ხმიანობს ოდენ?
ვის არ გინილავთ იქა ხე, მწარედ
გულჩამოშვარი ციურის ცეცხლით
და მაღალს კლდეზედ მარტოდ, მწუბარედ
გარდმოკიდული დამჭკნარ შტოებით!
ეს არს, მოყვასნო, გლახ ჩემი ბეჭი!
მეც ეგრეთ ვიქენ დღეგანამჭარი:
ვერდა მეახლოს ტკბილი იმედი,
ვერდა აყვავდეს მით გული მჭკნარი!“

ხოლო შაშქ, როდესაც ლერმონტოვი უფრო პხლო იყო მიხ. თუმანიშვილის თანამედროვე ნიკ. ბარათაშვილზე, თუმანიშვილის მუზანიციდიდა პუშკინის შემოქმედების ძლიერ ზემოქმედებას. წარსული

საუკუნის არც ერთი ქართველი პოეტი ისე მჰიდროდ არ მიჰყარებია პუშკინს, არც ერთ პოეტს — ასე ვთქვათ — ისე ინტიმურად არ აუგისებია პუშკინი, როგორც თუმანიშვილს. პუშკინს ბევრი თარგმნიდა, ბევრი ეწაფებოდა მის ლირიკას თაგის სააღმაფრენოდ, მაგრამ არც ერთი მთარგმნელისათვის იგი ის არ იყო, რაც მიხ. თუმანიშვილისათვის: პოეტი — უაღრესი და ახლობელი. დიდი რუსი პოეტის შემოქმედება მისი ქართველი მთარგმნელის თვალში სულდგმულობდა ქართული პოეზის არა იმ მხარეს, არამედ ამ მხარეს, და ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ თუმანიშვილის თარგმნებს კრიტიკა ზუსტ თარგმნებად სთვლიდა. პროფ. ხახანაშვილი თავის „ნარკვევებში“ (IV ტ.) ამბობს, რომ „მიხეილ ბირთველისძის ლექსი განსხვავდება არაჩეულებრივი სიმსუბუქით და ხმოვანებით. მისი თარგმნები ძალიან ახლოა დედანზე“.

ის დიდი აღგილი, რომელიც პუშკინს მიხ. თუმანიშვილის მემკვიდრეობაში უჭირავს, გვიჩვენებს ახალი რუსული პოეზიის შემქმნელის, ახლობლობასა და გავლენას ქართველ პოეტზე. პუშკინის შუქმდენი გენია მთლად დაეუფლა ახალგაზრდა თუმანიშვილის აზრებს და გრძნობებს ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც იგი თბილისის გიმბაზის უცკრისი კლასების მოწაფე იყო. პუშკინის სახელის დიდება გავარდა საქართველოში კარგა ხნით ადრე მის აქ ჩამოსვლამდე. არის ცნობები, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძე, პეტერბურგში აღზრდილი და შემდეგ ძველ ნამსახური სწორედ იმ დროს, როდესაც მომავალი რუსი პოეტი ლიცეის ამთავრებდა, იცნობდა მას პირადად. ყოველ შემთხვევაში, ალექსანდრე ჭავჭავაძე ისე დაბრუნდა საქართველოში, რომ პუშკინის პოეზიის შთაბეჭდილება მედგრად იყო მასში გამჯდარი. თავადაზნაურული ინტელიგენციის არც სხვა წარმომადგენლებისათვის იყო ბუშკინის სახელი უცხო. ხოლო მისმა გამოჩენამ თბილისში ცრთბაში აღძრა, ინტერესი მისდამი. მაშინ მიხ. თუმანიშვილი თერთმეტის წლისა ძლიერ იქნებოდა. იგი ვერ შეხვდებოდა რუს პოეტს; ფრიად შესაძლებელია, რომ არც ქუჩაში უნახავს იგი. მაგრამ ის ენთუზიაზმი, რომელიც აინთო მაშინდელი თბილისური თავადაზნაურული მცირე ინტელიგენციის გულში, პუშკინის ჩამოსვლისას. გადაედო მოსწავლე ახალგაზრდობასაც. თავისუფლების მოყვარულისა და საყოველთაოდ ლიტერატურულ ავტორიტეტად აღიარებული პუშკინის სახელი — მჭიდროდ ეხლართება იმ ინტერესის ყოველგვარ გამოვლინებას, რაც მაშინ ახალი ლიტერატურისადმი მულავნდებოდა. თბილისის გიმნაზიის წრის, დისკუსიებში პუშკინს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. 1833—1834 წლების ანთოლოგიურ კრებულში, რომელიც უკვე ზეგით მოვიხსენიეთ, მოთავსებული იყო ვრცელი ნაწყვეტები „კავკავლენიკ“. “დან, რაც მიხ. თუმანიშვილის პირველი ცნობილი. მოდიდო

თარგმანია. თუ „კავკავ. პლენიკ.“ — ის ავტორი ჯერ კიდევ მოუმწიფებელი იყო (მან იგი 22 წლისამ დასწერა), რაღა თქმა უნდა, უფრო მეტად მოუმწიფებელი იყო წლოვანებით მისი მთარგმნელი, რომელმაც ძლიერ მიაღწია მაშინ 14-15 წელს. მაგრამ თვით აღრეულა თარგმანშიაც უკვე მოჩანს ის ნიშნები, რაც ახასიათებს ქართველი პოეტის შემდგომ შემოქმედებას: სახეების თარგმნის სიზუსტე და ლექსის ხმოვანება.

პუშკინის სახელს „ნაკლებად ვხვდებით „ყვავილში“ — და ეს გასა-გებიცაა, რამდენადაც უურნალი გამოდიოდა რუსულ ენაზე; მაშასა-სადამე, თარგმნების განყოფილება მასში არ არსებობდა, ხოლო ორი-გინალური იბეჭდებოდა მარტო ის, რაც თანამშრომელთა კალამს ეკუთვნოდა. მაგრამ საკმარისია თუნდაც გაკვრით გადავლოთ თვალი „ყვავილში“ მოთავსებულ ლექსთა და ნარკევთო ნაწილსაც კი, რათა დაინახოთ, რომ რუსი პოეტის სახე უჩინრად გამოსჭვივის გიმნაზი-ური უურნალის ფურცლებში. პუშკინის ბედნიერი კალმის მიხედვით, კავკასიის ბუნება ერთი უსაყვარლესი თემათაგანია ოცდაათიანი და ორმოციანი წლების ქართული პოეზიისა, და თბილისის გიმნაზიის „ყვავილმაც“ საკმაოდ უკმია გუნდრუკი ამ საერთო გატაცებას. მიხ-თუმანიშვილის ლექსს „ქავკაზ“-ს („ყვავილის“ მე-2 №-ი) თავის სა-ფუძვლად აქვს იგივე სახეები, რაც პუშკინის „ქავკაზ“-სვე, ხოლო უფრო მეტად დეტალიზებულ ასპექტში. იმ პერიოდის მთელ რიგ ლექსებში მიხ. თუმანიშვილი კვლავ და კვლავ მიმართავს. პუშკინის მოტივებს და უახლოვდება მათ არა მარტო შინაარსით, არამედ აგ-რეთვე რიტმითაც. შისი „ელეგია“ 1835 წლისა („ყვავილის“ მე-3 №-ი) არეკლავს აშკარად პუშკინის სულიერ განწყობილებას, რაც მას გა-მოთქმული აქვს ლექსში: „Брошу-ли я вдоль улиц шумных“. „ელეგია“, უეჭველია, უკუთფნის მიხ. თუმანიშვილის მიერ რუსულად დაწერილი საუკეთესო ლექსების რიცხვს.

პუშკინისა და ნაწილობრივ ლერმონტოვის მხატვრულ სახეთა ანა-სახი გამოსჭვივის მიხ. თუმანიშვილის აღრეულა პროზაშიც.

ლიტერატურული შეხვედრანი მანანა ორბელიანის სახლსა და წი-ნანდალში ხელს უწყობდნენ სიყვარულს რუსი პოეტისადმი. ჩვენ დროს გამოთქმულ მოსაზრებათა მიხედვით, პუშკინი, საქართველოში ყოფ-ნისას, ალბათ, ხვდებოდათ მანანა ორბელიანისას. რამდენად მართა-ლია ეს — ძნელი სათქმელია: უდაოა მხოლოდ ის, რომ მანანას სას-ტუმრო დარბაზში პუშკინის სახელი, რომელმაც თავის ნაწარმოებებ-ში თანაგრძნობა და სიმპათია გამოსთქვა საქართველოს. მიმართ, მოსილი იყო განსაკუთრებული შარავანდედით. უნდა გვახსოვდეს, რომ თვით ამ ლიტერატურული წრის შთამგონებელმა — მანანამ — განიზრახა „რუსლან ი ლიულმილა“-ს თარგმა. 1835 წლის გაზაფხულს, როდე-საც იგი ჭავჭავაძიანთ მამულ წინანდალში იყო, აქ ორ კვირას სტუმ-



ნიკოლოზ ბარათაშვილი
(ფანქ. ნახატი მიხ. თუმანიშვილისა)

რად იმყოფებოდა ა. ს. პუშკინის ძმა ლევ სერგეის-ძე პუშკინი. „არზ-რუმში გამგზავრება“ იმ დროს უკვე ნაწილობრივ გამოქვეყნებული იყო და ამან უფრო დიდი ყურადღება გამოიწვია პოეტისადმი. შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ, რომ პუშკინის შემოქმედებისადმი ამ ცოცხალი ინტერესის ატმოსფეროში არც ერთი ლიტერატურული კრება მანანას-თან, რომლებშიაც მიხ. თუმანიშვილიც იღებდა მონაწილეობას, ისე არ ჩაივლიდა, რომ რუსი პოეტი არ გაეხსენებინათ.

მიხ. თუმანიშვილის საუკეთესო ლექსები იმ დროისაა, როდესაც იგი მთლად მიეცა პუშკინის შემოქმედების შესწავლას — 1837 და 1838 წლებისა. თავისი მუშაობის ამ პერიოდში მან დაამთავრა რუსი პოეტის ცალკეული ლექსებისა და პოემების თარგმნების ციკლი: „Адель“, „К * *“ („Я помню чудное мгновенье“), „Буря мглою небо кроет“ („Зимний вечер“), „Пророк“ და „Черная шаль“ ის მიბაძვა. ეს მიბაძვა („Мужество“-ს სათაურით) გამოუქვეყნებელი დარჩა. იგი ახლოა დედანზე შინაარსითაც და ლექსის ფორმითაც, რომლის რიტ-მიც დაცულია ქართულ ტექსტში (თერთმეტმარცვლოვანი ლექსი). მიხ. თუმანიშვილის მიერ პუშკინის ტექსტში შეტანილ ცვლილებათ ადგილობრივი პირობებისათვის შეთარდების ხასიათი აქვთ: ბერძნის ქალის ნაცვლად გამოყვანილია სომხის ქალი, სომხის ნაცვლად — „ფრანგი“ და დუნაის ტალღები მტკვრის ტალღებს უთმობს ადგილს.

„ბალჩისარაის შადრევანი“ პირველი სრული გადმოცემაა ქართულად პუშკინის ერთერთი დიდი პოემისა. ლექსთა თარგმნები დაბეჭდილია ნაწილობრივ რჩეულ ლექსთა კრებულში, ნაწილობრივ „ალმანხში“ და გაზ. „თემში“. ყველა თარგმნიდან მხოლოდ „ლამის სტუმარი“ („Каменный гость“) ეკუთვნის უფრო მოგვიანო, მიხ. თუმანიშვილის სრული მოწიფულობის პერიოდს. ქალალდებში შენახული თარგმანის შავს თარიღი არა აქვს, მაგრამ იმ შენიშვნების მიხედვით, რაც მესამე და მეოთხე სცენების შემცველი რვეულის პირველ გვერდზეა, თარგმანი უნდა ეკუთვნოდეს არა უგვიანეს, ვიდრე ორმოცდა-ათიან-სამოციან წლებს.

„ბალჩისარაის შადრევანი“ ქართულად ორ რედაქციად შენახულა: ადრინდელი — ხელნაწერია, შერმინდელი, საბოლოო — ნაბეჭდი. ეს რედაქციები გვიჩვენებენ მთარგმნელის დიდ მუშაობას. პუშკინის პოემა მიხ. თუმანიშვილს 1830 წლის გამოცემიდან უთარგმნია, როგორც ეს ჩანს მისი ხელნაწერიდან, რომელიც ახლა საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაშია (№ 2682, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდი).¹³² შემდეგში თარგმანს დიდი გაშალაშინება ჰქვედრია. მთარგმნელს უსწორებია ცალკეული ადგილები, დაუზუსტებია გამოთქმები და სიტყვები, გაუუმჯობესებია ლექ-

სი. განსხვავება თარგმანის პირვანდულ რედაქტირასა და იმ ტექსტს შორის, რომელიც დ.იბე კდა მის. თუმანიშვილის რჩეულ ლექსთა კრებულში, აღნიშნა ლევან ასათიანმა თავის სტატიაში მის. თუმანიშვილზე. ეს განსხვავება გვიჩვენებს, რომ მთარგმნელს არ შეუწყვეტია მუშაობა საყვარელი ავტორის გადმოსაცემად შეძღვომშიაც — მოწიფულობის ასაკში.

იმის ცდას, რომ მთარგმნელი დედანს არ დაშორებოდა, ამჟღავნებს პუშკინის ტექსტის ამნაწერები ნათარგმნის გვერდით, ალბათ, იმისათვის, რათა დედანი მუდამ თვალწინ ჰქონიდა. მის. თუმანიშვილის ხელით გადაწერილ თავის ლექსთა კრებულში, რომელიც ამ უამად ქართველ მწერალთა მუზეუმშია, ლექსის „ღამე“-ს („Буряя мглою небо кроет“) გასწვრივ გაღაწერილია რუსული ტექსტიც; „Е ** “+ის („Я помню чудное мгновенье“) თარგმანის გასწვრივ აგრეთვე გადაწერილია რუსული ტექსტი ლექსისა, დაწყებული სიტყვებიდან: „В глупши, во мраке заточеныя, тянулись тихо дни мои“.

საკმარისია, სულ მცირედ დაშორდეს რუსულ ტექსტს, რომ მის. თუმანიშვილი იქვე აღნიშნავს ამას. „მუჯასამის“ გარდა, ლექს „მაჭ-მადი“ („Пророк“) აქვს ქედესათაური „პუშკინიდან გადმოკეთებული“, ხოლო „Буря мглою“-ს — „მიბაძვა პუშკინისადმი“.

პუშკინის დრამატიული სცენები („Каменный гость“) უღვიძებდნენ მის. თუმანიშვილს ლიტერატურულ გეგმებს. უკვე აღნიშნული გვკონდა, რომ III და IV სცენების შავი ხელნაწერი თავფურცელი შეიცავს ასეთი გეგმების ანასახს დასამუშავებლად განხზრახული: თემების სახით.

შალვა რადიანი მის. თუმანიშვილის პირზიაში ხედავს ფეოდალურარისტოკრატიული დეკადანისის გამოხატულებას და აკუთვნებს პოეტს რომანტიკოსების ჯგუფს. მის. თუმანიშვილი (რადიანის იგივე წიგნი, გვ. 108—115):

„ტავისი პლეადის პოეტებიდან „შმინდა პოეზიის“ ყველაზე თანამიმდევრი წარმომადგენელია. მისი ლექსების შინაარსი მეტად განსაზღვრულია. მასში მოისმის თავად-აზნაურული ლირიკის დამახასიათებელი მრტივები. თავის პოეზიის ხასიათით მის. თუმანიშვილი უახლოვდება ნ. ბარათაშვილს. იგი უმთავრესად ზოგად ფილოსოფიურ პრობლემებითა დაინტერესებული. მას თითქმის წინდაწინვე აქვს გამოთქმული იგივე ადეები და განწყობილებები, რაც უფრო ძალუმად მოგვცა თავის პოეზიაში ნ. ბარათაშვილმა. რომანტიკოს პოეტების შემოქმედება უწყვეტად დაკავშირებულია თავის წრესთან, კლასთან და ეპოქასთან. მათი შემოქმედება აღმოცენდა გარდებულ საციილურ ნიადაგზე. ალ. ჭავჭავაძის, ნიკ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანის, მის. თუმანიშვილის და სხვა რომანტიკოსთა პოეზიის სოციალური სათავეები უძდა ვეძიოთ იმ კრიზისში, რომელსაც განიცდიდა ქართველი ფეოდალური არისტოკრატია მე-19 საუკუნის პირ-

ველ ნახევარში. ჰქარგავდა რა ეს წოდება პოლიტიკურ-ეკონომიკურ მნიშვნელობას, იგი გადადიოდა რომანტიულ განცდებში. მიხ. თუმანიშვილს ცოტა აქვს დაწერილი ლექსები. ცველა ეს ლექსი სალირიკო ხასიათისაა. შათი ძირითადი მოტივია: ერთის მხრივ—მარტობის გრძნობა, სევდა-მწუხარება, მელანქოლია, ხოლო მეორეს მხრივ—წყურვილი სიცოცლით დატკბობისა და სიყვარული...

მიხ. თუმანიშვილს თავის ლექსებში მოცემული აქვს ბუნების კულტი. მსგავსად სხვა რომანტიკოს პოეტებისა, ბუნება მას შემოქმედებაში არის არა მარტო ფანი, არა მარტო მატერიალური საგნობრივი სამყარო, არა-მედ ინტიმური, სულიერ განცდათა გამზიარებელი ობიექტი, I' état d'mme. ...მიხ. თუმანიშვილისათვის ბუნება დამშვიდების წყაროდ იყო გამზღარი. ბუნება არ იყო მისთვის მკვდარი რამ. იგი ბუნებაში, ყოველ მის სახეში გრძნობდა თავისებურ ცხოვრებას... მიხ. თუმანიშვილს უყვარს. არა მარტო საერთოდ ბუნება, არამედ ყოველი მისი კონკრეტული სახე. იგი მთელს ჰიმნს უძღვნის ტირიფს, ესაუბრება მას. ტირიფი მისთვის გასულიერებულია, რომელთანაც თითქოს პოეტს საერთო სასაუბრო ენაც კი გამოუნახავს. მისთვის ტირიფი უდიდეს მოვლენათა სიმბოლოდ არის გამზღარი. ტირიფში იგი ხედავს თავის „სულის“, თავისი განწყობილების თანამოაზიარეს, რომელსაც შეიძლება ადამიანმა ყველაფერი გაანდოს!

...მიხ. თუმანიშვილი თავის პოეზიაში სიყვარულს დიდ ადგილს. უთმობს. ამ მოტივის გაგებაშიაც იგი სტული რომანტიკოსია...

...მიხ. თუმანიშვილისათვისაც სიყვარული არ არის უბრალო გრძნობის აღელვება. მისი გაგებითაც სიყვარული ეს არის არსებობის საიდუმლოების შეცნობის გზა... სატრაფიალო სამიჯნურო ხასიათის ლექსებია აგრეთვე „მწუხარე სატრაფოს“ და „ერთი ვარსკვლავი“. მათში პოეტი სიყვარულს გვიჩატავს ისეთ ძალათ, რომელსაც შეუძლია ადამიანს დაუბრუნოს სიცოცლის წყურვილი“.

აზრთა სხვადასხვაობა მიხ. თუმანიშვილის შემოქმედების ხასიათზე ადასტურებს მხოლოდ იმას, რომ ამ პოეტის ნაწარმოებნი ვერა ლაგდებიან განსაზღვრული კლასიფიკაციების ჩარჩოებში: მიხ. თუმანიშვილს აქვს საკუთარი ადგილი და ეს ადგილი უნდა მოიძებნოს სადღაც იქ, სადაც ზღვარია ალექსანდრე ჭავჭავაძესა და ნიკ. ბარათაშვილს შორის. მართლაც და... სულიერ სიმხნევეს, რაც დამახასიათებელია ოცდაათიანი წლების დასასრულის ზოგიერთი ლექსისა, სცვლის ხოლმე სევდა, რაც აგრეთვე დამახასიათებელია მისი თაობისა—საერთოდ და ნიკ, ბარათაშვილისა—კერძოდ. მას აახლოებს ალექსანდრე ჭავჭავაძესთან ეპიკურული მოტივები („ლხინი“, „ფიალა“) და ბარათაშვილთან—პესიმისტური („უდაბნო“, „სალამური“).

არის კიდევ მიხ. თუმანიშვილის შემოქმედებაში თვისება, რომელიც ანათესავებს მას, ხოლო სხვა მხრით, ერთსაღამიავე დროს ჭავჭავაძესთან და ბარათაშვილთან, განსაკუთრებით, უკანასკნელთან: მიხ. თუმანიშვილი ეკუთვნოდა იმ თაობას, რომელმაც თითქმის გასწყვიტა მჭიდრო კავშირი ირანულ ლირიკასთან და რომელიც ეძიებდა შემოქმედების ახალ ფორმებს. წინააღმდეგ თავის წინამორბედთა

და მონათესავეთა — დიმიტრი და გიორგი თუმანიშვილებისა, რომელ-ნიც საესებით ირანულ ლირიკის ტყვეობაში იყვნენ, — მის. თუმანი-შვილშა მთლად პირი იქცია ევროპული. ლიტერატურისაკენ ლექსის ფორმითაც და შინაარსითაც (მისი მოღვაწეობის ამ მხარეს აღნიშ-ნავს პროფ. ხახანაშვილიც — „განათლება“, 1911 წ., № 2). ბაირონი, პუშკინი, ლერმონტოვი, უკავკავი წარმართავენ მას დასავლეთისაკენ. 1851 წელს თავის ნაშრომში ქართული თეატრის შესახებ იგი აშკა-რად ასახელებს იმ გზას, რომლითაც უნდა ვიდოდეს ქართული ხე-ლოვნება და განსაზღვრავს ამ გზის ევროპულ ხასიათს. უფრო გვიან, 1871 წელს, იგი ხელზე იხვევს გრიგოლ ორბელიანის იუბილეს. და უფრო ზედმიწევნით ძალიბებს თავის პოზიციას, ხედავს რა ორ-ბელიანის უდიდეს დამსახურებას სწორედ იმაში, რომ მან პირველმა, ალექსანდრე ჭავჭავაძესთან ერთად, მომართა თავისი ქნარი ევროპულ ყაიდაზე და ამცნო თავის სამშობლოს, რომ არსებობენ სხვა ულერანი, უფრო მწყობრნი და წმინდანი, სხვა გრძნობანი და სიტკბოებანი, უფრო მაღალნი და გონიერნი.

მის. თუმანიშვილის პოეტური მემკვიდრეობის შეფასება მხატვრული თვალსაზრისით აგრეთვე ერთნაირია. არ იყო: მისი პირველი სე-რიოზული კრიტიკოსი ივ. მაჩაბელი („ივერიიდან“ მოყვანილი ნარ-კვევი) მიუთითებს მკითხველს „ბალჩისარაის შადრევანზე“ და თვით-მკითხველზე აგდებს — გაერკევს ლექსის ლირსებასა და ნაკლოვანებაში:

„მის. თუმანიშვილის ლექსის ძლიერებაზედ წილი სიმშვენიერებები აჭ-ლაპარაკი მეტი ჩენება. „ივერიის“ მკითხველებს წაეკითხებათ მისი თარგ-მაზი „ბალჩისარაის შადრევანისა“ და ამ ნიმუშითაც კარგად გაიცნობენ ამ მწყერალის ლექსთა-წყობას.“

პროფ. ხახანაშვილს (ზემოაღნიშნული „ნარკვევები“) მიაჩნია, რომ მის. თუმანიშვილის ლექსი განსხვავდება არაჩევულებრივი სიმსუბუ-ქით და ხმოვანებით, რომ მისი თარგმნები ძალიან ახლოა დედანზე. თავის დროზედ კარგად ცნობილი მწერალი და პედაგოგი იაკობ გო-გებაშვილი, გამოსთვამს რა 1879 წელს „Тибли. Вестник“-ში აზრს გიორგი თუმანიშვილის რედაქტირით ახლად გამოსულ ლიტერატურულ „აღმანაბზე“, სწერს: „კომედიის შემდევ ვკოთხულობთ სამს საუცხოო ლექსს, რომლებიც დაწერილია ოცდაათიან წლებში [ლაპარაკია ლექ-სებზე. „უდაბნო“, „სალამური და „კ-სადმი“ („პუშკინიდან“)]. პირველ ორს აზის ბეჭედი უშუალო ბაირონისებური სასოწარკვეთილებისა; რაც მაშინდელ დროს ახასიათებს; ეს ლექსები შესანიშნავია გრძნობის ძლიერებით და პოეტური მხატვრულობით; ხოლო უკანასკნელი, რაც პუშკინის მიბაძეს შეაღგენს, გვანცვიფრებს იშვიათი მუსიკალობით. და ლექსის წყობით“.

პოლონელი პოეტი ზაბლოცკი, უგზავნის რა მიხ. თუმანიშვილს 1838 წ. ნოემბერში „ფიალას“ პოლონურ თარგმანს, ბოდიშს იხდის იშის გამო, ოთხ ზოგ რამეში დედანს გზა აუქცია, და სტეოვს, თარგმნისაჭვის მაღლობას ნუ მეტყვითო. „იგი (ლექსი „ფიალა“) იმდენად კარგია და ორიგინალური, რომ გადავთარგმნე იმ იმედით, რათა ჩემი აღტაცება გავუზიარო თანამემამულეებს. ეს ჩემი პირუთვნელი აზრია, რასაც ვაცხადებ არა მარტო თქვენს წინაშე, არამედ ყველას წინაშეც“.

ჩეენი თანამედროვე კრიტიკოსებიდან შალვა რადიანი (კიტირებული წიგნი) ხედავს მიხ. თუმანიშვილის პოეზიაში სერიოზულ ნაკლოვანებათ ოსტატობის თვალსაზრისით: „ბევრი მისი ლექსისათვის ნიშნეულია გამოთქმის უხეირო შერჩევა და ნაძალადეობა. ბევრ ლექსში მას აქვს „ცარიელი“ ადგილი. ხშირად იგი სათანადო დაკვირვებით არ ეპყრობა სამწერლო კულტურას, რის გამოც მის ლექსებში პოეტურად ძლიერ გამართულ ადგილების გვერდით არის სუსტი ადგილები, უბრალო პროზაული თხრობანი“.

ლევან ასათიანი სტატიაში „პუშკინის მთარგმნელი პოეტი მიხეილ თუმანიშვილი“ („ლიტ. საქართ.“ 1937 წ. № 4) ამბობს მიხ. თუმანიშვილის თარგმნებზე პუშკინიდან, რომ „ამ თარგმნებს კარგად ეტყობათ თავისი ეპოქის პოეტური სტილის გავლენა: მათ საკმაო ძლიერი არქაიზმის დალი აზის. ლექსიკა, მეტრი, რითმი, — ყველა პოეტური ელემენტი ამ თარგმნებისა სავსებით უახლოედება ქართული პოეზიის 30-იანი წლების ნიმუშებს. ცხადია, ეს არქაიზმი ნაკლებ შეესაბამებოდა პუშკინის გამჭვირვალე, დაწმენდილსა და მსუბუქ ლექსთა წყობას, მაგრამ ჩვენი პოეტები სთარგმნიდნენ პუშკინს ისე, როგორც შეეძლოთ და როგორც შეეფერებოდა მათი დროის ვერსიფიკატორულ და ენობრივ ნორმებს. მხედველობაშია მხოლოდ მისალები ის გარემოებაც, რომ პუშკინის თარგმნა ისეთი განსაზღვრული პოეტური შესაძლებლობის ოსტატისათვის, როგორიც იყო მიხ. თუმანიშვილი, მეტად რთულსა და ხშირად დაუძლეველ ამოცანას წარმოადგენდა. უსათურდ აღსანიშნავია მაინც ის სიყვარული, პატივისცემა და გულმოდგინება, რომელსაც ჩვენი მგოსნები იჩენდნენ დიდი რუსი პოეტის ნაწარმოებთა გადმოლების საქმისადმი. ეს კარგად ეტყობა ჩვენი მთარგმნელის ნამუშევარს“.

მიხ. თუმანიშვილის პოეტური ნაწარმოებნი თუ ყოველთვის როდი იწვევდნენ შემწყნარებელ შეფასებას, სამაგიეროდ, არა ყოფილა და არ არის ორი სხვადასხვა აზრი მის პროზაზე.

თუმცა სამსახურის საქმით გადატვირთვა შესაძლებლობას უსპოდდა მიხ. თუმანიშვილს იმდენად მეტო მონაწილეობა „ცისკარში“, როგორც მას უნდოდა, მაგრამ მაინც იგი დიდის ყურადღებით ადევ-

ნებდა თვალყურს უურნალის ბედ-ილბალს. ვორონცოვის „წასვლის“ შემდეგ კულტურულ საქმეთ უმაღლესი ადმინისტრაცია წინანდელებრ არა სწალობდა. მეორეს მხრით, ეს საქმენი ფეხზე ვერ გამაგრებულიყვნენ, ვინაიდან მეტისმეტად მცირერიცხოვანი იყო საზოგადოების ის ფენა, რომელსაც კულტურული საქმეები უნდა დაყრდნობოდა. ამიტომ ეს საქმეები თანდათან დაჩიავდა და გამოიფიტა. „ცისკარიც“ ვაიგაგლახობით არსებობდა. მიხ. თუმანიშვილი გამოეხმაურა „ცისკრის“ გამომცემლის, ივ. ქერესელიძის მოწოდებას. მან მოათავსა უურნალში რამდენიმე ფელეტონი „მოლაყბეს“ ფსევდონიმით.

„ცისკარს“ დიდი სამსახური გაუწია მისმა თანამშრომელმა მოლაყბემ—ამბობს: XX საუკუნის დასაწყისის პუბლიცისტი არჩილ ჯორჯაძე („სახალხო გაზ.“, 1911 წ., № 463).— მოლაყბე იყო ფსევდონიმი თ-დ მიხეილ თუმანიშვილისა, რომელმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო უურნალში, გამოაცოცხლა იგი და თავის „სალაყბო ფურცელში“ (შინაური მიმოხილვისდაგვარ განყოფილებაში) მოურიდებლად ჰყიცხავდა საზოგადოებას, რომელიც გაკვირვებული ახლად მოვლენილი მართლმაჯულის „კადნიერებით“ პირველ ხანში გარინდებული ყურს უგდებს და უთმეს, ხოლო შემდეგში კი აუჯანყდა და „დევნის ამ მოუსვენარ მოლაყბეს“.

მიხ. თუმანიშვილის პირველი ფელეტონიდან ციტატის მოყვანის შემდეგ, ჯორჯაძე განაგრძობს:

„როგორც ხედავთ, სრულიად აქალი წერის მანერა, ცოცხალი და მარტივი საუბარი გაჩნდა ჩვენს უურნალში. მოლაყბემ გაბედული ნაბიჯი გადასდგა, გასაგების ენით საზოგადოების ჭირ-ვარამზე დაიწყო ლაპარაკი. ებლა ჩვენ ყოველივე ეს არაფრად მიგვაჩნია, მაგრამ იმ ხანში ეს იყო წამდგილი პუბლიცისტური შემოქმედება, რომელიც სწყვეტს კავშირს არა ძარტო ენის გადაბირებულ ფორმებთან, არამედ თვით მოწიწებისა. და რევერანსების ჩვეულებასთან“.

„თავ. თუმანიშვილის მონაწილეობამ „ცისკარში“ — ადასტურებს. პროფ. ხახანაშვილი — გამოაცოცხლა მომაკვდავი უურნალი. მან პირველმა შემოილო ფელეტონის განყოფილება... ამიერილან ფელეტონის განყოფილება განუყრელი კუთვნილებაა სამოციანი წლების ქართული უურნალებისა და თუ იგი რაიმე მიზეზის გამო დროებით შეწყდებოდა, მარტო ერთი ეს გარემოება იწვევდა გამოცემის დაჭვეითებას. აქაც, ამ ახალ სფეროშიაც თავი იჩინა პუშკინის გავლენამ ქართველ მწერალზე. თავ. თუმანიშვილი თავისი ფელეტონებით ქართულ უურნალში ამეტყველდა ცოცხალ ხალხურ ენაზე და მხოლოდ ამის შემდეგ ქართული უურნალი შემთხვევითი წერილების კრებულიდან გადაიქცა ცხოველ მოვლენად, საზოგადოებრივი აზრის ორგანოდ“.

დაახლოებით ამასვე ამბობს პროფ. ხახანაშვილი: „განათლებაში“ (1911 წ. № 2): „ამ ფელეტონებს, მახვილი და მარტივი ენით დაწე-

რილებს, დიდი გაელენა ჰქონდა მკითხველ საზოგადოებაზე და
მომაკვდაცს უურნალს სული ჩაუდგა”.

ილია ჭავჭავაძის წერილი 1858 წლის თებერვალში თუ მარტში
პეტერბურგიდან გაბრიელ სულხანიშვილის სახელზე აშკარა მაჩვენე-
ბელია იმისა, თუ რა მთაბეჭდილება მოახდინა მოწინავე ახალგაზრ-
დობაზე მიხ, თუმანიშვილის ფელეტონებმა:

„ამას წინეთ მკონია შენი სტატიები იყო ცისკარში და მოღაყეთ
აცხადებდი შენს თავს. შენ იყავ თუ სხვა, პირფერობით არ ვიტყვი, კარგი
რამ იყო. რაც კი შეეხება ენას, სწორეთ ფერნომენი იყო ჩვენს გორიზონტზედ.
ჰაზრითაც არ იყო დასაწუნი. დასაწუნი მეთქი? დასაწუნი კი არა, ძლიერ
მოსაწონიც იყო. რა მახვილათ დაცა მოლაყბე ქართველობას, რა კარგად
დაიწყო ქართველის უბედურებაზე დაცინება და რა ლამაზ ქართულ ჯარა-
ზედ დართულ სიტყვებით ტიტინებდა! რა სიხარბით ვკითხულობდით
მარტივ სიტყვასა კარგის გულიდამ გამოსულს. უნდა გენახა, რა სიჩქარით
გადადირდა ხელიდამ ხელში ის ბედნიერი ცისკრის ნომრები, სადაც მო-
ლაყბეს ფურცლები ბრწყინავდნენ სხვათა შორის... („ცისკარი“, 1863 წ.,
№ 7, გვ. 370—371 ქერელი ბეჭედის წარმომადგრენების სტატიაში „ქარ-
თული ლიტერატურა“; შემდეგ გადაბეჭდილია 1933 წლის „მნათობის“
მე-7 №-ში სიმ. ხუნდაძის სტატიაში იური ჭავჭავაძის წერილებზე).

„საქართველოს მოამბესთან“ გახურებული პოლემიკის დროს
ანტონ ფურცელაძემ ეს წერილი დაბეჭდა „ცისკარში“ ვითომ ილია
ჭავჭავაძის სამხილებლად, წინად სხვა აზრისა. იყავი „ცისკარზეო“.
მაგრამ „საქართველოს მოამბემ“ ამის საპასუხოდ გამოაქვეყნა გ. სულ-
ხანიშვილის განცხადება (1863 წ. № 7, გვ. 105—106) იმის დასა-
დასტურებლად, რომ ილია ჭავჭავაძის ქება ეხებოდა მხოლოდ მიხ.
თუმანიშვილს, რომელმაც თავი დაანება [„ცისკარში“ თანამშრომლო-
ბას სამი ფელეტონის დაბეჭდილის შემდეგ (სულხანიშვილს, შეცომით
ორი ფელეტონი აქვს დასახელებული).]

მიხ. თუმანიშვილის თანამშრომლობა „ზაკავკ. ვესტნიკ“-სა,
„კავკაზ“-სა, „დროება“-სა და სიცოცხლის მიწურულში „ტიფლ-
ვესტნიკ“-ში ინტენსიური არ იყო, მაგრამ რასაც რვი ამ გაზეთები-
სათვის სწერდა, ყველაფერს პრინციპული ხასიათი ჰქონდა და არა
ადვილად წარმავალი ინტერესი. არსებული უურნალები მას არ აქმა-
ყოფილებდნენ, თანაც „ცისკრის“ გამოცემა შეწყვეტილი იყო და
ამიტომ მას აღეძრა აზრი საკუთარი სალიტერატურო-საზოგადოებ-
რივი უურნალის გამოცემისა. 1854 წლის ბოლოს მიხ. თუმანიშვილს
შეუდგენია განცხადება გამოცემის ნებართვის გამოთხოვის თაობაზე
და პროგრამა განხრახული უურნალისა, რომლის სათაურიც „საქარ-
თველოს უურნალი“ უნდა ყოფილიყო.

მიხ. თუმანიშვილის არქივში დაცული „საქართველოს უურნალის“
პროგრამა, როგორც ეტყობა, შედგენილია იღმინისტრიკიისათვის,

წიარსადგენად, რათა ნებართვა მიეღო, პროგრამის შინაარსს უჩვეული ინტერესი აქვს ქართული უურნალისტიკის ისტორიისათვის. იგი აქ თავდაპირველად ქვეყნდება:

პ რ თ გ რ ა მ ა

უურნალი ქართულ ენაზე სახელშოდებით საქართველო ცურნალი გამოდის 1855 წლის იანვრის 1-დან, ყოველთვიურად წიგნებად.

თვითეული წიგნი შეიცავს არა ნაკლებ ათი ნაბეჭდი ფურცელისა. ორი წიგნი შეადგენს ერთ ტომს განსაკუთრებული სასათაურო ფურცელით და სარჩევით. თვითეული წლის ბოლოს დაერთვის საერთო საალფაბეტო მაჩვენებელი სტატიებისა და მთხველთა სახელებისა.

ამ უურნალში მონაწილეობას იღებს ყველა მწერალი, ვინც ქართულად სწერს.

უურნალი „საქართველოს უურნალი“, აქვს რა მას საგნად გაავრცელოს აქაური მოსახლეობის („tyazempev“) უმრავლესობაში განათლებული სამყაროს ცნებები, ამასთან ერთად იცავს დაქვეითებისაგან თვით ენას და დავიწყებისაგან — მის ახალ და ძველ ნიმუშებს. აქ უკვე მეტია იმის აღნიშვნა, თუ რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს უურნალს საერთოდ, ვინაიდან იგი, განკუთვნილია რა სპეციალურად საქართველოსა და მისი ლიტერატურისათვის, ყოველთვის მარჯვე გასაღები იქნება ერთისაც და მეორის შესასწავლად იმათვის, ვინც მოისურვებს მიმართოს მას [უურნალს].

რათა უურნალი დარჩეს ერთგული თავისი მოწოდებისა, მისი რედაქტორი ჩაბარდება, მისი მთავარი პატრონის გარდა, კიდევ ქართული ენის ორ-სამ გამოცდილ [წაშლილი: და განათლებულ] მცოდნებს, ორ-მელნიც ხელს შეუწყობენ უურნალის წესიერ სკლას და მიმართულებას.

„საქართველოს უურნალი“, თავისი სტატიების შინაარსის შესაბამისად, განიყოფება ხუთ განყოფილებად:

I

ს ი ტ ყ ვ ი ე რ ე პ ა

ლ ე ქ ს ე ბ ი. ლექსური ნაწარმოებნი უახლესი და თანამედროვე ქართველი პოეტებისა. პ რ თ გ რ ა. მოთხრობები, ამბები, სტატიები ზნებრეულებებზე და სხვა მისთანა ნაწარმოებნი. ერთიც და მეორეც — ორიგინალური და ნათარგმნი.

II

მ ტ ლ ნ ი ე რ ე ბ ა ნ ი ჲ ჲ ს ხ ე ლ ლ ვ ნ ე ბ ა ნ ი

სტატიები იმ საგნებზე, რაც ეხება საერთოდ სამეცნიერო, სამხატვრო და საისტორიო ლიტერატურას. ამ განკუთვილებაში თვალსაჩინო ადგილს დაიჭირს უცირატესად მასალა საქართველოს ისტორიისათვის, ოოგორიც არის — ქართველ მეფეთა ძველი სიგელები და სხვა დოკუმენტები, შეძლებისადაგვარად იმის აღნიშვნით, რა დროს ეკუთვნიან ისინი, და მათი დახლოებითი შეფასება ისტორიული თვალსაზრისით.

III

თანადროული ქრონიკა

მიმოხილვა თანადროულ ამბავთა პოლიტიკურ სფეროში და სამ-
ხედრო მოქმედებათა, უპირატესად კავკასიაში. კრებსი შინაგანი ცნობე-
ბისა ახალ კანონდებულებათა და მთავრობის განკარგულებათა თაობაზე
რაც საკუთრად საქართველოს ეხება ან უნდა შეეფარდოს მას.

IV

კ რ ი ტ ი კ ა

ლექსად და პროზად დაწერილ თხულებათა გარჩევა, უპირატესად
იმისა, რაც საქართველოს და მის თანამოსახლებრე ქვეყნებს ეხება, თურდაც
რუსულ და სხვა ენებზე იყოს გამოცემული.

V

ნ ა რ ე ვ ა

წვრილ-წვრილი სტატიები ლიტერატურული შინაარსისა, ანგდო-
რები, ანუაზები, შენიშვნები თანადროულ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

შენიშვნა: უურნალის თვითეული წიგნის ბოლოს, დანარ-
თისსახით, იქნება განსაკუთრებული განკოფილება სახელწოდებით
„ძველი ქართული მწერლობა“, განკუთვნილი მარტოლდე
ძველიქ ართველი მწერლების ყოველგვარ ნაწარმოებთა დასაბეჭ-
დად, როგორც ლექსად, ისე პროზად, მათი ნამდვილი სახით.

მიხ. თუმანიშვილის მიერ განზრახული უურნალის პროგრამა,
შეართოდ, შედგენილია იმ დროის რუსული „მსხვილტანიანი“ უურ-
ნალების კვალობაზე. მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც ახალი უურ-
ნალის გამოცემა ვერ მოხერხდა, იგი, კერძესელიძის მოწოდებით,
შეუდგა აქტიურ მონაწილეობას „ცისკარში“. მართლაც, მას ემარჯვე
„ცისკრის“ თვალსაჩინოდ გამოცოცხლება და ხელისმომწერთა ბლო-
მად გადიდება.

მიზეზი მიხ. თუმანიშვილის შარცხისა საკუთარი უურნალის გამო-
ცემის საქმეში უნდა ვეძიოთ იმდენად არა მატერიალური ხასიათის
სიძნელეებში, რამდენადაც იმ, თითქმის გაღაულახავ, დაბრკოლე-
ბებში, რითაც მოვრობა გზას ულობავდა ყველას, ვინც კი განიზ-
რახავდა გაზეთის ან უურნალის გამოცემას. მიხ. თუმანიშვილს თვალ-
წინ ჰქონდა მაგალითი ვერდერვესკისა, რომელიც, კავკასიის აღმი-
ნისტრაციის მემვეობით სთხოვდა. ცენტრალურ ხელისუფლებას, იმავე
1854 წელს, ყოველწლოვარი ალმანახის „ზურნა“-ს გამოცემის ნებარ-
თვას. ვერდერვესკი თუ იცია ლური „ქავებაზ“-ის რედაქტორი იყო
და, მაშასადამე, ამრიგობაზე ლაპარაკი იყო არა გაზეთის ან უურნა-
ლის გამოცემაზე, არამედ მხოლოდ ყოველ წლიური ალმანახის
გამოცემაზე, რომლის ნებადართვაც გაცილებით უფრო აღვილი იყო,

ვიდრე მასსური პერიოდული გამოცემისა. მთავრობა მანიც არ დაკმაყოფილდა რედაქტორის შუამდგომლობით და, საქმის ხანგრძლივად გაჭიანურების შემდეგ, სახალხო განათლების სამინისტრომ მოითხოვა, რათა ვერდერევსკის წარედგინა დაწვრილებითი დასაბუთება. აღმანახის გამოცემის საჭიროებისა და თვით აღმანახის დეტალური პროგრამა. თავის „პიტაგორი“ („რაپორტე“)¹³³ ამ მოთხოვნის საპასუხოდ ვერდერევსკი განმარტავს, გაზეთში ვრცელ ნაწარმოებთა მოთავსება მოუხერხებელია და ამავე დროს საჭიროა შესაძლებლობა მივცეთ აქაურ („თუვzemniy“) ნიჭიერ ახალგაზრდებს იქონიონ ადგალი წერისათვის რუსული კულტურის ცხოველმყოფელი გავლენითაო. ივი კისრულობდა ვალდებულებას, რომ სტატიები „უპირატესად მსუბუქი ან ბელეტრისტული შინაარსება იქნება, როგორიცაა რომანი, მოთხრობა, დრამა, კომედია, ამბავი, ზეჩვეულებათა ნარკვევი, სამხედრო და სხვა ანეკდოტი“.

ვერდერევსკის განმარტებისა და კვლავ საქმის ხანგრძლივ გაჭიანურების შემდეგ ნებართვა მიცემულ იქნა.

ხოლო მიხეილ თუმანიშვილს, რასაკვირველია, არ შეეძლო „მსუბუქი საკითხავის“ გარანტია მიეცა.

მიხ. თუმანიშვილის ბინაზე, როგორც გ. ერისოვისა, ისე კერესელიძის, დროს, იკრიბებოდნენ „ცისკრის“ თანამშრომლები უურნალის თაობაზე სხვადასხვა საკითხების განსაზღობად.¹³⁴ თუ რა როლს თამაშობდა მიხ. თუმანიშვილი „ცისკრის“ გარშემო იმ წლებში, როდესაც იგი ჯერ კიდევ ფორმალურად თანამშრომელი არ იყო; ამას მოვკითხობს ისტორიკოს დიმ. ბაქრაძის 1856 წლის ნოემბრის 22-ის წერილი გორიდან:

„კნიაზო მიხეილ!

გიგზავნით ჩემ სტატიას ისტორიის წყაროებზედ. მგონია, რომ ეს უნდა დაიბეჭდოს პირველს წიგნში. ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან. არ ვიცი კოტრექტორი ვინ არის, და კარგი იქნება უბრძანოთ, რომ ყური უგდოს დაბეჭდვის დროს ცვლილება არაფერად მოახდინონ — საცა ტოჩქაა თუ სხვა რამ ზაკები; თორემ აზრები სულ აირევა, რადგანაც ფრაზები მოკლეებია ამ სტატიაში. ეს სტატია შევსწირე უ. ბროსსეს და ერთი ექვემდებარი გაუგზავნე იმას. თუ ცოცხალი გიქნები და თავისუფალი დრო მექნება, მეორე სტატია იქნება ცისკრისათვის. „თამარ მეფია“.

ჩემს ნაცნობებს მოკითხვას მოვახსენებ.

თქვენი უმორჩილესი მონა

დ. ბაქრაძე¹³⁵.

დიმ. ბაქრაძე, როგორც მისი წერილის კიბლიდანაც ჩანს, შემთხვევითი ნაცნობი არ იყო მიხ. თუმანიშვილისა. მათი ურთიერთობა ჯერ კიდევ ადრე დაიწყო და საერთო სიყვარული საქართველოს ისტორიისადმი, აღბათ, ის ნიადაგი იყო, რომელმაც დაააზლოვა ეს

ორი მოლვაშე. თვით მაშინაც კი, როდესაც ნაცხაბობა უფრთ
ოფიციალური ხასიათისა იყო, მიწერ-მოწერის კილმაინც გულით
დია, როგორც ესა ჩანს 1855 წლის ივლისის 14-ის საობუჯვრო წერი-
ლიდან (გორიდან):

„Ваше Сиятельство,

Пользуюсь случаем, чтобы напомнить Вам, что я еще существую на свете, и вместе засвидетельствовать Вам мой искренний поклон. Я давно не имел случая с Вами видеться. Я редко приезжаю в Тифлис, но кажется и Вы тоже перестали выезжать из него. Мы с Вами живем двумя совершенно противоположными чувствами: Вы привязываетесь к Тифлису, а я напротив... Мы проводим здесь время довольно весело. Зима была особенно хороша у нас; общества было столько, как вероятно никогда в Гори. Даже Ваш Егор Степаныч [ლორის-მელიქვა ან ფიცერი უმრავამვა?] до того полюбил нас, что неохотно расстается с нами. Кстати, о нем. Он — прекрасный молодой человек; но в обществе, особенно же дамском, очень опасен. Он отбил у нас дам, поссорил несколько мужей с женами. Он даже чванится, что не то еще сделает, если еще вздумает приехать к нам. Сделайте милость, князь, не пускайте его больше.

В августе я имею маленько желание приехать в Тифлис. Передайте от меня поклон тифлисским моим знакомым — Константину Михайловичу Богданову, Иосифу Христофоровичу Долаеву:

Прошайте и не забывайте нас.

Ваш покорный слуга

Дм. Бакрадзе».

თავის ლექსებს „ცისკარში“ მიხ. თუმანიშვილი აშერდა ინიციალ-
თ“. ფელეტონებს კი სათაურად პქონდა „სალიუბო ფურცელი“ და
ფსევდონიმი „მოლაუბე“. ფელეტონები დაბეჭდილი იყო „ცისკრის“
1857 წლის მე-11 და 12 №-ზი და 1858 წ. 1-ელ №-ზი (ანასტასია
მიხეილის ასული თუმანიშვილი-წერეთლის გადმოცემით; სულ ოთხი
ფელეტონი იყო). მიმოხილვა-ფელეტონების პოპულარობამ მკით-
ხველთა შორის აიძულა რედაქტორი ივ. კერესელიძე შეეღინა
ასეთივე მიმოხილვები იმის შედეგაც, რაც მიხ. თუმანიშვილმა შეს-
წყვიტა თავისი თანამშრომლობა: „შემდგომში იმავე „მოლაუბის“
ფსევდონიმით სწერდა თვით ივ. კერესელიძე და ზოგიერთი სხვა
თანამშრომელი, მაგრამ „ფურცელებს“ უკვე წინანდელი მოწონება და
ზავთი აღარ პქონდათ.

პუბლიცისტური სასწაული, რომელზედაც ლაპარაკობს აოჩილ-
ჯორჯაძე „ქართველი ინტელიგენციის ისტორიის მასალებში“ მარტო
იმაში კი არა. მდგომარეობდა, რომ მოლაუბემ დაიწყო ლაპარაკი
საზოგადოების სატკივრებზე უველასათვის გასაგები ცოცხალი, ენით,
არამედ აგრეთვე იმაშიც, რომ იგი გაბედულად და ამჟარად ამხი-
ლებდა საზოგადოების ზემო ფენებს და ყველა მოვლენას მის ნამ-

დფილ სახელს უწოდებდა. მის. თუმანიშვილი დიდხანს აკვირდებოდა იმას, თუ როგორ ეხმაურებოდა ქართველი საზოგადოება მის წინაშე გადაშლილ შესაძლებლობას კულტურული განვითარებისას. მას აღმ-ფოთებდა ის, რომ საზოგადოების მაღალი ფერნები და მათი მიყო-ლით საშუალონიც ისე იყვნენ დაბრმავებულნი მაღალი წრის ცხოვ-რების გარეგნული ბრწყინვალებით, იმდენად მოიქცნენ რუსიფიკაციის გავლენის ქვეშ, რომ აბუჩად იგდებდნენ ქართულ ენას და ყოველივე ქართულს ტუჩაბზეკით უყურებდნენ. თავის „ფურცლებს“ მან გადასცა მთელი ის გულისწყრომა, რაც ივსებდა მის აზრს და ვითომ იოლი ლაყბობით სასაცილოდ აიგდო საზოგადოება..

„.... უკაცრავად კი ნუ ვიქნები და ჩვენს „ცისკარს“ უნეტეს ნაწილად კითხულობენ ბუზები, რა რომ თავისუფლად განისვენებენ ფანჯრებზი, მო-სამსახურების ოთახში. იმისი ადგილი იქ არის, კაბინეტში შეტანა როგორ იქნება — ქართულს ენაზედ არის დაბეჭდილი; სხვათა ენაზე რომ იყოს, აი ის სხვა არის! ჩვენს ენას აზლა აღარავინ შმარობს, წამხდარი ენა არის. გასწორება რათ უნდა; სახლის პატრონმა; თავს რომ ჭერი ექცეოდეს, რო-დი უნდა გამოიცვალოს და გაიახლოს!..“

გარეშე მტერი ველარ ჰერდავს დაემუქროს საქართველოს, ქვეყნად შვილობიანობაა:

„.....ამისთანა მყედრო მდგომარეობაში კაცს არ შეეძლოს თავისი ენის მოხმარება! უბედურება არ არის, მაშ რა არის? არა, რომელი ბედ-ნიერება არის? მე უბედურება ძვონია ესა და! არა თუ უბედურება, უბე-დურებაზედ უბედურებაა!!“

„.... აზლა მინდა გიანბოთ, გულგრილად, როგორც შეშვენის ქარ-თველის თვისებასა, ერთი ქართულის ენის მოყვარის ქართველის ამბავი: ერთ დიდ საზოგადოებაში, თითქმის თბილის ყოველთხედ მაღალს, შეყ-რილნი ყიფილან რამდენიმე დარბაისელნი; იმათ შორის ხედავენ, რომ ზის ქართულის ენის მოყვარე ქართველი, რომელსაც მაღალ საზოგადოებაში დიდი მნიშვნელობა აქვს; იქ ჩამოვარდება ქართულ ტეატრზედ ლაპარაკი. უმაღლესი პირი იტყვის, რომ ქართველთათვის საჭიროება მოითხოვს ქარ-თულ ტეატრს.

.....ამ დროს დაფიქტდება ქართულის ენის მოყვარე ქართველი და მოახსენებს, აი ამ გრძნობიან ღევებით: «რა საჭირო გახლავათ ქართული ტეატრი მაშინ, როდესაც რომ არის რუსული და ამასთანავე ოპერა იტა-ლიანურს ენაზედ (ესე იგი თრინჯულს ენაზედ). ეს იქით იყოს; რომ არა-ვის უნდა ქართველებში!» უმაღლეს პირის ეს სიტყვები ისე საზიზღრად მიაჩნდება, რომ. მოარიცებს თავს ქართულის ენის მოყვარეს და იტყვის: „კეთილი არ გინდათ, ღმერთმა ნუ მოგცეთო!..“ ახ, კალამო! დასდექ, კა-ლამო, საქართველოს ბატის გამონაცემო! მაჯა აღარ მომდევს, შენ საბ-რალო, გიხმარო! რომ გიხმარო, ვისთვის გიხმარო და ან რა სინიდისით, რომელს ენაზედ? ეგ შენი სპეტაკი ფრთა მოვიხმარო ქართველთათვის, რომელნიცა გვმტრობენ ლეკებზედ უმეტესად?! ქართულს ენაზედ ვამუშავო ეგ შენი მშვენიერი, გარნა საწყალობელი, ნემსივით განგმირავი მშვილდი, რომელიც სძულთ ქართველთ? რომელნიც ყოველგან, ყოველ უამს და ყოველ წამს ცდილობენ ძირიანად აღმოფხვრან ხსენება შენი?!...“

განა ამასვე არ ამბობს პოეტური ნაკვთებით, ხოლო იმავე სასო-
წარკვეთილებით და აღშფოთებით, ქართველობაზე, რასაკვირველია,
მაღალი წრის ქართველობაზე, — საქართველოს გულთამხილავი პოეტი
ილია ჭავჭავაძე 1859 წელს თავის „აჩრდილში“?!

„ვადასდგომიხართ თქვენ ქართველობას,
დაგინგრევიათ დიდი მამული, —
რაღა დაპატავს თქვენში დიდ გრძნობას?
რითო აღტკინდეს ქველისთვის ტული?..“

აქ, ქართველი საზოგადოების შეფასებაში, ორი წლის მანძილზე
ერთმანეთს ხედებიან ორნი პოეტი ძველი და ახალი თაობისა —
ერთი ცრემლნარევი სიცილით და მეორე ლირიკული აღშფოთებით.
და ეს შეხვედრა დამახასიათებელია ერთისაც და მეორისაც, მაგრამ
ყველაზე მეტად — მაშინდელი ქართველი საზოგადოებისა.

სხარტულად და დაცინვით აგვიწერს მოლაყბე იმდროინდელი
საზოგადოების სულისკვეთებას შინაც და გარეთაც. აი, მაგალითად,
რა სახით გვიხატავს ზახეცვლილ ქუჩას ნახულისა და გაგონილის
კვალობაზე:

„.... იყო კიდევ ბევრი აღებ-დაღება ქალაქის კლუბზე, რუსულს-
ურნალებზე, სომხურ და სპარსულ გახეთებზე, და აცა თუ ეხსენებინა
ვისმეს ჩვენი საბრალო „ცისკარი“. — მაგრამ უმეტესი თქმულობა და სჯა
იყო იმაზე, როთაც კი ამ უამაღ ჰსკეორობს და ჰსუნთქავს საზოგადოება
ბუღლვარისა. იყო დიდი სსენება ამერიკა და მისის მომღერლებისა — კა-
ცისა თუ ქალისა. ყური მოვკარი არის კაცის ბაას: ერთი იყო ფერრა-
რის სიმღერის ქებაში, მეორე პონტიოროლისა; მაგრამ ერთიც მიჰქარავდა,
მეორეც დავეწიო ერთ კაცს, რომელსაც წაეკითხნა ძველი პანთეონი და
ყველას აბეზრებდა თქმით, თუ რა ხმის პატრონია მოსული მომღე-
რალი ფერზინგი. აქეთ-იქიდამ ისმოდა მხოლოდ სახელები: როსსინისა,
ბელლინისა, დონიცეტისა, ვერდისა, მეიერბერისა, და ასე გაშინჯვთ
ვაგნერისაც — ამ თანამედრობის გერმანიის კომპოზიტორისა, რომელსაც
შემოუტანია. ახალი კანონები მუხიკის ხელოვნებაში და თითქმის გული
წარგვიხდინოს ტკბილ-მოსასმენს იტალიურს პანგებზე. არ ვიცოდი რა
მექმნა, და მეგონა, რო ვიყავ არა გორგასლანის ქალაქში, არამედ
მილანში, ანუ ვენეტიკაში. შემხვდა ერთი ჩადრიანი ყმაწველი ქალი,
რომელიც მოდიოდა და იძახდა: თქვენის ბელლინის მხეს, ჩადრზე ფეხი
არ დამადგათო. — ახლოს ქუჩიდამ მორბოდა ერთი იმერლის უშა და
დასძახიდა:

ფიგარო აქა,
ფიგარო იქა,
ფიგარო ზევით,
ფიგარო ქვევით!..

ასე სულ გადარეულან, ყველას მოსდებიათ ოპერის რაღაც სწეულება.
პატარა ბიჭების კივილმა ლა დონნა მობილის ხმაზე, ხომ ილაჯი
წაიღო „...“

მიხ. თუმანიშვილის ფელეტონები შეიძლება დახასიათებულ იქნეს როგორც სატირიკული ხასიათის ნაწარმოები. სამგზავრო შენიშვნები ახალციხეზე, „სალაყბო ფურცლები“ „ცისკარში“ და „მიხაელ და ნინა“ შეაღენენ მის სატირიკულ მემკვიდრეობას, რომელშიაც მსუბუქი კილო არა ჩრდილავს სერიოზულ შინაარსს. მიხ. თუმანიშვილის კალამს მიღრეკილება ჰქონდა დაეგმო და გაეთათხა საზოგადოების მანკიერება და ადამიანის სუსტი მხარე. მისი სიცილი თუ დაცინვა გახუნებული ფელეტონისტის ლრეჭა-კრეჭა თუ ვისიმე ან რისამე ზეზეურად აგდება როდი იყო, არამედ მხილება მტკიცე პრინციპების მქონე მწერლის მიერ „სალაყბოს ფურცლებში“ იგი გაბედვით აღმრავდა ნაციონალური თვითშეგნებისა და ნაციონალური კულტურის მწვავე საკითხებს. ახალციხის სამგზავრო შენიშვნებში ირონიით გაეღინთილი სურათი იძლევა კავკასიის პროენციელი მოხელეების საზოგადოებას ისეთი ქალაქებისას, რომელიც ჯერ კიდევ არ განტვირთულა ოსმანთა უღლის სიმძიმისაგან. სტატიაში „მიხაელ და ნინა“, იგი ულმობელად დასკინის მ. ლივენცოვის „ქართულ იდილიას“ („Грузинская идиллия“) და ამასთან ერთად „ხუთაღლიანი კიტრის“ ზღაპრის მსგავს ამბებს კავკასიის ცხოვრებიდან, რაც ასე მოდაში იყო იმ დროს. ლივენცოვის „ნაწარმოებშა“ საბაზი მისცა მიხ. თუმანიშვილს აღეძრი საერთოდ საკითხი ასეთი წიგნების თაობაზე. „მიხაელ და ნინა“, „კავკაზ“-ისათვის განმზადებული, * წერილობითი დოკუმენტია, რომელიც იძლევა მიხ. თუმანიშვილის შეხედულებათა მოკლე გაღმოცემას ლიტერატურასა და მის დანიშნულებაზე:

„....Довольно, мы уже много, слишком много говорили об этой неудавшейся идиллии, но, говоря о ней, имели в виду и другие подобного качества произведения. С некоторого времени стали появляться беллетристические сочинения, имеющие целью изображать нравы и быт Кавказа, Закавказья и, в особенности Грузии. Мы имеем уже две-три комедии, один или два романа, историческую драму, повести, имеем фельетонное рассуждение одной петербургской газеты о кавказском танце: лезгинка с Алазанью, что имеет такой точно смысл, как танец трепака с Волгою. Явление это само собою отрадное и заслуживающее внимания, беллетристика в состоянии принести неоцененную пользу. То, что ученая литература передает нам в сухих, хотя и верных фактах о какой-либо местности, о народе, ее населяющем, с его внутреннею исторической жизнью, то беллетристика расцветит и оденет в живые формы так, что под пером романиста или драматурга

* დაბეჭდილია გაზ. „კავკაზში“ 1852 წელს, № 41 (ცელმოუწერლად). „Грузинская идиллия“ ლივენცოვისა დაბეჭდილი იყო „Библиотека для чтения“-ს 1852 წლის მე-5 და 6 №-ში.

вступят живее и примут более определенный характер, востанет целое племя и подаст голос о себе, о своих преданиях, привычках, о своем домашнем и семейном быте.

..... Но, к прискорбию, ни одно почти из появившихся доселе произведений, исключая разве комедии Ахундова, не удовлетворило своему назначению. Чего именно не достает у этих г. г. сочинителей и восточного романа, и первого русского в Тифлисе романа, и грузинской идилии: у них довольно много гладкой прозы, как много и гладких стихов на белом свете, но нет главного, что должно быть основным элементом всякого произведения, нет этого близкого, действительного знания края, они не умели или не хотели узнать его, вникнуть вглубь его внутренней жизни, — они мельком наслышались, что здесь где-то есть Зурна, плов, на ком-то красуется бешмет, кем-то говорится „пхе“¹⁸⁶ и, вообразивши, что все узнали, все угадали, пустились производить и романы и идилии“.

თავისი წერილის მეორე აღვილას მიხ. თუმანიშვილი ამბობს:

..... в наше время поэзия там, где истина, в наше время мечтательная поэзия уступила место простой, но в простоте своей высокой и вдохновленной существенности. Нас теперь увлекает Диккенс, Гоголь, в Гесснера мы потеряли веру“.

გაზეთი „კავკაზი“ მეფის-ნაცვლის ოფიციალური ორგანო იყო, მაგრამ, თავისი შინაარსით და თავისი მნიშვნელობით აღვილობრივი ინტელიგენციისათვის, არა პავლი სხვა, „კაზიონური“ ტიპის ოფიციალურ უწყებებს, რომლებიც თითქმის ყველა საგუბერნიო ქალაქში გამოდიოდა. ამ გაზეთის დამაარსებელმა კორონცოვმა მიზნად დაისახა მიეზიდა მასში მონაწილეობისათვის საუკეთესო აღვილობრივი („თუვემპე“) ძალები და მის, კორონცოვის, გარშემო მყოფი ნიჭიერი ადამიანები. მართლაც „კავკაზის“ მულტიკი და დროებითი თანამშრომლების შედგენილობა ორმოცან წლებსა და შემდგომ ათწლეულებში ბრწყინვალე იყო. რეს ლიტერატორებთან ერთად, რომელთა შორის იყო ისეთი პიროვნება, როგორც ვლ. სოლლოგუბი, და ლიტერატურისა და თეატრის მოყვარულ — კულტუროსან მოხელეებთან ერთად, „კავკაზის“ გარშემო მემოკრძენ. აღვილობრივი ინტელიგენტები სამხედრო პირთა და მოხელეთაგან. პლატონ იოსელიანი, ღიმიტრი ყიფიანი, ღიმიტრი ბაქრაძე და ბევრნი სხვანი. მოვალედ სთვლილენ თავიანთ თავს მიეწოდებინათ გაზეთისათვის სტატიები, ისტორიული ნარკვევები, გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული გამოკვლევები.

თანამშრომელთა უმეტესობა პირად ურთიერთობაში იყო. მიხ. თუმანიშვილთან, იკრიბებოდა მის სახლში სალიტერატურო და საზოგადოებრივი საკითხების განსაბჭობად და მიწერ-მოწერას აწარმოებდა მასთან. ამ თანამშრომელთა შორის იყვნენ ნიკ. გ. ბერძენივი.

(ბერძნიშვილი) და ივ. ივ. ევლახოვი, ორმოქმედებიანი კომედია-
ვოდევილის „Свадьба“-ს ავტორი.

ნიკ. ბერძნიშვილი ერთსაღაიჭვე დროს იყო ლიტერატორი, ეთნო-
გრაფი და მოხელეც, იღებდა ახლო მონაწილეობას 50-იანი წლების
„კავკაზში“ და კარგად განწყობილი იყო მის. თუმანიშვილთან, რომე-
ლიც, როგორც ეს სჩანს მეფის-ნაცვლის კანცელარიის დირექტორის,
ვას. ანტ. პისარსკის წერილიდან, ცდილობდა ბერძნიშვილის დაწი-
ნაურებას სამსახურში.

ივ. ივ. ევლახოვი ეკუთვნოდა მის. თუმანიშვილის მუდმივი
კორესპონდენტების რიცხვს. მათ აკავშირებდათ არა მარტო ლიტე-
რატურული მუშაობა, არამედ პირადი მეგობრული განწყობილებაც.

ივ. ივ. ევლახოვი უეჭველად ნიჭიერი უურნალისტი იყო. მაგრამ
ისეთ აღამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც ბედი არც თუ-
აგრერიგად ულიმის. სამსახურმა კარგანნობით მიყრუებულ პროვინ-
ციაში გადააგდო და დიდის გაჭირვებით მიაღწია მან თბილისს. მა-
ლალ სულიერ მოთხოვნილებათა მქონი აღამიანი და ყოვლად-ინტელი-
გენტი, იგი ცუდად გრძნობდა თავის თავს პროვინციელ მოხელეთა
შორის, მაგრამ ბუნებრივი მოკრძალეობა და სათნო ხასიათი ხელს-
უშლიდა მას შეექმნა თავისთვის ისეთი საზოგადოებრივი მდგომარე-
ობა, რაც უპრიანი იყო მისი გონიერივი განვითარებისათვის.

როდესაც ევლახოვი თბილისში იყო ხოლმე, დიდ ყურადღებას
აქცევდა მის. თუმანიშვილის სალიტერატურო მუშაობას, მის კრიტი-
კულ შენიშვნებს. მაგალითად, როცა გაიგო, რომ მის. თუმანიშვილის
სტატია პიესა „მაიკოზე“ უნდა დაბეჭდილიყო გაზეთში, წინადღით
აცნობა ბარათით მის. თუმანიშვილს გაზეთის გამოსვლა ამ სტატიი-
თურთ. აი, სხვათა შორის, ერთი უანრული დეტალი, მაშინდელი
ყოფაცხოვრების დამახასიათებელი: ევლახოვი იწვევს დიმიტრი ჯორ-
ჯაძეს, მის. თუმანიშვილს და ისე ანდრონიკაშვილს თავის ქორწილ-
ში (ალექსანდრეს ეკლესია, კუკიაში). დიმ. ჯორჯაძეს დაუტოვებია:
მოწვევის ბარათი თუმანიშვილისათვის (რომელიც, ალბათ, შინ არ
დახვედრია) შემდეგი წარწერით: „Костюм — чёрный фрак при звез-
де, ленте под фраком и белом галстуке, тут лежит 1872 წ.
ევლახოვის ერთერთ წერილში მის. თუმანიშვილის სახელზე (1872 წ.
ივნისის 3-ის თარიღით) აწერილია 1872 წლის საშინელი მიწისძვრა
შემახაში, რის მოწმეც თვით ევლახოვი ყოფილა:

„ერთ კვირაზე მეტი არ იქნება, რაც შემახაში დავბრუნდი ჩვენს
გუბერნიაში ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ — გავეცანი ლენქორანისა,
შუშისა და ნუხის მაზრებს და ოვეიზია გავუკათე ამ ადგილების ყველა
დაწესებულებას. მთლად დატვირთული სხვადასხვაგვარი შთაბეჭდილებე-



მ. ბ. თუმანიშვილი სამოცდან წლებში.

ბითა და სიმოვნებით, მაისის 26 მოვედი აქ ისევე თარზნიშვილთან, ახალგაზრდა კწეინა, მამუკას (ორბელიან). ცოლთან, და ნუსაში ჩამოსულ სხვებთან ერთად. ჩვენს სტუმრებს შემახა დიდის უკილხილით შეხვდა: ყველას უხაროდა, ყველაფერი სიცოცხლით სდფლდა და კიდევ ბევრ სიამოვნებას მოველოდით... მაგრამ ვაჲ! ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა. მაისის 30-ს ნაშუადღევის 4 საათზე უძლიერესმა მიწისძერამ საშინელ უბედურებაში ჩაგდო შემახა. ძელია იმის გადმოცემა, რაც აქ ხდებოდა მიწისძერის პირველ წუთებში; ეს საშინელი, ჯოჯოხეთური და დაუსრულებელი რახრახი შენობების ნერევისა და საერთო აღმფორება ახლაც ყურს ჩამესმის; გადაჭარბებული არ იქნება, რომ ვთქვათ, განმეორდა პომპეიის დანგრევის ერთერთი სცენა; რაღაც ქვეყნის აღსასრულის მსგავსი რამ ხდებოდა, — იმდენად საზარელი და მრისხანე იყო ეს მოვლენა. არც ერთი სახლი არ გადარჩენილა დაუქცეველი ან დაუზიანებელი, აღარც ერთ სახლში მდგმური აღარ არის, დალუპულთა რიცხვი (დააზლოებით 200-მდე). ჯერ ზედმიწევნით გამორკვეული არ არის; გადარჩენილნი ნაღვლიანად დასტირიან დალუპულ საცხოვრებელს და აღაჩუხებში ცხოვრობენ; სხვათა შორის, მახელეთაგან არავინ მომკვდარა. ბევრი მცხოვრებთაგან წავიდ-წამოვიდნენ აქეთ-იქით. ერთი სიტყვით, გული ტანჯვით გვესება, როცა გაჟურებ ამ, თითქო, ცოცხალ ქალაქს, დანგრეული შენობებით მოფენილს, ნამდვილად კი უსულო გვამს. რა იქნება შემდეგში — ომერთმა უწყის, მაგრამ ჯერჯერობით კვლავ ნანგრევებს სთხრიან — ზოგი გვამების ამოსალებად, ზოგი — თავისი ბარგი-ბარხანის მოსაძებნად; მაინც ახლა ჩვენი მდვომარეობა შედარებით გაუმჯობესდა, ისეთი საშინელი აღარ არის: თანდათან, გონჩე მოვდივართ საზარელ შთაბეჭდილებათაგან. ამბობენ, ყუბაშიაც გამანადგურებელი მიწისძერა იყოო, ხოლო შემახის ირგვლივ იგი 50 ვერსხე გავრცელდა. გწერთ ჩემი აღაჩურიდან, როგორც მომთაბარე; არ ვიცი, რამდენად გახანგრძლივდება ასეთი მდგომარეობა, მაგრამ მგონია, ჩვენს დაწესებულებებს დროებით მაინც გადაიტანენ ბაქოში. ღვთის წყალობით, მე უცნებელი გადავრჩი, ხოლო დავზარალდი კი, სამაგიეროდ, გადარჩა ყველაზე უცირფასესი რამ — სიცოცხლე. აი თურმე რას ეწოდება მძიმე წუთების განცდა“.

ლუკა ისარლიშვილი [ისარლოვი] ქართულ ლიტერატურაში ცნობილია უფრო, როგორც მიზეზიანი ცენზორი, ლევან მელიქიშვილის პროტექციით დანიშნული პრესის „მზრუნველად“, ვიდრე როგორც ლიტერატორი. უდავო მხოლოდ, რომ მის „წერილებს საქართველოზე“ („Письма о Грузии“), აქვთ რამოდენადმე მნიშვნელობა. იგი აღნიშნავდა ფაქტებს, აგროვებდა ყოველგვარ ისტორიულ და ეთნოგრაფიულ მასალას და ინახავდა მომავალი შთამოებისათვის. ისარლიშვილი ლექსებსაც სწერდა, მაგრამ ლექსებს — საშუალო ლირსებისას. ახალგაზრდობაში მსახურობდა ქუთაისსა, დალესტანსა და კავკასიის სხვა ადგილებში და მიწერ-მოწერაში იყო თბილისის გიმნაზიის ყოფილი წრის ზოგიერთ წევრთან, რომლებთანაც მას კავშირი ჰქონდა ლიტერატურისადმი მიღრეკილების ნიადაგზე, სხვათა შორის. მიხ. თუმანიშვილთანაც. ის გარემოება, რომ ლუკა ისარლიშვილი იხსენიებს

ბარათაშვილს, ვარლამ აკეს (მოკითხვა გადაეციო) და, ჩაღა თქმა უნდა, ლევან მელიქიშვილს, რომელიც შემდგომ მას მტარველობას უწევდა სამსახურში, იმას მოწმობს, რომ ლუკას მათთან კავშირი არ შეუწყვეტია. ისარლიშვილის ყველა წერილს თუმანიშვილისადმი საზოგადოებრივი ინტერესი როდი აქვს, მაგრამ ზოგიერთი მათგანი არსებითი მნიშვნელობისაა მის გამოჩენილ თანამედროვეთა ბიოგრაფიების შესავსებად. თავისი ლექსები ისარლიშვილმა წარუდგინა სამსჯავროდ მიხ. თუმანიშვილს და მსჯავრი გამოვიდა მკაცრი.

„ получил твои стишки, — съезжих ми в. тумананишвили лука ისარლიშვილ 1841. Члены землемеры б-и, — я читал их и душу не мог отвести от горя. Я с братским участием разделял сон твоего сердца, осужденного на пытку страшную, невыносимую. Эти громкие жалобы любви, когда-то богатой надеждами, а теперь безотрадной и умирающей вдали от милых предметов... Одним словом, я увидел в стихах твоих самого тебя в настоящем твоем виде и фарме. Но вот, друг, что значит быть малодоверчивым к самому себе: ты прекрасно сделал, что твои стихи подвергнул моей цензуре и вероятно до моего отзыва имел авторское терпение не пустить их в свет. Я должен удержать стремление светлобьющего ключа, чтобы перловых струй его не умес сердитый поток и не разбил-бы их в мутных волнах своих.*

Одним словом, я стихи твои могу уважать только из уважения к тебе. Это я говорю потому, что желаю тебе добра. Но ради бога, не поверяй их свету: он неблагодарен, он не оценит твоего благородного труда. Самому надо быть судьей и своим талантам, и своим недостаткам, да притом одною или двумя счастливыми попытками не приобрести славы Байрона и прочих поэтов".

იმავე წლის ბოლოს მიწერილი ლუკა ისარლიშვილის წერილიდან შეიძლება გამოვარვით ნაკლებცნობილი, მაგრამ არა მცირე მნიშვნელობის მქონე ფაქტი: 1841 წელს განხრახული ყოფილი ლიტერატურული ალმანახის გამოცემა, როგორც ჩანს, პროექტიად ან ხელნაწერად დარჩენილა, მაგრამ მიხ. თუმანიშვილი აგროვებდა თანამშობლებს და, ისარლიშვილთან ერთად, რომელსაც უნდა მიეცა ბესტუკევ-მარლინსკის თარგმანი. ალმანახში, რასაკვირველია, მონაწილეობას მიიღებდა თბილისის გიმნაზიის წრის ყოფილი მონაწილე ახალგაზრდობა.

წერილის ცალყბა ჩვენებით შეგვიძლიან. დავასკვნათ, რომ ალმანახის მონაწილე ღიმიტრი ციფიანიც უნდა ყოფილიყო:

„15 декабря 1841. Кутаис.

Не можешь себе представить, друг Михаил, как я виноват перед тобою; но извинения и прощения прошу у твоей дружбы. Я не хотел писать обыкновенным образом, а хотел написать к тебе вроде лите-

* აჯ ბათ, ისარლიშვილის ლექსების მიბაძვა.

ратурного письма, длинного с разными разностями, как это бывало прежде, но просятая болезнь моей ноги, которую ты предсказал так пророчески из Тифлиса... Вот это собственно обстоятельство было причиной столь долгого моего молчания, но и это безмолвие напоминало всегда тебя. Ты писал ко мне о том, чтобы я внес что-либо литературное в известный Альманах. Я не успел всего переписать გამცვალების Бестужева, который у меня готов; но за всем тем я дал здесь Дмитрию Ивановичу [Кипиани] два стихотворения (элегические) и не знаю удостоились ли они чести быть внесенными в опыт, я по сию пору ничего об этом не знаю. Я просил о тех стихах мнения и суда Дмитрия Ивановича, но он, вероятно, занят делами более важными и потому совестно мне беспокоить его об этом при его обширных занятиях. А когда кончу გამცვალების, я пришлю его тотчас хоть на брань. Оно переведено без выспренностей თათა և ხახა и это более приличествует грузинскому языку.

... . Я с нетерпением жду от тебя ответа или вообще письма по-твоему написанного, которое принесет много-много удовольствий отсутствующему, но преданному тебе другу

Л. Исаардову.

Кланяйся Баратову и Варламову и Меликову и прочим".

1854 წლის ოქტომბრის 6-ს ისარლიშვილი სწერს თუმანიშვილს უგრძელესს წერილს სამეურნეო და სამსახურის საქმეზე და თანაც ატყობინებს, რომ „შენი სტატია წავიკითხე ბატონიშვილის გარდა-ცვალებისა.“* ძალიან მიამა და ბარე ხუთჯერაც წავიკითხე. კარგათ არის დაწერილი და ნეტაი წარმოადგენდეს მეასედ ნაწილს განსვენებულის ბატონის შვილის კეთილ სიცოცხლეს და კეთილ მოქმედებას“...

იმავე წერილში იგი ვრცლად ეხება ყირიმის ომს და გამოსთვამს რუსეთის ჯარის გამარჯვების წაღილს; თანაც სთხოვს: „მომიკითხე ისე [ანდრონიკა შვილი], იოსებ [დოდა შვილი], გევანა [?], კნიაზ არჩილ ივანიჩს [ანდრონიკა შვილი] მოკითხვას მოვახსენებ, ვერно უвидишься ს ნიმი“.

ლუკა ისარლიშვილი კარგა ზანი იყო, ისტრატოდა პროვინციიდან თბილისში, მაგრამ დიდხანს ვერას ახერხებდა. რაკი გაიგო, მიხ. თუმანიშვილი საგლეხო საქმეთა კანცელარიის მმართველად დაუნიშნავთო (1864 წელს); იგი, კარგა ხნის განმავლობაში მიწერ-მოწერის შეჩერების შემდეგ, დიდის თხოვნითა სთხოვს თუმანიშვილს მიიღოს თავისთან კანცელარიაში: „...დიდათ გმადლობ, რომ გაიანესთვის მი-გიციათ იმედი ჩემი გადმოყვანისა; გთხოვ, კნიაზო, მიხეილჯან, არ დამივიწყო და მომიგონო ხოლმე; გთხოვთ უმორჩილესად

* ლაპარაკია იმერეთის ბატონიშვილ მარიამ არჩილის ასულზე (იმერეთის სუკანასკნელი მეფის სოლომონის II-ის დაზე), რომელიც გარდაიცვალა 1854 წ. ექტემბრის 10-ს, 86 წლისა. მიხ. თუმანიშვილმა მოათავსა მისი ნეკროლოგი „კავ-ჭანში“ (1854 წ. სექტემბ. 18, № 75).

ეგებ მოახდინოთ ჩემი გაღმოყვანა თქვენთან დელოპროიტელად ახალ კანცელარიაში, რადგანაც თქვენ იქნებით უპრავლიაშჩად... იმედი მაქვს, რომ თუ მოინდომები შეგიძლიათ მოახერხოთ და საუკუნოდ დამავალოთ“.

ლუკა ისარლიშვილს, ალბათ, მიხ. თუმანიშვილისგან არა სავსებით გარევეული პასუხი მიუღია, რადგანაც იგი 1865 წლის იანვრის 1-ლის ჭერილში მწარედ უჩივის ქუთასში მუშაობის მძიმე პირობებს კინკლაობასა და ინტრიგებს შორის.

„... სტეფანესთვის გეთქვათ, რომ მე კრიზი გიორგი მუხრანსკი კარგის ყურადღებით არის; მარა აქ გულს მიხეთქენ ოთხიოდ მეჭორე ბოროტ მზრახვნელი, აქაურობის ამრევნი, იზუმსკის და ნესტორ ჭერეთლის მტერი, რომელიც იმათ გულისაოვის ჩემთანაც მტერობენ.“

იმათ ულაპარაკნიათ აქა ჩემსედ სტარიცკისთვის ცუდი, რაც პირს მოდგომიათ, შურით და ღვარძლით სულ თავიანთ. მოკონილი კლაუზნი ჭორები და ტყვილები. არ ვიცი, რა დამიშავებია, ამდენი წალიწადია კეთილად და მართლად ემსახურებ და ეხლა უცებ სტარიცკის მოსვლის დროსა როგორ შევიქენ ცუდი; ან ის როგორ უნდა ეფუძნებოდეს მოგონილ ჭორებსა, რადგანაც იმათ ჩემთან სრულებით არც კი ულაპარაკნია საქმეზე, მხოლოდ ერთხელ გვნახა, სუდი რომ დაიარა. გთხოვ უმორჩილესად; ჩემო უძვირფასესო კრიზო მიხეილ-ჯან, ძველისაებრ მომეცი ნუგეში და ორიოდ სიტყვა უთხარი სტარიცკის და კრიზი გიორგი კონსტანტინიჩის, რომ უბრალოდ არ დაშჩაგრონ; აქაური ხალხი თვით სტარიცკიმაც გაიცნა, რაც საძაგლნი არიან“...

თ ა ვ ი IX

მიხეილ თეატრიშვილის პირველი

რუსი პუმანისტების გავლენა. სულიერი მოთხოვნილებანი. შვილების აღზრდა. მიწერ-მოწერა თავის შვილ გიორგისთან. ქალიშვილები. პიროვნების მრავალმრზრიანობა. ინტერესი ისტორიისადმი. ნაცნობობა ბროსსესთან. ავადმყოფობა და სიკვდილი.

აღამიანის ცოდნა გულისხმობს ეპოქის ცოდნას; მაგრამ, პირიქით, ეპოქის ცოდნა შეუძლებელია, თუ მისი აღამიანები არ იცი. აღამიანისა და ეპოქის ურთიერთობა შეადგენს მოღვაწის შეფასების საფუძველს.

მიხ. თუმანიშვილმა შეგნებული ცხოვრება დაიწყო იმ წლებში, როდესაც რუსეთში წარმოიქმნა უაზნო, „რაზნოჩინცური“ ინტელიგენცია, რომელმაც აღიმაღლლა ხმა პროტესტისა ნიკოლოზ I-ლის მკაცრი მეფობის წინააღმდეგ.

ბოლიტიკურად მიხეილ თუმანიშვილი არმოციანი წლების რუსი პუმანისტების — შელინსკისა, დობროლიუბოვისა, გრანოვსკისა და

გერცენის გავლენის ქვეშ იყო. უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ დო-ბროლიუბოვის სურათი მუდამ მიხ. თუმანიშვილის საჭერ მაგიდაზე იდგა. გერცენის „კოლოკოლს“, რომელმაც, ვინ იცის რა გზით, თავი ამოჰყო იმპერიის გადაკარგულ განაპირა ქვეყანაში, მიხ. თუმანიშვილი დიდის ზრუნვით ინახავდა. მის არქივში აღმოჩნდა გულმოდგინედ გადაწერილი: მეზნებარე გერცენის გამანადგურებელი წერილები ალექ-სანდრე II მიმართ, 1855 წლის მარტის 10-სა, და იმპერატრიცა მარიამ ალექსანდრეს ასულის მიმართ, 1858 წლის ნოემბრის 1-სა, ტახტის მემკვიდრის აღზრდის თაობაზე; გერცენისავე სტატია; ზღაპარი „Осетр“ (1859 წ.) — სატირა „ცოდვილობა გონებათა მიძინებისათვის“ („Затеи к усыплению умов“); გერცენისა, რილე-ვისა და სხვ. აკრძალული ნაწარმოებნი, უცხოეთში გამოცემული, და აგრეთვე ხელნაწერი ასლები ბელინსკის შესანიშნავი წერილისა კოგო-ლისადმი, და სხვ. და სხვ.

მიხ. თუმანიშვილის ბიბლიოთეკა ისე იყო შედგენილი, რომ მოი-ცვავდა მრავალგვარ ინტერესებს და შეიცვალა პოლიტიკური და ეკო-ნომიური ხასიათის აუარებელ წიგნებს რადიკალური მიმართულებისას, ყველა მაშინდელ ცნობილ თხზულებას საფრანგეთის დიდ რევოლუ-ციაზე და ბევრ საბუნებისმეტყველო და სამეცნიერო შინაარსის წიგნს. მილლის „ლოგიკა“, ტოკლის „ისტორია ცივილიზაციისა ევროპაში“, მაკოლეის და გიზოს წიგნები, ტოკვილის „საშუალო საუკუნოების ისტორია“, „პროპილეა“-ს ხუთი ტომი, ტოკვილის „დემოკრატია ამერიკაში“, ყველა რუსი კლასიკოსი, შექსპირი, ბაირონი, ტენის „სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლების განვითარება ინგლის-ში“ („თვალი ველარ მოგვიშორებია ამ ჭკვიანური და საუცხოო წიგნისათვის“, — სწერს იგი 1872 წლის ოქტომბრის 16-ს თავის შვილს გიორგის), „ისტორია გლეხთა ომისა გერმანიაში“, დობროლიუ-ბოვი, ბელინსკი, ჩერნიშევსკი, ვასილჩიკოვის „თვითმმართველობა-ზე“, — აი, ერთი თვალის-გადავლებით ჩამოთვლილი ზოგიერთი წიგნი, რაც შეადგენდა მის საკითხავს 60-იან და 70-იან წლებში. ამ წიგ-ნების უმეტესი ნაწილი მის ბიბლიოთეკაში იყო, მაგრამ, ამის გარდა, მიხ. თუმანიშვილი ვიხმანის წიგნის მაღაზიის აბონენტი იყო და ახალ-ახალი გამოცემანი საკითხავად მას ამ მაღაზიიდან მიჰქონდა. ჰუმანი-ტარულ ცოდნასთან ერთად მას ძლიერი ინტერესი ჰქონდა საბუნე-ბისმეტყველო მეცნიერებისადმი და 1874 წ. თებერვლის 12-ს იგი ეკითხება წერილში თავის შვილს გიორგის, რომელიც ისმენდა ცნო-ბილი ფიზიოლოგის სეჩენოვის ლექციებს: „Каково было вам расстас-ваться с Сеченовым. Университет, вероятно, не на шутку ту-жит о нем“.

იგი ესწრება თბილისში მედიცინის ღოქტორის თარხან-მოურავის (შემდეგში პროფესორისა და აკადემიკოსის) ლექციებს 70-იან წლებში და სწერს მასზე თავის შვილს. ერთერთ წერილში — 1871 წ. ნოემბრის 28-ს — იგი აღნიშნავს თბილისის საზოგადოების ცვალება-დობას:

მიხ. თუმანიშვილის ყურადღებას არც სხვა ლექციები გამოკვარვია, რომლებსაც პმართავდა თბილისის არტისტული წრე (შემდგომ „Тифлисский кружок“): ბოკისა — ქიმიაზე, გორძიებესკისა — სიტყვიერებაზე, სტადლენისა — ბოკლზე, სკოროვისა — ორგანიული მოძრაობის ძალაზე, მოლჩანოვისა — პოლიტიკურ ეკონომიაზე, ტრაქებესკისა — პოლიტიკურ ისტორიაზე და სხვ. იგი ამავე დროს არც კონცერტებს გაურბის.

მიხ. ოუმანიშვილის წერილები სავსეა აუარებელი ცნობებით წაკითხულ წიგნებსა, მოსმენილ, ლექციებსა და გამოწერილ უურნალ-გაზეთებზე. ეს წერილები დაწერილია უშუალოდ სიკვდილის წინა წლებში, როდესაც იგი უკვე სუთ ათეულ წელს კარგად იყო გადა-ბიჯებული, და გვიჩვენებენ, რომ გონებრივი ინტერესები არ ჩახშო-ბილა მასში სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. აუარებელ უურნალ-გაზეთებს იწერდა და ნამდვილადაც კითხულობდა: „Отечественные записки“, „С.-Петербургские Ведомости“, „Неделя“, „Русская старина“, და ყველა აღილობრივი გაზეთი და უურნალი შეაღენდა მის ფოსტას 1872 წელს. ასევე შემდეგ წელსაც:

„Чтоб не отстать от того, что происходило в умственном, общественном и политическом мире в истекшем году — სუჟეტს იგი თავის შვილს გომრგის 1874 წლის თებერვლის 5-ს — წაიკითხ передовые обозревающие статьи первых номеров „С.-Петерб. Ведомостей“. ¹³⁶ ზოგად აქ წაგაკითხებთ ზაფხულში, როცა გვედირება შენი მშვიდობის ხახვა. „Неделю“ мы выписали и в нынешнем году,— какая золотая газета.¹³⁷ Я собираюсь на днях выписать новое издание Оснований полит. экономии Милля, автобиографию его же, сочинения Бекона — знаменитого английского юриста — мыслителя, новое издание Байрона, Гербеля etc.....

Шлю тебе №№ „Тифл. Вестника“ и 2 следующие книжки „Кребули“. ¹³⁸

იმავე წლის თებერვლის 12-ს, ე. ი. ერთი კვირის შემდეგ წინა წერილის გაგზავნისა, იგი ატყობინებს შვილს, რომ

„მთებში ისევ ზვავებია, — მხოლოდ რეჟისორმა იაბლოჩკინმა გაარღვევია თოვლის ნამქერები და მოახერხა თბილისში მოვარდნა. ასეთ უეცარ მოსვლას ოხუნჯები იმით ხსნან, რომ მას უნდა დირექტორისთან 6 წლით დასადებ ხელშეკრულებაში მოათავსოს მისთვის უაღრესი მნიშვნელობის მქონე გარანტია, რომელიც დაიცავს „ტიფლ. ვესტნიკის“ დევნისაგან. მოახერხეს აგრეთვე ზვავებში გაზიარდების რამდენიმე ნომრის გამოტანა. ტასო ¹³⁹ ზის გარსშემოხვეული ერთის მხრით ახლად მიღებული „პეტერბურგსკია ვედომოსტებით“, „ოტეჩსტვებინი ხაპიკებით“ ¹⁴⁰ და „ნედელიებით“, ხოლო მეორეს მხრით „დროებით“ ჩევენ უკვე გამოვიწერეთ ამ წლისთვის იგი და „ქრებული“. და ხარბად ათვალიერებს, თუმცა ამასთანავე დროს უწილადებს გეტნერსაკა ¹⁴¹ და თავის საყვარელ ვერმანულ ენასაც. მე ვუთხარი, წერილი მოეწერა, მაგრამ ამ რაჯობაზე ამის გაგონებაც კი არ უნდოდა, გადასდომ გემის შემდეგ გამოსვლამდე; ამის გარდა, ერთი საათის შემდეგ ლექციაზე მივდივართ „კრუზოკები“; წაიკითხავენ მასწავლებლები: ბოკი ქიმიაზე (სპექტრიალური ანალიზი, ცდებით) და გორძიევსკი — სიტყვიერებაზე (ბაგშვები და ზღაპრები)“.

მიხ. თუმანიშვილი იწერდა აგრეთვე „Дело“-ს, წინათ კი, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის დროს, — „Современник“-ს და „Русский Вестник“-ს იმ პერიოდისას, როდესაც ამ უკანასკნელში მონაწილეობას იღებდნენ სალტიკოვ-შედრინი, ტურგენევი, ჩიხერიძი და სხვა გამოჩენილი მწერლები და პუბლიცისტები. აღგილობრივი ცხოვრება — საერთოდ და ნამეტნავად კი ქართველთა ცხოვრება შეაღენდა შეილისათვის გაგზავნილი წერილების შინაარსს. მას არ გამოეპარებოდა არც ერთი ახალი მოვლენა სალიტერატურო და საზოგადოებრივი ხასიათისა და აღელვებდა აღგილობრივი ცხოვრების თვით წვრილმანი საკითხებიც კი.

„Тифлис, 10 января 1872 г.

Воскресенье.

Обнимаю тёбя крепко, мой дорогой Георгий. Что-то поделяешь и каково поживаешь? Продолжает-ли вас охватывать попрежнему вайпа суровая зима или она сделалась мягче? У нас зима только теперь входит в свои праза; после приятных теплых дней, попали сильные холода и вот уже третий день идет снег, не обещая, впрочем, удовольствия прокататься на санях. Праздник мы провели по обыкновению: то дома за чтением или в кругу посещавших нас родных и знакомых, то в театре и Кружке, то в гостях. Вчера мы были на большой свадьбе дочери Константина Зубалова — сестры вашего Леона Зубалова¹⁴² с Иосифом Гумановым, впрочем мы с Васей и Костей успели побывать вчера же и на большом, шумном и веселом бенефисе Соколова. Наш театр положительно держится этим артистом — все больше и больше овладевающим симпатиями Тифлисской публики. Газета „Кавказ“, в руках новой редакции, начала свои дебюты, но не очень блестательно. Что за язык первых двух передовых статей и последнего фельветона об общественной жизни! Какой набор

слов и тредкучих фраз! Впрочем, в мелочах она разнобразнее, нежели при Сливицком.¹⁴³ „Գրողներ“ мы выписали и на нынешний год, хотя до сих пор ни одного номера еще не получили. Газета эта, видимо, клонится к упадку, подписчиков несравненно меньше, чем жажда в прошлом году. Зато на горизонте местной публицистики выдвинулась новая армянская газета г. Арируни, при содействии напеч Шавердианца,¹⁴⁴ хоть не разберешь, свет-ли или тьму она будет изливать. Вообще, с нынешним молодым поколением ничего прочного не устанавливается, вероятно по причине переходного состояния взглядов и идей. Разве вы — подготовляющиеся деятели — укрепите почву и в главе их ты, мой „маленький аббатик“. Не пора ли приспать нам твою карточку, чтобы видеть, насколько ты возмужал, или оставить это лучшее до личного свидания. Պատճեն գոյաց նախա Շենք Փոշին առ Թուղթու, յահուտած օպերոնու — յըշաց. Ազգական մասնակիութեան գանձի գոյզընէբ. Շենք նախան մասնակիութեան

მიხაილ.

1873 წლის იანვრის 20-ს მიხ. თუშანიშვილი ატყობინებს, რომ

„თევატრის საქმეები გამოკეთდება, მაგრამ საეჭვოა გამოყენდეს საქმე „ტიფლ ვესტნიკისა“, რომელიც მეტისმეტად სუსტი გახეოთ აღმოჩნდა. გასა-გებიც არის: ამ ახალგაზრდა ბებუთოვება, რომელიც უნიჭო არ უნდა იყოს, საქმეს სერიოზულად არ მოჰყიდა ხელი, ალბათ, [შემდეგი სიტყვა გაურ კვევლია] სხვების ძეგლით, სლივიცისებურად, და არ გაი-მაგრა ზურგი თავისიანებით. სკანდელი წინანდელებო გამოიდა „დროებაში“, მაგრამ ცველაფერში უგემოვნებაა, მამლაყისტობა, და მეტი არაფერი.

წაიკითხე თუ არა „გოლოსში“ №12, სტატია „გავკასიის პრესა“ („Кавказская печать“). ყველა ეს სეიდლიცები, პფაფები, ზისერმანები, სტალინსკები ძალიან მრისხანებენ, მაგრამ ტყუილად: ყველას სათანადოდ მიეზღო დამსახურებისამებრ. სტალინსკიმ ვას უსი გასცა „გავკაზში“, მაგრამ სუსტად. გირჩევ წაიკითხო აგრეთვე სტატია „რუსი ემიგრანტები“ („Русские эмигранты“), „მოსკოვსკია ვედომოსტების“ 9-დან 15-მდე №№-ში, სადაც, სხვათა შორის, გამოყვანილია ჩვენი გამოჩენილი ნიკოლაძეც.

“ტიფლ. ვესტრინგი” უკიდურესად უნიკათო აღმოჩნდა და ძლივ-ძლიობით მიჩნალებს მისთვის საძნელო ასპარეზზე. შეინც მის საუკეთესო ნომრებს გამოვიგზავნით ახლო ხანში”.

1873 წლის სხვა წერილში (სუქტებრ. 15 – 17) იგი სწერს:

„... თბილისის ლიტერატურულ საზოგადოებრივ საცხაროში, რომელიც შენ გაინტერესებს, მოხდა ახალი ამბები. აღმოჩენანი და გამძვინვა-რებული შინაბრძოლა. „ტიფლ. ვესტნიკმა“ ორ ნომერში, პ. ბოტინის პირით (ირკვევა, ომ ეს ბოტინი-იგივე სკანდელია და არა სწვა ვინმე) ¹⁴⁵ გალანძლა ძალიაშ ზაფრააშლილად თეატრიც, დირექტივიაც და საზოგადოებაც. წარმოდგენების დროს აქტიორები სცენიდან ეკრანტიშლებიან „ვესტნიკის“ „რედაქტორსაც და რეცუზენტებსაც; ამის გარდა, „კავკაზმა“ მოათავსა სტატია აქტიორებისა და, აქტრისების დასაცავად. ბებუთოვმა ¹⁴⁶ გახსნა თავისი კაპარტი და ჯერჯერობით ისარი პროტასოვს სტყორცნა. მეორეს მზრით და იმავე დროს ბებუთოვმა გამოლანდა სკანდელი მისი ნამდვილი ხახელით (და არა ბოტინი — თავისი თანამშრომელი) ქუთაისის ბანკის პროექ-

ტის გამო. სკანდელმა პასუხი არ დაუგვიანა მისვე „ ვეს ტნიკ ში “. დავით ერისთავმა ¹⁴⁷ მოათავსა „ ვესტნიკში “ ფულეტონი ლექსად — დობრო-ლიუბოვის „ სვისტკის “ მიბაძვით, ომლითაც უსტვინა სკანდელსა და ქმათა მისა. გორისელი „ დროებაში “ სწვდა ბებუთოვს მის (გორისელის) მიერ დაწუნებული, დავით ერისთავის რეცენზის დაბეჭდისათვის კრებულის შინაგამდეგ და თანაც მან ქართველურად მაგარ-მაგარი შეუკურთხა ბებუთოვსაც და ერისთავსაც, უწოდა რა უკანასკნელს ბავშვი. ომელსაც ყური უნდა აეწიოს. და ყოველივე ეს მოხდა სულ ერთი კვირის განმავლობაში შენი წასვლის შემდეგ! მზადდება, დუღდება დიდი აუზური (კათავასია) — მე მგონია, ბრძოლა იქნება მით უფრო მედგარი, მით უფრო გამძვინვარებული და გაბოროტებული, რომ მასში ურევან ისეთი მებრძოლნი, როგორც ნიკოლაძე, ბებუთოვი და სოკოლოვი. მით უფრო კარგი, დროა, გაიღვიძონ გაზეთებმაც და თეატრმაც. ”

„ ჩვენ, ჩვეულებისამებრ, სულ შინ ვართ — სწერს მიხ. თუმანიშვილი 1873 წლის ნოემბრის 26-ს. — ჩვენ ყოველთვის როგორდაც შინ ყოფნა უფრო გვესიამოვნებოდა, ნამეტავად ახლა ჩვენს სევდიან გულზე | ქალიშვილი ბარბარე ეს გადაცვალების გამო | ჩვენს განმარტოებულ ცხოვრებას ასხვაფერებს ნაცნობთა და მახლობელთა მოსვლა, და, მათ შორის, განსაკუთრებით, ბიძია ალექსანდრესი [თუმანიშვილისა] მისი დაუშრეტელი ჰუმორით, აგრეთვე წიგნებისა და გაზეთების კითხვა. გაზეთებში ყველაზე მეტად გვაინტერესებს ბაზენის პროცესი ¹⁴⁸ და საფრანგეთის მომავალი ბედ-ილბლის საკითხი — საკითხი, რომელშიაც გრაფი შამბორის კანდიდატურა საფრანგეთის. მომარქობაზე გადაწყდა მხოლოდ კადრილით ა la Chamber. ¹⁴⁹

ადგილობრივ გაზეთებში, ქალაქის თავის შინააღმდეგ შეტევის შემდეგ (რასაკვირველია, უნაყოფოდ), არაეითარი განსაკუთრებული ინტერესი არ არის, იმის გარდა, რომ სკანდელმა რაღაცისათვის რისხვა დაატეხა მკითხველებს, გამოლანდლა მთლად ქართველი საზოგადოება და ხელი აიღო წერაზე (რაღა ეშველებათ საწყალ მკიოხველებს) ”.

გიორგი თუმანიშვილის ოდესაში ყოფნის დროს (1871 — 1875 წ.წ.) შეს მთელი ოჯახი სწერდა წერილებს: მამაც, დედაც, დებიც — ანასტასია და ბარბარე, ძმებიც — ვასილი და ხანდახან კონსტანტინეც. ძმებისა და, განსაკუთრებით კი, დების წერილები ეხებოდა არა მარტო პირად, არამედ აგრეთვე საზოგადოებრივ საკითხებსაც. მი წერილებს, ერთად შეგროვილს, საკმაო ინტერესი ექნებოდა, როგორც მასალას სამოცდაათიანი წლების თბილისის სალიტერატურო და საზოგადოებრივი ცხოვრების მკვლევარისათვის. მამამ ყოველთვის იკრიბა, რასაც შეილები სწერდნენ გიორგის და მათი წერილების ფურცლებზე აქა-იქ გაღიანტულია შისი ნართაულები და შენიშვნები. რადგანაც თითონ მიხეილს საქმაო დრო არა ჰქონდა მალიმალ წერისათვის, იგი ხანდახან იმას სჯერდებოდა, რომ შვილებს წერილებისათვის მასალას აძლევდა, ასე რომ შვილების წერილები (მეტადრე ქალიშვილებისა) განბილულ უნდა იქნეს როგორც, რამოდენადმე, მა-

მის შეხედულებათა და აზრთა გამოთქმა. უფრო ხშირად კი — ეს წე-
რილები დამატებაა იმ მოქლე ცნობებისა, რასაც თვით მამა უგზავ-
ნიდა გიორგის.

მის. თუმანიშვილი თითონვე ხელმძღვანელობდა თავისი შეილების
აღზრდასა და განათლებას, თვითვე ირჩევდა მათგის მასწავლებ-
ლებსა და სასწავლებლებს და თვალყურს აღევნებდა მათი სწავლების
თვითეულ წვრილმანს. მისი ხელმძღვანელობის დაწვრილებით გამორ-
კვევა მოგვცემდა იმის სრულ სურათს, თუ რა აზრისა და რა შეხე-
დულებისა იყო ეს მოღვაწე აღზრდა-განათლებასა და ცხოვრების პრაქ-
ტიკულ ამოცანებზე. ბელინსკისა და დობროლიუბოვისადმი სიყვა-
რული, რასაკვირველია, ისე არ უნდა გავიგოთ, რომ მის. თუმანი-
შვილი „რაზნოჩინცელი ინტელიგენტი“ იყო. იგი ოდნავადაც არ იყო
არც „ინტელიგენტი“, როგორც ეს საყოველთაოდ ესმით, არც,
მით უფრო, „რაზნოჩინეცი“. არც შთამომავლობა, არც აღზრ-
და, არც წრე ნებას. არ გვაძლევს მას ეს საზომი მიუუყენოთ. ორ-
მოციანი წლებისა და შემდგომი ათწლეულების ნაწარმოებებში ჩაქ-
სოვილმა, ჰუმანიზმის იდეებმა აღზარდეს მის. თუმანიშვილში ის
გრძნობა, რამაც შეაძლებინა მას მისდგომოდა საგლეხო რეფორმას
არა როგორც მოხელე, არამედ როგორც დაჯერებული ლიბერალ-
ჰუმანისტი. სწორედ ამ აზრის მიხედვით იგი უნდა ითვლებოდეს
მოწინავე აღამიანად, თავისი იდეურობით რომ ირჩეოდა ადგი-
ლობრივ თავადაზნაურობაში, რომელიც თითქმის პირალებით მტრუ-
ლად შეხვდა 1864 წლის აქტებით ამიერკავკასიასა და საქართველო-
ში განხორციელებულ უბადრუკ „რეფორმასაც“ კი.

მის. თუმანიშვილის იდეურ და ლიბერალურ პოზიციას გლეხთა
რეფორმის საკითხში იხსენიებს. ამხ. ფილ. მახარაძე თავის ცნობილ
წიგნში „დანიელ ჭონქაძე და მისი დრო“ (ქუთ., 1904 წ., გვ. 63—67).

თუმანიშვილმა განვლო ცხოვრების მქაცრი სკოლა და, ამისდა
შესაბამისად, იგი ცდილობდა მიეცა შეილებისათვის (ქალიშვილებისა-
თვისაც) ისეთი სწავლა-ცოდნა, რომ ისინი მართლა განათლებული
ადამიანები ყოფილიყვნენ. რაკი თითონ მის. თუმანიშვილს შესაძლებ-
ლობა არა ჰქონდა მიელო სკოლაში ფართო სწავლა-განათლება და
ამას მიაღწია მხოლოდ განუწყვეტელი და ურყევი თვითგანვითარე-
ბით, სამაგიეროდ, ჩან თავის შვილებს სწავლის პირველ დღეები-
დანვე შეუქმნა ამისათვის საუკეთესო პირობები. საკვირველი გულ-
მოდგინებით არჩევდა იგი შვილებისათვის ფრანგული და გერმანული
ენების მასწავლებლებს და დაულალავად გაიძახოდა, რომ ევრო-
პული ენების უცოდინრად შეუძლებელია საკმარისად ფართო განათ-
ლების შეძენა. იგი უურადღებით ადგვნებდა თვალს შვილების ბუ-
ნებრივ მიღრეკილებათ და ახალისებდა მათში საზოგადოების წინაშე

პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას. გამუდმებით უმატებდა ბიბლიოთეკას, მისი აზრით, მოზარდი ახალგაზრდობის განსავითარებლად სასარგებლო წიგნებს; როცა თავისუფალი იყო, საღამობით უკითხავდა შვილებს საყვარელ ავტორებს და მათთან ერთად დადიოდა თეატრში, კონცერტებში და ლექციებზე. ავტობიოგრაფიულ შენიშვნებში, რომლებიც 1872 წელს ეხება, მისი შვილი გიორგი იგონებს; როგორ უყვარდა მამას შვილებისათვის პუშკინისა და ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა კითხვა. გიორგისათვის მიწერილი წერილები გვიჩვენებენ, რამდენად ათასებდა მიხ. თუმანიშვილი შვილისათვის საუნივერსიტეტო განათლების მიცემის შესაძლებლობას და რა სასტიკად პკიცხავდა ყოველგვარ „არ მეპრიანებას“ და გადახჩას ერთიდანერთი მიღებული მიმართულებიდან. თითონ გიორგი იხრებოდა ბუნებისმეტყველებისაკენ და პირველ წელს უნივერსიტეტში ყოფნისას ისმენდა ლექციებს ყოველ დარგში, მეტადრე კი ბუნებისმეტყველებაში. მამა არ უწონებს ენციკლოპედიურობას. 1871 წლის სექტემბრის 29-ს იგი სწორს შვილს:

.... კარგია რისაშე გულით არჩევა, მაგრამ უფრო უკეთესია გონებით არჩევა. ბევრი ფიქრისა და საუბრის შემდეგ მე და შენ განვითარეთ, რომ უკეთესია სამართლის მეცნიერებაზე გაჩერდე. ეს, რასაკვირველია, არა რაიმე მერკანტილური ანგარიშით, არამედ იმ რწმენით, რომ ეს მეცნიერება ნამდვილად გამოგადგება ცხოვრებაში. რასაც უნდა ლაპარაკობდნენ იდეალისტები, მაინც უპირველეს ყოვლისა სინამდვილეა საჭირო. იურიდიულად მომზადებულისათვის გზახსნილია ყოველგვარი ასპარეზისაკენ: ადმინისტრატიულიც, სასამართლოსიც, საზოგადოებრივიც, და, ვიმეორებ, არა პირადი მატერიალური მინებისათვის, არამედ იმისათვის, რომ სარეგებლობა მოუტანა შენს თანამოქალაქეებს. ახლა მე წინააღმდეგი ვარ იმისაც კი, რომ პირველ წელს მოისმინო ლექციები ყველა საგანგმო არ არის. მეშინიან, რომ აქედან დომხალი (cymnyp) არ გამოვიდეს. ახლავე დაიწყე იურიდიული მეცნიერებიდან ტა მთლავ მას დანებდუ. ამ მეცნიერების მნიშვნელობასა და სარგებლობაზე იმ მხრივ, რომ იგი გამოიყენება პრაქტიკული ცხოვრების ყველა დარგში, შენ ნახავ რამდენსამე ჭკვიანურ აზრს „პრავიტელსტვენი ვესტინგის“ 219 №-ში, მეორე გვერდზე რომ კორესპონდენტი ცია იაროსლავიდან — იქ; გირჩევ იგი წაიკითხო.

იურიდიული ფაკულტეტი კიდევ იმით არის სასარგებლო, რომ შედარებით უფრო ადვილია და შედარებიც უფრო ნაკლებ დროს მოითხოვს, და მეტ დროს დაგიტოვებს კითხვისათვის და სხვა, არა მარტო საჭირო, არამედ, აჯრეთვე საყვარელი საგრძების შესწავლისათვის. ამნაირად, მე ძალიან, ძალიან დაინტერესებული ვარ შენი ფაკულტეტით. მასშია მთელი შენი მომავალი. მე ველოდები შენგან ცნობებს ამ საგანზე. ხომ არა გაქვთ დაბეჭდილი პროგრამა ყველა ფაკულტეტისა და, თუ გაქვთ, ერთი ცალი გამომიგზავნე ცნობისათვის.

ძალიან მოხარული ვარ, რომ სერიოზულად შესდგომიხარ ფრანგული ენის შესწავლას. თუ დიდი მოცულობის წიგნები გჭირდება, მაგალითად მეცნიერებათა და ცოდნათა სხვადასხვა დარგების დიქსიონერი და

ეს შენთვის ხელმისაწვდომი არ არის ფინანსიურად მომწერე: ამ წიგნების საყიდლად ცალკე თანხას გადავდებ”.

„შენი წერილებიგან ვხედავ — სწერს იგი ამაზე რამდენიმე დღით ადრე, სექტემბრის 22-ს, — ომ თითქმ შენ ჯერ კიდევ მერყეობ; იური-დიული ფაკულტეტი არჩიო თუ არა. მგონია, ამაზე ჩვენ ბლომად ვიღა-პარაკეთ და სწორედ ამ ფაკულტეტზე გავტერდით, როგორც უფრო სასი-ცოცხლოზე, რომელსაც შეუძლიან მოამზადოს ადამიანი ყველა ასპარეზი-სათვის — სამსახურებრივისათვისაც, საზოგადოებრივისათვისაც, მეტადრე ისეთი ადამიანი, რომელსაც აქვს უძველი და აშკარა ნიშანწყალი სიძარ-თლისათვის, სამართლიანობისათვის და კეთილისათვის, და ასეთი მოღვა-წები ხომ მეტად სჭირდება სამსახურსაც და საზოგადოებასაც. აյ არჩე-ვანის საკითხი, მგონია, არც უნდა იყოს. საბუნებისმეტყველო მეცნიერება ეგრედწოდებულ შოკი არ ულია თვისა, რომელიც სამუდამოდ მო-ყვარეულებადვე დარჩებიან, გრიშასავით,¹⁵⁰ და ვერ გამოიყენებენ თავიანთ სპეციალობას მოქალაქის ასპარეზისათვის, მოქალაქის იმ მხრივ, როგორც ჩვენ ყველას გვინდა შენ გხედავდეთ. სჩანს, შენ მისცემიხარ პირველ ძლიერ შთაბეჭდილებას, შენ გაუტაცნიხარ დიდად პატივცემული პროფესორის პიროვნებას¹⁵¹ და თვით მეცნიერების ინტერესს, რაც, ყოველ შემთხვევაში, სადაო არ არის. მაგრამ პირველი ლექციების (ცთხა) სიმშრალემ გული არ უნდა აგიცრუოს არჩეულ საგანზე. ვიმედოვნებ, შენი სამყარო (ვლაპა-რაკობ იურიდიულ ცოდნათა სფეროზე), რომელიც შენს წინაშე უფრო და უფრო გადიშლება, — ყველაფერს უკან მოიტოვებს თავისი. მაღალი სასი-ცოცხლო ინტერესით და ღირსებით. მაგრამ არ ვიცი, იქნება შენ გინდა, პირველი საუნივერსიტეტო წელიწადი მოანდომო ლექციების მოსმენას ყველა საგანზე — აბგარ ორბელის მიერ გამოთქმული აზრისამებრ (გახსოვს, აბასთუმანში?)¹⁵² ეს, იქნება, ურიგო არა ყოფილიყო. ველოდები შენგან ცნობას საბოლოო გადაწყვეტილებაზე...“

ულოცავს რა 1874 წლის იანვრის 15-ს შვილს დაბადების დღეს, შიხ. თუმანიშვილი სწერს:

„ნუ დარდობ, ომ შენს ასაკში ალექსანდრე მაკედონელი ან ნაპო-ლეონ I-ლი არა ხარ: მგონია, ჰეშმარიტად განათლებულ იურისტად ყოფ-ნა, თანაც მთლიან ადამიანად, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, — ნაკლებ სახარბიელო არ არის.“

31 октября 1871 г. Тифлис.

„Милый Георгий, мы вчера получили от тебя письмо (от 18-го числа). Браво тебе, что ты никого не забыл и подарил каждому и каждой по листочку. Вот что говорится — всем сестрам по серьгам. Только Настя сильно негодует на тебя за твои письма, за выражения, критикует вообще твои взгляды на вещи и, вместе с этим, пишет тебе возражения. Предвижу, что между вами возгорится ожесточенная бумажная война; кому-же из вас достанется поле сражения, Аллах ведает...“

Мамаша довольна твоим письмом и радуется, что ты не забываешь родного языка, на котором, и вообще на поприще водной литературы, она ждет с твоей стороны блескящих успехов. Только она

Вирочем, ты же смущаешься этим маленьким замечанием, высказанным тебе материнской любовью — и г. Скандели хромает в грузинском языке, но это не мешает ему быть великим писателем... Бабаде рада, что тебе пришлось жить у танцмейстера: авось он ирихочит тебя вновь к танцам, в которых ты был когда-то очень трациозен. Благодаря соседству с артистами, ты, ~~можалуй~~, не отстанешь упражняться и в пении. Приятное серьезному никогда не мешает, — напротив, первое дает последнему свет и жизнь. Детей капитана Гранта не присытай братцам: они эту книгу имеют в реальной библиотеке и уже читали. Гогоберилзе еще в Тифлис не приезжал и, следовательно, не доставил и карточек. Неужели все еще нет моего письма от 12-го августа? Лекции Тарханова еще продолжаются: по окончании Варенька ласт тебе в них отчет.

Любящий тебя отец Михаил“.

რაკი მაგა დიღს იმედებს აშყარებდა შვილის სწავლა-განათლებაზე, იგი თრთის მარტო ერთი იმ ფიქრის გამო, რომ შეიძლება უნივერ-სიტეტის კურსის დენა შეწყდეს. სტუდენტებსა და პროფესორ ბოგი-შიჩს შორის მომხდარი შეტაკებით გამოწვეული სტუდენტთა მღელვა-რება¹⁵ მასში ეგოისტურ გრძნობებს აღვიძებს და იგი დარივებას. აძლევს შვილს:

ଓଡ଼ିଆ, 1871 ଫେବୃଆରୀ ୧୪.

କୃତିରୀଳା.

„საყვარელო გიორგი. მწუზარებით გავიგე თქვენი უნივერსიტეტის ისტორია — გავიგე შენი 29 ოქტომბრის წერილიდან, რომელიც 9 ნოემბერს მივიღე, და პეტერბურგის გახეთებიდან. დასაფიქრებელია, მართლაც, რა საბედისწეროა რუსული აღზრდა-განათლების საქმე. დღემდე როგორ ვერ შეიგნო მოსწავლე ახალგაზრდობამ, რა არის პირველი პირობა, პირველი მოთხოვნა, პირველად რომ შედიან მეცნიერების აღთქმულ ტაძარში: არა ყოყლამნიობა, არა უბოდიშო უარყოფა ყველა იტისა, არამედ, როგორც გვინდა, გონივრული ყურადღება, სიწყნარე და მოთმენა, რის მეონებითაც მზოლოდ შეიძლება განათლებისა და ცოდნის შეძენა. ვიღაცამ — და, რასაკვირველია, კაცობრიობის არაკეთილისმყოფელმა — და ოდესაც შთაგონა მოსწავლე ახალგაზრდებს, რომ მათშია მოურევნელი ძალა — იმა ანგარიშით, რადა თქმა უნდა, რომ გამოეყენებინა ისინი რაიმე თავისი-

მიზნების იარაღად, — და ფიცხმა, ადვილად აღმგზნებმა აზალგაზრდებმაც ეს დაიჯერეს, და აირია მონასტერი...

მაგრამ ჩვენ ვიწვნიეთ შედეგები სამჭუხარო სიმპტომებისა, უნივერსიტეტებში რომ იჩინეს თავი, — მსხვერპლი ხომ მსხვერპლია, მაგრამ არავისშე მას არ უმოქმედია, არავისი თანაგრძნობა არ გამოუწვევია, თვით უბრალო დანანებაც კი. ამ გზას გაჰყვა თქვენი ნორჩი, დღემდე მოკრძალებული უნივერსიტეტიც. თორემ, სხვა რისაგან წარმოსდგა მთელი ეს ისტორია? პროფესორმა, ვთქვათ, აწყენინა სტუდენტს; მორიგება ვერ მოხერხდა, მოუწოდე მსჯავრისათვის რექტორს. მაშ სხვა რისთვის არის რექტორი? არა, როგორილაც უფრო პოეტურია, უფრო წარმო არ მოაცი ა ყველას ჩვენ თითონ გავუსწოროთ ანგარიში: და აი, აუდიტორიის დატოვება, სტვენა, კრებები დღისითაც და ღამითაც, ოთახშიაც და ქუჩაშიაც. რასა ჰგავს, ჩემო საყვარელო, ყოველივე ეს? და ამის შემდეგ, განა უფლება გაქვთ აღშფოთებას გამოსთვამდეთ, რომ უნივერსიტეტის გაუქმებას იმუქრებიან? მაშ არა და? მიართვით მათ გულუხვი, სულაზრელი ხელით სულიერი საზრდო და თან ითმინე მათივე გულისტემანი ამ წელზე გაბატონებისა... მართალია, ჩვენა ვცნობთ სტუდენტებში ძალასა და მნიშვნელობას, ხოლო არა ახლა, ვიდრე ისინი სტუდენტები არიან, არამედ მომავალში, როდესაც, სულიერად და მორალურად განმტკიცებული, თვითეული მათგანი გამოვა წინასწარ განკუთვნილ გზაზე და მოქვენს მასას ცოდნას, რაც მას ესაჭიროება, და დაესმარება მისი გონიერივი, ზნეობრივი და საზოგადოებრივი დონის ამაღლებას. მანამდე კი ისწავლე და ითმინე, ითმინე და ისწავლე. სიტყვას ით მინე ნუ გაიგებ იმ ცუდი აზრით, რასაც მას აკუთვნებენ, არამედ იგულისხმე მუყაითობა, სიმტკიცა, კეღილშობილი უდრეკელობა და არიდება ყოველივე იმისა, რაც გარეშეა, რაც საქმეს არ უდგება, რაც მას ჰვერებს...

სულო ჩემო, დერბო ყოფა-ცხოვრებაში შეგვხდება წოლმე უსწორ-მასწორობა, მაგრამ ჩვენ მასწორებით იმ მიზანთა და მოსაზრებათა გამო, რაც მასზე მაღლაა. შით უფრო რქევნ; რატომ არ უნდა დაუთმოთ, რატომ არ უნდა შეურიცდეთ აუცილებელ პაწია შინაურ მოვლენებს და ისტორიებს მეცნიერების გულისათვის, ბრწყინვალე, მშვენიერი მომავლის გულისათვის, იმ მაღალი მოგელით და რაზედაც ზევითა ვთქვი... ვათავებ, გამოვთქვი მოკლედ ყოველივე ის, სადამდისაც მიმიყვანა ფაქტობა იმ სამჭუხარო ისტორიაზე, რაც მოხდა თქვენი უნივერსიტეტის დღემდე წყნარ ცხოვრებაში. გამოვთქვი ყოველივე ეს საკუთრივი შენს-ცობად და სახელშე და და ვიმედოვნებ, რომ ამ სტრიქონებს, რამოდენადმე მკაცრს (მათ სამართლიანობაში, ალბათ, ეჭვს არ შეიტან), მიიღებ, როგორც შენდამი მხურვალე სიყვარულით და ცხოვრებაში შენი სიკეთისა. და ბედნიერების უანგარო ნატერით ნაკარნახევს. მე უნდა მჯეროდეს, როგორც შენ თითონ იწერები, რომ არაფერში მონაწილეობა არ მიგილია და არა მხოლოდ მარტო შემთხვევით, არამედ, მე დავუმატებ, ალბათ იმიტომაც, რომ არ თანაუგრძნობდა იმას, რაც ხდებოდა. სხვანაირად არც შემიძლიან ვაფიქრო, რაკი ვიცი. შენი კეთილგონიერება, შენი ნაცადი წინდახედულობა, თუმცა, არ დაგიმალავ, ძალიან გამაკვირვა იმ გაუგებარმა დითორამბმა, რომლითაც შენს წერილს ამთავრებ. ველოდები მოუთმენლად შენვან დაპირებულ წერილს საქმის შემდგომ მსვლელობასა და დასასრულზე. [შემდეგ ქართული მინაწერი ბოლომდე]

როგორც ზემოთაც უსოქვი, ამ წიგნს მარტო შენთვისა ვწერ, — მიიღე
მარტო შენდა საცნობლად, მე სხვებთან საქმე არა მაქვს. მეცა, დედაშენიც
და შენი დები და ძებიც ფიქრით სულ შენთანა ვართ და გვაქვს იმედი,
რომ გარდა სანუგეშებელის, შენგან და შენზე სხვას ავს არას შევიტყობთ.
მშვიდობით, ღმერთი იყოს შემსრულებელი შენი ყველა კეთილისა.

შენი მოსიყვარულე მამა მისაილ“:

„ერთ შენს წინა წერილში — უსაყვედურებს იგი 1871 წლის ნოემ-
ბრის 28-ს შვილს — არ შემეტლო არ შემენიშნა, რომ ს ლავურ კანონ-
მდებლობის ლექციებს არ ესწრები და ამის ნაცვლად ქიმიის
ლექციებზე დადიოდი. რა არის ამის მიზეზი? ჯერ ის, რაც შენია, ხოლო
შემდეგ — რაც გენებოს. რაკი იურიდიულ ფაკულტეტზე ჩამოწერე, უნდა
მოისმინო იგი მთლიანად; შემდეგ, თუ კი დრო დაგრჩება, შეგიძლიან იარო
ქიმიაზე ან რაც შენთვის საინტერესოა და სასიმოვნო. ასეთია საქმის წესი
და შენ, ალბათ, ამაზე დამეთანხმები“.

თუმცა მიხ. თუმანიშვილი წერილებში ორჯერ წინასწარ აფრთხი-
ლებს შვილს, რჩევას რომ გაძლევ, მარტო შენ შეგხებაო, მაგრამ
ნამდვილად მას მხედველობაში „სხვა ვინმეც“ ჰყავდა: იმ დროს
მიხ. თუმანიშვილს თვალსაჩინო პოსტი ეჭირა — კანცელარიის დირექ-
ტორისა და დეისტვ. სტატსკი სოვეტნიკისა, მაგრამ მისი მიწერ-
შოწერა უანდარმების თვალს არ გამოეპარა. იგი არა ერთხელ შესჩივის
შვილს, შენი წერილები — ზოგიერთი მაინც — გახსნილი მომდის ან
საეჭვოლ იგვიანებსო. ამას შვილს ფრთხილად და ვითომ შემთხვევით
აკუნობებს. ასე 1871 წლის ოქტომბრის 6-ს იგი სწერს:

„კინაღამ დამავიწყდა შენთვის მეთქვა, რომ რამდენიმე შენი წერი-
ლი თითქმის გახსნილი მივიღე. არა მჯერა, ვისმე უნდოდეს გაიგოს შენი
წერილების შინაარსი და, ალბათ, დაუდევრობის გამო, უხეიროდ აწებებ
და ისიც მხოლოდ კონვერტის წვერს, მაშინ, როდესაც საჭიროა გვერდე-
ბიც სულმთლად დაწებო, რომ წერილის ამოდება არ შეიძლებოდეს“...

ამის გამო, მამის „კეთილგანზრახვათა“ შეფასების დროს სათვა-
ლავში უნდა გვყავდეს აგრეთვე „თვალი მლეიდარი“.

შვილის ვამო დაშინებული, მიხ. თუმანიშვილი, თავისი გავლე-
ნიანი ნაცნობების მეშვეობით, ჰკრეტს ცნობებს უნივერსიტეტის-
ბედის თაობაზე. ნოემბრის 21-ს იგი სწერს შვილს:

„წარსული კვირის ბოლოს ბარონმა ნიკოლამ მითხრა, გენერალ
კოცებუსაგან ¹⁵⁶ დეპეშა მივიღე, კავკასიის მხარელი მხოლოდ ერთი სტუ-
დენტი ბელკინი დაისაჯა, იგი გაიგზავნა მშობლებთან სტავროპოლიშიო.
აქ მე ჩემი წუხილი გამოვთქვი, რომ შენგან არავითარი ცნობა არა მაქვს
ამაზე. დიმიტრი ჯორჯაძემ (ბარონთან ვიყავით სადილად) იოხუნჯა „შენმა
გიორგიმ იქნება თითონ დაგიკრას თავიო“. ასეა თუ ისე, კოცებუს დეპე-
შის მიხედვით, ამ ბელუგულმართ ისტორიას ბოლო ედება: მსხვერპლი შეი-
წირა და თქვენი უნივერსიტეტის ცხოვრება, ალბათ, უკვე თავის კალაპოტ-
ში ჩადგა...“

...ახლა შენგან მოველი დაწყრილებითს ცნობას, როგორ დამთავრდა საქმე, ე. ი. როგორ ხდებოდა იგი და რა შედეგებში გამოიხატა: ველი მარტოდენ პირშიმინდა ფაქტებს, რაიმე განსაკუთრებული ლირიზმის გარეშე, რადგანაც ფაქტები თავისითავად მეტყველებენ და ხანდახან უფრო გასაგებად და უფრო სწორედ, ვიდრე რაიმე მგზებარე კომენტარიები“.

სამი თვით წინ სიკედილამდე მიხ. თუმანიშვილს. აწუხებს ის გარემოება, თავს გაართმევს თუ არა საქმეს მისი შვილი, რომელსაც დისერტაციად დასახული ჰქონდა თემა სახალხო სკოლებზე.

„თუ შენს სამუშაოს წმინდა ი ს ტორიული მონოგრაფიის ხასიათს მისცემ და შიგ ჩაურთავ მთავრობის მეერ ამ ჟკანასკნელ ხანში დარსებული სახალხო სკოლების საფუძველთა მოთხოვთ მიმოხილვას — ეს კიდევ ის; საშიში არ არის და ნაკლები შრომაც დაგჭირდება; მაგრამ თუ მოისურვებ საფრის კრიტიკულ შეფასებასა და საკუთარ დამოუკიდებელ შეხედულებათა გამოთქმას გაჰყვე, მაშინ მხედველობაში ი თონიე, რომ ცილება და გამოვიდება ბევრი იქნება, მით უფრო, რომ საუანი საჭიროროტოა და ყველას მეტისმეტად აინტერესებს. დავა და კინკლაობა საშიში არ არის, როდესაც ეს განხეთისა და უურნალის პოლემიკის სფეროში წარმოიქმნება, ყველაფერზე პასუხის გაცემა აუჩქარებლად შეიძლება, ზამუშ-ზამუშ. მაგრამ აქ მსოლოდ ერთი პრაქტიკული მიზანია: ანგარიში გავუთავოთ უნივერსიტეტს და ამისათვის საჭიროა, ისეთი დისერტაცია ჩააბარო, რომელიც ამ გზაზე რაიმე სერიოზულ სიძნელებს არ შეგიძლის“.

მიხ. თუმანიშვილის ყველა წერილიდან გამოსჭვივის უდიდეს მხრენველობა შვილზე. იგი არა სტოვებს უყურადღებოდ არც ერთ წვრილმანს გიორგის ცხოვრებისას ოდესაში: წარმატება საუნივერსიტეტი მეტადინუბაში, ფრანგული ენა, ცეკვა, სიმღერა, ბინა, თანამობინავენი, ფულის საქმე, წიგნები და გაზეთები, ნაცნობები და ამხანაგები, ჩაცმა-დახურვის ყოველი დეტალი¹⁵⁷ — ყველაფერი აინტერესებს მას, ყველაფერზე აქვს მტკიცე აზრი.

ყურადღება და ზრუნვა სხვა სხვარეში მყოფ შვილზე ხელს არ უშლიდა მიხ. თუმანიშვილს მუყაითად ედევნებინა თვალი შინ მყოფი შვილების აღზრდა-განათლებისათვის. თითონ უძებნილი ქალებს უცხოებისა და მუსიკის მასწავლებლებს, შუამდგომლობდა ინსტიტუტში მათ მიღებაზე, თავის დროზე აღნიშნავდა დღიურში მათი დაბადებისა და ნათლობის დღეს, აღნიშნავდა, როდის აიღვეს ფეხი, პირველად როდის წავიდნენ პანსიონში, როდის შევიდნენ ინსტიტუტში. ყოველმხრით ახალისებს მათში სიყვარულს ლიტერატურისა და საზოგადოებრივი საკითხებისადმი, ურჩევს წიგნებს საკითხავად, ჰშველის ქალიშვილ ბარბარეს მის მიერ განზრახულ საქმეში გამოჩენილ მოლვაწეთა ბიოგრაფიების გამოცემისა, თვალყურს აღევნებს ქალების მიწერ-მოწერას თავიანთ ძმა გიორგისთან. უკვე წამოზრდილი ქალიშვილები ხარბად ეწათებოდნენ ახალ იდეებს, რომლებითაც გამსჭვალული იყო მთელი სტუდენტობა. „ნიპილიზმი“ პაერში ჰქონდა. რამდენიმე



მიხეილ ოუმანიშვილი თავისი ოჯახით. (სამოცდაათიან წლების დასაწყ.)
სხედან: მეუღლე სოფია, უმცროსი ვაჟი კონსტანტინე და მის. ოუმანიშვილი.
დგანან: ვაჟი ვასილი, ქალი ბარბარე, ვაჟი გიორგი და ქალი ანასტასია.

ქალიშვილი, მათ შორის მიხ. თუმანიშვილის ნათესავი ოლობა გურა-
მიშვილისა, შემდგომ ნიკოლოზ ნიკოლაძის მეუღლე, გაეშურა ციუ-
რიხს, მაშინდელ ემანისიპირებულ რუს-ქალთა მექაში. ანასტასია და
ბარბარე მიიბრძვიან მათ მისაბაძად. 1873 წლის თებერვლის 15-ს ბარ-
ბარე იდუმალი შურით სწერს თავის ძმას გიორგის: „რომ იცოდე,
რა შემთხვევა მოხდა აქ. ოლიკო გურამიშვილისა ციურის წავიდა
და ეს არავის შეატყობინა — არც დედას, არც მამას და, რასაკვირ-
ველია, არც ბიძას. [ალექსანდრე თუმანიშვილს]. ნიკოლაძემ აიღო
პასპორტები თავისი დებისათვის, მაგრამ წასვლით მარტო ერთი და
წავიდა, ხოლო მეორის სახელით ოლიკო გაემზავრა. ახლა, რასა-
კვირველია, ყველაფერი უშოვეს — პასპორტიც, მოწმობაც; ყველაზე
მეტად, რასაკვირველია, ბიძა ალექსანდრე [თუმანიშვილი] ცდილობ-
და. ვერ წარმოიდგენ, როგორ იყო იგი აღელვებული, როგორ გვიამ-
ბობდა და ჩვენ როგორ ვწარხარებდით“.

მიხ. თუმანიშვილის ქალები გატაცებულნი იყვნენ ქალის განთა-
ვისუფლების იდეით და ოცნებობდნენ ქალთა საქმისათვის მუშაობა-
ზე, უბირველეს ყოვლისა, ხალხში განათლების გავრცელებით. მამა
თანაუგრძნობდა მათ პროგრესიულ სულთასწრაფვას, იწონებდა მათ
აზრს — სკოლებისათვის ხელი მოეკიდათ, მაგრამ უარყოფდა ნიჭი-
ლიზმს იმის შიშით, რომ ქალებზე გავლენა არ მოეხდინა. რადიკალუ-
რად განწყობილი ანასტასია ჯერ კიდევ მოზარდი იყო, რომ მამის
ირონიას იწვევდა, იგი ხუმრობით „ნიჭილისტკას“ ეძახდა. 1864 წლის
ივლისის 27-ს 15 წლის ანასტასია სწერდა მამას კოჯრიდან: „აქაურმა
ბუნებაში ისე იმოქმედა ჩემზე, რომ ვეღარ მიცნობთ, როცა მოხ-
ვალთ, მე უკვე ნიჭილისტკა აღარა ვარ...“

მიხ. თუმანიშვილი თანახმა არ იყო გაეშვა ქალები საზღვარგა-
რეთ უთავისთავოდ იმ შიშით, რომ რუს. სტუდენტურ წრეებში მოხვ-
დებიან და, სწავლის ნაცვლად, პოლიტიკას გამოეკიდებიანო; თითონ
კი თბილისისათვის თავის დანებება არ შეეძლო, რადგანაც მეტისმე-
ტად გადატვირთული იყო მუშაობით. ბარბარე ისე გარდაიცვალა,
რომ ვერ მოესწრო საზღვარგარეთ წასვლას, ანასტასია კი მამის
სიკვდილის შემდეგ წავიდა სამგზავროდ.

მიხ. თუმანიშვილის მიწერ-მოწერაში შვილთან ნაწილობრივ მუღავ-
ნდება მისი ხასიათის თვისებანი, რამაც შეაძლებინა თვიალსაჩინო
ადგილი დაეჭირა თავის თანამედროვეთა შორის: მიზანსწრაფვა, სიმ-
ტკიცე, მომთხოვნელობა თავითავისაღმიც და სხვისაღმიც. მიხ. თუ-
მანიშვილი დიდი მემამულე არა ყოფილა, არც ისეთი ადამიანი, რო-
მელსაც კავშირი ჰქონდეს გავლენიან პირებთან. ბევრ მის თანამო-
ასაკეს მაღალი თანამდებობა ეჭირა აღმინისტრაციაში, მაგრამ ეს
უკვე მაშინ იყო, როდესაც თითონ მიხ. თუმანიშვილი თვალსაჩინო

მოხელე გახდა. იგი იყო მეტისმეტი გარჯილობის, შრომისმოყვარე ადამიანი და თუ მან არ განიზიარა თავისი უფროსი ძმების ბედილბალი, რომელთაც თავიანთი სიცოცხლე ისე დააღამეს, რომ მათზე არა ისმოდა რა, — ეს მოხდა უმთავრესად ნის პირად თვისებათა მეოხებით. დამოუკიდებელი ხასიათი, მტკიცე ნებისყოფა და ინტერესთა საკვირველი მრავალმხრიანობა, სხვადასხვა სერიოზული ცოდნა ხელს უწყობდა იმას, რომ მის თუმანიშვილის აზრს ყველა ანგარიშს უწევდა, ვისთანაც კი მას საქმე ჰქონდა, სამსახურში იქნებოდა ეს თუ სახოგადოებრივ ასპარეზზე. მისი არქივი, რომელშიაც შენახულია უფროსებისა, ხელქვეითი პირებისა თუ მეგობრების ასობით წერილი, ამის ცოცხალი მოწმეა.

ლიტერატურაში მომუშავე ახალგაზრდობისათვის იგი მჭდამ თანამგრსნობი მრჩეველი იყო. გიორგი წერეთელი, კონსტატინე ბებუთოვი, პეტრე უმიკაშვილი, დავით ერისთავი და ბევრნი სხვანი ხედავდნენ მასში მორალურ საყრდნობს თავიანთი ლიტერატურული გეგმებისათვის. გიორგი წერეთელი 1891 წლის ავგისტოს 1-ს გიორგი თუმანიშვილისათვის გაგზავნილ წერილში (იხ. „ლიტერ. მემკვიდრეობა“, 1935 წ., „გიორგი წერეთლის წერილები“, გვ. 521 – 535) იგონებს, თუ გიორგი თუმანიშვილი, მაშინ 13 წლისა, ყიფიანის პანსიონში სწავლის დროს, როგორ სცემდა პოლიტიკურ უზრნალს, და ამბობს, რომ მისი (გიორგი წერეთლის) პირველი ნაბიჯები ლიტერატურულ ასპარეზზე წაახალისა გიორგი თუმანიშვილის მამამ — მის. თუმანიშვილმა. ამ წაშიდანაო — დასძენს გიორგი წერეთელი, — მე ვიგრძენი ლრმა პატივისცემა თუმანიშვილთა ოჯახისაღმიო.

მის. თუმანიშვილს ჰქონდა ყველა თვისება მწერლისა: ნამდვილი სიყვარული ლიტერატურისადმი, დაკვირვება, უნარი მოვლენათა განზოგადებისა, შრომისმოყვარეობა, კარგი ენა. მაგრამ მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა დიდი არ არის: ცხოვრების პირობები — დიდი ოჯახი და შეუძლებლობა მარტო სამწერლო მოღვაწეობით არსებობისა, თანაც სხვა საშემოსავლო წყაროების უქონლობა — ყოველივე ეს იმის მიზეზი იყო, რომ მან არ მისცა ქართულ ლიტერატურას იმდენი, რამდენის მიცემაც შეეძლო სხვა ვითარებაში. მისი სიცოცხლის ოცნება ის იყო, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, რომ დაემსახურებინა პენსია, თავი დაენებებინა სამსახურისათვის და მთლად ხელი მოექიდა ლიტერატურისათვის. გადაჭირებულმა შრომამ უმაღ ინაცეალა იგი, ვიდრე ამ ოცნებას განახორციელებდა.

ერთერთი განმასხვავებელი თვისება ამ სრულბუნებოვანი, მგზნებარე და ენერგიული ადამიანისა იყო დაუშრეტელი ინტერესი ცხოვრებისაღმი მთელი მისი მრავალმხრიანობით და პროფესიის ვიწოდ

ფარგალის გადალახვის უნარი. მაგრამ შეოლოდ შრომის იშვიათი ორგანიზებით შეეძლო მას მიეღწია იმისათვის, რომ ეს ინტერესი უნაყოფო არ იყო, არამედ ეფექტიანი, მომქმედი.

მიხ. თუმანიშვილის შუშაობა სამსახურში არ იყო ჩვეულებრივი შუშაობა კანცელარული ტიპის საქმეებზე. მის თანამედროვეთა მოწმობა და თვით მის მიერ დაწერილი საცნობო-ისტორიული ხასიათის გამოკვლევანი ისეთ რთულ საკითხზე, როგორიც საგლეხო საკითხი იყო, აშკარად გვიჩვენებენ იმ უდიდეს და გულმოდგინე შრომას, რაც მან მოანდომა საგლეხო რეფორმის დამუშავებას და განხორციელებას. ამასთან ერთად, იგი ახერხებდა საერთო ხასიათის ისტორიულ საკითხებზედაც მუშაობას, პოულობრივი დროს სალიტერატურო შოლვაწეობისათვისაც, იღებდა გულმსურვალე მონაწილეობას თავადაზნაურთა საქმეებში და სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოებებში, დიდის გულხმიერებით დაიარებოდა ყველა საჯარო ლექციაზე, არ დაჰკლებია არც ერთ საინტერესო წარმოდგენას და კონცერტს, თითონ უძლვებობდა-სამეცნიერო საქმეს ოჯახში და მამულში, თვალყურს აღევნებდა შვილების აღზრდა-განათლებას, კითხულობდა 6—7 გაზეთს და უურნალს, კითხულობდა მრავალფეროვანი შინაარსის აუარებელ წიგნებს, შეპქონდა შენიშვნები სადღიურო რვეულებში (აქ არის ისტორიული, პოლიტიკური, სტატისტიკური, ეკონომიკური ხასიათის ცნობები, კრიტიკა და ლიტერატურა, სამედიცინო რჩევა-დარიგებანი, აფორიზმები, ბიოგრაფიული ცნობები საადგე, თუმანიშვილთა გვარის წარმოშობის მასალა და სხვა მისთ.). ამავე დროს იგი არც პირად სიამოვნებას გაურბოდა, ამისათვისაც იცლიდა. მისი წარმოსადეგი ფიგურა შეგეძლოთ გენახათ არა მარტო თეატრისა და კლუბებში, არამედ, აგრეთვე, ხანდაჭან ბალებშიც, ქალალდის სათამაშო მაგიდასთანაც, ნადირობაშიაც, სეირნობაშიაც თბილისის ქუჩებზე ფეხით და ცხენით. მის თანამედროვეებს ახსოვთ თეთრი ბედაური, რომლითაც იგი დასეირნობდა; ამასთანავე, იგი გაფაციცებით აღევნებდა თვალს, რომ ცხენი რიგზე ყოფილიყო, ვაქსით გაპრიალებული ჩლიქებით.

მიხ. თუმანიშვილს თანაბრად ახასიათებს აზროვნების სფეროში ჩალრმავებაც და გარეგანი გამოკვანთილობაც: უყვარდა კარგი ჩაცმა-დახურვა და ამასევ იგი მოითხოვდა შვილებისაგანაც; უსწორმასწორობა მიწერ-მოწერაში, თარიღების დაუსმელობა წერილებში და სხვა მისთ. საშინლად აბრაზებდა. იგი დაუინებით მოითხოვდა გიორგი-საგან, რომ მის წერილებში აუცილებლად ყოფილიყო დაწერის თარიღი; თითონ თავის წერილებში აღნიშნავდა ყოველთვის არა შარტო თარიღს, არამედ კვირეულის დღესაც; მიღებულ უთარიღო წერილებზე და ხანდაჭან თარიღიანებზედაც იგი აღნიშნავდა ხოლმე

შილების დღეს. ყოველი საქმე და მიწერ-მოწერა, რაც მის შემდეგ დარჩა, საკვირველ წესრიგზე აღმოჩნდა.

მოძრაობაც მისი ხასიათის განსაკუთრებულ თვისებას შეატევენდა: ყოველ ხელსაყრელ შემთხვევას იყენებდა, რათა დაევლო მთლად რომელიმე მაზრა ან მთელი გუბერნიაც; თუმცა მიმოსვლის პირობები უხერხული იყო, რკინიგზა არ არსებობდა, მაინც იგი ახერხებდა: შეეხედნა მაშინდელი უზარმაზარი თბილისის გუბერნიის ყოველ კუთხე-კუნჭულში და ყველგან ხარბი ინტერესით გაეცნო მოსახლეობის ყოფაცხოვრება, სოციალური წყობილება და ბუნება. ზაფხულობით მცირეხანს ისვენებდა ან კოჯორში, ან თეთრ-წყაროზე, ან აბასთუ-მანში, ან კახეთში, მაგრამ აქაც ხშირად შესწყვეტდა ხოლმე დასვენებას, რათა რამდენიმე დღით ჩამოსულიყო თბილისში რაიმე საქმი-სათვას და კვლავ დაპტრუნებოდა ოჯახს:

გულლია ხასიათისა, ყველასათვის ადვილად მისადგომი და კეთი-ლისმყოფელი, იგი ადვილად უახლოვდებოდა სხვადასხვა ხასიათისა და მდგრამარეობის აღამიანებს¹⁶⁸. არა მარტო მეგობრები, არამედ შემთხვევითი ნაცნობებიც მუდამ მიმართავდნენ ხოლმე რაიმე დახმარებისათვის და ისიც სიამოვნებით ეგებებოდა მათ, განსაკუთრებით, თუ დახმარება ესაჭიროებოდა დამწყებ ლიტერატორს და, საერთოდ, ახალგაზრდას. შენასულა სხვადასხვა პირთა იუარებელი წერილები, რომლებშიაც ზოგი სთხოვს შემწერბას თბილისში გადმოყვანისათვის, ზოგი სასწავლებელში შვილების მოთავსებისათვის, ზოგი ადმინისტრაციისაგან დაცვისათვის, ზოგი კიდევ შადლობას უცხადებს ამგვარი დახმარებისათვის.

მიხ. თუმანიშვილის მახლობელთა შორის დარჩენილი იყო შოგონებად შემდეგი სასაცილო აშბავი. ერთხელ თურმე კოჯორში ეახლა მიხ. თუმანიშვილს საიდგანლაც გადმოხვეწილი ფოკუსნიკი-პრესტიდი-ჟიტატორი შემდეგი, ცოტა არ იყოს, უცნაური თხოვნითა: ძალიან გაჭირვებული ვარ, ოჯახი შიმშილით მეხოცება და უნდა მიხსნათ როგორმეო. და წესთავაზა... მონაწილეობის მიღება მის სათვალთ-მაქცო სეანსში... მისი ავან-ჩავანის სახით მაყურებელთა შორის, ე. ი. მიხ. თუმანიშვილი უნდა დახმარებოდა ფოკუსების შესრულებაში: მაგალითად, სცენაზე რაიმე საგანი გაპერა და შემდეგ იგი აღმოაჩიდა საზოგადოებაში ვისმე „შემთხვევითს“ მაყურებელს და ეს. შემთხვევითი მაყურებელი... თუმანიშვილი უნდა ყოფილიყო. — თქვენისეთი დიდი კაცი ბრძანდებით, რომ აბა, ვინ დაეჭვდება, ჩემთან პირი გაქვთ შეკრული და ამით კი ოჯახს. შიმშილისაგან გადამირჩენთო — ივედრებოდა და არწმუნებდა პრესტიდიუტატორი. სიბრა-ლულმა საცოდავი ფოკუსნიკისადმი და ჩვეულმა იუმორის გრძნობაშ გასჭრა და მიხ. თუმანიშვილი დათანხმდა ფოკუსნიკს თხოვნაზე.

გულში იღუმალი სიცილით, რომ ფოკუსნიერი ასეთი იოლი თვალთ-
შაქობით ატყუებდა პატივცემულ საზოგადოებას, იგი აჰყება ფოკუ-
სნიერ და ხელს უწყობდა სხვადასხვა ოინის ჩვენებაში. სეანსის შემდეგ,
როდესაც ფოკუსნიერი უკვე სამშვიდობოში იყო, რასაკვირველია,
პრესტიდიუიტატორის ავან-ჩავანმა და მისი მეოხებით მოტყუებულმა
საზოგადოებამ ძალიან ბევრი იცინეს ერთად.

მიხ. თუმანიშვილის ოჯახში შენარჩუნებული იყო ეგრეტშოდებუ-
ლი „პატრიარქალური ურთიერთობა“ მებატონეთა და შინამოსამსა-
ხურეთა შორის: მიწერ მოწერაში ხშირად გვხდება სალამი და მოკი-
თხვა, მისგან ან მისი მეშვეობით ოჯახის სხვა წევრებისაგან მიძლვნი-
ლი მზარეული ზალიკოსადმი, ლაქია პეტრესადმი, გამდელ მონავარ-
ტისადმი და სხვ. მიხ. თუმანიშვილის უბრალო, სადა, თვინიერ
ხასიათს ის ფაქტიც მოწმობს, რომ, უკვე დიდ თანამდებობაზე მყო-
ფი, იგი არ თაკილობდა სუფლიორის მოვალეობას გიორგი ერისთა-
ვის პირველ წარმოდგენებში, რაკი აშით რამოდენადმე ხელს შეუწ-
ყობდა ნაციონალური თეატრის აღორძინებას.

მიხ. თუმანიშვილის ინტერესი ისტორიული პრობლემებისადმი
დიდი იყო მისი ცხოვრების ყველა პერიოდში: გიმნაზიაში „ყვავილი“—
სათვის იგი თარგმნიდა ისტორიული შინაარსის სტატიებს და თითო-
ნაც სწერდა ისტორიულ ნარკვევებს, გამოსთქვამდა რა მათში იდეა-
ლისტურ (ამ სიტყვის ფილოსოფიური მნიშვნელობით) შეხედულე-
ბებს. პოლონელი პოეტი ზაბლოკისა და მის მიწერ-მოწერიდან
ჩანს, რომ ისტორიაზე მუშაობას პირველ წლებში გიმნაზიის გათა-
ვებისას ძალიან ინტენსიური ხასიათი ჰქონდა. შემდგომ — ისტორი-
ული ექსკურსები მის მიერ შედგენილ თბილისის გუბერნიის საგზაო
ცნობარში; რუსეთთან საქართველოს შეერთების ნარკვევი; შენიშვნა
რუსი კოშკის თაობაზე; სტატია „თელავის ირაკლისეული სასახლის
აღდგენა“ („კავკაზი“, 1851 წ. მარტის 30-სა, № 25 და „ზაკავკ-
ვესტნიკი“, 1851 წ. აპრილის 12-სა, № 15); მის მიერ საამისოდ
შედგენილი სიტყვა და შემდეგ, ამ სასახლის გახსნის დროს წარმო-
თქმული აღმინისტრაციის წარმომადგენლის მიერ; ირაკლი II ქა-
ლის, ბატონიშვილი თეკლეს ნეკროლოგი; ნარკვევი საქორწილო
ადათებზე და სხვა ნაშრომები გვიჩვენებენ, რომ მიხ. თუმანიშვილი
თვალსაჩინოდ იყო მომზადებული ამ სფეროში. მას ჰქონდა პირადი
ურთიერთობა და ნაწილობრივი მიწერ-მოწერა ისტორიკოსებთან და
ისტორიის მოყვარულებთან მ. ბროსსესთან, ა. ბერეჟესთან, დიმ. ბაქ-
რაძესთან, დ. გრუზინესთან, ნ. ბერძნიშვილთან, პლატონ იოსელი-
ანთან, ზაქ. ფალავანდიშვილთან (მიხ. თუმანიშვილს დაუხატავს ფან-
ქრიოთ მისი სურათი), მელვინეთუხუცესიშვილთან და სხვებთან.

მ. ბროსსეს მიხ. თუმანიშვილი გაეცნო 1847 წლის დეკემბრის 22-ს იზმიროვისას სადილზე¹⁵⁹ და აღნიშნავს ამას თავის დლიურში, როგორც თვალსაჩინო მოვლენას თავის ცხოვრებაში.

„გრიგოლ იზმიროვის მიერ დღეს გამართულმა სადილშა მომცა სა- სიამოვნია შემთხვევა გამეცნო ცნობილი ლინგვისტი-აკადემიკოსი ბროსსე, რომელიც მოვიდა ჩვენს მხარეს, რათა შეისწავლოს აქ ძველი დროის ძველები“.

შემდეგ ისინი ხვდებოდნენ ერთმანეთს და საუბრობდნენ მათთვის ორივესათვის საინტერესო თემებზე. „თბილისის ერთი ძველი სახ- ლის ისტორია“-ში („კაზკაზქოე სლოვო“, 1918 წ., № 87) მოთხრო- ბილია გიორგი თუმანიშვილის გადმონაცემი: „ცნობილმა ორიენტა- ლისტმა, აკადემიკოსმა ბროსსემ როგორლაც ინახულა მამაჩემი, რო- დესაც იგი, ის იყო, სადილიდვან აღგა, გაეხვია ხალათში და ჩიბუ- ხის წევას შეუდგა. ამ მოულოდნელმა დარბაზობამ ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო მამაჩემი და ბოდიშს მოჰყვა. მაგრამ ბროს- სემ მაშინვე დაამშვიდა:

„მე განგებ მოველი თქვენთან ასეთ დროს, რათა გავიგო, როგორ ატარებენ დროს აქაური (τυπεμια), სადილშემდეგ ჩემთვის ძალიან საინ- ტერესოა, სწორედ ასეთ მდგომარეობაში გნახოთ“.

წრესგადასულმა მუშაობამ (თვით მისი ორგანიზმისათვისაც კი შეუწონელმა) გამოიწვია მიხეილ თუმანიშვილის უდროო სიკედილი. მას. თუმანიშვილი სერიოზულად ავად იყო 1874 წლის მაისში ფილ- ტვების კატარით და გულით (სწამლობდა ექიმი ბროშნევსკი), მაგ- რამ თითქო გამოკეთდა. იგი განაგრძობდა გაძლიერებულ მუშაობას სამსახურში მთავარ სამმართველოსათან არსებული საგლეხო საქმეთა კანცელარიის მმართველის თანამდებობაზე, რომელიც მას ეჭირა 1864 წლიდან, და მემამულების გლეხთა მოწყობის კომიტეტის წევრის თანამდებობაზე. სამსახურის საქმეები წარმატებით მიღიოდა. 1874 წ- იქტომბრის 4-ს იგი სწერს გიორგის:

„გუშინდელ დღეს ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა პქონდა. ჯერ ერთი, მივიღეთ შენი პირველი წერილი ოდესიდან (სექტემბრის 25-სა). მეორე, ბარონმა [ნიკოლაი] გამოთხოვებისას გამომიცხადა, რომ დიდ მთა- ვარს [მეფის-ნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის ძე] წარუდგენივარ მე კავკასიის მეფის-ნაცვლის მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრის თანამდებობაზე, ჩემს თანამდებობებზე დატოვებით, ე. ი. მთავარ სამმართველოსთან არსებუ- ლი საგლეხო საქმეთა კომიტეტის წევრისა და კანცელარიის მმართველისა. მოხარული ვარ, რომ ამალებასთან ერთად არ ვშორდები ჩემ. საყვარელ და სპეციალურ საქმეს — საგლეხოს“.

ამის გარდა იგი აცნობებს შვილს, რომ ოდესის უნივერსიტეტში იხსნება კავკასიური სტიპენდია და ამ ვაკანსიაზე წარდგენილია გიორგი.

ბარბარეს უდროოზ სიკვდილმა (1873 წ.), როგორც ჩანს, დიდი შთაბეჭდილება. მოახდინა მიხ. თუმანიშვილზე, მაგრამ იგი არა პკარ-

გავს სულის სიმხნეებს. საჭირო იყო ამ ელდისაგან გამობრუნება, შერყეული ჯანის მურნალობა და, ბოლოს და ბოლოს, როდისმე ეკროპის ნახვა და აი, ჯერ კიდევ დაავალებამდე, მიხ. თუმანიშვილი ემზადება საზღვარგარეთ წასვლისათვის. 1874 წლის მაისის 10-ს იგი სწერს გიორგის:

„ყურში გეტყვი და მხედველობაში იქონიე, რომ, შეიძლება, ივლის ბოლოს მე, შენ და ნასტიამ პეტერბურგისაკენ გავინავარდოთ, იქიდან ბერლინს, იქნება პარასტიაც, ხოლო იქიდან შეეიცარით ვენაში, შენს საყვარელ ოდესაში და, ჩავაბარებთ რა შენს თავს m-elle ბრაუნს *, მე და ტასო შინ დაებრუნდებით. მაგრამ ეს მხოლოდ განსრახვაა, რომელიც ჯერ კიდევ მტკიცე გეგმად არ გადაქცეულა. როდესაც ჩევნთან ჩამოხვალ, მაშინ შევუდგებით ამ გეგმის შემუშავებას. თუ საჭირო იქნება, სთხოვე, რომ საშეგბულებო ბილეთში ჩაგიშვრონ: „კავკასია, პეტერბურგი და უცხოეთი სექტემბრის 20-მდე ან ოქტომბრის 1-მდე“.

გეგმა-განხორციელებული გერ იქნა. გახშირებული გულისცემა და უძილობა იიდად სტანჯავდა, სამსახურის საქმეები ხელს უშლიდა შემოდგომაზე გამგზავრებულიყო. უკიდურესმა მოქანცულობამ თირკმლების დაავადება გაართულა. თუმცა საშიში ნიშნები აღსასრულის მოახლეობისა აშკარა იყო, მაგრამ მიხ. თუმანიშვილი გულს არ იტეხდა, პირიქით, თავისიანებს ამხნევებდა. ერთი კვირით სიკვდილამდე იგი სწერდა გიორგის (წერილი დაუმთავრებელი დარჩა):

„შენი უკანასკნელი წერილი — იანვრის 9-სა — პარასკევს მოვიდეთ. არ შემძლო ყურადღება არ მიმექცია რაღაც გრძნობათა ანდიფერენტულ განწყობილებას. წერის დროს 30-იანი წლების რომელიმე წიგნის გავლენის ქვეშ ხომ არ იცავი, რადგანაც იმ დროს თითქმის მოდად ითვლებოდა, რომ ყოველ აზალგაზრდას, რომელიც ის-ის იყო ცხოვრებას ძლიერ იწყებდა, უკვე გშლგატეხილად უნდა ეჩვენებინა თავი და, თუმცა ჯერ კიდევ არც აღამიანები გამოეცადნა, არც წუთისოფელი, მაინც ამაოების განმცდელი სახე უნდა ეტარებინა....“

იმავე წერილში იგი გამოსთქვამდა აზრს თბილისის პრესაზე და განცვიფრებული იყო მისი უზიათობით.

მაგრამ ხედრი უკვე გადაწყვეტილი იყო: 1875 წლის თებერვლის 2-ს მიხეილ თუმანიშვილი გარდაიცვალა.¹⁶⁰ იგი დაკრძალულია თავისი შშობლებისა და შვილების სიახლოვეს.

ასე დასრულდა ხანმოკლე, მაგრამ ნაყოფიერი ცხოვრების, გზა იმ აღამიანისა, რომელზედაც შეიძლება ვთქვათ მისი საყვარელი პოეტის საა დის სიტყვები:

„ზოგი ცოცლობს და მაინც მყვდარია.

ზოგი მოყვდარა და მაინც ცოცლობს!“

* გიორგის ბინის პატრონი.

შ 0 6 0 3 3 6 2 8 0

თ ა 3 0 I

¹ თ. უორდანია თავის ქრონიკებში (II, 211) გვაუწყებს, რომ ქუცნა ამირეჯიბი დაახლოებით 1405-სწერს „საღვალაშენი, ჩიტალაძისაგან კუჭაძისათვის მისტი-დული, ახალდაბისათვის მომცა, ვითცა ახალდაბა კუჭაძისაგან ჩემი ნასყიდი იყო. მისად სანაცვლად ახალდაბა თუმანიშვილსავე მისცა, ძველისგან მათი ყოფილა“.

² „ი ვ რ ი ა“, 1884, № V — VI.

³ ეგნატე-მდივნის არქივში შენახულა წიგნებისას მისი ბიბლიოთეკისა, რო-მელიც მას გაუტანია თბილისიდან ა ღ ა - მ ა ჰ მ ა ღ - ხ ა ნ ი ს შემოსევის დროს და რომელიც ნაწილობრივ დაღუპულა ეგნატეს ქონების აკლებისას. ამ წიგნებში, მრავალი სასულიერო წიგნის გვერდით, ყოფილა ბევრი ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნი საერო შინაარსისა, მათ შორის სამეცნიეროც. აქ ჩვენ ვწვდებით ლოგიკას; რიტორიკას, არითმეტიკას, გრამატიკას და სხვა მისთ. სხვადასხვა შენიშვნებისა, სამახსოვრო ნიშნებისა და სიების მიხედვით, მიხეილ თუმანიშვილის პირდაპირი წინაპრებისა და სხვა თუმანიშვილების ბიბლიოთეკებში, მრავალი წიგნი მოიპოვ-ბოდა; ამასთანავე, ამ წიგნების ერთი ნაწილი გადაწერილი იყო მათ ძიერვე საკუ-თარის ხელით ან მათ მიერ გამოცემული. გ ი ვ ი ს მიერ გადაწერილ ას მისი მონაწილეობით შედგენილ წიგნებზე რომ არა, ვთქვათ რა, ზა ა ლ თ უ მა ნ ი - შ ვ ი ლ ს გადაუთარებენია სპარსული მოთხრობის „ლეილა და მეჯუნის“ ნაწყვე-ტი. მირ ვე ლ თ უ მა ნ ი შ ვ ი ლ ს (1724 წელს გაძყვა ბატონიშვილს ვაგტანგს რუსეთში, შევიდა იქ სამახსურში ახლად მოწყობილ გუსართა ქართულ როტაში). გადაუწერია 1726 წელს ასტრახანში „სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარს სწავლება მოწაფისა“. ე დ ი შ ე რ მ-დ ი ვ ა ნ მ ა (თუმანიშვილმა) დაბეჭდა 1762 წელს თბილისში პარაკლიტონი (ოქთოიხი). ი ე ს ე თუმანიშვილმა 1811 წელს გადაწერა „ვისრამიანი“. ე გ ნ ა ტ ე ს ქალმა — ა ნ ა მ იმავე 1811 წელს გადაწერა „ყარა-მა-ნიანი“. ე გ ნ ა ტ ე ს შვილიშვილმა დ ა ვ ი თ მ ა 1854 წელს გადაწერა „ქალვაუი-ანი“. და სხვა:

⁴ ალბათ, იგივე და ვ ი თ ი, ავტორი ქართველ მეფეთა საგვარტომო შტოისა — ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა და საათაბაგოს მოყლე ისტორიით,

⁵ ი. პლატონ იოსელიანის წიგნი გიორგი XIII-ზე.

⁶ ცნობილია, რომ დიმიტრი თუმანიშვილის სასიმღერო ლექსების პოპულა-რობას ამოწმებს პუ შ კ ი ნ ი ც თავის „არზოუმისაკენ გამგზავრებაში“, სადაც მოჰყავს „ახალ აღნაგო სულოდა“-ს („გაზაფხულის სიმღერის“) თარგმანი.

⁷ გ ა ტ ა ნ ი შ ვ ი ლ ბ დ ა ვ ი თ ი, პეტერბურგს მიმავალი 1803 წელს, მცხე-თაში გაჩერდა. აქედან თებერვლის 20-ს წერილით სთხოვდა მთავარსარდალ ციცანიანვეს, ნება დაერთო დ ი მ ი ტ რ ი თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს თ ვ ი ს მასთან ერთად წასულიყო, „რათა გზა უფრო მხიარულად განვაგრძოთ“. ციცანივების ნებართვით დ ი მ ი ტ რ ი ი ვნისის 27-ს დავითისაკნ გაემგზავრა (კავ. არქეო-გრაფ. კომის. აქტები, ტ. 11), შემდეგ პეტერბურგს წავიდა და იქ ცხოვრობდა.

ბატონიშვილ მიხელ გიორგისძესთან ერთად სამს წლამზე, რის შემდეგაც თბილისში დაბრუნდა.

დიმიტრი ირაკლი II-სა და გიორგი XIII მდივანი იყო. რუსეთის თვითმცყობელის ალექსანდრე I-ლის ბრძანებით 1804 წლის იანვარში დიმიტრი ტიტულარნი სოვეტნიკად გახადეს და თანაც მას პენსია დაუნიშნეს — 250 მან. წელიწადში სამდივნო შემოსავლის ნაცვლად, ოუმცა ეს მისი შემოსავალი წელიწადში 2.000 მანეთამზე აღწევდა. მას, სხვა გავლენიან პირებთან ერთად, ხელი უწერია იმ ეპისტოლებზე, რომელიც ამშვიდებს ქართველ თავადაზნაურობას რუსეთთან შეერთების გამო.

დიმიტრი არის ავტორი ბევრი სასიმღერო და ლირიკული ლექსისა, რაც მოთავსებულია XIX საუკუნის პირველი ნახევრის ყველა ხელნაწერ ანთოლოგიაში.

ზოგიერთი ცნობით (იხ. ლ. ბ. მოძალევსკისა და ვ. დ. დონდუას ნაშრომი პუშკინის კომიტეტის „ვრემენიკში“ 1936 წ. № 2), „გაზაფხულის სიმღერა“ დაწერილია 1803—1806 წლებს ზუა, როდესაც დიმიტრი რი პეტერბურგში იყო. პირველად სამღერის ტექსტი დაიბჭდა და ვით ჩუბინაშვილის „ქართულ ქრესტომატიში“ (ნაწ. II, გვ. 114) 1863 წელს ს-პეტ. შემდგვ. — სკანდალოვას მიერ გამოცემულ ქართულ ლექსთა კრებულში (1895 წ. თბილისი, გვ. 113); მერე პროფ. ხახანაშვილის „ქართული სიტყვიერების სტორიის“ ქართულ გამოცემაში (1904 წ. თბილისი, გვ. 540). დიმიტრი გარდაიცვალა 1821 წელს.

პლატონ იოსევლიანის ჭიგნში გიორგი XIII-ზე მოიხსენია ერთი მიწერ-მოწერა პლატონ იოსევლიანის მამასა და დიმიტრის შორის, რომლის სასიმღერო ლექსისაც იყო ძალიან თურმე აკრიტიკებდა.

პუშკინის გარდაცვალების ასი წლის თავთან დეკამირებით დიმიტრის სახელის გარშემო მთელი ლიტერატურა დაგროვდა. პირველად პუშკინის მიერ დიმიტრის ლექსის გადათარგმნის საკითხი პოეტმა ლეონიძემ აღძრა უურნალ „ქართულ შეწერლობაში“ (1929 წ. № 8-9). გან. „ქომიუნისტის“ 1936 წლის სექტემბრის 30-ის №-ში დაიბჭდა ლეონიძის სტატია, სადაც იგი გამოსთხვაში იმ მოსაზრებას, რომ პუშკინს დიმიტრის სასიმღერო ლექსი გააცნეს ალექსანდრე გარსევანის-ძე ჭავჭავაძის სახლში.

დიმიტრი იზევე იხ. აზრეთვე ლეონიძის შენიშვნები „ზარია ვოსტოკას“ 237 და 256 №-ზი; იაკობ ბალახაშვილის სტატია „საბჭოთა ხელოვნება-ში“ (1936 წ. № 1-2) და მისივე შენიშვნა „ზარია ვოსტოკას“ 1936 წლის აგვისტოს 4-ის №-ზი.

„ვრემენიკ პუშკინსკოჟო კომიტეტა“-ს მე-2 წიგნში (სსრკ მცნიერებათა აკადემიის გამოცემა, 1936 წ.) დაბეჭდილია ლ. ბ. მოძალევსკისა და ვ. დ. დონდუას ნაშრომი „Запись грузинской песни в архиве Пушкина“.

დიმიტრი თუშანი შვილი შორეული ნახესავი-იყო მიხ. თუშანიშვილისა და შთამომავლობით კვუთვნოდა მამუკას შვალის ბირთველი ს შტოს.

8 დოლფ ბერე ეს საცნობო რევულში. რომელც საქართველოს მუზეუმის ნებნაწერთა განყოფილებაშია, შემდევი ჩანაწერია გიორგი ზე:

Туманов Егор Игнатьевич, кн. В 1790 г. был секретарем при царе Ираклие, при котором находился по 11 января 1798 г., а потом при царе Георгие, в том-же звании по 1800 г. В 1801 г. 21-го января, по выбору дворянства грузинского общества (?), был послан в Россию депутатом, где Г. И. был пожалован в колл. асс., в 1803 г. поступил в российскую службу и определен к таможенным сборам в Тифлисе. В 1807 г. — директором тифл. таможни, надв. сов. За доставление собственным ижди-

вением и трулами из Баку в Тифлис тела ки. П. Л. Цицианова получил высочайшее благоволение, обявленное в предписании ген.-фельдмаршала Барклая-де-Толли 14 февраля 1812 г. на собственное имя кн. Туманова. 1816 г. — в кол. сов.; 1820 г. — в статск. сов.; в 1823 г. уволен в отставку; в 1830-г. определен членом комиссии, учрежденной для открытия фальшивых актов в Грузии, без жалованья; 1836 г. избран в члены-корреспонденты груз. Областного Статистич. Комитета".

გენ. ციციანი ნოვი, ახასიათებს რა იმ პირთ, რომელნიც ბატონიშვილი და და გიორგი თავ. ბაგრატიონს, როგორც საქართველოს ამჯანყებლები, აღნიშნავს 1805 წლის თებერვლის 28-ის რაპორტში იმპერატორი ალექსანდრესადმი, რომ გიორგი ერთგულია რუსეთისა „всей душой и везде усердие оказывает".

პეტერბურგში ყოფნის დროს გიორგის ალექსანდრე I-მა აჩუქა ბრილიანტის ბეჭედი, 775 მან. ლინებული (კავკ. არქეოგრ. კომისიის აქტები), იმ „ჩინის“ გარდა, რასაც ბერე უკი ისენიებს.

გიორგის ლირიკულ ლექსებზე მოკლე ცნობები მოიპოვება პროფ. ხახანაშვილის ქართული სიტყვიერების ისტორიის ნარკვევებში.

მისი ლექსები მრავლად შეკროვილია ორტომიან კრებულში „მრავალფერ ყვავილოვანი“, რომელიც გადაუწერია მისთვის ცნობილ კალიგრაფს და ვიორ რექტორს. „ვეფხვის ტყაოსნის“ ექვემდებრიანს, იმავე კალიგრაფის მიერ მისტვისვე გადაწერილს, დართული აქვს თვით გიორგის ლექსებიც. გიორგის ფრიად ვრცელ ბიბლიოთეკაში მოიპოვებოდა დავით რექტორის ლექსების კრებული, ავტორის მიერ მისთვის გადაწერილი, და რამდენიმე ძველი წიგნი, დავით რექტორის მიერვე ოსტატურად გადაღებული.

გიორგი გარდაიცვალა 1837 წელს.

უფრო დაწერილებითი ცნობები გიორგი თუმანიშვილზე იბ. ჩვენ ბიოგრაფიულ შენიშვნაში „ლიტ. საქართველოს“ 1938 წლის №-ში.

³ თუმანიშვილების ადგილ-მამულის გაყოფის სიგელში (1653 — 1658 წლებს შეა), რომელიც გამოქვეყნებულია ე. თაყაიშვილის „საქართველოს სიძღველეთა“ III ტომში, აღნიშნულია, რომ ეს ადგილ-მამული მდებარეობდა დარბაზში, თბილისში, გორგაში, ხელობაბაში, რეხაში, გარეჯვარში. ამის გარდა, 1658 წელს როსტომ მეფეს უჩუქებია თაყა, ბირთველ და სხვა თუმანიშვილისათვის სოფ. ბერდიკი ბოლნისის ხეობაში. უნდა აღინიშნოს, რომ ასი წლის შემდეგ სოფ. ბერდიკი ირიცხება სვიმონ ზურაბი შვილის მამულ-დედურად, მაგრამ გამორკვეული არ არის, სახელდობო როდის ჩამოშორდა ეს მამული თუმანიშვილების.

ბირთველის ოჯახს ჰქონია აგრეთვე წვრილ-წვრილი ნაკვეთები სოფ. ბერბუქში, ხელობანთან ახლო.

თუმანიშვილების ქონებრივ საკუთრებაზე იმ პერიოდში, როდესაც იგი საკამაოდ დიდი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ორდისმე, სრულ წარმოლენას ვერ ვიქონიებთ, თუ არ მოვიხსენიეთ ის ცნობები, რასაც იძლევიან ქართველი ისტორიკოსი გორგი ივანიძე და სომხები ისტორიკოსი ხაქარია: 1650 წელს, როსტომ მეფის ბრძანებით, თბილისში მომხდარა ორთა-ბრძოლა (დუელი) ბაიან დურ თუმანიშვილსა და შიომშბარათა შვილს შორის ტანტის მეგვიდრის მკვლელის გამოსასაშკარავებლად. უნდა ვითქმიოთ, რომ ეს იყო ეგრედოდებული „ლევთის მსჯავრი“ ან „ლევთის განგება“, ნაშთი საშუალო საუკუნეებისა, რასაც სხვა ხალხთა ზენ-ჩვეულებაშიაც ვხვდებით. გაუმარჯვნია ბაიან დურს. როსტომ მეფე განრისხებულა შიომშბარათა ბრძოლაში გამოვ-

ლინებული არაკეთილსინიდისიერებისათვის და უჭველაფერი, — ზაქარია გა სიტყვით, — რაც შიო შ გააჩნდა — მსახურნი (ქალნი და კაცნი), სოფლები და ბაღები, პირუტყვი და ყოველივე სხვა ქონება — ბრძანა — ნუსხით მთლად ბარანდ ურს გადაეცეს და ეს ბრძანება შესრულებულ იქნაო”.

10 1858 წელს მიხეილ თუმანიშვილის ხელთუბნის მამული შეფასებულ იქნა 14 775 მანეთად ვერცხლით — წლიური შემოსავლის ათწლეულად გამოანგარიშების კვალობაზე.

11 1804 წლის მაისის 12-ს ციციანოვაშვილი აცნობა გუბერნატორ რეიხს, რომ ბატონი შვილმა ალექსანდრემ გამოგზავნა საქართველოში რამდენიმე კაცი წერილებით, მათ შორის ზალ თუ მანი შვილიც, მემამულებონა კავშირის დასაქერად, და მიუთითა, რა ლონისძიებაც უნდა იქნეს ხმარებული მათ შესაცყრობად. მაისის 28-ს ციციანოვაშვილი მისწერა მითეილ ერისთავს ზალი შეეცყრო. რაც შეეხება ფარსადანს, იგი დაკერის შემდეგ დაკითხულ იქნა. დაკითხვის ოქმი და ცხობა, რომ „ბატონი შვილის ალექსანდრეს პარტიიდან დაკერილია ფარსადან“, საქართველოს მმართველმა თავი. ვალიანის კიმ ვაუგზავნა ციციანოვს, რის შემდეგაც პეტერბურგიდან მოეკიდა განკარგულება ქონების კონფისკაციის თაობაზე (აქტები, ტ. II). მოხსენებით წერილში (Записка) 1808 წელს მომხდარი შემთხვევის შესახებ (აქტები, ტ. III) აღნიშნულია, რომ ივლისის 16-ს ერევნიდან გამხაქცეული ქართველი თავადი ზალ თუ მანი შვილი ორ ყაზახელ თათართან ერთად გაიგზავნენ. თბილისში ერთგულებაზე ფიცის მისაღებად”.

12 1804 წლის ივნისის 27-ს ბატონიშვილი იულონთან და ფარნაოზთან მყოფ პირთა ჩვენების მიხედვით, — ას ლან ამი რეჯი ბი და სხვ. წავიდნენ წერილებით გიორგი ამილახორთან სოფ. ხრისში, ხოლო მეორე დღეს სადილობისას იქვე მივიდნენ იოსებ ბებუთოვი, სულბან, ზაქარია და ბირთველ თუ მანი შვილები და დავით ჯიმშერი შვილი; სადილ-შემდეგ კი აგრეთვე თეომურაზ ბაგრატიონიც, — „წავიდნენ ხელთუბანში, ისე რომ მისთვის [სოლომონ ამირეჯი ბის თვის]. არც ერთი სიტყვა არ უთქვამთ”.

13 იხ. დოც. გოზალიშვილის წიგნი „1832 წ. შეთქმულება“ (ტ. I).

14 აფხაზის ჩვენება ბირთველ ველ ზე გოზალიშვილის წიგნში.

იმავე წიგნში. დაბეჭდილი ბირთველი ის ჩვენების დედანი საგამომძიებლო კომისიის საქმეშია (ტ. III, გვ. 418 — 421).

ბირთველი, მისივე სიტყვით, არჩეული იყო მედიატორედ ერისთავითა ქონების გასაყიდვად, მაგრამ ვერ შესძლო მონაწილეობა მიეღო ამ საქმეში, რადგანაც ქალის გათხოვების ზრუნვაში იყო გართული. ბირთველი რუსეთიდან დაბრუნებულ გიორგი რევაზისძე ქსნის-ერისთავს, აგრეთვე ელიზ ბარ ერისთავს, ალექსანდრე და ვანტანგ. ორ ბელიანებს ერალაქარე ბალში და შინადაც, მაგრამ ისინი რუსულად ლაპარაკობდნენ, მე კი რუსული ენა უხეიროდ მესამისო. იგი ხვდებოდა პასუხისებრაში მიკვემულ სხვა პირებსაც. დიმიტრი გიორგი ინახულა ბირთველი მისცემა მამულში. შემდგომ თავის ჩვენებაში ბირთველ ველ მა აღიარა, საბაბი მეონდა უკმაყოფილო ვყოფილიყავ პასკევისა, რომელმაც დააპატიმრა ჩემი შვილი. მთელ წელიწადს ჰაუპტვახტში ამყოფინა და მერე სამართალში მისცაო. მართალია, სასამართლომ შვილი გაამართლა და გაანთავისუფლა, მაგრამ, როდესაც საქმე სასამართლოს განაჩენის დამტკიცებაზე მიდგა, პასკევისა, ბერძენ ლანგარის დასმენით, იმპერატორს კეთილშეუსაბამო დასკვნა წარუდგინაო. იმპერატორმა, დაუჯერა რა მთავარმართებელს. ბრძანა ხელმეორედ დაეპატიმრებინათ

ჩემი შვილი, რომელმაც კვლავ 11 თვე პატიმრობაში გაატარდა. ბირთველი ი, მისი სიტყვით, გამოსტექვამდა შეთქმულებთან თავის უქმაყოფილებას რუსეთის ხელისუფლების მიმართ იმ მიზნით, რათა მათ გაეგებინებინათ მისვის განზრახული შეთქმულების ვითარება და მას შესაძლებლობა პქონოდა შეეტყობინებინა ეს ახალი მთავარმართებლის ბარონ როზენი ისათვის, ამით მოეგო მისი წდობა და მოეხერხებინა შვილის აღდგენა სამსახურში.

ბირთველი ის ჩემება მიმართულია თვით როზენისად მი იმ უჟველი განზრახვით, რომ როზნის ზომიერი პლიტკისა და პასკევიჩი ის უსამართლო თვითონებობის დაპირისპირებამ სათანადო ეფექტი მოაპლინოს. მაგრამ ბირთველი ის საკუთარი ხელით დაწერილი ჩემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბართველი და, თუ ბირთველი მჭიდრო კავშირი პქონდა შეთქმულებთან საკმარდ კარგა ხნის განმავლობაში, როდესაც ეს შეთქმულება მზადდებოდა, და მისი ისავე სიტყვით, მან იცოდა ყოველი წერილმანი ამ საქმისა, მაში რაღას უკადა სწორედ გამოსვლის დღეს და თავის დროს არ გააფრთხილა ხელისუფლება, თუ კი ნამდვილად ეს განზრახვა პქონდა? ასე რომ, ზოგიერთი შეთქმულის მიერ გამშილებული, ბირთველი, ასე, როგორც საქმის სხვა მონაწილენი, მიმართავს ყოველგვარ ხერხს, რათა თავისი ხევდრი შეიმსუბუქოს. დიმიტრი ყიფიანი ის ჩემება, რომ ბირთველი იგი იცნობდა შეთქმულების მომზადების პერიოდში, დართული აქვს მის მემუარებს.

15 სამხედრო მინისტრის ჩერნიშვილის რეზოლუცია ბირთველის საქმეზე: იხ. აქტების VIII ტომში და გოზალიშვილის წიგნში.

16 „С представлением о короновании царь Ираклий присыпал к кн. Потемкину первого своего секретаря и любимца, кн. Сулхана Гуманова, коего кн. Потемкин пашел человеком благородным, весьма хародшего просвещения и со многими дарованиями“. „Нельзя казалось—писал кн. Потемкин имп. Екатерине II-ой 7 октября 1783 г.—таковым себе представить жителя Тифлисского“.

სულხანი იყო მდივანბეგი და მდივანი მეფე ირაკლისა და შემდეგ გიორგი XIII-სა. ირაკლის მეფობის დროს სულხანი დიდი გავლენისა და დიდი ნიღბით აღჭურვილი კარისკაცი იყო. რუსეთში იგი გაიგზავნა ვითომ მარტო იმისათვის, რომ ეცნობებინა ეკატერინე II-თვის ირაკლის მეფედ დაგვირჩვინება, ნამდვილად კი სულხანს დავალებული პქონდა დაემყარებინა მუდმივი ურთიერთობა რუსეთის სამეფო კართან და დაახლოებოდა ყოვლად-შემძლებობით მკინს. მისი გამგზავრება 1783 წლს მოხდა, მაგრამ ის სებარღუთაშვილის არქივში დაცული მიწერ-მოწერიდან ჩანს, რომ სულხანი 1789 წლის სექტემბერს კრემენზუგში იმყოფებოდა. ამის გარდა, ბუტკოვიც აღნიშვნას (ტ. II გვ. 197), რომ „მეფის თხოვნით რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნებულ იქნებოდი შვილი ან ტონი — საქართველოს კათოლიკოსი და მინისტრი თავადი ჭავჭავაძე“, ხოლო პოტიომპინთან დარჩა მეფისაგან თავით უმანი შვილი პოტიომპინის სიკვდილამდე“, ე. ვ. 1791 წლამდე. 1791 წლის ირაკლი მეფემ დანიშნა სულხანი „за отливание и заслуги“ იმ საჩუქროთა გამგებელად, რაც მეფეს მისდიოდა; ამასთანავე, სულხანს უფლება მიენიჭა მიელო ამ საჩუქრების მე-11 ნაწილი.

ეკატერინე II-ს უჩქებია სულხანისათვის ზრილიანტებით მოოჭვილი ოქროს საათი, 5 ათას მანეთად ღირებული. ამ საათის შემდგომი ისტორია ქართველი საგულისხმოა, როგორც იმ ეპოქის დამახასიათებელი დეტალი: საათი შეიძინა სულხანი საგანი საგან მეფემ და გაუგზავნა ვიღაც ბაბათხანს აბილი-

ზის აობრების დროს დატყვევებულთა გაშოსასყიდად. საათის ნაცვლად სულ-ხანს მიეკა საათის ფასად ღირებული მამული. შემდგომ სულ ხანის ზოგიერთმა მტერმა ცილი დასწამა მას, მამულს უკანონოდ ჰყლობო. გამოჩენდნენ ისეთი პირიც, რომელიც მოწმობდნენ, ვითომც სულ ხანისათვის მასზე გამწყრალს. სასამართლოში სიგელი მოქაბოს თვით მეფეს, რაღაცისათვის მასზე გამწყრალს. სასამართლოში მოწმებად გამოვიდნენ ეგნატე თუმანიშვილი და თბილისის მოქალაქე სააკოვი. სულ ხანმა მოწმები განადგინა, აუხსნა რა სასამართლოს, რომ უგნატესთან მას დავა აქვს სხვა საქმეზე და. ამასთანავე, ეგნატე მ სამჯერ-რჯული გამოიცვალა და ამით თავისი პიროვნება ზნეობრივად გააწილაო. სააკოვიც, სულ ხანის სიტყვით, ლირსებამოკლებული ადამიანია, ვინაიდან მან სამხის რჯული კათოლიკობაზე გასცვალა და შემდეგ კვლავ სომხის რჯული მიიღო. კათალიკოსმა დაადასტურა, რომ ამგვარი ადამიანების ჩვენებას ფასი არა აქვსო. დიდი ვაძვაგლახის შემდეგ სულ ხანს დაუმტკიცეს უფლება ამ მამულზე. პროცესი 1804 წელს მოხდა, უკვე რესეთის ხელისუფლების დროს. შენახულა საქალალდე ყველა დოკუმენტებით ამ საინტერესო საქმეზე. ამჟამად იგი, ალბათ, საქართველოს ცენტრალური ვიზია.

გენ. ციცინოვი 1805 წლის თებერვლის 28-ის რაპორტში იმპ. ალექსანდრე სანდრე სადმი აღნიშნავს, რომ სულ ხანმა „უკანასკნელი მეფის დროს განიცადა დიადი დევნა (великое гонение)“. რესეთის თვითმპყრობელი ხელისუფლების დამყარებისა და „საქართველოს უხენაესი მთავრობის“ დაარსების შემდეგ; სულ ხანი დაინიშნა ამ „მთავრობის“ წევრად სახელმწიფო (казенное) ექსპედიციის ხაზით. მისი სახელი ყოველთვის მოიხსენიება იმ პირთა სიაში, რომელიც კმაყოფილ არიან ხელისუფლებით. 1801 წელს იგი იყო წევრი საგამომძიებლო კომისიისა, რუს მოხელეთა ბოროტმოქმედებას რომ იკვლევდა, ხოლო 1805 წელს— საქართველოს საერთო უხენაესი საკრებულოს წევრი.

საქართველოს მუხეუმის ხელნაწერთა განცოფილებაში დაცულ მიწერ-მოწერიდან ჩანს, რომ საქართველოში მეფობის მოსპობის შემდეგაც სულ ხანს მებობრული ურთიერთობა ჰქონია ბატონიშვილი და ვითთან და სამეფო ოჯახის სწვა წევრებთანაც, საერთოდ კი ეს ოჯახი კარგად იყო მისდამი განწყობილი.

¹⁷ მდივანბეგი და უფროსი მდივანი ეგნატე ერთი უახლოესი თანაშემწერთაგანი იყო ირაკლი I I -სა და, როგორცა ჩანს გადატენილი სიგელებიდან, მეფე ძალიან აფასებდა. არანაკლები გავლენა ჰქონია მას გიორგი XIII დროსაც. როგორც ბეჭითი გამტარებელი გიორგი XIII რუსთავილური პოლიტიკისა, ეგნატე მნიშვნელოვან როლს თამაშობს იმ საბედისწერო დროს, როგორც სწყლებოდა საქართველოს ბედი. იმ მცირერიცხვან კარისკაცთა წრეში, რომელთაც იწვევდა მეფე რუსეთადან გარსევან ჭავჭავაძის ის მიერ გამოგზავნილი წერილების განსაბჭობად, იყო აგრძოვე ეგნატეც. სოლომონ თარხნიშვილი 1803 წლის იგნისის 10-ს (აქტების II ტომი) ატყობინებს გენ. ციცინოვს. მარიამ ჭავჭავაძისას განხილული იყო გარსევანის წერილები, ალექსანდრე I -ის ტანტზე ასვლის მანიფესტის გამო მოწერილი, და ამ განხილვაში მონაწილეობას იღებდა ეგნატე კაო.

როგორც ციცინოვისა, ლაზარევისა და სხვა რუს აღმინისტრატორების მიერ გამოთქმული აზრიდან ჩანს, ეგნატეს როლი და მნიშვნელობა გიორგი XIII სამეფო კარზე მათვის საიდუმლო არა ყოფილა, და გენერალი ლაზარევი აცხადებს 1800 წლის დეკემბრის 28-ს, რომ ამიერიდან ყველა ბრძანება ხელმოწერილა და ბეჭედდასმული იქნება: მისი უგანათლებულებობის ბატონიშვილის იმპერატორის იმპერატორის ეგნატე-მდივანის და ჩემ მიერო“.

საქართველოს უზენაესი მთავრობის „მოწყობისას ეგნატე დანიშნულ იქნა მის წევრად სამოქალაქო ექსედიციის ხასით. ფანაც ლაზარე ვი და სხვანი უჩივიან ეგნატეს. დაბოკოლებებს გვიქმნის, თავს არიდებს საქართველოს ხანინისა და მეფის შემოსავლის უწყისების ჩაბარებას და სხვა მისთ.

ეგნატეს პირადი არქივის ნული გადაურჩა აკლ მას.

ბროსესე ერთერთ თავის თხულებაში აღნიშნავს, რომ ეგნატეს საგვარტომ შტო უნახავს. ეგნატეს ზოგიერთმა დოკუმენტმა (მგალითად, უკვე მოხსენებულმა ქრისტიანისა და ბიბლიოთეკის ნუსხამ, მისი ქალის ელისა ბერის მნითვის ნუსხამ და სხვ.), აგრეთვე მისმა დიდმა პორტრეტმა, ზეთიანი საღებავებით დახატულმა, ჩაენს დრომდე მოაღწია. ეს საგნები ამჟამად ნაწილობრივ საქართველოს ცენტრალქივშია, ნაწილობრივ საქართველოს მუზეუმში და ნაწილობრივ მეტების მუზეუმში.

¹⁸ ოჯახში დარჩენილი ცნობებით იგი ცოცხალი იყო 1799 წელს.

¹⁹ ბირთველ—ეს სახელი, თუ მანიშვილების გარდა, გვხვდება მხოლოდ ძველ თრბელიანთა გვარში (ისიც „ბურთველ“—ის ან „ბირთველ“—ის ტრ. ნსკრიბციით), რომელთანაც თუმანიშვილებს აახლოებს წარმომავლობის ერთობა. ამ სახელის ეტიმოლოგია გამორკვეული არ არის (ბროსეს აწარმოებს „ბირთველ“—ს „ბირთვისის“ ციხის სახელწოდებიდან). დეტალებს რომ არ გამოვუდგეთ, უნდა მაინც აღნიშნოთ, რომ ამ ორი გვარისათვის ჩვეულია სხვა საერთო სახელებიც, მაგალითად მამუკა, ლიპარიტი, თუმცა ეს სახელები სხვა გვარებშიც გვხვდება.

²⁰ ბირთველის შეილები პირველი ქორწინებიდან (მეუღლე ბაბალოვისა, გორის მამასახლისების ოჯახიდან): ავთანდილ, დაიბადა 1795 წ.; სიკვდილის წელიწადი ცნობილი არ არის; მეორე ქორწინებიდან (მეუღლე ანა, ქალი სომხეთის მელიქის ათანასე მირიმანოვისა): გიორგი, დაიბ. 1801 წ., გარდაიცვალა 1831 ან 1832 წ.; ელისაბედ, დაიბ. 1806 წ.; როგორც სჩანს, ცოცხალი ყოფილა ჯერ კიდევ 1832 წ.; გრიგოლ, დაიბ. 1807 წ., გარდ. 1838 წ.; კონსტანტინე, დაიბ. 1810 წ., გარდ. ბაგრატიშვილი; ალექსანდრე, დაიბ. 1813 წ., გარდ. ბაგრატიშვილი; ივანე, დაიბ. 1815 წ. გარდ. ურმობისას; ვასილ, დაიბ. 1816 წ., გარდ. 1845 წ.; მიხეილ, დაიბ. 1818 წ., გარდ. 1875 წ.; ნინო (ნინო), დაიბ. 1815 წ., გარდ. ბაგრატიშვილი.

²¹ ცნობები თარეშობის შესახებ „კავ. არქეოგრ. კომისიის აქტებშია“.

²² „Описание грузинского города Гории“ — Санктпетербург, в типографии Иосифа Иоанесова, 1816 г., 37 страниц, თხზულება „Секретаря его светлости грузинского царевича Давида, грузинского князя Автандила Биртвеловича Туманова“.

ავთანდილის თხულება შეადგენს ბუნების, ციხის, მოსახლეობის, ზნებეგულების და მოსაქმეობის აღწერას. მასშია აგრეთვე ბიოგრაფიული ცნობები პოეტ („стихотворец“) სტეფანე ფერანგიშვილი შვილზე:

ავთანდილის ნაშრომი დაწერილია მისი დროის სანტიმენტალური ლიტერატურის წესისა და იერის კვალობაზე. აღწერილობას წინასიტყვაობა, რომელშიაც ავტორი ამბობს: „Первый творец назначил в сем мире везде пользу и красоту, и самого человека сотворил из ничего, дабы он наслаждался как зрением на величество сотворенного, так и чувствованием наслаждения всеми благами земли, как-бы в дар ему приносимых. Чувствуя толь непостижимое благоволение творца к человеку, я решил в благоларном поклонении перед ним, описать край, может быть не всем известный, где рука господня произвела удивительные красоты природы и изобилие для блага человеческого“.

ა ვ. თ ა ნ დ ი ლ ს მიაჩნია, რომ გორის „райское местоположение“ ღირსია „ახალი რაფაელის“ ყალბისა; ქალაქის აღწერილობა თავდება ქებით („похвалой“): „Вот конец сеemu краткому описанию прекрасной страны, населенной такими жителями, которые некогда разили турок, персиан и мезинцев; одних, владевших уже несколько время, выгоняли из города, других не допускали к оному, а на третьих напаляя отнимали пленников и веши разбойнически у них похищенные; жители, к которым грузинские пары имели отменное уважение и давали пред прочими особыную привилегию, получившую при регентстве царевича Да в и да всю свою живость, до той степени были предпочтаемые, что когда случались какие-нибудь проишествия и нужно было посланство от грузинского двора к турецкому или персидскому, отправляли горийских граждан. Нет сомнения, что они сие заслужили своим поведением, образованностью, нравственностью и опытностью в делах и живостью своего красноречья“.

„ზარია ვოსტოკის“ 1937 წლის 97 №-ში დაბეჭდილია გ. კაცია შველის სტატია: „წიგნი ქალაქ გორზე“ („Книга о городе Гори“). გ. კაცია შველის პგონია, რომ „ავტორი [ა ვ თ ა ნ დ ი ლ თ უ მა ნ ი შ ვ ი ლ ი], ეტყობა განგებ გვერდს უხვევს იმ ამბებს, რაც მაშინ ხდებოდა როგორც მთლად საქართველოში, ისე გორში“ (ღიულისმება ბატონი შვილი იულონის შეთქმულება, რუსი ჯარის გადასახადები, ბეგარები, გლეხთა აჯანყება). კაცია შვილი დაწვრილებით იხილავს ა ვ თ ა ნ დ ი ლ ი ს ნაწარმოებს, უთმობს რა თავის სტატიაში ადგილს ვრცელ ამონაწერებს ამ ნაწარმოებიდან.

ა ვ თ ა ნ დ ი ლ ი ს ლიტერატურულა მემკვიდრეობიდან, „აღწერილობის“ გარდა, შენარჩუნებულა ბატონი შვილი გრიგოლის კრებულში მოთავსებული ლირიკული და სატირიკული, ლექსები, დიდი სატირიკული სცენა პეტერბურგელ ქართველთა კოლონიის ცხოვრებიდან (იქვე) და თარგმანი (რუსულიდან ქართულა ა) საბუნებისმეტყველო-ისტორიული ნაშრომისა ასურეთხე (დიდი ტანის წიგნი-ხელნაწერი).

ვ მ ა ი ა (მარიამი), გარდაიცვალა 1818 წლის დეკემბრის 18-ს.

თ ა ვ ი ი

²⁴ სოფ. ხელთუბანი, როგორც მთლად ქართლიც, ხშირად ყოფილა მტრის თარებისა და აკლების ასპარეზი. ასე იყო წინად, ასევე გრძელდებოდა XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის დასაწყისში. ქსნის-ერი ის თავები 1802 წლის მაისის 10-ს სწერენ გენერალ კნორინგს, რომ ახალციხეში წასვლის შემდეგ მიხეილ და ელიზაბეტ ერისთავავებმა მოიყენეს თურქები და ლეკები, ერთ ღამეში დაარბიეს ხელთუბანი და 200-მდე ტყვე და მთელი ოთხფეხი საქონის გაირეკეს. ასევე მოხდა სხვა სოფლებშიც (აქტები, ტ. I).

მუდმივი თავდასხმა ქართლზე და გარდამავალი პერიოდის მოუსკენარი ცხოვრება ჰქმნილა მემამულეთა ოჯახებში ისეთ გრძნობას, რომ არავინ არ იცოდა, ხვალინდელი დღე რას მოუტანდა. ამიტომ სამხედრო ხელობა თითქმის სავალდებულო გახდა ახალგაზრდობის უძრავლესობისათვის. თვით მის. თუმანიშვილიც აღნიშნავს ეპოქის ამ თავისებურებას ყირიმში ბრძოლის დაღუპული პოლკოვნიკი ნიკ. დიმ. ერისთავის ნეკროლოგში (გამ. „კავკაზის“ 1856 წ. 43 №-ი).

უკავე კიდევ ბავშვობის პირველ შთაბეჭდილებათა კავლენით მამის სახლში, სადაც იგი გაჰყურებდა თავის სამშობლოს მეზობლად მტრული მეტყვე-

ლებით მდებარე მოქებს, აშკარად სედავდა, თუ რისთვისაც უნდა ყოფილიყო განმხადებული მისი მომავალი ცხოვრება. შარობლაც და, იმ ქვეყანაში, სადაც იარაღის ჩხარუნი არას დროს არა სწყდება, იშვიათი მოვლენაა, რომ სამხედრო ასპარეზი ამ ქვეყნის შვილთათვის მუდმივი, თითქმის ერთადერთ მოწოდებად არ გადაიქცეს.

25 ბატონი შვილი ჟანუარი შტატი თავის წიგნში აღნიშნავს, რომ თურქებს ქალ გორში დაუნგრევათ თუ მანი შვილების მიერ აეგბული ეკლესია.

26 ქრისტეფორე თუ მანი შვილი თბილისის მიტროპოლიტის მოადგილე იყო, ხოლო შემდეგ თვით მიტროპოლიტი (ტყილელი) XVIII საუკუნის ნახევარში (სამოციან წლებში). თავის სოფელში ეკლესის აშენების გარდა, მას სიონის ტაძართან საეკლესიო ღვინოებისათვის აუგია სარდაფი, რომელზედაც შენარჩუნებულა წარწერა აების დროს შესახებ—1762 წ. პლატონი ითხელი იანი თავის „თბილისის სიძველეთა აღწერილობაში“ („Описание Древностей Тифлиса“—თბილისი, 1868 წ., გვ. 218) ამოწმებს, რომ ქრისტეფორეს დროს მოხდა საეკლესიო გალობის გარდაქმნა.

27 მიხეილ თუ მანი შვილის არქიტექტორი შენახულა ვრცელი, ხანგრძლივი მიწერ-მოწერა. მასი რევაზის შვილებთან—და იმიტრი ისა და ალექსანდრეს თან დრეს თან. ალექსანდრეს სახელი, როგორც ახლობელი ნათესავისა და მეგობრისა, მუდმივ გვხვდება მიხეილის წერილებში თავის შვილებთან. (დიმიტრი ი მოკლეს ბაზეადიკლარის ბრძოლაში ჯერ კიდევ კარგა ხნით აღრე. ამ წერილებამდე). მიხ. თუმანიშვილმა უძღვნა დ იჭმიტრი ის სსოფნას „კავკაზის“ სამხედრო ფურცლისთვის დაწერილი ნარკვევი.

28 თბილისის სომებთა არქიეპისკოპოსი ნერსეს აშტარაკელი (შემდგომ კაბალიკოსი) 1814 წლის ნოემბრის 19-ის, წერილში ბირთველი ის სახლზე, სხვათაშორის, ჰიონის ბრძოლაში ჯერ კიდევ კარგა ხნით აღრე. ამ სად იმყოფება იგივ.

29 საგვარეულო არქივში შენახულა ქართული თარგმანი „სანქტპეტერბურგის გუბერნიის მარშლის“ („санктпетербрегского губернскаго маршала“) უერებცოვის წერილისა 1814 წლის აგვისტოს 3-ის თარიღით „ქართველი თავადის ავთანდილ თუ მანი შვილისადმი („Грузинскому князю А в т а н д и лу ჭуманову“). თარგმანი უხეიროა. და ამიტომ ესათუის ადგილი შეიძლება სხვადასხვანაირად იქნეს განმარტებული. მაინც, რამდენადც შესაძლებელია გაგება, ამ წერილში ლაპარაკია იმაზე, რომ ავთანდილი მედალი ვლადიმირის ლენტზე სასოფრიად ნაპოლეონის შემსევისაგან რუსეთის იმპერიის დაცისა (თავადაზნაურობის ლაშქრობის რიგებში). ავთანდილი ის მონაწილეობა 1812 წლის კამპანიაში თეორეტიულად შესაძლებელია, რადგანაც იმ დროს იგი 17 წლისა იყო და მას შეეძლო მოხალისედ ყოფილიყო, მაგრამ მაშინ გაუგებარი სდგება, რატომ ჰიონის არქიეპისკოპოსი ნერსესი მის მგზავრობაზე ორი წლის შემდეგ. მეორეს მხრით, უერებცოვის წერილი ავთანდილს რომ არ ეხებოდეს, იგი არ იქნებოდა ავთანდილისადმი მიმრთული, ქართულად გადათარგმნილი და თბილისში გამოგზავნილი.

30 ასწერს რა გორის მიდამოებს, ავთანდილი, უნდა ვიფიქროთ, ჰგულისხმობს უპირველეს ყოვლისა თავის სამშობლო ხელთუბანს. აქ მის თვალწინ იშლება „უამრავი ვენახები, მდიდარი თითქმის ყოველგარი ტკბილი და გემრიელი წილით; მორთული კეთილსურნელოვანი და თვალწარმტაცი ყვავილებით; სავსელამაზ ფრთხოსანთა მშვენიერი და პარმონიულად შეხმატებილებული გალობით. იმ დროს, როდესაც ზამთრის საბურავისგან განთავისუფლებული დედამიწა დაინამდება და გამოციცლდება სამური აისის და დაისის ციური ცვარით, ქათბება

სულისჩამდგმელი მზის სხივებით, გაგრილდება მთებიდან მონაბერი სიოთი, მოირ-თვება სწვადასხვა მცენარით,—ველებზე და ფერდობებზე გამოჩნდებიან მწვანეზე მონავარდე ცხვრის ფარები და ხარ-ძროხათა და ხბოთა უშველებელი ნახირები, რომელთა ბრდლვინვა აირეკლება მაღალი მთების გამოძახილად; მინდორ-ველი აღვითქვამენ უცვ სამკელს და ნაყოფთ, დედამიწა გადაუსნის თავის წიაღს გუთნის ბასრ საკვეთს. ყველგან ჩანან მიწის მუშა მშრომელნი, მიწის წიაღს რომ საზრდოს სუჯრავენ; ხშირ ჭალებში და ფერდობებზე გაისმის მონაცირეთა ხმაური; ციცაბო აღგილებსა და ნაპრალთა კალთებზე მწყემსნი აძლებენ თავიანთ ფარებს, უკრავენ თავიანთ სალამურებს და აღლებენ თვალთხილული ბუნების მშვენებას, გამაგრილებელ წყაროებთან მწვანეზე გიუმაუბენ ბედაურნი, რომელთა უებრო სილამაზე და სიმკვირცხლე თვალს სიამოვნებას ჰგვრის. საითაც გაიხედავ, ყველაუერი თითქო ზეიმობს მშვენებასა და სიამეში, ყველაფერი თვალსა გჭრის, ყველაფერი ატყვევებს გულს, ახალისებს სულს, აღაგზნებს ოცნებას, ვინაიდან ყველაფერი ბუნებრივია, ყველაფერი ბუნების კანონთა წესით მოწყობილი, თავისუფალი ყველგვარი ძალატანებისაგან მხატვრისა, რომლის ქმნილებაც, როგორიც უნდა იყოს იგი, ვერ აძლეს ისეთ ძლიერ შთაბეჭდილებას, ვით უდიადესი ბუნება, ეს—შეგობარი და მესაიდუმლე გრძნობისა“.

თ ა ვ ი III

³¹ საინტერესოა მოხსენებითი წერილის („записка“) ავტორის მოსაზრებანი კავკასიელი ახალგაზრდობის ზოგადი განათლებისათვის მომზადების თაობაზე [ამ მოხსენების ხელნაწერი ეკზემპლიარი სათაურით „აზრები სახალხო განათლებაზე კავკასიის იქით“ („Мнсли о народном образовании за Кавказом“) აღმოჩნდა მის. თუმანიშვილის არქივში]: „თითქმის ყველა ბავშვს, აქ სასწავლებელში რომ შედის, არც ერთი სიტყვა რუსულად არ გაჭება; მათ შორის ბევრია ისეთი, რომელიც რუსულ გვარს ატარებს, მაგრამ რუსული კი არ ესმის. ხოლო იმ მოსწავლეთათვის, რომელთაც, მაგალითად, სურთ გიმნაზიის კურსი შეისწავლონ, დაბრკოლებანი გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე თვით მასწავლებელთათვის. დავიწყებ იქიდან, რომ ისინი აქ მშობლების სახლში უმეტეს ნაწილად არა მარტო მოსამზადებელ ან შინაურ სწავლას არ იძენენ, არამედ ზრდილობის არაერთამ წესებსაც. ისე შედიან სასწავლებელში, რომ არც ერთი რუსული სიტყვა არ იციან და რუსული მათ მხოლოდ სასწავლებელში ესმით“... „რუსეთში ბავშვები თავიანთ ოჯახებში ბევრ რამეს სწავლობენ ყურისმოკვრით ან თვალდანაზვით, აქ კი მათ თავიანთ ოჯახებში არ შეუძლიანთ ამის გაგება, და ყველა-ფერი მათ ეძლევათ დიდის ძალვით და მძიმე სწავლით. ამასთანავე, მშობლებს, რომელთაც სწავლის სარგებლობა უკუღმართად ესმით, უმეტეს ნაწილად, წარმოდგენაც კი არა აქვთ იმაზე, რომ ზედამხედველობა გაუწიონ ბავშვებს სასწავლებელში ყოფნის დროს“.

პოტოც კი მომხრე იყო რეალური სასწავლებლებისა (რომლებიც ბოლოს დაბოლოს დაარსებულ იქნა თბილისში და ამიერკავკასიის ზოგიერთ სშვა ქალაქში), რადგანაც ასეთ ქვეყანაში, რომელმაც არამც თუ არ იცის რა არის ევროპული ცივილიზაცია, არამედ რომელიც მას სთვლის თითქმის მძიმე უღლად, განათლება რომ კლასიკური სისტემით დავიწყოთ, მაშინ მისი შუქი როდი გაათბობს, არამედ ზევნებით ისრიალებს და განათლებაც ვერ იხეორებს“.

³² ვასილ ისიდორეს დებულ თოვლაში (1791—1858) საქართველოში პირველთაგანმა მიიღო განათლება რუსულ კადეტთა კორპუსში (პეტერბურგს).

1809—11 წ.წ. ირიცხებოდა საქართველოს მთავარსარდალთან. 1812 წელს მონა-
წილეობას იღებდა ომში ნაპოლეონთან. 1817 წელს თან ახლდა ერმოლოვს საგან-
გებო ელჩობისას სპარსეთში. 1828—29 წ. წ. მონაწილეობას იღებდა ახალციხის
აღებასა და დაცვაში და დაჯილდოებულ იქნა ოქროს ხმლით სიმაციისათვის.
1829 წ. დაინიშნა სომხეთის ოქის უფროსად. 1838 წელს—ამიერკავკასიის მხა-
რის მთავარ სამმართველოს საბჭოს წევრად. 1844—47 წ. წ. სარდლობდა ჩრდი-
ლოეთ და მთიან დალესტნის ჯარებს. 1849 წ.—ამიერკავკასიის სამოქალაქო
სამმართველოს უფროსი და მთავარი სამმართველოს საბჭოს თავმჯდომარე.
1853—54 წ. წ. სარდლობდა კავკასია-თურქეთის საზღვარზე მოქმედ ჯარებს. გაი-
მარჯვა ერთი სამაც მასზედ ძლიერ თურქებზე ბაშკადიკლართან და ქურუქ-
დარასთან. 1856 წელს ასრულებდა მეფის-ნაცვლის მოვალეობას.

დავით რს იპის-ძე ბებუთოვი (ვ. ი. ძმა) დიდხანს იყო ვარშავის
კომენდანტად. გენერალ-ლეიტენანტი. პირადად იცნობდა პუშკინს და
გრიბოედოვს. (ცნობები უპირატესად ამოლებულია კავკასიის მოღვაწეთა
ლექსიკონიდან—„Словарь кавказских деятелей”—თბილისი, 1890 წ.).

ვიქან ვოლფგანგ გოეთე (1749—1832) უდიდესი გერმანელი-
პოეტი.

გეორგ ვოლფგანგ ბაირონი (1788—1824), „ჩაილდ-ჰაროლდის“ ავტო-
რი. შესანიშნავი ინგლისელი პოეტი.

სტენ დალი, ნამდვილი ჩახელი—ჰანრი ბეილ (1783—1842) ფრანგი რო-
მანისტი—რეალისტი.

ჰაკომო ლეოპარდი (1798—1837) იტალიელი ლირიკოსი. პოეტი—
პესიმისტი.

ადამ მიცკევიჩი (1797—1855) პოლონელი ლირიკოსი და ეპიკოსი
პოეტი—პატრიოტი.

ვინცენტი ჰაინრიხ (1797—1856), გერმანელი პოეტი, კრიტიკოსი, პუბ-
ლიცისტი.

პერსიბიშ შელლი (1792—1822) ინგლისელი პოეტი—ლირიკოსი.

პროსპერ მერიმე (1803—1870) ფრანგი რომანისტი, ნოველისტი,
პოეტი, პუბლიცისტი და ისტორიკოსი.

ვიქტორ ჰიუგო (1802—1885) XIX საუკ. სახელგანთქმული ფრანგი
პოეტი—რომანტიკოსი, მრავალი საყოველთაოდ ცნობილი რომანის ავტორი.

ალექსანდრე მანცონი (1785—1873), იტალიური რომანის ფუძე-
მდებელი და პოეტი.

ალექსანდრე სერგეი ის-ძე გრიბოედოვი (1798—1829), ავტო-
რი კომედიისა—„ვაი ჭუისაგან“ („Горе от ума“).

ჩიკოლოზ ვასილი ის-ძე გოგოლი (1809—1852), შესანიშნავი რუსი
მწერალი.

ანტონი კანოვა (1757—1822), იტალიელი მოქანდაკე, ყველაზე მეტად
სახელგანთქმული ახალი მექანდაკეობის ხელოვანთა შორის.

ვაკლუი დავიდ. (1748—1825) ფრანგი მხატვარი, კლასიციზმის მიმბად-
ველი სკოლის მეთაური.

ფერელი მენდელ სონ-ბარტოლომე (1809—1847), ნაყოფიერი გერ-
მანელი კომპოზიტორი, სიმფონიებისა, ოპერებისა და რომანსების ავტორი.

ვიქტორ ბერლი (1803—1869) ფრანგი კომპოზიტორი, სა-
პრივატამო მუსიკის შემქმნელი.

შა ზაჩატურ აბაგიანი (1806 — 1848) დიდი სომერი მწერალი, ახალი სომხური რომანის ფუქქმდებელი, განათლების მოღვაწე.

შა გრიგოლ დიმიტრი ს-ძე ორბეგი (1801 — 1883), ქართველი პოეტი-რომანტიკოსი.

შა ლერმონტოვის გვარს მის სიცოცხლეში ჩვეულებრივად გამოსთქმამდენ ლერმანტოვად.

შა ლევ სერგეი ს-ძე (1805—1852), ა. ს. 3 უ შკინის ძმა; მსახურობდა კავკასიაში ნიუეგოროდის დრაგუნთა პოლქში, პოეტი—კალამბურისტი.

შა იაკუბოვსკი, დეკაბრისტი.

შა მარლინსკი, ალექსანდრე ბესტუშევის ფსევდონიმი (1797—1837), დეკაბრისტი, კავკასიაში გადასახლებული. მოხატობებისა და კრიტიკულ წერილების ავტორი, „პოლიარნაია ზეგედა“-ს გამომცემელი.

შა პასკევი ჩ.ი., გრაფ ერივანსკი, კნიაზ ვარშავსკი (1782—1856), ირანელთა დამმარცხებული 1828—1829 წ.წ. კამპანიაში; მთავარსარდალი 1829 წელს თურქეთთან ომის დროს; 1831 წელს, —პოლონეთის აჯანყების დათრგუნვის შემდეგ,—დაინიშნა მეფის-ნაცვლად ვარშავაში და შეუდგა მეამბოხეთა ნაშთების ლიკვიდაციას.

შა დეკაბრი სტები—გაერთიანებული სახელწოდებაა იმ ფარულ საზოგადოებათა წევრებისა, რომელიც გამოვიდნენ 1825 წლის დეკემბრის 14-ს პეტერბურგში ნიკოლოზ 1-ის ტირანის (მტარვალობის) წინააღმდეგ.

შა ნიკოლოზ ბარათაშვილის მეტი სახელი მახლობელთა შორის.

შა ლიტერატურულ-პოლიტიკური წრეები რუსეთში.

შა სოლომონ დოდაშვილი (1804 — 1836), ლიტერატორი, „ტიფლისკია ვედომოსტი“-ს გამომცემელი, ერთერთი მთავარი ბრალდებულთაგანი 1832 წლის შეთქმულების საქმეში.

შა ანალოგიურ მოსაზრებას გამოსთქვაშს ა. გა წერე ლიაც „სტატიაში „ნიკ. ბარათაშვილის უცნობი ნაწერები“—„ლიტ. საქართვ.“, 1936 წ., ქვ. 19.

შა „დანიკ-პიდორ“ („Даник-Пидор“) (?) მოთავსებულია მელიქი შვილის შემდეგ. ბ. ბეჭანოვისა, ა. იზ. და დანიკ-პილორის პიროვნებანი ვერ გამოვარკვიეთ.

შა 1-ელ №-ში. მოთავსებულ პროგრამაში აღნიშნულია, რომ „გიმნაზიის ყვავილი“ („Цветоок гимназии“), მასში მოთავსებულ თხშულებათა შეინარსის მიხედვით, ნაწილდება რ განყოფილებად:

I რუსული სიტყვი ერება.—ლექსები: ახალი ლექსები ამ დარგში გამოჩენილი მოსწავლეებისა. პროცეს: მოხატობები, ალწერილობანი, წერილები, ამბები, მოგზაურობა, ისტორია და სხვა მისთ.

II უცხოეთის სიტყვი ერება. თარგმნები პროზად და ლექსად სტატიებისა როგორც აზიური, ისე ეპროპული ენებიდან.

III მეცნიერება და ხელოვნება (художество). მსჯელობა სხვადასხვა: საგანხე, რაც ეხება ზოგად ისტორიას, სიძველეთ, ბუებისმეტყველებას, გეოგრაფიას, ხელოვნებას.

IV მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. მსჯელობა მრეწველობისა და ვაჭრობის სხვადასხვა დარგზე. სოფლის მეურნეობისა და ხელოსნობის ცდები და ქარხნებისა, მანქანებისა და ფაბრიკების აღწერილობა.

V კრიტიკა. ლექსად და პროზად დაწერილ თხშულებათა და სხვ. ნაწარმოებთა გარჩევა.

VI ნარევი. სხვადასხვა საინტერესო შენიშვნები; ცნობები, ახალი ამბები და სხვ.

უურნალის პროგრამა შედგენილია იმ დროს დილუდ გავრცელებული „ბიბლიოთეკა დლია ჩტენია“-ს („Библиотека для чтения“) წიგნაკების ყაიდაზე.
„უურნალის მე-5 №-ში“ მრთავსებულია „პირველი ტომის“ (№ 1, 2, 3, 4, 5) შემდეგი სარჩევი:

I რუსული. ციტუპიმრება

ა) ლექსები:

ელეგია—გარსევან ვარ ლამოვას.
საღამო ტბის მიღამოებში—მისივე.
მეგობრებს—ეგორ ვილემსისა.
გავკასი—გრაფ გორსკისა.
თუმანოვა—ეგორ ვილემსისა.
პოეტი და ზემთაგონება—გრაფ გორსკისა.
ველოზარის სიმღერა ნარცესის კართან—ევროლემსისა.
ელეგია—გრაფ ვორსკისა.
განმარტოება—მისივე.
შტო და ობოლი გოგო—მისივე.
კახეთი—მისივე.
მ. ბებუთოვს—ეგორ ვილემსისა.
ტყვის სისმარი—გრაფ გორსკისა.
გენია-დამცველს—მისივე.
ამაოება ქვეყნისა—ეგორ ვილემსისა.
მეგობარს—გრაფ გორსკისა.
მოვონება—მისივე.

ბ) პრიზა:

ფურცელი კახეთზე—გარსევან ვარ ლამოვას.
წერილი სოფლიდან—თავ. ნიკოლოზ პარათაშვილისა,
ქართლში მისვლა—გრაფ გორსკისა.
წერილები საქართველოდან—ლევან მელიქიშვილისა.
ქოხი—გიორგი გასპარ ოვისა.
თელეტობის დღეობა—გრაფ გორსკისა.
წერილებიდან კახეთზე—თავ. ი. ანდრონიკაშვილისა.
ბრძოლა მთიელებთან—რუსი ფიცირის ნამბობი.
ალექსანდრე მონასტრიორსკისა:
ერმაკის სიკვდილი—ცემბირის ამბავი XVI საუკ.

თავ. მიხეილ ბებუთოვისა.

წერილი სოფლიდან—ივანე ტიტკოვისა.
შოხუცის ნაამბობი—თავ. იასე ანდრონიკაშვილისა.
ციხე-კოშკი კობი, ისტ. მოთხრ.—გრაფ გორსკისა.
სასაფლაო—ალექსანდრე მონასტრიორისა.
ირაკლი მეფე და ალავერდა თათარი.—ისტ. ანეკდოტი ეგორ
ვილემსისა.

სომხეთში გამგზავრება—თავ. მ. ბებუთოვისა.

H. အဖော်တုဂန ပြတ်ထွက်ခန္ဓာ

ଓ କଶିରୁାଳ ଗ୍ରୀଘଣୀରେ ପାଇଲାମୁଣ୍ଡିଲାଙ୍କାରୀ

და თანაშემწის უბილურებაში—ივანე ტიტე კოვისა:

ნაციურული ქართული რომანიდან ვის-რამიანი

თავ. ნიკოლოზ ბარათაშვილისა

კიდევ ნაწყვეტი ვის-რამიანილან—გ რაფ გორსკისა.

გერმანული ანგკდოტები—ეგოზ ვილემსისა.

არაკი—მისივე.

ირაკლი II მეფეობა—გრაფ გორსკისა.

მამის მოკვლა—მირიან ჭყონიასი.

ფრანგული ანეკდოტები—თავ. იასე ა.ნ. მ. რ. ვ. ი. კ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი. ს. ა.

ଶାରତ୍ୟାଳୀ ଲୋଡ଼୍‌ଇଂରୀସ

ମୋହନୀ ମିମର୍ବିଲଙ୍ଗା—ଘରାଟ୍ ଘରାଟ୍ ସକଳା.

III გეცნისა და ხელოვნება (художества)

ପ୍ରାଚୀନ ଦୂର୍ଲମ୍ବିତ କାନ୍ତି—ତାହା ନିଃଶ୍ଵର ଦୁଇଟିଙ୍ଗାଶୀଳ ଜୀବଙ୍କାଳେ

I. პაპიზმის ამაღლება.

II. მიხედვით (падение).

የመዳደሪያ ተቋማውን አስተካክል ነው፡፡ የዚህ ስምምነት ተረጋግጧል፡፡

·შეხედულება ძველი სამყაროს მოვლენებზე (события)—გრაფ გორსკისა.

ნატურის წვრილი ნაწარმი ახალციხის საფაშოში—(Мелкие произведения)

натуры в ахалицком пашалыке) — յ շ տ հ Յ օ լ լ յ մ ե ս օ ւ զ .

ზოგადი წარმოდგენა საშუალო საუკუნეების მდგომარეობაზე—

ଗୁରୁତ୍ୱ ଗୁରୁତ୍ୱକୁଳା.

ქართლში მისვლა—მ ი ხ ე ი ლ თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა (№ 1) თავდაპირვე-
ლად სათაურად ჰქონდა „საღამო გორის გზაზე“.

„ყვავილის“ მე-4 № ნაბოვნი არ არის, მაგრამ მის. თუმანიშვილის „შავაზ ნაწერებში აღმოჩნდა რვეულის ნახევი, რომელშიაც თვით მის. თუმანიშვილის ლექსის ნაწილია (უსათაუროდ), გ. ვა რ ლ ა მო ვი ს ლექსი „ძილი“, პროხა „სასაფლაო“ და „საღამო მეგობრებთან“ ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე მო ნა ს ტ ი რ ს კ ი ს ა უკანასკნელ გვერდზეა: „ციხე-კოშკი კობი“ (ისტორიული მოთხრობა) — დასასრული. თავი III“,—ე. ი. უპირატესად I-ლი ტომის საერთო სარჩევში დასახელებული მსალა, რომელიც უურნალის აღმოჩენილ რვეულებს შორის არ არის. თუმანიშვილის ლექსის ნაწილი მისი სრული ხელმოწერით (არა გრაფიკისა) შეიცავს შემდეგ ნაწყვეტს:

„Луга там бархатные лежат,
Разнообразными коврами,
И горы вместе там с реками
Долины злачны сторожат.
Пустынны скалы покрываю,
Красой там вечной дышет лес,
И ветерок прохладой вея
Играет с ветвями древес.
И взоръ манит холмик пыпиний:
Он яркой зеленью облит
И виноград на нем душистый
На солнце янтарем горит.“

„ციხე-კოშკი კობი“ — მოთხრობაა, როგორც ეტყობა, თვით აფ-ტორი განსაკუთრებულ მნიშვნელობას აკუთვნებდა, ვინაიდან მე-3 №-ში, „უცხო-ეთის სიტყვეერების“ წინ ასეთი განცხადებაა: „შემდეგი წიგნაკი დამშვენებული იქნება გ. გ თ რ ს კ ი ს ვრცელი თხზულებით, რომლის სათაურია „ციხე-კოშკი კობი“ („ვამიკ კიბი“), ისტორიული მოთხრობა“.

„ცნობა „ყვავილის“ ნომრების პოვნაზე თავდაპირველად პრესაში გამო-ქვეყნადა 1916 წელს ვრცელ შენიშვნაზ („სახალხო ფურცელი“ 1916 წლის ივლი-სის 30-სა) „გ. თ“ ის (გიორგი თუმანიშვილის) ხელმოწერით. ნ. ბარა-თა შვილის 1922 წელს გამოცემულ ბიოგრაფიაში ჩამდენიმე სტრიქონით მოიხსენიება „ყვავილიც“. პოეტი ი. გრიშაშვილი მოკლედ შეეხმ. „ყვავილს“ 1935 წელს თბილისის უნივერსიტეტში წაკითხულ დექციაში ნ. ბარათა შვილის ადრეული პერიოდის შემოქმედების დახასიათებასთან დაკავშირებით. დაბოროს, ა.კ. გაწერ ელიამ მოგვცა შედარებით დაწვრილებითი აღწერა 1, 2, 3 და 5 №№-ბისა ბარათა შვილის ნაწარმოებებთან დაკავშირებით („ლიტ. საქართვ.“ 1936 წ. მე-19 № ნოვემბრის 15-სა). 1-ზა №-შა ჩვენამდე არა-სრულად მოაღწია და, როგორც ჩანს, შავად ნაწერის სახით.

„გამომცემლის შენიშვნებს წანდახან მოთავსებულ თხზულებათა კომენტარიე-ბის ხასიათი აქვთ. მაგალითად, სტატიისათვის „წერილი სოფლიდან“ — ივანე ტიტოვისა (№ 3) „მთხველს“ („сочинитель“) გაუკეთებია შენიშვნა, რომე-ლიც განმარტავს მის სიტყვებს ორგვარი სტუმართმოყვარეობის თაობაზე: უანგარო და ანგარულისა. მეორე ხასიათის სტუმართმოყვარეობას იგი აკუთვნებს ინგლისე-ლებს. Надобно знать — гаნმარტავს იგი შენიშვნში — что англичане, при всем своем корыстолюбии, чрезвычайно расточительны. Еще надобно знать, что они золотолюбивы, а не сребролюбивы“. გამოცემელი იძლევა ირონიულ რეპლი-კას: „Такой истинны никогда еще не говорил нам любопытный наблюдатель. Цай бог ему успех!“.

უმეტეს შემთხვევაში კი გამომცემელი იტყობინება, რა მასალაც მზადდება შემდეგისათვის, სხვანაირად რომ ვთქვათ, ურნალს „რეკლამას“ უკეთებს. მაგალი-თად, „მიხ. ბერ უთოვის ნარკვევს „სომხეთში გამგზავრება“ (№ 3) დართული აქვს განცხადება, რომ შემდგომ წიგნაში მოთავსებული იქნება ეგორ ვილე მ-სის „ვეებართულა მოთხრობა“, ხოლო მე-7 №-ში (რომელიც სულაც არ გამოსუ-ლა) — გრაფ გორსკის (ე. ი. მიხ. თუმანიშვილის) თხზულება სათაურით: „სო-ლო მონ მეფის გაცევაა ან იმერეთის სამეფოს დამხობა, ისტორიული მოთხრობა, XIX საუკუნისა“ („Бегство царя Соломона или падение имеретинского царства, историческая повесть XIX века“).

„ბარატინსკი უვგენი აბრამის-ძე, გარდ. 1844 წ., ლირიკოსი პოეტი პუშკინის თანამედროვე.“

„განი, ბარონი, სენატორი, შემდგომ სახელმწიფო საბჭოს წევრი. 1837 — 41 წ. წ. მოვლინებული იყო კავკასიაში იმ კომისიის მეთაურად, რომელ-საც უნდა გაეკეთებინა რევიზია კავკასიის დაწესებულებებისათვის და გარდაექმნა სამოქალაქო მმართველობა საერთო საფუძველზე.“

0 1 8 0 IV

„ავტორის „გრაფ გორსკის“ შენიშვნა: „მე აქ ვგულისხმობ ძველსა და ახალს: ძველი — წარლვნამდე; ახალი — წარლვნის შემდეგ. ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ კავკასიის მწვერვალები წყალმა ვერ დაჰფარა მსოფლიო წარლვ-ნის დროს. იხ. კლაბროტი, მარლინსკი და, რაც უურო უმჭველია, — ყუ-

რი ათანაუთ მთიელ ხალხთ — იმ ადამიანებს, რომელთაც იმდენად სწამთ წარს სული, რამდენადაც სულთ აწყვის“.

ამ ეს საპე როი მდინარისა, ერთმანეთისაკენ რომ ისწრაფიან შესახვედრად; შვაფიქრებინგბუა ლ ერმონ ტორე ი ს მიერ „მწირში“ შექმნილი დებ-მდინარეთა სახის გავლენას, „მწირი“ რომ 1840 წელს არ იყოს დაწერილი.

ამ შე-5 ჩ-ში მოთავსებულ ნარკვევს საშუალო საუკუნებზე („საერთო წარმოდგენს საშუალო საუკუნოების მდგომარეობაზე“) — იმშე იმია იმი, რომ ის მდგომარეობაზე „საშუალო საუკუნების დორთა ასტრონომიური ჩვენ ცენტრილობით, თუ რამდენად მცირეა, მდაბალი და ზოგადის ლირსი ადამიანი, ვნებათალელვით აყელთებული და ცრუმორწმუნეობით გატაცებული, და რამდენად დიდია იგი, კეთილშობილი და დიდებული, როდესაც ერთობების გრძნების კანონს და მის დევს ქრისტიანული სარწმუნოების ტესებს“.

ამ 5. საერთო წარმოდგენა საშუალო საუკუნოების მდგრმარეობაზე“:

ამ ყრმობის დროს ქართული ლექსები, ოჯარებული ჟკვერი; აღნიშნული იყო, გვუთგნის 1833 — 34 წლებს.

ამ ცნობა ესიგრამების გაცვლა-გამოცვლაზე — 5. ბარათა შვილის ბიო-ბრაფიდან (1922 წ., გამოც.)

მართამ ფალავან დიშვილის, საპასუხო ეპივრამის ტექსტიდან
მიხერავს.

ლექსი თქვენი გვებოძა დიდათ არეულდა,
ადანკასგან შემოხული თქვენი საკადოისია,
ჩვენ არ გვშევნის მავარი საბეჭისა თქმანდა,
ხანი თქვენი არ გაატაროთ, თუნდ გაჯავრდეთ ვარშეშენ წი ქალნია“.

ნიკ. ბარათა შვილის აქვს ექსირომტია „ლენენს“ და მაროს“. მარიამ ფალავან დიშვილისა უპასუხების ტატოს და მიხეილს, ალბათ, ამ ლექსზე.

ზო ნიკ. ბარათა შვილისა. და მის. თუ მანი შვილის პირადი და ღალტერატურული მეგობრობა ჟკვე დიდი ხანგა აღიარებულია ქართული ლიტერატურის ისტორიის ფაქტად კონკრეტული ცნობები, რასაც ნიკ. ბარათა შვილის ბიოგრაფია ემყარებიან, როდესაც ამ მეგობრობაზე ლაპარაკობენ, შემდეგია: 1) გაეკრითი შენიშვნები მამაცა შვილისა, რომელიც იხსენიებს მის. თუმანიშვილს მიკ. ბარათა შვილის გვერდით ლიტერატურის იმ მოყვარეთა საჩარი, რომელთაც პერიოდი მუდმივი ურთიერთობა და რომელიც ხვდებოდნენ ერთმანეთს ბარათაშვილის სახლში; 2) ტატოს (ნიკ. ბარათა შვილის) შერილი 1838 წლის აგვისტოს 6-სა; 3) ანონიმული (ნამდვილად კი — ივ. მაჩაბლის) სტატია „ივერიაშა“ ნიკ. ბარათა შვილისა და მის. თუმანიშვილის შემოქმედების ახლობლობაზე; 4) მიხეილ თუმანიშვილის ანასაზი-პორტრეტი ნიკ. ბარათა შვილისა; 5) 1916 წლიდან — „თბილისის გიმნაზიის ყვავილი“.

მიხეალ თუმანიშვილი თავის 1852 წ. ფელეტონებში (გან. „კავკაზი“) იხსენიებს ნიკ. ბარათა შვილს როგორ უკვე ცნობილ პოეტს, რომლის ლექსებიც; ხალხში გავრცელებულა, ხელნაშერებად.

ამ ცნობებს აზლა უნდა დაცვუმატოთ მათი თანამდებობა კერძო ბიბლიოთეკაში, შეხვერულები მანანა ორბელიანისას, ნიკოლა ბარათა შვილის სახლში თუმანიშვილის სახლში და ბარათა შვილის დის ბარბარეს მოგონება (იხ. ნიკ. ბარათა შვილის ბიოგრაფიის დანართი (1922 წლის გამოც., გვ. 242). ბარბარე (ვეზირი შვილისა) იხსენებს, რომ ანიკოლაზ ბარათა შვილის ამჩანაგები იყვნენ გრიგოლ, ილია,

ზაქარია, ივანე და ალექსანდრე, ორბელი იანები. ხშირად დაუიოდა აგრეთვე ნიკოსთან მიხეილ ბირთველის-ძე თუმანიშვილი“.

* გ. თუ მანი შვილი ი „დახას“. და მოგონებებში” (წიგ. I, მე-2 გამოც., გვ. 147) აღნიშვნას, რომ ბარათა შვილი ის ზნეობრავი სახე პირველყოფლისა. ანციფრებს ყველას თავისი შსტაცებით ოცდათიანი წლების აღამიანთა საერთო ტიპთან. სულიერ ძალთა იგივე სიჭარე და აძავე დროს ცხოვრებაში იმედგაცუება, ბაიროიშტი პოეზიასა და სინამდვილეში, ძლიერი მიდრეკილება, საზოგადოებრივი მოღვაწეობისადმი და შედეგად — მსოლოდ მაღალი წრის ზისილ-პიპილებისადმი სწრაფვა. პეჩორინები და ლევ მონტოვე ბი შედაონერ საშხედრო სამსახურში, საღაც მათ იზიდავდა ფათერაკისა და მღლავარების განცდა, და ბარათა შვილი საც აგრეთვე მგზნებარედ სურა იგივე ძოლვაწეობა. შაგრამ ეს სურვილი პოეტმა უკრ შეისრულა მხოლოდ იმიტომ, რომ ბავშვობაში ფეხი მოატება და ასეთ მდგომარეობაში მას მხოლოდ „ინვალიდობა კრიმანდაში“ რუ შეეძლო შესველა“.

* 62 წერილი პირველად გამოქვეყნებულია ი. მეურალი იას სტარიაში (გან: „ივერია“ 893 ქ.). შემდევ მოყვანილია ბარათა შვილი ის ყველა ბიოგრაფიაში. რადგანაც ეს წერილი დღემდე ქართულად თარგმნილი არ არის, აქ ვიძლევით მის თარგმას.

„საყვარელო შეგობარო! წუ მემდური სიჩუმისათვის. მერწმუნე, ჩეენს, სიცხესგან მოწყენილ. მტკრისაგან შეხუთულ ქალაქში არა არის რა საგულისხმიერო. ნე ვცოლებულფეხი მნოლოდ მთვარიან დამეუბში, რომელიც ასე მდვერისად თბილისში გუშინ, ერთკრთ ასეთ საღამოს, გაწინ მოსკოვის სადარაჯოსაკვნ; უცტაც სასაფლაოზე გაქჩინდ, გამრგვლებულ არებარეს. ცოტა, არ იყოს, შევკრთი, ჩოდესაც გადაგხველ ამ თაშუწევებულ არებარეს. დამის 11 საათია. მე ხორციელი არ არის. გაოშემო სიცაონიერე მარადიული; მთვარე ბუნებად ანაოგებს საფლავებს, როგორც ძირიფასი კანცული მიცვალებულს. ჩუმად და ძრობულ მიიდებოდება მტკრარი, თითქო ეშინიან დაარღვიოს ამ მჭტებარე სამყაროს სიჭყნაო... შემ ახლა ხალვათობაში ხარ და არ მინდა შეგაძრწუნო შავი ფიქრებით, რაც შობერა ჩემს ცულს ამ სანახაობამ ცის-და-მიწისამ! რაგორც გეტყვი, გარეგი აამოგონებაა სასაფლაო, ეს საპიროა, რათა შოვეტავა მით ამ-იაკიდოს თავისი ცხოვრება: ნუგენი უბედურისა, დასასრული ბედნიერებისა! ახლა კი შეწყენ წივიქეცო. გმადლობ წერილებისათვის -- სიამონებდასათვის. უკანასკარელი, ერთად წავიკითხეთ მე და ზაქარია ორბელიანმა. ეს იყო კრიტიკა, ან, უკუთ, ეპისტოლე „სტრას“ * მთხველისადი. მშვინიურია! ბოლო, ძორნია, ძისახს ვერ ძიადწევს, ესე იგი, შენ ვერ გაიგებ, ვინ არის, ეს უცნობი „ასტრა“. ეს საიდუმლოებაა მთხველისა. იგი სწერდა არა შენვის, ამა ქავენისონკის; სწერდა მარტო მის თვის; მას შისი ესმის და იგი ამით კმაყოფილია. მეტი რა უნდა! რაში ენდვლება, გაუგე შენ მას თუ არა? ჩენ ყვალ-შვიცით მნოლოდ, რომ საგანი ლექსს ამშევნებს. მაგრამ, თუ გინდა იცოდე მარტო სიტყვა „ასტრას“ მის შენებლი, ეს სულ უბრალოა: იგი ალებლია ფრანგულ astre-დან, რაც ჩვენებულად, „მმარ. თავყანა“ * ჩიშნავს: ჰმთიები“, * -- „ასე ჩემო ბატონო!“ *

გეტყვი აასალ ამბავს, „თუ არ გაჯავრდები“ *. დღეს საღამოს სოფ. წყნეთში მივდივარ — რად? — იძად, რომ ის იქ არის. მის მა დედამ მთხოვა რამდენიმე დღე გავატარო მათხან. როგორი უნდა იყოს ეს დღეები? მაშ მოკვედი. ბეს! * მაგრამ, გავათავოთ საუბარი, თორემ ფოსტა გამომეპარება. წომი იცი, ადრითვე წერილების დამზადება არ მიყვარს.

* ფრანგილებში ჩასმული ვარსკვლავიანი სიტყვები რუსულ ტექსტში. ქართულადაა დაწერილი ავტორის მიერ.

მშვიდობით, მეუღაბნოევ ალაზნის ხეობისავ! მაუწყე რაიმე შენი-
მიწაწყლის ქალ ჭულებე!

მთლად შენი ნ. ბარათ თვე ი:

P. S. ვერ მოვასწარ ცალკე მომეწერა ვარღამოვისათვის. თუ ნახთ,
უთხარი, რომ მისი საქმე გაჩარჩულია, როგორც უნდოდა ისე, და იგი
ჭარბეგნილია ჩინშე. დევ, ახლა მაინც შეურიგდეს ქვეყანას.

“ ზაქარია თემელია — ბიძა იყო ნიკ. ბარათ აშვილისა.

“ ჯორჯ ადისა და ერისთავის წერილები აღმოჩენილ იქნა მიხ. თუ-
მანიშვილის არქივში 1937 წელს.

“ თარგმანი დაბეჭდილია ზაბლოცკის, თხზულებათა კრებულში, რომე-
ლიც გამოიცა ლაიფციგში.

“ ა. სტოცკი — უნდა იყოს ანტონ ალამის-ძე; ეროვნებით პოლონელი,
1851 წელს ერევნის გუბერნიის მიწისმხომელი.

“ ალბინ ოსიპის-ძე სოლტან თვე სკი, ეროვნებით პოლონელი, ალადარის
სანაპირო საგუშაგოს მიმამსვლელი ზედამჩედველის თანაშემწე.

“ „პოლონელი პოეტი ლადა-ზაბლოცკი კავკასიაში“ (მისი მიწერ-
მოწერა მიხ. ბირთვ. თუმანიშვილთან) — „ზაკავკაზიე“, 1911 წ.

იხ. აკრეთვე „საინტერესო წერილების აღმოჩენა“ — გახ. „თემში“, 1911 წ.,
№ 51 (წერილების ტექსტი შემოკლებითაა). სარედაქციო შენიშვნა „ზაკავკაზიეში“
შემდეგი შინაარსისაა:

„ეს წერილები აღმოჩნდა ცნობილი ქართველი პოეტის თავ. მიხ. ბირთვ-
თუმანიშვილის ქალალდებში. ფადეი ლადა-ზაბლოცკი — ნიჭიერი პოლო-
ნელი პოეტი — წარსული საუკუნის ოცდათასან წლებში ცხოვრობდა კავკასიაში,
სადაც იგი გადმოსახლებული იყო და სამხედრო სამსახურში ითვლებოდა. აქ იგი
დაუახლოვდა კავკასიელ მოწინავე ახალგაზრდებას — პოეტ ნიკ. მელ. ბარა-
თაშვილს და მის ფიმნაზიელ ამხანაგებს მიხ. ბირთ. თუმანიშვილს და სხვებს.
ზაბლოცკი გარდაიცვალა 1847 წელს თბილისში ძალიან ახალგაზრდა. მისი
ნაწარმოები იძექდებოდნენ ვერ ცნობილი პოლონელი მწერლის კრაშევსკის
„ათენეუმში“, პოდერეც ცკის „წელიწდებულში“ და სხვ., ხოლო შემდეგ,
1845 წელს, გამოცემულ იქნენ ცალკე წიგნად პეტერბურგში. მისი პოეტური ნიჭი
გამოსკვიცის მის წერილებშიაც, აქ ოომ იძექდება, განსაკუთრებით უკანას-
კნელში“.

მიხ. თუმანიშვილის რჩეულ თხზულებათა 1881 წლის გამოცემაში ლექსი
„ფიალა“-ს აქვს შემდეგი შენიშვნა, ეს ლექსი გადათარგმნილია პოლშურს ენაზე
ლადა-ზაბლოცკისაგან და დაბეჭდილია მის ლექსებში (იხ. ლეიპციგის
გამოცემა)“.

“ კავკასიის-ციცლნეობით ცნობილი ევგენი ჭუსტავის-ძე ვეიდენ-
ბაუმის დღიურში შემდეგი ჩანაწერია ლადი (ლადა-ზაბლოცკი ზე):

„1892 წ. . . . ლადა-ზაბლოცკი პეტერბურგიდან 1846 წლის აგვის-
ტოს 21-ის წერილით პ. ა. კულე შეი (ცნობილი უკრაინოფილი) ატყობინებდა
ო. ი. ბოდიანსკის: „თბილისში პოლონელი პოეტი ლადა-ზაბლოცკი
სთარგმნის უკრაინულ სიმღერებს ფრანგულად. მე ვაცნობე მას, რამდენადაც
შემეძლო, მასალა შესავალისა და ტექსტისათვის. თუ შესაძლებელია საზოგადოე-
ბის (მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებული რუსეთის ისტორიისა და სიძელეთა
საზოგადოება — Общество истории и древностей Российской при Московском
университетете) ბეჭდით გაგზავნა, გაუგზავნეთ მას უწყებული ვადით: 1) თევენი
წიგნაკი სლავურ პოზიაზე; 2) „არაბესკების“ ტომი, რომელშიაც არის სტატია
მალოროსიულ სიმღერებზე; 3) მალიროსიული და ჩერვონნო-რუსული ზალზური,

სიმღერები და ფიქრები (ჯუმა) (ლუკაშევიჩისა); 4) მაქსითოვიჩის
სიმღერების პირველი გამოცემა და 5) ვაცლავ ოლესკა. იგი პირიანი კა-
ცია და თავსა ვდებ, რომ წესიერად დაგიბრუნებთ. მისი გამოცემა პარიზში გა-
მოვა და ჩვენს პოეზიას და ისტორიას (შესავალი ვრცელი იქნება) მთელს ევრო-
პას გააცნობს, რაც აუცილებლად საჭიროა“ („Русский Архив“, 1892 წ., წიგ.
11, გვ. 297). ვინ იყო და რას ავეთებულა თბილისში ეს ლადა - ზაბლოცკი?

ნოემბრის 23“.

„ივ. ივ. მინკევიჩის * სიტყვით, რომელსაც მე დღეს გამოვკითხე, ლადაზაბლოცკი — ვიტებსკის გუბერნიდანა, სწავლობდა მოსკოვის უნი-
ვერსიტეტში და 1834 წელს, ბევრ სხვა სტუდენტებთან ერთად, დაპატიმრებულ
და გადასახლებულ ჩენა კავკასიაში ერთ სადილში მონაშილეობისათვის, სადაც
წარმოითქვა მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვები. კავკასიაში ზაბლოცკი
ზედამხედველი იყო კულპის მარილის სარეწავისა, სადაც გარდაიცვალა (რამდე-
ნადაც ექიმ მინკევიჩის ახსოებს, 1847 წ.) და დასაფლავებულია. არსებობს მის
ლექსთა კრებული პოლონურ ენაზე.

უფრო სამსახურგადამდგარი ოფიცრის სუნგუროვის საქმეში ხომ არ
იყო ზაბლოცკი გარეული, რისთვისაც 1831 წელს კავკასიაში გადმოსახლეს
კოსტენეცკი, ანტონოვიჩი და სწვანი?

ნოემბრის 24“.

ივ. ივ. მინკევიჩის სიტყვით, თურქებთან ომის დროს, 1853 წელს,
თურქებმა თურმე გადათხარეს ლადაზაბლოცკის საფლავი კულპში და
ჯანციფრებულნი იყვნენ გვამის სიახლით, ისე შენახულიყო იგი მარილიან მიწა-
ში. განსვენებული თავისი დიდი ყურებით, როგორც ცოცხალი, ისე იზვა
საფლავში

დეკემბრის 9“.

ტექსტი ზაბლოცკის წერილებისა მიზ. თუმანიშვილისად მი

„უბრწყინვალესო თავადო

მიხაელ ბირთველის-ძეე!

რამდენადაც გახარებული ვიყავი სექტემბრის 17-ს მიღებული თქვენი წერი-
ლით, იმდენად დამანალვლიანა სამწუხარო ამბავმა თქვენი ოჯახის გარემობისამ.
რას ვიზამ! ყოველი ჩვენგანი ისურვებდა არიდებოდა მწუხარებას, მაგრამ თუ
ეს შეუძლებელია — მაშინ უნდა ალვიჭურვოთ სტოიკური მოთმინებით და ბედის-
წერის კვეთებას დავუპირისიპიროთ ადამიანის ღირსება. ესეც არის, თქვენ ჯერ
ისე ახალგაზრდა ხართ, ისე ენდობით ცნოვრებას, რომ თვითი ბედი შეგიბრალებთ
და არ იზამს, რომ ქუჩილმა დაიჭექოს იმედებით გაფურჩქვნილ თქვენს თავზე.

დარწმუნებული ვარ, ეს მხოლოდ ბედის გამოცდა და შემდეგ წერილში
გამახარებთ სასიამოვნო ამბით.

გმადლობთ, მიხალო ბირთველის-ძეე, მაღალი გრძნობისათვის, იმ გული-
თაღობისათვის, რომლითაც მანიქებთ თქვენს მეგობრობას. აჲ! რამდენი ციური
ხმა აუღერდა ჩემთვის ამ სიტყვაში, რამდენი მოგონება ამორავდა განდევნილის
სულში. მიყვარდა და მეგონა, რომ მეგობრები მყავდა — მაგრამ ეს დიდი ხანია!
შორსაა!... განვლო დრომ იქროს ოცნებათა და მისი კვალი აღმოიფხვრა ცხოვრე-
ბის უდაბურობაში. ზამთრის სუსხმა ჟევე დაბერა ჩემს ტლუ არსებას, მაგრამ
ჩემი გული ჯერ კიდევ მთლად არ გაცილებულა, ჯერ კიდევ შეიძლება აღიგზნოს

* ივ. ივ. მინკევიჩი — სამხედრო ექიმი, პოლონელი; პეტერბურგის სამხედრო-
სამედიცინო აკადემიის კურსდამთავრებული და მუდამ თბილისში მცხოვრები, სა-
დაც კარგი თერაპევტის სახელი ჰქონდა. თავის თავს პოლონელ პატრიოტად
სთვლიდა. გარდაიცვალა თბილისში წარსული საუკუნის 90-იან წლებში.

მასში უწმინდესი მევობრობის ცეცხლი. მე ჩავწედი თქვენს სულს, გადახსნილს ესოეტიკურ შთაბეჭდილებათათვის, და სიხარულით ვეგბები თქვენს გამოწევეს. იყავთ ჩემი მევობარი ამ უცხო და უცნობ ნიწაწყალზე; თქვენი კეთილგანწყობილება, თქვენი დაახლოება უბეღური განდევნილისადმი ამრავსებს მისი გულის სიცალიერება.

მაპატიეთ ეს უნებური გრძნობათა აღმოჩეთქვა, რაც, შეიძლება, მმართებდა დამეტოვებინა გულის სილომეში გაუმდევნებელი, გამაუთქმელი.

ალბათ, მიშეურებით, ორმ ამტენ ხანს არ გიპასუხეთ წერილზე. ეს პირველად მოხდა ჩემს სიცოცხლეში არა სიზარმაცე, არა დროის უქონლობა იყო ამის მიზესი, არამედ სხვა გარემოება, რომელზედაც ჯერჯერობით გავჩუმდები.

მეყითხებით, მალე ჩამოვალ ფუ არა თბილის, — ეს სრულიად ჩემს ნებაზე არ არის დამოკიდებული. მე მხოლოდ მანქანა ვარ, რომელსაც ამოძრავებს სხვისი ხელი. გრიგალის ფრთებზე ვისურებდი აქედან გაფრენას, სადაც ლონე მხდება მოწყებულობისა და წნეობრივი მარტოობისაგან, მაგრამ პრომეთეს ჯაჭვით მიკრული ვარ ამ ვერანა და ცივ კლდებზე, როგორიცაა აქაური ადამიანების გული. არაფერი არ აცოცხლებს სულს, არაფერი არ აღავზნობს გრძნობას. ომ! ბედი იყოს თქვენი ბეჭაოველი ცრავრების არარაობისაგან:

არ შევიტყობინებიათ ჩემთვის, რა ენაზე გაქვთ ის მასალა, რომლის მიხედვით შეიძლება ქართული ლიტერატურის მოკლე ნარკვევის შედგენა. თუ რესულად არის, განთავისუფლებთ შრომისაგან, და, შემთხვევისთანავე, თვით მე შევუძგინი გარჩევას. ხოლო, თუ ქართულადაა, გთხოვთ გამიკეთოთ მოკლე პრინარეცეცია. თანაც გთხოვთ, თუ შესაძლებელია, ყოველივე ეს დედოფლის-წყაროზე მამაწოდოთ სანდო საშუალებით, ხოლო, თუ არ შეიძლება, მოხდეს რაც გენება.

თქვენ დევსი „ფიალა“ გადაეთარგმნე პოლონურად და, როგორც მონია, საქმარე მარჯვედ. თუ თქვენ ინებებთ, შემდგომი წერილით გამოგიგზავნილ შეველად.

ახალი ამბები ჩვენში მეტად ცოტაა, თუმცა არის მაინც ზოგი რამ, მაგრამ ვეონებ, ყოველივე ეს ჟავე გეცოდინებათ. მთავარი ისაა, რომ ლეკებმა ალექს წემდარტებუს ნუხას და ჩვენებმა ისინა უკვე დამარცხეს. და განდევნეს. მეორე, რომ ქ.ნი ბაიკოვა თავისი ქალით ს თუ ი ა პ ე ტ რ თ ვ ნ ა თ ი ს ტუმრად იყო აქ საქმიალი კარგა ხას. ხშირად დავიარებდოდი შატათან და აქამდე სული ჩემი საბერა მოგანებებით. ვფიქრობ, უნდა იცნობდეთ მათ, ზაშასადამე, თუ შემთხვევა მოგეცათ, გადაცით მათ ჩემი ღრმა პატივისცემა.

მაპატიეთ, რამდენსამე ადგილას სიტყვები წაგშალე. ეს ჩემი ბედშავი ჩვეულებაა. არას დროს წერილებს შავად არა ვწერ, მაშასადამე, არ ვაკირდები იმას, რაც უნდა დავწერო. აქედანაა გამოთქმების სიხეშეც და შესწორებანიც.

ბ-ნ ვარ ლამოვე ჩემი პატივისცემა და დაავალეთ მომიკითხოს ბ-ნი. ს. ტ. რ ც კ ი, შეტად კეთილი ადამიანი, რომელიც, პატივი მაქს, გირეკომენდოთ თქვენ.

მშვიდობით, მიხაილო ბირთველის-ძევ, და ძველ ნაცნობთა წრეში მოივრნებდეთ ხანდახან ახალ შეგობარს, რომელსაც პატივი აქს უწოდოს. თავის თავს აქაც და ყველგან.

თქვენი უმორჩილესი მსახური

ფ ა ღ. ლ ა ღ ი ზ ა ბ ღ ღ ა ც კ ი.

P. S. ჩვენდობით, თავადო! მითხარით, ხომ არ ასებიაბს რაიმე ისტორიული ამბავი ან თქმულება ქართულ მატიანეთა თამარის ციხე-კოშკზე, ჩვენს დელფინის-წყაროში რომ არის. მოჩხრიკეთ — და თუ იპონით რასმე — შემატყობინეთ, ღვთის გულისთვის!

1838 წ. ოქტომბრის 1-დღი. დედოფლის-წყარო [რუსულად „Урошище Цар-Акие-Колодцы“]

შაშ აგრე, ჩემი წინასწარმეტყველება არ აღსრულდა. ბედმა არ დაგზოგათ, და დაკარგეთ თქვენი ძმა, თქვენი მეგობარი. მიუწვდომელია განვებისანი და განახენი მისი ულმობელია. ამ აზრით უნდა დამთაცრდეს უველი წუგეში, რის მოწვდაც შეუძლიან ჩენთვის ფილოსოფიას და მეგობრობას. მშვიდე განსკვნება კეთილი ადამიანის ნეშტს!.. ჩვენს ჯრემლებს არ ძალუძო მისი აღდგენა. შაგრამ თუ ექებთ გულს, ალსაგსეს თანაგრძნობით თქვენი მწუხარებისადმი, იცოდეთ, ჩემში ჰპოებთ ძას. ბევრი რამ განმიცდია სიცოცხლეში და შემიძლიან თქვენი დანაკარგის დაფასება. შეუძლებელია ბუნების გრძნობათა ჩახშობა, მიუწყით ძას სათანადო გალი, დანამეთ ცრემლით საყვარელი და ძეირფასი ნეშტი ძმისა, მაგრამ ნუ მიეცემით ზედმეტ კაშანსა და სასოწარკვეთილებას — განვების ვარსკვლავი დაგნათით თქვენ, იგი თქვენ დაგამშვიდებთ და განუგეშებთ — მხოლოდ ილოცეთ და ისასოეთ!..

გადასდეთ ზრუნვა ჩემთვის მასალის გამოვზავნისა საქართველოს განათლების და ლიტერატურულ ძეგლთა ისტორიის შესადგენად. ახლო ხანს, იმედი მაქვს, ჩამოვიდე ტფილისში, რათა მანდ სამუდამოდ დავრჩე. მაშინ, თუ ჯანმრთელობა შემაძლებინებს, ხელს მოვკიდებ ქართულ ენას და გადავსინჯავ თქვენმიერ შეგროვილ მასალას. რათა დაიწეროს სწორე ნარკვევი რომელი ლიტერატურისაც უნდა იყოს, საჭიროა უსათუოდ ენის ცოდნა და ყველაფრის თვითვე გადასინჯვა. და წაკითხვა. უამისოდ შეუძლებელია წესიერი რამ გაკეთდეს.

ბერნი კოვის სიკვდილის ამბავი გავიგე თქვენი წერილის მილებამდე, მაგრამ გმადლობთ უფრო საფუძვლიანი დეტალებისათვის.

თქვენი ლექსის „ფიალის“ თარგმანს, თქვენივე სურვილისამებრ; ახლა გიგზავნით. მაპატიეთ ზოგ რამეში გვერდის აზვევა დედნისათვის, — და ნუ მემადლიერებით თარგმნისათვის. ლექსი იმდენად კარგია და ორიგინალური, რომ გადავთარგმნე იგი იმედით გავუზიარო ჩემს თანამემამულებს ჩემი აღტაცება. ეს ჩემი პირუთენელი აზრი, რასაც ვაცხადებ. არა მარტო თქვენს წინაშე, არამედ ყველას წინაშეც.

მომიკითხეთ ურთიერთობრივ თავადი ბარათა შვილი, ვარ ლამ რვი და ს ტოცკი. მოაგონეთ ამ უკანასკნელს საქმე, რომელიც ასე ძალიან მაინტერესებს. დევ, რაც შეიძლება მალე შემატყობინოს თავისი ცდილობის შედეგი.

ჩემი ჯანმრთელობა ძალიან უზეიროდაა. კვლავ წინანდელებრ ვიტანჯები და ვერავითარი გონებრივი მუშაობისათვის ხელი ვერ მომიკიდია.

თქვენი პასუხის მოლოდინში პატივი მაქვს ვიყო სამუდამოდ თქვენი ყრვლად უმორჩილესი მსახური

ფად ლად ი-ზაბ ლოცკი.

1838 წ. ნოემბრის 6. დედოფლის წყარო.

[რუსულად: „Уроч. Царские Калоды“].

1839 წ. ივლისის 29. ციხე ყუბა.

უბრწყინვალესო თავადო

მიხეილ ბირთველის ძეე!

თქვენი წერილი ივლისის 22-სა მივიღე ამავე თვის 28-ს და დავშთი უაღრესად თქვენი მოვალე იმ დავალების შესრულებისათვის, რომლითაც თქვენი დატვირთვა მე გავტედე. თუ აქამდე არავითარი ამბავი არ არის ჩემს სამშობლოდან* (რაც მე, სხვათა შორის, ძალიან მაწუხებს და მაკვირვებს), მაში ჩემს

* ვიტებსკის გუბ.

მშობლებს მიუღიათ ცნობა; რომ ლაშქრობად გაველი და უფიქრიათ რა, რომ ტყილისში ოქტომბერზე ადრე არ დაბრუნდები, შეუწყვეტიათ მიწერ-მოწერა ჩემგან ამბის შილების მოლოდინში. მაინც, თავადო, რაც უნდა იყოს, ნუ დაივიწყებთ თქვენგან მოცემულ სიტყვას.

ის ამბები, თქვენ რომ მატყობინებთ, დიდი ხანია უკვე მივიღეთ და კავკა-სიის სანახაობათ, შთაბეჭდილებათ და საქმეთ ყიირუმ გავა მაგა ფი, როგორც ეუბნებოდა ვირგილიუსის ენეასი დიდონას და როგორც მე შემიძლიან ჩემს თავზე ვთქვა, გიამბობო ყოველგვარი წერილმანით სიტყვიერად პირველ ნახვისთანავე.

მაშ ნუ იმედოგნებთ, თავადო, [მი ი ღ თ] ჩემგან კავკასიის ტოპოგრაფია შეოგრაფიული და პოეტური მხრით. რაც შეეხება პირველს — კიდევ ჰო, შემიძლიან ზოგი რამით დაგაკმაყოფილოთ, მაგრამ უკანასკნელით... განა შეეძლო რასმე გაეცოცხლებინა გაციებული სული? ჩანთა-გუდანაბდით და ორცხობლით დატვირთული, ხელში თოფით, მწვერვალებზე და ლელეებში მფოფხავი, მე არა-ერთხელ ვწყევლიდი კავკასიის მთებს, ვერ ვამჩნევდი რა მათ მშვენებას, და ეს მთები უფრო გულზე მაწვებოდნენ, ვიდრე მიღვიძებდნენ ესთეტიკური სიღამაზის გრძნობას. თქვენ ჯერ ყრმა ხართ და მესცერით სამყაროს მომხიბლავი ფანტაზიის თვალით. ქვეყანა, — ჩემს თვალში ჩონჩხი, — ჯერ კიდევ ფეოქავს თქვენს წინაშე სიცოცხლით, ირთვება მზის სხივებით, იქამრება ცისარტყლის სხვადასხვა ფერით, ერთის სიტყვით, კეკლუცობს და ლამაზობს თქვენს წინაშე, მდიდარია და მშვენიერი, როგორც პირველ დღეს თავის შექმნისას. თქვენ შეგიძლიანთ მისწყდეთ მას ჯერ კიდევ მგზნებარე გრძნობით, შეგიძლიანთ შეეხოთ მას აჯეჯილებული გულით. თქვენ ბედნიერი ხართ!.. დილიდთ გეგებათ თქვენ მშობელთა ლიმილი, ხოლო დღისით — ლიმილი ყრმობის მეგობართა. საღამოთი გამარტოებულ ოთახში აპარატულდება თქვენს წინაშე ლამპარი; აზრნი რომელისამე ცნობილი პოეტისა გაათბობენ თქვენ სულს, სიყარულის ოცნება მოგევლინებათ და, შრომაში გატარებული დღის შემდეგ, მიეცემით ნებიერ ფიქრებს და დაიძინებთ ტკბილად, მშვიდად, ისე რომ არ დახარჯავთ არც ერთ თქვენს გრძნობას წვრილ-მან ზრუნვაზე არსებობისათვის. თქვენი სული ჯერ კიდევ მომართულია მაღალი ჰარმონიისათვის; ბედისწერის ჰექაქუხილს ჯერ კიდევ არ დაუწყვეტია მისი სიმები და იგი ჰელერს დიდებულად და ზემომურად!

ხოლო ჩემი სული არ გამოსცემს უღერას და თუ მისი სიღრმიდან ხანდახან ამოხეაქავს ხოლმე გმინვა, იგი უფრო ჰაგავს კივილს, ველურს, შემზარავ ძახილს პრომეტესას, რომელიც მიჯაჭვეს კავკასიის უზარმაზარ მთებზე, რომლის შიგნე-ულს ჸელეთენ არწივნი ზეცისანი.

მაპატიეთ ეს წიაღსვლა, ამჟამად მეტისმეტად მოწყენილი ვიყავი და გადშოვანთი თქვენს წინაშე რამდენიმე წვეთი იმ ზღვა-ბალდამისა, რომლის შავ ტალღებშიც მე გახვეული ვარ. არც კასპიქ, რომელიც შორიდან ლურჯად მოჩანს, არც ეს თეთრად ნაკვეთი მთები, ჩემ გვერდით რომ არიან; აღარ მახარებენ; მოუთხენლად მოველი თბილისში დაბრუნების წუთს, ჩემ ძველ წიგნებთან; ჩემს ახალ მეგობრებთან; პირველი მომფენენ მანუგეშებელ ჰებას, მეორეთა წიაღში დავივიწყებ მწარე მარტობას მთელს ქვეყანაზე — და ვიწნები ბედნიერი რამდენ-სამე დღეს. მშვიდობით, თავადო! ნუ მიპასუხებთ, რადგანაც თქვენი წერილი ვეღარ მომისწოებს ყუბაში. ამ დღეებში თბილის მოვდივარ და პირადად დავამ-თავრებ ამ წერილს. სხვათა შორის მოკითხეთ ს ო ლ ტ ა ნ ი ვ ს კ ი, უთხარით, რომ მაღალ და გადაეცით თავად ბარათაშვილს. გულითადი მად-ლობა ჩემი ხსოვნისათვის და ღრმა პატივისცემა, მომიგონებდეთ ხანდახან მე.

თქვენი ლად დიზაპლოცია!

“ ი ონა მეუნარგია ნიკ. ბარათაშვილის ბიოგრაფიაში, გხება რა მის შეგობრებს და ამათუმი კავშირს სწერს:

„მწერლობის სიყვარული პ. ა. ტის ცხოვრებაშიაც გამოჰყვა. სკოლის ამხანაგების მაკიერობას აქ უწევდნენ ის რამდენიმე პირნი, რომელიც ხვდებოდნენ სხვადასხვა დროს. ესენი იყვნენ: ავთანდიშვილი, დიმიტრი ყიფიანი, მიხ. თუმანიშვილი, პლატონ იოსელიანი, ალექსანდრე თერგელი; როგორიც იყო ზაბლოცკი, სვიმონ მაჩაბელი, ლუკა ისარლი-შვილი და სხვადასხვა“. (გამოც. 1922 წ., თავი XZII).

თ ა ვ ი ს

“ ასპინძის ბრძოლის შემდეგ ირაკლი II მირზა-გურგენი სტამბოლში გაგზავნა საგანგებო ელჩად ზავის დასადებად. ამ მოგზურობაში მას თან ახლდა შეილი აფრიამი. სხვა უალესი მნიშვნელობის დაგაღება, რომელიც მირზა-გურგენმა ირაკლისაგან მიიღო, ქარიმ-შაჳთან ალექსანდრე მოლაპარაკება იყო, რათა თავიდან აცილებული ყოფილიყო გამოლაშქრება საქართველოში, განზრახული ვითომ ქართველთა დასასჯელად ირანისაგან ჩამოშორებისათვის. დავალება შესრულებულ იქნა წარმატებით.

“ (პლატონ იოსელიანი — „ცხოვრება მეფე გიორგი XIII-სა“, გვ. 222):

„მირზა აფრიამი ენაკოლოფა სშვილი, სპარსეთიდან მოსული. მეფემან გიორგიმ სამჯერ წარავლინა ერევნის წანთან და მუნიც შირვანსა ტყვეთა ქართველთა, დაშთენილთა მუნ დროსა თბილისის აოხ-რებისა, მოსაყვანად. გარდაიცვალა 1824 წელსა.“

ირანში იყვნენ ორნი ძმანი მირზა-აფრიამისა — მანუჩარი და ალალი. მანუჩარ, ანჯ მანუჩარ-ხან 1804 წელს, სულ ახალგაზრდა, მონაწილეობას იღებდა ქართველ ცხენოსანთა ჯარში ირანში ლაშქრობისას. როდესაც გენერალმა ციციანოვმა ერევანს შეუტია, მანუჩარი ტყვედ ჩაუვარდა მტრებს და თავრიზში მიიყვანეს. აზერბაიჯანის სატახტო ქალაქში იგი დაასაჭრისეს და იქიდან შაჳის ჰარამზანში გადაიყვანეს. საქმიანი და ამასთანავე თავაზიანიც — იგი მალე დაწინაურდა უცხოეთში. 1815 წლიდან მანუჩარი, აბერცერემონიმეისტერის თანამდებობაზე მყოფი, ფაქტიურად პირველი მინისტრის როლს ასრულებდა მირზა-შაჳა ფის ლრმა მოხუცებულობის გამო. ოციან წლებში მანუჩარ-ხანი შაჳის-ჩაცვლად დაინიშნა გილანს და მერე — დელე გატად შეუზღუდავი უფლებამოსილებით საზავო კონფერენციაზე რუსეთთან ომის შემდეგ. მას მიენიჭა უმაღლესი წოდება — „მუხტემიდ-უდ-დოულე“, ე. ი. „სახელ-მწიფოში უუმაღლესი ნდობით აღჭურვილი პირი“.

ირანშივე ცხოვრობდა მირზა-აფრიამის დისტული — თავ. სოლომონ მელი იქმივი.

“ მირზა-აფრიამის ძმა — ალალი თბეგი და მისი ცალი იყვნენ იმ მახლობელ პირთა შორის, რომელიც ცდილობდნენ შეემსუბუქებინათ გრიბოედოვის ქვრივის მწუხარება ქმრის მოკვლის შემდეგ. ისინი გამოჰყვნენ მას თბილისში.

მირზა-აფრიამის დისტული თავ. მელი იქოვი დაიღუპა გრიბოედოვთან ერთად, რომელსაც გაუგზავნა იგი მანუჩარ-ხანმა გაეფრთხილებინა, რომ მას საფრთხე მოელის. თითონ მანუჩარ-ხანი ცდილობდა თავისი შემედებით გაენელებინა მომავალი, თანარდი დრამა და მონაწილეობა

ღებდა ამ ამბებში, ოც რუსეთის ელჩის სიკვდილით დამთავრდა. გრიბოედი ვს.
იგი იცნობდა ჯერ კიდევ თურქენჩაის ხელშეკრულების დროიდან, ომელსაჭ ხელი მოაწერა ორივემ — გრიბოედოვანი რუსეთის დელეგაციის მეთაურის სახით, ხოლო მანუჩარ-ჩანი მანუჩარ-ჩანი ირანის დელეგატის სახით. განუშორებელმა ფარულმა სურვილმა სამშობლოში დაბრუნებისამ, ორგორც ჩანს, ჯერ კიდევ მაშინ — თურქენჩაიში — აიძულა იგი რუსეთის ელჩზე დაქმყარებინა თავისი იმედი. მანუჩარ-ჩანი ყურადღებით ადეგნებდა თვალს გრიბოედოვანის პოლიტიკას, ცდილობდა შეექავებინა იგი საქმის გამწვავებისაგან და განვერტკიცებინა მისი შეფურმარეობა. ქარტეხილივით მოვარდნილმა კატასტროფამ სამუდამოდ დაუშოკარი სამშობლოში შესასვლელად.

მირზა-აფონიაში შვილი — მიხეილი, რუსეთის არმიაში მყოფი, ხშირად ხვდებოდა გრიბოედის.

მირზა-აფონიაში აჯახში შენახულა „Горе от ума“-ს ასლი, რომელიც მეტად ძვროფასი ვარიანტია.

„Горе от ума“-ს პსლი მიხ. თუმანიშვილისა, ორგორც ეტყობა, მიღებულია ცოლის ოჯახისაგან.

74 ალექსიშვილები (ალექსეევები) — ქართველი აზნაურები არიან გორის შაზრისა; ისინი მახლობელნი ცყვნენ მიხ. თუმანიშვილის მშობლებისა.

75 სოფიო აბრამის ასულ ენიკოლოფოვასთან ქორწინებაში მიხ. თუმანიშვილს მიეცა შვილები:

1. ელისაბედ — დაბ. 1841 წ. იანვრის 16-ს ნათლია — იაკინთ ალექსიშვილი.

2. ეკატერინე — დაბ. 1842 წ. მარტში. ნათლია — იაკინთ ალექსიშვილი.

3. ელისაბედ — დაბ. 1843 წ. თებერვალში. ნათლია — დიმიტრი როვორჯაძე.

4. მარიამ (მაკონე) — დაბ. 1844 წ. აგვისტოში. ნათლია — ალექსანდრე შანდრე შანდრესძე ერისთავი და ელისაბედ ჟულიანიშვილისა. მარიამი გარდ. 1846 წ. ივლისში.

5. ბარბარე — დაბ. 1846 წ. თებერვალის 22-ს. ნათლია — ბერებულის ბოგი, არწიულებული. თურქი, გაქრისტიანებული და ახალციხეში გადმო-სახლებული სომხებთან ერთად. მიხ. თუმანიშვილის დღიურში 1846 წ. თებერვალის 22-ის თარიღით ჩაწერილია: „ხუთშაბათი. დღეს, საღამოს 8 საათზე ლერთმა მომცა მე ქალი. იგი მონათლა არზიუმიდან გადმო-სახლებულმა, რომელმაც მიიღო შმ. ნათლისლება არქიეპისკოპოს კარაკეტისაგან“. ბარბარე გარდ. 1873 წ. ივნისის 16.

მიხ. თუმანიშვილის დღიურში მოთხოვილია მოკლედ. ქართულად ბარბარე სავადმყოფობის ისტორია და სიკვდილი. ჩანაწერი, იწყება: ამ სიტყვებით: „ვაჲ ჩემ უბედურებას...“

6. ნინო — დაბ. 1847 წ. ივნისის 6. ნათლია ნინო აკობ ზუბალაშვილი. ნინო გარდ. 1847 ან 1848 წ. აგვისტოს 28-ს.

7. ანასტასია — დაბ. 1849 წ. აგვისტოს 25-ს. ნათლია — იასტანდრინი ანდრონიკაშვილი. ანასტასია გარდ. 1932 წ. თებერვალის 7-ს (ახ. სტ.).

8. მარიამ — დაბ. 1851 წ. ოქტომბრის 1-ს. ნათლია — ივანე ვასილევისა და ვასილევის.

9. გიორგი — დაბ. 1854 წ. იანვრის 27-ს. ნათლია — იასე ანდრონიკიშვილი. გიორგი გარდაიცალა 1920 წ. იანვრის 26-ს (ახ. სტ.).

10. გრიგოლ — დაბ. 1855 წ. მაისის 27-ს. ნათლია — იასე ანდრონიკიშვილი. გრიგოლი გარდ. 1857 წ. იანვრის 5-ს.

11. ვასილი — დაბ. 1857 წ. სექტემბრის 27-ს. ნათლია — იასე ანდრონიკიშვილი. ვასილი გარდ. 1912 წ. იანვრის 27-ს.

12. კონსტანტინე — დაბ. 1859 წ. ივნისის 19-ს. ნათლია — იასე ანდრონიკიშვილი. კონსტანტინე გარდ. 1921 წ. ნოემბრის 26-ს (ახ. სტ.).

შიხ. თუმანიშვილს ჰყავდა კიღევ 4 შეკლი, რომელიც დაიხოცნენ რამდენისამე დღისანი, კვირისანი და თვისანი.

რვეულში, რომელშიაც ოიანე-მოციქულის სახარებიდან ამონაშერებია, მიხ. თუმანიშვილის დედის ხელით ჩაწერილია რამდენიმე შეკლიშვილის დაბადების თარიღი 1849 წლამდე. მიხეილის მესამე ქალის ელისაბედის დაბადების ჩანაწერის შემდევ ანა (მიხეილის, დედა) ჩივის, რომ სულ ქალები იბადებიან. და შემდევ დასძენს; „დევ, ღმერთმა მოგვცეს ვაჟი“. მეექვე ქალის ნინოს გარდაცვალების შესახებ შემდევი შენიშვნაა: „ნეტა არ მომყვარიყო, მაგრამ ნეტა არც დაბადებულიყო“.

76. გრიგოლ ბირთველი ის-ძე თუმანიშვილს ცოლად ჰყავდა დარია ფეშანგოვისა — ქალი ივანე და რუსულდან ფეშანგოვებისა, პოეტ ფეშანგიშვილის ნათესავი; დარია გარდ. XIX საუკუნის სამოციან წლებში.

77. მიხ. თუმანიშვილის სახლს საქმაო ინტერესი აქვს როგორც ქალ. თბილისის ტოპოგრაფიული განვითარების ისტორიისათვის, ისე იმ მხრივ, რომ ამ სახლთან დაკავშირებულია ბევრი ცნობილი პიროვნების სახელი.

1842 წლის სექტემბრის 2-ს მიხ. თუმანიშვილის ცოლმა სოფიო აბრამის ასულ და იყიდა სტატსკი სოცეტინიკის მეუღლის ეკატერინე გავრილენ კოვასაგან (დაბადებით თავ. მელიქიშვილის ასული) ქვიტკირის ერთსართულიანი სახლი საკუთარი მიწით ქალ. თბილისის I-ლი ნაწილის მე-2 კვარტალში. სახლი ფასადით ქუჩაზე გამოდიოდა. მიწის ნაკვეთი შეიცავდა 224 საჯენა და 12 მეოთხედს. შენობას სახლვრავდა: აღმოსავლეთით — სახლი, რომელიც ეჭირა კავკასიის ცალკეული კორპუსის შტაბის უფორსს (ჩვენს დროს ამ სახლში რევოლუციის მუხეუმია), დასავლეთით სახლი მღვდლი. იღანონ იგანვისა (ახლა სასტუმრო „თბილისი“), ჩრდილოეთით სახლი კომისიონერის სტეფანოვისა (შემდგომ ამ ილაზვარის სახლი, მუნიციპალიტებული საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას), სამხრეთით — ქუჩა, რომელიც მიდიოდა ალექსანდრეს მოედნისაკენ (შემდგომ ბარიათინსკის ქუჩა, ხოლო ამჟამად ჯორჯიაშვილის ქუჩა).

1842 წლის ოქტომბრის 20-ს სახლის ახალ მფლობელს მიეცა დაუთლების სიგელი (вводный лист); იგი დღემდე შენახულა.

სახლის აშენების დრო გამორკვეული არ არის. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი გაყიდვებულ დიდი სინის აშენებული არ უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ქალაქის განაპირა ადგილას იდგა, რომლის გაშენებაც ის-ის იყო იწყებოდა.

მიხ. თუმანიშვილმა ამ სახლის გვერდით ორსართულიანი სახლი ააშენა, რისთვისაც ვალი აიღო „პრიკაზიდან“. ამ ორ სახლს ეზო ჰყოფდა: ერთსართულიან სახლში ცხოვრობდა თვით მიხ. თუმანიშვილი ოჯახით, ხოლო ორსართულიან სახლში, რომელიც მის ქვევით იყო. ყოფ. ლორის-მელიქვის ქუჩისა და ყოფ. ბარიათინსკის ქუჩის შესართავის პირდაპირ, მდგმურები ცხოვრობდნენ.

ისტორიულ ცნობაში „ისტორია ერთი ძველი სახლისა თბილისში“ („История одного старого дома в Тифлисе“—გამ. კავკ. სლოვო“—ს 1918 წ. 17 პრილის ქვედა) მოთხოვილია, რომ იმის შემდეგ, ოდესაც სახლის პირდაპირ მდებარე სასაულაოს და სანაცვეს ნაცვლად გაშენდა ალექსანდრეს სახელობის ლამაზი ბალი (თავ. ბარი იათინს კი ს დროს), ქალაქის ეს ნაწილი არის ტოკრატულ. კვარტალად გადაიქცა და მომინავენიც სხვანაირნი განდნენ, სულ მეფის-ნაცვლის ამაღლისანიო. „მახსოვს (მომთხოვი გ. მ. თუმანიშვილი ია), რომ აქ ცხოვრობდა გრაფი ვართონ ცოცდაში შეკორი შემდგომ კავკასიის მეფის-ნაცვალი, მაშინ-კი თავ. ბარიათინსკის ჭაბუკი ადიუტანტი. იგი სპორტის დიდი მოყვარული იყო, ჩვენს თავლაში ჯიშიან ცხენებსა და ყოჩები ინახავდა. ცხენები ყველს ანცვითობებზენ დოლში, ხოლო ყოჩები—რკენაობით, რაც ჩვენს ესომი იმართებოდა ხოლმე. გრაფი ამაზე აუარებელ ფულს ხარჯავდა და ჩვენი ქვეყნის საქმეები მას სრულიადაც—არ აინტერესებდა. მასში ჯერ კიდევ ადმინისტრატორი არ ჩანდა.“

ამ დახასიათებას უნდა დაემატოს (თუმანიშვილის ჯავახში დარჩენილ. მოვნებათა მიხედვით), რომ ვორონცოვა-დაშკოვს, რომელიც გადმოყვანილი იყო კავკასიაში ვილაცასთან დუელის გამო, სხვა გასართობიც თურმე ჰქონდა: შესართულებული რომ დაბრუნდებოდა ხოლმე რომელიმე ქიოფიდან, ჩვეულებრივ აღვრებოდა სახლის სახურავზე და გასელებით დარბოდა, გულს უხეთქავდა რა თავის კამერდინერს, რონელიც შეშინებული დასდევდა, რათა ქუჩაში გადავარდნისაგან გადაერჩინა.

„მის (ვორონცოვის) შემდეგ, —განაგრძობს გ. მ. თუმანიშვილი, —მაშინვე მისი ბინა დაიჭირა ცნობილმა ქართველმა პოეტმა. გენერალმა ვახტანგ ორბელიანმა, ბატონიშვილი თეკლეს შვილმა და მეცე ირაკლი ის შვილის შვილმა, იგი აქ უბრალოდ ცხოვრობდა და ყოჩების რკენაობა აღარ: გვინაბაცს. სიცოცელის მიწურულს მამაჩემი მთავარ კორპუსში გადავიდა, დასტოვა რა პატარა ბინა. აქ, სამოცავი წლების ნახევარში, ჩვენსას დაიარებოდნენ ახალი თაობის წარმომადგენელობის წმინდად მოდიოდა თავ. ა. კ. ბებუთ თვის რომელმაც განიზრახა გამ. „ტიფლისკი ვესტნიკის“ გამოცემა, მაშინ ერთადერთი კერძო ღრაგანოსი რუსულ ენაზე. მცდიოდნენ ხანდახან ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწენი ბენ. და ნიკ. დოდო ბერიძენი, პრიფ. პ. გ. მელი იქიმებილი, გ. ა. კალანთარვი, ავტორი ცნობილი განლავლებისა: „ბატონყმობა საქართველოში („Крепостное право в Грузии“), ისტორიკოსი დ. ჭ. ბატონაძე, ნ. ბერძნიშვილი, ა. ბერუჟ და სხვ. იმ თაობაში, საზარეალო ახლაც ახლა [1918. წ.] მოთავსებულია „კავკ. სლოვოს“ კონტრა და სარედაციით. დარბაზი, ხშირხდ თავს იყრიდნენ ქართველი მწერლები, რათა მოეწყოთ ესათუ ის სალიტერატურო ან საზოგადოებრივი საქმე. ასე წარმოიქმნა აქ ამხანაგობა ქართველ კლასიკოსთა ზამოსაცემად. მუდმივი ქართული სცენა, მასწავლებელ ქალთა საზოგადოება, უურნ. „ჯეჯილი“ და სხვ. აქ ხშირად იყვნენ ხოლმე სახელოვანი ქართველი პოეტები და მწერლები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, რაფი ი. რაფი ი. რაფი ი. რაფი ი. გიორგი გიორგი წერეთელი [შენიშვანი ჩამატებულია: „რომელიც შემუვლო ჩვენს ჯავახს დაუშათესავდა]. აქ ხანდახან. იმართებოდა სცენის მოყვარეთა რეპეტიციები, სცენაზე შესასვლელად რომ ემზადებოდნენ: საფარო ვია-ბაში ის, გაბუნია-ცაგარ ლისა და სხვათა. ამაზე უფრო გვიან აქ თავს იყრიდნენ თბილისის მუნიციპალიტეტის გამოჩენილი მოღვაწენი: პ. ა. იზმალი ლავა ვი (ყოფილი ქალაქისთავი), მ. ი. თამაშშე ვი, ნ. ზ. ცხვედაძე და სხვ. ამასთანავე, სეზიოზულ სჯაბაას ხანდახან ხუმრობაც სცენიდა. მაგალითად, პირველ ორს ზევით დასტელებულ პირთაგან იშვი

ათი უნარი ჰქონდათ უეცრად ჩაძინებისა, რაც ხელს გვიწყობდა გვეობუნჯა მათზე. კიდევ ამაზე უფრო გვიან აქ მოეშეყო წრე ახალი ყოველდღიური პროგრესიული და დემოკრატიული განეთი . ნოვოე ობოზრენიე“-ს გამოსაცემად. რამდენიმე. წლით ამაზე ადრე (1883 – 1884 წ.წ.) შენობის მთავარი კორპუსი შეერთებულ იქნა ახლად აშენებულ სახლთან და დაიდგა ახალი მესამე სართული. „კავკ. სლოვოს“ ახლან- დელ სადგომს ზევით ცხოვრობდა მაშინ კარგად ცნობალი მომღერალი ქალი პაპა იანი, ხოლო იმის გვერდით ღრმად ცოხუცებული დედა გრაფი ლორ ის მელი ქოვისა, მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრისა და ღვერტორისა! ქვევით მოთავსებული იყო „ნოვოე ობოზრენიეს“ კონტორა და რედაქცია. წინა- კარის უახლოეს ოთახში, რომელიც ეზოში გადიოდა, იჯდა ტიპიური ენერგიული ფიგურა „დაშნაცუთუნ“ პარტიის ცნობილი დამარსებლის ქრისტ. მიქა- ელ იანისა, რომელსაც იმ დროს კორექტორის უბრალო თანამდებობა ეჭირა. შემდგომ იგი აქვე გაჩერიკეს და დააპატიმრეს. ამოჰყო რა თავი ემიგრაციაში საზღვარგარეთ, მან ფართოდ განავითარა თავისი მოღვაწეობა. შემდევ ოთახში, რომელიც აგრეთვე ეზოში გადიოდა, მუშაობდა რედაქტორის თანაშემწევ გ. მ. ლასხი იშვილი, ამჟამად ქართველ საციალისტ-ფედერალისტების ლადერი ხეიმში. იქვე ხშირად გამოჩნდებოდნენ ხოლმე ივანოვიჩი (სვედენ ცოვი), მაშინ ცნობილი ბელეტრისტი, ნაროდინიკი, რომელიც განაგებდა ფელეტონის განყოფილებას, და ვ. ვ. ლუნკევიჩი, აგრეთვე ნაროდინიკი, რომელიც უძ- ლვებოდა სალიტერატურო და საუკრალო მიმოხილვის განყოფილებას. იქვე ხშირად შეიხდავდა ხოლმე, ცნობილი სომები რომანისტი და დრამატურგი შირვანიშვილი ადე, რომელიც ადგენთა სომხურ ქრონიკას, და აგრეთვე ამიერკავ- კასის ბოლშევიკების ერთერთი ხელმძღვანელი ს. შაუმიანი, მაშინ ჯერ კი- დევ გიმჩასისტი და თანაც კორექტორი.

მაგრამ ჩვენთან იყვნენ ისეთი ადამიანებიც, რომელთაც არავითარი სა- ერთო არა ჰქონდათ რა პოლიტიკასთან. თავის დროზე გამოჩენილი პეტერბურ- გელი მომღერალი კომისარებულებას და საკუთრებულ მიმოხილვის განყოფილებას. იქვე ხშირად შეიხდავდა ხოლმე, ცნობილი სომები რომანისტი და დრამატურგი შირვანიშვილი ადე, რომელიც მაშინ ჩვენს ოპერაში უბრალო როლს ტამაშობდა, პატივი- გვცა და მხურვალე მონაწილეობა მიიღო ჩვენი წრის მიერ საქველმოქმედო მიზ- ნით გამართულ კონცერტში“.

იმავე „ერთი ძველი სახლის ისტორიაში“ ნათქვამია, რომ ამ სახლში რე- ლაქცია უკეთდებოდა ბატონებისაგან გლეხთა განთავისუფლების ყველა აქტი და რომ ამ სახლში ინაულებდნენ ხოლმე მიხ. თუმანიშვილს „ტფილისში ერთად- ერთი რუსულის განეთის „კავკაზისა“ და ერთადერთი ქართული უურნალის „ცისკრის“ თანამშრომელი, მისი გიმჩაზიელი ამხანაგი, სახელოვანი პოეტი ნიკ. ბარათაშვილი, პოეტი და დრამატურგი გიორგი ერისთავი ივ. ივ. ერლაპავი (კართული თეატრის დამარსებელი), გახ. „კავკაზის“ ფანამშრომელი ივ. ივ. ერლაპავი (ოკერის არტისტისა და თბილისელი ანტრეპრენიორის მამა) და სხვანი. აქვე გამოჩნდებოდნენ ხოლმე ხანდაზან თბილისში ჩამოსული სახელგან- თქმული პირნი.

ამ სახლის ცნობებს, რაც „ისტორიაშია“, ბევრი რამ აკლია: პირველ ათ- წლეულში, ვორონოვისა და ორბეგიანის გარდა, აქ ბინადრობდნენ აგრეთვე სხვა პირნიც, რომელთაც თავის დროზე თვალსაჩინო საზოგადოებრივი და სამ- სახურებრივი მდგომარეობა ჰქონდათ, განკაუთრებით მეფის-ნაცვლის ამალისა და საადმინისტრაციო წრის პირნი. მიხ. თუმანიშვილის არქივში დაცულია მის

სახლში ბინის ქირავნაბის თოკუმენტები. ყველაზე უადრესი—1846 წლისაა. 1846-წლის ივნისის 1-დან 1847 წლის ივნისის 1-მდე სახლში (მეორე ორსართულიანი) სახლი, რომელიც ქირავლებოდა) ბინადრობდა „1100 მანატად ვერცხლით“ გვარდიის შტაბს-კაპიტანი კონსტანტინე არკადის-ძე გრაფი სუკოროვი რა 3 რ 3 რ 0 მ 6 ი კ ს კ ი, თავადი იტალიისკი (1809—1878), სახელოვანი სარდლის ჩამომავალი; მას ეჭირა. „13 „თეთრი ოთახი“, 1 სამხარეულო, 1 სამსახურო, 2 სარდაფი, 1 თავლა, 1 სარაია და ეზო“. დადებული ხელშეკრულება შემდგომ განგრძობილი ყოფილა. სუვოროვი, როგორც ვოლონტერი, მონაშილეობას იღებდა გენ. ველიამინოვის ლაშქრობაში კუბანის იქით 1835 წელს, ირაცხებოდა იმ დროსვე მთავარმართებლის კანცელარიაში, შემდეგ იმყოფებოდა ეჭიპედიციაში რა ევ ს კ ი ს უფროსობით. ორმოცანა წლებში სუვოროვი მ. ს. ვ რ თ ნ ც რ ვ ი ს აღიუზანტი ყოფილა. 1855 წელს, ლეიბ-გვარდიის ეგერთა პოლკის პოლკოვნიკის ჩინით, იგი ირაცხებოდა მოსკოვის ორდონანს-ჰაუზთან. არსებული სამხედრო სასამართლოს კომისიის ასესორად, ხოლო შემდგომ გოფმარშალი ყოფილა. მისი ცოლი ელისა ბერ ალექსის ასული, რომელიც მასთან ერთად მის. თუმანიშვილის სახლში ცხოვრობდა, იყო ცნობილ მოსკოველ ხიტროვოთა ღვარიდან. (ცნობები სუვოროვზე ამოღებულია ნაშილობრივ „რავსკების არსუილან“—ტ. II, გვ. 428).

1847 წლის ბოლოს ამ სახლში ცხოვრობდა ადეის. სტატ. სოვ. ნიკ. ს ე-მინ ნ რ ვ ი, რომელიც 1852 წელს (შეიძლება იმ დროსაც, როცა იგი ამ სახლში იდგა) იყო ამიერკავკასიის მხარის მთავარ სამართველოს საბჭოს. წევრი და იმავე დროს კავკასიის სამოსწავლის მთავარი დაიქირავდა.

1851 წელს იმავე სემიონოვმა დაიქირავა ეს სახლი 8 თვით მზრუნველის სამმართველოს კანცელარიისათვის. როგორც ჩანს მის. თუმანიშვილის ჩანწერიდან 1851 წლის „კავკას. კალენდარში“, იმავე წლის მაისს მდგმურები გამოიცვალნენ: „ოთხშაბათი, 7. ვ. 6. სემიონოვმა დასტოვა ჩემი სახლი. ხუთშაბათს 8. გადმოვიდა თავადი 6. ბ. იუსუფ ფ რ ვ ი“.

1855 წლის ივლისის 1-ს ზემო სართული დაუქირავებია კავკასიის ცალკეული კორპუსის შტაბს მორიგე (დეფურნი) შტაბ-ოფიცირისათვის.

1856 წლის სექტემბრის 15-ს ზემო სართულში ჩასახლებულა ფლიგელ-ადიუტანტი, გვარდიის როტმისტრი მის. ივ. ჩ ე რ ტ კ ა ვ ი მე-2.

1857 წელს მთელი სახლი დაუქირავა სექტემბრის 15-დან დიდი მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს-ძის სახელობის გრენადერთა პოლკის მართლის თავალექანდრე პეტრეს-ძე ტ რ უ ბ ე ც რ ი ს.

1859 წელს დაიდვა ხელ შეკრულება მთელი სახლის დაქირავებაზე ლეიბ-გვარდიის ცენტრალუსანთა პოლკის კორნეტის გრაფი ილარიონ ივანის-ძის ვ რ თ რ ნ ც რ ვ ი-დაშ რ კ ა ვ ი ს მაერ (1859 წლის სექტემბრის 1-დან 1860 წ. სექტემბრის 1-მდე; შემდეგ ხელშეკრულება განგრძობილ იქნა 1 წლით და კვლავ 6 თვით).

1864 წლის ივლისის 1-დან ზემო სართული ეჭირა გენერალ-მაიორ თავალე ა რ დ ე ლ ი ა ნ ს.

1868 წელს ქვემო სართული დაიქირავა ივნისის 1-დან საფრანგეთის მიჯალაქემ ალფრედ, ბულ ი ა ნ მ ა, ხოლო 1873 წელს—ქბილის ეჭიმმა ვ რ ლ ფ ზ რ ნ მ ა.

უგვიანესი დროის (წარსული საუკუნის 80—90-იანი წ.წ.) მდგმურთაგან შეიძლება დავასახელოთ თბილისში კარგად ცნობილი ნაფიცი ვეჭილი პ ლ ი უ შ ჩ ი კ პ ლ ი უ შ ჩ ე ვ ს კ ი. იყვნენ სხვებიც.

„ნოვოე აბოზრენიეს“ რეზაქციას ეჭირა მეორე სართულის. ნაშილი მთელი იმ დროის განმავლობაში, რაც ეს გახეთი გამოსილდა ძმათა თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ე-

მ ი ს ხელმძღვანელობით. იმის შემდეგ რაც გაჩეთი კალანთარ ივანეს-ძის კალანთარ ივანეს-ძის განთაროვის ხელში გადავიდა, რედაქტირა მოთავსებული იყო პირველ სარ-თაულში.

1914 წლიდან 1921 წლამდე აქ მოთავსებული იყო „კავკაზიკოე სლოვოს“ რედაქტირა.

ნახევრად სარდაფურ სადგომში, რომელიც ეზოში იყო, მოკლე ჩანს თავს აფარებდა თბილისის ბოლშევიკთა იატაკევეშა სტამბა.

ამ სახლში დიდხანს იმყოფებოდა პროფ. რიად ნაფი ის. საოპერო სტუდია და დამსახურ. არტისტის ნ. ა. გრიე უროვას კლასი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას „ნოვოე აბოზრენიეს“ ყოფილი სადგომი ეჭირა თანამიმდევრობით რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) კავკასიის ბიუროს, პროფესიული კავშირების სრულიად-საკავშირო საბჭოს კავკასიის ბიუროს, დამზღვევ სალაროს, ხოლო ქვემო სართული საბინაო კავშირს და გაზ. „მუშის“ რედაქტირას, ახლა უჭირავს დამზღვევი სალაროს საპენიო განყოფილებას.

სახლის წინ დღევანდლამდე არსებობს ბაღჩა მიხ. თუმანიშვილის დღიურში ვკითხულობთ: 1847 წ. 23 თებერვალი, კვირა. დღეს ბაღჩაში ჩემი ახალი სახლის წინ დარგულ იქნა 10 თითოწლიანი აკაციის ხე. „ზოგიერთი ხე, ალბათ დიდი. ხარია გადახმა, ნაწილი 1934 წელს მოიწრა, ხოლო ორა, წე ახლაც არის.“

„ნოვოე აბოზრენიეს“ გამოცემის წლებში და აგრეთვე შემდეგაც, უფრო უვიან, გ. მ. თუმანიშვილის სიკვდილამდე, ამ სახლში დაიარებოდა ლიტერატურულასა, თეატრულასა, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ წრეებში ცნობილი ბევრი სხვადასხვა პირი, ბევრი ქართველი და სომეხი მწერალი (კერძოდ აქ ყოფილან არტისტი-ქალი ლ. იავორ სკაია, თავისი ქმრით დრამატურგი ვ. ბარიათიან სკი თურ თ, ვ. ე. მეექრხოლები და სხვ).

78. სამსახურში შესვლის დროიდან გუბერნატორის სამმართველოდან მეფის-რაცვლის მთავარ სამმართველოში გადასვლამდე მიხე ილ თუ მანიშვილს უჭირა სხვადასხვა თანამდებობა შემდეგი თანამიმდევრობით:

საქართველოს სახაზინო ექსპედიციაში (შემდგომ სახაზინო პალატა), 1837 წ. მანვრის 23-დან.

1838 წლის აპრილის 8-დან; ამიერ-კავკასიის მხარის მმართველობის დებულების პროექტის შემდგენელი კომისიის თავმჯდომარის სენატორი განის, წინადაღებით მივლინებულ იქნა კომისიაში.

1839 წლის ივნისის 14-ს გადაყვანილ იქნა საქართველოს სამართლისა, დაგანჩინების ექსპედიციის მაგიდის უფროსად საგამომძიებლო ნაწილში.

1841 წლის აგვისტოს 26-დან, პირდაპირ მოვალეობათა გარდა, მუშაობდა საქმისმწარმოებლად პალატის განსაკუთრებულ საკრებულოში, რომელიც იზილავდა სხვადასხვა პირთა შთამომავლობაზე (საქართველოს დეპუტატთა საკრებულოს საქმეების გამო). ტყუილი ფიცის მიცემაში დაშნაშავეთა საქმეს.

1842 წლის დეკემბრის 11-ს დაინიშნა განსაკუთრებულ მინდობილებათა უმცროს მოხელედ საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორთან და თანახლდა გუბერნატორს გუბერნიაში მოგზაურობისას.

1847 წლის დეკემბრის 12-ს დაინიშნა თბილისის სამხედრო გუბერნატორის (რომელიც განაცემდა სამოქალაქო ნაწილს) კანცელარიის გამეოდ.

1848 წლის იანვრის 11-ს დამტკიცებულ იქნა გუბერნატორის კანცელარიის მმართველის თანამდებობაზე.

1849 წლის ივნისის 14-ს წარვლინებულ იქნა ელისავეტპოლის გუბერნიის, შამშედინის უბნის გასანისა და თაუზის საფოსტო სადაურებს შუა, 11.000 მან.

(ვერცხლად). ფოსტის გაძარცვის თაობაზე გამოძიების მოსახლენად. გამოძიების შედეგად ფული აღმოჩენილ იქნა.

1849 წლის სექტემბრის 15-ს დაინიშნა განსაკუთრებულ მინდობილებათა უფროს მოხელედ თბილისის სამხედრო გუბერნატორთან. სხვა მინდობილებათა შორის, ამ მოხელედ ყოფნის დროს, განაგებდა გუბერნატორის ივ. მალ. ანდრია ნიკაშვილის საჭაშქო¹ კანცელიარის „აჯანყებული ასების წინააღმდეგ გაგზავნილი ექსპედიციის დროს“; ოვიზია გაუკეთა 1850 წ. ნოემბერსა და დეკემბერში ელისავეტპოლის გუბერნიის ყველა სამოქალაქო დაწესებულებას; რევიზია გაუკეთა აგრეთვე ასეთსავე დაწესებულებებს სილნალის და თელავის ვაზრებში 1851 წლის თებერვალსა და მარტში; გამოძიება მოახდინა (მეფის-ნაცელის ვაროვანის მინდობილებით) 23.000 მან. (ვერცხლად) შემცველი საფოსტო ჩანთის დაკარგვის თაობაზე, გამოარკვია დამზადების და იპოვნა ფულიც — 21.535 მან.; ვაროვანის პირადი მიწერილობით, 1853 წლის თებერვლის 14-ის თარიღით, აწარმოებდა გამოძიებას ქუთაისის გუბერნიის ახალქალაქის უბანში აზგილობრივ მართებლობაზე მცხოვრებთა საჩივრების გამო; ასეთივე პირადი მინდობილობით, 1853 წ. სექტემბრის 20-ის თარიღით, მოახდინა გამოძიება ჭარა-ბელაქინის სამხედრო ოლქში. 1853 წლის აგვისტოს 5-ს ელისავეტპოლის ვაზრაში 40.000 მანეთამდე (ვერცხლად) შემცველი ფოსტის გაძარცვის თაობაზე; 1854 წლიდან 1858 წლის ბოლომდე ასრულებდა საგუბერნიო მმართველობის მრჩევლის თანამდებობას, განაგებდა სამმართველოს სხვადასხვა განყოფილებას (ცნობები ამოღებულია სამსახურის სიიდან).

7. თავ. ივანე მალხაზის-ძე ანდრონიკაშვილი, იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონის დისტული, კავალერიის გენერალი (1793—1868) კავკასიის ერთერთი გამოჩენილი სამხედრო ადმინისტრატორთაგანი; მონაშილეობას იღებდა ჭარმატებით პასკევიჩის ლაშერობებში და ომში მთივლებდთან. 1853 წელს დაამარცხა თურქი ახალციხან, ხოლო 1854 წელს — მდინარე ჩოლოყთან.

1849 წლიდან 1855 წლამდე ეჭირა თბილისის სამხედრო გუბერნატორის პოსტი. მიხ. თუმანიშვილი მასთან კანცელიარის გამგედ იყო. ანდრონიკაშვილი ითვლებოდა გამოჩენილ სარდლად. ირჩეოდა მოსწრებული საზრიანობით ბრძოლის დროს.

ასეთში ლაშერობის დაყოვნებამ გამოიწვია კავკასიის მთავარი სამმართველოს უფროსის გენერალ-ადუტანტის თავ. ვ. ა. ბებუთოვის წერილი ივ. მალხ. ანდრონიკაშვილი სა დ მი. ი. დლემდე ჭს წერილი არსად გამოქვეყნებული არ ყოფილა. „ამ წერილის ხელნაწერი — აღნიშნავს გ. მ. თუმანიკვილი თავის ჩანაშერში ბებუთოვის ეპისტოლის რუსულ თარგმანზე — ჩვენ ვიპოვნეთ მიხ. ბებუთოვ. თუმანიკვილის გამგებული კანცელიარის გამგესთან. ვ. ა. ბებუთოვის მისი თანამედროვენი ტყუილად კი არ უწოდებდნენ აღმოსავლეთის დიპლომატს. დაბოლიტიკოსს. წერილში იგი, მაშინ უასლოესი თანაშემწე მ. ს. ვაროვანის კავკასიის მხარის გამგებლობაში (კავკასიის მთავარი სამმართველოს უფროსი) არ ერიდება შენიშვნა მისცეს ფრიად გავლენიან აღმინისტრატორს, როგორიც იყო ივანე მალხაზის-ძე ანდრონიკაშვილი, რომელმაც შემდგომ ბებუთოვთან ერთად სახელი გაითქვა კავკასიის მთივლებთან მოისა და ყირიმის კამპანიის დროს. მაგრამ იგი ახერხებს ეს სამსახურებრივი საყვედური მეგობრული რჩევის ფორმაში ჩამოქანა და არა ოფიციალურ ქაღალდში, რუსულ ენაზე, არამედ საიდუმლო წერილის სასით მათთვის არივესათვის მშობლიურ ქარ-

თულ ენაზე. შემდეგში ი. მ. ანდრონიკაშვილის შვილი არჩილი ბერძუთოვთან თან მახურობდა აღუტანტად და დაიმსახურა უფროსის კეთილგან-წყობილება, როგორც გმირმა, რომელმაც თავი ისახელა ბაჟკადიკლართან ბრძოლაში“.

როგორც გ. მ. თუმანიშვილის შენიშვნებიდან ჩანს, მას აზრად ჰქონდა გამოექვეყნებინა წერილი სქოლიობით და ამ სათაურათ: „ორი გმირის მიწერ-მოწერა“ მის; მიერ განხრახულ გამოცემაში მის. თუმანიშვილის / არქივეს მასალებით. მაგრამ ეს განხრახულ არ განხორციელდა.

ბებუთოვთან წერილი ფრიად საინტერესოა. ისტორიკოსებისათვის იმ მხრივ, თუ როგორ მართავდა კავკასიას მეფის მთავრობა. წერილის სრული ტექსტი შემდეგია:

„საიდუმლო

საყვარელო კრიაზო იოანე მალხაზის-ძევ.

არა მცირედ ვწუბ, რომ ოსების საქმე აგრე გავრძელდა, და აქამომდე რეზულტატი თთქმოს არა სჩანს რა. დღეს მიციდე თქვენი ძოწერილობა, რომლითაც მაუწყებთ, რომ როკლები და სხვანი ოსები ითხოვენ პირდაპირ ნამესტნიკთან მათს გაგზავნას; ეს ნიშავს კიდევ ახალ პირობების დადგებას ოსებთაგან, რადგან მათ ჰსურსთ, რომ ვლადიკავკას ანუ ეკატერინოგრადს იყვნენ გაგზავნილნი ისინი; ამით ჰსჩანს რომ არა გულწრფელად არიან ოსები ოავიანთს პირობაზედ; ბაშასადამე თქვენ გაქვეთ ნება რომ ალასალულებლაზ კრიაზის მიხაილ სიმონ იჩიდას* ბრძნელება, რვით თქვენთან ზოთონვეთ ის კაცები ოსებთაგანნი, რომელნიც საჭირონი არიან, და უკკა თუ არ ვიაწლნონ, მაშინ დამორჩილება მათი ძალით უნდა მოახუროთ, როგორც ამას წინათაც მოგახსნენ საფუძველისა 85 ნამესტნიკის ნებისა, მე ვგონებ რომ პირველის ჩემის მოწერილობით რომ მოგეთხოვნათ ის კაცები თქვენთან, მეორედ რაზრეშენის მოთხოვნა საჭირო აღარ იქნებოდა და არც დრო დაიკარგებოდა, რომელიც მაგისთანა გარემოებაში ძალიან ძვირი არის; აგრე ზუთი კვირა არის, რომ ოტრიადი მანდ დგას; იმერეთის მილიციაც მოსულა, და მიწერ მოწერაში საქმე წაუზატებლად ჰრებება—ამას წინათ ზოლო ტაროვს** მიეწერა ავალოვთან***, რომ ჯარი და ზარბაზნები, რომელნიც კობის არიან შეყრილნი ზოლო ტაროვის ოტრიადის გასაძლიერებლად, დაითხოვოს თავის თვისა და წასასვლელად რაღვან საჭირო აღარ არიან; ავალოვს ეს მოწერილობა წაომოედგინა გოგელ თან**** და ეთხოვნა რაზრეშენი; მე არ ვიცი კობის ჯარების დათხოვნა თქვენი ბრძანებით არის, თუ თითონ ზოლო ტაროვს უქმნია ის განკარგულება; ვითარცა თქვენის მოწერილობით ჰსჩანს, ჯერეთ საქმე ლეგინა არ დასრულებულა, და შეიძლება რომ კიდევაც ჩერები მოგივიდესთ, ამის გამო ჯარების დათხოვნის დრო ვგონებ არ იყოს. მე ასე ვუიქრობ და სხვა ჩემდა უცნობი გარემოება ზუ არის რამე, მე არა ვუწყო.

* თავადი ვორონცოვი

** პოლკ. ზოლო ტარიოვი—ქართ. სახანი მე-18 №-ის ბარალიონი. მეთაური,

*** ავალი შვილი—პოლკ. შემუელ გენერალი, მთავალ ხალხთა უფროსი.

**** გ. ე. გოგელ, მთავარი ბრძანის უფროსის თანაშემწევ.

ნება მომეცით კნიაზო, ვითარცა თქვენს მეგობარს, გულწრფელობით ჩემი პაზრი გამოგცხადოთ, რომელ თუმცა თქვენი საშლურავი ზოლო ტაროვთა არ საფუძვლიანი არის, რომ მას არ უნდა დაეწყო ასებთან პირობები, მაგრამ თქვენ ვითარცა ოტრიადნის ნაჩალნიკს, გქონდათ, სრული სამართალი დარღვევად იმ პირობებისა და მყისვე აღსრულებად ნამესტნიკის ბრძანებისა; ხოლო რადგან თქვენ არ ინებეთ ესე და რაზრუშენივ მოითხოვეთ, ვგონებ ზოლო ტაროვთა არ იმ სათვის აღარ უნდა მიგენდოთ კაცების თქვენთან დაბარება, არამედ სასტიკად გებრძანებინათ რომ თქვენთან მოსულიყენენ ვინც საჭირო იყო ასებთაგანი. ჟყე თუ გეაზლებოდნენ, მაშინ განერინებოდით უბრალოდ სისხლის დათხევას, წინააღმდეგ შემთხვევაში მიხვიდოდით ჯარით და დამორჩილებდით მათ საჭურველის ძალით. ხოლო რადგან თქვენ ისევ ზოლო ტაროვს მიანდეთ ეს საქმე, აწ ახლად ასები პირობას ითხოვენ, რომ ვლადიგავკაზას გაგვეზანეთო ნამესტნიკთან და თქვენ კვალადცა ითხოვთ რაზრუშენის ამა გარემოებისას; ამასობაში დრო მირბის, ხარჯი ჯარის უბრალოდ იხარჯება, და გორის უეზდისა, და იმერეთის მილიცია, მეტადრე პირველი, განშორებულნი თავიანთ სახლებითან, ჰერციგებიან თავიანთს მუშაობას, რადგან ახლა არის გლეჩიკაცის მუშაობის უამი; ახლა იქნება ასებმა კიდევ ახალი პირობა მოქსონოვონ ზოლო ტაროვს, კჭლავადვე რაზრუშენივ უნდა მიიღოთ, და საქმის დასრულება გაერქელდება.

საგანი თქვენის კომანდიროვისა ნამესტნიკისაგან ის იყო, რომ თქვენ ვითარცა ვოგნის გუბერნატორი, რომელსაც აქვს თავის გუბერნიაში უფლება, ყოველს მოქმედებას უმჯობესად შეათანხმებთ მანდაურთ გარემოებათთანა და რადგან გაქვთ წერილით ბრძანება კნიაზი მის ეილ ს იმონი ჩისა, რაზრუშენიგები საჭირო აღარ უნდა ყოფილიყო აღსასრულებლად ნამესტნიკის ნებისა.

ვგონებ, ზოლო ტაროვის პასუხის მისაღლამდინ, რომ მიხვიდეთ როგო ჯარით, მაშინ აღარა შეეძლებათ რა ასებს და რასაც თქვენ უბრძანებთ აღასრულებენ და დამორჩილდებიან; მაშინ მოახდენთ შესაბამს განკარგულებას, ვითარსაც საჭიროდ დაინახავთ; უსამურეც* იქნება, უკეთუ ყოველი ესე მოხდეს თვინიერ სისხლის თხევისა.

კეთილგონიერი თქვენში განკარგულებანი ჯავის სოფლების და კაშკას მცხოვრებთა დამშევიდების გამო მიღებულნ დაგვირგვინებულ იქმნენ სრულის წარმატებითა და არღა, არის იჭვი რაიმე, რომელ მაკლეს დროშიდ დააბოლოებთ დანაშთენს ნაწილსაც თქვენის მონადობილებასას; თუმცა როგორც თქვენი იწერებით, დანაშთენი ესენაწილი არის უძნელესი, მაგრამ კეთილ გონიერი თქვენი განკარგულება და გამოცდილება მაგევარ საქმეებში გვარწმუნებენ საამურს დასასრულზედ, რომელსაც მოუთმენლად მოქლის მართებლობა.

მეგობრულს საფუძველზედ მოწერილი წიგნი ესე გთხოვთ უმორჩილესად მიიღოთ იმავე საფუძველსაზედა და იქმნეთ დარწმუნებული, რომელ შარად შეუცვალებელის ჩემის თქვენ და პატივისცემით ვშთები.

თქვენის ბრწყინვალებისა
ერთგული მოსამსახურე

თავ. ვასილ. ბებ უთვი.

23 ივნის 1850

თბილისი,

* საამურებ.

ორივე გმირის დასახასიათებლად საინტერესოა აღინიშნოს, რომ ე. გ. ვეი-
დე ნ. ბაუ მის გამრუქვეყნებელ დღიურში 1888 წლის (საქართველოს მუზეუმის
შელნაწერთა განყოფილებაშია) ჩაწერილია: „სხვათ შორის თავადმა [კავკა-
სი ი ი ს მ თ ა ვ ა რ მ ა რ თ ე ბ ე ლ ი დ ო ნ დ უ კ ო ვ კ ო რ ს ა კ ა ვ ი] გვიამბო შესა-
ნიშნავი შემთხვევა, რომელიც ამტკიცებს განსვენებული გენერლის თავადი
ი ვანე მალ ხაუ ი ის-ძე ა ნ დ რ თ ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს საზრიანობას და მოხერ-
ხებულებას! აღმოსავლეთში ომის დღოს იმერეთს თავი იჩინა ჩვენთვის სამტრო
შორიანობამ. მშვიდობიანობის დასამყარებლად გაგზავნილმა თავად ა ნ დ რ თ ნ ი-
კ ა შ ვ ი ლ მა შეპკრიპა ხალხი და მიაყარა და მიაყარა მწარე საყვედური და
ლანძღვა. თქვენ არა მასადები, მშოშრები, და სულელები სართ, უთხრა მან წოდე-
ბათა წარმომადგენლო. სად იყავით მაშინ, როდესაც მე და ს რ ლ ო მ რ ს
მ ე ფ ე ა ვ ჯ ა ნ ყ დ ი თ ? მაშინ როგორც მშიშარა კურდლები მიიმაღენით და გაგვე-
ცით მეფეც და მეც ! რუსები კი მაშინ ერთი შუჭანი იყვნენ და ადვილად გავა-
ნადგურებდით. მაშ რა გინდათ ახლა, თქვე უტევინო თავიანებო, როდესაც რუ-
სებს მთელი დივიზიები ჰყავთ და გაგსრესავენ იოლად და ულმობელად“.

ამ შესანიშნავმა ორატორულმა ხერხმა მოხუცი გენერლისამ გასჭრაჲ მღელ-
გარება მოისპოვა“.

ურთიერთობა მოხუც გუბერნატორსა და მის კანცელარიის ახალგაზრდა
მემართველს შორის მარტო სამსახურის ხასიათისა არ იყო. ა ნ დ რ თ ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი
ფრიად აფასებდა მის. თუ მან ი შ ვ ი ლ ი ს ნიჭი და პატიოსნებას და არაერთ-
ხელ აღნიშნავდა ხოლმე მის დამსახურებას სიტყვიერად და წერილობით თავის.
მოხსენებაში მეფის-ნაცვლისადმი. კერძოდ, 1854 წლის მაისის 8-ს მან სთხოვა სა-
მოქალაქო სამმართველოს უფროსს მიეცა მის. თუმანიშვილისათვის „ამიერკავკა-
სის საზოგადოებრივი მსრუცელობის პრიკაზის“ („Приказ о общественном при-
еме на ярмарке“) დირექტორის პოსტი და თანაც ჩინებული რეკომენდაცია გაუკეთა.
ამაზე უფრო ადრე, 1853 წ. თებერვლის 11-ს, იყი სწერდა სამოქალაქო
სამმართველოს უფროსს. 23.261 მან. გამტაცებულთა აღმოჩენასთან დაკავშირებით,
რომ მის. თუმანიშვილის ეს აღმოჩენა „იშვიათია და თითქმის უმაგალითოც კი“.
ალბათ ა ნ დ რ თ ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს მოხსენებათა მეოხებით იყო, რომ მის. თუმანი-
შვილს კურადღება მიაქცია უორონცოვმა, რომელმაც რამდენჯერმე მიანდო მას,
პასუხსაგები საქმე, თუმცა ვორთ ცოცვის განკარგულებაში მრავალრიცხო-
ვანი შტატი იყო მოხსელებისა და აღტანტებისა, ხოლო მის. თუმანიშვილს
თანამდებობა ეჭირა არა მთავარ სამმართველოში, არამედ გუბერნატორთან.

მის. თუმანიშვილის არქივში შენახულა: 1) ა ნ დ რ თ ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს ცხოვ-
ნით მის მიერ 1854 წლის ოქტომბერში შედგენილი მოხსენება (ვაპისკა) ქუთაი-
სის გუბერნიის (ზორაპის მაზრის) სკირის თემის (ხილის) შესახებ, რომელიც
ა ნ დ რ თ ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს დედის — იმერეთის ბატონიშვილის მარიამ არ-
ჩი ი ლ ი ს ასულის — მფლობელობაში იყო, როგორც იმერეთის მეფის ს თ ლ რ მ თ ნ
II მიერ ბოძებული. როდესაც ს თ ლ რ მ თ ნ ი თურქეთს გაიქცა ბატონი-
შვილის მარიამი ქმართან ერთად, რუსეთის მთავრობამ მოახდინა მამულის
კონფისკაცია. მოხსენებაში მოყვანილია საფუძვლები, რაზედაც დამყარებით ი. მ.
ა ნ დ რ თ ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი თხოვულობს დაებრუნოს მამული; 2) მის. თუმანიშვი-
ლის მიერვე ა ნ დ რ თ ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს სახელით შედგენილი წერილები: ვო-
რონცოცვისა და მის (ამ უკანასკნელის მიერ კავკასიის დატოვების გამო) და
ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ბ ა გ რ ა ტ ი მ ე რ ი ს ა დ მ ი (ახალციხის ექსპედიციის
გამო). 3) მოხსენება ვორონცოცვის მიერ თბილისში ავლაბარზე დარსე-
ბული ცერმის საქმიანობის შესახებ; 4) წერილი საქართველოს ეგზარქოსისადმი

—სულიერი სამწყსოს დათვალიერებაზე ოსეთის ოლქში; 5) ექიმ ე. ს. ანდრე-
ვასკისა და მი — ბორჯომის მამულზე; 6) შედარებითი წერილი იმ ბეგარის შესა-
ხებ, რასაც იხდიან თბილისისა და ამიერკავკასიის სხვა გუბერნიების მცხოვრე-
ბინი; წერილი შედგენილი იყო მის. თუმანიშვილის მიერ ერევნისა, შემახისა და
ქუთაისის გუბერნატორების პროტესტის გამო იმის წინააღმდეგ, რომ მათი გუ-
ბერნიები მონაწილეობას იღებენ თბილისის მილიციის შესანახ ხარჯში; 7) მოხ-
სენების პროექტი (1850 წ. აპრილში) სასაფლო მედიცინაზე შტაბ-ლეკარის ხელ-
ნაწერითურთ „რამდენიმე სიტყვა სახალხო ჰიგიენაზე;“ 8) მოხსენება მეფის-
ნაცვალისადმი ნახიჩევანის მაზრის რევიზიაზე, რომელიც ჩატარა მის. თუმანი-
შვილმ ადა სხვ,

80. რ უ ზ ი კ ო შ კ ი — დირქიშესანიშნავი ქეგლია ქველი დროისა ბორჩალოს
მაზრაში. ერთერთი ტურისტი თურმე ამტკიცებდა, ლურსმული წარწერები ვნახე
კოშკის კედელზეო. კონსტ. მის. თუ მანი შვილი ცნობით, რომელიც
დართული აქვს მის. თუმანიშვილის შენიშვნას, ლურსმულ წარწერების ცნობილმა
მკვლევარებმა ბალკმა და ლემანმა არ დაადასტურეს ეს აღმოჩენა ტურის-
ტისა.

81. კ რ უ ზ ე ნ შ ტ ე რ ნ ი, მეფის-ნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსი
ბარონ ნიკოლაიმდე, სტატუს-სეკრეტარი.

მის. თუმანიშვილის არქივში კ რ უ ზ ე ნ შ ტ ე რ ნ ი ს სხვადასხვა სქმისასახურია
მოხსენებებისა და ცნობებს შორის შენახულა მისი წერილი ვ. ა. ი ნ ს ა რ ს კ ი-
ს ა დ მ ი (მეფის-ნაცვლის კანცელარის დირექტორი) მის. თუმანიშვილის დანიშვნის
თაობაზე: „თავადმა მეფის-ნაცვალმა ინება დაკისრებინა ჩემთვის თავმჯდომარე-
ობა იმ კომიტეტში, რომელიც უნდა გაიხსნას გლეხთა საქმისათვის. მე ვისურ-
ვებით მყოლობა მდგრად ამ საქმეში, რომლის შეერთებასც განსაკუთრებული
განყოფილების საქმეებთან მე ვაპირებ, თავადი მ. თ უ მ ა ნ რ ვ ი. უკეთე თქვენ,
ვ ა ს ი ლ ი ა ნ ტ ა ნ რ ვ ი ჩ, ამის საწინააღმდევო არა გაქვთ რა, მაშინ მე გთხოვდით
ჩვებრძანებინათ თავადი თუმანვისათვის შემოსულიყო ჩემთან დღეს სალამოს
7 ან 8 საათზე. თქვენი ერთგული კ რ უ ზ ე ნ შ ტ ე რ ნ ი. 1861 წ. 20 მარტი,“
(მის. თუმანიშვილს ამ წერილზე გაუკეთებია წარწერა ფანქრით: „სათანადო ალ-
სრულებისათვის“).

82. ბ ა რ ო ნ ი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე პ ა ვ ლ ე ს - დ ე ნ ი ჭ ი რ ა ი (1821—1899).
კავკასიაში ხანგრძლივი სამსახურის შემდეგ, 1862—63 წ.წ. იყო სახალხო განათ-
ლების მინისტრის ამხანგი, ხოლო შემდეგ, 1863 წლიდან 1875 წლამდე, კვლავ
თბილისში მსახურობდა მეფის-ნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსის თა-
ნამდებობაზე კავკასიაზე საგლეხო, სასამართლო და საქალაქო რეფორმების
გავრცელების დროს. არჩეულ იქნა ქალ. თბილისის საპატიო მოქალაქედ. სენა-
ტორი და სტატუს-სეკრეტარი.

ნ ი კ ო ლ ა ი ს დღიურები და არქივი შეიძინა 1937 წელს საქართველოს მწე-
რალთა მუზეუმში.

83. ერთსადაიმავე დროს (1864) მის. თუ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი იყო წევრი კავკა-
სიასა და ამიერკავკასიაში სამოქალაქო დაწესებულებათა გარდაქმნის კომისიისა-
დაწესებულებათა გარდაქმნის დებულების პროექტი შეადგინა მეფის-ნაცვლის
მთავარი სამმართველოს უფროსის განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელემ
ა. ზადოლინი მის. თუ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს არქივში შენახული მიწერ-მოწე-
რიდან ჩანს, რომ ავტორს გადაუცია მისთვის თავისი პროექტი აზრის გამო-
სათქმელად. მის. თუმანიშვილს შეუტყობინებია ავტორისათვის დაწვრილებით

შენიშვნები და ის, რაშიაც არ ეთანხმებოდა პროექტის. პროექტის ავტორი ცალკე წერილით მადლობას უთვლის თავის კრიტიკოსს და აღნიშნავს განსაკუთრებულად, ოომ მაშინ, როდესაც სხვები დასჯერდნენ მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტ შენიშვნებს და პროექტის შექმნას, მიხ. თუმანიშვილმა გამოსთხვა საქმიანი დასკვნები, რომლებსაც უმეტეს ნაწილად ავტორი დაეთანხმა.

ტაინი სოვეტნიკი ფა დ ე ვ ი თავის მოხსენებითს წერილში საგლეხო საქმეს აღნიშნავს, რომ მას გადაუყის მიხ. თუ მა ნი შ ვ ი ლ ი ს ა თ ვ ი ს თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების მემანულეთა და გლეგთა შესახები ცნობები, რაც მის ხელთ იყო, შესამოწმებლად.

მთავარმართებლის საბჭოს წევრის ნ. ი. პ რ ი ბ ი ლ ს უთხოვნია მიხ. თუ მა ნი შ ვ ი ლ ი ს ა თ ვ ი ს გადაესინჯა და შეესწორებინა მისი სტატია საადგილ-მამულო რეფორმაზე.

ამგვარი მიმართვანი მიხ. თუმანიშვილის არქივში მრავლად მოაპოვება.

84. თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში მიწების გამოსყიდვის ოპერაციებისათვის მიხ. თუ მა ნი შ ვ ი ლ ი ს მიერ შედგენილი განაწესის განპილვის შემდეგ, მან მიიღო მეფის-ნაცვლის დიდი მთავრის მი ხ ე ი ლ ჩ ი კ ა ზ ი ს-ძის წერილიბითი შადლობა (1868 წ. აგვისტოს 14-სა): „დიდი შრომის გულდადებით და კეთილსინდისიერად შესრულებისათვის იმ პროექტის შესადგენად, რომელმაც მოითხოვა ამ საგანზე სხვადასხვა დროს გამოცემულ ღაზგენილებათა და აგრეთვე მათ ცვლილებათა და დამატებათა შესწავლა და ჩომელი ნაშროვითაც გაადგილებულ უნდა იქნეს გამოსყიდვის ოპერაციის შესრულება, როგორც იმ მხრით, რომ ხაზინა უზრუნველყოფილ იქნება გამოსყიდვის გადასახადთა წესიერი შეტანით, ისე იმ მხრით, რომ ორ წოდებას შორის მაღალ დამყარდება ქონებრივი ჭრითი-ერთობანი, ორივესამვეს თანაბრად სახეირონი და მთავრობის იმ მზრუნველობითს განხრაზებოდან შეთანხმებულნი, რათა სოფლის მოსახლეობის ყოფაცხოვრება მოეწყოს მტკიცე და ხელშეუხებელ საფუძვლებზე“.

85. გიორგი ქონსტანტინეს ძე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ -მ უ ხ რ ა ნ ს კ ი — ი ხ. თავი მე-VI და შენიშვნა 112.

86. ე ვ ე ნ ი პ ა ვ ლ ე ს -ძ ე ს ტ ა რ ი ც კ ი. წარსული საუკუნის 60-იან წლებში განაგებდა კავკასიაში საგამიჯვნო ნაწილს და იყო თბილი კომერცი. სასამართლოს თავმჯდომარე. შემდეგ მონაწილეობას იღებდა სასამართლო რეფორმის სამზადისში და იყო თბილისის სამოსამართლო პალატის პირველი უფროსი თავმჯდომარე. 70-იან წლებში ირიცხებოდა მეფის-ნაცვალთან და მისი საბჭოს წევრად, შემდეგ სახელმწიფო საბჭოს წევრად (ცნობები ამონებულია კავკასიის მოწვაწეთა ლექსიკონიდან).

87. მ. ნ. კ უ ჩ ა ე ვ ი (1835—1893). შეადგინა კრებული მთავრობის განკარგულებათა საგლეხო საკითხზე კავკასიაში. (1830—86 წ.წ.); ავტორია სტატიებისა იმავე საგანზე „ამიერკავკასიის სახელმწიფო გლეხთა ეკონომიური ყოფა-ცხოვრების შესწავლის მასალებში“ („Материалы по изучению экономического быта государства крестьян Закавказья“) (1885—1889 წ.წ.); ტაინი სოვეტნიკა, კავკასიის სტატისტიკური კომიტეტის თავმჯდომარე, მთავარმართებლის საბჭოს წევრი შინაგან საქმეთა სამინისტროდან, კავკასიის საოფლო-სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი; კავკასიაში მსახურობდა 1876 წლიდან; მიხ. თუ მა ნი შ ვ ი ლ ი ს სიკვდილის შემდეგ იყო დირექტორი საგლეხო საქმეთა კანცელარიისა.

ნიკოლაი საპირდაპიროდ, კ უ ჩ ა ე ვ ი შეცდომად სთვლიდა ვ თ რ თ ნ-ც ო ვ ი ს გადაწყვეტილებას უმაღლესი მუსლიმანური წოდებისათვის მიწების დამტკიცების თაობაზე, გინაიდან ეს წოდება ირანისა. და თურქეთის ბატონობის

დროს ამ მიწებით სარგებლოდა არა; საკუთრების უფლებით, არამედ სამსახური—
შათვის დროებითი საზღაურის უფლებით.

კუჩა ე ვ ი ეკუთხნდა რუსი ლიბერალი ადმინისტრატორის ტიპს, რაც ასე
იშვიათი იყო კავკასიაში. იგი გლეხთა საქმის ცნობილი მოღვაწის ნ. ა. მილი უ-
ტინის მოწაფე იყო. მტკიცედ მისღევდა 1861 წლის თებერვლის 19-ის რეფორ-
მით შექმნილ პრინციპებს.

კუჩა ე ვ ი ს ნაშრომები გლეხთა საქმეზე ამიერკავკასიაში, მის თუმანი-
უგილის ნაშრომებთან ერთად, თითქმის ერთადერთი ნაბეჭდი დამხმარე მასა-
ლაა კერძო-მფლობელთა მიწებზე მცხოვრები კავკასიელი გლეხების ყოფაცხოვ-
რების ისტორიის შესასწავლად (ცნობები ამოღებულია კავკასიის მოღვაწეთა
ლექსიკონიდან და გ. თუმანიშვილის „დახას და მოგონება-დან“ — წიგ. III).

88. ავალიანი, ოდესისა და შემდეგ თბილისის უნივერსიტეტის პროფე-
სორი, კავკასიაში გლეხთა საკითხის მყვლევარი — მთელი რიგი ისტორიული ნა-
შრომების ავტორი, ექიმი ე. ს. ანდრეევ უკიდ მოგონებათა გამომცემელი და,
კომენტატორი.

89 ბორის ესა ა რე. მხელი რიგი ისტორიული ნაშრომების ავტორი; ეს ნაშ-
რომები უმთავრესად XIX საუკუნის ისტორიას ეხება.

90 გ. ა. კალანთარი ლიტერატორი; რუსული და სომხური უურნალ-
გაზეიავების თანამშრომელი. ავტორი ნაბეჭდი მოხსენებითი წერილისა „ბატონ-
ყმობა საქართველოში აწინდელი საუკუნის დასაწყისს“. თავის წერილში ჭალან-
თაროვი არაერთხელ ასახელებს მის. თუმანიშვილის ნაშრომებს.

თ ა ვ ი VI

91 დიმიტრი ივანეს-ძე ფიფიანი (1814—1887) — გამოჩენილი საზოგადო
მოღვაწე და პუბლიცისტი. მონაწილეობას იღებდა თავადაზნაურთა 1832 წლის
შეთქმულებაში, რისთვისაც გადასახლებული იყო ვოლოგდაში. დაბრუნდა სამშობ-
ლოში 1837 წელს და შევიდა სახელმწიფო სამსახურში; აქ სწრაფად დაწინაურდა.
1859 წელს დაინიშნა კავკასიის მედის-ნაცვლის მთავარ სამართველოს საბჭოს
წევრად. დახელოვნდა საგლეხო საკითხში. მის მიერ შედგენილ საგლეხო რეფორ-
მის პროექტს მხედველობაში ჰქონდა მარტო თავადაზნაურთა ინტერესები. მისი
ინიციატივით დაარსებული იყო სათავადაზნაურო. სადგილმამულო ბანკი.
1864 წელს არჩეულ იქნა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამდლო-
ლად და ამ თანამდებობაზე დარჩა 1870 წლამდე. 1875 წლიდან 1879 წლამდე
იყო თბილისის ქალაქის თავად; 1885—86 წლებში — ქუთაისის გუბერნიის
თავადაზნაურობის წინამდლოლად. ულმობელად იბრძოდა ადგილობრივი აღმი-
ნისტრაციის რუსიტიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, რისთვისაც გადასახ-
ლებულ იქნა ქ. სტავროპოლი-კავკაზიკში, სადაც მოჰკლეს მეფის აგენტებმა.

დიმიტრი ფიფიანი მონაწილეობას იღებდა ლიტერატურულ მუშაობაში,
თანამშრომელი იყო „ცისკრისა“ (ფივდონიმი — ბაქარ ქართლელი); თარგმნიდა
ურანგულიდან და ინგლისურიდან. 1857 წელს „ცისკარში“ დაბეჭდა შექსპირის
„რომეო და ჯულიეტა“-ს თარგმანი; „შემდეგ გადათარგმნა“ ვენეციელი ვაჭარი
და მთელი რიგი დრამატიული ნაწარმოები შექსპირის, მოლი რისა, მოლი რისა,
ბომბარ შესი. 1882 წელს გამოუშვა თავისი „ახალი ქართული გრამატიკა“;
1886 წელს გამოაქვეყნა „რუსეკაია სტარინა“-ში თავისი მემუარების ნაწყვეტები.

92 აი ეს; ეპოქის დამსახურისათვებელი დოკუმენტი:

თქვენი ბრწყინვალებავ

მოწყალევ ხელმწიფევ

ბირთველ თუ მანოვს გიორგი ს-ძეს,

თქვენის ბრწყინვალების წერილი მებოძა, რაც გებძანა ვსუან. შემდგომ რომელიც ჩემის ყმის ქალი მოგეცით მარინე. მაგასთან საქმე არავისა აქვს ვერავინ გედავებათ. თუ გინმებ დავა დაგიწყოსთ პასუხი მე უნდა გავსცე. ნება გაქვთ მაგაზე გასყიდვისაც, ჩუქებისაც ვისიც თქვენი ნება იქმნება. და როდესაც შევიყრებით როგორც რიგია იმ გვარს წერილს მოგარომეკ. სხვებ დაგმობი თქვენის ბრწყინვალების

ივნისის, 4 მიეჩღე.

მორჩილი დავით ერისთავი.

ვა მიხ. თუ მანიშვილს არა ერთი შემთხვევა ჰქონდა გასცნობოდა 1841 წელს ზოგიერთი თავადაზნაურის ზურგთუკანა ონეგის, როდესაც მას, სამართლისა და ვაზნინების ექსპედიციის (ეკსპედიცია სულ და მართლი მოვალეობათა გარდა, დაკისრეს (აგვისტოს 28-ს) აკრეთვე საქმისწარმოება პალატის განსაკუთრებულ საკრებულოში, რომელიც იხილავდა სხვადასხვა პირთა შთამომავლობის თაობაზე ცრუმოშეობაში დამნაშავეთა საქმეებს (საქართვე. თავადაზნაურობის სადეპუტატო საკრებულოს საქმეების გამო).

ვა გრაფი მიხეილ ნიკოლოზის-ძე მურავიოვ-ვილე გრიშავილი ნები (1796—1866)—სახელმწიფო ქონებათა მინისტრი, ალექსანდრე II რეფორმების მოწინააღმდეგი. 1863—65 წლებში ვილნოს გენერალ-გუბერნატორი. მძვინვარე ჯალათი პოლონელ მეამბოხეთა.

ვა რამდენიმე წლის შემდეგ კვლავ წარმოიშვა მოკლევადიანი კრედიტის ბანკის დაარსების პროექტი. თბილისში გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოება, ქუთაისში—საურთიერთო კრედიტის საზოგადოება, შემდგომ—უკვე მცირე წნით ადრე რეგოლუციამდე —ამიერკავკასიის ბანკი თბილისში.

ვა ბარბარე—მიხ. თუმანიშვილის უფროსი ქალი—დაბადა 1846 წლის თებერვლის 22-ს. 1855 წელს შევიდა M-me ფავრის პანსიონში, ხოლო 1858 წლის იანვრის 19-ს გადავიდა ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტში, რომლის კურსიც მან დაამთავრა 1863 წ. ინსტიტუტიდან გამოსვლისას ბარბარე თავდადებით შეულგა თვითგანათლებას, ბეჭითად სწავლობდა ბუნებისმეტყველებას და ლიტერატურას, დადიოდა ცველა ლექციაზე, რასაც კი თბილისში კითხულობდნენ ადგილობრივი და ჩამოსული ლექტორები; განსაკუთრებულ ყურადღებას აცემდა მედიცინის დოკტორის—შემდგომ აკადემიკოსის—ი. რ. თარხანი მოურა გილის ლექციებს.

მთელ დღეებს და ხშირად ლამესაც ბარბარე, თავის და ანასტასიანთან ერთად, ანდომებდა რუსს სოს, ესკიროსის, ბრემის, პომიალოვსკის და ლასალის ნაწერებს. დიდის მუყაითობით სწავლობდა ფრანგულ ენას არა მარტო M-me ფავრის პანსიონში, არამედ შემდეგშიაც.

ბარბარე საზღვარგარეთ აპირებდა წასელას განათლების დასამთავრებლად, მაგრამ ნაადრევმა სიკვდილმა უსწრო. იგი შეგნებული მომზრე იყო ქალის ტმანსიპაციისა და ბევრ რამეში სამოცანი წლების მოღვაწეთა პოლიტიკურ შეხედულებათ იზიარებდა. ბარბარეს დამოუკიდებელი ხასიათის მაჩვენებელ ნაკვთად უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ წინააღმდეგ იმ დროს თბილისში გამეფებული შეხედულებისა ქალის კრალულებაზე—მან შეისწავლა ცხენზე ჯდომა. და ასე თამამად დასეირნობდა. თბილისში მიდამოებში. ბარბარეს დიდ

ჰავლენა ჰქონდა ძმების იდეურ განვითარებაზე. ნოვოროსიისკის უნივერსიტეტში გიორგი ის ყოფნის დროს (ოდესა, 1871—1875 წ. წ.) ბარბარე ს მუდმივი მიწერ-მოწერა ჰქონდა ძმასთან; იგი აცნობებდა ხოლმე ძმას თბილისის საზოგადოებრივი და სალიტერატურო ცხოვრების ამბება. მისი წერილები სავსეა ენთუზიაზმით და მსჯელობით, რაც ააშკარავებს ბარბარე ს სულიერ მოთხოვნათა მრავალმხრიანობას. ბარბარე ს დასახული ჰქონდა ფართო ლიტერატურული გეგმა, კერძოდ მეცნიერებისა და მრეწველობის გამოქმნილ მოღვაწეთა ცხოვრების აღწერის მთელი სერია. ამ სერიიდან მან მოასწრო მხოლოდ რკინიგზის გამომგონის გეორგ სტეფანი ის (1781—1848) ბიოგრაფიის შედეგა. გამოცემით კი ეს წიგნაკი მისი სიკვდილის შემდეგ გამოვიდა—1876 წელს. ეს ახალგაზრდა ადამიანი, რომელიც დიდ იმედებს იძლეოდა, გარდაიცვალა სჭრაფ-მდინარი ჰლექით 1873 წლის ივნისის 15-ს 26 წლისა.

۱۰۹ ალექსანდრე რევაზი ის-ძე თუმანიშვილის ბიძაშვილი, რომელსაც მის ოჯახთან მშიდრო მეგობრული კავშირი ჰქონდა.

۱۱۰ სტეფან გრიგოლის-ძე მელიქიშვილი, პროფესორის, შემდგომ თბილი უნივერსიტეტის რექტორის პ. გ. მელიქიშვილის ძმა.

۱۱۱ უან-პიერ ბერანჟე (1780—1857) ფრანგი პოეტი, ივლისის რევოლუციის მონაწილე, ცნობილი „სიმღერები“-ს (ლექსები) ავტორი.

۱۱۲ სამუილ მაილისი, ინგლისელი მწერალი,—მორალისტი XIX საუკ.

۱۱۳ „Отечественные в аписки“—1818 წელს დაარსებული ჟურნალი, რომელსაც გამოსცემდა ჯერ პ. პ. სვინინი, შემდეგ ა. ა. კრაევსკი, მერე (1868 წლიდან) პოეტი ნ. ა. ნეკრასოვი და სატირიკოსი მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინი. უურნალში უახლოეს მონაწილეობას იღებდნენ კრიტიკოსი ბელინსკი და გამოჩენილი რუსი მწერლები.

۱۱۴ „Неделя“—ერთი საუკეთესო რუსული სალიტერატურო ჟურნალთაგანი, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ: ლავროვი, ტურგენევი, გერცენი, შელგუნოვი და სხვ.

۱۱۵ „Санктпeterбургские Ведомости“—70-იან წლებში პროგრესული ორგანო კორშის რედაქტორობით.

۱۱۶ „გლეხი გაცის ისტორია“—ფრანგი ავტორების ერკმანისა და შატრიანის რომანი.

۱۱۷ „Дневник провинциала в Петербурге“—მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინისა (სტატიები, რომლებიც იბეჭდებოდა 1873, 1881 და 1885 წლებში).

۱۱۸ ტასკა—ანასტასია მიხეილის. ასული თუმანიშვილისა (დაიბ. 1849 წლის აგვისტოს 25-ს, გარდ. 1932 წლის თებერვლის 7-ს (ახ. სტ.), მიხ. თუმანიშვილის ქალი, შემდგომ მეუღლე პუბლიცისტის და ბელეტრისტის გიორგი ექვთიმეს-ძე წერეთლისა, რომლიც იყო პირველი ქართული განვითარების „დროების“ რედაქტორი და უურნალი „კრებულის“ გამომცემელი (ნ. ნიკოლა ადესთან ერთად).

ა. მ. თუმანიშვილის ა-წერ რეთლის ამ პირველდაწყებითი განათლება მიიღო M-me ტავრის პანსიონში, სადაც 1868 წლის თებერვლის 16-ს შევიდა. შემდეგ სწავლობდა ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტში, რომლის პურსიც მან დაამთავრა 1865 წლის ივნისის 1-ს. ამის შემდეგ იგი განაგრძობდა თვითგანვითარებას თავის, უფროს და ბარბარეს თან ერთად. ახალგაზრდობაში რადიკალური მიმართულებისა იყო, განიცდიდა სამოციანი წლების მოღვაწეთა გავლენას, გატაცებული იყო ქალთა ემანსიპაციის იდეით და აღზრდის საკითხებით. 1876 წელს იმგზავრა საფრანგეთსა და შვეიცარიაში ევროპის საზოგადოებრივი

ცხოვრებისა და სააღმშრდელო დაწესებულებათა გასაცონბად. 1889 წლიდან სცემდა უურნალ „ჯეჯილს“. პირველში თითო ნომერს ორ თვეში ერთხელ, ხოლო 1896 წლიდან ყოველთვე (1921 წლამდე) იაკაბ გოგებაშვილი ისა, ას. ციცი ზვილისა და სხვათა უახლოესი თანამშრომლობით. ამასთანავე, იგი იყო ავტორი მრავალი საბავშვი ამბავისა, მოთხოვისა (განსაკუთრებით ნათარგმნის) და ბევრი სხვა მასალისა, რაც „ჯეჯილში“ იბეჭდებოდა. 1891 წელს მისთოვდა გიორგი წერეთელს და ამ დროიდან აქტიურ მონაწილეობას იღებდა ყველა მის მიერ დაწყებულ სალიტერატურო საქმეში. 1893 წლიდან, გიორგი წერეთელთან ერთად დაიწყო ყოველკვირეული პოლიტიკურ-ლიტერატურული გაზეთი „კვალის“ გამოცემა (შექრებულ იქნა 1904 წელს) ფორმალურად ვითომ „ჯეჯილის“ დამატებად. „კვალი“ დაარსებული იყო ამათუმი. სახით მარქსიზმის მიმდევარ ახალგაზრდა მოღვაწეთა მთელი წრის (მესამე დასი) მონაწილეობით და ბრძოლას ეწეოდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პრესის წინააღმდეგ.

1884 წელს ანასტასიანი ინიციატივით თბილისში დაარსდა მასწავლებელ ზა აღმზრდელ ქალთა საურთიერთო დაბმარების საზოგადოება. საზოგადოებას წიზნად ჰქონდა არა მარტო მატერიალური ზრუნვა თავის წევრებზე, არამედ კულტურული მუშაობაც. საზოგადოება აწყობდა სახალხო კითხვებს, საკირაო სკოლებში და თეატრებში მუშაობას; დაარსებული იყო სამაგალითო (მაჩვენებელი) სკოლა, დღემდე არსებული მე-60 ბრძოლის სკოლის სახელწოდებით, და აგრეთვე ბიბლიოთეკა, რომელიც საფუძვლად დაედგა განათლების მუშაობა სახლის ახლანდელ დიდ ბიბლიოთეკას.

უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ანასტასიან მძიმე აგაღმყოფობის გამო (სიდამბლე) ლოგინად იყო ჩავარდნილი და ველარ იღებდა მინაწილეობას საზოგადოებრივ, და სალიტერატურო მუშაობაში.

ანასტასიანი გარდაიცვალა 1932 წლის თებერვლის 7-ს (ან. სტ.) და შაქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით დაკრძალულია მთავრობის სახსარით პანორამიში მთაწმინდაზე, აკაკი წერეთელის საფლავის გვერდით. ოდესაც მისი კუთვნილი სახლი არტილერიის ქუჩაზე № 5 თბილისში გამოცხადებულ იქნა ნაციონალურ საკუთრებად, თვით ქუჩას ეწოდა „კვალის ქუჩა“, ხალო იმ ბინაში, რომელიც ანასტასიანი ეჭირა, უნდა გაიხსნას საბავშვო სამკითხველო.

107 გიორგი მიხეილის-ძე თუმანიშვილი, უუროსი შვილი მიხ. თუმანიშვილისა, დაიბადა 1854 წლის იანვრის 27-ს (თებერვლის, 9-ს). პირველ დაწყებითი აღმზრდა მაილი ყიფიანი ცნობილ პანსიონში; შემდეგ გადავიდა გადილისის გიმნაზიაში, რომელიც დაარმავრა 1871 წელს. 1871 წლიდან 1875 წლამდე სწავლობდა წოვანოსისკის (ოდესის) უნივერსიტეტში, რომლის კურსიც დაამთავრა იურიდიულ ფაკულტეტზე სამართლის კანდიდატის წოდებით. მცირე ხახს მსახურობდა სასამართლო უწყებაში გამომძიებულად ფრთს და შემდეგ გადავიდა მეფის ნაცვლის კანცელლარიაში, სადაც საგლეხო განყოფილების უფრო მად იყო, დახელოვნდა რა საგლეხო სეკითხში. 1891 წელს გადადგა სამახურიდან. იმავე დროს შეიძინა ნიკო ნიკოლაძისა განგრევის გაზეთი „Новое Обиозрение“, რომელსაც სცემდა თავის ძმებ ვასილ და კონსტანტინესთან ერთად 1903 წლამდე, როდესაც, უსახსრობის გამო, იძულებული გახდა სელი ავლო საყვარელ საქმეზე.

სალიტერატურა და საზოგადოებრივი საქმე ბავშვობიდანვე იზიდავდა ვიღრგი თუმანიშვილს. 9 წლიდან მოყოლებული იგი უშვებდა მრავალი წლის განმავლობაში ხელნაშერ უურნალებს ქართულ და რუსულ ენაზე, აგროვებ-

და ქართულ ტალხურ-ზღაპრებს და სხვადასხვა სალიტერატურო მასალას. ყიფია ნის პანისის გაუახლოვდა ზოგიერთ მომავალ ლიტერატორს და საზოგადო მოლვაშეს, მათ შორის გირგი ჭერეთელს და ნიკ. ლოლაბერი ეს, რომლებიც იყვნენ მისი მასწავლებლები. უნივერსიტეტის დამთავრებისას, რამდენი სამე ახალგაზრდასთან ერთად, მოაწყო ქართული საგამოშცემლო ამხანაგობა, რომელმაც პირველად გამოსცა ნიკ. ბარათაშვილისა და სხვა პოეტების თანამდებარი, 1878—79 წლებში გამოსცა ქართული აღმანახის ორი პატარა ტომი პერიოდულ პრესაში მუშაობა დაწყო „დროებისა“ და „ივერიის“. თანამშრომლობით. შემდგომ აქტიურ მონაწილეობას იღებდა მთელ რიგ ადგილობრივ და სატახტო ქალაქების განეთხა და უურნალში (სხვათა შორის „რუსკია ვედომოსტში“, „რუსკაია მისლში“ და სხვ.), „ნოვორ აბოზრენიე“ რომ არა ვთქვათ, სადაც მის კალამს ეკუთვნოდა მრავალი მოწინავე სტატია და შენიშვნა. გიორგი შანიშვილის საგაზეთო მუშაობა მეტად ძნელ პირობებში მიმდინარეობდა გოლიცინის რეაქციის დროს, რომელიც „ნოვორ აბოზრენიეს“ რეპრესიებით სდევნიდა.

ამავე დროს—განსაკუთრებით ახალგაზრდობისას—გიორგი უახლოეს მონაწილეობას იღებდა ქართული თეატრის საქმეში, ერთგრთი დამაარსებელთაგანი და რეჟისორთაგანი იყო ქართული დრამატიული ამხანაგობისა (იხ. მისი მღვანებანი თეატრშე).

გიორგი თუ მანიშვილი აქვს მრავალი წიგნი სხვადასხვა საკითხზე, რაც აღლუვებდა კავკასიის ინტელიგენციას წარსული საუკუნის ბოლოს და ახლანდელი საუკუნის დასაწყისში (ერობა, უმაღლესი სასწავლებელი, სასამართლოს რეფორმა და სხვ.). მან მეტად ერთად გამოსცა აგრეთვე რამდენიმე წიგნი საცნობო ხასიათისა. სხვადასხვა დროს გამოვიდა სამი მცირე ტომი სათაურით „დახასიათებანი და მოვლენებანი“ („Характеристики и востороминания“) იმ-ლიტერატურულ და პოლიტიკურ მოღვაწეებზე, რომლებსაც იგი შეხვედრია თავის ცხოვრების გზაზე.

გიორგი თუ მანიშვილი მხურვალე მონაწილეობას იღებდა კავკასიაში საერობო დაწესებულებათა და პირველი უმაღლესი სასწავლებლის (ფილიოსის პოლიტექნიკუმის) ორგანიზაციაში. იყო ინიციატორი, და ორგანიზატორი. კავკასიის მცოდნეობის კურსებისა და საზოგადოებრივი კლუბისა. მრავალი წლის განმავლობაში ირიცხებოდა თბილისის ქალაქის საბჭოს წევრად. ახალგაზრდობაში მონაწილეობას იღებდა თავადაზნაურობის საქმეებშიაც.

გიორგი გარდაიცვალა 1920 წლის იანვრის 26-ს. იგი იხსენიება ბევრ ახალ მემუარულ და საცნობო წაშრომში, კერძოდ—გიორგი ლასხიშვილის მოგონებებში და სხვ.

¹⁰⁸ ვასილ მიხეილი ილის-ძე თუ მანიშვილი, მიხ. თუმანიშვილის მეორე შეილი, დაბადა 1857 წლის სექტემბრის 27-ს. სასწავლობდა თბილისის რეალურ გიმანაზიაში, შემდეგ მოსკოვის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში, რომლის კურსიც ვერ დამთავრა ავადმყოფობის გამო. ჯერ კიდევ გიმანაზიაში იყო ჩომ მონაწილეობას იღებდა ქართულ და რუსულ წარმოდგენებში ა. ი. სუმბათოვინთან და ვ. ი. ნემიროვი ჩანარის გიორგი გიმანაზიაში. 1891 წლიდან 1904 წლამდე, გიორგი გისა თან ერთად, რედაქტორობდა „ნოვორ აბოზრენიეს“ და მონაწილეობას იღებდა თავადაზნაურობისა და ბანკის საქმეებში. 1891 წლიდან 1904 წლამდე, გიორგი გისა თან ერთად, რედაქტორობდა „ნოვორ აბოზრენიეს“ და მონაწილეობას იღებდა გიორგის სხვადასხვა გამოცემაში („კავკასიის მოღვაწეთა ლექსიკონი“, „Словарь Кавказских деятелей“, საცნობო წიგნი „Кавказ“ და სხვ.),

ერთერთი დამაარსებელი და თავმჯდომარე იყო „ტფილისის არტისტიული საზოანო გადოებისა“. გარდაიცვალა 1912 წლის იანვრის 27-ს ფილტვების ანთებით.

¹⁰⁹ კონსტანტინე მიხეილის ს-ძე თუმანიშვილი, მიხ. თუმანიშვილის უმცროსი შეილი. დაიბ. 1859 წლის ივნისის 19-ს. საშუალო სწავლა მიიღო ჯერ თბილისის რეალურ გიმნაზიაში, შემდეგ ტულის ასეთივე გიმნაზიის უფროს კუსასებში. საშუალო სკოლის დამთავრებისას იყო რამდენსამეტ წელს პეტროვა-რაზუმოვსკის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში (ახლა ტირიში აზე ვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემია). 1891 წლიდან 1904 წლამდე იყო გამომცემელი „ნოვოე აბოზრენიეს“-ი, სადაც უცხოეთის განყოფილებას უძღვებოდა, მონაწილეობას იღებდა გიორგი თუმანიშვილი ს ზოგიერთ გამოცემაში. როდესაც გახეთი სხვის ხელში გადავიდა, დახელოვნდა კავკასიის ისტორიისა, არქეოლოგიისა და გეოგრაფიის საკითხებში. მონაწილეობას იღებდა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუშაობაში. 1913 წელს გამოსცა წიგნი „О хронистическом языке Закавказья“, რომელიც შეიცავს საინტერესო მასალას აგრეთვე კავკასიელ ხალხთა ენების წარმოშობის გამოსარჩევებად, შემდეგ—წიგნი ამიერ-კავკასიის ძეველ გეოგრაფიაზე (ამონაკრეფი გამოკვლევიდან). თებერვლის რევოლუციის შემდეგ მონაწილეობას იღებდა როგორც „კავკასიონ“-ში, ისე ზოგიერთ სხვა განეტში ფსევდონიმით. კაეთ და ინიციალებით K. T. სწერდა უპირატესად პლიტიკას საკითხებზე. კონსტანტინე თუმანიშვილის სიკვდილის შემდეგ (1920 წლის ნოემბრის 26-ს, (ახ. სტ.) დარჩა რამდენიმე ნაწარმოები—დრამები („Загадочное натуры“ და სხვ. რუსულ ენაზე) და ისტორიული გამოკვლევანი „О древней географии Закавказья“ და „О культе герое в древнем Закавказье“.

კონსტანტინე თუმანიშვილის დრამები გაყდენთილია იდეალისტური მსოფლმხედველობით, ხოლო ისტორიულ ნაშრომებში იგი უკვე მოძველებულ ენათმცოდნების ინდოევროპულ თეორიას ემყარება. მაინც მისი ლინგვისტიკური გამოკვლევანი საინტერესოა თავისი მდიდარი ნედლი მასალით. დარჩა აგრეთვე დაუმთავრებელი ნაშრომებიც.

¹¹⁰ დიმიტრი დავითის ს-ძე ჯორჯაძე (1822—1883), ტაინი სოვეტნიკი. დიდხანს მსახურობდა ჯერ კახეთში და ხაქათალაში, შემდეგ დაღესტანში საოლქო კანცელარიის მმართველის თანამდებობაზე; სიცოცხლის მიწურულში წევრი იყო მეფის-ნაცელის მთავარი სამმართველოს საბჭოსი. დიმ. ჯორჯაძე კეუთმნოდა მიხ. თუმანიშვილის უახლოეს მეგობართა რიცხვს ჯერ კიდევ ახალგაზრდობიდანვე. უკვე 1843 წელს ივი უნათლავს მიხ. თუმანიშვილს ქალს ლი-საბედს. მთლად შემდგომი წლების მანძილზე მათი მიწერ-მოწერა არა სწყდება. დიმ. ჯორჯაძე სწერს თავის მეგობარს პროვინციის ცხოვრებაზე. და თვით დიდ ინტერესს იჩენს თბილისის ამბებისადმი. ბევრი დრო დაუთმო მან კახეთში მოდებულ ხოლების აღწერას. 1847 წელმა მოუტანა კავკასიას და კერძოდ საქართველოს ხოლების ეპიდემია. ნამდვილ სამედიცინო დამარებას მოკლებული მოსახლეობა თავისი ბედის ანაბარად იყო დატოვებული და დიდ მსხვერპლს სწირავდა ამ საშინელ სენს. ქალაქები და სოფლები სავსე იყო დაავადებულთა უამრავი. რიცხვით, მიცვალებულთ ას-ასობით მარხავდნენ, თვით ძლიერი ნებისყოფის მეონე ადამიანებიც კი სულიერ წონასწორობას ჰყარგავდნენ იმის შემყრენი, თუ როგორ იღუპებოდა მათ გარშემო ხალხი. საშინელი სიცხე, რომლის მსავანი ჯერ არ ენახათ, უფრო მეტად აჩთულებდა ადამიანის ტანჯვას. მიხ. თუმანიშვილი სწერს თავის დღიურში 1847 წლის ივნისის 25-ს: „აი, უკვე 20 დღეა თბილისში ხოლერა მდვინვარებს და გარშემო მსხვერპლი მსხვერპლს მის დევს. მე თითონ მთავარი ცხება არ დამიკარგავს ამდენ მიცვალებულთა გამო, მაგრამ, უნდა“.

გამოვტყდე, დღეს საკმაოდ შევშინდი. უქმი დღეა, ქუჩები დაცალიერებულია; ყოველ წამს გესმის გასვენების პროცესიების მოძრაობა; აი, კუბო მიაქვს სულ ორ-სამ კაცს. აუტანელი სიცხეა და რაღაც სულას შემხუთავი ჰაერი და”...

დიმიტრი ჯორჯაძე ამ დროს თელავში მსახურობდა. მისი წერილები სავსეა აღმფოთებით.

რა გამოხმაურებას ჰპოებდა ეს საერთო-საქვეყნო უბედურება მთავრობის წერებში, ამას დიმ. ჯორჯაძის ერთი ცნობა მოვახდებოდა მჭერმეტყველურად: „უძვირფასესო მიშა! ევრ მოვახერხე ამას წინად წერილების მიწერა ჩვენი ვარშაველი პილიგრიმებისათვის. არ დაიჯერებ, რამდენი ვაივაგლახია, სრულიად დრო არ გამაჩინა, გავაკეთო რამ პირადად ჩემთვის. 8-ს ამ თვეს აქ მოასვენეს წმ. შუბი. მე განკარგულება მოვახდინე, სათანადო პატივით შეცვედროდნენ და პხლებოდნენ ამ ძვირფას წმინდა ნაწილს და მოწმე გავხდი ქრისტიანული ღვთის-მოსაობის გულამაჩილებელი სცენებისა, დღეს გაიტანეს აქედან წმ. შუბი და ბევრი ცრემლით აცილებდა. დრო არა მაქვს, დაწვრილებით მოგწერო...“

საკმაოდ ბევრსა სწერდა დიმი ჯორჯაძე მიხ. თუმანიშვილს დაღისტანიდანაც. იმ სულიერ განწყობალებას და გრძნობებს, რასაც განიცდიდნენ ორმოცდაათიან წლებში გრიგოლ ირბელ იანი (იმ დროს დაღისტნის მმართველი) და მის გარშემო მყოფი (დიმ. ჯორჯაძე-კი, როგორც მისი კანცელარიის მმართველი მასთან ძალიან დაახლოებული იყო), კარგად ახასიათებს დიმიტრი ჯორჯაძის რამდენიმე წერილი. 1854 წლის მარტის 30-ს დიმ. ჯორჯაძე, უჩივის რა იმას, რომ სრულიად მოწყვეტილია გარეშე ქვეყანას, აცნობებს მიხ. თუმანიშვილს: „ორ კვირაში ერთხელ ძლივდლიობით მოდის აქ ფოსტა და პოლიტიკურ ცნობებს, გარდა გაზეობისას, არავინ არ იღებს, „და მიშველე, თორემ ცნობისმოყვარეობა დამიღუნდება და აქაურსაც ვერას გაგიგება... კნიაზე] გრიგოლ ჩარტერი იან ბა] თავდ დაგიკრა და გთხოვა ლექ-სების გამოგზავნა არ დაივიწყო“¹⁾)

იმავე წლის ივნისში იგი იწერება: „ჩემთვის ძალიან სამწუხაროა, რომ შენ ასე ჩაყურყუმელავდი საქმიან წერაში. გეყოფა, ძხაო, ასეთი მწურვალე თავდადება ამგვარი საქმისათვის, „ხომ ხედავ რომ ლამის სულ თავზედ დაგვაფხრილ ავაზაკმა ანგლიჩნებმა და ფრანცუზებმა ეგ ქალალდები“²⁾); უკეთესია, ხელი ხმალს მოჰყიდო; ძალიან მინდა იგი ვუზიჩხინო წითელ ინგლისურ მუნიცირს და ისმალურ დოლბანდს; სიამოვნებით გამოვცდიდი მის სიბასრეს ქარიან ფრანგების თავებზე, მაგრამ, სავალალოდ, არ გვიხდება მათთან შეხვედრა.

დიდი ხანია მაწვალებს გულის-მომწყველი უცოდინარობა, რა მდგრმარეობაშია ჩვენი გურული რაზმი და თქვენგანაც არავერს იწერება ამაზე. ცოდვაა ასე ჩემი დავიწყება, მიშა, და ჩემი პატრიოტული ცნობისმოყვარეობის ასე მცირედ შეფასება. ნუთუ შენ იმდენად არ გცალიან, რომ კვირაში ერთხელ 13 წუთი გადასდო ხოლმე ჩემთვის. თვით თავადი გრიგოლ დამიტრიის-ძე [ორბელიან]. რომელიც მოკითხვას გითვლის, გაკვირვებულია ჩემი ნაცნობებისა და ჩემი მახლობელი აჯამიანების გულცივობით. განსაკუთრებით მას აკვირვებს ის, რომ შენ არასდროს არ იწერები არავითარ საამზრიო ამბებს და იგი გთხოვს ჩემთან ერთად თანაუგრძნო იმას, რომ დაშორებული ვართ ახლანდელ მოვლენათა ასპარეზს [ყირიმი და სომხეთი] და გავიზიარო ხოლმე ცნობები მათზე.

„შენ გეთაყვანე მიხეილ ჩვეულებისამებრ უშინდებულოათ სტაცე კალამს ხელი და შენებულათ გარკვევით და ლაზათიანი საუბრით მაცნობე ან გურიას რა მოხდა

* ფრჩილებში ჩასმული ვარსკვლავიანი ფრაზები და ცალკეული სიტყვები რუსულ ტექსტში ქართულად არის დაწერილი.

ან ალექსანდროპოლში. მინდოველიამ და აფხაზეთშა რა ჰქენეს და სად იმყოფება ჩვენი ივანე მალხაზიჩი [ანდრონიკაშვილი].^{*} ვინ ახლაცს ჩვენი თან, არჩილ“ იქ არის თუ არა და ბეჟან... **)

„ჩვენს მხარეს ჯერ ისევ შვილობიანობა არის. შამილ ერთი თვე არის ლოცვასა და მარხულობაში ბრძანდება, სამი დღის შემდეგ გაუთავდება მარხვა და ისმის რომ მაშინ კი უთუოთ დაიძრება თავის ჯარებითაა. და ჩვენც დიდი ხანია შევეურებთ იმის გამოსკლას რომ გავეგებნეთ, სადაც მიუსწოდოფთ“. ^{**})

„რა ოტდელენიე გაქვს ჩაბარებული ან ვის მაგიდრათ გადაწყესეს“. ^{**})

III მეორე მონაწილე იმავე წრისა იასე ან დრონიკაშვილი უკელაზე მასლობელი იყო მის. თუმანიშვილისა მის მეფობართა შორის რამდენიმე ათეული ჭლის განმავლობაში ბაჟშეობიდან, ვიდრე მის. თუმანიშვილის სიკვდილამდე.

შვილი ადამ ანდრონიკაშვილისა (რომელიც გარდაიცვალა 1854 წელს 80 წლის ასაკისა, დასაფლავებულია ვეჯინში—იხ. პლ. იოსელიანის „ცხოვრება მეფის გიორგის XIII“, (გვ. 324) და რომელიც გიორგი მეფის ამილახორი იყო)— იასე ან დრონიკაშვილი ეკუთვნოდა ბაგრატიდებთან მჭიდროდ დაკავშირებულ და თავადაზნაურულ-ნაციონალური ტენდენციებით გამსჭვალულ ოჯახს. გიმნაზიელობის დროს იგი დაუახლოებით მოსწავლეებს, რომელნიც მის წრეს ეკუთვნოდნენ, შემდეგ მხურვალე მონაწილეობას იღებდა „ყყავილში“ და მოსალოდნელი იყო, რომ რითიმე იჩენდა თავს ქართულ ლიტერატურაში. მაგრამ გიმნაზიის დატოვების შემდეგ გამოიწვიდობა კალამს და მთლად სასამართლო მოღვაწეობას მიეცა, თუმცა განაგრძობდა ლიტერატურულ ნაწარმოებთა კითხვას და, როგორც „ცისკრის“ ხელისმომწერთა სიიდან ჩანს, იყო ერთი პირველი ხელისმომწერთაგანი ამ ჟურნალისა. თბილისის სამხედრო გუბერნატორი ი. მ. ანდრონიკაშვილი ცდილობდა დაეტოვებინა ახალგაზრდა იასე გარში, სადაც იგი სამსახურისათვის წავიდა, და სთავაზობდა მას გორის მახრის უფროსის თანამდებობას, მაგრამ იასეს დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. იასემ, მის. თუმანიშვილის დამზრებით, აიცილა თავიდან ეს დანიშვნა, რაც ხელს შეუშლიდა მის გეგმას გამხდარიყო სასამართლო მოღვაწე.

თავადაზნაურობის საქმეებში იასე ზომიერ-ლიბერალური შეხედულებისა იკა. მის. თუმანიშვილთან მას აკავშირებდა საერთო პოლიტიკური იდეები, პირადი სიამტკბილობა და ჭაბუკობის ტრადიციები. როდესაც ეს ორივენი თბილისში იყვნენ ხოლმე, იასე ყველაზე ხშირი სტუმარი იყო ძველი ამხანაგის სახლში, ხოლო, როდესაც ერთი მათგანი თბილისიდან წავიდოდა, ისინი ერთმანეთს წერილებსა და ბარათებს სწერდნენ. ასეთი მიწერ-მოწერა მრავლად არის შენახული მას. თუმანიშვილის არქივში. იასე ანდრონიკაშვილი ნათლია იყო. მის. თუმანიშვილის ხუთი შვილისა და მისივე უფროსი შვალიშვილისა. როდესაც მის. თუმანიშვილი გარდაიცვალა იასემ, დიმიტრი ჯორჯაძესთან ერთად, დიდი შზრუნველობა გამოიჩინა. მის იჯაზზე და განაგრძობდა ერთგულ მეგობრობას ამ აჯაზისას.

ამავე წრესთან ერთხანს ახლო იდგა იდეურად რამაზ ივანეს-ძე. ან დრონიკაშვილი ცილი ც. იგი მსახურობდა ადმინისტრაციაში კახეთსა და ტბილისში. მისი მეგობრობა ჭაბუკობის დროს მის. თუმანიშვილის ძმასთან (ალბათ—გრიგოლთან), ამ უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ, გადაიქცა მეგობრობად თითონ მის. თუმანიშვილთან, რომელსაც იგი 1845 წლის თებერვალში სწერდა:

* ტფილ. სამხ. გუბერნატორი.

** იხ. წინასქოლით.

„მე გადაგიხდი მადლობას იმ მეგობრობით, რომელიც მქონდა. შენ ძმასთან, და ომელსაც შენდამიც გვრძნობ“.

თელავში სამსახურის დროს რამაზი უგზავნიდა მიხ. თუმანიშვილს წერილებს, სავსეს „ჩინოვნიკური“ ინტერესებით, და ატყობინებდა პროვინციალურ სამსახურებრივ ამბებს, ეხებოდა რა მოსამსახურეთა დიდ წრეს.

რამაზი ადრე გამოვიდა სამსახურიდან, ჩამოშორდა აფრეთვე თავად-აზნაურობის საქმეებს და დასახლდა თავის მამულში გურჯაანს (კახეთი). აქ იგი მუყაითად მეურნეობდა და ქართველი საზოგადოების ვითარებაში აზნაურ-იდეალისტის ტიპს წარმოადგენდა (არ იყიდებდა ამავე დროს თავის სამეურნეო, ინტერესებს).

სოფლად მოწყობა არც ისე ადვილად ემარჯვა რამაზს და 1863 წლის ნიერმბრის 22-ის წერილში იგი სწერდა მიხ. თუმანიშვილს: „ამიტომ აქ [სოფლად] უფრო საჭიროა თმენა, თმენა და თმენა, და მეყოფა კი იყი მე 50 წლის სიცოცხლის შემდეგი“.

რამაზ ანდრონიკაშვილის თავისებური ფიგურა საკმაოდ საინტერესოა საზოგადოებრივი თვალსაზრისით და მისი გაცხოველებული მიწერ-მოწერა მიხ. თუმანიშვილთან რამდენიმე ათეული წლის მანძილზე სასარგებლო მასალა იქნებოდა კახეთში XIX საუკუნის მეორე ნახევარს სოფლად შექმნილ სოციალურ ურთიერთობაზა მკვლევარისათვის.

გურჯაანში დაბინავებულმა რამაზმა იწყო სხვატასხვა ახალი რამეებისა და გაუმჯობესებათა შემოღება, და იქიდან თავის მეგობრებს წერილებს უგზავნიდა, რომელებშიაც აკრიტიკებდა ქალაქურ ცხოვრებას.

„მართლაც და რაზედ მიდის თბილისში ჩვენოვის ძვირფასი, დრო და სიცოცხლე: შრომისა და საქმის გარეშე, საერთო კავშირისა, იდეისა და თითქმის ნამდვილი აზრის გარეშე. მგონია, რომ კრუუკიკა ცეკვითა, სხვადასხვა გართობითა, მასკარალითა და საქრთო სადილებმა კლუბებსა და საკრებულოებში, რაც ასე სჩვევია დიდი ქალაქის საზოგადოებას, ადგილი უნდა დაუთმონ პირველყოვლისა: საქმეს, შრომას, დაზოგვას და გონიერ, ანგარიშიან ცხოვრებას, რასაც მიჩყავს კეთილდღეობისაკენ, ცივილიზაციისაკენ. ხოლო, პირიქით, რა არის გაბატონებული აქამდე თბილისში? ერთი-ერთმანეთზე ხელოვნურად შოწყობილი საერთო სიამოვნებანი, ბრწყინვალება, ზიზილ-პიპილი, რაც მხოლოდ გარეგანია და საცოტუნებელი. დაბოლოს, ზავე ყველგან, და ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი დანაშილება, თვინიერ ერთსულოვანი მისწრაფებისა ხალხის ფეხზე დაყენებისადმი“ (1873 წლის მარტის 17-ის წერილიდან მიხ. თუმანიშვილისადმი).

რამაზ ანდრონიკაშვილმა 1873 წელს სცადა შემოელო გურჯაანსა და ვეჯინში სოფლის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობანი. აგრეთვე მას აჩემებული ჰქონდა აზრი სოფლად რაღაც საბჭოების შემოღებისა გლეხებისა, თავადაზნაურებისა და მოვაჭრეებისაგან „ადმინისტრაციის დანიშნულობის მისწრაფებისა ხალხის ფეხზე დაყენებისადმი“. (იგივე წერილი).

დაქვეითების აწერისათვის ის: ფერადებს. არ იშურებს. მოცლისას იგი პრესა-შიაც სწერს. „კავკ. კალენდარში“ 1853 წელს მოთავსებულია მისი მოკლე ნარკვევი თელავის მაზრაზე, ხოლო ვასილი თუმანიშვილის (მიხ. თუმანიშვილის შვილი) წერილიდან თავის ძმა გიორგისადმი ჩანს, რომ სამოცდაათიან წლებში „კაგვაზ-შიაც დაუწყიდა წერა. ვასილი თუმანიშვილი 1874 წელს აცნობებს გიორგის: „კავკაზი“ ლიბერალობას იწყებს, იძენს ახალ თანამშრომლებს—რამაზ ანდრონიკაშვილი სიბერის წინ ლიტერატურას აეკვითა, სწყვეტს რა სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო საკითხებს“.

112 გ ი რ ე გ ი კონსტანტინეს - ძე ბაგრატიონ-მუხარანსკი (1820—1877), სენატორი, სტატს-სეკრეტარი, მეფის-ნაცვლის მთავარი სამართველოს საბჭოს წევრი, მთავარი სამართველოს უფროსის თანამდ. აღმასრულებელი. იყო იყო ადგილობრივი თავადაზნაურობის ბობოლა ჭარმომადგენელთა არა-ოფიციალური წრის ფაქტიური ხელმძღვანელი. ევროპულმა განათლებამ, დიდმა უნარმა შემთხვევისამ და კავშირმა ბევრ გავლენიან პირთან ხელი შეუწყო ბაგრატიონ-მუხრანსკის მიერთია შედარებით ჯერ კიდევ, ახალგაზრდას „ბრწყინვალე“ კარიერისა და სხვადასხვა უმაღლესი თანამდებობისა და, წოდებისათვის იმპერიაში. მუხრანსკი იღებდა მონაწილეობას ყველა იმ რეფორმის შემუშავებაში, რაც გავრცელებული იყო კავკასიაზე ბარიათინსკის მეფის-ნაცვლობის დროს და, თუმცა იგი აშეამად სრულიად დავიწყებული პიროვნებაა, მაგრამ სამოციან და სამოცდათიან წლებში თვალსაჩინო როლს თამაშობდა კავკასიის ოფიციალურ საქმეებში. მისმა ცდამ „ლიტერატურის“ ასპარეზზე გამრსვლისამ აღმოფოთება გამოიწვია მაშინდელ მსარდ ინტელიგენციაში. მუხრანსკის პატარა წიგნაკში, (100 გვერდამდე) „ნაციონალური ინდივიდუალობის დედაარსი და დიდი ეროვნული ერთეულების საგანმანათლებლო მნიშვნელობა“ („О существе национальной индивидуальности и образовательном значении крепких народных единиц“), რომელიც 1872 წელს გამოვიდა, გატარებული იყო ის ახრი, რომ აუცილებელია დიდრონ ხალხთა ენების მიერ წერილი ერების ენათა შთანთქმა.

ამ წიგნაკის გამოსვლამდე ბაგრატიონ-მუხრანსკის თითქმის სრულიად არ იცონდნენ ფართო ინტელიგენციაში. ხოლო ამის შემდეგ იგი გახდა სწორედ ამ ინტელიგენციის მწვავე იერიშების მიზანი. მთელი რიგი მიზეზები, რომელთა განმარტებაც აქ ზედმეტია, საფრთხეს უქმნიდა კავკასიელ ხალხთა ენების განვითარებას და თითქმის არსებობასაც კი. და აი, ასეთ პირობებში, გამოსვლა თვალსაჩინო მოხელისა ადგილობრივ თავაღაზნურთაგან—უმრავლესობამ ისე მიიღო, როგორც კარიერისტის მიერ თავისი თანამემამულებისათვის ნატყორცი ისარი. მხოლოდ ცოტანი ძველი თაობიდან, როგორც მაგალითად მიხ. თუმანიშვილი და რამაზ ანდრონიკიშვილი და ახალი თაობიდან — ნიკო ნიკოლაძე საკმარისი პირუთვნელობით მიუღენნ მუხრანსკის ნაშრომს, თუმცა მათი შეხედულებანი არ ეთანხმებოდნენ მუხრანსკის შეხედულებათ. მიხ. თუ მანი შვილი იყო აზა მარტო პირადი მეგობარი ავტორისა, არამედ აგრეთვე თანამოაზრეც 60-იანი წლების რეზუმის საკითხებში. ზანგრძლივ თანაზიარ მუშაობაში რეფორმაზე, როგორც ჩანს, ვათ შორის არასდროს სერიის ული უთანმოება არ აღძრულა. მათ ორივეს 1864 წლის ზათხულს დავალებული ჰქონდათ პირადი მოხსენება პეტერბურგში იმ მასალაზე, რაც საფუძვლად დაედვა საგლეხო რეფორმას კავკასიაში. ლოდესაც მუხრანსკიზე ყოველმხრიდან იერიშები მიიტანეს მისი წიგნის გამო, მიხ. თუმანიშვილმა დაიჭირა პონიცია მეგობრისა, რომელიც თითონაც სრულიად არ იზიარებდა ავტორის დებულებათ, მაგრამ რომელსაც არ შეეძლო ელიარებინა, რომ ავტორი ამ შემთხვევაში მოქმედებდა პირადი სარფის გულისხვის. მიხ. თუმანიშვილის ქალიშვილთა წერილების ორი ნაწყვეტიდან ჩანს, თუ რაღენვად დიდი იყო მუხრანსკის გამოსვლით გამოწეველი აღელვება. „მუხრანსკის მოსდის წერილობითი პასუხები მის ბროშურაზე როგორც რუსეთიდან, ისე კავკასიის სხვადასხვა, მხრიდან — სწერდა ანასტასია თავის ძმას გიორგის ოდესაში 1872 წელს. — ამბობენ, იმერეთის ეპისკოპოსის ქიქოძის (გაბრიელის) წერილი ძალიან საინტერესოა. იგი იყობინება, რომ არ მოელოდა მუხრანსკისაგან, თუ ეს უკანასკნელი ურჩევდა თავის მომებებს დაივიწყონ მშობლიური ენა.“ მიხ. თუმანიშვილის მეორე ქალიშვილი ბარბარე იმავე ხანებში სწერდა ჭიორგის: „ყველა მხოლოდ ბროშურაზე [მუხრანსკის] ლაპარაკობს, ხოლო თვით

ავტორი ძალიან დარცხვენილია. მგონია „ბირჟ. ვედ.“ 282 №-ში პრის კორექტონის მინიჭებული და მონიშვნის მინიჭებული დარცხვენილია თბილისიდან, ჯერ არ წამიკითხავს, მაგრამ შინაარსი მიამბეს. ირჩევა ავტორთვე ეს * ბროშურაც. შენ, ალბათ, წაიკითხავ „ორი თავი, ორი შესავალი და ორი ნაწილი“.*

მუხრანსკის წიგნის ეკნემპლარი, რომელიც მიხ. თუმანიშვილს ეკუთვნოდა მთლად აჭრელებულია მისი შენიშვნებით კიდევებზე. შენიშვნების კილო მეტის- მეტად მკვახეა, რაც უჩვეულოა, მიხ. თუმანიშვილისათვის. მე-13 გვერდზე იგი აღნიშნავს: „ავტორი თვითვე აფასებს თავის თავს“; 41 გვერდზე — „შეცდომაცადა წინააღმდეგობაც“.

მუხრანსკი ამ 41 გვერდზე სწერს: „об органическом развитии человеческих обществ посредством слияния их, слово „поглощение“ может быть применено по аналогии разве к форме общественного быта народа, понимая под этим замену одной формы жизненного отирavления другою. В этом смысле слово „поглощение“, может быть употреблено в отношении ко всякому развивающемуся народу, хотя он сохраняя неизменным этнический свой состав, так как и подобный народ не изъят от перемен в формах своего существования: язык, чувства, понятия, гражданское и политическое устройство, вся материальная и духовная обстановка, подвергаются у них в течение времени неизбежным переменам, перерождениям.“

ამ მსჯელობის გასწორივ ლაკონური შენიშვნაა: „Обман, ложь...“

ახალი „თეორიის“ ავტორის პარადოქსალური მტკიცება, რომ ძლიერი ხალხის გაფართოება სუსტ ხალხთა მიერთებით ნიშნავს მათ შეერთებულ ძალთა გაერთიანებას და განმტკიცებას და არა ერთი ხალხისაგან მეორის დაპყრობას (გვ. 44) იწვევს მიხ. თუმანიშვილის აღშფოთებითს რეპლიკას — „სისულელეა“ („чушь“), ავტორის მიერ იმავე აზრის შემდგომ განვითარებაზე მისი კრიტიკოსი გაიძახის — „караул“. როგორც ჩანს, მუხრანსკის უგრძენია, რომ მეტისმეტად შესტოპა და თავის მსჯელობათა დასასრულ იგი აღიარებს ენას ისეთი თვისების მქონე ორგანიზმად, რომლის განადგურებაც ერთის დაკვრით არ შეიძლება, არამედ იგი შეიძლება შთანთქას მეორე ენამ თანდათანი გაქრობით. მიხ. თუმანიშვილი სწერს კიდევე: „რა შებრუნებაა ასრებისა, ცუდ რეკომენდაციას რომ უკეთებს ავტორს, თუმცა ძალიან კეთილგანიერი და სამართლიანი“ („Какой поворот мыслей, дурно рекомендующий автора, хотя очень благоразумный и справедливый.“)

გიორგი ბაგრატიონ-მუხრანის გიორგი განათლება პეტერბურგის პრივატულებურ სამართლის მცოდნეობის სასწავლებელში (Училище правоведения) მიღლო. უცხო ენები ძცოდა. გიორგი ი თუ მანიშვილის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქაღალდებში არის 1918 წლის დროის რჩი ნარკვევი (რუსულად და ქართულად) გ. მუხრანსკის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. რუსული ნარკვევიდან მოგვყას რამდენიმე ცნობა ამ დავიწყებულ ნოლვაწეზე (ქართულში უმთავრესად მუხრანსკის წიგნის გარჩევა):

„იმ წრის სულისჩამდგმელი, რომელიც მონაწილეობას იღებდა კავკასიის მხარეზე 60-იანი წლების რეფორმის შეფარდებაში, იყო გ. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკი. იგი ეკუთვნოდა ქართველი უმაღლესი არისტოკრატიის წრეს, მაგრამ არა იმ თაობისა, რომელსაც არ უნდოდა შერიგებოდა საქართველოს მიერ თვითარებობის დაკარგვას. მუხრანსკი დაძირდა 1820 წლს და, მაშასადამე,

* ასეთი დაყოფა ჰქონდა მუხრანსკის წიგნს.

ჯერ კიდევ ბავში იყო 1832 წელს, როდესაც ქართველმა ახალგაზრდობამ მოაწყო შეთ ქმულება რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ. ცხოვრებაში გამოსვლისას მუხრანსკი ხედავდა, რომ მის თანამედროვეთა ოცნება საქართველოს აღდგენაზე მთლად გაცამტვერებული იყო. იგი გულწრფელად შეურიგდა იმ აუცილებლობას, რომ საქართველო უნდა დამორჩილებოდა რუსეთის მთავრობას და აი, ეს დალს ასვამს მთელ მის შემდგომ სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას. ამასთანავე, ის იყო პირველი ქართველი, რომელიც სამართლისმცოდნეობის სასწავლებელში შევიდა. მისი თანამედროვენი ქართველი არის ტოკრატიიდან ჩვეულებრივ სამხედრო ასპარეზს ირჩევდნენ ხოლმე. იგი სამოქალაქო სამსახურში შევიდა და მარდადაც დაწინაურდა..

წარსული საუკუნის 60—70-იან წლებში პეტერბურგსა და მოსკოვში ბევრი წიგნი გამოდიოდა, უკირატესად ნათარგმნი, პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და ბუნებისმეტყველების მეცნიერებაზე. ბევრ ასეთ წიგნს ვხვდებით გ. კ. მუხრანსკისა და მ. ბ. თუმ მ ან ი შვილ ი ს ბიბლიოთეკებში, იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელის ბიბლიოთეკა შედგენილია უფრო მრავალ-ფეროვნად. მაშინ, როდესაც, მუხრანსკის ბიბლიოთეკაში ვხედავთ მარტოდენ პოლიტიკური, იურიკული და ისტორიული შინაარსის წიგნებს და, ამასთანავე, ზომიერ-ლიბერალური მიმართულებისას, მ. ბ. თუმანიშვილთან ვპოვებთ, ამას გარდა, აგრეთვე ბუნებისმეტყველების სამეცნიერო შინაარსის წიგნებსაც, რაც იმით არსებობა, რომ მისი ქალები მეტისმეტად ეტანებოდნენ ბუნებისმეტყველებას, და თანაც არა მხოლოდ ზომიერ-ლიბერალური მრმართულების წიგნებს, არამედ რადიკალური მიმართულებისასაც, (როგორც, მაგალითად, გერენისას ან რილევისას. საბუნებისმეტყველო წიგნები მუხრანსკისა—რამდენიმე სა მედიცინო ნაწარმოებია და დარვინის თხზულებანი, აგრეთვე მისი მიმდევარის ლაიენისა: „О проискождении видов“ და „Геологические доказательства древности человека“. დარვინის წიგნმა, ეჭვი აზ არის, ძლიერი გავლენა იქონია მუხრანსკიზე, როდესაც იგი სწერდა თავის ერთადერთ ნაშრომს, რომელმაც ისეთი ალაქოთი გამოიწვია „О существе национальной индивидуальности и образовательном значении крупных народных единиц“ (ტფილისი, 1872 წ.). ამ წიგნში ავტორი ამტკიცებდა, აუცილებელია დიდი ხალხის ენის მიერ წვრილი ერების ენის შთანთქმა...“

თანამედროვე ქართველი სახოგადოების უმეტესობა უარყოფით შეხვდა მუხრანსკის წიგნს და ხედავდა მასში ავტორის ცდას ვიწრო რუსითიკატორობის საშუალებრივ შეექმნა თავისითვის დიდი სახელმწიფო მოღვაწის კარიერა...

„წიგნმა სახელი გაუტეხა ავტორს. საკმარისი იყო, ქართული ურნალისტიკის მორიგ მუშაკს პ. უ მი კა შვილს კრიტიკა დაწერა ამ წიგნზე, რომ თავის თავზე სახოველთაო ყურადღება მიექცია, ეს სტატია, „მ. პეტრიძეს“ ფსევდონიმით, დაიბჭდა თავდაპირველად პომულარულ უურნალ „კრებულში“, ხოლო შემდეგ გადაბეჭდილი იყო წიგნაკში „პ. უმიკამვილის ხსოვნას“ (გამოც. 1905 წ.). კრიტიკოსი, მაშინდელი ჭროის საცენზურო პირობების გამო, თავდაჭერით სწერდა და დასჯერდა მხოლოდ წიგნის მეცნიერულ გარჩევას. სამაგიეროდ, გავრცელდა ხელნაწერი ლექსები, რომლებიც თავს დაატყონნენ მუხრანსკის. ილია ჭავჭავაძემ, რომელიც გააფთრებულ ბრძოლას ეწეოდა თავადაზნაურთა წრეებში მუხრანსკისა და მისი წრის წინააღმდეგ სათავად აზნაურო ბანკის პროექტის გამო, მაშინ თბილისში რომ არსდებოდა, თავის ანონიმური „გამოცანებში“ მკვახედ დაახასიათა თავისი მოწინააღმდეგე, უწოდა რა მას „ჭრვით და გულით მოცვეთილი“. ხოლო, როდესაც გრ. დიმ. ორბე ელია მ მა „გამოცანებში“ მასხარად აგდებული ძველი თაობის ყველა წარმომედგენ-

ლის სახელით საერთო პასუხი გასცა, „გამოცანების“ ავტორმა დასწერა „პა-
შუხის პასუხი“. ამ ლექსში ი. ჭავჭავაძე მათრახს გადაკრავს მუხრანსკისაც, ამ-
ბობს რა მშობლიურ ენაზე: „პირვე თქვენგანმა, იმა ბეღშავმა მას მკლრის სუ-
დარი გადააფარა“. შემდეგში, არა ნაკლებ მწვავე ეპიგრამი მუხრანსკიზე გამო-
უშვა დ. გ. ერისთავმა, რომელიც იმ დროს „ტფილ. ვესტნ.“ ფელეტო-
ნებსა სწერდა „ნასუედსტვენი პოეტ“-ის ფსევდონიმით:

О существе ты написал,
Мой друг, более ста страниц,
Но этим только доказал
То, что мы звали без того,
Что ты совсем не существа
И нуль между крупных единиц*.

ორივე გაზეთმა, რომელიც მაშინ აქაურ ენაზე გამოდიოდნენ „მშაქმა“ და „დროება“-მ აგრეთვე საძრახისი. აზრი გამოსთქვეს, მუხრანსკის წიგნაკზე“.

მუხრანსკის დასაცავად გამოვიდა, ვგონებ, მხოლოდ გაზ. „კავკაზი“ ვიღაც ზალესკის პირით.

ცონბებს მუხრანსკის ბროშურაზე უნდა დაემატოს შემდეგი: კრიტიკის პირ-
ველი შეტევის შემდეგ დარცხვენამ თითქო გაუარა მუხრანსკის და, როგორც
ჩანს, მან არ მოისურვა იარაღის დაყრა: 1874 წელს მუხრანსკიმ გადაბეჭდა თა-
ვისი წიგნაკი და გაავრცელა ამ რიცხვისაზე ერთი „მართლმორწმუნე“ პეტერბურ-
გული გაზეთის დამატებად. თითქმის ანავე დროს მუხრანსკის ნაშრომი გამოიცა
პარიზში ფრანგულად. თუ რამდენად ეტკბანურად პეტერბურგში ავტორის ზო-
გიერთი მშველობა, ეს თუნდაც იქიდანა ჩანს, რომ გაზეთმა წიგნაკს წინ წაუმ-
ძღვარა უშველებელი წინასიტყვაობა: „ჩვენ სიმოწებით ვასრულებთ მის [მუხ-
რანსკის] სურვილს [წიგნაკის გავრცლების დისას] არა მარტო იმიტომ,
რომ ბროშურაში გატარებული აზრი დარბაისლურია და ადგილობრივი საკითხი;
რომლის გამოც იგია დაწერილი, უაღრესად მიშვნელოვანია, — არამედ იმიტო-
აც, რომ ბროშურას დასკვნა თანამდებობად შეეფარდება რუსეთის ყველა განა-
პირა ქვეყანას და რომ იგი ყველა ჩვენს ადგილობრივ-ტომობრივ საკითხს ერთ-
საერთო, ტაჭისი-სიმტკიცით უჰქველ, საფუძველზე აყენებს. ეს თხზულება შეიძ-
ლება: სათაურად ატარებდეს: „რუსული ენის სფერო და ფარგლები“.

ამრიგად, ავტორის „მეცნიერულ-თეორიული“ დებულებანი ერთბაშად „სა-
თანადო ნიადაგზე“ იქნებ დაყენებული.

წინასიტყვაობა თითქო რუსული, ასე ვთქვათ: „განათლებული დიდმცყრ-
ბელობის“, იდეოლოგთა პროგრამული გამოსვლა და უეჭირელად იმ ეპოქის საინ-
ტერესო თოკუმენტს წარმოადგენს. „იქ რუსეთია, საჭაც ყველა მოაზროვნე ადა-
მიანი რუსულად ფიქრობს“ (წინასიტყვაობის მე-15 გვ.) — სჭრედ ამ მიზანს
არმასნებენ წინასიტყვაობის ავტორები, თავდანთ მეტისმეტად დამახასიათებელ
უთეორიას:

მის. / თუ მანი შვილი ის მიწერ მოწერა მეტე გიორგი XIII შვილიშვილ-
თან და ბატონიშვილი ბაგრატის შვილთან, უვანეთლებულეს, თავად დავით.

* კურსივით აწყობილი სიტყვები ამოღებულია მუხრანსკის ბრიტურის სა-
თაურიდან. ეს ექვსტრიქონიანი ლექსი პირველად დაიბეჭდა აზლახნ. „ილია ჭავ-
ჭავაძის თხზულებიში“, რომლებიც გამოიცა. 1914 წ. ის. წიგნის ბოლოს, გვ.
XIV. შენიშვნა გ. მ. თუმარწი შვილი ისა.

ურუ ზინ სკი სთან*, რომელიც მოსკოვში ცხოვრობდა, რამოდენადმე შუქას ჰუნის იმ გარემოებას, თუ რა ნერვიულობით უყურებდა ენის საკითხს, წარჩინებული თავადახნაურიაბის ზოგი რთი წარმომადგენელიც კი.

1864 წლას ნაჯპარას 30-ის წერილში იგი, სხვათაშორის, სწერდა, მიხ. თუმა-ნიშვილ:

...არ ვიცი, რა მიზეზით მოსკოვში ხმა გავარდა, ვითომც საქართველოს გიმაზი იებში ** გაუქმებული იყოს აზგილობრივი ენების — ქართული ისა, სომხური ისა და თათრული ს — სწავლება, ე. ი., სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ ენების სწავლების სამუდამოდ მოსპობა მთავრობის სასწავლებლებში. მე ვერასგზით ვერ წარმომიდგენია, რომ ბარონ ა. პ. ნიკოლა აის, რომლის კეთილშობილი მისტრაფებაა მხარის დამშვიდება და სათანადო განათლება, შექმაროდეს აზრი, ამადრტვინებელი „საქართველოს ძლიერი უძველესი თავაზაზნაურობისა, როგორც წარმოსთვე თვით მხარის უზნაურებელი მა მართველმა ამა წლის ნოემბრის გენერალის და კეთილშობლებისამებრ ქვეყნის გონიეროვად და ზეობრივის დროს — შეუძლებელია ადგილობრივი ენების ცოდნა დამამცირებელი იყოს რუსეთისათვის; პირიქით, არა უფრო მეტია სხვადასხვა ტომის ელემენტები რუსეთის ქვეშევრობობაში, მერე ისეთი ერთგული, როგორც საერთოდ ამიერკავკასიის მხარეა, მით უფრო მეტი იქნება მისი დიდება იმის გამო, რომ იგი ხელს შეუშენებს, დაიცავს და სრულშეყოფს მათ უძველეს კილოებს. ადგილობრივი ენების მოსპობა — ეს იმას ნიშნავს რომ მთელ ხალხს წაართვა სიცოცხლე აშის ნაცვლად, რომ უნივერსალური პროგრესით და პუმანური მიმართულებით ზრუნავდე თვითოულის კეთილდოებასა და სარგებლობაზე. თქვენ, როგორც ამ დროის ადამიანმა, განათლებულმა და ცნობილმა სალიტერატურო ასპარეზზე, უნდა განაცხადოთ და აღიშალოთ თქვენი გავლენიანი ხმა წერილობითაც და სიტყვიერადაც, რათა ჩვენი მხარისათვის და, მაშასადამე, თვით რუსეთისათვისაც, არავეთილმშრახველმა. ადამიანებმა, ვერ მოიპონ გამარჯვება თავითი არადროული და ბილში პრინციპებისაც.

113. ივანე რომანის-ძე თარხან-მოურავი, მედიცინის დეკტორი, პეტერბურგის სამხე ურო-სამედიცინო აკადემიის პროფესორი, მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. გამოჩენილი ფრზიოლოგი სეჩენოვის მოწავე. 70-ანი წლების დასაწყისში კითხულობდა თბილისში ლექციებს ნერვულ ფიზიოლოგიაზე. ეს ლექციები დიდად პოპულარული იყო მოწინავე ინტელიგენციაში.

114. ნიკოლოზ იაკობის-ძე ნიკოლა დე 1843—1928), გამოჩენილ პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში. და მონაწილეობას იღებდა სტუდენტთა შელეგარებაში 1861 წელს, - რის-თვისაც ციხეში იჯდა რამდენიმე თვის განმავლობაში.

პუბლიცისტური მოღვაწეობა ნიკ. ნიკოლაძემ „ცისკარში“ დაიწყო, შემდეგ თანამშრომლობდა „ჩეკრა“-ში და „Современник“-ში. 1864 წელს საზღვარგარეთ გაემგზავრა; იქ მონაწილეობა მიიღო გერცენის „Колокол“-ში, სადაც დაბეჭდდა სტატია საქართველოში გლეხთა განთავისუფლებაზე. ციურისის უნივერსიტეტის დამთვრებისას სამშობლოში დაბრუნდა. თანამშრომლობდა განსაზღვრებაზე. „დროება“-ში, ხელმძღვანელობდა ფურნ, „გრენი ული ის“ გამოცემას, სცემდა განსაზღვრებაზე.

* დაგითი გარდაიცვალა მოსკოვში 1888 წლის სექტემბერს 24-ს და დაგრძელულია პოკროვსკის მონასტერში. იგი დაინტერესებული იყო ისტორიის საკითხებით და მიწერ-მოწერაში იყო. მ. ბროსსესტან. მას პეტონდა ქართულ სიძველეთა ჩინებული კოლექცია.

* კურსივი ყველგან. ავტორისაა.

„О б з о р“-ს (რუსულად). 1880 წელს „ობზორი“ დახურეს მთავრობის საწინააღმდეგო მიმართულებისათვის, ხოლო თვით ნიკო ნიკოლაძე სტავროპოლიში გადაასახლეს. საღ ტიკოვაზე დრინი „Отечеств. записк.“-ებში ერთ ხანს ნიკოლიშვილი განაცემდა კრიტიკის განყოფილებას.

1887 წლიდან 1891 წლამდე ნიკო ნიკოლაძე ხელმძღვანელობდა თბილისში განვითარების „Новоое Оностроение“-ს. 1894 წელს მუდმივი და გულმოდგინე თანამშრომელი იყო „მთამბისას“.

1894 წლიდან 1912 წლამდე ნიკო ნიკოლაძე ქალ. ფოთის თავი იყო. ახალგაზრდობაში ნიკო ნიკოლაძეზე დოფი გავლენა ჰქონდათ რუსეთის სამოციანი წლების მოღვაწეებს, 1917 წელს იგი გახდა ქართველ ნაციონალ-დემოკრატების პარტიის წევრი. ამ პარტიის სახელით იგი არჩეულ იქნა სრულიად-რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრად. საბჭოთა ხელისუფლების დროს ემიგრაციაში იყო, შემდეგ ჩაბრუნდა თბილისში, სადაც გარდაიცვალა 1928 წელს.

ნიკო ნიკოლაძის კალამს, საგაზეთო და საუკრნალო სტატიების გარდა, ეკუთვნის მთელი რიგი ბრძოლები ცენტრომიური და პოლიტიკური შინაარსისა.

115. მიხ. თუმანიშვილის არქივში შენარჩუნა თავადაზნაურობის მიერ ხელმწიფისათვის—1871 წელს თბილისში ყოფის დროს—მირთმეული ადრესის ექსებლივიარი. აჯრები დაწერილია გადამწერლის ხელით და შესწორებულია მის. ოუმანიშვილის მიერ, რომელსაც, აღბათ, დავალებული ჰქონდა მისი რედაქცია. ამ საბოლოო რედაქციას თავადაზნაურობის კომისია არ დაეთანხმა. გიორგი თუმანიშვილს აღნიშნავს პროექტზე, რომ „თავადაზნაურობის განსაკურებული კომისიის მიერ ეს პროექტი შემდგომ შეცვლილ იქნა“-ო. ამ ადრეს აქვს მინიჭებულობა საქართველოში სახალხო განათლებისა და უმაღლესი სასწავლებლის ისტორიისათვის. მიხ. თუმანიშვილის მიერ შეტანილ ცვლილებებს აქვს ზოგს პრინცაპული ხასიათი, ზოგს მხოლოდ რედაქციული. სხვათა შორის, თუმანიშვილის მიერ პირველ გასწორებულ აბზაცში მას ამოუშლია სიტყვების „დეთის მიერ თქვენთვის ჩაბარებული ხალხის კეთილდღეობაზე“ და ჩაუწერია „თქვენი ერთგული ქვეშევრდომი მოსახლეობის კეთილდღეობაზე“. მეორე შემთხვევაში მიხ. თუმანიშვილს შეუტანია სიტყვები, რომლებითაც აღნიშნავს, რომ ლურიბი აზნაურები შეადგენენ „თვალსაჩინო უმეტესობას მთელი თავადაზნაურობის რიცხვისას“.

მესამე ჩანართი (თანადროული აღწრედის თაობაზე), სწორედ ის, რასაც თავადაზნაურობა არ დაეთანხმა, მთლად მიხ. თუმანიშვილს ეკუთვნის.

116. წერილი ი. ჭავჭავაძე ზე ამუამად ინახება საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში მიხ. თუმანიშვილის სხვა სარქივო მასალასთან ერთად.

117. ამის თაობაზე გიორგი თუმანიშვილი სწერს:

„დიდი მადლობელი ვიყავი განოსი, რომ მან თითქმის პირველმა მოაგონა ქართველ საზოგადოებას ჩემი მამის (მიხეილ ბირთველის-ძე თუმანიშვილი, „ცისკრის“ პუბლიცისტი „მოლაყბე“) ლექსიბი.

იმ დროს მე გამოვეცი რეზეული ლექსიბი მამიჩემისა, და ვარომ „იეპრიაში“ დასწერა თანაგრძნობით საესე რეცეპტია ამ წიგნზე. ამით არ იქმარა. გამომთხოვა ჯერ არსად არ დაბეჭდილი პოემა პუშკინის „ბალჩისარაის შადრევანი“, გადათარგმნილი მამიჩემისაგან, და წაიღო ილია ჭავჭავაძესთან.

მან ძალიან მოიწონა თარგმანი და დაპეჭდა „ივერიაში“ მთლად შეუცველად“. (გან. „თემი“, 1913 წ., № 81).

ივანე გიორგის-ძე მაჩაბელი (1854—1898), XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხეულის გამოჩენილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. პეტერბურ-

გის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის გათავებისას, რამდენიმე წელიწადი გაატარა საფრანგეთა და ურმანიაში სასოფლო-სამეცნიერო მეცნიერებათა და მელვინეობის შესასწავლად. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს გადა-თარგმნა ილია ჭავჭავაძესთან ერთად შექსპირის „მეფე ლირი“ ინგლისურით. 1879 წელს დაბრუნდა სამშობლოში და გულმოდგინე მონაწილეობას იღებდა ი. ჭავჭავაძის „ივერია“-ში; ამავე დროს მუშაობდა სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკში.

1882—83 წლებში იყო რედაქტორი „დროიებია“ მთავრობის მიერ ამ გაზე-თის დახურვამდე. ილია ჭავჭავაძესთან კაშირის გაწყვეტის შემდეგ (ბანკის საქ-მეების გამო) ჩამოშორდა პერიოდულ პრესას და ბეჭითად მუშაობდა შექსპირის ნაწარმოებთა თარგმნაზე („პამლეტი“, „ოტელო“, „იულიოს კეისარი“, „მაკ-ბეტი“, „რიჩარდ III“ და სხვ.)

1893 წელს იყო მაჩაბელმა განაახლა პუბლიცისტური. მუშაობა. მოკლე ხანს იგი მუშაობდა „კვალში“.

ივ. მაჩაბელი იდეოლოგი იყო ქართველი თავად-აზნაურობის პროგრესიული ნაწილისა.

118. საიუბილეო ზეიმის პირვანდელი აღწერა მოთავსებული იყო „კავკაზის“ 67 და 81 №-ში 1871 წელს. იგი მი 6. თუ მანი შვილის კალამს არ ეკუთვნის. გრიგოლ ორბელიანისათვის მირთმეული ადრესი მოთავსებულია მთლად ამ აღწერილობაში სათაურით: „კიდევ თავად გ. დ. ორბელიანის იუბილეზე“.

119. კავკასიის სასოფლო-სამეცნიერო საზოგადოების წესდების გარდა მი 6. თუ მანი შვილის მიერ შემუშავებულია წმ. ნინოს საქველმოქმედო საზოგა-დოებისა და თბილისის საკრებულოს წესდებანი, დებულება სოფლის მეურნეობის და მრეწველობის მმართველობისა კავკასიაში და კავკასიის იქით, ახალი დებუ-ლება ამიერკავკასიის საგუბერნიო მმართველობისა და სხვ. (ცნობები ამოღე-ბულია სამსახურის სიიდან).

120. მი 6. თუ მანი შვილის ქალალდებში უნაბულა ი გ. ყაით მაზოვი წერილი: „მიხეილ ბირთველის-ძევ, — სწერდა ყაითმაზოვი 18 (?) წლის წო-ებრის 28 ს — გადახედეთ, ღვთის გულისთვის, თუ შეიძლება დღესვე ფოსტის გაგზავნამდე აქვე დართული კორექტურის სახით გ. ბორობდინის სტატია „ბა-ტონ-ყმობა სამეცნიეროში“ („Крепостное состояние в Мингрелии“). ეს სტატია უნდა დაიბეჭდოს გეოგრაფიული საზოგადოების წერილებში, აგრეთვე ცალკე ბროშურებადაც. გ. სტატიიც კი [მეფის-ნაცვლის საბჭოს წევრი] არა ხედავს დაბრკოლებას მისი დაბეჭდისას. ხოლო თავად გიორგი მუხრანსკიმ განმიცხადა-მე, რომ ამგვარი სტატიის განხილვა მონდობილი გაქვთ თქვენ. ამიტომ გთხოვთ წაიკითხოთ იგი და მოგვცეთ თქვენი სავალდებულო აზრი. სალამოს 6 საათზე მე თითონ შემოვივლი თქვენთან: გულითადად თქვენი ერთგული ივ. ყაითმაზოვი“.

მი 6. თუ მანი შვილი უკასუხა, გამოსთქვა რა თავისი აზრი პრესის თვისულებაზე:

„არც მე ვხედავ დაბრკოლებას ამ სტატიის დაბეჭდისას. თუმცა დაბეჭვდა ამ სტატიისა, რომელიც დანიშნულია გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის გან-ყოფილების წერილებში მოსათავსებლად, ჩემის აზრით, შეპირობებულ უნდა იქ-ნეს ამ განყოფილებასთან არსებული განმკარგულებელი კომიტეტის პირდაპირ და უშუალო თანხმობასთან და მაშინ მასვე მიეკუთვნება პასუხისმგებლება ამ სტატიისათვის. მთავრობას მაინც და მაინც რა საქმე აქვს ბ-ნი ბორობდინის ნა-წარმოებთან, როგორც კერძო კალმის ნაწარმოებთან, ხოლო კერძო კრიტიკა კი, ეჭვი არ არის, ცერემონიას არ გაუწევს. მას, თუ იგი აღმოაჩენს იმ წინააღმდე-გობას, რითაც სავსეა ავტორის შეხედულება ერთსაღამისვე საგანმაზე“.

სტატია „შემდეგ გადაეცა ბარონ“ ნიკოლაი ის — მისღამიხედულებად.. თვით პოროზდინი, დაინტერესებული თავისი ნაწარმოების ბედილბლით, რამდენჯერმე სწერდა მასზე მის. თუმანიშვილს კახეთიდან, სადაც მაშინ მსახურობდა. 1861 წლის ივლისის 12-ს იგი ეკითხებოდა მას: „მიიღეთ თუ არა თქვენ სარედაქციო კომისიის ნაშრომები, ცენტრ. კომიტ. უურნალები და სხვ. და შეგიძლიანთ თუ არა გამომიგზავნოთ წასაკითხად. დაკაზმულია თუ არა ჩემი დებულება და გადაწერილია თუ არა წერილი ბატონყმობაზე სამეგრელოში? მოუთმენლად მოველი... როგორ გეჩვენათ ჩემი ჩანაშერი სამეგრელოშე? გთხოვთ, გულახდით და ულმობელად მითხარით თქვენი აზრი“. 1

პროკურორი ი. ვ. ყაით მაზოვი მონაწილეობას იღებდა მის. თუმანიშვილ-ან ერთად სხვადასხვა საზოგადო საქმეში, სხვათა შორის, სამასწავლებლო სუმინარის საქმეში. დეკემბრის 8-ის ბარათით (წელი არ არის აღნიშნული) იგი ატყობინებს მის. თუმანიშვილს, ორმ საღამოთი მასთან შეიკრიბება „რამდენიმე ახალგაზრდა ჩევენი სემინარის სასწავლო ნაწილის მოსაწყობად“ და სთხოვს მის კიდეს თათბირზე.

III 3 II VII

121. ეგრედწოდებული „დიდგაცური, წარმოდგენები“ შემოლებული იყო თბილისშიაც. სცენის მოყვარეთა წარმოდგენებში, რომლებიც დროგამოშვებით იმართებოდა. თბილისის ვაჟთა გიმნაზიის დარბაზში, მონაწილეობას იღებდნენ ადმინისტრაციისა და თავად-აზნაურობის წარმომადგენელნი. სცენის მოყვარეთა პირველ ქართულ წარმოდგენებში, სხვა მოყვარულთა შორის, მონაწილეობას დებდა აგრეთვე ყოვლადძლიერი ექიმის ან დრეკეს კის მეუღლე—ბაზარე გიორგის ასული, შთამომავლობით თუმანიშვილისა, შვილიშვილი ცნობილი საგარეო აგრესი, პოეტი გიორგის ქალი (იხ. შენიშვ. 8)

122. კერესე ელიდი ის თხოვნა დაბეჭდილია წიგნში „თეატრი თბილისში“. მის. თუმანიშვილის შავად ნაწერი მის არქივშია.

123. თუმცა პიესა „მაიკო“ დაბეჭდილი იყო გ. ერისთავის თავის თანხულებათა კრებულში, მაგრამ ნამდვილად იგი თარგმანი იყო ბეკლემიშევის რუსული დრამისა, რომელიც გადმოწევთებულია კამინის კი ის მოთხრობიდან. რუსულ სცენაზე „მაიკო“ პირველად დაიდგა 1846 წელს არტისტი სმირნოვის ბენებისში. შემდეგ იგი იდგმებოდა 1850 წ. სეზონში. მის. თუმანიშვილი არჩევს რა „დროება“—ში პიესას და არტისტების თამაშს, ენება აგრეთვე წარმოდგენის საკონცერტო ნაწილსაც (მევიოლინე მარკევიჩია) და იმავე დროს ანალიზს უქეთებს ზურაბ ანტონოვის პიესასაც „ტიგით მოგზაურობა ლიტერატურთა“.

124. „გროვ ოტ უმ“ („ვაი ჭავისგან“) პირველად თბილისში დაიდგა საჯაროდ (რუსულად 1846 წელს, ოქტომბრის 8-ს არტისტი ქალის მარქსის საბენეფისოდ — პირველი ჩაცვი იყო იაბლონის დადგმაზე იხ. სტატია „კავკაზიის“ 1846 წლის 41 და 42 №-ში).

მის. თუმანიშვილის შენიშვნები, მის არქივში რომ არის, დაუმთავრებელი დარჩენილია. ერთერთ ვარიანტს აქვს გიორგი, თუმანიშვილის სქოლით 1918 წლისა: „იწერებოდა, როგორც ჩანს, წარს, საუკ. სამოციანი წლების დასასრულს ან 70-იანი წლების დასაწყისს, თბილისში პეტერბურგელი არტისტების ჩამოსვლის დროს“.

მის. თუმანიშვილი ლაპარაკობს იმ განსაკუთრებულ სიმპათიაზე, რომელიც აკავშირებდა თბილის გრიბოედოვის სახელთან და დაწვრილებით არჩევს არტისტების თამაშს;

„აქ [ტფილისში] მან პირველად განავითარა ერთ ხმაშეწყობილ მთლიანობად ჯერ კიდევ თავრიზის ბაღებში, სამშობლოს მოგონებათა გავლენით, ანა-სახი სცენები თავისი მომავალი უკვდავი კომედიისა; აქ იგი,—პოეტის სიტყვით— „მყუდროებაში სწორონიდა თავის გენიას“ და მწიფდებოდა დიდებულ ქმნილებათათვის მომავალში; აქ მან ფართო შექსპირული ყალმით ასახა პირველი სცენები ტრაგედია „ქართული ლამისა“ („Грузинская комедия“), რომელიც დასაწყისის მიხედვით ბევრს რასმე გვპირდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, უძრაო სიკვდილის გამო, დაუმთავრებელი დარჩა. ძევლი მცხოვრებინი დღემდე გვიჩვენებენ იმ პატარა სახლს, სადაც პოეტი ცხოვრობდა, აზროვნობდა და მუშაობდა თავისი მშობლიური ლიტერატურისათვის. მათ ახსოვთ იგი შემდეგ გვირგვინქვეშ ადგილობრივი არისტოკრატული ოჯახიდან აშორჩეულ თავისი ხანმოკლე ცხოვრების თანამგზავრობან ერთად; დაბოლოს, ჩვენ თითონ ვიხილეთ მისი ძვირფასი ნეშტი, მთაწმინდის ეკლესიის ძირას დაკრძალული ჭმინდა დავითის მოაზე, რომელიც გადმოჰყურებს ტფილის თვალწარმტაცი სილამაზით მოსილ ადგილას, და რომელსაც განსვენებული თბილისის პოეტურ კუთხეს უწოდებდა. და, თითქო საბედისწერა წინაგრძნობით განიცდიდა მოახლოებულ ალსასრულს და თვითვე მიიჩნია აქ საუკუნო სავანე“.

125. პროცესი დამთავრდა ლაზარევის მსჯავრდადებით.

126. ოდესის თეატრი დაიწვა 1873 წ.

127. ალექსანდრე რევაზისძე, თუმანიშვილი, მიხ: თუმანიშვილის ბიძაშვილი.

128. იაგო ფსაროვი, ალექსანდრე თუმანიშვილის ნათესავი.

129. მიხეილ ნიკოლოზისძე გარესევანა შვილი (იგივე გერსევანოვი—გარუსებული ქართველი ოჯახიდან; ინუნერი; ტექნიკური სახოგადოების კავკასიის განყოფილების დამარტებელი).

130. ინახებოდა . საქალალდეში, რომელზედაც მიხ. თუმანიშვილის ხელით ეწერა: „სხვადასხვა ნაჯლაბი ქალალდი გაუქმებულად დატოვებული როგორც მასალა, რომელიც შეიძლება ოდესმე გამოდგეს. 1859 წ. იანვარი („Разные манифестиции бумаг, оставленных без уничтожения как материал, имеющий быть годным, когда-нибудь“).

თ ა ვ ი VIII

131. ლექსი სათაურით „მიბაძვა ბაირონისადმი“ მოთავსებულია მიხ. თუმანიშვილის ნიშვილის ერთერთ უადრეს რევულში.

იზაბელა გრინგსკაიას თარგმანი ამ ლექსისა დაბეჭდილია „ნოვო თბოზრებიე“—ს 1903 წლის 6325 №-ში:

„В пустыне пламенной, под жгучими лучами,
Кто видел дерево на груде темных скал?
Стоит безмолвное, поникнувші ветвями,
Напрасно ветерок его-бы вновь ласкал.
Так сердце, о друзья, мое теперь убито.
Убито выхрѣм злым и знойным бытия.
Молчит, как дерево в расселине гранита.
Ах, к жизни, как онѣ, не пробужусь и я!“

ს. ვ. ამირეჯიბის თარგმანი თავუაპირველად დაბეჭდილია „ნოვოე ობო-ზენიე“—ს 1904 წლის 6704 №-ში, შემდეგ გადაბეჭდილია მისავე „ქართველ პოეტთა ლექსიბის კრებულში რუსულად“ (ვ. 51); გამოც. 1909 წ. მოსკოვში.

„Бывали-ль в пустыне темной,
Где солнца луч вам не сиял,
Где ветер странствует бездомный,
Где дико все в ущельях скал?
Видали-ль дуб вы одинокий,
Сраженный бурною грозой,
Чей остов на скале высокой
Висит над бездной роковой?
Таков, друзья, мой рок суровый:
Ряд гроз на жизненном пути...
Иссокло сердце... К жизни новой
Надежде в нем не расцвести!“

მიხ. თუ მანიშვილი ის დაუბეჭდავ პოემას „თასი—თავის სარეველი“ აქტე აგრეთვე ქვესათაური „ბაირონიდამ“ და შენიშვნა მისივე იმ გარემოებათა გამო; რაც საბაბად გაუზდა ბაირონის ორიგინალის შექმნას.

132. ხელნაწერის თავურცლებზე აღნიშნულია: ერთზე—„ბალჩისარაის შად-რევანც“, — გარდმოლებული რუსულით თ. მიხეილ თუმანოვის მიერ“; მეორეზე „ბალჩისარაის შადრევანი“ თხზულება ალექსანდრე პუშკინისა.—მრავალთა ჩემებრ იხილეს ეს შადრევანი; მაგრამ ზოგნი მათგანნი უკვე არღა არიან, ზოგნი მგზავრობენ უშორეს. საადი. სანკტპეტერბურღი, ჩყლ-ს. წელსა“.

133. პიტაკის ასლი შენაბულა მ. თუ მანიშვილი ის არქივში.

134. იხ. სტატია „ისტორია ერთი ძველი საბლისა ტფილისში“, რომელიც ციტირებულია ზემოთ, 77 შენიშვნაში.

135. ეს გამოთქმა ამოლებულია ლივენციის მოთხრობილან.

თ ა ვ ი IX.

136. იხ. 105 შენიშვნა.

137. იხ. 104 შენიშვნა.

138. გიორგი წერეთლის მიერ გამოცემული ჟურნალი.

139. ანასტასია თუ მანიშვილი ისა-წერეთე ლენი.

140. იხ. 130 შენიშვნა,

141. გერმან გერნერი, ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიკოსი (1821—1882 წ.წ.)

142. მიხ. თუ მანიშვილი ის შვილები.

143. „კავკაზის რედაქტორი 70-იან წლების დასაწყისში. მიხ. თუმანიშვილი მას უარყოფითად უყურებდა, სიგლიდა რა, რომ წერი მომზადებული. არ იყო ამ როლისათვის.“

144. შავერდიანი, ახალგაზრდა ლიტერატორი, რომელიც არაერთხელ კასენიება თუმანიშვილების შინაურ მიწერ-მოწერაში.

145. სკანდელი—ნიკოლაძის ფსევდონიმი.

146. კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე ბებუთავი, ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე, დამარსებელი კავკასიაში პირველი რუსული გაზეთისა „Тиф-ლисский Вестник“ (1873—1880 წლებში).

147. დავით გორგეგის-ძე ერისთავი (1847—1890), ლიტერატორი, დაამატური, იდა საზოგადო მოღვაწე, უახლოესი თანამშრომელი „თბილ“. ვესტნ.-სა-და „კავკაზ“-ის რედაქტორი 1882—1884 წლებში. ქართული ოეატრის დაამარსებლის გიორგი ერისთავის შვილი.

148. ასილ ბაზენი (1811—1888), საფრანგეთის მარშალი, რეინის არმიის სარდალი ფრანგ-პრუსიელთა ომში 1871 წელს. ზავის დადების შემდეგ იგი სამხრთალში მისცეს სახელმწიფო ბრიტისათვის იმის გამო, რომ გერმანელებს დანებდა 170.000 კაცისაგან შემდგარი არმიით უორმად. მისჯილი ჰქონდა პატიმრობა სიკვდილამდე. მალე იგი საბყრობილიდან ესპანეთს გაიქცა.

149. ჰანრი და არტურ გრაფ შამბორი, ჰერცოგ ბორდოსელი (1820—1883) ბერლინელი ჰერცოგის შვილი და ბურბონთა უფროსი შტოს უკანასკნელი წარმომადგენელი. პრეტენდენტი საფრანგეთის სამეფო ტახტისა. კადრილი „მ ჟა ჩამბიორ“—წარსული საუკუნის სამოცდაათიან წლების საყოველთაოდ გავრცელებული. ცეკვა იყო მაღალ საზოგადოებაში.

150. გიორგი ჯიმშერის-ძე ენიკო ლოფოვი, მიხ. თუმანიშვილის მეუღლის ძმისწული.

151. ივან მიხეილის-ძე სეჩენოვი (1829—1905), გამოჩენილი ფიზიოლოგი, რომელსაც ეწოდა რუსული ფიზიოლოგის მამა.

152. აბგარ იოანების-ძე ორბეგი თბილისის სამოსამართლო პალატის პროკურორის ამხანაგი, მაშინ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი.

153. პეტრე გრიგორიელის-ძე მელიქიშვილი, გიორგი თუმანიშვილის უნივერსიტეტელი ამხანაგი, შემდგომ იმავე ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორი.

154. მრველი შვილი, მიხ. თუმანიშვილის შინაური ექიმი.

155. ეს ინცინდენტი შემდეგში მდგომარეობდა (გიორგი თუმანიშვილის 1871 წლის ოქტომბრის 29-ს წერილიდან):

„იურიდიული ფაქულტეტის პირველ კურსზე სლავური სამართლის ისტორიას კითხულობდა პროფესორი—ჩეხი ბოგიში. შეის ლექციებს მუყაითად არ ვესწორებოდი. ოქტომბრის 16-ს, თავისი ლექციას დროს მან დაურიგა სტუდენტებს და უშანი ის კანონთა ეკზემდიარები (მაშინ აუდიტორიაში არა ვყოფილვარ“, რათა სტუდენტებს ამ წიგნით ედევნებინათ ყური ლექციისათვის. ურთი ბეჭი სტუდენტი დერი მეტისმეტად თურმე დაიხარა მაგიდაზე ამ წიგნის საკითხავად. პროფ. ბოგიშიჩი მიმართავს სტუდენტ ბერს და ეტყვის—ასე რას დაწექით? ბალიში და გაკლიათ, რომ დაიძინოთ. სტუდენტი ლამობს თავის მართლებას; პროფესორი ფეხებს უბრაცხნებს და შეპასუხების ნებას არ აძლევს, თავაც განაგრძობს თავის შენაშენებს: გაეთრიეთ! (ხომ!) შეგიძლიანთ ტალანტი გაისეირნოთ: სამიკილონში ზისართ?

ეს იწყინება 1-ლი კურსის სტუდენტებმა და გადასწყვიტეს ბოგოშიჩის შემდეგ ლექციაზე არ გამოცხადებულიყვნენ. ოქტომბრის 20-ს მოდის ბოგოშიჩი და აუდიტორიას ცარიელსა ხედავს (მე არა ვყოფილვარ არა იმიტომ, რომ ბოგიშიჩიმა სტუდენტს აშენინა, არამედ ჩვეულებისამებრ; კარგად არ ვიცოდი რაში მდგომარეობდა საქმე). ბოგიშიჩი, აუდიტორიიდან გამოსვლისას, ჩვენი კურსის რამდენიმე სტუდენტი სტუდენტი შეხვდა“.

შემდგომ ყველა ფაქულტეტის სტუდენტებმა (300 ჯაცმა ღია მედიკოსი-ტერის ყველა 400 სტუდენტისაგან) თავი მოიყარეს კრებაზე და მოლაპარაკება გამართეს პროფესიონალთან, რომლის წინადადებითაც 10 დეპუტატი აირჩიეს და გაგზავნეს ბოგიშიჩთან ახსნა-განმარტებისათვის. მღელვარება რამდენსამე დღეს გაგრძელდა და დამთავრდა ოეპრესიებით მასში მონაწილეთა წინააღმდეგ.

156. ნოვოროსიის გენერალ-გუბერნატორი.

157. მ ი ხ. თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ერთეული წერილი სპეციალურად ეხება ტუ-
ლეტის (ჩაცმა-დახურვის) საკითხებს. მოგვყავს აქ როგორიც აკოდა-ცხოვრების
დამახასიათებელი დოკუმენტი;

„1873 წლის აპრილის 6.

„იწერები შენს განზრახვას იყიდო მანდ ტანისამოსი სიიაფისა და კარგი ხა-
რისხიანობის გამო. სავსებით ვიწონებ შენს აზრს და ნებას გაძლევ იყიდო; ყვე-
ლაფერი, რაც საჭიროა, მხოლოდ ერთის პირობით: გადაჭარბებული ეკონო-
მიის გულისათვის არ იყიდო არაფერი უხეირო რამ, არამედ იყიდო რაც შეი-
ძლება საკადრისი და საუკეთესო საქონელი, თუნდაც რამდენიმე მანეთი გადა-
აყოლო იმ მოსაზრებით, რომ „ძვირია და კარგია“ (დიօრიგ და მილი*). ამ მხრივ
ფულს ნუ-დაიშურებ, გამოართვი რაც დაგჭირდეს ე რ ე ნ ჩ ა კ ს *. ვგრძნობ; რომ
საჭიროა შენთვის: მს უ ბ უ ქ ი პ ა ლ ტ ო (გაზაფხულ-შემოღომისა) კარგი მსუბუ-
ქი დრაფის ან ტრიკოსი, მოდური ფასონის და საჭირისა (მრითათბირე შენს უფრო
ფეშენებელ ამხანაგებთან); კოხ ტ ა მ ს უ ბ უ ქ ი შ ლ ა პ ა.—აგრეთვე მოდურ-
ფასონისა (მაუდისა, თივთეჭისა ან შეიძლება მკვრივი ჩალისა; საგაზაფხულო
შარ ვალი და ყილეტი, აგრეთვე პ ი ჯ ა კ ი მსუბუქი. დრაფის ან ტრი-
კოსი; ყელმოკლე წალები (ილუციონი) და ხელთათ მანები, ხოლო
ყველა ასა დედა კიდევ უმატებს. აგრეთვე ჰ თ ლ ა ნ დ ი უ რ პ ე რ ა ნ გ ე ბ ს . და-
პ ე რ ა ნ გ ი ს ა მ ხ ა ნ ა გ ე ბ ს ნახევარ-ნახევარ დუჭინს იმ ვარაუდით; რომ წი-
ნანდელები უკვე გაცვდა. კინალამ დამავიწყდა, რომ შენ ხომ გესაჭიროება
პ ლ ე დ ი, კარგი, მატყლისა. მანდ იგი იაფი უნდა იყოს. ეს პლედი გამოგად-
გება მანდაც და გზაშიაც. მანდ, ალბათ, იაფია და კარგი ხარისხისა მ ს უ ბ უ ქ ი
მატერიის ტ ა ნ ი ს ა მ ო ს ი, ამიტომ იყიდე მთელი ს ა ზ ა ფ ხ უ ლ ა-
კოს ტ უ მ ა ი ნ გ ლ ი ს უ რ ი ტ ი ლ ი სი, ასეთივე წ ა მ ო ს ა ს ხ ა მ ი თ ზ ა ფ ხ უ ლ ში
სიცხისათვის, ნუ იძნებებ, სულო ჩემო, ნურაფერში—იყიდე ყველაფერი, რაც
საჭიროა და საკადრისია. გამოსვლისას იყიდე წიგნებიც, რაც შენთვის-საჭიროა
—ფრანგულიც და რუსულიც..”

158. მ ი ხ. თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ შენახული წერილებიდან ჩანს, რომ
მისი ნაცნობების ტრე მართლაც და მეტად ფართო და მრავალფეროვანი იყო
ამ წიგნის ტექსტი შეიცავს ცნობებს მიხ. თუმანიშვილის მეგობრებზე და მას-
თან, სამსახურისა თუ პირადი ცხოვრების გამო, ურთიერთობაში მყოფ პირებ-
ზე, რომელთა რიცხვიც საკმაოდ დიდია. მაგრამ, ამათ გარდა, მიხ. თუმანი-
შვილთან მიწერ-მოწერა ჰქონდა (ან წერილებში იხსენიებიან) ბევრ სხვა მისი თა-
ნამედროეს, რომელებთან მას აკავშირებდა ნაცნობობა და კარგი განწყობილება.
თბილისის გიმნაზიის მასწავლებელი ზ ა ქ ა რ ი ა ა ვ თ ა ნ დ ი ლ ო ვ ი, 1832 წლის
შეთქმულობის მონაწილე, სთხოვს მას უეჭველად მისას ისადილოს; მას. სწერს
კონსტანტინე მამაცა შ ვ ი ლ ი, რომელთანაც ნაცნობობის დასაწყისი,
როგორც ჩანს, ეკუთვნის გიმნაზიაში ერთად სწავლის პერიოდს; ანდრია გარ-
სევანი შ ვ ი ლ ი კახეთში ცხოვრების დროს, მიხეილ ყორანოვი არდებუ-
ბათიდან, მიხ. თუმანიშვილის ნათლული ალექსანდრე ე რ ი ს თ ა ვ ი გორიდან,
რომან ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ნილნალიდან (1838 წ.), გრიგოლ და პეტრე ბ ე ბ უ თ ა-
ვ ე ბ ი, იაგონ ლორის-ევლი ქ ვ ი და მრავალი სხვა სწერს მას პროგინ-
ციულ ცხოვრებაზე, წარმოდგენებზე, საზოგადობრივ და სამსახურის ამბებს.

* ოდესელი კომერსანტი, რომელიც საბანკო ოპერაციებს ეწეოდა. ყველგან
კურსივი მის. თუმანიშვილისაა.

ერთეულთ შინადროის წერილში, ომელიც დათარილებულია 1849 წლის სექტემბრის 29-ით და ომლის ავტორის გვარი ვერ გავარევით, კორესპონდენტი რამდენიმე სტრიქონით იძლევა კახეთის ცხოვრების სურათს „ალავერდია, წვრმის გამო, საძაგლობა იყო; კახეთს ეწვია ომდენიმე საპატიო სტუმარი: ზოგიერთი მათგანი უკვე წავიდა, ხოლო სხვები მეღვინობას ახალისებენ. თავადმა ჭავჭავაძემ ბრწყინვალე დღესასწაული გადაიხადა. ფეირვერკით; ძალიან გვწყინს, რომ სილნალიდან. არ ჩამოხველით,—სხვა მხრივ კახეთში მშეიღობაა.“

მიწერ-მოწერა ერთსადამაც პირთან ხანდახან ათეული წლების განმავლობაში გრძელდება. ხშირად წერილები მიხ. თუმანიშვილისადმი იწყება ამ სიტყვებით „შენი წიგნი მივიღე“ ან „Ваше письмо-точночно“, საიდანაც ჩანს, რომ მათ მიხ. თუმანიშვილიც სწერდა.

მიწერ-მოწერა ნათესავებთან ასევე გახურებული იყო. ზოგიერთთან, მაგალითად თავის ძმა გასი ილთან, ბიძაშვილ დიმიტრის თან; ალექსანდრე სთან და გიორგი თუმანიშვილებთან არც ერთი თვით არ ჟეწყვეტილა:

იმ პირთა შორის, ომლებთანაც მიხ. თუმანიშვილს ნაცნობობა ჰქონდა, იმათ გარდა, ვინც ამ წიგნშია დასახელებული, იყვნენ აგრეთვე: ბლავატსკი (ალბათ, ნიკიფ. ვას-ძე, შემდგომ დიდი ადმინისტრატორი); ერევნის ვიცე-გუბერნატორი კუჩინი, რომელიც ჩივის მის წინაშე ინტრიგებზე მოხელეთა წრეში, მომავალი დიქტატორი მიხ. ტარიელ-ძე ლორის ენგურვი, კავკასიის სასწავლო ოლქის მხრუნველი—იანუარი მიხ.-ძე ნევეროვი,—ბელინსკი, გრანივეკის და სტანკვეიჩის ახლო შევაბარი; გრიგორ შანში ევგენი; ახალგაზრდა ლიტერატორები—ივ. მაჩაბელი, ძმანი ლოდ ბერი დენი, პეტრე უმიკაშვილი პეტრე და სტეფანე მელიქ ქიშვილები და სხვა მრავალი; ნაცნობებთა შორის სტეფ. ლამბართვი, ნიკ. აკიმიშვილი, ვინც. ვერუშიცი, ელიზბარ ერისთავი, მამუკა ორბელიანი ანი (მაკარი თომას-ძე 1832 წლის შეთქმულობის მონაწილე, ომელიც შემდეგ ადმინისტრაციაში მსახურობდა), პოეტი ვახტანგორბელი ანი; აუჯარებელი წაომომადგენელი სასცენა ხელოვნებისა, პედაგოგი, ექიმები, მოხელეები; დავით ბაგრატიონი ნანგაშავი, დავით ჭავჭავაძე კავკაციაში (პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილი), კონსტ. მესხი, დავით ერისთავი (პოეტი და დრამატურგის გიორგი ერისთავის შვილი); ჭილაშვილი და სხვ. მეფის-ნაცვლის კანცელარიის დირექტორთან ვასილ ანტონის-ძე ინსარსკი სთან („რუსეკაია სტარინა“—ში 1894 წელს დაბეჭდილი მემუარების ავტორი) მიხ. თუმანიშვილს აქვთ კერძო ხასიათის მიწერ-მოწერა, რაც დამყარებულია საერთო ინტერესებს კავკასიის საქმეებისადმი. ერთეულთ წერილში (1861 წ. ნოემბრის 25-სა) ინსარსკი ატყობინებს მიხ. თუმანიშვილს: „მე ჰეშმარიტად ვწუბვარ, რომ არ ძალიძის სათანადო პასუხი გავცე თქვენი ცნობების სიუხვესა და ლირსებას. საერთოდ ომ ვსთქვათ, სატახტო ქალაქის ადამიანთა გონებაში დიდი მღელვარებაა და, ალბათ, მთავრობას არასდროს არ სჭირებია ასეთი ტაქტი, ენერგია და გამჭრიახობა, როგორც ახლა. რაც თავად [ა. ი. ბარიათინსკის] შეეხება, იგი წარმატებით იუმჯობესებს ჯანმრთელობას და მალე დაბრუნდება კავკასიაში. ეს გარემოება, ეჭვი არ უნდა, სხვა მიმართულებას მისცემს იმ სხვადასხვა თბილისელ პიროვნებათა სხვადასხვა სწრაფვას, ომელნიც ახლა პეტერბურგს ღვარივით მიაწყდნენ, და ზოგნი მათგანი, კავკასიისათვის საბოლოოდ თავის დაწებებას რომ აპირებდნენ, შესაძლოა, უფრო ხელსაყრელად სცნობენ კვლავ ამ მნათობს * აედევნონ... ამათ კატეგორიას უნდა მივაცუთნოთ უპირველეს ყოვლისა

* ე. ი. ბარიათინსკის.

თავად გიორგი მუხრანსკი, რადგანაც მის კონსულტაციაში გადაყვანას ჯამაგი რიანად * დაუძლეველი დაბრკოლებაზი ეღობდებიან...“

ინსარსკის იმედით თბილისში ბარიათინსკის და თვით მისი მალე დაბრუნებისა არ გამართლდა და იგი 1862 წლის აპრილის 24-ს იწერება: „არა ვკარგავ რა სულიერ კაგშირს თბილისთან, მე არ შემიძლიან დაინტერესებული არ ვიყო ყველა იმით, რაც მანდ ხდება. საბედნიეროდ, აქ რამდენიმე თბილისელი პიროვნება შეადგენს მჭიდრო და მეგობრულ წრეს, რომელიც აქ, ყველასათვის უკვე მოსაწყენ პეტერბურგში, წარმოადგენს სასიამოვნო მოვლენას, და რომელშიაც ყოველ ამბავს თბილისიდან აქვს საერთო კუთვნილების თვისება. მე და კეთილშობილი და ბრძენი თავადი მუხრანსკი [გიორგი] ნამდვილეს მეგობრობით დავვახლოვ-დით. იგი აპირებს საზღვარგარეთ წასვლას და იმედოვნებს თავადთან (ბარიათინსკი) შეხვედრას...“

ამჟამად პეტერბურგი არაფერ შესანიშნავს არ წარმოადგენს. ის ერთგვაროვანელვარება ადამიანთა გონებაში, რომელიც უკანასკნელ წანს იმჩნეოდა, თან-დათან ნელდება. სხვა რამ მოულოდნელიც იყო, იმიტომ რომ ამ მღელვარებაში ვლინდებოდა რაღაც უკიდურესად მოდიდგულო, უკიდურესად ახალგაზრდული და უმედვორო რამ..“

159. გრიგოლ იზმირ თვი, საზოგადო მოღვაწე, რომელიც თბილისის ბურ-ჟუაზის კულტურულ ფენას ეკუთვნოდა; შემდგომ საქალაქო თვითმმართველობის ერთერთი ლიდერი.

160. ოჯახის თხოვნით განხეთებში არ იყო მოთავსებული არც ნეკროლოგი, არც სამგლოვიარო განცხადება, რადგანაც ოჯახს ეშინოდა ბეტისმეტად დაემ-წუხარებინა გიორგი, რომელიც იმ დროს ოდესის უნივერსიტეტში საბოლოოდ ჩასაბარებელი გამოცდებისათვის ეწადებოდოდა.

* კურსივი წერილის ავტორისა.

ს ა რ ჩ თ ვ ი

ავტორისაგან	5
თავი I	
ოჯახი და მშობლები	7
თავი II	
ბავშვობა	15
თავი III	
გიმნაზია	23
თავი IV	
შემოქმედებითი მუშაობა ახალგაზრდობაში	39
თავი V	
შინაური საქმეები და სახელმწიფო სამსახური	57
თავი VI	
საზოგადო საქმეები	78
თავი VII	
თეატრი და ნაციონალური მუსიკა	108
თავი VIII	
სალიტერატურო მუშაობა	122
თავი IX	
მისეილ თუმანიშვილის პიროვნება	148
შენიშვნები	
თავი I	169
თავი II	176
თავი III	178
თავი IV	183
თავი V	191
თავი VI	204
თავი VII	220
თავი VIII	221
თავი IX	222

რედაქტორი — ჭ. ასათიანი
ტექ. რედაქ.—შ. დემეტრაძე

* *

გად. წარმ. 25/VI 1938 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭ.
3/VII — 1938 წ. ტირაჟი
4000; წიგნ. ზომა $6 \times 10\frac{1}{4}$
ქაღალდის ზომა $12 \times 9\frac{1}{4}$
ფორმ. რაოდ. 14 ფ. შეკვე-
№ 327; მთავლინის რწმ.
№ 2034.

* *

გამომცემ. „ფედერაცია“-ს
სტამბა, თბილისი, პლეხა-
ნოვის პროსპ. № 181.

894.63.09

b 401